გიხაროდენ, ყოლად ძლიერისა მშუიღობისა საყდარო, გიხარო-
 დენ, ყოლად ნათელო, მზისა უბრწყინვალესო, გიხაროდენ, მოლუაწეო
 ღმრთისა მიმარ[თ], ყოველთათჳს გიხაროდენ, საუნჯეო წმიდაო
 35 ღმრთისაო D 2.

გიხაროდენ, ღმრთისმშობელო, ყოლად წმიდაო ქალწულო, რამე-
 თუ შენგან და შენ მიერ, შობითა შენითა, დღეს იხარებენ ყოველნი
 კიდენი, რამეთუ ევაჲს წყევამ, პირველ დედისა დედობრივისა ბუ-
 ნებისაჲ წესითა განუქარვე — ყუედრებაჲ დედათაჲ და მართლმადი-
 40 ებლობისა იგი საზღვარი. ღმრთისმშობელო, შენითა ქალწულებრვე

8 შტტსა G. 27 შესხმანი წმინდა — E. შესხმანი წმინდა ღმრთისმშობლისა-
 ნი — G. 39 განუქარვე D.

* E-ში სათაური კიდებუა მიწერილი. G-ში ღმრთისმშობლისადმი მიძღვნილი პირ-
 ველ ტროპარი სწავრით შესრულებული სახედაო ასოთა გამოყოფილი.

დადგრომითა ცხორებაჲ კაცთა დაუმკვდრე. ვინ არა გნატრის შენ, რამეთუ სანატრელად გამოშჩნდი უფროჲს ყოველთა ნათესავთა? ვინ არა გესავს შენ, რამეთუ სასოჲ ხარ ჭირვეულთაჲ და რომელნი გეძიებენ შენ, ეპოვი მათ შემწე? ანუ ვინ არა გევედროს შენ, რამეთუ სიკუდილად მიცემულნი იქსნნი და ტა[ნ]ჯვად განმზადებულთა კადნიერ ექმნი მარჯუენით მდგომარისა ძისა შენისასა? სსუჲა შენებრი არავინ გუაქუს მეოხი, გარნა შენ თუთ, დღჲ და ღამჲ მეოხ გუეყავ შენგან შოზილისა მიმართ ღმრთისა ცხორებად სულთა ჩუენთათჲს D 3.

5

გიხაროდენ, ბჭეო ცათაო და საყდარო მეუფისაო, ტაძარო შემოქმედისა ღმრთისაო, ტაკუკო ოქროსაო, შეზავებულო ალაბასტრო და სულნელო საკუმეველო, წინაწარმეტყუელთა მიერ აღმოცმნებულო და ანგელოზმთავრისა მიერ მოკითხულო, რამეთუ წჷმად სულისა წმიდისა მიერ შენ ზედა გარდამოჯდა და ნაყოფიერ ყო ყოველი სოფელი. რომელი ცათა შინა კურთხეულ ხარ და ქუეყანასა ზედა იდიდები, ზღუდეო შეურყეველო და მტკიცეო, ყოლად წმიდაო ქალწულო მარიამ, მეოხ გუეყავ ცხორებად სულთა ჩუენთათჲს D 4; G 1-2^წ.

10

15

სამოთხჲ აღშწნებული და ხჲ ყუავილ⁵-გარდაფენილი, წინაწარმეტყუელთა მიერ ქებული, მამადმთავართა მიერ ქადაგებული აღმოსცენდი, ყოლად წმიდაო ღმრთისმშობელო, რამეთუ შენ ტაძარ ექმენ სულსა წმიდასა, ცათა დაუტევენელი ღმერთი მუცლად-ილე გიხაროდენითა. რომელსა ქერობინნი, ცეცხლის ნივთნი საყდარნი, კმსახურებენ, ჯორცითა შენგან იშვა და მზჲ სიმართლისაჲ სოფელსა უშევ, მეოხ გუეყავ ჩუენ D 5; E 3.

20

ყოველთა შემოქმედისა ღმრთისა დედაო, უსძლოო, უქორწინებელო, უბიწოო ღმრთისმშობელო მარიამ, რამეთუ მეუფჲ მეუფეთაჲ და უფალი უფლებათაჲ, სრული კაცებითა, უქცეველი ღმრთებითა აღმოუცმნე ნათესავსა კაცთასა, რომელსა აქებენ ანგელოზნი ცათა შინა, მთავრობანი და ეკლმწიფებანი თაყუანის-სცემენ. შენ წინაწარმეტყუელთაგან იქადაგე და მამადმთავართაგან აღმოსცენდი, ზღუდეო და მფარველო სოფლისა, ითხოვე მონიჭებად მშუდობაჲ სოფელსა და სულთა ჩუენთათჲს დიდი წყალობაჲ D 6.

25

30

უხილავთა შემოქმედისა მეუფისა იქმენ დამტევენელ, დაუტევენელისა, ქალწულო, რამეთუ ღმერთმან და სიტყუამან ღმრთისამან ჩუენისა ცხორებისათჲს შენგან ჯორცითა შესხმად სათნო-იყო, რომელსა ანგელოზნი წმიდაარსობით ადიდებენ მაღალთა შინა, მარჯულ მამისა მჯდომარესა. ესე შენგან გამოგვბრწყინდა განმათავისუფლებელი სოფლისაჲ და განმანათლებელი ცოდვილთაჲ, შემწყნარებელი განწირულთაჲ, მისა მიმართ ვედრებად ჩუენთჲს ნუ დასცხრები, ქალწულო კურთხეულო, ღმრთისმშობელო მარიამ D 7.

35

1 დაუმკვდრე D. არაჲ D. 2 არაჲ D. 4 არაჲ D. 6 არაჲჲინ D. 7 ღამჲ D. 11 საკუმეველო D. აღმოცმნებულო D. 14 რომელი რწნი D. 15 ზღოდეო D. 16 ცხორებად დაუცხრამელად G. 24 უქურწინებელო D. 29 ზღოდეო D.

* G-ში ეს ტროპარი ორალაა გაყოფილი: „გიხაროდენ...“ და „საკუმეველო...“ G-ში ამ ტროპარით თავდება აღდგომის დასდებულთა ტექსტი, ბოლოს ერთჲს 140-ე ფსალმუნის საგალობლები რვა ხმაზე, ხოლო დასასრულ მიწერილია: „შემინდევთ და ლოცვა ყავთ“ (131v).

- გიხაროდენ, ყოლად წმიდაო ქალწულო, აღშენებულო ტაპარო და დაურღუეველო ზღუდეო და დაუშრეტელო სანთელო და ყოლადვე დაუჭნომელო ყუავილო, რომელი აღმოგაცქნეს მამადმთავართა და შეგაერთეს ქუეყანისაჲ ზეცისათა, რამეთუ ყოველთა შემოქმედმან
- 5 ღმერთმან ცანი, ვითარცა კამარანი, მოდრიცა და ესე შენდა საშოდ, ვითარცა ცუარი ღრუბლად, შევიდა და შენგან რაჲ გამობრწყინდა მზე იგი სიმართლისაჲ და მიეფინა ნათელი მისი ყოველსა ზედა ქუეყანასა. აწ შეგივრდებით, დედაო ქრისტეს ღმრთისა ჩუენისაო, მეოხო ქრისტოიანეთაო, მეოხ გუეყავ ჩუენ D 8.
- 10 აღსარებულ და დიდ არს ქალწულებისა შენისა საიდუმლოა, რომელმან დაიმკედრა შენ თანა უფროჲს ბუნებათა ცნობითა და ზეშთა სიტყუსა დაუსაბამოჲ—ჟამიერად, და მიუწოდომელი საცნაური—ჟორცი-თა გამობრწყინებულ, და დედაჲ — შემდგომად შობისა ქალწული. ვინაჲ ორკერპოთვე, საღმრთოთა და კაცობრივითა ბუნებითა ცნო-
- 15 ბითა ენმანუელ — ჩუენ თანა ღმერთი და კაცი, მისა მიმართ მეოხ გუეყავ ჩუენ ცოდვილთათჳს, ყოლად წმიდაო, სახარულევანო D 9.
- ღმრთისმშობელო, ქალწულო მარიამ, შენ გაკურთხევთ, რამეთუ შენგან გამოვბრწყინდა მაცხოვარი ქრისტე, განმანათლებელი სულთა ჩუენთაჲ D 10.
- 20 წმიდაჲ წმიდათაჲ, წმიდაჲ ქალწული⁵⁾ მარიამ, ქერობი[ნ]თა მობაძავი და მეოხი სულთა ჩუენთაჲ D 11; E 9.
- დიდო ძალო ქერობინ[თა]ო⁵⁾, წმიდაო ქალწულო, გამოუთქუმე-ლო ნათელო, წინამძღუარო სულთა ჩუენთაო D 12; E 6.
- გიხაროდენ, წმიდაო დედოფალო, სანთელო დაუშრეტ E 2.
- 25 ჯუარცუმასა თანა სდეგ ძისა E 4.
- გიხაროდენ, მარიამ, კაცთა სიქად E 5.
- შენგან შობილსა, სახარულევანო, მაცხ E 7.
- შემკულო საღმრთოთა მით, სძალო უბი E 8.

სამხრად ფსალმუნი

- 30 გამოაჩინე პირი შენი მონ⁵⁾ ვი დ რე რამეთუ გხადოდე შენ (ფს. 30,17—18).

დასადებელი

შენ, უფალო, გესავ,³⁾⁴⁾ ნუ მრცხ (ფს. 30,2) C*D 1; E 2**.

სხუაჲ

- 35 უყუარს წყალობაჲ და⁴⁾ სამართ (ფს. 32,5).

დასადებელი

რამეთუ მან თქუა და იქმნა³⁾⁵⁾, თავადმან (ფს. 32,9) CD 2; E 1.

12 მიეწოდომელი D. 23 წინამძღუარო D. 30 შენი მონ — CD. 34 სხუაჲ — C.

* C-ში ეს ფსალმუნური საგალობელი შეცდომით „ვიდრეს“ მეშვეობით უკავ-შორდება მომდევნოს (ფს. 32, 5). ** E-ში ეს ფსალმუნური საგალობელი „სხუაჲ“ რუბრიკითაი გატანილი.

აღელუა

წკალობასა და სამართალსა⁵⁾ ვიდრე მოხუდე ჩე[მ]და (ფს. 100,1-2) CDE 1.

სხუა

ღმერთო, შეწვენასა ჩემსა⁵⁾ ვიდრე ისწრაფე (ფს. 69,2) 5
CDE 2.

სხუა

მოვედით, უგალობდეთ უფალსა, ვლად (ფს. 94,1) E 3.

კელთაბანისა

ცხოველს-მყოფელსა და უტრწნელსა ადგომასა ქრისტესსა, მოვე- 10
დით, მორწმუნენო, ეკლესიასა წმიდათასა, ერთობით ყოველნი ღმრთივ
შუენიერსა გალობასა ვიტყოდით: რომელმან ჰქმენ ცხორებაა შორის
ქუეყანასა, ღმერთო, ადგომითა და განანათლე სოფელი, დიდებაა
შენდა CD 1; E 2.

ცხოველს-მყოფელსა ჯუარსა შენსა თაყუანის⁵⁾-ვსცემთ, უფალო, 15
რომლითა შეჰმუსრე ჯოჯოხეთი და სიკუდილი დასთრგუნე, ქველის-
მოქმედ, აღმომიყვანენ ჩუენ ბნელისაგან და აჩრდილთაგან სიკუდი-
ლისათა და საკრველნი ჩუენნი განჰხეთქენ ღმრთეებითა, გჳრუენე
ჩუენ ადგომა და ცხორებაა საუკუნო და პირველი ნეტარებაა
D 2; E 1. 20

ღღეს ჯოჯოხეთი იწროებით⁵⁾ ღაღადებდა: უმჯობეს იყო ჩემ- 25
და, თუმცა მარიამისგან შობილი მე არა განმერისხა, რამეთუ მოვიდა
ჩემდა და ყოველი ძალი ჩემი დაქსნა, ბჳენი რვალისანი შემუსრნა,
სულნი, რომელ მქონდეს, ღმერთი იყო, აღადგინნა. დიდებაა ძალსა
შენსა და ადგომასა შენსა, მაცხოვარ DE 3.

სიწმიდისა

ანგელოზთა ერნი შენდა დიდებასა შესწირვენ⁵⁾, აღელუა, რო- 30
მელმან აცხოვენ ძენი კაცთანი, აღელუა, და ჩუენ, ქუეყანისანი,
ქსნილნი საცთურისაგან, ვითარცა ერთისა პირითა ვიტყუთ: აღე-
ლუა¹⁾, წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ შენ, უფალო, დიდებაა
მამასა და ძესა და წმიდასა სულსა* C; DE 2.

მკედრობაა ანგელოზთა გიგალობს შენ, რომელი განისუენებ
ეტლთა ქერობინთა, ბანაკი წმიდათა გაკურთხევეს შენ, რომელი

2 მოხუდე| მოხუდე C. 4 სხუა—C. 10 უტრწნელსა CE. ქჳსა C. ქჳსა D.
11 ეკლესიასა+შინა E. 12 შუენიერსა| სულერსა E. ვიტყოდით რომელმან| შეე-
სწირვიდეთ E. ქმენ E. 13 ღმერთო+ქუართა და E. და| შენთა E. 22 არაა D.
23 დაქნა D. 24 მქუნდეს D. 26 სიწმიდისანი D. 32 რომელი — D. 33 ეტლთა+
ზედა E. ქერობინთა E.

* რეჟრენი აღდგენილია VI ხმის „სიწმიდისაჲს“ მიხედვით (რხ. აქვე. გვ. 477).

მოსცემ მიწვენასა ძეთა კაცთასა, რომელნი გიგალობენ შენ, უხილაგ-
სა და ჭეშმარიტსა ღმერთსა, ქერაბინნი და სერაბინნი დაუცხრომე-
ლად ლალადებენ და იტყუან: წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ, სამე-
ბაო წმიდაო, დიდებამ შენდა DE 1.

- 5 იხარებს ბანაკი ანგელოზთამ და იშუებენ ცანი ძალითურთ და ქუე-
ყანამ თანა დაბადებულთურთ ლალადებენ მაცხოვრისა ჩუენისა ად-
გომასა. ქერაბინთა თანა მსხუერპლსა ქებისასა შევსწირავთ, სერა-
ბინთა თანა დაუცხრომელად ვიტყუთ: წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა
ხარ შენ: უფალო, დიდებამ შენდა D 3*.

i მოსცემ E. მიწვენასა ძეთა კაცთასა... უხილაგსა და — E. 2 ჭეშმარიტებასა
E. დაუცხრომელად D.

* D-ში ადგომის დასადებელთა ტექსტს მოსდევს ანდერძი: „დიდებამ ღმერთ-
სა უკუნისამდე, დაესრულნის კ მ ა ნ ი. ლოცვა ჩავთ. სანატრელნო და პატი-
ოსან[ნო]“.

ვ-ჟ ა

უფალო, მილხინე ცოდვილსა ამას, რომელსა არაჲ მაქუს გარნა
კმობაჲ ესე, და შემიწყალე მე C I,1.

C 48 | სიმრავლეთაგან ცოდვათა ჩემთაჲსა შეძრწუნებულ არს სული 5
ჩემი. ღმერთო, მილხინე ცოდვილსა ამას, რამეთუ ჭირი მახს მე და
არავინ არს მწე ჩემდა, და შემიწყალე მე C I,2.

მიძლოდე მე, უფალო, გზათა სიმართლისა შენისათა და მომიყ-
ვანე მე, ვითარცა ცხოვარი წყმედული, დადგრომაჲდ სამწყსოსა შენსა,
გვეედრები, და შემიწყალე მე C I,3. 10

ოხითაჲ

მამასა და ძესა უგალობდეთ, სულსა წმიდასა ვაკურთხევდეთ,
აუვარებდეთ ცოდვათა ჩუენთა C.

ფსალმუნი

მოვიკსენენ მე წყალობანი შენნი, რამეთუ (ფს. 24,6) C. 15

დასაღებელი

წყალობითა შენითა მომიკსენე (ფს. 24,7) C.

აქებდითსა

C 48 v ცისკრისა ქებაჲ ჩუენი შეიწირე, ქრისტე, | რომელი ანგელოზთა 20
მიერ იქები. ნათელი გამოაბრწყინე გულთა ჩუენთა, ცხოველსყოფე-
ლი სული წმიდაჲ შენი, და შემიწყალე მე, ქრისტე მეუფეო C I,1.

დიდებაო ჩემო, ადგომაჲ სულისა ჩემისაჲ შენ ხარ, ქრისტე. სა-
ფარველსა ფრთეთა შენთასა დამიფარე მე, ბრწყინვალეზასა ნათლისა
შენისასა, და შემიწყალე მე] C I,2.

საშინელსა მას მეორედ მოსლვასა შენსა განრჩად ცხოველთა და 25
მკუდართა კელის ამპყრობელ მექმენ მე, ვითარცა-იგი პეტრეს, და
შემიწყალე მე C I,3.

ჯუარი წმიდაჲ, სასოჲ მორწმუნეთაჲ, აემართა ჩუენთჳს ძლევად
მტერისა. მოვედით, ერნო, თაყუანის-ვსცეთ მას C I,4.

წმიდა არს ჯუარი შენი, ქრისტე, რომლისაგან არს ყოველი ნა- 30
თელი, ცხობებაჲ და მოტევებაჲ ცოდვათაჲ C I,5.

C 49 | მეოხ გუეყვენით ჩუენთჳს, წმიდანო მოწამენო, რაჲთა ვიქსნ-
ნეთ ურჩულოებათა ჩუენთაგან, რამეთუ თქუნ მოგეცა მაღლი მეო-
ხებად ჩუენდა C I,6.

24 შემიწყალე მე] უწ C.

- განსდიდენით სულითა, წმიდანო მოწამენო, დაუთმეთ ღუაწლსა, ერუოდეთ მეფეთა და სიტყუასა უგებდით მძლავრთა, რამეთუ თქვენ ხართ ტაძარნი ქრისტესნი და სუეტნი შეურყვევლნი. ევედრენით მას დაუცხრომელად ქსნად სულთა ჩუენთათჳს C I,7.
- 5 სულნი, რომელ გარდასცვალენ, უფალო, ღირს-ყვენ თანამკედრად წმიდათა შენთა და მოიქსენენ, ვითარცა მოწყალე ხარ, სასუფეველსა შენსა C I,8.
- ქრისტე მაცხოვარ, განუსუენე სულსა შესუენებულთასა სამოთხესა საშუებლისასა წმიდათა შენთა თანა C I,9.
- 10 ყოლად ნათელი ქალწული ღმერთმან გამოირჩია, მას შინა დაიმკვდრა და კორცნი შეისხნა მისგან ცხორებად ჩუენდა C I,10. C 49 v
- გიხაროდენ, დედაო ნათლისაო. გიხაროდენ, მხოლოვო კურთხეულო. გიხაროდენ, უსძლოო, სასოო სოფლისაო C I,11.
- გიხაროდენ ცასა და საყდარსა, გიხაროდენ ზღუდესა და ბჭესა, 15 გიხაროდენ ქალწულსა, რომელსა ზედა სული წმიდაა გარდამოკდა, ვითარცა წჳმამ საწმისსა ზედა C I,12.
- ტაძარი ხარ მაცხოვრისა და სანთელი ჭეშმარიტი, ქალწულო მარიამ, ქერობინთა მობაძავი და განმანათლებელი სულთა ჩუენთა C I,13.
- 20 მქადაგებელმან იოვანე ქადაგა მოსლვაჲ შენი, ქრისტე, და ჭეშმარიტად გამოშჩნდი შენ, სიტყუაჲ ღმრთისაჲ C I,14.
- ვკრგვნი ეკლესიათა შენთა, ქრისტე, და მოწამეთა შენთაჲ ქადაგი წინათვე იწამა, პირველი მოწამე შენი, წმიდაჲ სტეფანე C I,15.
- 25 შენდამი, ღმერთო ჩემო, მოვიელტით და შქენ გვედრებით, კაცთმოყუარე, ოხითა ღმრთისმშობელისადათა, და გუაცხოვნენ ჩუენ, უფალო C I,16. C 50

ჯ-ფ ზ

- რომელმან მოსდრიკენ ცანი და გარდამოჰკედ ქუეყანად, მოყავ 30 ყური შენი ვედრებასა ჩემსა C I,1.
- რომელმან ლოცვაჲ ცოდვილისაჲ ისმინი და არა უგულებელსპყვი, მოყავ ყური შენი C I,2.
- ურჩულოებათა ჩემთაგან გარე-მიიქციე, უფალო, პირი შენი და ყოველნი ცოდვანი ჩემნი აჯოცენ, გვედრები C I,3.
- 35 **ოხითაჲ**
- უფალო, ძალო ჩემო, შესავედრებელო ჩემო, შემწეო ჩემო და მქსნელო ჩემო, დღესა ბოროტსა განმკურნე მე, უფალო, და განვიკურნო, მაცხოვრე მე და ვცხოვნდე, რამეთუ სიქადული ჩემი შენ ხარ და კურთხეულ არს კაცი, რომელი ესავს უფალსა C.
- 40 **ფსალმუნი გ**
- გული წმიდაჲ დაჰბადე (ფს. 50,12) C.

დასადებელი

მომეც მე სიხარული მაცხოვარე (ფს. 50,14) C.

აქებდითსა

C 50 v

| ვაქებდეთ, ვაკურთხევდეთ, უგალობდეთ, თაყუანის-ვსცემდეთ სახელსა შენსა, მაცხოვარ, მხოლოო. შენდა შუენის ქებაჲ C I,1. 5

ძალნი ცათანი დაუცხრომელად დიდებასა შენდა შესწირვენ, მაცხოვარ, მხოლოო C I,2.

ანგელოზთა და კაცთა და ყოველთა დაბადებულთა ენანი დიდებასა შენდა შესწირვენ, მაცხოვარ, მხოლოო. შენდა [შუენისა ქებაჲ] C I,3. 10

ჯუარი არს სიქადულ მორწმუნეთა შენთა, ქრისტე, რომელთა პრწამს ღმრთეებაჲ შენი და რომელნი აღიარებენ სახელსა შენსა C I,4.

რომელთა მოვიდეთ ნიში ჯუარისა შენისაჲ, უფალო, ამითვე შენ გევედრებით: ყავ ჩუენ თანა სასწაულ კეთილ, რამთა იხილონ მოძულეთა შენთა და რცხუენოდის C I,5. 15

წმიდანო მოწამენო, ჩუენთუსცა მეოხ იყვენით მაცხოვრისა მიმართ შეწყნარებად სულთა ჩუენთა C I,6.

C 51

| დაიმკვდრეს წმიდათა მოწამეთა შენთა, ქრისტე, ძლიერებაჲ სიმდიდრისაჲ და შევიდეს იგინი სიხარულით სასუფეველსა ცათასა C I,7. 20

ადგომაჲ შესუენებულთაჲ შენ ხარ, ქრისტე, რომელმან სიკუდილი დასთრგუნე და განაახლე ცხირებაჲ და აწ სულსა შესუენებულთასა განუსუენე, უფალო C I,8.

ყოვლისა მპყრობელო, მაღალო, სულსა შესუენებულთასა განუსუენე საყოფელსა მართალთასა, სადა ნათელი შენი ჰნათობს ყოველთა წმიდათა შენთა, მხოლოო მრავალმოწყალო C I,9. 25

წმიდაო დედოფალო ღმრთისმშობელო, ლხინებაჲ შენმიერი გარდამოგვკლინე ჩუენ C I,10.

მეოხ გუეყავ ჩუენთუს, მარიამ სახარულევანო, მეოხ გუეყავ ჩუენთუს, გევედრებით C I,11. 30

C 51 v

| ჩუენ მოსრულ ვართ ვედრებად შენდა, ღმრთისმშობელო მარიამ, მეოხ გუეყავ ჩუენთუს, გევედრებით C I,12.

გიხაროდენ, ქალწულო, რომელმან სიტყუაჲ უფლისაჲ დაიმარხე და დამბადებელი იტვრთე. ანგელოზი ღაღადებდა: დიდებაჲ შობილსა და მშობელსა, დიდებაჲ შობილსა და ქალწულსა C I,13. 35

გარდამოჰკვედ იორდანესა, ნათელ-ილე იოვანშსგან. კურთხეულ ხარ შენ, უფალო, ღმერთო მამათა ჩუენთაო C I,14.

ანგელოზთა დიდებასა ღირს იქმნა წმიდაჲ და პირველი მოწამე სტეფანე. თუალითა იხილნა ცანი განხუმულნი და მეუფე ქრისტე მარჯუნ მამისა მჯდომარე C I,15. 40

ცისკრისა ლოცვაჲ ჩუენ ცოდვილთაჲ მიითუალე, კაცთმოყუარე,

და უგულებელს-ყვენ შეცოდებანი ჩუენნი ოხითა წმიდისა ღმრთის-
მშობელისათა C I,16.

ჯ ო ზ

- 5 C I,1. | ახილვასა შენდამი თუალთა ჩემთასა ისმინე ჩემი, უფალო C 52
- ლაღად-გვავე შენდამი, უფალო, ისმინე ჩემი, სოფლის მაცხოვარ,
შეგვწყალენ ჩუენ C I,2.
- სოფლის მაცხოვარ, ნუ დაადუმებ პირსა, რომელნი ადიდებენ
სახელსა შენსა C I,3.
- 10 **ოხითაჲ**
წმიდაო, რომელი წმიდათა შინა იდიდები, გულებინე შეცოდებულ-
თა მონათა შენთა C.
- ფსალმუნი**
უფალი ნათელ ჩემდა და მაცხოვარ (ფს. 26,1) C.
- 15 **დასაღებელი**
უფალი შესავედრებელ არს ცხორებად ჩემდა (ფს. 26,1) C.
- აქებლითსა**
ვაქებდეთ ქრისტესა, რომელმან გამომიყვანნა ჩუენ სახლისა მის-
გან კირთებისა და კელთაგან ურჩულოთაჲსა მიკსნნა ჩუენ C I,1.
- 20 ვითარცა ცხოვარი შევსცეთი და ვითარცა მწყემსი განგარისხე.
შემიწყალე მე, უფალო, მეოხებითა მშობელისა შენისათა C I,2.
- ეკლესიასა წმიდათასა გალობითა ახლითა ყოველნი ვაქებდეთ C 52 v
ქრისტესა და ვიტყოდით: წმიდაო ძლიერო, შეგვწყალენ ჩუენ C I,3.
- 25 **ჯუარსა პატროსანსა ყოლადვე ვადიდებდეთ, რამეთუ ჯუარი მო-**
გუცა ჩუენ ქრისტემან სამღვეველად მტერისათჳს C I,4.
- აემართა ძლიერი ბეჭედი შენი განკურნებად დასაბამითგანთა
სენთა ერისა შენისათა. ვაქებთ პატროსანსა ჯუარსა შენსა, ქრის-
ტე C I,5.
- 30 ნათელ არს და უხარის ეკლესიათა ქრისტჳსთა და ნათელსა
შინა ბრწყინვენ წმიდანი მოწამენი და ჩუენდა მეოხ არიან წინაშე
უფლისა C I,6.
- წმიდათა შენთა, უფალო, სარწმუნოვებითა დამტკიცებულთა,
სასოვეებითა დამყარებულთა, სიყუარულსა ჯუარისა შენისასა სურ-
ვიელად შეყოფილთა, მტერისა ძალი დათრგუნეს და მიემთხუნეს
35 გურგუნსა და ანგელოზთა თანა მეოხ არიან მარადის სულთა ჩუენ-
თათჳს C I,7.
- ... | მოიკსნენ, უფალო, სულნი შესუენებულთანი და დააწესენ C 53
იგინი წიგნსა მას ცხოველთასა, რამეთუ ცხოველთაჲ და მკუდართაჲ
გაქუს კელმწიფებაჲ, კაცთმოყუარე C I,8.

საყოფელსა მართალთასა განუსუენე, კაცთმოყუარე, სულსა შესუენებულთასა წმიდათა შენთა თანა სოფელსა მას ცხოველთასა C I,9.

ღმრთისმშობლო, სასოვო ყოველთა მვედრებელთა შენტაო, შენგან სასოებაა გუაქუს, შენგან ვიქადით, შენ ხარ, ყოლად წმიდაო, სასოა ჩუენი. მეოხ გუეყავ შენგან შობილისა მიმართ მონათა შენთათჳს C I,10. 5

ქალწულო უბიწოვო, ქალწულო სანატრელო, ევედრე ქრისტესა, რაათა შეიწყნარნეს სულნი ჩუენნი C I,11.

გუქსნენ ჩუენ ყოვლისაგან ჭირისა, დიდებულო ღმრთისმშობელო, და აცხოვნენ სულნი ჩუენნი C I,12. 10

C 53 v | ქალწულისაგან შობილისა განიხაროს ყოველმან კორციელმან, რამეთუ ქრისტე იშვა, განმანათლებელი სულთა ჩუენთა C I,13.

წინამორბედმან იოვანე დამბადებელსა ყოველთასა კელითა მიწისაგანისაათა ნათელ-სცა წმიდასა იორდანესა და მას წესნი ანგელოზთანი ატებენ, მეუფესა ქრისტესა C I,14. 15

საყოფელსა წმიდისა სტეფანშისა მოვისწრაფოთ ყოველთა და სამებასა წმიდასა ვაკურთხევდეთ, რაათა მოვილოთ მადლი სულისაგან წმიდისა C I,15.

შიშსა შენსა, მაცხოვარ, მოგუაქციენ, რამეთუ ამო არს ზრუნვაა ამის სოფლისა და გვეედრებით შენ, უფალო, ოხითა წმიდისა ღმრთისმშობელისაათა შეგუწყალენ ჩუენ C I,16. 20

ჯ-დ დ

ღალადებასა ყური მოყავ მონათა შენთასა, კაცთმოყუარე C I,1.

C 54 | ღალად-ყყავ შენდამი, ისმინე ჩემი, მომხედენ და შეგესემინემისა ჩემისა და ჟამსა მწუხრისასა C I,2. 25

რომელმან უპირადჳს თხოვისა ჩუენისა უწყი გულისა თხოვაი მვედრებელთა შენთა მოცემად წყალობაა შენი, და ჩუენ ცოდვილნი გვეედრებით ვითარცა ავაზაკი, რომელი გვეედრებოდა C I,3.

ოხითაა

მოწყალესა ღმერთსა ყოველნი ვაკურთხევდეთ, რამეთუ გვჩუენა ჩუენ სიმართლისა მჳც — ქრისტე, ღმერთი ჩუენი C. 30

ფსალმუნი

რამეთუ შენ შემწე მეყავ მე და საფარველსა (ფს. 62,8) C.

დასადებელი

მიგდევდა შენ სული ჩემი (ფს. 62,9) C. 35

აქებლითსა

ქებაა შენდა, ქრისტე, ქებაა შენდა და დიდებაა მოსლვასა შენსა C I,1.

მაქებელთა შენთაი შეიწირე ვედრებაა, უფალო, ღმერთო ჩუენო, და შეგუწყალენ ჩუენ C I,2. 40

განმკითხველო გულთაო და მაცხოვარო სულთა ჩუენთაო, მას-
წავენ მე სიმართლენი შენნი და შემწიწალე მე C I,3.

| და შენი მეორედ მოსვლა ნიშითა ჯუარისა შენისაითა უჩუ- C 54 v
ენე სოფელსა, ამან დამიცვენს ჩუენ ყოველსა ჟამსა C I,4.

5 საჭურველად საძლეველად, ქრისტე, ჯუარი ჩუენ მოგუეც და
ამით ვსძლოთ ბრძოლასა მტერისასა C I,5.

ტაძარსა თქუენსა, წმიდანო მოწამენო, კარავსა სახელისა თქუე-
ნისასა, მოვისწრაფოთ ყოველთა. გევედრებით თქუენ, მოწამენო ქრის-
ტმსნო, მეოხ ჩუენდა იყვენით წინაშე მარისა ზეცათაისა C I,6.

10 წმიდათა მოწამეთა ბრძოლასა ეშმაკთასა სძლეს, მიეწიფნეს სიმ-
რავლესა ანგელოზთასა, აიღეს ჯუარი და შეუდგეს ქრისტესა.
ქრისტმს მსახურნო ნეტრეულნო, მეოხ გუეყვენით სულთა ჩუენთათჳს
C I,7.

განსასუენებელსა შენსა, უფალო, სადა ყოველნი წმიდანი შენნი
15 განისუენებენ, განუსუენე, უფალო, სულსა შესუენებულთასა, რაითა
შენ გადიდებდენ, კაცთმოყუარე C I,8.

| იცვენს უფალმან სულნი შესუენებულთანი, უფალმან დაიცვ- C 55
ნეს ყოველნი ძულნი მათნი და ერთიცა მათგანი არა შეიმუსროს და
არა ინანონ ყოველთა. რომელნი ესვენ მას C I,9.

20 წინაშე შენსა, ღმრთისმშობელ, მოვივლტით შენდა ყოველნი, რაი-
თა იქსნენ მეოხებითა შენითა სიკუდილისაგან სულნი ჩუენნი
C I,10.

კეთილი საუნჯე — ღმრთისმშობელი, რომელმან დაუსრულებელი
ნაყოფი გამოიღო და აწ სოფელი აცხოვნა, ესე არს ძმ ღმრთისაჲ,
25 მაცხოვარი სულთა ჩუენთაჲ C I,11.

ახლისა რჩულისა კიდობანო სიწმიდისაო და შორის დედათა
კურთხეულო, მეოხებითა შენითა აცხოვენ სულნი ჩუენნი C I,12.

დიდი საყუდელი — უკრწნელი ქალწული, და საფარველი სოფ-
ლისაჲ — ცხოველსმყოფელი ჯუარი; ღმრთივ-შემწყნარებელ, გვრგვან
30 ეკლესიათა არიან მადლითა წმიდანი მოციქულნი C I,13.

| წმიდაო იოვანე, პატიოსან ცათა შინა მყოფო, ნათლისმცემე- C 55 v
ლო ჭემმარტო, მეოხ გუეყავ სულთა ჩუენთათჳს C I,14.

ემსგავსე ანგელოზთა და იხილე დიდებაჲ ღმრთისაჲ. იესუ მოგცა
შენ სიმართლისა გვრგვანი, პირველმოწამეო სტიფანე, მეოხ გუეყავ
35 სულთა ჩუენთათჳს C I,15.

უფალო, რომელი მოხუედ სოფლად ცოდეკლათჳს ცხორებად.
შეგაწყალენ ჩუენ მეოხებითა მშობელისა შენისაითა და გვქსნენ ჩუენ
ყოვლისაგან ბოროტისა C I,16.

კ-ღ ა ბ-ი

40 დაღად-ვყავ და ვთქუ: უფალო, შენ ხარ სასოჲ ჩემი, კაცთმო-
ყუარე C I,1.

ლაღადებაჲ ჩემი შევედინ შენ წინაშე და კმაჲ ლოცვისა ჩემისაჲ შეიწირე, უფალო C I,2.

მწუხრისა ვედრებასა ბაგეთა ჩემთასა ნუ უგულებელს-ჰყოფ, კაცთმოყუარე, არამედ შევედინ წინაშე შენსა ლოცვაჲ მონათა შენთაჲ C I,3.

5

ოხითაჲ

C 56 | მოწყალესა მამასა და კაცთმოყუარესა ძესა, სულსა წმიდასა ნუგეშინისმცემელსა ვაჰებდეთ ყოველსა უამსა C.

ფსალმუნი

შემწე ჩემდა, კელის ამპყრობელი ჩემი (ფს. 118,114) C.

10

დასადებელი

სანთელ არს ფერკთა ჩემთა (ფს. 118,105) C.

აჰებდითსა

ძალნი ცათანი და ერნი ანგელოზთანი გაჰებენ და იტყუნ: წმიდაო ღმერთო, შეგვწყალენ ჩუენ C I,1.

15

ძენი კაცთანი ფსალმუნითა და კურთხევიითა გაჰებენ და იტყუნ: წმიდაო ძლიერო, შეგვწყალენ ჩუენ C I,2.

ეკლესიანი ქრისტესნი და სიმრაველჲ მორწმუნეთაჲ გაჰებენ და იტყუნ: წმიდაო უკუდავო, შეგვწყალენ ჩუენ C I,3.

ჯუარი შენი, ქრისტე, ზეცით გამოგჯინდა განათლებად სოფლისად და მოტევებად ცოდვათა C I,4.

20

ჯუარმან შენმან, ქრისტე, განანათლნა ცის კიდენი და აღმართნა ეკლესიანი, აუხილნა თუალნი ბრმათანი და ავლინნა მკელობელნი, და გზა გუეჰმნა ჩუენ ზეცად აღსლვად და გჯუენა ჩუენ ცხორებაჲ საუკუნოჲ. გაჰებთ შენ C I,5.

25

C 56 v | ამათ მკედართა მეუფისა დიდისათა მკნედ შეურაცხ-ყვეს სატანჯველი და დათრგუნეს მძლავრთა ამპარტავენებაჲ და აწ მეოხ არიან მონიჭებად მშუდობაჲ სოფელსა და სულთა ჩუენთათჲს დიდი წყალობაჲ C I,6.

წმიდათა მოწამეთა სიმკნით შეურაცხ-ყვეს სატანჯველი და დათრგუნეს საცთური ეშმაკისაჲ, განერნეს პირსა მახვლისასა და ანგელოზთა თანა-მოდასე იჰმნენს. მათითა ოხითა, უფალო, შეგვწყალენ და გუაცხოვენ ჩუენ C I,7.

30

წმიდათა შენთა თანა განუსუენე, ქრისტე, სულსა შესუენებულთასა, სადა არა არს შიში. არცა ზრუნვაჲ ამის სოფლისაჲ, არამედ ცხორებაჲ დაუსრულებელი C I,8.

35

C 57 განსუენებაჲ მიჰმადლე, მაცხოვარ, სულსა შესუენებულთასა, რომელნი ბრძანებითა შენითა გარდაიცვალნეს, რამეთუ ჯუარისა და ადგო|მისა შენისა მადლისა სუროდა, და მოიკსენენ, უფალო, ვითარცა მოწყალე ხარ C I,9.

40

ქალწულო დედაო, უსძლოო, რომელმან შეე მაცხოვარი ქრისტე, დაუცხრომელად მეოხ გუეყავ მონათა მენთათეს C I,10.

რომელი ნათლისა თუალთა შეუდგამისა დედაა ხარ ქალწულობითა უცვალებელი, ქებით გადიდებთ. ღმრთისმშობლო: გიხაროდენ, უფალი შენ თანა C I,11.

ღმრთისმშობლო ქალწულო, შენ ხარ კიდობანი სიწმიდისაჲ, რომელსა ზედა სული წმიდაა გამოჩნდა. რომელსა იტყოდა ნათანაელ წინაწარმეტყუელი, ვითარმედ: ქალწულისაგან შობილისა განიხაროს ყოველმან დაბადებულმან C I,12.

10 მეოხად, მახარებელად შეცოდებულთათეს, წყაროვო წინაწარმეტყუელთაო წმიდაო იოვანე, მაღლი იგი ქრისტესი შენგან მიმოდა|ითქუა: გზასა მას ჭემმარიტსა მეოხ გუეყავ(ვ) ჩუენ C I,13.

C 57 v

15 წმიდამან სტეფანე იხილნა ცანი განხუმულნი და ქრისტე, მარჯულ მამისა მჯდომარე, წამა ჭემმარიტად და თქუა: ესე არს ქმ ღმრთისაჲ, მაცხოვარი სოფლისაჲ და მკსნელი სულთა ჩუენთა C I,14.

რომელმან ცისკარი აღმოაბრწყინვე და განგუანათლენ ჩუენ, ქრისტე, ცხოველ ხარ უკუნისამდე. უფალო, ოხითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა შეგვწყალენ ჩუენ C I,15.

20 კ`ო ზ ბ`ი

აპყრობაჲ კელთა ჩემთაჲ, უფალო, მსხუერპლად შეიწირე სამწუხროდ და მაცხოვრე მე, მრავალმოწყალე C I,1.

შენ მხოლომან უწყნი გულისა ჩემისა ზრახვანი და შენ მხოლოსა შეგივრდები, შემიწყალე მე, ღმერთო C I,2.

25 | გარდარეულთა ცოდვათა ჩემთაგან მიკსენ მე და ვედრებაჲ ჩუენი შეიწირე, ქრისტე, და მაცხოვრე მე, მრავალმოწყალე C I,3.

C 58

ოხითაჲ

30 გიგალობთ შენ, მამასა, მაღალთა შინა მყოფსა, ვაკურთხევთ გამოუთქუმელად მარჯუენით მჯდომარესა ძესა შენსა და ავამალღებთ სულსა შენსა წმიდასა. შეგვწყალენ ჩუენ C.

ფსალმუნი

შეურდი პირსა შენსა ყოვლითა (ფს. 118,58)* C.

დასადებელი

შემეწიე მე სიტყუთა შენი (ფს. 118,116) C.

35 აქებლითსა

ცისკრისა გალობაჲ შევსწიროთ ქრისტესსა, რომელი იშვა წმიდისაგან ქალწულისა C I,1.

ტაძრად წმიდად შევიდეთ ვედრებად უფლისა, წყალობაჲ ვითხოვოთ და მოტყეებაჲ ცოდვათაჲ C I,2.

7 ნათ`ლ C.

* შტრ. ფს. 118, 58: „გლოცვედ პირსა შენსა ყოვლითა გულთა...“

- ეკლესიასა ქრისტესსა მივისწრაფოთ ყოველთა ვედრებად და პოვნად წყალობისა C I,3.
- C 58 v | ნათელი გამოჩინებული მარადის — ქრისტჳ, რაათა თაყუანის-
იცემოს ძელი შენ მიერ ყოველთა ცხორებისათჳს, ჯუარი შენი, უფა-
ლო C I,4. 5
- ჯუარითა განცხადნა და ჩუენდა მკსნელად მოვიდა. წმიდანი მას აქებენ და ჩუენდა მეოხ არიან წინაშე უფლისა C I,5.
- თმენით გურგუნოსან იქმნენ წმიდანი მოწამენი და ჩუენდა მეოხ არიან წინაშე უფლისა C I,6.
- მიწყალენ ჩუენ, უფალო, შემიწყალენ ჩუენ ღუაწლისა მძლეთა 10
მიერ წმიდათა მოწამეთა შენთა. ამას ვედრებასა ჩუენ, ცოდვილნი, შენ, უფლისა, შევსწირავთ. მიწყალენ ჩუენ, უფალო, შემიწყალენ ჩუენ C I,7.
- ქებაჲ ჩუენი შეიწირე, ქრისტე, რომელმან ვნებითა შენითა საფ-
ლაეთაგან აღადგინენ მკუდარნი და განუღე მათ სამოთხჳ. მათ თანა, 15
უფალო, ღირს ყვენ სულნი შესუენებულთანი და მოეც მათ განსუენე-
ბაჲ, ვითარცა მოწყალე ხარ C I,8.
- C 59 | იესუ, მეუფეო დიდებისაო, განუსუენე სულსა შესუენებულთა-
სა წმიდათა შენთა თანა სასუფეველსა ცათასა C I,9.
- ოხითა ღმრთისმშობელისაათა მშუდობაჲ სოფელსა მოეც, უფა- 20
ლო, და გუაცხოვენ ჩუენ C I,10.
- ყოლად წმიდაო ღმრთისმშობელო, დღეთა ცხორებისა ჩემისათა ნუ დამაგდებ მე, კაცობრივსა განზრახვასა ნუ მიმანდობ, არამედ შენ მეოხ გუეყავ და გუაცხოვენ ჩუენ C I,11.
- ქალწულო, გიხაროდენ, უბიწოო, რომელმან შევ სოფლისა მაც- 25
ხოვარი. მეოხ ჩუენდა იყავ წინაშე ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენისა C I,12.
- ღმრთისმშობელო ქალწულო, ყოლად ძალ-გიც ყოველთა შეწევ-
ნაჲ. ითხოვე სოფლისა მშუდობაჲ და ცხორებაჲ სულთა ჩუენთაჲ C I,13. 30
- მოგუმადლე ჩუენ, უფალო, ოხითა ნათლისმცემელისაათა დიდი წყალობაჲ შენი C I,14.
- C 59 v | სარწმუნოებითა, პირველმოწამეო | ნეტრეულო სტეფანე, განგე-
ხუნეს შენ ცანი და იხილე ქრისტჳ, მარჯუნ მამისა მჯდომარ(ი).
წმიდანი ეგე ძალნი, ანგელოზთა სახენი, ჩუენდა მეოხ არიან წინაშე 35
უფლისა C I,15.
- ქრისტე მოწყალე, მეო ღმრთისაო, რომელმან გამოაბრწყინვე
ნათელი და გკჩუენე დღჳ, განანათლენ სულნი ჩუენნი ნათლითა
ღმრთეებისა შენისაათა და გუაცხოვენ ჩუენ, უფალო, ოხითა წმი- 40
დისა ღმრთისმშობელისაათა C I,16.

კჳ ზ ზი

ლოცვაჲ ჩუენი შეიწირე, ვითარცა საკუმეველი მწუხრი. გაქებთ და შენ გივედრებით, შენ, მოწყალეო. რაათა წარემართოს

15 სამოთხემ C. 16 შესუენებულთანი C. 38 დღემ C.

ლოცვა ჩუენი წინაშე შენსა, უფალო C I,1.

ცოდვათა სიჭაბუკისა და უმეცრებისა ჩემისათა ნუ მოიქსენებ, მოწყალე, ოდეს მოხვდე განრჩად დიდებითა შენითა, არამედ გარდამოგვევლინე წყალობა შენი, მრავალმოწყალე უფალო C I,2.

- 5 | წყალობითა შენითა მომიქსენე მე, უფალო, შეცოდებული ესე, რაჟამს. ჰყოფდე განკითხვასა და საქმეთაებრ მიაგებდე, გვედრები, შემინწყალე და ღირს მყავ მე მარჯუენით შენსა C I,3. C 60

ოხითა

- 10 რომელი გამოუთქუმელ ხარ ღმრთეებითა და ქველისმოქმედ მოწყალეებითა, უგალობთ შენსა სახიერებასა, რაათა დაურჩელად ღირს მყვენე ჩუენ წარდგომად წინაშე საყდართა შენთა, და რომელნი სარწმუნოეებით თაყუანის-გსცემთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, ერასა ღმრთეებასა C.

უსალმუნი

- 15 შემწე ჩემდა იყავ და ნუ შეურაცხ-მყოფ (ფს. 26,9) C.

დასადებელი

რჩულიერ მყავ მე, უფალო, გზათა ჩემთა (ფს. 26,11) C.

აქებდითსა

- 20 რომელსა ქებით თაყუანის-გცემენ ანგელოზნი, მაცხოვარ, შეგვწყალენ ჩუენ C I,1.
ქმნულნი კელთა შენთანი გიგალობთ შენ, მაცხოვარ, შეგვწყალენ ჩუენ C I,2.

| შენ გაქებს სული ჩემი, მკსნელო ჩუენო იესუ, შეგვწყალენ ჩუენ C I,3. C 60 v

- 25 ჯუარსა ქრისტჳსსა თაყუანის-ცემად ნუმცა დავსცხრებით, რამეთუ მან მიქსნა ჩუენ ურჩულოებათა ჩუენთაგან, წმიდამან უფალმან იესუ, რომელმან გუჩუენა ჩუენ ცხორება C I,4.

- 30 ძელი ცხორებისა, ჯუარი შენი, ქრისტე, გამოაჩინე, სიკუდილი ამით დასთრგუნე და სოფელი განანათლე. ყოლად ძლიერო მაცხოვარ, დიდება შენდა C I,5.

ღუაწლით შემოსილნო და მოწამენო მაცხოვრისა ქრისტჳსნო, რომელთა კეთილად იღუაწეთ ღმრთისმსახურებისა ღუაწლი, მეოხ გუეყვენით სულთა ჩუენთათჳს, რაათა ვიქსნენთ ჩუენ ყოვლისაგან ჭირისა C I,6.

- 35 სიხარულით ვგალობდეთ, ვჰყოფდეთ ქსენებასა წმიდათა მოწამეთასა, რომელნიცა სიხარულით შევიდეს სამოთხესა C I,7.

ქველისმოქმედო ღმერთო, რომელ ადგომა ხარ | ყოველთა, სულსა შესუენებულთასა განუსუენე და ღირს ყვენ, მაცხოვარ, შენსა სასუფეველსა C I,8. C 61

- 40 სულთა თანა მართალთა აღსრულებულთა სულსა შესუენებულთასა, მაცხოვარ, განუსუენე სასუფეველსა ცათასა C I,9.

ქალწულო კურთხეულო, დიდებულო ღმრთისმშობელო, მეოხ რაი ხარ, ვითარცა დედაჲ, კადნიერად წინაშე ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენისა, დაგვცვენ მონანი შენნი და გავსნენ ჩუენ შეცოდებათა ჩუენთაგან C I,10.

დედაო კაცთმოყუარისა ღმრთისაო, ევედრე შენგან შობილსა ღმერთსა, რაათა მიქსნნეს ჩუენ საშინელისა მისგან დიდისა სარჩელისა. ვითარცა ხარ მეოხ სოფლისაჲ, ქალწულო, ითხოვე ჩუენთეს დიდი წყალობაჲ C I,11.

ქალწულო უბიწოვო, რომელმან შეე მაცხოვარი ქრისტჲ, მეოხებად ნუ დასცხრები მვედრებელთა შენთათეს, უსძლოვო დედაო ქრისტჲს ღმრთისა ჩუენისაო C I,12.

C 61 v

| ქალწულო, რომელმან შეე მაცხოვარი ქრისტჲ, ნუ დასცხრები ვედრებად, რაათა შეიწყალნეს მაქებელნი შენნი, ღმრთისმშობელო, ყოლად უხრწნელო C I,13.

რომელმან იორდანისა წყალნი განსწმიდენ და ცოდვანი სოფლისანი აღჰკოცენ, ნათელ-იღე მონისაგან და ნათლითა შენითა განგუანათლენ ჩუენ, ქრისტე, ძეო ღმრთისაო, დიდითა შენითა წყალობითა C I,14.

სარწმუნოებით გურგუნოსან იქმნა წმიდაჲ და პირველი მოწამჲ სტეფანე და მის მიერ მორწმუნენი ვითხოვთ მოტევებასა ცოდვათა-სა. წყალობა ყავ, ღმერთო, და გუაცხოვენ ჩუენ, ვითარცა კაცთმოყუარე ხარ C I,15.

შენდა ვლალადებთ. რომელი მოხუედ ქსნად შეცთომილთათჳ, ნათელო ჰეშმარითო, ქრისტე, ღმერთო ჩუენო, განანათლენ სულნიცა ჩუენნი ნათლითა ღმრთეებისა შენისაჲთა და გუაცხოვენ ჩუენ, უფალო, ოხითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, რომელი სუფევე უკუნი-სამდე C I,16.

ჲ-ღ დ ზ-ი

C 62

| ისმინე, უფალო. ქმაჲ ლოცვისა ჩემისაჲ და შენდობაჲ მოგუ-მადლე შეცოდებათა ჩუენთაჲ წყალობითა შენითა C I,1.

ურჩულოებაჲ ჩემი არა დაეფარე შენგან და სულთქუმით შე-გივრდები. ულხინე სულსა ჩემსა წყალობითა შენითა C I,2.

მომაქციე მე, ქრისტე. ალაგსა მცნებათა შენთასა და ჟამი სინა-ნულისაჲ მომეც მონასა შენსა წყალობითა შენითა C I,3.

ოხითაჲ

ვაკურთხევდეთ მამასა მოწყალესა, ვაკურთხევდეთ ძესა მხოლოდშობილსა სულით წმიდითურთ, რომელი სუფევეს უკუნიითი უკუ-ნისამდე C.

ფსალმუნი

ნუ გარე-მიიქცევ პირსა (ფს. 68,18) C.

დასადებელი

ისმინე ჩემი, უფალო, რამეთუ ტკბილ არს წყალობაჲ შენი (ფს. 68,17) C.

აქებდითსა

ლმერთო ქველისმოქმედ, ბოროტი მტერი განმაშორებს მე შენ-
გან და პნებავს ჩემი წარწყმედაჲ C 1,1.

სულგრძელო და ძლიერო ღმერთო, რომელმან დასაბამსავე შეპ-
5 ქმენ კაცი, ნუ უგულებელს-პყოფ მოსავთა შენთა C 1,2.

რომელი ზი ზედა ქერაბინთა, ცრემლით შეგივრდები მოწყა- C 62 v
ლესა ღმერთსა, ისმინე და შემიწყალე მე C 1,3.

საფარველი ჩუენი არს ჯუარი შენი, ქრისტე, რომელი მომეც
10 ჩუენ საჭურველად მტერისა. ძალითა ჯუარისაჲთა შეგეწყალენ ჩუენ,
მკსნელო C 1,4.

ჯუარი შენი ამაღლდა. ქრისტე, ჯუარი შენი გაცხადნა, ქრის-
ტე, ჯუარითა შენითა ვიქადით: დიდებაჲ ძალსა შენსა C 1,5.

ვითხოვთ შენგან, მოწყალე, მოისილე ჩუენდა და შეგეწყალენ
ჩუენ ოხითა მოწამეთა შენთაჲთა C 1,6.

15 მოწამენო, მოღუაწენო და ახოვანნო, იყვენით მეოხ ცოდვთა
ჩუენთათჳს, რამეთუ თქუენი ლოცვაჲ ისმინოს ღმერთმან და ჩუენ
ცოდვილთათჳს ყოს მოტევებაჲ C 1,7.

ყოვლისა მპყრობელო მაღალო მაცხოვარო, უკუდავო, სულნი,
რომელ ბრძანებითა შენითა შეივედრენ, მათ განუსუენე, რამეთუ შენ
20 ხარ სასოჲ შესუენებულთაჲ, რომელმან ურუენე სოფელსა ცხოვრებაჲ
C 1,8.

ქველისმოქმედო ღმერთო და წყალობა-აურაცხელო უფალო, C 63
რომელი წმიდა ხარ და წმიდათა შინა განისუენებ, განუსუენე, უფა-
ლო, სულსა შესუენებულთასა წმიდათა შენთა თანა სასუფეველსა
25 ცათასა C 1,9.

გიხაროდენ, მარიამ, კაცთა სიქადულო, მადლითა საესეო, უფალი
შენ თანა C 1,10.

წმიდაჲ წმიდათაჲ, წმიდაჲ ქალწული მარიამ, ქერაბინთა მობა-
ძავი, მეოხი სულთა ჩუენთაჲ C 1,11.

30 დიდო ძალო ქერობინთაო, წმიდაო ქალწულო, გამოუთქუმელო
ნათელო, წინამძღუარო სულთა ჩუენთაო C 1,12.

კურთხეულ ხარ შენ შორის დედათა, სანატრელო, ქალწულებითა
უბიწოო, ზეცისა სძალო, მეოხ გუეყავ სულთა ჩუენთათჳს C 1,13.

მღუპარებასა და მარხვასა კორცითა შენითა აჩუენებდ, წინამორ-
35 ბედო. ამასთჳსცა ღირს იქმენ ნათლის-ცემად მაცხოვარსა სოფლისასა
C 1,14.

დიდებაჲ შენდა, უფალო, რომელი წმიდასა სტიფანეს ექმენ C 63 v
გურგენ და სრბაჲ მისი აღასრულე, რაჲთა მეოხ გყოს დაუცხრომელად
სულთა ჩუენთათჳს C 1,15.

40 გევედრებით შენ, ქრისტე, შეგეწყალენ ჩუენ და კელთაგან ურ-
ჩულოჲსათა დაგუცვენ ჩუენ, უფალო, ოხითა წმიდისა ღმრთისმშობე-
ლისაჲთა C 1,16.

3-ე ბ*

ყოველისა მპყრობელი; სულსა შესუენებულთასა განუსუენე საყოველსა მართალთასა, სადა ნათელი შენი ჰნათობს ყოველთა წმიდათა შენთა, მხოლოვ მრავალმოწყალეო C I,1.

C 240 v

| ადგომა შესუენებულთა შენ ხარ, ქრისტე, რომელმან სიკუდილი დასთრგუნე და განაახლე ცხორებად, და აწ სულსა შესუენებულთასა განუსუენე, მაცხოვარ C I,2.

ნათელი თუალთ-შეუდგამო, ჳეშმარიტო, ქრისტე ღმერთო ჩუენო, ნუ უგულებელს-ჰყოფ ქმნულსა ჳელთა შენთასა, არამედ განუსუენე მათ, ვითარცა მხოლოდ სახიერ ხარ და კაცთმოყუარე C I,3.

კაცთმოყუარეო ღმერთო და მრავალმოწყალეო, მოიქსენენ სულნი შესუენებულთანი და განუსუენე მათ საყოველსა მართალთასა C I,4.

3-ე გ

მოიქსენენ, უფალო, სულნი შესუენებულთანი და დააწესენ იგინი წიგნსა მას ცხოველთასა, რამეთუ ცხოველთა და მკუდართა გაქუს ჳელმწიფებად, კაცთმოყუარე C I,1.

C 241

| საყოველსა მართალთასა განუსუენე, კაცთმოყუარე, სულსა შესუენებულთასა წმიდათა შენთა თანა C I,2

დამზადებელმან ქრისტემან, ღმერთმან ჩუენმან, რომელმან ჳელნი თუსნი ჳუარსა ჳედა განიპყრნა, ესე საფლავსა დაიდვა დამზადებელი სამარეთად, რომელმან მიანიჳა აღამეანთა ადგომა. და სულსა შესუენებულთასა მიეც განსუენებად, კაცთმოყუარე C I,3.

უფალმან ყოველთამან, რომელმან დასაბამსავე შექმნა კაცი მიწისაგან და დაადგინა იგი პირსა ჳედა სამოთხისასა, ხოლო მტერმან აცთუნა იგი და გარდაჳდა მცნებათაგან შენთა, ამისთვისცა განწესისა მის ჳედა სიკუდილი და მიფენილ არს ნაშობთა მისთა ჳედა და მოწყდებიან. არამედ რომელთა | ჳრწმენა ღმრთეებად შენი, მათ განუსუენე, და რომელთა სუროდა სახელისა შენისათვის C I,4.

C 241 v

3-ე დ

განსასუენებელსა შენსა, უფალო, სადა ყოველნი წმიდანი შენნი განისუენებენ, განუსუენე, უფალო, სულსა შესუენებულთასა. რაითა შენ გადიდებდენ, კაცთმოყუარე C I,1.

სულთა თანა მართალთა შესუენებულთა სულთასა სულსა შესუენებულთასა, მაცხოვარ, განუსუენე და ღირს ყვენ იგინი სანატრელსა ცხორებასა, კაცთმოყუარე C I,2.

16 შესუენებულთანი C. 33 განუსუენე C. შესუენებულთასა C.

* ჳრველი ხმის დასდებლები იხ. გვ. 327.

იცენეს უფალმან სულნი შესუენებულთანი, უფალმან დაიცენეს ყოველნი ძულანი მათნი და ერთიცა მათგანი არა შეიმუსროს და არა ინანონ ყოველთა, რომელნი ესვენ მას C I,3.

5 | მართალთა არს სიხარული და რომელნი ემსგავსენ საქმეთა C 242
მათთა, მოიქსენენ, უფალო, სულნი მათნი ზეცისა ცხორებასა და არიანმცა მკუდრ წარუვალსა შენსა სასუფეველსა C I,4.

იესუ. მეუფეო დიდებისაო, განუსუენე, ქრისტე, სულსა შესუენებულთასა წმიდათა შენთა თანა სასუფეველსა ცათასა C I,5.

10 სული, რომელ შეივედრე, მქსნელო, ანგელოზისა მიერ, სამოთხე-
სა ფუფუნებისასა დააწესე, მაცხოვარ, და განუსუენე C I,6.

განუსუენე, უფალო, სულსა შესუენებულთასა, მრავალმოწყალე C I,7.

15 ქებაჲ ჩუენი შეიწირე, ქრისტე, რომელმან ვნებითა შენითა საფ-
ლავთაგან აღადგინენ მკუდარნი და განულე მათ სამოთხჲ. მათ თანა
ღირს ყვენ, უფალო, | სულნი შესუენებულთანი და მიეც მათ გან- C 242 v
სუენებაჲ, ვითარცა მოწყალე ხარ C I,8.

სულთა თანა მართალთა აღსრულებულთა სულთა სულსა შესუენებულთასა, მაცხოვარ, განუსუენე სასუფეველსა ცათასა C I,9.

20 ქველისმოქმედო ღმერთო, რომელ ადგომაჲ ხარ ცხოველთაჲ და
მკუდართა, სულსა შესუენებულთასა განსუენებაჲ მიჰმადლე სასუ-
ფეველსა შენსა და დააწესენ, ვითარცა მხოლოჲ ქველისმოქმედ ხარ
და მრავალმოწყალე C I,10.

დალაცათუ ხისა მისგან მცნებისა გარდასლვითა სიკუდილი მოი-
წია ნათესავსა ზედა კაცთასა, არამედ ძალითა ჯუარისაჲთა ცხორებაჲ
25 მორწმუნეთა აღმოუბრწყინდა. რამეთუ ცოცხალთა და მკუდართა
მეუფჲ ხარ, | ქრისტე ღმერთო, მიჰმადლე მონათა შენთა ცხორებაჲ C 243
საუკუნოჲ და განუსუენე C I,11.

დ ა მ ა ტ ე ბ ე ბ ი

I

A

BCDEFG

A 307 v

[ლ]ასაღებელი ადგ[ოების]ნი ჰ⁴ღ [ა]

უფალო ღალატყავსა

[ღალ]ადებასა შენდა [შევსწ]ი-
რავთ, უფალო, რომელი.

ღალაებასა შენდა შევსწირა[ვ]თ, 5
უფალო, რომელი განსრახვით ჯუარ-
სა დაემრჭუაღე, სიკუდილისა საკ-
რველნი, ვითარცა ღმერთ სარ, გან-
სეთქენ და კელი-წერილი ჩუენთს
ჯუარსა შემრჭუაღე. დიდებაჲ შენდა, 10
ღმერთო B II,1.

სსუანი

[მწუხ]რისა მსხუერპლ[სა შე]ვ-
სწირავთ*.

ოზითაჲ

[ბრწ]ყინვალისა და დიდე...

ბრწყინვალისა და დიდებულისა 15
დღესასწაულისა — ადგომისა სასწა-
ული მიიღეს უფლისა ღირსთა დედა-
თა. ამას მოციქულთა ახარებდეს და
ეტყოდეს: ნუღარა დაემაღვით, არა- 20
შედ უქადაგებდით წარმართთა მაც-
ხოვრისა ჩუენისა შესამისა დღასა
ადგომასა, რამეთუ წარმოტყუენა
სიკუდილი და ჩუენ მოგუანიჭა უკრ-
წნელეჲჲჲ, ცხოვრებაჲ და ადგომაჲ 25
მხოლოთჲ, მრავალმოწყალებჲ EFG.

* ამ ფრაზით იწყება „უფალო ღალადყავსას“ B III, 1; B IV, 1—3 ტროპარე-
ბი (შდრ. აქვე, გვ. გვ. 368—369). სქოლოში ვუთითებთ მხოლოდ პირველ ლიტერებს.

[ა]ქა აკურთხევდ[ით]სა ადგილ-
სა*

უფალმან მ[მწყსო]ს მე ვი დ რ ე
რამეთუ შენ, უფალი, ჩე[მ თა]ნა
5 ხარ (ფს. 22, 1—4).
ხულისა დასადგებელი უქცით.

[უგალობდი]თსა
ფარაო ეტლე.

10

ფარაო ეტლებითურთ ქრისტემან
ღმერთმან ჩუენმან ზღუასა დაანთქა
და გამოიყვანა ერი თუსი, სისარულათ
დადაღებდეს და იტყოდეს: უგალობ-
დეთ უფალსა, რამეთუ დიდებით [დი-
დებულ არს] BE I,1.

[რომელი კორ]ციელ იქმ.

15

რომელი კორციელ იქმნა ქალწუ-
ლისაგან — ღმრთისა სიტყუამ, ვა-
დიდებდეთ მქსნელსა ყოველთასა, ვა-
ქებდეთ და ვიტყოდით: უგალობდეთ
უფალსა, რამეთუ [დიდებით დიდებულ
არს] E I,2; E₁.

20

| ჟუარითა ქრისტე[მან]...

ჟუარითა ქრისტემან სიკუდილი A 308
წარმოტყუენა და ცხორებაჲ მოკუ-
დავთა, ვითარცა ღმერთ არს, მონი-
ჭა. მას მხოლოსა უგალობდეთ, რამე-
თუ დიდებით დიდებულ არს B I,4;
E I,3; E₁.

25

სიკუდილი მ[ოაკუდინა].

სიკუდილი მოაკუდინა ცხორების მომ-
ციემელმან ქრისტემან ღმერთმან
ჩუენმან და ადგა მკურნებით, ვაქებ-
დეთ და ვიტყოდით: უგალობდეთ
უფალსა, რამეთუ დიდებით დიდე-
ბულ [არს] B I,3; E I,4.

30

უგალობდეთ ყოველნი ღ... ნა
არცა მამასა ს... რამეთუ დიდებით
დი.

35

რომელმან [სიტყუითა ღმერთი]
უთესლოდ შვა.

რომელმან სიტყუითა ღმერთი
უთესლოდ შვა, ქალწულსა მარიაჲს
უგალობდეთ, მეოხსა ცხორებისათჳს
სულთა ჩუენთაჲსა B I,5; E I,6; E₁.

40

უგალობდეთ ღმერთსა, მაცხ...

უგალობდეთ ღმერთსა, მაცხოვარსა
ჩუენსა, რომელი კორციელ იქმნა
ქალწულისაგან და სოფელს... B II,1.

36 უთსლოდ A.

* სხვა ნუსხებში „აქა აკურთხევდითსას“ ნაცელად არსად არ არის ფსალმუ-
ნური საგალობელი.

მოიხილესა

მოიხილ... 5

მოიხილე, ცაო, და ვიტყოდით და უგალობდეთ ღმერთსა მხოლოსა, კაცთმოყუარესა BE I,1; E₁.

განპრიელდასა

განმამ...*

განმამძრიელე მე*... 5

განანათლე, ქვე... 10

განანათლე, ქველის-მოქმედ, აღ-გომითა შენითა კაცთა ნათესავი, რამეთუ არავინ არს წმიდაჲ შენსა გარეშე, [უფალო] B I,6; E I,4.

მშუიდობა ყავ. 15

მშუიდობა ყავ, ღმერთო, მოსავ-თათუს ჯუარისა შენისათა, დაიცვე ერი შენი ყოვლისაგან ბოროტისა B I,8.

მ[ხოლოს]ა შორის დედა[თა]სა დედასა და [ქალწულსა, ვითარცა] მხოლომსა მშობ[ელსა — ქრისტეს] ღმრთისა ჩუენისასა, დაუც- [ხრომელად] ვადიდებდეთ. 20

მხოლოსა შორის დედათა დედასა და ქალწულსა, ვითარცა მხოლომსა მშობელსა — ქრისტეს ღმრთისა ჩუენისასა, დაუცხრომელად ვადიდებდეთ B I,9.

სხუანი

გან*... 25

უფალო მესმასა

გამოუბრ[წყინდა მაღლი] შენი წარმართთა და ი[ხილეს ყოველთა კი]დეთა დიდებაჲ შენი, რამეთუ [ადგომითა შენითა, ქრისტე, ყოველი სო]ფელი აცხოვნე.

გამოუბრწყინდა მაღლი შენი წარმართთა და იხილეს ყოველთა კიდეთა დიდებაჲ შენი, რამეთუ ადგომითა შენითა, ქრისტე, ყოველი სოფელი აცხოვნე B II,1. 25

A 308 v | [მოსცა უფსკრულ]მან კმაჲ თუისი [და ვადიდებდა შენ, შე]- მოქმედსა ყოველთა, [რამეთუ ჯუ- არ]ითა შენითა ყოველი სო[ფელი აცხო]ვნე.

მოსცა უფსკრულმან კმაჲ თუსი და ვადიდებდა შენ, შემოქმედსა ყოველთა, რამეთუ ჯუარითა შენითა, ქრისტე, ყოველი სოფელი აცხოვნე B II,2. 30

საფლავსა დაი[დევე, ვითარცა მკუდა]რი, და მესამესა დ[ღესა ას- დე]გ, ვითარცა ღმერთ ხარ, სოფე- ლი ყოველი [განანათლე] ადგომი- თა შენითა. 35

საფლავსა დაიდევე, ვითარცა მკუდარი, და ასდევ მესამესა დღესა, ვითარცა ღმერთ ხარ, სოფელი ყოველი განანათლე ადგომითა შენითა B II,3.

* A-ში ამგვარად სამი ტროპარი იწყება: ორი ძირითადი და ერთი „სხუანი“, ხოლო B-ში: I, 2—4 ტროპარები. (შლრ. აქვე, გვ. 373).

[შევიდა უფალი] ბჭეთა ჯოჯო-
ხეთისათა, მყოფნი ბნელი]სანი
განანათლნა და [მიჰმად]ლა მათ
ადგომაჲ [და ცხორება]ჲ საუკუ-
ნოჲ.

ქალწულად და დე[დად შენ]
გად.

სხუანი

მესმა, უფალო*.

[ლამითგან]სა

ლამისა ლოცვასა შევსწ[ირავთ
შენდა]მი, ღმერთო, რამეთუ ნათელ
არია[ნ ბრძა]ნებანი შენნი.

[უფალო ღმერთო ჩუენო], შენი
მშუილობაჲ მომ[ეც ჩუენ, რამეთუ]
ჩუენ შენსა გარემუ[ე სხუაჲ ღმერ-
თი] არა ვიცით.

[გუახარ]ეს მოციქულთა | ად-
გომაჲ შენი, [მაცხოვარ, რომლითა]
განათლდეს [მორწმუნენი შენნი].

...გუიქსენ, ქალწულო...

ღალატყავსა

ვღალატ-ყ[ავს ჭირითა] გულისა
ჩემის[აჲთა]...

საფლ...

ქალწული...

სხუანი

ღალად[ეზბა].

შევიდა უფალი ბჭეთა ჯოჯოხეთი-
სათა, მყოფნი ბნელისანი განანათლ-
ნა და მიჰმადლა მათ ადგომაჲ და
ცხორებაჲ საუკუნოჲ E 1,5.

ქალწულად და დედად შენ გადი-
ღებთ, ერთობით ღმრთისმშობელად
შენ გქადაგებთ, რამეთუ შენგან შო-
ბილმან ქრისტემან ყოველი სოფელი
აცხოვნა B II,4; E 1,7; E₁.

ლამისა ლოცვასა შევსწირავთ შენ-
დამი, ღმერთო, რამეთუ ნათელ არი-
ან ბრძანებანი შენნი B I,4; E₁.

უფალო ღმერთო ჩუენო, შენი მშუ-
ლობაჲ მომეც ჩუენ, რამეთუ ჩუენ
შენსა გარემუ სხუაჲ ღმერთი არა ვი-
ცი[თ] B I,5.

გუახარეს მოციქულთა ადგომაჲ
შენი, მაცხოვარ, რომლითა განათლ-
დეს მორწმუნენი შენნი B I,8; E 1,5.

A 309

ვღალატ-ყავს ჭირითა გულისა ჩემი-
სათა შენდამი, მოწყალისა მიმართ
ღმრთისა. ნუ უგულუბელს-ჰყოფ,
ქველის-მოქმედ, შეცოდებულსა ერსა
შენსა BE I,1; E₁.

საფლავსა დაიდევ, ვითარცა მკუდა-
რი, და ასდევ მესამესა დღესა, ვი-
თარცა ღმერთ ხარ, სოფელი ყოვე-
ლი აცხოვნე ადგომითა შენითა BE
I,3.

ღალადებდა იონა მუცელსა ვეშაპი-
სასა. ვითარცა წყაროჲ, აღმომდინა-
რემ მწუერვალთა ზედა მათასა
სიწმიდით, ეგრე მწრაფლ ესმოდა

20 არაჲ A.

* ამ ფრაზით იწყება „უფალო მესმასა“ B I, 1 და E I, 1 ტროპაეები (შლრ. აქ-
30, გვ. 373—374).

დადადება სასპენელთა შენთა, უფალო BD II,1.

კურთხეულარსა
რომელი მაყ[ულოვანსა] შინა
გამო.

რომელი მაყულოვანსა შინა გამო-
ურნდი ცეცხლითა ზრულის-მდებელ- 5
სა და ქალწულისაგან შობად მით
პირველვე გამოსასე, კურთხეულ ხარ
შენ, უფალო ღმერთო მამათა ჩუენ-
თაო B I,1; D II,1; E I,3.

სსუანი
რ*...

10

სსუანი
სალმრთოთაგ[ან]...

სალმრთოთაგან წესთა ქადაგებითა
სამებისათა ბრძანებასა წინა-აუღვეს
ყრმანი უზრულოდსა მეფისასა და 15
კერპსა ოქროდსასა არა თაყუანი-
სცეს და დაუცხრომელითა კმითა იტ-
ყოღეს: რომელი ხარ პირველ საუ-
კუნეთა ღმერთი, [კურთხეულ ხარ]
BD III,1.

20

გუაცხოვნენ ჩუენ, ღმერთო,
ძლთ... აღმომიყვან... შენდა და
მიკსენ... საგან ჭირისა შენი...
ღმერთო მამათა ჩუენტა[ო].

A 309 v | [რომელ]მან(?) ჩუენ, მგალო-
ბელნი...ბთა დაგუიკსნენ... მამანი...
ქუეყანისაო, რადთა შ'გმლ... და
დიდი წყალობად...
ყოველნი მამ[ასა]...

25

ყოველნი მამასა და მესა და წმი-
დასა სულსა უგალობდეთ, მორწმუ- 30
ნენი ვადადაბდეთ და ვიტყოდით:
კურთხეულ ხარ შენ, უფალო ღმერ-
თო მამათა ჩუენტაო B I,5; E I,7;
E1.

[აკურთხევდით]სა

35

რომელი გამოურნდა ბაბ[ილონს]
საყუმილსა მას შინა, [სამებისა
რიცხუნი ყ]რმანი ცეცხლ[ისაგან]...

რომელი გამოურნდა ბაბილონს სა-
კმილსა მას, სამებისა რიცხვნი ყრმა-
ნი ცეცხლისაგან განაზინნა, უფალსა
უგალობდით [და უფროდსად აამადლე-
ბდით მას უკუნისამდე] B III,5.

* „რომელი“ სიტყვით იწყება „კურთხეულარსას“ B I, 1—4; B II, 1 ტროპა-
რიბი (შლრ. აქვე, გვ. 376).

რომელი კაცთმოყ[უარებისათვის
მ]ოივ[ლინა ზეცით], ქალწულისა-
გან კორცნი შეიმ[ოსნა].

5

რომელმან განიყრნა [კელნი
თუისნი ჯუა]რსა ზედა ნეფსით
თუისით... ჯოჯოხეთი... ვნებაჲ
ნე...

10 | რომელი ადგა მკ[უდრეთით]...

A 310

ადიდებდითსა
ო^ა (?) დ^აიბ...
უკუდავთა შორის ყოველთა...
შენ ყოველთა... შენგან...

15 გადიდებს შენ ყოველი თესლე-
ბი, სახარულევა[ნო]...20 ...ქალწულისაგან ცხორებად [ნა-
თესავისათვის] კაცთამასა.25 ...[შეირაცხე, რომელმან... აყო-
ცენ ჯუარ[ითა]... შენდობაჲ ...
კაცთ...შენ, რომელი მკუდართა თა-
ნა*...30 რომელმან აღადგინენ მკუდ[რე-
თით].

...მამასა ჩუენსა კაცთმო...

თაყუანის-სცა და... სა.

[შენ], დაუსაბამოსა.

35

[სიტყუაჲ] დაუსაბამოჲ [გამო-
გუიჩნ]დი, კორ.

რომელი კაცთმოყუარებისათეს მო-
ივლინა ზეცით, ქალწულისაგან კორ-
ცნი შეიმოსნა, უფალსა უგალობით
და უფრომსად აამაღლებდით მას
უკუნისამდე B III,1.

გადიდებს ყოველი თესლები, სა-
ხარულევანო, პატროსანსა მარგალიტ-
სა, რომელმან იტკრეთე მეუფემ, შე-
მოქმედი ყოველთაჲ და მკნსნელი სუ-
ლთა ჩუენთაჲ E I,11; E₁.

კურთხეულ არს ქრისტე ღმერთაჲ
ჩუენი, რომელი უთესლოდ იშვა ქალ-
წულისაგან ცხორებად ნათესავისათეს
კაცთამასა B I,7.

შენ, დაუსაბამოსა მამასა, ღმერთსა
და თანა-დაუსაბამოსა სიტყუასა, მესა
და სულსა შენსა წმიდასა მორწმუ-
ნენი ვადიდებდეთ E I,10; E₁.

სიტყუაჲ დაუსაბამოჲ გამოგჩნდი,
კორციელ იქმენ ქალწულისაგან,

15 გადიდებს+შენ E (სხვა ნუსხებისათვის სქოლოზი მხოლოდ ძე ვარიან-
ტია ანაბული, რომელიც A-ს თანხედება). 31 ჩუენსა] ჩ^ა A.

* მ^ა მ^აბოი იწყება III ხმის „ადიდებდითსა“ B I, 5 ტროპარი (მდრ. აქვე. გე.
413).

ჯუარს-ეცუ ნეფსით ზუნთუს და სი-
კულილი მოაკუდინე. ქრისტე მუფუეო,
გადიდებთ შენ B II,1.

სახარებისა [წარდგო]მანი
განილუიძე.

განილუძე და მომხედენ განკითხ 5
(ფს. 34,23).

[დ]ასადებელი
საჯენ, უფალო.

საჯენ, უფალო, მავნებელნი ჩემნი
(ფს. 34,1) BEF 1.

მე-ბ...
ღმერთი დადგა შე.

ღმერთი დადგა შესაკრებელსა (ფს.
81,1) BEF 2.

[ყოველი სული]ი აქებლით უფა-
ლსა.

ყოველი სული აქებლით უფალსა
(ფს. 150,6) BEF 3.

[გარდამ]ოთქუმაი
მიუთხრეს...

მიუთხრეს ყოველი საკრებელმა
მცველთა შინთა, უფალო, არამედ
კრებულმან ამაოებისამან აუვსო
ქრთამითა მარჯუენამ მათი, დაფარ-
ვას ჰგონებდეს ადგომასა შენსა, ზო-
მელსა ყოველი სოფელი გადიდებს.
შეგვწყალებ ჩუენ BEF.

[ა]ქებლითსა

[ნეფ]სით ჯუარ[სა ზედა ამაღ-
ლებულ]სა ქრისტესა ვაქებდეთ,
[ცხოვრების მომცემე]ლსა, რამეთუ
ჯოჯოხეთი [წარმოტყუენა ა]დ-
გომითა თუისითა.

ნეფსით ჯუარსა ზედა ამაღლე-
ბულსა ქრისტესა ვაქებდეთ, ცხოვრე-
ბის მომცემელსა, რამეთუ ჯოჯოხე-
თი წარმოტყუენა ადგომითა მისითა
B II,2.

[ადგა უფალი მკუდრეთით], გან-
მანათლუ[ბელი სოფლისა და მკს-
ნე]ლი სულთა ჩუენ[თამ].

ადგა უფალი მკუდრეთით, განმან-
ათლებელი სოფლისა და მკსნელი
სულთა ჩუენთამ E I,10; G II,9.

...არსა მცვი.
| გიხაროდ[ენ]*...

A 311

სხუანი

ვაქებდეთ... **
საშინელმან ა[ნგელოზისა]...

საშინელმან ანგელოზისა ხილვამან
დიდებულსა შენსა საფლავსა მცველ-
ნი შუაშინნა B III,3; G II,3.

* „გიხაროდენით“ იწყება „შესხმანის“ E 7—10 ტროპარები (შდრ. აქვე, გვ. 382).

** „ვაქებდეთ“ სიტყვით იწყება „აქედისას“ B I, 1—2 ტროპარები (შდრ. აქვე, გვ. 380).

კელთაბანისა

მ[ოვედით უფლისა], მიიღ.

5

10

15

სიწმიდი[საჲ]

[საშინელისა და] უხილავისა,
უხილავთ[ა].

20

25

30

[უფალო] ღაღატყავსა

რომელი ა[ჰმალღდი] და ჯუარ-
ცუმაჲ თავს-[იდევე]... შეგუიწყალენ
ჩუენ.

35

შენ, რომელი ა[ჰმალღდი ზეცად]
და დასჯედ მარჯუენით [მამისა,
განანათლენ] ეკლესიანი ჯუართა
და [აცხოვნენ მორწმუნენი] შენ-
ნი, მაცხოვარ.

40

სა...

მოვედით უფლისა, მიიღეთ ნათე-
ლი და პირსა თქუენსა არა ჰრცხუე-
ნეს, რამეთუ რომელი მის თანა და-
ვეფლენით, მის თანაცა ავდგეთ განა-
თლებულნი სულისაგან წმიდისა, რა-
მეთუ მან უძღუებანი ჩუენნი იტერ-
თნა და ცოდვანი ჩუენნი თავს-ისხნა.
უნებელი ღმერთი კორციითა ნეფსით
ჯუარსა დაემრჭუალა, უკუდავი მო-
კუდავითუს საფლავსა დიდვა და
ადგა მესამესა დღესა. მან ჩუენ ად-
გომაჲ მოგუანიჭა, ჩუენ მადლობაჲ
მისა შევწიროთ, გლობაჲ და ქებაჲ
და დიდებაჲ უკუნისამდე B E F.

საშინელისა და უხილავისა, უხი-
ლავთა საყდართა ზედა მჯდომარისა
მეუფისა ყოველთამსა მადიდებლნი
ადგომისა შენისანი მსხუერბლსა შენ-
და შევსწირავთ, რომელი უხილავ
ხარ ღმრთეებითა და თუაღთ-მეუდგამ
ბრწყინვალეებითა. უხილავსა გამსახუ-
რებენ მრავალთუაღნი ქერობინნი და
ექუს-ექუსფრთენი სერაბინნი, დაუც-
ხრომელითა კმითა დაღადებენ და
იტყვიან: წმიდა არს, წმიდა არს, წმი-
და არს უფალი, მეუფე დიდებისაჲ
E 1.

[პ^ჲ ო ბ]

შენ, რომელი აჰმალღდი ზეცად და
დაშჯედ მარჯუენით მამისა, განანათ-
ლენ ეკლესიანი ჯუართა და აცხოვ-
ნენ მორწმუნენი შენნი. მაცხოვარ,
შეგუწყალენ ჩუენ C I,6; E I,8; F
II,6; G I,7.

სსუანი

მწუხრი[სა ლოცვამ] ჩუენი შე.

მწუხრისა ლოცვამ ჩუენი შეიწი-
რე, წმიდო უფალო, და მოგუშადლე
ჩუენ მოტეკვამ ცოდვითამ, რამეთუ
შენ მხოლოდ ხარ, რომელმან უჩუე- 5
ნი სოფელსა ადგომამ BE I,1; C
I,3.

ოხითამ

მოვ[ედით]...

მოვედით, მოწმუნენო, სისარუ-
ლით უგალობდეთ უფალსა, რომელა 10
დამკვდრებულ არს სიონს, რომელი
ამადლდა ჯუარსა ზედა ჩუენთეს და
აქოცნა ცოდვანი სოფლისანი მისითა
კაცთმოყუარებითა, გუაცხოვნა ჩუენ
ჯუარითა პატოხნითა, ადგომამ და 15
ცხორებამ ყოველთა მოგუანიჭა
BCEFG.

უგალობდითსა.

მარჯ[უენამ]...

მარჯუენამ შენი, უფალო, დიდე-
ბულ არს ძალითა შენითა, რამეთუ 20
საკრველნი სიკუდილისანი სულითა
განხეთქენ B II,1.

შემწე და მფ[არველ]...

შემწე და მფარველ მეყავ ჩუენ
მესხელად, ესე ღმერთი ჩუენი, ვადი-
ლოთ ესე BCE I,2. 25

[უფალი არს, რომელმან] შემუს.

უფალი არს, რომელმან შემუსრნა
ბრძოლანი. უფალ არს სახელი მისი,
რომელი ადგა მკუდრეთით C I,4;
E I,5.

მრავ...

30

A 311 v საფლავით ასდე[გ. სიკუდილი
დაპქსენ], მაცხოვარ მრავალ[მოწ-
ყალე].

საფლავით ასდეგ, სიკუდილი დაპქ-
სენ, მაცხოვარ მოწყალე, და მოგუ-
ნიჭე ჩუენ ადგომამ, ესე ღმერთი
ჩუენი და ვადილოთ [ესე] BE I,4.

[შენგან შო]ბილსა, სახარულე-
ვანო, [მორწმუნენი უგალო]ბთ
ქრისტესა, რამეთუ დიდებით დ[ი-
დებულ არს].

შენგან შობილსა, სახარულევანო, 35
მორწმუნენი უგალობთ ქრისტესა,
რამეთუ დიდებით დიდებულ არს B
II,3; C I,5; E I,6.

[მოიხილესა]

[მოიხილ]ე, ღმერთო, წყალობით
ერსა [შენსა ზედა და მაცხოვნე მე].

მოიხილე, ღმერთო, წყალობით ერ- 40
სა შენსა ზედა და მაცხოვნე მე B
II,1; C I,1.

განძრი[ელდასა]

განძრი[ელდა გული ჩ]ემი უფ-
ლისა [მიმართ] *.

- 5 არა[ვ]ინ არ[ს] წმიდა და მარ-
თალ, ვითარ ქრისტე ღმერთი ჩუენ-
ნი, რომელი იშვა ქალწულის[ა]-
გან, რომლისათვის ანა ღალადებ-
და]: ვაქებდეთ გალობით უფალსა.

- 10 [განვ]იხარეთ ჩუენ მაცხ.

უფალო [მესმას]ა

- 15 მესმა და გული[სხმა-ვყავ].

- 20 ივენე ვუარსა ზედა, ამა[ღლდი
ზეცად, დაშვედ მარჯ]უენ.

უწინა[რე]მს მოსლვი.

| დაუ...

- 25 [მოსლვ]ამ შენი დამიკ[უირდე]-
ბის და ადგომასა] შენსა ვადი-
დებთ.

[ქალ]წულო უბიწოო...

... და დიდი წყალობაჲ.

ღ[ამითგანსა]

- 30 [ღამი]სა ლოცვასა შევსწ[ირავთ].

- 35 უფალო ღმერთო მად[ალო, მკლა-
ვი შენი] მ[ტკიცმ] განაც[ხადე].

სხუანო

მწუხრისა ლოც...

- 40 უბიწოო... ქალწულო...

არავინ არს წმიდა და მართალ,
ვითარ ქრისტე ღმერთი ჩუენი, ბო-
მელი იშვა ქალწულისაგან, რომლი-
სათუს ანა ღალადებდა: ვაქებდეთ გა-
ლობითა უფალსა B 11,2; C 1,5;
E 1,6.

[გ]ანვიხარეთ ჩუენ მაცხოვრებითა
შენითა, ქრისტე, და გან[მღიერდ]ა
ღმერთი ჩემი ზედა მტერთა ჩემთა
B 1,3.

მესმა და გულისხმა-ვყავ, რამეთუ
მოწყალე ხარ ღმერთი ჭეშმარიტო
და მკნელი სულთა ჩუენთაჲ B 111,1;
CE 1,1.

ივენე ვუარსა ზედა, აჰმადღდი ზე-
ცად, დაშვედ მარჯუენით მაძისა, სო-
ფელი განანათლე B 111,3; CE 1,3.

მოსლვაჲ შენი დამიკვრდების და
ადგომასა შენსა ვადიდებთ, უფალო,
დიდებაჲ ძალსა შენსა C 1,4; E 1,5.

ღამისა ლოცვასა შევსწირავთ შენ-
და, ქრისტე, კეთ ღმრთისაო, ბო-
მელმან მიჩუენენ ჩუენ ნათელი ადგო-
მისაჲ B 1,1.

უფალო ღმერთო მადალო, მკლავი
შენი მტკიცმ განაცხადე ზედა ერსა
შენსა, რომელ იქსენ ადგომითა შენი-
თა B 1,2; CE 1,3.

A 312

* შესატყვისად საერაუდოა -განძლიერდასას" ·B 1, 4 და B 11, 1 ტროპაარები
(შლრ. აქვე, გვ.გვ. 387—388).

ლაღატყავსა
ჩამა[გ]დეს მე სი[რღმესა].

შთამაგდეს მე სიღრმესა გულია
ზღუსათა და ვისილენ საკვრეველბა-
ნი შენნი, უფალო BE 1,2.

სსუანი
წინაწარმეტყუელი იქსენ].

წინაწარმეტყუელი იქსენ მუცლი-
საგან ვეშაპისა, კაცთმოყუარე, წინა-
გამოსახვითა მესამისა დღისა მკუდ-
რეთით ადგომისა შენისამთა B II,2;
C I,3; F I,6.

A 312 v [აკურთხევედითსა]
რომელი სამეზბით].

რომელი სამეზბით და ერთარსებით
იდიდების ძალათა შინა ღმერთი,
უგალობდით და უფრომსად ამაღლებ-
დით მას უკუნისამდე BDE I,5; C 15
I,4.

[რომელმა]ნ არარამსაგან.

რომელმან არარამსაგან ყოველივე
სიტყვთა დაჰბადა, უგალობდით და
უფრომსად ამაღლებდით მას უკუნისა-
მდე BCDE I,1.

[ადი]დებდითსა
გადიდებთ...

გადიდებთ შენ, ქალწულო უბიწო,
რომელმან ჰმევე სიტყუამ ღმრთისამ
ქორციელად და მისგან განთავისუფ-
ლდა კაცთა ნათესავი მონებისაგან
მტერისა. სძალო ზეცისაო, გალობ[ით
გადიდებთ] D VI,2.

საუკუნეთა...

[აქებდითსა]

A 313 [მეუფემ საუკუნემ ქუეყანად გარ-
დამოჰქვედ] და ვნ[ებამ] ჯუარსა ზე-
და! თავს-იდევე, რ[ომლითა] საც-
თური ხ[ისამ] მ[ის] განაქ[არვე] და
ჯოჯოხეთისა] ძალი შეჰმუსრე.

მეუფემ საუკუნემ ქუეყანად გარდა-
მოჰქვედ და ვნებამ ჯუარსა ზედა თავს-
იდევე, რომლითა საცთური ხისამ მას
განაქარვე და ჯოჯოხეთისა ძალი შეჰ-
მუსრე D III,1; G II,1.

საფ[ლავესა] დაიდევ უკ[უდავი]
ღმერთი და ჩუენ, [შენნი] დაბადე-
ბულნი, ჯოჯოხეთით აღმოგუი[ც]-
ვანენ, მოწყალე. მწყალობელო უფა-
ლო, დიდებამ] ადგომასა შენ[სა].

საფლავსა დაიდევ უკუდავი ღმერ-
თი და ჩუენ, შენნი დაბადებულნი,
ჯოჯოხეთით აღმოგვეყვანენ, მოწყალე.
მწყალობელო უფალო, დიდებამ ად-
გომასა შენსა] D III,2; G II,2.

[ა-ღ ბ]

[უგალობდითსა]

5 ... [ვნებ]ულსა და ადგომ[ი]ლსა მკუდრეთით მესა]მესა დღესა [ძალითა ღმრთეებისა]თა ცხორებად [შეცთომილთა]. რამეთუ დიდებ[ით დიდებულ არს].

უგალობდეთ უფალსა, ქალწულისა-
გან უბიწოაჲსა კორციელ ქმნულსა
ჩუენთჳს და ჯუარსა ზედა ვნებულსა
და ადგომილსა მკუდრეთით მესამესა
დღესა ძალითა ღმრთეებისაათა ცხო-
რებად შეცთომილთა, რამეთუ დიდე-
პით დიდებულ არს B III,3; D II,3;
E 1,2.

A 313 v

10

II*

მ-შაბათსა**

B 93 v

უგალობდითსა კ-ა ბ გ-ი

15 კუერთხითა განაპო ზღუაჲ მეწამული, და განკმეს სიღრმენი უფსკრულთანი და იქმნეს განსავალ უჭურველთა და შეჭურვილთა სასუფეველ. გალობით უგ[ალობდეთ, რამეთუ დიდებით დიდებულ არს].

20 სიბრძნე ღმრთისაჲ, მიზეზი ყოვლისა სოფლისაჲ, მომცემელი ცხორებისაჲ, იშენა სახლი წმიდისაგან დედისა, უქორწინებელისა, და საკურთხეველი კორცი მოილო. გალობით უგალობდეთ, რამეთუ დიდებით [დიდებულ არს].

25 ასწავა მეგობართა თჳსთა და განუმზადა ტაბლაჲ, მზრდელი სულისაჲ, მორწმუნეთათჳს — | სიბრძნე ღმრთისაჲ ჭეშმარიტი. მივეახლნეთ ქრისტე ღმერთსა სარწმუნოებით და ვლადადებდეთ, რამეთუ დიდებით დიდებულ არს.

B 94

1. აღდგომის საკითხავთა განწესება, რომელიც ხანმეტ ლექციონარში *Lectio continua*-ს სახეს ატარებს³⁶, რაც უძველესი საეკლესიო ტრადიციისათვის იყო დამახასიათებელი.

2. ხანმეტი ლექციონარი დუმილით უვლის გვერდს აღდგომის კვირის სადა დღეებს, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ იმ დროისათვის ჯერ არ იყო შემუშავებული ამ დღეების ღვთისმსახურება³⁷, ამას მხარს უჭერს IV საუკუნის დამღვეის ეგერიას მოგზაურობა.

3. ხანმეტ ლექციონარში მითითებები რიტუალის შესასრულებელ ადგილებზე (მარტირიუმებზე, წმ. ადგილებსა და ტაძრებზე) მეტად მცირეა.

ამ ნიშნების მიხედვით მ. თარხნიშვილი ხანმეტ ლექციონარს სომხურ ლექციონარზე ადრეულად მიიჩნევს და მისი ჩამოყალიბების დრო V საუკუნის პირველ ნახევარში გადააქვს, ხოლო სომხურს VI საუკუნის პირველი ნახევრის ძველად თვლის, ვინაიდან ვარაუდობს, რომ ხანმეტი ლექციონარიდან სომხურამდე განვითარების გარკვეული მანძილი ჩანს³⁸. ხანმეტი ლექციონარის ორიგინალად მკვლევარი ბერძნულ ან სირიულ ლექციონარს მიიჩნევს, უფრო ბერძნულსააქენ იხრება.

V ს. თარგმნილი ხანმეტი ლექციონარი ძალაში იყო VII—VIII სს-მდე. განიცადა თუ არა ამ ხნის განმავლობაში ლექციონარმა რაიმე ცვლილება, ამის თაობაზე, მ. თარხნიშვილის აზრით, არაფრის თქმა არ შეიძლება. ერთი კი აშკარაა მკვლევრისათვის, რომ V ს. ლექციონარი ახლად გადაიწერა VII ს-ში და გადაწერის პროცესში, ქართველებისათვის დამახასიათებელი ჩვეულების შესაბამისად, ბიბლიური საკითხავების ძველი ტექსტები შეიცვალა ახალი რედაქციის ტექსტებით. ამ გზით, მკვლევრის აზრით, მივიღეთ ხანმეტი ლექციონარის VII საუკუნის ნუსხა³⁹. მაგრამ უკვე ამ დროისათვის (VII ს.) ხანმეტი ლექციონარი აღარ შეესაბამებოდა იერუსალიმის საღვთისმსახურო პრაქტიკას. ამიტომ VIII ს. დამდგეს ხელმეორედ ითარგმნა ბერძნულიდან იერუსალიმური ლექციონარის უკვე VII საუკუნის რედაქცია⁴⁰.

³⁵ M. Tarchnischvili, Zwei georgische Lektionarfragmente aus dem 5. und 8. Jahrhundert, Le Muséeon, t. 73, fasc. 3—4, 1960, S. 261—285.

³⁶ ასე მაგ., დიდი შაბათის მწუხრის განგებაში ერთმანეთს მოსდევს საკითხავები ოთხივე სახარებიდან, რომლებიც ქრისტეს აღდგომის ერთსა და იმავე ეპიზოდს ვაძღვრის. ავტორი აღნიშნავს, რომ სირიული მონოფიზიტური ეკლესიისათვის აღდგომის დღეს ოთხივე სახარების კითხვა წესად არის მიღებული (გვ. 268—272).

³⁷ მ. თარხნიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 270.

³⁸ იქვე, გვ. 270—272.

³⁹ იქვე, გვ. 273—274.

⁴⁰ ხანმეტი და ჰაემეტი ლექციონარებისაგან გასარჩევად და ხელნაწერთა ტრადიციის შესაბამისად კ. კეკელიძისა და მ. თარხნიშვილის მიერ გამოქვეყნებულ ქართულ ლექციონარს საჭირო შემთხვევებში „იკანონ“ ვუწოდებთ.

მ. თარხნიშვილი ამ გზით ადგენს მიმართებას V ს. იერუსალიმის ლიტურგიკული პრაქტიკის ამსახველ ხანმეტ ლექციონარსა და ბერძნული იერუსალიმური ლექციონარის VII საუკუნის რედაქციის ქართულ თარგმანს (VIII საუკუნეში შესრულებულს) შორის და თითოეულ მათგანს დამოუკიდებელ თარგმანად მიიხსენებს.

მ. თარხნიშვილს ზემოთ განხილული წერილით არ დაუმთავრებია ქართული ლექციონარის შესწავლა. მან გამოსაცემად მოამზადა ლექციონარის კრიტიკული ტექსტი X საუკუნის 4 ცნობილი ხელნაწერისა და ფრაგმენტების მიხედვით. ეს ტექსტი, სადაც სრულადაა წარმოდგენილი ხელნაწერთა როგორც რედაქციული. ასევე ვარიანტული სხვაობები, ახალ შესაძლებლობას ქმნიდა ძეგლის შესწავლისათვის. სამწუხაროდ, მ. თარხნიშვილს ეს არ დასცალდა. ლექციონარის კრიტიკული ტექსტი გამოქვეყნდა მისი გარდაცვალების შემდეგ გამოკვლევის გარეშე⁴¹.

მრავალი საკითხი ამ უნიკალურ ძეგლთან დაკავშირებით დღესაც გასარკვევი და გადასაწყვეტია. იგი ელოდება თავის მკვლევარს. ბუნებრივია, ეს გარემოება ართულებს უძველესი იადგარის კვლევასაც, ვინაიდან ეს უკანასკნელი უშუალოდ არის დაკავშირებული ლექციონართან.

ამ საუკუნის დამდეგიდან ღვთისმსახურების იერუსალიმურმა წესმა მეცნიერების დიდი ყურადღება მიიპყრო იმ მნიშვნელობის გამო, რომელიც მას ენიჭება აღმოსავლური და დასავლური ეკლესიების ღვთისმსახურების ფორმირებასა და განვითარებაში. ამ ასპექტით განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა სომხურმა ლექციონარმა, რომლის პირველი გამოცემა ინგლისელ მკვლევარს კონიბერს ეკუთვნის. სომხური ლექციონარის ახალი ნუსხების გამოვლენამ დღის წესრიგში დააყენა სომხური ლექციონარის ხელახალი გამოცემა და შესწავლა. 1969—71 წლებში ათანასე რენუმ განახორციელა სომხური ლექციონარის ახალი გამოცემა ვრცელი გამოკვლევით⁴², სადაც შესწავლილია ლიტურგიკული თვალსაზრისით სომხური ლექციონარის უძველესი სამი ნუსხა (Jer. 121. Par. 45 და Erev. 845), გამოვლენილია მათ შორის მსგავსება და განსხვავება, დადგენილია მათი ჩამოყალიბებისა და გავრცელების დრო (417-438 წწ.), გარკვეულია მათი მიმართება იერუსალიმური ღვთისმსახურების სხვა უძველეს ძეგლებთან (ეგერიას მოგზაურობა, ქართული ლექციონარი, აღდგომის ეკლესიის ტიპიკონი). ამ ანალიზის საშუალებით ა. რენუ წარმოადგენს იერუსალიმური ღვთისმსახურების ისტორიას IV საუკუნიდან X საუკუნემდე: IV საუკუნის დამლევს იერუსალიმის ღვთისმსახურების წესს ასახავს ეგერიას ცნობილი მოგზაურობა, V საუკუნის პირველი ნახევრის წესს—სომხური ლექციონარი, V საუკუნის მეორე ნახევრიდან VIII საუკუნის ნახევრამდე იერუსალიმური ღვთისმსახურების განვითარების სურათს გვაწვდის ქართული ლექციონარი და, ბოლოს, IX საუკუნის პრაქტიკა დაუტაცეს აღდგომის ეკლესიის ტიპიკონს.

ბუნებრივია, რომ თავის გამოკვლევაში ა. რენუ დიდ ადგილს უთმობს ქართულ ლექციონარს⁴³. ავტორი საგანგებოდ ჩერდება ხანმეტ ლექციონარზე და არ ეთანხმება მ. თარხნიშვილს ამ ფრაგმენტის დათარიღებაში (V ს. I ნახ.).

⁴¹ Le grand Lectionnaire.

⁴² Renoux, Codex 121, Introduction; Renoux, Codex 121, Edition.

⁴³ Renoux, Codex 121, Introduction, p. 22—24.

მისი აზრით, ის განსხვავებები, რომლებსაც ავლენს ხანმეტი ლექციონარი ეგერიას მოგზაურობასა და სომხურ ლექციონართან შედარებით, მის სიძველეზე კი არ მიუთითებს, არამედ განსხვავებულ პალესტინურ ტრადიციაზე, რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს ხანმეტი ლექციონარი და რომელიც შეიძლება ასახავდეს პალესტინის რომელიმე ქართული კოლონიის საღვთისმსახურ პრაქტიკას⁴⁴.

ა. რენუ სავსებით ეთანხმება კ. კეკელიძეს კანონის შეფასებასა და დათარიღებაში. მასაც მიაჩნია, რომ ამ ძეგლში აისახა V—VIII სს-ის ღვთისმსახურების იერუსალიმური წესი⁴⁵, და რომ ამ ძეგლმა განიცადა ევოლუცია როგორც თავის პირველსახესთან მიმართებით, ასევე სომხურ უძველეს ლექციონართან შედარებით, რომელიც ბევრად უფრო შემოფარგლულია კალენდრის თვალსაზრისით და ძალიან ღარიბია ჰიმნოგრაფიული მასალით (მასში არ არის შეტანილი ჟამისწირვებისა და სხვა რიტუალებთან დაკავშირებული პოეტური ტროპარები).

ამრიგად, კანონი რომ მრავალფენოვანი ძეგლია, რომელიც ასახავს იერუსალიმის ღვთისმსახურების წესის განვითარებას სამი საუკუნის მანძილზე, ეს ყველას მიერ აღიარებული ფაქტია. მაგრამ ჩვენი მიზნებისათვის (უძველესი იადგარის შესწავლისათვის) საჭიროა იმის გარკვევა, თუ როგორ და სად ხდებოდა ეს ევოლუცია: განვითარება და ცვლილება განიცადა კანონის ბერძნულმა დედანმა და VIII საუკუნეში ქართულად ითარგმნა VII საუკუნის რედაქციის უკვე შეესებული ბერძნული ტექსტი, როგორც ამას ვარაუდობდა კ. კეკელიძე, თუ განვითარება მიმდინარეობდა უკვე V საუკუნეში თარგმნილი ქართული ლექციონარის ტექსტში ახალი დღესასწაულებისა და დროის შესაბამისად ახალი მასალის თანდათან გაზრდის გზით? ამ კითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ შეიძლება მხოლოდ დაისვას საკითხი: კანონის განვითარების რომელ ეტაპზე გახდა საჭირო და შესაძლებელი უძველესი იადგარის ცალკე ლიტურგიკულ ძეგლად გამოყოფა. ყველა ამის გამო იძულებული ვართ შევეხოთ როგორც ხანმეტი ლექციონარის მიმართებას კანონთან, ასევე კანონის უძველესი ფენის ქართული თარგმანის შესრულების დროს.



ხანმეტი ლექციონარის შესწავლა და შეფასება, ასევე კანონთან მისი მიმართების გარკვევა თხოულობს, პირველ რიგში, კანონის ყველა არსებული ხელნაწერის ცალ-ცალკე და ერთად შესწავლას, და მათი რედაქციული და ვარიანტული სხვაობების გაანალიზების საფუძველზე იმ იერუსალიმური ტრადიციების გამოვლენას, რომლებმაც განაპირობეს ამ ძეგლის განვითარების ტენდენციები. ჩვენ ასეთ დიდსა და რთულ მიზანს არ ვისახავთ. ამჟამად გვინტერესებს ერთი კონკრეტული საკითხი: რა მიმართებაა ხანმეტ ლექციონარსა და კანონს შორის.

ხანმეტი ლექციონარის ფრაგმენტი მოიცავს დიდი შაბათის მწუხრის, აღვ-

⁴⁴ Renoux, Codex 121, Introduction, p. 23.

⁴⁵ იქვე, გვ. 24.

სების ცისკრისა და მწუხრის, აღესების ზატიკის მწუხრის განგებებსა და საკითხავებს.

ხანმეტი ლექციონარის შედარებამ კანონის ანალოგიურ მასალასთან მათ შორის გარკვეული მსგავსება გამოავლინა.

ხ ა ნ მ ე ტ ი ლ ე ქ ც ი ო ნ ა რ ი⁴⁶

დიდი შაბათის მწუხრი და

აღესების ცისკარი

საკითხავი: მათე 28, 1—20

მარკოზი 16, 2—8

ლუკა 24, 1—35

იოანე 20, 1—18

კ ა ნ ო ნ ი⁴⁷

T 737. დიდი შაბათის მწუხრი. სახარებაჲ მათჱს თავისაჲ (28, 1—20)

a) კელთაბანისაჲ გ გი

b) სიწმიდისაჲ აღელუაჲთ და განიცაღჱ.

T 740. ლამისთევადლა შევიდენ, კანონი არა თქუან, წიგნსა ოდენ იკითხვიდენ, რამეთუ სიხარული ჯერ-არს ლამესა მას.

T 741. ცისკრად აუარებდითი ჯაღ გი აღელუაჲთა, სახარებისა წარდგომაჲ ჯაღ გი.

T 742. საკითხავი იოვანჱს თავისაჲ (20, 1—18)

ხანმეტ ლექციონარში დიდი შაბათის მწუხრისა და აღესების ცისკრის განგებები მოიცავენ მხოლოდ ოთხ საკითხავს, ოთხივეს სახარებიდან. კანონის განგება კი, გარდა საკითხავებისა, შეიცავს ჟამისწირვას (T 739 a, b), ლამისთევის განგებას (T 740) და ცისკრის განგებას (T 741), რომელიც იოანეს თავის სახარების საკითხავით სრულდება (T 742).

კანონის განგება, ისევე როგორც ხანმეტი ლექციონარისა, იწყება საკითხავით — მათე 28, 1—20, და თავდება საკითხავით — იოანე 20, 1—18. ამ ორი საკითხავით ერთგვარად შემოიფარგლა დიდი შაბათის მწუხრისა და აღესების ცისკრის განგებები. მაგრამ ამ საკითხავებს გარდა ხანმეტ ლექციონარში მოტანილია საკითხავები მარკოზისა და ლუკას თავებიდან, რომლებიც არ ჩანს კანონში. მაგრამ თუ საკითხავების თანმიმდევრობას გავითვალისწინებთ, ისინი კანონის ლამისთევის განგების ნაწილად უნდა ვიგულისხმობთ. ამ განგებაში კი ვკითხულობთ: „ლამისთევადლა შევიდენ, კანონი არა თქუან, წიგნსა ოდენ იკითხვიდენ, რამეთუ სიხარული ჯერ-არს ლამესა მას“. „წიგნის კითხვა“ აქ სახარების იმ საკითხავების კითხვას უნდა გულისხმობდეს, რომლებიც ქრისტეს აღდგომის ეპიზოდების გადმოცემას შეიცავენ. სწორედ ასეა შერჩეული ხანმეტი ლექციონარის ოთხივე საკითხავი⁴⁸. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ლამისთევის დროს უნდა წაკითხულიყო მარკოზისა და ლუკას თავების ის საკითხავები. რომლებიც მოტანილია ხანმეტ ლექციონარში. ამ მასალას

⁴⁶ ვსარგებლობთ ა. შანიძის გამოცემით.

⁴⁷ ვსარგებლობთ მ. თარხნიშვილის გამოცემით.

⁴⁸ საფიქრებელია, რომ აქ საქმე გვაქვს დიდი შაბათის მწუხრის კარგად ცნობილ განგებასთან. რის გამოც კანონის შემდგენელს საკმარისად მიუჩნევია ასეთი ხასიათის შითხება საკითხავებზე.

კანონში მოსდევს აღვსების ცისკრის განგება (T 741), რომელიც, ისევე როგორც ხანმეტ ლექციონარში, მთავრდება საკითხავით იოანეს თავის სახარებიდან (20, 1—18), ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საკითხავების რიგი ორივე ლექციონარში ერთნაირია. ეს საკითხავები ის ჩონჩხია, რომელზედაც აიგო კანონის შაბათის მწუხრისა და აღვსების ცისკრის განგება ქამისწირვის პოეტური მასალის (კელთაბანისაჲ, სიწმიდისაჲ, განიცადჷ, აუარებდითი) დამატებით. და პირიქით, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხანმეტი ლექციონარი, ისევე როგორც უძველესი სომხური ლექციონარი, არ შეიცავს ქამისწირვებს, მაშინ მსგავსება ხანმეტ ლექციონარსა და კანონს შორის უფრო სარწმუნო გახდება.

უფრო მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს ხანმეტი ლექციონარის აღვსების დღის განგება კანონთან:

ხ ა ნ მ ე ტ ი ლ ე ქ ც ი ო ნ ა რ ი

კ ა ნ ო ნ ი

დღესა ახუსებასა მწუხრი: ნათელი მხიარული-ლა წართქუან.

ხითქუას ფსალმუნი: ხუგალობდით უფალსა გალობთა ახლითა, ქებაჲ მისი ეკლესიასა წმიდათასა (ფს. 149, 1).

სახარებაჲ მოპანსს თავისაგანი (20, 19—25). გვ. 38—42.

T 755. ყონ მწუხრისა ქამი. ოხითაჲ დგጋ.

ფსალმუნი: უგალობდით უფალსა. დასდებელი: იხარებდ, ისრაელ.

T 756. სახარებაჲ იოვანსს თავისაჲ (20, 19—25).

თუ არ მივიღებთ მხედველობაში პოეტურ ტროპარს (ოხითაჲს), რომელსაც საერთოდ არ იცნობს არც უძველესი სომხური ლექციონარი და არც ხანმეტი ლექციონარი (პოეტური ტროპარები ქამისწირვასთან ერთად უფრო გვიან არის შესული ლექციონარში), სხვა მხრივ აღვსების მწუხრის განგება ხანმეტი ლექციონარისა და კანონისა სავსებით ერთნაირია.

განვიხილოთ ამ განგების ელემენტები ცალ-ცალკე: ხანმეტ ლექციონარში აღვსების მწუხრი იწყება „ნათელი მხიარულის“⁴⁹ წართქმით. ამ უძველესი საგალობლის „წართქმა“ კანონის დონეზეც საგალობლო იყო. ამას მოწმობს ამავე განგების სინური ლექციონარის (Sin. 37) ვარიანტი, სადაც ვკითხულობთ: „ხოლო ქართულად აღუსებასა გარეგნობასა პირველ ხოლო სახარებასა ამას ლუკას თავისასა იკითხვენ: „და აჲა ორი მათგანი მი“, და შემდგომად ნათელი მხიარულისა...“ (T755 სქ.2). თუ რას ნიშნავს აქ „ქართულად“, ეს ცალკე შესასწავლი და ასახსნელია. ერთი აშკარაა, რომ სინურმა ლექციონარმა დაიცვა ძველ ტრადიციასთან დაკავშირებული ცნობა „ნათელი მხიარულის“ შესრულების შესახებ, რომელიც შესატყვისის პოულობს ხანმეტ ლექციონარში.

აღვსების მწუხრის განგების მეორე ელემენტია ფსალმუნი. ორივე შემთხვევაში მოტანილია 149-ე ფსალმუნის დასაწყისი მუხლები. ხანმეტ ლექციონარში 149,1, ხოლო კანონის ფსალმუნ-დასდებელში 149, 1—2. მესამე ელემენტი განგებისა ორივე ლექციონარში ასევე ერთნაირია — საკითხავი

⁴⁹ „ნათელი მხიარული“ — უძველესი საგალობელი, ღვთისმსახურების სტაბილური ელემენტი, რომელიც ამის გამო არ აღინიშნება, მაგრამ იგულისხმება. ლექციონარში, როგორც წესი, შეტანილია მხოლოდ ცვალებადი ელემენტები.

იოანეს სახარებიდან (20, 19—25)⁵⁰. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ორივე ლექციონარის სახარების საკითხავების ტექსტები ჯრუჟ-პარხლის რედაქციისაა.

ვფიქრობთ. წარმოდგენილი მასალა და მისი ანალიზი ექვს არ უნდა ტოვებდეს. რომ ამ ორ ლექციონარს შორის პირდაპირი კავშირი არსებობს, და რომ მათ შორის არსებული განსხვავებების ახსნა უნდა ვეძებოთ მათ ქრონოლოგიურ სხვაობაში და იმ ცვლილებებში, რომლებიც განიცადა იერუსალიმურმა ლექციონარმა რამდენიმე საუკუნის მანძილზე იერუსალიმური ლიტურგიკული პრაქტიკის ცვლასთან ერთად, ე. ი. ხანმეტი ლექციონარიდან კანონმდებ იერუსალიმური ლექციონარის განვითარების ერთი გაბმული პროცესი არსებობდა, ალბათ, გარკვეული ეტაპებით, როდესაც ხდებოდა არსებითი ხასიათის შეცვლა თუ ცვლილებების შეტანა ლიტურგიკის ახალი მოთხოვნილებების შესაბამისად. ერთ-ერთი ასეთი საეტაპო მომენტი უნდა ყოფილიყო ჰიმნოგრაფიული ელემენტის შეტანა ლექციონარში ეამისწირვისა და სხვა დანიშნულების პოეტური ტროპარების სახით.

ცნობილია, რომ ლიტურგიკული ხელნაწერები ყველაზე მეტად ექვემდებარებიან ცვლილებებს, ვინაიდან უშუალოდ არიან დაკავშირებულნი ლიტურგიკულ პრაქტიკასთან. ლიტურგიკული პრაქტიკის განვითარების პროცესში კი მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო დიდი საპატრიარქო და სამრევლო ეკლესიები, ანდა მსხვილი სამონასტრო ცენტრები, რომლებიც წარმართავდნენ ამა თუ იმ ისტორიული ეპოქის სამრევლო თუ სამონასტრო ლეთისმსახურებას, არამედ ჩვეულებრივი ეკლესიები და პატარა მონასტრებიც კი, რომლებიც, საერთო წესებთან ერთად, თავის ადგილობრივ ტრადიციებსაც ემყარებოდნენ და ამ ტრადიციებს ასახავდნენ ამ ეკლესია-მონასტრების სკრიპტორიუმებში გადაწერილ ხელნაწერებში. ამით არის გამოწვეული ის მრავალრიცხოვანი სხვაობა, რომელიც შეიმჩნევა ლიტურგიკულ ხელნაწერებში. ამ მხრივ ქართული ლიტურგიკული ხელნაწერები არავითარ გამონაკლისს არ წარმოადგენენ.

ზემოთ მოტანილი შედარებითი მასალის საფუძველზე ერთის თქმა აშკარად შეიძლება — ხანმეტი ლექციონარი იერუსალიმური ლექციონარის ადრეული (V ს.) რედაქციაა, რომელიც გენეტიკურად არის დაკავშირებული კანონთან. ეს დებულება გვაძლევს უფლებას ექვსი ქვეშ დავაყენოთ კ. კეკელიძისა და მ. თარხნიშვილის ზოგი მოსაზრება ამ ორი ძეგლის თარგმანის შესრულების დროის შესახებ:

1. კანონი არ შეიძლება იყოს თარგმნილი VIII საუკუნეში, როგორც ამას ვარაუდობს კ. კეკელიძე. ის ბევრად უფრო ადრე ჩანს ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში, რასაც ადასტურებს მისი არქაული პირველსახის — ხანმეტი ლექციონარის — არსებობა VII საუკუნის ფრაგმენტის სახით⁵¹.

⁵⁰ ხანმეტი ლექციონარის მესამე მონაკვეთის—აღესვების ზატიკის მასალის (გვ. 43—54) შესატყვისის დადგენა კანონში ვერ მოხერხდა.

⁵¹ მიუხედავად იმისა, რომ კ. კეკელიძე იცნობდა ხანმეტი ლექციონარის გამოცემას, მას, რამდენადაც ჩვენთვის ეს ცნობილია, არ უცდია ამ ძეგლის კვალიფიკაცია და კანონთან მისი მიმართების გარკვევა.

2. ის ცვლილებები, რომლებაც კანონმა განიცადა უძველეს სომხურ და ხანმეტ ლექციონარებთან შედარებით როგორც კალენდრის⁵², ასევე ახალი მასალით შევსების თვალსაზრისით, შეიძლება შეტანილი ყოფილიყო ქართული ლექციონარის თავდაპირველ თარგმანშივე ამ მასალის უკვე არსებული თარგმანების (რომლებიც ლიტურგიულ პრაქტიკაში უკვე მოქმედებდნენ) ან ახლად შესრულებული თარგმანების სახით ბერძნული ლექციონარის ახალ რედაქციასთან ძველი ქართული თარგმანის შეჭერების პროცესში.

ძველი ლიტურგიული ძეგლების გადახალისება და ახალ მოთხოვნილებებთან მათი შეფარდება ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა იყო ქართულ სინამდვილეში, განსაკუთრებით საბაწმიდის ქართველთა სკრიპტორიუმებში. ამისი აშკარა ნიმუშია ძველი და ახალი ჰიმნოგრაფიული მასალის თანაარსებობა X საუკუნის ქართულ იადგარებში⁵³.

3. ვფიქრობთ, ასევე არ უნდა იყოს სწორი მ. თარხნიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება ხანმეტი ლექციონარის შესახებ. კ. კეკელიძეზე დაყრდნობით, თარხნიშვილიც ვარაუდობს, რომ ხანმეტი ლექციონარი და კანონი სხვადასხვა დროის ორი დამოუკიდებელი თარგმანია სხვადასხვა რედაქციის ბერძნული დედნებისა. V საუკუნის იერუსალიმური ღვთისმსახურების ამსახველი ხანმეტი ლექციონარი პრაქტიკაში დამკვიდრებული იყო VII საუკუნემდე, ხოლო VIII საუკუნეში ახლად ითარგმნა უკვე VII საუკუნის რედაქციის ბერძნული ლექციონარი—კანონი, რომელმაც ამ დროიდან განდევნა ხანმეტი ლექციონარი, ხოლო თვითონ ლიტურგიულ პრაქტიკაში მოქმედებდა X საუკუნემდე⁵⁴. მაგრამ ამ თვალსაზრისს ერთი უხერხულობა ახლავს—ხანმეტი ლექციონარი და დიდი კანონი ერთი და იმავე რედაქციის ბიბლიურ საკითხავებს შეიცავენ. მ. თარხნიშვილი ცდილობს ახსნას ეს ფაქტიც და გამოთქვამს ვარაუდს, რომ ხანმეტმა ლექციონარმა განიცადა გადამუშავება—ბიბლიური საკითხავების ძველი რედაქციის ტექსტები შეიცვალა ახალი რედაქციის ტექსტებით. ამ გზით ხანმეტ ლექციონარსა და კანონში აღმოჩნდა ერთი რედაქციის ბიბლიური საკითხავები⁵⁵.

ეს მოსაზრება ვერ უძლებს კრიტიკას: არქაული ტიპის ისეთ ლექციონარებში, როგორცაა ხანმეტი და სომხური ლექციონარები, ძირითადი მასალა ბიბლიური საკითხავებია (სხვა ლიტურგიული ელემენტები ლექციონარს უფრო გვიან ემატება). ამიტომ, თუ ხანმეტი ლექციონარის რედაქტორი ბიბლიური საკითხავების „განახლებას“ მოისურვებდა, მას დასპირდებოდა მთელი ლექციონარის შეცვლა. გარდა ამისა, ქართული ბიბლიური ტექსტების შესწავლა დღეს არ არის აყვანილი იმ დონეზე, რომ შეიძლებოდეს ბიბლიური წიგნების უძველესი თარგმანების ზუსტი დათარიღება და ამ თარგმანთა რედაქციულად ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯვნა.

⁵² კანონში წარმოდგენილია მთელი წლის თითქმის ყოველი დღისათვის დადებული ხსენებები. ამ ხსენებებს ძირითადი ფენა V—VI სს. დღესასწაულებით თვარგლება. მაგრამ აქვეა რამდენიმე დღესასწაული, რომლებიც VII ს. აღრე ვერ აისახებოდა კალენდარში (იხ. Иерус. Канонарь, с. 24).

⁵³ სინურ ხელნაწ. აღწერილობა, I. იხ. Sin. 34-ის, 26-ისა და 20-ის აღწერილობანი.

⁵⁴ M. Tarchnišvili, Zwei georgische Lectionarfragmente, გვ. 253.

⁵⁵ იქვე, გვ. 273—274.

საფიქრებელია, რომ ხანმეტი ლექციონარი თავისი ბიბლიური საკითხავე-ბით საფუძვლად დაედო ლექციონარის ახალ, გავრცობილ რედაქციას, რომლის ჩამოყალიბება ბერძნულ ლექციონარში მომხდარი ცვლილებების ასახვას ემსახურებოდა. ხანმეტი ლექციონარის შევსების შედეგად შეიქმნა კანონის თავდაპირველი ვერსია. შევსება მოხდა ახალი ხსენებებით და პოეტური ტროპარებით. პოეტური ტროპარები ის მასალაა, რომლითაც არსებითად განსხვავდება კანონი ხანმეტი ლექციონარისაგან.

კანონის X საუკუნის ის ხელნაწერები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს (ლატალის, კალის, სინური, პარიზული ნუსხები), არ არიან თავისი შედგენილობით იდენტურნი. ამავე დროს არც ერთი მათგანი არ შეიძლება მივიჩნიოთ კანონის თავდაპირველ რედაქციად, ვინაიდან თითოეულ მათგანში მეტნაკლებად ასახულია ცვლილებები, რომლებიც განუცდია კანონს თავისი განვითარების რამდენიმე საუკუნის მანძილზე. ცალკეულ დაკვირვებებს ამ საკითხზე მკითხველი მომდევნო თავებში გაეცნობა.

ჩვენი მსჯელობა ხანმეტი ლექციონარის რაობის, თარგმანის დროისა და კანონთან მიმართების შესახებ დღესდღეობით ვარაუდების ხასიათს ატარებს. უფრო კატეგორიული მსჯელობისათვის კი საჭიროა, რომ ამ ლექციონარის კიდევ რამდენიმე ფრაგმენტი მაინც გამოჩნდეს⁵⁶.

კანონის ზემოთ დასახელებული ნუსხებისაგან განცალკევებით დგას ჰაემეტი ლექციონარი, რომელიც ლექციონარის აღრეულ რედაქციად არის მიჩნეული. გასარკვევია, რა მიმართებაშია ჰაემეტი ლექციონარი ხანმეტ ლექციონართან და კანონთან.

ჰაემეტი ლექციონარისა და კანონის ურთიერთმიმართება

ჰაემეტი ლექციონარი, რომელიც ნაწილობრივ ამოიკითხა და გამოაქვეყნა ა. შანიძემ⁵⁷, შემოუნახავს პალიმფსესტურ ხელნაწერს. მისი ერთი ნაწილი (51 ფ.) დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (H—1329), ხოლო მეორე (53 ფ.) ერთხანს მესტიის ისტორიულ მუზეუმში ინახებოდა, დღეს კი ხელნაწერთა ინსტიტუტშია (Q 333) და იფარული პალიმფსესტის სახელითაა ცნობილი. ორივე ნაკვეთი ძალზე გადარეცხილია, ტექსტის ამოკითხვა მეტად რთულია. ა. შანიძემ H—1329 ხელნაწერი, მისი ქიმიურად დამუშავების შემდეგ, ნაწილობრივ ამოიკითხა და გამოაქვეყნა ნიმუშები. მეორე ფრაგმენტი დღემდე ამოუკითხავი და შეუსწავლელია⁵⁸, მისი

⁵⁶ ამ ბოლო დროს ცნობილ პალიმფსესტურ ხელნაწერში H—999-ში ლ. ქაჩაიამ დაადასტურა „ხანმეტი ლექციონარის“ კიდევ ერთი ფრაგმენტის არსებობა. ეს ფრაგმენტი აღრე ახალი აღთქმის წიგნების ფრაგმენტად იყო მიჩნეული. ხანმეტი ლექციონარის ამ ფრაგმენტში, გარდა ახალი აღთქმის მასალისა, შესულია ძველი აღთქმის საკითხავეებიც (ამ მასალის გაცნობის საშუალება მოგვეცა ლ. ქაჩაიამ, რისთვისაც მას მადლობას მოვასხეუნებთ), კერძოდ დადი სამშაბათისა და დიდი ოთხშაბათის დღეების დაბადების საკითხავეები. ძველი აღთქმის საკითხავეები არ არის შესული ხანმეტი და ჰაემეტი ლექციონარების ცნობილ ფრაგმენტებში. ამდენად, ამ ახალი ფრაგმენტის საშუალებით ხანმეტი ლექციონარი ახალი შეხების წერტილებს ავლენს კანონთან.

⁵⁷ ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართულ ენის ისტორიისათვის. ტფლ. უნ-ტის მოამბე, III, 1923.

⁵⁸ ჩვენ ვვაქვს ცნობა, რომ მეორე ფრაგმენტი ამოიკითხა ფრანგმა მეცნიერმა ბერნარ უტიემ.

გაშიფრვა კი, ალბათ, მკვლევარებს შესაძლებლობას მისცემს ამ საინტერესო ძეგლზე უფრო სრული წარმოდგენა შეიქმნან.

ა. შანიძე ჰაემეტი ლექციონარის შესახებ წერს: „შინაარსით ძველი ტექსტი წარმოადგენს იერუსალიმის განჩინებისა და განწესების წიგნს, რომელშიც საკითხავებია მოყვანილი. უმეტესი ნაწილი ხელნაწერისა საკითხავებს უჭირავს, უმცირესი კი — ტიბიკონურ შენიშვნებს, რომლებიც უფრო წერილად არის ხოლმე ნაწერი, ვიდრე საკითხავები... საყურადღებოა ის გარემოება, რომ საკითხავები მხოლოდ და მხოლოდ ოთხთავიდან არის ამოკლებილი, და არც ახალი აღთქმის სხვა წიგნებიდან და არც ძველი აღთქმის რომელიმე წიგნიდან არაფერია მოყვანილი, არც ნაწყვეტებია სადმე მოღწეული და არც თუ ტიბიკონურ ნაწილშია სადმე რაიმე მოხსენებული. თუ ამ გარემოებასთან ერთად გავითვალისწინებთ აგრეთვე იმასაც, რომ ჩვენი პალიმფსესტის სეინაქსარული ცნობები უფრო მარტივია არა მარტო იოანე-ზოსიმეს მიერ X საუკუნეში შევსებულ (კრებაჲ თთუეთაჲ წელიწადისათაჲ) კალენდარზე (Sin.34), არამედ პროფ. კეკელიძის მიერ გამოცემულ განჩინება-განწესების მეშვიდე საუკუნის რედაქციაზეც, უნდა დავასკვნათ, რომ უეჭველად ჩვენი ძეგლი წარმოადგენს იერუსალიმში შემუშავებულის კანონის (ანუ „წესისა და განგების“ ანუ კიდევ „მართლმორწმუნე მოძღუართა განჩინებისა და განწესების“) უძველეს რედაქციას. ენის ფორმების მიხედვით ჩვენი ძეგლი უეჭველია ძველია, დაახლოებით VIII საუკუნისა, რასაც არ ეწინააღმდეგება აგრეთვე პალეოგრაფიული ნიშნებიც“⁵⁹.

ჰაემეტი ლექციონარს გაკვრით შეეხო მ. თარხნიშვილიც ზემოთ განხილულ წერილში. მან ექვის ქვეშ დააყენა ა. შანიძის მიერ გამოთქმული ვარაუდი, რომ ჰაემეტმა ლექციონარმა შემოგვინახა იერუსალიმური ლექციონარის უძველესი რედაქცია, მაგრამ თავის მხრივ ამ ძეგლის რედაქციული რაობის განსაზღვრისაგან თავი შეიკავა სათანადო ლიტურგიკული მასალის უქონლობის გამო⁶⁰. 1959—60 წლებში გამოქვეყნდა მ. თარხნიშვილის მიერ გამოსაცემად მომზადებული იერუსალიმური ლექციონარის კრიტიკული ტექსტი, სადაც ოთხ ძირითად ხელნაწერთან ერთად გამოყენებულია ხანმეტი და ჰაემეტი ფრაგმენტებიც. მოსალოდნელი იყო, რომ ამ გამოცემასთან დაკავშირებით გამოიკვეთებოდა ჰაემეტი ლექციონარის ადგილი ამ ძეგლის განვითარების გზაზე, მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სამწუხაროდ, მ. თარხნიშვილმა ვეღარ მოასწრო გამოკვლევის დაწერა. მის მიერ მომზადებული ლექციონარის ტექსტიც გამოქვეყნდა მისი გარდაცვალების შემდეგ.

ამ ძეგლის კვალიფიკაცია ლიტურგიკული თვალსაზრისით მისი შესწავლის გარეშე შეუძლებელია. ჰაემეტი ლექციონარი უნდა შედარდეს არა მარტო ადრეული ხანის ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებს და პირველ რიგში კანონს, არამედ შესწავლილ უნდა იქნას იმ საერთო ტენდენციების გათვალისწინებით, რომლებიც IX—X საუკუნეების ქართულ ლიტურგიკულ ხელნაწერებში შეიმჩნევა⁶¹. მაგრამ ჩვენს მიზანს აქ ამ საკითხის ასე ფართოდ კვლევა

⁵⁹ ა. შანიძე, დასახ. წერილი, გვ. 357—358.

⁶⁰ M. Tachnischvili, Zwei georgische Lectionarfragmente, S. 275.

⁶¹ ამის აუცილებელი პირველი პირობაა ჰაემეტი ლექციონარის II ნაწილის ამოკითხვა და გამოქვეყნება.

არ წარმოადგენს. გვინდა მხოლოდ ზოგადი მოსაზრება წარმოვადგინოთ ჰემეტი ლექციონარის რაობასა და ასაკზე, რომლის მიხსლოებითი გარკვევაც კი დაგვეხმარება უძველესი იადგარის წარმოქმნის დროის შემოსაზღვრავში.

იმისათვის, რომ უკეთ გამოჩნდეს ჰემეტი ლექციონარის კალენდრისა და განგებების თავისებურებები, შევარჩიეთ ჰემეტი ლექციონარის იმ დღეების მასალა, რომელიც შესაძარებლად აღებულ სხვა უძველეს ძეგლებშიც დასტურდება. ეს ძეგლებია: უძველესი სომხური ლექციონარი (AI), კანონი (T), იოანე-ზოსიმეს კალენდარი (IZ) (იხ. ცხრილი გვ. 675).

შევხოთ ამ ცხრილს კალენდრის თვალსაზრისით: AI-ში, რომელიც V საუკუნის პირველი ნახევრის იერუსალიმურ ღვთისმსახურებას ასახავს, ამ დღეს მხოლოდ ფილიპე მოციქულის ხსენებაა შეტანილი. HI-ში მას დამატებული აქვს გრიგოლ საკვირველთმოქმედის ხსენება, T-ში კი (P ნუსხაში)—გრიგოლ ნაძიანძელისა. უფრო ძველი და სწორი უნდა იყოს ამ დღეს გრიგოლ საკვირველთმოქმედის ხსენება, ვინაიდან ამას მხარს უჭერს L⁶² და IZ⁶³. IZ, რომლისთვისაც ავტორმა ოთხი სხვადასხვა წყარო გამოიყენა (ერთი მათგანია კანონი), გარდა იმ ორი ხსენებისა, რომლებიც მას საერთო აქვს HI-სა და L-თან, შეიცავს სხვა ხსენებასაც („სამონა-გურიათევი“)⁶⁴.

ამრიგად, ამ ოთხმა ძეგლმა წარმოგვიდგინა 15 ნომბრის ხსენებათა განვითარების სურათი, დაწყებული უმარტივესი და უძველესი AI-ით და გათავებული იოანე-ზოსიმეს გავრცობალი კალენდრით (IZ). ამ რიგში ერთად დგანან HI და კანონის L ნუსხა.

ხსენებას ჩვეულებრივ მოსდევს დასახელება იმ ადგილისა (ტაძარი თუ წმ. ადგილი), სადაც მიმდინარეობდა დღესასწაულთან დაკავშირებული რიტუალი. ასეთად HI-სა და კანონში იერუსალიმის „ადღგომის ეკლესია“ ანუ „ანასტასია“

⁶² იხ. კანონის თარხნშივილისეული გამოცემა, T 1364, სქ. 2. სამწუხაროდ, დღეისათვის შესწავლილი არ არის კანონის ცნობილ ნუსხათა შორის რედაქციული მიმართებები და მათ შორის ქრონოლოგიური გრადაცია. მაგრამ მრავალი მონაცემით ლატალის ხელნაწერმა შემოგვინახა პარიზის ლექციონარზე უფრო ადრეული რედაქცია (იხ. P. Peeters-ის რეცენზია: H. Gussen, Über georgische Drucke und Handschriften, die Festordnung und den Heiligenkalender des altchristlichen Jerusalem betreffend, An. Bollandiana, t. 42, 1924, S. 138—139. H. Engberding, Ein Übersetzungsfehler, Muséeon, 80, S. 280. B. Capelle, La fête de la Vierge à Jérusalem au V^e siècle. Muséeon, 56, 1943, p. 30). კალის ლექციონარი, რომელსაც კ. კეკელიძე მიიჩნევს ყველაზე ადრეულად და რედაქციულადაც ყველაზე ძველად, ძალზე ნაკლებია და ნომბრის თვის მასალას არ შეიცავს (იხ. Иерус. Канонарь, გვ. 10). კ. კეკელიძის დათარიღება ამ ხელნაწერისა თხოულობს შემოწმებას.

⁶³ გრიგოლ საკვირველთმოქმედის ხსენება უძველეს ქართულ ლიტურგიულ ძეგლებში დადებულია მხოლოდ ნომბრის თვეში (11, 14, 15; იხ. G a r i t t e Calendrier, p. 384), ამიტომ საფიქრებელია, რომ პარიზის ლექციონარში გრიგოლ საკვირველთმოქმედის მაგიერ გრიგოლ ნაძიანძელის გაჩენა ან შექანიჭური შეცდომაა, ანდა აღრევა. გრიგოლ ნაძიანძელის ხსენება უძველეს ლიტურგიულ ძეგლებში დადებულია მხოლოდ 25 იანვარს, ამას მხარს უჭერს ბერძნული სვინაქსარიც (იხ. G a r i t t e, Calendrier, p. 140—141).

⁶⁴ G a r i t t e, Calendrier, p. 384.

15 ნომერი

სომხური ლექციონარი პეტიციონარი (AI)
 სომხური ლექციონარი (HI)
 კანონი (T)

იოანე-ზოსიმეს
 კალენდარი (IZ)

ფილიპე მოციქულია. ანასტასიას ქვენება ფილიპე მოციქულმუნი (XVII,5)
 ფსალმუნი (XVII,5)
 საკითხავი: საქმე მოციქულთა (VIII, 26—40)
 ალელუა-ფსალმუნი (XLVI)
 იოანეს სახარება (I,43—51).

ანასტასიას ქვენება ფილიპე მოციქულისა და გრიგორი მთავარეპისკოპოსისა და ებსკოპოსისა ნაძიანორევი-საქვრევილმომოქმედისაა: ლისაა. სახარება მთწმი "და ვითარცა მიეხლნეს იმრუსალემდ" (მ. XXI,1—17), კპოი ესე გზობასა.

ანასტასიას ქვენება ფილიპე მოციქულისა და გრიგორი მთავარეპისკოპოსისა ნაძიანორევი-საქვრევილმომოქმედისაა. ფსალმუნი: "მოვიდეს მოციქული იგ" (LXVII,32).

დასდებელი: "უფალმან სცეს სიტყუა" (LXVII,12).

ა. საკითხავი საქმე წმიდათა მოციქულთა: "და მოციქული იგი რამ მიმო"—კპოი ზატიკთა გარასკევისა (საქმე მოციქულთა, XI, 19—30).

ბ. საკითხავი ბაგლე კორინთელთა: "და თუ ვენებინ ერთ"—კპოი მირხეთა გ შაბათს (I კორ. XII, 26—31).
 ალელუა: "აქურთხევილი წარბართნი ღმერთსა" (ფს. LXV,8).

სახარება იოვანესი: "ხულისაგან უნდა" (იოანე, 1,43—51)—კპოი ზატიკთა გ გარასკევისა (T1364—1367).

† ზატიკის გ გარასკევის იკითხება იოანეს სახარება I, 43—51 (იხ. T 788) ისევე, როგორც სომხურ ლექციონარში.

არის დასახელებული. AI რიტუალის ადგილს არ ასახელებს⁶⁶. IZ-ს კალენდარი კი თავისი სპეციფიკის გამო ყოველთვის არ საჭიროებს ამგვარ მითითებებს. ამდენად, ამ შემთხვევაშიც HI და კანონი ერთად დგანან, ლექციონარის განვითარების დაახლოებით ერთ დონეს ასახავენ და განსხვავდებიან როგორც AI-ისაგან. ასევე IZ-საგან.

დღესასწაულის მესამე ელემენტია განგება. განგებათა შედარებითმა შესწავლამ საინტერესო სურათი გამოავლინა HI-ში. IZ-ში დღესასწაულთა განგებები საერთოდ მოტანილი არ არის. შესაძარებლად გვრჩება დანარჩენი სამი ლექციონარი.

AI-ისა და კანონის განგებები ერთი და იმავე ელემენტებისაგან შედგება (ფსალმუნა. საქმე მოციქულთა, ალელუია, სახარება), მაგრამ მასალის თვალსაზრისით, ისინი სხვაობენ. საერთოა მხოლოდ იოანეს თავის სახარება (I, 43—51).

HI-ის განგება შეიცავს ერთადერთ საკითხავს მათეს თავიდან (XXI, 1). მოტანილია ამ საკითხავის დასაწყისი, ხოლო სრულ ტექსტზე კი მითითებაა: „ჰპოო ეს ბზობასა“. მარხვის ნაწილი HI-ის ფრაგმენტს არა აქვს, P-ში კი ეს საკითხავი მართლაც ბზობის ეამისწირვის განგებაშია შესული (T 594).

HI-ში ჩვენს ყურადღებას იპყრობს საკითხავის სრულ ტექსტზე მითითების წესი. რომელიც უცნობია AI-ისათვის, ხოლო ძალიან გავოცლებულია კანონში. ამავე დროს მთელი განგება (HI-ში) დაყვანილია მხოლოდ სახარების საკითხავამდე, ე. ი. არც ახალი აღთქმის სხვა წიგნების საკითხავები და არც ფსალმუნური ტექსტები, რომლებიც ერთნაირად არის დამახასიათებელი უძველესი AI-ისა, ქართული GrI-ისა და კანონისათვის, HI-ში არ დასტურდება. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში განგების სიმარტივე ვერ აიხსნება HI-ის სიძველით, მით უმეტეს, რომ მისთვის დამახასიათებელია ისეთი, შედარებით ახალი, მომენტები, როგორიცაა: ერთ დღეზე რამდენიმე სხენების დადება, საკითხავებზე მითითების სისტემა, რიტუალის ადგილზე მითითება, რაც კანონისათვის არის დამახასიათებელი.

იმისათვის, რომ უფრო აშკარა გახდეს ჰემეტი ლექციონარის მიმართება კანონთან, საჭიროა უფრო დაწვრილებით შევადაროთ ერთმანეთს HI და კანონი.

ვიღრე უშუალოდ მათ შედარებაზე გადავიდოდეთ, გვინდა სულ მოკლედ შევეხოთ საკითხავთა მითითების სისტემას კანონში, რათა გზადაგზა ამ საკითხთან დაბრუნება აღარ დაგვჭირდეს.

იერუსალიმური ლექციონარის ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე, როდესაც ლექციონარის კალენდარი ძირითადად საუფლო დღესასწაულებით იფარგლებოდა, ყოველ დღესასწაულთან ბიბლიური საკითხავების სრული ტექსტები იყო მოტანილი (ლექციონარის განვითარების ამ ეტაპს ასახავენ უძველესი სომხური ლექციონარი და ქართული ხანმეტი ლექციონარის ფრაგმენტები). V საუკუნის დასასრულისათვის საეკლესიო კალენდარი უკვე მოიცავდა მთელი წლის წმინდანთა ხსენებებს. კალენდრის გაფართოებამ გამოიწვია ერთი და

⁶⁶ სომხურ ლექციონარში დღესასწაულის აღნიშვნის ადგილებზე მითითებები ბევრად მცირე რაოდენობაა, ვიდრე კანონში. ეს მოკლენაც მიჩნეულა სომხური ლექციონარის სიძველის ერთ-ერთ ნიშნად.

იმავე საკითხაეების გამეორება მსგავსი დღესასწაულების განგებებში, რასაც დიდად უნდა გაეზარდა ლექციონარის მოცულობა. ერთი და იმავე საკითხავის სრული ტექსტის რამდენიმეგზის განმეორების თავიდან აცილების მიზნით ლექციონარისათვის შემუშავდა მითითებების სისტემა, რომელიც უკვე ფართოდ არის გამოყენებული როგორც კანონში, ასევე HI-ში. მითითების სისტემა ლექციონარში, ეტყობა, თანდათან რთულდებოდა და იხვეწებოდა. კანონში რამდენიმე სახის მითითებას ვხვდებით:

1. ერთი დღესასწაულის განგებისათვის მითითებულია მეორე დღესასწაულის სრული განგება. მაგ.: „თთუესა ფებერვალსა ივ: ნეტარისა პართენე ეპისკოპოსისაჲ. ყოველი ჰპოო ამასვე თთუესა ვ⁶⁷ (T 224).

2. მხოლოდ დასაწყისებით მოტანილი საკითხაეების სრული ტექსტებისათვის განგებაში მითითებულია სხვა დღესასწაულების განგებები. მაგ.: „თთუესა ფებერვალსა ივ, წმიდისა ნისიმოზისი, ანდრიაესი და სხუათა მარტულთაჲ:

საკითხავი პავლე კორინთელთაჲ „და თუ ეენებინ ერთსა...“ — ჰპოო მარხვათა გ შაბათსა.

სახარებაჲ იოვანწს თავისაჲ: „ხუალისაგან უნდა გან“ — ჰპოო ზატიკთა ბ პარასკევსა“ (T 221—223).

3. ამა თუ იმ დღესასწაულის განგებისათვის მითითებულია რომელიმე ზოგადი განგება. მაგ., „თთუესა ფებერვალსა იდ. წმიდისა გიორგისი და წმიდისა მამისა ევქსენტისი — ყოველი წმიდთაჲ“ (T 220).

იგულისხმება, რომ ამ დღესასწაულზე უნდა შესრულდეს ის, რაც ივარაუდება წმიდა მოწამეთა ზოგად განგებაში, რომელიც, სხვა ზოგად განგებებთან ერთად, ერთვის ლექციონარის ძირითად ტექსტს (T 1437—1696). ამ ზოგადი განგებების საშუალებით ხდება ლექციონარის განტიერთვა და ერთი და იმავე მასალის (საკითხაეების) განმეორების თავიდან აცილება. ზოგად განგებებში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპიური დღესასწაულები. საერთო ჯამში ზოგადი განგებები მოიცავენ ლექციონარის ყველა გვარის ხსენებებსა და დღესასწაულებს. დღესასწაულების ამ ზოგადი განგებების გზით უმტკივნეულოდ, ახალი განგებების შემოღების გარეშე, ხდებოდა იერუსალიმური ლექციონარის კალენდრის გაზრდა.

შედარებისათვის ავიღოთ HI-ის ნომბრის თვის მასალა:

ჰ ე მ ე ტ ი ლ ე ქ ც ი ო ნ ა რ ი .

კ ა ნ ო ნ ი

ნომებერსა თ. ანატასიას ცსენებაჲ ეესტათისი.

თთუესა ნომებერსა თ. ცსენებაჲ ეესტათისი. ფსალმუნ-დასდებელი. სა-

ს ა ხ ა რ ე ბ ა ჲ მ ა რ ტ კ ლ თ ა ჲ .

კითხავი: პავლე ებრაელთაჲ (X, 32—39).

⁶⁷ ექვსი თებერვალი კი არის ხსენების დღე პანფელის, ვალენტის, თეოდორესი, ივლიანესი და მეგვტელთა ხუთთაჲ. მოტანილია სრული განგება საკითხაეების სრული ტექსტებით (T 210).

სახარებად ლუკას თავისად: „ხოლო მათ ყოველთა წინა და“—ჰპოო ს ა ე ს ე ნ ე ბ ე ლ ს ა წ მ ი დ ა თ ა ს ა“ (T1349—1351).

როგორც ვხედავთ, HI-ის განგება ბევრად უფრო მოკლეა კანონის განგებაზე. ის შეიცავს სახარების მხოლოდ ერთ საკითხავს. რომლის სრული ტექსტისათვის მითითებულია „მარტულთა“ ზოგადი განგება, დასაწყისი ამ საკითხავისა მოტანილი არ არის. სახარების საკითხავისათვის იმავე ზოგად განგებაზე მითითებს კანონიც (P ნუსხა), მაგრამ ამასთანავე მინიშნებულია ამ საკითხავის დასაწყისი, რომლითაც ზოგად განგებაში ადვილად იძებნება ეს კონკრეტული მასალა (ლ. XXI, 12—19). P-ში საკითხავის დასაწყისზე მითითება აუცილებელია, ვინაიდან კანონის „წმიდათა მოწამეთა“ ზოგად განგებაში რვა საკითხავია შეტანილი სახარების ოთხივე თავიდან (T 1485—1492), აქედან ლუკას თავიდან—ორი (T 1490—91). ერთი მათგანი (T 1491) არის კანონის 9 ნოემბრის განგებაში დასაწყისით მითითებული ლუკას თავის საკითხავი (XXI, 12—19). ამრიგად, კანონში საკითხავთა მითითების სისტემა საესებით ზუსტია და ადვილად მოსახმარი.

თუ რა და რა ტიპისა HI-ის ზოგადი განგებები, ამაზე პირდაპირი პასუხის გაცემა შეუძლებელია, ვინაიდან HI-ის ზოგადი განგებები, რომლებიც ლექციონარს ჩვეულებრივ ბოლოს ერთვიან, შემორჩენილი არ არის. ერთი აშკარაა, HI-ს რომ იმავე ტიპის ზოგადი განგება ჰქონოდა დართული, როგორც ეს კანონს აქვს, შეუძლებელი იქნებოდა იმის გარკვევა, თუ ზოგადი განგების სახარებათა რვა საკითხავიდან რომლის შესრულება ივარაუდება 9 ნოემბრის ევსტათის ხსენების დღეს. ასეთ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ: ან HI-ის ზოგად განგებაში მხოლოდ ერთი საკითხავი იყო მოტანილი სახარებიდან, ნაცვლად კანონის რვა საკითხავისა, ან უნდა დავუშვათ, რომ HI-ის დაუკონკრეტებელი მითითება გულახსნობდა ღვათისმსახურის უფლებას, ნებისმიერი საკითხავი შეერჩია რვა საკითხავიდან, რაც ლექციონარის საკითხავთა რეგლამენტირებული რეპერტუარის ვითარებაში ძნელად წარმოსადგენია. ამ საკითხის გარკვევაში ისევ L გვეხმარება.

L-ის 9 ნოემბრის წმიდა მოწამეთა ზოგადი განგება ბევრად უფრო მცირეა, ვიდრე P-ს იგივე ზოგადი განგება, ხოლო საკუთრივ სახარების რვა საკითხავის ნაცვლად, რომლებიც შეტანილია P-ში, L-ში შესულია მხოლოდ ერთი საკითხავი ლუკას თავიდან (T 1491, ლუკა XXI, 12—19), სწორედ ის, რომელიც მითითებულია P-ს 9 ნოემბრის ევსტათის ხსენების განგებაში. ამრიგად, წმიდა მოწამეთა ოთხთავის რვა საკითხავიანი ზოგადი განგების გვერდით არსებულა ზოგადი განგების სხვა რედაქციაც, სადაც მხოლოდ ერთი საკითხავი ყოფილა შეტანილი ლუკას თავიდან. ამ შედარებითი მასალის საფუძველზე მივიღოთ იმ დასკვნამდე, რომ ლექციონარის ადრეული რედაქციის წმიდა მოწამეთა ზოგადი განგება თავდაპირველად შეიცავდა ერთ საკითხავს (ლუკა XXI, 12—19). ამ რედაქციის ზოგად განგებას უნდა გულისხმობდეს HI-ის ზემოთ მოყვანილი მითითება: „სახარება მარტულთა“. ეს მითითება (საკითხავის დასაწყისის ჩვენების გარეშე) გულისხმობს წმიდა მოწამეთა ზოგად განგებაში სახარებას ერთადერთი საკითხავის არსებობას, რომელიც, როგორც ზემოთ

დავინახეთ, უნდა ყოფილიყო სახარების საკითხავი ლუკას თავიდან XXI, 12—19.

HI-ში სახარების საკითხავზე ამგვარი მითითება ხშირია და ყველგან ეს მითითება „წმიდა მოწამეთა“ ზოგადი განგების სახარების ერთ საკითხავს გულისხმობს. გავყევით მასალას:

<p>პ ე ტ ი ც ი ო ნ ა რ ი [ნოენბერსა] ია, ანასტასიას ცსე- ნებაჲ ბიკტორისი⁶⁶. სა ხ ა რ ე - ბ ა ა მ ო წ ა მ ე თ ა ა.</p>	<p>კ ა ნ ო ნ ი ნოემბერსა ია, ანასტასიას ცსენებაჲ ბისტორისი. ყ ო ვ ე ლ ი წ მ ი დ ა - თ ა ა (T1356).</p>
--	--

HI-ის განგება გულისხმობს სახარების მხოლოდ ერთ საკითხავს „წმიდათა მოწამეთა“ ზოგადი განგებიდან, კანონი კი—„წმიდათა მოწამეთა“ მთელი განგების შესრულებას.

<p>ი ბ. ნეტარისა ბასაჲს შენებულსა ცსენებაჲ მენაჲსი, სა ხ ა რ ე ბ ა ა მ ო წ ა მ ე თ ა ა.</p>	<p>ი ბ. ნეტარისა ბასიას შწნებულსა, ცსენებაჲ მენაჲსი. ყ ო ვ ე ლ ი წ მ ი - დ ა თ ა ა (T1357).</p>
---	---

აქაც HI-ის განგება გულისხმობს „წმიდათა მოწამეთა“ ზოგადი განგებიდან მხოლოდ სახარების ერთი საკითხავის შესრულებას, კანონი კი—„ყოველი“ (სრული) განგების შესრულებას.

<p>ი ზ. ანასტასიას ცსენებაჲ ანტონი- წსი და სხუათაჲ, სახარებაჲ მარ- ტკლთაჲ.</p>	<p>ი ზ. ანასტასიას ცსენებაჲ ანტონისი, ზაბინოჲსი, გერმანაჲსი, მენაჲსი. ყ ო - ველი მოძღუართაჲ (T 1358).</p>
--	---

HI-ში ამ დღეს ხსენება ანტონინესი და სხუათა. ამ „სხუათაში“ იგულისხმება კანონის დანარჩენი წმინდანები.

განგების თვალსაზრისით HI-თან უფრო ახლოს დგას ლატალის ხელნაწერი: „ცსენებაჲ ანტონინესი: ყ ო ვ ე ლ ი წ მ ი დ ა თ ა ა“. ლატალის ხელნაწერში დღესასწაულის განგებისათვის, ისევე როგორც HI-ში, მითითებულია „წმიდათა“ ზოგადი განგება, P-ში კი „მოძღუართა“ განგება. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაშიც HI ლატალის ნუსხასთან იჩენს სიახლოვეს.

<p>ი დ. აფთონის შწნებულსა ცსენე- ბაჲ ლეონტისი, დადგმაჲ იოჲნე ნათლისმცემლისაჲ, ელია წინაწარ- მეტყუელისაჲ. მიქაელისი და გაბრი- ელისი. სახარებაჲ მარტკლთაჲ.</p>	<p>ი დ. აფთონის შწნებულსა გესამანას თანა ცსენებაჲ წმიდისა ლეონტისი, დად- გმაჲ იოჲნე ნათლისმცემლისაჲ, ელისწ წინაწარმეტყუელისაჲ, მიქაელისი და გაბრიელისი მთავარანგელოზთაჲ“ (T 1359).</p>
--	--

P-ში მოტანილია სრული განგება, სახარების საკითხავთან დაკავშირებით კი წერია: „მათჳს თავისაჲ: „მაშინ დაუტევა იესუ ერი ივი“, კპოო ლიტანიისათა ე სახარებად“ (T 1362).

აქ ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ HI-ის 14 ნომბრის ხსენებებში უმთავრესად წინასწარმეტყველები არიან დასახელებული, სახარების საკითხავისათვის მითითებულია მარტკელითა ზოგადი განგება. ამ განგების მიხედვით კი სახარების საკითხავად განკუთვნილია ლ. XXI,

⁶⁶ IZ-შიც იკითხება „ბიკტორისი“.

12—19. P-ს მიხედვით სახარების საკითხავისათვის მითითებულია ლიტანიის ზოგადი განგების მეხუთე სახარება, რაც უდრის მათეს თავის XIII, 36—43. ლატა-ლის ლექციონარი სახარების საკითხავისათვის მიუთითებს ზატყთა ზ პარასკევის საკითხავს: ი. I, 43—51. ამრიგად, ამ სამ ლექციონარში ერთი და იმავე დღის განგებისათვის მითითებულია სახარების სამი სხვადასხვა საკითხავი.

HI-ში სახარების საკითხავებისათვის მარტივლთა ზოგად განგებაზე მითითება კიდევ რამდენიმე სხენებასთან არის მოტანილი. ესენია: 17, 19, 21, 25 ნოემბერის სხენებზე. სხვა დღეებზე მითითებულია იმ დღესასწაულთა განგებები, სადაც სახარების საკითხავის სრული ტექსტია მოტანილი. ამ შემთხვევაშიც HI აჩენს ზოგიერთ საყურადღებო სხვაობას P-სთან შედარებით.

ნოემბერსა კვ. მოწაფეთას საქსენე- ბელი პეტრე პატრე არქი- სა ე იწრუსალემელისაჲ. სახარე- ბაჲ: „მე ვარ მწყემსი კეთილი“ — ჰპოვე ბზობისა პარასკე- ვისა (ი. X, 11—16).	ნოემბერსა კვ. ქსენებაჲ პეტრე მოციქულისა ე... სახარებაჲ მა- თესი: „მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ— ჰპოო იანვარსაჲ (მ. XIII, 44— 52). (T 1384).
--	--

მარხვის ნაწილი HI-ს არ შემოუნახავს, HI-ში დასაწყისით მოტანილი სახარების საკითხავის სრული ტექსტი კი მართლაც ბზობის პარასკევის განგებაშია შეტანილი (T 568).

HI-ში 26 ნოემბერი განკუთვნილია პეტრე პატრიარქის სხენებისათვის, ისევე, როგორც L-სა და იოანე-ზოსიმეს კალენდარში, P-ში კი—პეტრე მოციქულისათვის. ე. გარიტი ვარაუდობს, რომ იოანე-ზოსიმეს კალენდრის პეტრე პატრიარქი უნდა იყოს იერუსალიმის ეპისკოპოსი პეტრე († 552), ვინაიდან წმ. ადგილი „მოწამეთაჲ,“ რომელიც იოანე-ზოსიმეს კალენდარში ხშირად მოიხსენიება, ყოველთვის პეტრე ეპისკოპოსის სახელთან არის დაკავშირებული⁶⁰. ე. გარიტის ეს ვარაუდი შეიძლება გავავრცელოთ HI-სა და L ხელნაწერებზე. აქედან კი შეიძლება დავასკვნათ, რომ HI-ში შეტანილია ისეთი წმინდანის სხენება, რომელიც ლექციონარში VI საუკ. II ნახევარზე ადრე ვერ მოხვდებოდა.

ჰემეტი ლექციონარი	სომხური ლექციონარი	კანონი
წნომებრსა ლ. ანასტასიას ქსენებაჲ ანდრია მოციქულისაჲ. სახარებაჲ ჰპოვეო აპრილსა კთ.	30 ნოემბერი, ანდრია მოციქულის სხენება. ფსალმ. XV: II, 5. I კორინთელთა XII, 26—XIV, 4. ალელუა-ფსალმუნე 94. სახარება—იოანე, I, 35—44.	ნოემბერსა ლ. ანასტასიას ქსენებაჲ ანდრია მოციქულისაჲ. ყოველი ჰპოო აპრილსა კთ (1392).

HI-სა და P-ში ანდრიას დღესასწაულის განგებისათვის მითითებულია 29 აპრილი. ამ დღესასწაულს HI არ შეიცავს მისი დეფექტურობის გამო. P-ში კი ამ

⁶⁰ G a r i t t e, Calendrier, გვ. 171, 395. საინტერესოა ფაქტი HI-ის, L-ისა და იოანე-ზოსიმეს კალენდრის ცნობათა ხშირი დამთხვევისა. ეს მოწმობს იმას, რომ ლექციონარის ის ნუსხა, რომელიც იოანე-ზოსიმეს კალენდრის ერთ-ერთი წყარო იყო, რედაქციულად იდგა HI-სა და L-თან.

დღის განგება მოტანილი არ არის და მითითებულია მოციქულთა ზოგადი განგება („ყოველი მოციქულთაჲ“). გაკვირვებას იწვევს P-ში 30 ნომბრის განგებაზე მითითების ეს გართულებული გზა. უფრო მარტივი იქნებოდა პირდაპირ მოციქულთა ზოგად განგებაზე მითითება 29 აპრილის გარეშე. P-ს მოციქულთა ზოგადი განგება შეიცავს მრავალ ელემენტს, მხოლოდ სახარების შვიდი საკითხავია (მათეს, მარკოზის და ლუკას თავებიდან). P-სა და A1-ს საერთო აქვთ განგების ერთი ნაწილი: ფსალმუნა XVIII,5 (T 1455) და I კორინთელთა XII, 26—31 (T 1458). A1-ის სახარების საკითხავი (ი. I,35—44) P-ს მოციქულთა ზოგად განგებაში არ იძებნება. თუ დავეუშვებთ, რომ H1-ში 29 აპრილის დღესასწაულს, მსგავსად P-სი, არ ჰქონდა საკუთარი განგება და 30 ნომბრის სახარების საკითხავისათვის იქაც მითითებული იყო მოციქულთა ზოგადი განგება იმავე მასალით, როგორც P-შია, მაშინ H1-ის საკითხავის გამოყოფა P-ს მოციქულთა ზოგადი განგების შვიდი საკითხავიდან შეუძლებელი იქნებოდა, ვინაიდან H1-ში საკითხავის დასაწყისი მოტანილი არ არის. მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ H1-ში 29 აპრილის დღესასწაულს თავიდანვე ჰქონდა საკუთარი განგება, მითითებით სახარების ერთ საკითხავზე, რაც გამოირიცხავდა მითითებას მოციქულთა ზოგად განგებაზე. ამგვარი დაშვების შესაძლებლობას მხარს უჭერს L, სადაც 29 აპრილს აქვს თავისი განგება, რომელიც შეიცავს: ფსალმუნს (XVIII,5), საკითხავს პავლენიდან (I კორინთ. XII,9), ალელუას და ერთ საკითხავს სახარებიდან (ი. I,34—42. T 938 სქ.). ამრიგად, L-ის 29 აპრილის განგებაში მითითებულია სახარების ერთადერთი საკითხავი (ი. I,34—42), რომელსაც უნდა გულისხმობდეს H1-ის 30 ნომბრის (ანდრია მოციქულის დღესასწაულის) განგებაც და რომელიც, სხვა ელემენტებთან ერთად, სავსებით ხედება სომხური ლექციონარის 30 ნომბრის განგებას. ამავე დროს, სახარების ეს საკითხავი არ არის შეტანილი P-ს მოციქულთა ზოგადი განგების შვიდ საკითხავთა შორის, რაც იმას უნდა მოწმობდეს, რომ P-ს განგებებმა ზოგად განგებებზე გადასვლის პროცესში განიცადეს ცვლილებები და დაშორდნენ თავის თავდაპირველ სახეს, რომელიც შემოინახეს H1-მა, A1-მა და L-მა⁷⁰.

წარმოდგენილი მასალა იმასაც მოწმობს, რომ ლექციონარებში კერძოდან ზოგად განგებებზე გადასვლა თანდათანობითი პროცესი იყო.⁷¹ ვინაიდან კალენდრის შეესება პირველ რიგში მოწამეთა ხსენებით ხდებოდა, ბუნებრივია, ზოგადი განგებაც, პირველ ყოვლისა, „წმიდათა მოწამეთათჳს“ ანუ „მარტულთათჳს“ უნდა შემდგარიყო. „მოწამეთა“ ზოგადი განგება H1-ში უკვე დასტურდება, მაგრამ აქ ჭერ კიდევ არ არის შეტანილი მოციქულთა ზოგადი განგება, რომელიც შესულია P-ში. თუ რა ვითარება უნდა ყოფილიყო სხვა ზოგადი განგებების მხრივ H1-ში, ამის მასალას H1-ის მცირე ფრაგმენტი არ გვა-

⁷⁰ ახსნა ეძებნება პარიზის ლექციონარში 30 ნომბრის განგებაზე არაპირდაპირ (29 აპრილის მეშვეობით) მითითებას. ეს მითითება თავდაპირველად მაშინ უნდა გაკეთებულიყო, როდესაც 29 აპრილის ანდრია მოციქულის ხსენების დღეს თავისი საკუთარი განგება ჰქონდა, როგორც ეს არის ლატალის ლექციონარში. მაგრამ დროთა ვითარებაში ლექციონარში 29 აპრილის ანდრია მოციქულის კონკრეტული განგება მოციქულთა ზოგადი განგებით შეიცვალა, ხოლო სათანადო ცვლილება 30 ნომბრის ზემოთ მოხსენიებულ შენიშვნაში არ იქნა შეტანილი (მითითება კვლავ 29 აპრილის კერძო განგებას გულისხმობდა), რამაც გამოიწვია ამ დღესასწაულისათვის ზოგად განგებაზე მითითების გართულებული გზა.

⁷¹ უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 747—749.

წვდის. HI-ის მეორე ფრაგმენტის გაშიფრვამ, შესაძლებელია, ამ საკითხის შესწავლისათვის დამატებითი მასალა გამოავლინოს.

შედარებამ კალენდრის თვალსაზრისითაც საინტერესო სურათი წარმოაჩინა: HI-ს აკლია 24 ნოემბრის ხსენება ალაბი მოწამისა, აკლია ეს ხსენება L-საც. შეტანილია P-ში. HI-ს აკლია აგრეთვე 28 და 29 ნოემბრის ხსენებები. ასევე აკლია ეს ხსენებები L-ს, შესულია P-ში.

HI-ის კალენდარზე მსჯელობა ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტის მიხედვით ძნელია. ერთის თქმა კი ნამდვილად შეიძლება, რომ კალენდრის თვალსაზრისითაც HI უფრო ახლოს დგას L-თან და P-სთან შედარებით უფრო მოკლეა. HI და L ხელნაწერებმა იერუსალიმური ლექციონარის კალენდრის უფრო არქაული სახე შემოგვიჩვენეს.

HI-ის ფრაგმენტის სიმცარის მიუხედავად, მსჯელობა მის თავდაპირველ მოცულობაზე და შედგენილობაზე მაინც შესაძლებელია იმ მითითებების საფუძველზე, რომლებიც ახლავს ცალკეულ ხსენებებს. HI-ის სრული ტექსტი შეიცავდა, როგორც ჩანს, მთელი წლის მასალას—საუფლო დღესასწაულებს და საკმაოდ სრულად წარმოდგენილ საწელიწადო ნაწილს (დაახლოებით L-ის ფარგლებში) მარხვან-ზატიკის ციკლით. HI-ს, ისევე როგორც L და P ლექციონარებს, ერთვოდა ზოგადი განგებები, ოღონდ შეზღუდული რაოდენობით. მაგრამ, ზემოთ მოხმობილი ყველა ლექციონარისაგან განსხვავებით, HI-ს ერთი თავისებურება ახასიათებს: დღესასწაულთა განგებაში მითითებულია და მოტანილი საკითხავები მხოლოდ ოთხთავიდან. HI-ში არ ჩანს ძველი და ახალი აღთქმის სხვა წიგნების მასალა. არ ჩანს არც ფსალმუნური საგალობლები (ეს მასალა კი წარმოდგენილია როგორც უძველეს AI-ში, ასევე GrI-ის ფრაგმენტებში). არ ჩანს არც პოეტური ტროპარები, რომელთაც კანონის დადგენილ სტრუქტურაში თავისი ადგილი აქვთ მიკუთვნებული. მეორეს მხრივ, ჩვენ ზემოთ წარმოადგინეთ მასალა იმის დასამტკიცებლად, რომ HI ყველა ნიშნით არის კანონის რედაქციის ლექციონარი, ოღონდ მისი ადრეული სახე. ამიტომ HI-ის ამ თავისებურებას მისი განსაკუთრებული სიძველით ან რედაქციული განსხვავებულობით ვერ ავხსნით.

ფიქრობთ, ამ ფაქტს ერთადერთი ახსნა შეიძლება ჰქონდეს: HI წარმოდგენს კანონის ტიპის ლექციონარიდან გამოკრებილ მთელი წლის სახარების საკითხავების კრებულს.

თუ ასე შევხედავთ HI-ს, მაშინ ერთმანეთთან ადვილად შესათავსებელი იქნება, ერთის მხრივ, დიდი მსგავსება HI-სა და კანონს შორის, რომელიც ქართული იერუსალიმური ლექციონარის ყველაზე განვითარებულ სახეს წარმოადგენს. და, მეორეს მხრივ, HI-ის განგებების უკიდურესი სიმარტივე, რომლითაც ის გამოირჩევა ლექციონარის ყველაზე არქაული რედაქციებისაგანაც კი (AI-ისა და GrI-ისაგან).

ამრიგად, HI-ის განგების უკიდურესი სიმარტივე არ შეიძლება აიხსნას მისი არქაული ხასიათით. რედაქციულად ის სომხურ და ხანმეტ ლექციონარებზე უფრო გვიანდელია და ასახავს კანონის ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპს. აშკარა გამოკრებილი ლექციონარის შექმნას კი, ალბათ, თავისი მიზეზიც ჰქონდა და მიზანიც. პრაქტიკული მიზეზებით ლიტურგიკული ხელნაწერებას შეერთება თუ შემადგენელ ნაწილებად დაშლა ფართოდ ყოფილა

გავრცელებული X საუკუნის პალესტინის ქართველ მოღვაწეთა შორის. ამის ყველაზე მკაფიო მაგალითია, ერთის მხრივ, ცნობილი ქართველი მოღვაწისა და ლიტურგისტის იოანე-ზოსიმეს ხელიდან გამოსული გამოკრებილი „მცირე კანონი“ (Sin. 37), მეორეს მხრივ, იმავე იოანე-ზოსიმეს შედგენილი ლიტურგიკული კრებული Sin. 34. როგორც ჩანს, ლიტურგიკულ ძეგლთა გამოკრება-შეერთების ტენდენცია უფრო ადრეც ყოფილა გავრცელებული, რასაც გვიდასტურებს HI. ამრიგად, HI-ის ფრაგმენტის შედარებამ ქართულ და სომხურ ლექციონარებთან შემდეგი სურათი წარმოაჩინა:

1. HI წარმოადგენს სრული ლექციონარიდან გამოკრებილ სახარების საკითხავებს, გაწყობილს ლექციონარის კალენდარზე.

2. HI-ის კალენდარი უფრო ვრცელია AI-ზე, უფრო მოკლეა P-ზე, გვერდში უდგას L-ს. HI-ის კალენდარი შეიცავს VI საუკ. II ნახევარში შეტანილ ხსენებასაც.

3. განგების მხრივ HI დიდ სიახლოვეს იჩენს L-თან, საერთო ფუძე აქვს სომხურ ლექციონართან, ზოგჯერ სხვაობს P-საგან.

4. HI უკვე იცნობს ზოგად განგებას. ზოგად განგებაში კომპონენტების რაოდენობით HI ჩამორჩება P-ს და უახლოვდება L-ს.

ზოგადი განგებების სისტემის შემუშავება განაპირობა ლექციონარის კალენდრის ზრდამ. ზოგადი განგებები თანდათან ერთოდა ლექციონარს. რაც უფრო ვრცელია ლექციონარის კალენდარი და რაც უფრო მდიდარია იგი ზოგადი განგებებით, მით უფრო გრძელია ლექციონარის განვითარების გზა. ამ თვალსაზრისით HI დგას ხანმეტ ლექციონარსა (ყველაზე ადრეულ ნუსხასა) და პარიზის ლექციონარს (ყველაზე გვიანდელ ნუსხას) შორის და განვითარების დონით დიდ სიახლოვეს იჩენს ლატალის ნუსხასთან. ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით ჰემეტი ლექციონარი არ შეიძლება მივიჩნიოთ კანონის უძველეს და დამოუკიდებელ თარგმანად.

HI-ის მიმართება ქართულ ლექციონარებთან მოწმობს, რომ იერუსალიმური ლექციონარის ჩვენამდე მოღწეული ნუსხები ერთი ბერძნული დედნის თარგმანიდან მომდინარეობენ და ამ თარგმანის შემდგომი შევსება-განვითარების სხვადასხვა ეტაპს ასახავენ. ძირითადი შევსება და გადამუშავება უძველესი ლექციონარისა მოხდა მაშინ, როდესაც მან ეამისწირვებთან ერთად შეიმატა ამ რიტუალთან დაკავშირებული პოეტური მონოსტროფებიც და ლამისთევის პოეტური დასდებლებიც. ამ გზით ჩამოყალიბდა ქართული ლექციონარის ყველაზე განვითარებული სახე (გვიანდელი რედაქცია) — კანონი, რომელიც X საუკუნის გასულამდე მოქმედებს იერუსალიმურ ღვთისმსახურებაში. HI, ლექციონარის L ნუსხასთან ერთად, კანონის განვითარების ადრეულ ეტაპს უნდა მივაკუთვნოთ.

თუ ჩვენი მსჯელობა ქართული იერუსალიმური ლექციონარის ნუსხათა ურთიერთმიმართების შესახებ დამაჯერებელია და ლექციონარის ეს ნუსხები ერთი ბერძნული დედნიდან მომდინარე ერთი თარგმანის შევსება-განვითარების სხვადასხვა ეტაპს ასახავენ, მაშინ, ბუნებრივია, კ. კეკელიძის შემოთავაზებული ლექციონარის თარგმანის თარიღი (VIII ს. შუა წლები) ეპვის ქვეშ დადგება⁷².

⁷² ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მომზადდება ქართული

ვფიქრობთ, ქართული ლექციონარის ისტორია უნდა დავიწყოთ ხანმეტი ლექციონარით, რომლის თარგმნის დრო VI საუკუნის დამდეგს არ უნდა სცილდებოდეს.

განვითარების სხვადასხვა ეტაპების ამსახველი ლექციონარების ღვთისმსახურებაში მოქმედების ქრონოლოგიური ფარგლებია VI—X საუკუნეები. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში დგება საკითხი: როდის და რა პირობებში გამოეყო უძველესი იადგარი ცალკე ჰიმნოგრაფიულ კრებულად იერუსალიმურ ლექციონარს და რა დანიშნულება ჰქონდა მას დაკისრებული გამოყოფის შემდეგ.

უძველესი იადგარის ცალკე კრებულად გამოყოფის დრო და პირობები

შეიძლება თუ არა მიახლოებით მაინც განსაზღვრა იმისა, თუ რა ვითარებაში, როდის და რა მიზნით გამოეყო უძველესი იადგარი ლექციონარს?

უძველესი იადგარი ლექციონარს გამოეყო როგორც ჰიმნოგრაფიული კრებული, რომელსაც ლექციონარის ჰიმნოგრაფიული დანართის ფუნქცია დაეკისრა. ლექციონარი და უძველესი იადგარი ერთად შეიცავდნენ იერუსალიმური ღვთისმსახურებისათვის სავალდებულო თითქმის ყველა ელემენტს.

იადგარის გამოყოფით ლექციონარის მასალა გაიყო ორად. ლექციონარში დარჩა საკითხავები, ე. ი. მისი ძირითადი ნაწილი და ტექსტების დასაწყისებში წარმოდგენილი პოეტური ტროპარები ჟამისწირვის მონოსტროფები. შუალაშის დასდებლები, მწუხრის ოხითები და ზოგიერთი სხვა დანიშნულების პოეტური ტროპარები), რომელთაც უძველესი იადგარის გამოყოფის დროისათვის უკვე მიკუთვნებული ჰქონდათ ლექციონარში თავისი დადგენილი ადგილი. უნდა ვიფიქროთ, რომ იადგარის გამოყოფამდე პოეტური ტროპარები ლექციონარში სრული ტექსტებით იქნებოდა წარმოდგენილი.

ის გარემოება, რომ იადგარის გამოყოფის დროისათვის ლექციონარი შეიცავდა პოეტური ტროპარების გარკვეულ სახეობებს, რომელთაც არ იცნობენ სომხური და ხანმეტი ლექციონარები, საშუალებას გვაძლევს შემოვფარგლოთ იადგარის ლექციონარისაგან გამოყოფის ქვემო ქრონოლოგიური საზღვარი და განვსაზღვროთ თავისებურება იერუსალიმური ლექციონარის. იმ რედაქციისა, რომელზედაც აღმოცენდა უძველესი იადგარი.

გამოკვლევის წინა თავში შევეცადეთ გვეჩვენებინა ქართული იერუსალიმური ლექციონარის განვითარების გრძელი გზა. ყველაზე ადრეული რედაქცია ლექციონარისა (ხანმეტი ლექციონარი), რომელიც V საუკ. II ნახევარის ღვთისმსახურების იერუსალიმურ პრაქტიკას ასახავს, ტიპოლოგიურად უახლოვდება სომხურ ლექციონარს და თარგმნილი უნდა იყოს V საუკუნეში ან VI საუკუნის დამდეგს. სომხური ლექციონარი არ იცნობს ჟამისწირვებს. თავისი პოეტური მონოსტროფებით, ასეთივე ვითარება უნდა ვივარაუდოთ ხანმეტ ლექციონარში. ჰიმნოგრაფიული მასალა ორივე უძველეს ლექციონარში (სომხურსა და ხანმეტში) წარმოდგენილია მხოლოდ ფსალმუნური საგა-

იერუსალიმური ლექციონარის კრიტიკული გამოცემა ყველა ცნობილი ნუსხის და ახლად გამოვლენილ მასალის მიხედვით. გამოიკვთება ლექციონარის რედაქციული ჯგუფები და ანალიზი გაუკეთდება ნუსხებს შორის არსებულ ყველა ცვლილებას.

ლობლებით და რამდენიმე ისეთი საგალობლით, რომლებიც ღვთისმსახურებაში გალობათა უძველესსა და მყარ ფენას წარმოადგენენ, რის გამოც, რიგ შემთხვევაში მათი შესრულება ივარაუდება მინიშნების გარეშეც⁷³.

VI საუკუნიდან პალესტინის მონასტრების ცხოვრებაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი პოეტურმა ტროპარებმა⁷⁴, რომლებმაც თავისი ასახვა ჰპოვეს ლექციონარშიც. ბერძნული ლექციონარის შესაბამისად გაივრცო ქართული ლექციონარის კალენდარი, გამდიდრდა დღესასწაულთა განგებები პოეტური ტროპარებით (ყამისიწრვის მონოსტროფებითა და შუალამის დასდებლებით). პოეტური ტროპარების ლექციონარში შეტანა უშუალოდ იყო დაკავშირებული ღვთისმსახურების სადღეღამისო წრის ჩამოყალიბებასთან, რასაც აგრეთვე VI საუკუნეში ვარაუდობენ⁷⁵. ამავე საუკუნეში მოხდა იერუსალიმში 8 კვირიანი მარხვიდან 7 კვირიანი მარხვისაკენ შემობრუნება⁷⁶. ამრიგად, VI საუკუნის მანძილზე უკვე უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული ლექციონარის ის რედაქცია, რომელიც საფუძვლად დაედო უძველესი იაღგარის ცალკე კრებულად გამოყოფას და რომლის პოეტური მასალა მთლიანად და უცვლელი სახით გადავიდა უძველეს იაღგარში.

მაგრამ მარტო იერუსალიმური ლექციონარის ახალი ქართული რედაქციის ჩამოყალიბება ვერ იქნებოდა საქმარისი უძველესი იაღგარის ცალკე კრებულად გამოყოფისათვის, სხვა უფრო ძლიერი ფაქტორები და ტენდენციები რომ არ ამოძრავებელიყვნენ ამ პერიოდში. ეს გახლდათ ის დიდი შემოქმედებითი მუშაობა, რომელიც მიმდინარეობდა VI—VII საუკუნეების პალესტინის ბერძნულ სამყაროში ჰიმნოგრაფიის დარგში, რის შედეგადაც მოზღვავედა დიდი რაოდენობა პოეტური ტროპარებისა და ახალი პოეტური ფორმებისა (სტიქარონებისა და კანონებისა)⁷⁷, რომლებიც ენერგიულად იკავებდნენ გნას ოფიციალური ღვთისმსახურებისაკენ. ეს ტენდენცია, ვფიქრობთ, დასრულდა პირველი ბერძნული დამოუკიდებელი ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული კრებულის (უძველესი იაღგარის მოდელის) შექმნით, რომელიც, როგორც ლექციონარის დანართი, ღვთისმსახურების სამსახურში ჩაღდა.

ანალოგიური პროცესი უნდა ვივარაუდოთ ქართულ სინამდვილეში ბერძნულის კვალდაკვალ. ბერძნული მოდელის მიხედვით ქართულ ნიადაგზე ცალკე გამოიყო პირველი ჰიმნოგრაფიული კრებული, რომელსაც საფუძვლად ქართული ლექციონარის პოეტური მასალა დაედო.

⁷³ უძველესი მყარ საგალობლებიდან ხანმეტ ლექციონარში დადასტურებულია „ნათელი მზარული“ (იხ. ხანმეტი ლექციონარის დასახ. გამოცემა, გვ. 062).

⁷⁴ H. Schneider, Die biblische Oden im christlichen Altertum, Biblica, vol. 50, Roma, 1949, S. 259—260.

⁷⁵ М. А р р а н ц, История Типика (опыт). Ленинград, Дух. Академия, 1978, с. 9; Н. Д. У с п е н с к и й, Чин всеобщего бдения на православном Востоке и в русской церкви. Богословские труды, 18, 1978, с. 17.

⁷⁶ E s b r o e c k, Homélie, p. 328, 330.

⁷⁷ VI საუკუნის დასასრულსათვის პალესტინაში უკვე გავრცელებული იყო 9 ოდიანი ბიბლიური კანონი პოეტური ტროპარებით. H. Schneider, Die biblische Oden im christlichen Altertum, S. 260; M. V e l i m i r o v i č, The Byzantine Heirmos and Heirmologion, Gattungen der Musik in Einzeldarstellungen, 1. Folge, München, 1973, S. 196.

მკვლევართა განცვიფრებას ყოველთვის იწვევს ის სწრაფი რეაქცია, რომელსაც იჩენენ საბაწმიდა-სინისა თუ ათონ-შავი მთის მწიგნობრები ყოველ ახალ მოვლენაზე, რომელიც თავს იჩენს ბიზანტიის კულტურისა თუ ლიტერატურის სფეროში. ქართველი მწიგნობრები თავისი თარგმანებით კვალდაკვალ მიჰყვებიან ბიზანტიურ სასულიერო მწერლობაში მიმდინარე პროცესებს.

ლექციონარის იმ რედაქციას, რომელზეც აღმოცენდა უძველესი იადგარი, ლექციონარის X საუკუნის ყველა ნუსხასთან შედარებით უფრო მცირე მოცულობის კალენდარული წრე უნდა ჰქონოდა. ასევე პირველი იადგარიც, რათქმა უნდა, არ შეიძლება ყოფილიყო ჩვენთვის ცნობილი უძველესი იადგარის ნუსხათა ფარდი. ლექციონარმაც და უძველესმა იადგარმაც თავისი არსებობის 4—5 საუკუნის მანძილზე საგრძნობლად იცვალეს თავდაპირველი სახე. ის ძირითადი ცვლილებები, რაც განიცადეს ლექციონარმა და უძველესმა იადგარმა, ნაჩვენებია გამოკვლევაში, რამდენადაც ეს შესაძლებელია მასალის სიმცირისა და საკითხის შესწავლის დღევანდელი დონის პირობებში.

მაგრამ ეს ზოგადი მსჯელობა მაინც არ ქმნის მყარ საფუძველს უძველესი იადგარის ცალკე წიგნად გამოყოფის ქრონოლოგიური ფარგლების შემოსაზღვრისათვის. ამ ფარგლების დადგენაში გარკვეული დახმარების გაწევა შეუძლია უძველესი იადგარის კალენდარს.

გამოკვლევის იმ ნაწილში, სადაც განხილულია კანონისა და უძველესი იადგარის შედგენილობა, იადგარის სხვადასხვა ნუსხის ანალიზის საფუძველზე დამტკიცებულია, რომ უძველესი იადგარის კალენდარი ხარებით იწყება⁷⁸. ასევე კანონის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ხარება უნდა ყოფილიყო კალენდარის დასაწყისში. ხარებით იწყება უძველესი ქართული მრავალთავის კალენდარიც, უძველესი სომხური ლექციონარის კალენდარი კი — 6 იანვრით (განცხადებით). ეს დღესასწაული მონოფიზიტური მრწამსის შესაბამისად ერთდროულად შობასაც გულისხმობს და ნათლისღებასაც. ამის კვალობაზე მიგებება (შობიდან მეორმოცე დღე) სომხური ლექციონარში დადებულია 14 თებერვალს⁷⁹. ხარების დღესასწაულს კი სომხური ლექციონარი არ იცნობს. ამ სახით სომხური კალენდარი ასახავს V საუკუნის პირველი ნახევრის სარწმუნოებრივ ვითარებას, როდესაც იერუსალიმში მონოფიზიტური ქრისტოლოგია ბატონობდა.

ქართულ ლექციონარში შობა გამიჯნულია ნათლისღებისაგან, როგორც ამას დიოფიზიტური ქრისტოლოგია მოითხოვდა. მაგრამ, როგორც ჩანს, იერუსალიმში შობის დღესასწაულის თავის უფლებებში აღდგენა უმტკივნეულოდ არ მომხდარა. შობის დღესასწაულის აღდგენისათვის საჭირო გამხდარა ხარების დღესასწაულის დაწესება. მ. ვან ესბროკი ქართული უძველესი მრავალთავისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში საგანგებოდ იკვლევს მრავალთავის წელიწადს, რომელიც ხარებით იწყება, და გვაწვდის დასაბუთებულ ახსნას ამ დღესასწაულის დაწესების დროის შესახებ⁸⁰. მ. ვან ესბროკის კონცეფციისა-

⁷⁸ აქვე, გვ. 711—714.

⁷⁹ Renou x, Codex 121. Edition, p. 229.

⁸⁰ Esbroeck, Homélique. მრავალთავის ლიტურგიული ციკლის შესწავლას ავტორი ცალკე თავს უთმობს. გვ. 325—346.

თვის ამოსავალია იუსტინიანეს 560 წლის წერილი, რომელიც ჩართულია მხოლოდ ქართული მრავალთავის ხარების ციკლის მასალაში⁸¹, და მიმართულია იერუსალიმის ქრისტიანული მოსახლეობისადმი, რომელიც VI საუკუნის 90-იან წლებში, მონოფიზიტური მრწამსის შესაბამისად, შობასა და განცხადებას ერთად დღესასწაულობდა 6 იანვარს. იუსტინიანეს საღირებეტივო წერილის მიზანი იყო გაეთიშა ეს ორი დღესასწაული და შობა თავის უფლებებში აღედგინა, ამიტომ მან საუფლო დღესასწაულების რიგში შემოიტანა ხარება (25 მარტი) და აქედან აწარმოა ათვლა მასზე დამოკიდებული დღესასწაულებისა: იოანე ნათლისმცემლის შობისა (25 ივნისი), ქრისტეს შობისა (25 დეკემბერი), მირქმისა (2 თებერვალი). ამ გზით დადგინდა ხარების დღესასწაული და გაიმიჯნა ქრისტეს შობისა და ნათლისღების დღესასწაულები, რაც ქრისტეს ორი ბუნების აღიარებას ნიშნავდა.

მ. ვან ესბროკი ვარაუდობს, რომ იერუსალიმში ხარების დღესასწაულის შემოღება და ქართული მრავალთავის ეორტალოგიური ციკლის დასაწყისში მისი მოთავსება უნდა მომხდარიყო 570-იან წლებში, იუსტინიანეს მემკვიდრე იუსტინეს დროს. იერუსალიმის ეორტალოგიურ სისტემაში ცვლილებების შეტანას მ. ვან ესბროკი უკავშირებს მწვავე დოქტრინალური ხასიათის ბრძოლებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ VI საუკუნის იერუსალიმში და რომლის გადაწყვეტასაც შეეცადა იუსტინიანე⁸².

მოტანილი ცნობებიდან ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ კანონის ეორტალოგიურ ციკლს, ისევე როგორც მრავალთავებისას, VI საუკუნის 70-იან წლებში განუცდია ცვლილებები⁸³ იერუსალიმში მიმდინარე ქრისტოლოგიურ-დოგმატური ხასიათის ბრძოლების ნიადაგზე, რაც გამოიხატა ხარების დღესასწაულის შობის წინ (კალენდრის დასაწყისში) მოთავსებაში. თავის მხრივ, ლექციონარის კალენდრის ეს თავისებურება გადავიდა მასზე დამოკიდებულ უძველეს იადგარში.

ხარების ახლად შემოღებული დღესასწაულის მოთავსებას ლექციონარის კალენდრის დასაწყისში გამართლება ექნებოდა მხოლოდ ამ დღესასწაულის შემოღების დროისათვის და ერთხანს ამის შემდეგაც, ვინაიდან ხარება ქრის-

⁸¹ იუსტინიანეს წერილი პირველად გამოაქვეყნა და შეაფასა კ. კ ე ე ლ ი ძ ე მ (იხ. К вопросу о времени празднования Рождества Христова в древности: Труды Киевской духовной академии, 1905, № 1, с. 1—10). ამ წერილის ისტორიულ შინაარსს სრული ნდობა გამოუცხადა და განიხილა იუსტინიანეს სარწმუნოებრივი პოლიტიკის თვალსაზრისით მ. ვან ესბროკმა (იხ. La lettre de l'empereur Justinian sur l'Annonciation et la Noël en 561: Anal. Boll., t. 86, fasc. 3—4. მისივე, Encore la lettre de Justinian. Sa date: 560 et non 561. Anal. Boll., t. 87, p. 442—444).

⁸² შობა ამ დროს 25 დეკემბერს იღვწასწაულებოდა რომსა და კონსტანტინოპოლში. შობის დღესასწაული გახდა მწვავე დოქტრინალური ბრძოლის სავანი მას შემდეგ, რაც გაძლიერდა მონოფიზიტობა. შობამ ოფიციალური სანქციონირება მიიღო ქალკედონის მსოფლიო კრებაზე (451 წ.). მისი დამკვიდრებელი იყო იერუსალიმის ეპისკოპოსი იუბენალი, რომელიც კრებაზე იერუსალიმის მორწმუნეთა ორთოდოქსალურ ნაწილს წარმოადგენდა. იუბენალის გარდაცვალების შემდეგ (458 წ.) შობა კვლავ აღკვეთეს, ამიტომ ამ დღესასწაულის კანონიერების საკითხი კვლავ დაისვა იერუსალიმში უკვე VI საუკუნეში.

⁸³ მ. ვან ესბროკი ვარაუდობს, რომ 567—68 წწ. უნდა ყოფილიყო დეკრეტი 25 დეკემბერს შობის დღესასწაულის დაწესების შესახებ: La lettre de l'empereur Justinian sur l'Annonciation et la Noël en 561. Anal. Boll., t. 86, fasc. 3—4, p. 371.

ტოლოგიურ-დოგმატური საფუძველი იყო შობის დღესასწაულის აღდგენისა და კანონიზაციისათვის. მაგრამ გარკვეული დროიდან, როდესაც შობამ განიმტკიცა თავისი უფლებები და ამ გზით უნიფიცირებულ იქნა შობის დღესასწაული იერუსალიმში, რომსა და ალექსანდრიაში, ეს საფუძველი აღარ იყო საჭირო. ამ დროიდან ხარებამაც დასაწყისიდან თავის ადგილზე (25 მარტზე) გადაინაცვლა. ამ სახითაა უკვე წარმოდგენილი ლექციონარის X—XI სს. ნუსხებში ხარება.

რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ხარების დღესასწაულმა კალენდრის დასაწყისიდან მხოლოდ ლექციონარში გადაინაცვლა 25 მარტზე. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ამ ლიტურგიკულ ძეგლთა სპეციფიკაშია საძებარი. იერუსალიმური ლექციონარი იყო V—X საუკუნეების იერუსალიმური ღვთისმსახურების უნივერსალური წიგნი, რომელიც წარმართავდა ყოველდღიურ ღვთისმსახურებას. ამიტომ ის სწრაფად ითვისებდა ყოველგვარ ცვლილებასა და სიახლეს, რითაც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი ნაკარნახევი — დოქტრინალური თუ პრაქტიკული მოტივებით. მრავალთავი და უძველესი იადგარი კი წარმოადგენდნენ ლექციონარის ერთგვარ დანამატს, რომლითაც ივსებოდა იერუსალიმური ღვთისმსახურება ჰიმნოგრაფიული და ჰომილეტიკური მასალით. ამდენად, მრავალთავისა და უძველესი იადგარის კალენდრებს თავისთავადი მნიშვნელობა არ ჰქონდათ. ვფიქრობთ, ამიტომ ამ ორმა უძველესმა ლიტურგიკულმა ძეგლმა შეინარჩუნა კალენდრის არქაული სახე.

ამრიგად, VI საუკუნის დამლევეს, 70-იან წლებში, კანონის კალენდარმა განიცადა ცვლილება: შობისა და შირქმის დღესასწაულთა კანონიზაციის მიზნით კალენდარს წაემძღვარა ხარების დღესასწაული. ეს კალენდრული თავისებურება ლექციონარიდან გამოყოფისას გადაიღო იადგარმა. ამის მიხედვით უძველესი იადგარის ლექციონარისაგან ცალკე კრებულად გამოყოფის ქვედა ქრონოლოგიურ მიჯნად VI საუკუნის 70-იანი წლები უნდა მივიჩნიოთ, ხოლო ზედა ქრონოლოგიურ საზღვრად კი — მომდევნო პერიოდი იმ დრომდე, სანამ ლექციონარში ხარება წლის კალენდარში თავის კუთვნილ ადგილზე (25 მარტი) გადაინაცვლებდა. ეს პერიოდი, საფიქრებელია, არ გადასცდებოდა VII საუკუნის შუა წლებს.

ლექციონარის ჰიმნოგრაფიული მასალის საფუძველზე უძველესი იადგარის ცალკე ჰიმნოგრაფიულ კრებულად გამოყოფა ქართულ სინამდვილეში ბერძნულის პარალელურად და ბერძნულის შესაბამისად ხდებოდა, მაგრამ არც იერუსალიმური ლექციონარისა და არც უძველესი იადგარის ბერძნულ მოდელებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ.

ამრიგად, ვვარაუდობთ, რომ არა უგვიანეს VII საუკუნის შუა წლებისა, კანონის საფუძველზე ჩამოყალიბდა პირველი ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული კრებული, რომელიც კანონის ჰიმნოგრაფიულ დანართს წარმოადგენდა.

იადგარის ცალკე ჰიმნოგრაფიულ კრებულად გამოყოფის აუცილებლობა გამოიწვია ლექციონარის ახალი რედაქციის — კანონის ჰიმნოგრაფიული მასალით გამდიდრებამ და პერსპექტივაში ჰიმნოგრაფიის როლის გაზრდის აუცილებლობამ ღვთისმსახურებაში, რაც იადგარის შემდგომ შევსებაში გამოიხატა, ამიტომ იადგარის ცალკე კრებულად გამოყოფას დიდად ვერ დაუპყრობთ ლექციონარის ახალი რედაქციის (კანონის) ჩამოყალიბების დროს.

ლექციონარის ახალი რედაქციის (კანონის) ბერძნული მოდელის ჩამოყალიბებას კ. კეკელიძე და ა. ბაუმშტარცი VII საუკუნით ფარგლავენ. ორივე ავტორის მსჯელობისათვის ამოსავალი ქართული ლექციონარის განვითარებული კალენდარი, რომელიც KaL ლექციონარებმა შემოგვინახეს IX—X საუკუნეების ხელნაწერებში⁸⁴.

როგორც ზემოთ მსჯელობიდან გამოჩნდა, უძველესი იადგარის ცალკე კრებულად გამოყოფის დროც დაახლოებით ასევე უნდა განისაზღვროს. ამავე დროს უქეკოა, რომ უძველესი იადგარი გამოეყო კანონის ქართულ რედაქციას როგორც მისივე დამატება, ამდენად, ამ დროისათვის კანონის ქართული რედაქცია უკვე არსებულა როგორც უფრო ადრეული რედაქციის (ხანშეტის ტიპის) ბერძნული ლექციონარის შესაბამისად შევისებულ-გადამუშავებული ვარიანტი, პოეტური ტროპარებით გამდიდრებული.

ამ მოსაზრების შემოწმება ანალოგიურ ბერძნულ მასალაზე შეუძლებელია, ვინაიდან არ შემონახულა ბერძნული არც იერუსალიმური ტიპის ლექციონარი და არც უძველესი (პირველი) ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებული. მაგრამ მათ უქეკო არსებობაზე, სხვა მონაცემებთან ერთად, მიუთითებს ქართული კანონისა და უძველესი იადგარის ერთი წყება ტროპარების ბერძნული მოდელების დადასტურება გვიანდელ ლიტურგიკულ პრაქტიკაზე აღმოცენებულ ბერძნულ ლიტურგიკულ წიგნებში. ეს ის მასალაა, რომელმაც ბერძნული ლექციონარიდან გაჟონა უფრო გვიანდელ ლიტურგიკულ წიგნებში.

მეორეს მხრივ, X საუკუნის ქართული სინური ხელნაწერის (Sin. 11) ერთ-ერთმა მინაწერმა, რომელიც შესრულებულია ტექსტისავე ხელით, შემოგვინახა უძველესი ბერძნული ჰიმნოგრაფიული კრებულის სახელწოდება „ტროპოლოგიაონი“ და მისი ქართული შესატყვისი „იადგარი“⁸⁵. ეს მინაწერი, შესრულებული X ს. პალესტინის ერთ-ერთ უძველეს ქართულ ჰიმნოგრაფიულ ცენტრში, სწორედ უნდა გადმოსცემდეს ამ ბერძნულ-ქართულ ლიტურგიკულ ტერმინთა ურთიერთმიმართებას. ამიტომ უნდა ეიფიქროთ, რომ უძველესი ბერძნული ჰიმნოგრაფიული კრებული თავდაპირველად შეიცავდა მხოლოდ პოეტურ ტროპარებს. საეფიქრებელია, რომ ბერძნული ტროპოლოგიაონი ის პირველი ჰიმნოგრაფიული კრებული იყო, რომელიც ბერძნული იერუსალიმური ლექციონარისაგან გამოყოფის დროისათვის დაკომპლექტებული იყო ამ ლექციონარის პოეტური ტროპარებით. ასეთივე ვითარება უნდა ყოფილიყო უძველეს იადგარში იერუსალიმური ლექციონარისაგან მისი გამოყოფის დროისათვის. უძველესი იადგარიც თავდაპირველად ქართულ ლექციონარისეულ პოეტურ ტროპარებს შეიცავდა. მისი შევისება სტიქარონებითა და კანონებით მოხდა შემდეგში, თანდათანობით⁸⁶.

უძველესი იადგარი კანონის ჰიმნოგრაფიულ დანართად მიაჩნია X საუკუნის ცნობილ მოღვაწესა და ლიტურგისტს იოანე-ზოსიმეს. ეს კარგად გამოჩნდა მის მიერვე შედგენილ „მცირე კანონში“ (Sin. 37). ამ ხელნაწერს კ. კეკელიძემ სპეციალური წერილი უძღვნა. მანვე უწოდა კანონის ამ რედაქციას „მცირე კანონი“ ტერმინ

⁸⁴ Нерус. Канонарь, с. 26—27.

⁸⁵ Garitte, Catalogue, p. 44.

⁸⁶ ერცლად ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 692—693.

„დიდი კანონის“ საპირისპიროდ⁸⁷. „მცირე კანონი“ შეიცავს კანონიდან გამოკრებილ მხოლოდ ხუთ საუფლო დღესასწაულს: შობას, განცხადებას, ბზობას, ვნების კვირასა და აღვსებას⁸⁸. „მცირე კანონი“ იოანე-ზოსიმემ რომ კანონიდან გამოკრება, ამას თვითონაც გვაძენობს „მცირე კანონის“ (Sin. 37-ის) ანდერძში: „დაეჩხრიკე კელითა ჩემითა ფრიად ცოდვილისათა წმიდაჲ ესე წიგნი კ ა ნ ი: ქრისტეშობაჲ, და განცხადებაჲ, და ბზობაჲ, და ვნების კკრიაკისაჲ, და აღვსებაჲ სრულიად ყოვლითა განგებითა, ვითარცა კ ა ნ ო ს ა შინა. წერილ არს“⁸⁹. ამ ანდერძში იოანე-ზოსიმე კანონს უწოდებს როგორც მის მიერ გამოკრებილ კრებულს, ასევე იმ სრულ ლექციონარსაც, საიდანაც მან გამოკრება მასალა. მაგრამ გამოკრებილი ტექსტი, გარდა განგებებისა, შეიცავს ამ ხუთი დღესასწაულისათვის განკუთვნილ ჰიმნოგრაფიულ მასალასაც, რომელიც კანონში მხოლოდ დასაწყისებითაა შეტანილი, მათი სრული ტექსტები კი უძველეს იადგარშია შესული (T App. I). ეს ჰიმნოგრაფიული მასალა იოანე-ზოსიმემ კი არ ჩართო ლექციონარის ტექსტის შესაბამის ადგილებში, არამედ დაურთო „მცირე კანონს“ დამატების სახით. ამრიგად, იოანე-ზოსიმემ შეადგინა გამოკრებილი „მცირე კანონი“, რომელსაც დაურთო შესაბამისი პოეტური მასალა უძველესი იადგარიდან. თუ რატომ შეარჩია იოანე-ზოსიმემ კანონის მხოლოდ 5 დღესასწაული, არ ჩანს, ერთი კია, რომ ეს ხუთივე განგება შეიცავს პოეტური ტროპარების განსაკუთრებით დიდ რაოდენობას: აქ, გარდა ჟამისწირვის მონოსტროფებისა, შესულია შუალამის დასდებლებიც.

„მცირე კანონის“ ჰიმნოგრაფიული დანართის შესწავლით ირკვევა არამარტო ის, რომ მისი წყარო უძველესი იადგარია, არამედ ისიც, თუ უძველესი იადგარის რომელი ტიპის ხელნაწერი ჰქონია იოანე-ზოსიმეს ხელთ. უძველესი იადგარის ჩვენამდე მოღწეული ნუსხები საესებით არ ფარავენ ერთმანეთს. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ჭილ-ეტრატში პოეტური ტროპარი სრული სახითაა მოტანილი, BC ხელნაწერებში კი—მხოლოდ დასაწყისით, ან პირიქით. იოანე-ზოსიმეს „მცირე კანონის“ წყაროდ გამოუყენებია უძველესი იადგარის B ხელნაწერი⁹⁰. ამას მოწმობს შემდეგი: დიდი ხუთშაბათის უკანასკნელი იბაკო „მცირე კანონის“ დანამატში, სხვა პოეტური მასალისაგან განსხვავებით, შეტანილია მხოლოდ დასაწყისით: „იბაკოჲ ჳჲ გ გ^ი.—შენ, რომელი შურისათჳს მიეცი კელთა ცოდვილთასა, შეიძრა დაბადებული“. ამასთან დაკავშირებით იოანე-ზოსიმე იქვე შენიშნავს: „ესე იბაკოჲ ვერასადა ვპოვე, შემინდვეთ და ლოცვა ყავთ“ (T App. I, 97). აშკარაა, რომ იოანე-ზოსიმეს ხელთ ჰქონია უძველესი იადგარის ისეთი ნუსხა, სადაც ეს იბაკო დასაწყისით იყო წარმოდგენილი. ჭილ-ეტრატის იადგარში ამ იბაკოს სრული ტექსტია მოტანილი, ხოლო დასაწყისებით (ოღონდ განსხვავებულ ადგილებზე შეწყვეტილი ტექსტებით) ეს იბაკო შესულია BC ნუსხებში⁹¹. „მცირე კანონის“ იბაკოს ტექსტი მოცულობით საესებით ხვდება უძველესი იადგარის B ნუსხის იბაკოს ტექსტის დასაწყისს. მაშასადამე, იოანე-ზოსიმემ იმიტომ ვერ მოიტანა „მცირე კა-

⁸⁷ კ. კ ე ე ლ ი ძ ე, „მცირე კანონი“ იოანე-ზოსიმეს. ეტიუდები, III, გვ. 127—133..

⁸⁸ ხელნაწერის სრული აღწერილობა იხ.: ქ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი, აღწერილობა, გვ. 83—101..

⁸⁹ კ. კ ე ე ლ ი ძ ე, „მცირე კანონი“ იოანე-ზოსიმეს, გვ. 128.

⁹⁰ აქვე, გვ. 700.

⁹¹ აქვე, გვ. 196. -

ნონის“ დანართში ამ იბაკოს სრული ტექსტი, რომ ის სარგებლობდა უძველესი იადგარის B ტიპის ხელნაწერით. იოანე-ზოსიმეს ცდა არ დაუკლია ამ იბაკოს სრული ტექსტის მოპოვებისათვის, მაგრამ ვერ მიუვინია („ვერასადა ვპოვე“).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იოანე-ზოსიმე „მცირე კანონის“ ჰიმნოგრაფიული დანართის შედგენისას ზოგჯერ სცილდება უძველესი იადგარის ფარგლებს და შემოაქვს ახალი პოეტური ფორმები. მის დროს პრაქტიკაში გავრცელებული დიდი ხუთშაბათის შუალამის პოეტური ტროპარების შემდეგ მცირე კანონში შეტანილია მეორე წყება შუალამის დასდებლებისა შენიშვნით: „დიდისა ხუთშაბათისა ს ხ უ ა ნ ი შუალამისა დასდებელნი ა ხ ა ლ ნ ი ია-ნი“ (T App. I, 99)⁹². ცნობას დიდი ხუთშაბათის „ახალი დასდებლები“ შესახებ იოანე-ზოსიმე დიდი ხუთშაბათის განგებაშივე გვაწვდის: „დიდისა ხუთშაბათისა შუალამისა დასდებელნი შკდნი არიან და ყოველი დასდებელი ვ-ვ-ჭერ ათ-ქუმის და ფსალმუნნი წ ა რ კ ე ე ვ ი თ ითქუმიან. და ყოველსა დასდებელსა და ფსალმუნსა ზედა დიდებაჲ, და კუერეჲსი, და ლოცვაჲ მუკლთმოდრეკით, და წარდგომადცა იგივე დასდებელნი ითქუმიან... სხუანი შუალამისანი იერუსალემელად ია-ნი ამათ შუალამისათა შემდგომად ხოლო ჰპოო, და ყოველი დაკლება შემინდეთ და ლოცვა ყავთ“ (T App. I, 58—59)⁹³.

ამრიგად, იოანე-ზოსიმე დროის მოთხოვნილებათა შესაბამისად მოქმედებს და „მცირე კანონის“ დანართში ზოგი რამ „ახალიც“ შემოაქვს. ასევე „ახალი“ უნდა იყოს „ოხითაჲ ჭუარისაჲ“ (T App. I, 114), რომელიც არ იძებნება უძველეს იადგარში.

„მცირე კანონის“ შედგენას კიდევ ერთი მიზანი უნდა ჰქონოდა: კანონი და იადგარი იერუსალიმური სამრევლო ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი წიგნებია. „მცირე კანონი“ კი შედგენილი და დაწერილია სინის მთაზე და ითვალისწინებს საბაწმიდის ტიპიკონის თავისებურებებსაც, რაც აშკარად ჩანს იმ ჩანართებიდან, რომლითაც სხვაობენ „მცირე კანონის“ განგებები კანონისაგან. განსაკუთრებით კარგად ჩანს ეს აღდგომის განგებაში. იოანე-ზოსიმეს აღდგომის რიტუალში შეაქვს ლოკალური საბაწმიდური ელემენტები: „ხოლო საბაწმიდას აღსებასა ცისკრად ოდეს ყოველი უამი განიშორონ, საბაჲს საფლავსა ზედა ამბორის-ყოფაჲ არს ყოველთა ძმათა ურთიერთას მიწყებითა, შემდგომითი-შემდგომად თაყუანის-ცემითა...“ (T 756 სქ.).

უძველესი იადგარის ძირითადი ნუსხები

იადგარი საგალობელთა უძველესი ქართული კრებულის სახელწოდებაა. XI საუკუნის დამდეგამდე იადგარი ერთადერთი ტერმინი ჩანს ისეთი ლიტურგიული კრებულის აღსანიშნავად, რომელშიც ქრისტიანული ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი საგალობლების მთელი წლის რეპერტუარი ერთად თავმოყრილი. იგი გარკვეული აღნაგობის, ნიშან-თვისებებისა და-ღრტურგიული ფუნქციის კრებულს გულისხმობს.

ტერმინის შემოღების საკითხი ბოლომდე ახსნილი არ არის. მიჩნეულია,

⁹² შდრ. Sin. 37, 284v—285r.

⁹³ შდრ. Sin. 37, 280r.

რომ ეს სიტყვა ქართულში საშუალო სპარსულის გზით არის შემოსული⁸⁴. იგი დადასტურებულია მანიქველურ ძეგლებში „ხსოვნის“, „სახსოვრის“, „მოგონების“ მნიშვნელობით⁸⁵. ნ. მარის აზრით, რომელიც კ. ზალემანის სტატიაშია მოყვანილი, იადგარი იმავე მნიშვნელობით ქართულშიც გვხვდება, ხოლო როგორც ძველი ქართული საეკლესიო ტერმინი, აღნიშნავს წმინდანთა მოსახსენებელ საგალობელთა კრებულს. ნ. მარის დაკვირვებით ჯერ იგი, როგორც ჩანს, ამა თუ იმ წმინდანის ყოველ ცალკეულ ჰიმნს აღნიშნავდა, ხოლო შემდეგ—ამგვარი საგალობლების შემცველ კრებულს⁸⁶. ნ. მარს უთუოდ მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ ზოგიერთი ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებში იადგარი მრავლობითის ფორმით დასტურდება: „საგალობელნი იადგარნი“ (E 143v), „იადგარანი დაჩხბეკილანი“ (C 253r). კ. ზალემანი ფიქრობს, რომ თვით მანიქველურ ძეგლებშიც „იადგარი“ საგალობელთა აღსანიშნავად უნდა იყოს ნახმარი⁸⁷.

იადგარის, როგორც გარკვეული აღნაგობისა და შინაარსის მქონე კრებულის, შესატყვისი ბერძნული ძეგლი, რომელიც ქართულის პროტოტიპი უნდა ყოფილიყო, ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის. ამიტომ არ არის ცნობილი, თუ როგორ იწოდებოდა იგი ბერძნულად. ამ თვალსაზრისით საყურადღებოდ მიგვაჩნია ერთი მინაწერი სინური ქართული კოლექციის №11 ხელნაწერიდან, რომელსაც პირველად ე. გარიტმა მიაქცია ყურადღება.¹ ხელნაწერის 17v-ს აშიაზე არის მინაწერი: „იადგარი ტროპოლოჯინ“⁸⁸. უნდა ვიფიქროთ, რომ მინაწერის ავტორი ქართული ტერმინის შინაარსის დაზუსტებას ისახავდა მიზნად, როცა მის გვერდით ბერძნული განმარტება მოათავსა. უკანასკნელი პერიოდის გამოკვლევებში და ენციკლოპედიურ ლექსიკონებში მიუთითებენ, რომ მონოსტროფები ანუ ტროპარები, რომლებიც ჰიმნოგრაფიის განვითარების ადრეულ საფეხურზე ქრისტიანული ღვთისმსახურების ძირითად პოეტურ საგალობელ ელემენტს შეადგენდნენ, ერთიანდებოდნენ „ტროპოლოჯიონად“ წოდებულ კრებულებში⁸⁹. იადგარის ამგვარი კრებულიდან მომდინარეობაზე უნდა მიგვანიშნებდეს Sin. 11-ის მინაწერი.

⁸⁴ მ. ანდრონიკაშვილი, ნაკვეთები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966, გვ. 333; კ. კეკელიძე, ქართ. ლიტერატურის ისტორიას, ტ. I, 1960 გვ. 596.

⁸⁵ C. Saleman, Manichäische Studien, I. Die mittelpersischen Texte. Zan. Имп. АН, VIII серия, по ист.-филол. отд., т. VIII, № 10, СПб, 1908, S. 52.

⁸⁶ იქვე, გვ. 52.

⁸⁷ იქვე, გვ. 52.

საგულისხმოა, რომ ს. ს. ორბელიანს „იადგარი“ შემდეგნაირად აქვს განმარტებული: „სხვათა ენაა, ქართულად სახსენებელი ჰქვია“. იხ. ლექსიკონი ქართული, წ. I, თბ., 1966, გვ. 317. უნდა ვიფიქროთ, რომ ს. ს. ორბელიანის დროისათვის იადგარი, როგორც ჰიმნოგრაფიული კრებულის სახელწოდება, დავიწყებულია და ამ მნიშვნელობით „სიტყვის კონაში“ აღარ პოულობს ასახვას.

⁸⁸ Garitte, Catalogue, p. 44. „ტროპოლოჯინ“ ბერძნული „ტროპოლოჯიონის“ პალესტინურ გარემოში გავრცელებული ფორმის ქართული ტრანსკრიპციაა. ანალოგიები და სამეცნიერო ლიტერატურა იხ.: ძლისპირნი, გვ. 036; ნ. მახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმის საკითხები. თბ., 1978, გვ. 44—45.

⁸⁹ H. Husmann, Ein syro-melkitisches Tropologion mit altbyzantinischer Notation, Sinai syr. 26], I, Einleitung, Wiesbaden, 1975, S. X, 65; Lexikon für Theologie und Kirche, hrsg. von T. Höfer und K. Rahner, Bd. 10., Freiburg, 1965, S. 373.

იაღვარის შედგენილობისა და პოეტური ფორმების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ტროპარს ანუ დასდებელს, საგალობლის ამ უძველეს ფორმას, აქ განსაკუთრებით ფართო გამოყენება აქვს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე ჰიმნოგრაფიული კრებულები არსებითად პოეტური ტროპარებისაგან შედგებოდა, რამაც განაპირობა სახელწოდება „ტროპოლოგიონი“.

ბერძნული ტროპოლოგიონის შესატყვისად ტერმინ იაღვარის შემოღება ამგვარი კრებულის სხვა არსებით მხარეზე ჩანს დაფუძნებული, კერძოდ იმაზე, რომ გალობად გამიზნული რეპერტუარი დახსომებას, ზეპირად ცოდნას მოითხოვდა. სწორედ ეს მხარე გამოიკვეთა ქართული კრებულის სათაურში, რაც მას ახალი ფორმებით გაერკობის შემდეგაც შემორჩა.

ძნელია თქმა, თუ როდის უნდა შემოეღოთ ტერმინი იაღვარი ქართული ჰიმნოგრაფიული კრებულის სახელწოდებად. მის სიძველეზე გარკვეულად მეტყველებს გიორგი მერჩულეს მეტად მნიშვნელოვანი ცნობა, რომლის მიხედვით იაღვარად იწოდება გრიგოლ ხანციელის ხელით გადაწერილი საგალობელთა კრებული¹⁰⁰. VIII—IX საუკუნეთა მიჯნაზე გადაწერილ ხელნაწერს, რომელიც X საუკუნეში კვლავ ხანციელის მონასტერში ინახებოდა და თხრობის მიხედვით, თავისი თვალთ უნახავს გიორგი მერჩულეს, საწელიწდო იაღვარი რქმევია. უნდა ვიფიქროთ, რომ ის არ იყო პირველი იმ კრებულთა შორის, რომელთაც იაღვარი ეწოდათ.

იაღვარის საკმაოდ ბევრმა და უარესად მნიშვნელოვანმა ნუსხამ მოაღწია ჩვენამდე. ზოგიერთი მათგანის ანდერძ-მინაწერებში თუ შენიშვნებში დატულია პირდაპირი მითითება კრებულის რაობასა და სახელწოდებაზე¹⁰¹. ირკვევა, რომ სახელწოდება ყველა შემთხვევაში ერთია — იაღვარი. უკანასკნელი დროის გამოკვლევებისა და აღწერილობების მიხედვით ისიც ცნობილია, რომ თავისი ასაკით იაღვარის ნუსხების აბსოლუტური უმრავლესობა X საუკუნეს არ სცილდება. აქედან საგულისხმო დასკვნას ვიღებთ: იაღვარი, როგორც ჰიმნოგრაფიული კრებული, ქართული ლეთისმსახურების განვითარების ადრეული, იერუსალიმური ეტაპის დამახასიათებელი მოვლენაა და, ბუნებრივია, მთლიანად განსაზღვრულია მისი წესით, განგებით, სპეციფიკით. X—XI საუკ. მიჯნაზე, როცა ქართულმა ეკლესიამ მკვეთრად შეცვალა ორიენტაცია და ლეთისმსახურების კონსტანტინოპოლური წესი შემოიღო, ამის შედეგად და თვით ჰიმნოგრაფიის განვითარების არაჩვეულებრივი მასშტაბების გამოც, იაღვარმა, როგორც განსაზღვრულმა და გარკვეულმა მთლიანობამ, ფუნქცია დაკარგა, ზმარებიდან გავიდა და წარსულის ლიტერატურულ ფაქტად იქცა. ამას კი თან ის მოჰყვა, რომ კრებულის სახელწოდებამ ცოცხალი ტერმინის მნიშვნელობა დაკარგა და მხოლოდ ძველ ნუსხებს შემორჩა. იაღვარებში თავმოყრილ მრავალრიცხოვან საგალობელთა გარკვეულმა ნაწილმა კი ახალი ტიპის კრებულების — თვეების, მარხვანების, პარაკლიტონების შედგენილობაში გადაინაცვლა და იქ განაგრძო არსებობა ახალ შევსებასთან ერთად.

¹⁰⁰ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. 1, 1963, გვ. 282.

¹⁰¹ მხედველობაში გვაქვს Sin. 1, Sin. 34, Sin. 40, Sin. 65. იხ. სინურ ხელნაწ. აღწერილობა, I, გვ. 34, 124, 142, 152, 224.

ქართული იაღგარის საღვთისმსახურო პრაქტიკაში დამკვიდრებისა და გავრცელება-გამოყენების ქრონოლოგიური საზღვრები რამდენიმე საუკუნეს ითვლის და XI საუკუნის დამდგამდე ვრცელდება. სამეცნიერო ლიტერატურიდან კარგად არის ცნობილი, რომ სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა ბიზანტიური სასულიერო პოეზიისა და მუსიკის განვითარების არსებითი მოვლენები და ეტაპები, რომელთაც ჰიმნოგრაფია საგალობლების უმარტივესი ფორმებიდან რიტმულ-მელოდიური გალობის სრულყოფილ ნიმუშებამდე აიყვანეს. განვითარების ამ პროცესს, ბუნებრივია, თან სდევდა ტრადიციების ცვლა, გარკვეული მოვლენების პრაქტიკიდან გასვლა, ახლის შემოტანა და დამკვიდრება. ეს შეეხება არა მარტო საგალობლებისა და გალობის ფორმებს, არამედ იმ კრებულებსაც, რომლებიც თავს უყრიდნენ, სისტემაში მოჰყავდათ და გარკვეულ წესსა და ვითარებას უფარდებდნენ ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი საგალობლების მთელ რეპერტუარს. ქართულმა იაღგარმა, როგორც თარგმნილმა ძეგლმა და კრებულის თავისებურმა სახეობამ, თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის განვითარების სხვადასხვა ეტაპის ამსახველი რედაქციები შემოინახა. უძველესი იაღგარი ამ განვითარების ადრეული ეტაპის შესატყვისი ძეგლია.

უძველესი იაღგარის კვლევა ამჟერად, როგორც უკვე იყო აღნიშნული, არსებითად იმ ფაქტმა განსაზღვრა, რომ სინური კოლექციის ქართული ხელნაწერებიდან გამოიყო რამდენიმე ნუსხა, რომლებიც აქამდე ერთადერთად მიჩნეულ ჰილ-ეტრატის ხელნაწერთან დადგნენ. უძველესი იაღგარი ახლა ოთხი ძირითადი ნუსხითაა წარმოდგენილი. ესენია: ჰილ-ეტრატის იაღგარი, Sin. 18, Sin. 40, Sin. 41. ამასთანავე გაირკვა, რომ სინური კოლექციის უმნიშვნელოვანესი კრებული—Sin. 34 თავის იაღგარულ ნაწილში ახალი რედაქციის საგალობლების გარდა შეიცავს ჰილ-ეტრატის ტიპის იაღგარს თითქმის სრულად. ისიც გაირკვა, რომ უძველესი იაღგარის გარკვეული ნაწილები თუ საგალობელთა ცალკეული ჯგუფები განფენილია სინური კოლექციის სხვადასხვა ტიპის ადრეულ თუ შედარებით მოგვიანო ხელნაწერებში. ამ ხელნაწერთაგან იაღგარის შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება Sin. 5, 13, 20, 26, 37, 53, 54 და 75 ხელნაწერებს.

უძველესი იაღგარის ძირითადი ნუსხები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მოცულობითა და სისრულით. ამ ნუსხათაგან არც ერთი არ არის მოღწეული სრული სახით. მიუხედავად ნუსხებს შორის არსებული განსხვავებებისა, თითოეული მათგანი იაღგარის ერთ ტიპს — არქაულს — განასახიერებს, რომელიც ღვთისმსახურების განვითარების გარკვეულ ეტაპს შეესაბამება. ამასთანავე, სწორედ ინდივიდუალური ნიშან-თვისებების წყალობით ყოველ მათგანს თავისი წვლილი შეაქვს უძველესი იაღგარის სტრუქტურის, შედგენილობის და საგალობელი ტექსტების აღდგენისა და იაღგარის სპეციფიკის შესწავლის საქმეში.

აქ საჭიროდ მიგვაჩნია, უპირველეს ყოვლისა, შევჩერდეთ უძველესი იაღგარის ნუსხათა ზოგად მიმოხილვაზე. შევეცდებით განვსაზღვროთ მათი გადაწერის დრო და გარემო. სპეციალურად შევჩერდებით Sin. 34-ზე, რომელსაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ უძველესი იაღგარის პრობლემების კვლევისათვის. არ ვეხებით ცალკეული ნუსხების შედგენილობას, რადგან ამ თვალსაზრისით ისინი საგანგებოდ განხილულია ქვემოთ.

A. H 2123 — ქილ-ეტრატის იადგარი (ადრე პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ახალი სერაის № 11 ხელნაწერი). შეიცავს 313 ფურცელს. დაწერილია ნაწილობრივ ქილზე, ნაწილობრივ ეტრატზე, რამაც განაპირობა შემდგომში მისი სახელწოდება: „ქილ-ეტრატის იადგარი“. ქილის ფურცლები ხშირ შემთხვევაში დაზიანებულია, ზოგჯერ საგრძნობლად, განსაკუთრებით ბოლო რვა ფურცელი, რომელთა მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტებია შემორჩენილი. თავბოლონაკლულია, აკლია რამდენიმე ფურცელი შუაშიც. სახეზე არსებული ფურცლები მწყობრად მისდევს ერთმანეთს, არსად თანმიმდევრობა დარღვეული არ არის. დაყოფილია რვეულებად. აქვს რვეულებრივი სათვალავის აღმნიშვნელი პაგინაცია, რომელიც ხელნაწერის გადაწერის თანადროულია. ხელნაწერის სრული სახით მოღწეული ყველა რვეული 10 ფურცლისაგან შედგება. ხელნაწერს დასაწყისში ორი რვეული ანუ 20 ფურცელი აკლია, რაზედაც მიგვანიშნებს დღევანდელ 1r-ს ზედა აშიაზე დასმული გამკრთალებული „გ“. ხელნაწერი 34-ე რვეულზე წყდება, ნაკლულია მხოლოდ მე-3, 33-ე და 34-ე რვეულები. მე-3 რვეულს აკლია რიგით მე-2 ფურცელი (დღევანდელ პირველ და მეორე ფურცლებს შორის), 33-ე რვეულს აკლია 4 ფურცელი, ორ-ორი თავსა და ბოლოში (299—300 და 305—306 ფურცლებს შორის), 34-ე რვეული წყდება მე-8 ფურცელზე. ამრიგად, დაკარგული ბოლოს გარდა, 34 რვეულის ფარგლებში ხელნაწერი თავიდან 340 ფურცელს შეიცავდა, რომელთაგან დღეს სახეზეა 313.

ხელნაწერი გადაწერილია ერთი პირის მიერ. ა. შანიძე გადაწერად მიიჩნევს ერთ-ერთ მინაწერში (1v) მოხსენიებულ პირს, სახელად იოვანეს („დმერთო, შეიწყალე იოვანე, ამენ“)¹⁰². ნაწერია შავი მელნით, ერთ სვეტად, კალენდარულ დღეთა მითითებები, დღესასწაულთა სათაურები, საგალობელთა სახელწოდებები ნაწერია წითლად: ხშირ შემთხვევაში სინგურითვეა შესრულებული ამა თუ იმ სტროფის დასაწყისი ასო, რაც მიჯრით გადაწერილი ტექსტის სტროფებად გამიჯვნის საშუალებას იძლევა. ამ მიზნით გადაწერი ძირითადად იყენებს განკვეთილობის ნიშნებს, რომლებიც სტროფების ბოლოსაა დასმული¹⁰³. მათ ხელნაწერში ძირითადად ერთი და იგივე ფუნქცია ეკისრებათ. გადამწერს უცდია ხელნაწერის ერთგვარად შემკობა და ამ მიზნით აშოებზე გამოუსახავს სხვადასხვა ფორმისა და ზომის ჯვრები და აქა-იქ აღამიანის პრიმიტიული გამოსახულებებიც¹⁰⁴.

მკვლევართა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს გადაწერის ხელი. ა. ცაგარელს მიაჩნია, რომ ტექსტი მთავრულითაა ნაწერი¹⁰⁵. ამავე აზრისაა ილ. აბულაძე¹⁰⁶. ა. შანიძე ცალკეული ასოების პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე დაასკვნის, რომ „ქილ-ეტრატის იადგარის ხელი წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს მრგლოვანიდან კუთხოვნიანაკენ“¹⁰⁷. თუ გავითვალისწი-

¹⁰² ქილ-ეტრატის იადგარი, გვ. 215.

¹⁰³ იქვე, გვ. 224.

¹⁰⁴ დაწერილებით ამაზე იხ. ქილ-ეტრატის იადგარი, გვ. 217. ქილ-ეტრატის ხელნაწერის შემკულობის შესახებ იხ. P. Ш м е р л и н г, Художественное оформление грузинской рукописной книги IX—XI вв., I, Тб., 1967, с. 72; II, Тб., 1979, с. 71—73.

¹⁰⁵ А. Ц а г а р е л и, Памятники, с. 159; მისივე, Сведения, с. 17.

¹⁰⁶ ი. ა. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული აღბოძი. II გამოც. თბ., 1973, გვ. 338.

¹⁰⁷ ქილ-ეტრატის იადგარი, გვ. 215—216.

ნებთ. რომ ა. შანიძე ხელნაწერს XI საუკუნის დასაწყისში გადაწერილად მიიჩნევს, მაშინ გარკვეული შეუსაბამობა იქმნება, რადგან ცნობილია, რომ: ნუსხური დამწერლობის ჩამოყალიბების პროცესი ამ დროისათვის უკვე დამთავრებულია. ქილ-ეტრატის იადგარის ხელში ან გაუწაფავი გადაწერილი უნდა დავინახოთ, რომელიც ნუსხურის გავლენით ველა იკავს მთავრულის ტრადიციულ მოხაზულობას, ან არადა, ნუსხა ადრე გადაწერილად უნდა იქნას მიჩნეული.

ქილ-ეტრატის იადგარი პალესტინური წარმოშობისაა. ამის მაჩვენებელია. ერთის მხრივ, ის ფაქტი, რომ იგი XIX ს. შუა წლებში პორთიერი უსპენსკიმ საბაწმიდის ლავრიდან წამოიღო¹⁰⁸, მეორეს მხრივ, ილ. აბულაძის მართებული მითითებით, საწერი მასალა — ქილი, რომელიც „იქ უფრო იყო ხმარებაში“¹⁰⁹. ამასვე მხარს უჭერს იადგარის ახლად გამოვლენილი ნუსხებიც, რომლებიც ყველა პალესტინური წარმოშობისაა და იქ მის ფართო გავრცელებაზე მიუთითებენ.

ქილ-ეტრატის იადგარის შესახებ არსებული ლიტერატურა ზოგადად მიმოხილული იყო ზემოთ (იხ. გვ. 657—662). აქ შევეხებით მხოლოდ ხელნაწერის დათარიღების საკითხს. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. იადგარის პირველ მკვლევარს ა. ცაგარელს, როგორც ითქვა, მიაჩნია, რომ ხელნაწერი დაახლოებით VII საუკუნეშია გადაწერილი¹¹⁰. კ. კეკელიძე ხელნაწერში აბოსადმი მიძღვნილი საგალობლების მიკვლევის საფუძველზე დაასკვნის, რომ იგი გადაწერილია „არა უადრეს IX საუკუნის მეორე ნახევრისა, შეიძლება ცოტათი უფრო გვიანაც“¹¹¹. კ. კეკელიძის დაკვირვებით, საგალობლები დაიწერა მას შემდეგ, რაც უკვე დაწერილი იყო წმ. აბოს ბიოგრაფია, რომლითაც უხვად უსარგებლია ჰიმნოგრაფს¹¹². IX საუკუნის ძეგლად ასახელებს ქილ-ეტრატის ხელნაწერს კ. კეკელიძე „იველი ქართული მწერლობის ისტორიის“ გამოცემებშიც¹¹³. ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, რომელიც კონკრეტულ დათარიღებაზე არ შეჩერებულა, ამასთანავე საკმარისად დასაბუთებულად არ თვლიდა კ. კეკელიძისეულ დათარიღებას¹¹⁴.

ბ. ინგოროყვა ქილ-ეტრატის ნუსხის დათარიღებას პირველად შეეხო ქართული წარმართული კალენდრის შესახებ დაწერილ ნაშრომში¹¹⁵. ხელნაწერს

¹⁰⁸ ხელნაწერის საბაწმიდის ლავრიდან წამოღებისა და ბოლოს საქართველოში ჩამოტანის შესახებ დაწერილებით მოთხრობილია ა. შანიძის აღწერილობაში, იხ. ქილ-ეტრატის იადგარი, გვ. 214.

¹⁰⁹ ი. ლ. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, გვ. 338.

¹¹⁰ А. А. Цагарели, Памятники, с. 159; Сведения, вып. II, с. 17.

¹¹¹ კ. კეკელიძე, ახალი საგალობლები აბო თბილელისა. ეტიუდები, VI, გვ. 416.

¹¹² კ. კეკელიძე სხვადასხვა შრომებში ითანე საბანისძის მიერ „აბოს მარტიკობის“ დაწერის სხვადასხვა თარიღს უთითებს: 790 წ. (ახალი საგალობლები აბო თბილელისა, ეტიუდები, VI, გვ. 416), 820 წ. (Литург. памятники, с. 351), 790 წლამდე (ადრეული ფეოდალური ქართული ლიტერატურა, თბ., 1935, გვ. 37; Памятники древнегруз. агнографической литературы, Тб., 1956, с. 36—37). ქართული ლიტერატურის ისტორიის გამოცემებში კ. კეკელიძე თხულებს დათარიღების საკითხზე სპეციალურად არ ჩერდება, მაგრამ საშოელ კათალიკოსის მოღვაწეობის ხანად 780—790 წწ. მითითება ლოგიკურად გულისხმობს, რომ „აბოს მარტიკობა“ 790 წლამდე დაწერილად მიაჩნია (იხ. ტ. 1, 1960, გვ. 129).

¹¹³ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, 1960, გვ. 594, 596.

¹¹⁴ ი. ჭავჭავაძის მიხედვით, ქართული დამწერლობაში მოცდენობა ანუ პალეოგრაფია, II გამოც. თბ., 1949, გვ. 174—175.

¹¹⁵ ბ. ინგოროყვა, ძველ-ქართული წარმართული კალენდრის, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. V., 1931, გვ. 389—391.

იგი პალავრაში გადაწერილად მიიჩნევს, თუმც ამის საფუძველს არ უთითებს. ამ დასკვნამდე იგი უთუოდ იადგარში ხარიტონის ხსენების არსებობამ მიიყვანა. ძეგლის პალეოგრაფიული ანალიზისა და გარკვეულ ისტორიულ რეალიათა გათვალისწინებით იგი დაასკვნის, რომ ხელნაწერი გადაწერილია არა უგვიანეს IX საუკ. I ნახევრისა, უფრო კი 786—796 წლებს შორის (ქვედა საზღვრად აღებულია აბოს მარტივობის თარიღი, ზედა საზღვრად—796 წელს სარკინოზთა მიერ პალავრის სავანის აოხრების ფაქტი). უფრო გვიან გამოქვეყნებულ შრომებში პ. ინგოროყვა ხელნაწერს IX საუკუნით ათარიღებს¹¹⁶. ი. აბულაძე ხელის მიხედვით ხელნაწერს IX—X სს.-დ მიიჩნევს¹¹⁷. რ. შმერლინგი ხელნაწერის მორთულობის ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იგი X საუკ. II ნახევარშია გადაწერილი¹¹⁸. ჭილ-ეტრატის ნუსხას X საუკ. ათარიღებს ე. გარიტიც¹¹⁹. ა. შანიძემ ხელნაწერის გადაწერის დრო XI საუკუნის დასაწყისში გადაიტანა. ამის არგუმენტად მას ძეგლის ორთოგრაფიული და ენობრივი მოვლენები მოაქვს (კერძოდ ჟ-ს ხმარება)¹²⁰. უკანასკნელ დროს ჭილ-ეტრატის იადგარის დათარიღებას შეეხო ბ. უტიე¹²¹. იგი ხელნაწერს X საუკ. დასაწყისში გადაწერილად მიიჩნევს. ბ. უტიეს აზრით, უძველესი იადგარი პალესტინური ძეგლია და არა ბიზანტიური, ამიტომ მისი გადანუსხვა X საუკ. III მეოთხედის შემდეგ მოსალოდნელი არ არის.

როგორც ვხედავთ, ხელნაწერის დათარიღება სხვადასხვა არგუმენტებზეა დამყარებული. ეს არგუმენტები ცალ-ცალკე არ ჩანს საკმარისი იმისათვის, რომ დათარიღება დასაბუთებული და მყარი იყოს. ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ ე. კეკელიძე დათარიღების საფუძველს არ ასახელებს¹²². მართლაც, იოანე საბანისძის აბოს მარტივობის დაწერის თარიღი ჭილ-ეტრატის ხელნაწერის მხოლოდ ქვედა საზღვარზე უთითებს. დასაბუთება აკლია პ. ინგოროყვას დათარიღებასაც. აქ პირველ რიგში დასამტკიცებელია, რომ ხელნაწერი მართლაც პალავრის სავანეშია გადაწერილი¹²³. ასევე არ შეიძლება უყოყმანოდ მივიღოთ რ. შმერლინგის მოტივირება. სინგურის ჭარბად შემოტანა ხელნაწერის ტექსტში, რაც მას გვიანდელ მოვლენად მიაჩნია, დამკვიდრებული ჩანს უკვე X საუკ. I ნახევრის საბაწმიდურ ხელნაწერებში, კერძოდ, Sin. 34-ში. Sin. 34-შივე, მის ერთ-ერთ ნაწილში, ვხვდებით, ჭილ-ეტრატის ხელნაწერის მსგავსად, კლასიკური კალიგრაფიისაგან უპარესად დამორებულ ხელს. ეს ნაწილი სხვა ხელნაწერიდან არის კრებულში გადმოტანილი იოანე-ზოსიმეს მიერ, რაც მის მეტ სიძველეზე მეტყველებს¹²⁴.

¹¹⁶ პ. ინგოროყვა, *იხბ.*, ტ. 3, გვ. 340.

¹¹⁷ ი. აბულაძე, *ქართული წერის ნიმუშები*, გვ. 338.

¹¹⁸ P. Шмерлинг, *Художественное оформление грузинской рукописной книги IX—XI вв.* I, с. 72; II, с. 71—73.

¹¹⁹ G. Garitte, *Calendrier*, p. 39.

¹²⁰ ჭილ-ეტრატის იადგარი, გვ. 218. შენიშნავთ რომ აღრე ა. შანიძე ჭილ-ეტრატის იადგარს IX—X სს. მიჯნაზე გადაწერილად თვლიდა. იხ. ძველი ქართულის ქრესტომათია, თბ., 1935, გვ. 109.

¹²¹ B. Outtier, *Le iadgari sur papyrus et parchemin... Bedi Kartlisa (Revue de Kartvelologie)*, vol. XXXVII, Paris, 1979, p. 338—339.

¹²² ივ. ჯავახიშვილი, *ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია*, გვ. 174.

¹²³ აქვე, გვ. 868—869.

¹²⁴ მხედველობაში გვაქვს Sin 34-ის 148r—195r-ზე მოთავსებული ტექსტი.

ა. შანიძის მიერ მითითებული ენობრივი მოვლენებიც უკლებლივ დასტურდება X საუკუნის ხელნაწერებში. „არა“ ნაწილაკი „არაჲ“ ფორმით, როგორც წესი, იხმარება უძველესი იადგარის სხვა ნუსხებშიც. კერძოდ BC-ში, რომლებიც ყველა ნიშნით X საუკ. პირველ ნახევარს განეკუთვნებიან (იადგარის წინამდებარე გამოცემის კითხვა-სხვაობებში „არაჲს“ ხმარების ყველა შემთხვევაა მითითებული). ასევე ქართველი მოწამის აბოს სახელი „აბო“ (და არა „ჰაბო“) ფორმით დადასტურდა იოანე-ზოსიმეს კალენდარში Sin. 34-დან, რომელიც X საუკ. პირველ ნახევარშია გადაწერილი¹²⁵. ხელნაწერის ფონეტიკური და ორთოგრაფიული მოვლენებიდან რაც სპეციალურად შესწავლილია ა. მარტიროსოვის მიერ¹²⁶, ვერ დავასახელებთ თუნდაც ერთს ისეთს, ნუსხის უეჭველად XI საუკუნეში გადაწერაზე რომ მიგვითითებდეს. ეს მოვლენები IX—X საუკ. სხვა ძეგლებშიც დასტურდება.

ჰილ-ეტრატის ნუსხის ზუსტი დათარიღება არ ხერხდება, მაგრამ შესაძლებლად მიგვაჩნია მისი ქრონოლოგიური ჩარჩოების გარკვეულად შემოფარგვლა. ქვედა საზღვრის დადგენისათვის აქამდე ამოსავალი ხელნაწერში აბოს საგალობლების არსებობა იყო. იადგარის ცალკეულ საგალობელთა ბერძნული მოდელების შესწავლამ და მათი ავტორების გამოვლენამ გარკვეულად შეცვალა არსებული ვითარება. A ხელნაწერში, მის გვიანდელ პლასტში, აღმოჩნდა ისეთი მასალა, რომელიც ბერძნული გვიანდელი თვენების მიხედვით IX საუკ. II ნახევარზე ადრე არ შეიძლება ვივარაუდოთ ქართულ კრებულში (აქვე, გვ. 865).

ზედა საზღვრის გარკვევისათვის, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ლიტურგიულ-ჰიმნოგრაფიული მოვლენების განვითარების ისტორიული პროცესი და უძველესი იადგარის ბედი ამ მოვლენების ფონზე (ამ საფუძველს ემყარება სწორედ ბ. უტიეს დათარიღება). თუ აქედან ამოვალთ, მაშინ ჰილ-ეტრატის ხელნაწერის გადაწერის ზედა საზღვარს უთუოდ განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ XI საუკ. დამდეგისათვის არა თუ უძველესმა იადგარმა, არამედ იადგარის განვითარების უფრო გვიანდელი ეტაპის ამსახველმა X ს. ახალმა იადგარებმაც ამოწურეს თავისი თავი, პრაქტიკული მნიშვნელობა დაკარგეს და ხმარებიდან გავიდნენ. უძველესი იადგარისათვის ეს პროცესი ბევრად უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო, როცა მის ადგილზე თანდათან იწყეს დამკვიდრება ახალმა იადგარებმა. ეს პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს X საუკ. I ნახევარში. აქედან გამომდინარე, ეფიქრობთ, რომ X საუკუნის შუაწლების შემდგომ უძველესი იადგარის გადაწერაზე პრაქტიკულად მოსალოდნელი აღარ არის. ამ ფარგლებში თავსდება უძველესი იადგარის ჩვენს ხელთ არსებული ყველა ნუსხა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ X—XI საუკუნეთა მიჯნაზე გადაწერილ P ლექციონარში დასტურდება პოეტურ საგალობელთა ისეთი ფენა, რომელიც აშკარად X საუკუნის ახალი იადგარების დონეზე წარმოებული შეესებაა (აქვე, გვ. 724—725) და არ არის ასახული არც ლექციონარის დანარჩენ და არც უძველესი იადგარის ნუსხებში, უნდა ვთქვათ, რომ ეს უკანასკნელი, მათ შორის ჰილ-ეტრატის ნუსხაც, P ლექციონარს გარკვევით წინ უსწრებენ.

ჰილ-ეტრატის ხელნაწერი სიძველის სხვა ნიშნებსაც გვიჩვენებს, რომელ-

¹²⁵ Garitte, Calendrier, p. 126.

¹²⁶ ჰილ-ეტრატის იადგარი, გვ. 228—265.

თა შესახებ სპეციალური მსჯელობა ქვემოთაა მოცემული. აქ მიღებულ დასკვნებს მოვიხმობთ: ასეთად მიგვაჩნია ამ ნუსხის სიახლოვე ლექციონარის კალენდრისა და აღნაგობის ქარვასთან, რასაც აღარ იცავენ Sin. 40, Sin. 41 და Sin. 34 ხელნაწერები (აქვე, გვ. 707—708); კალენდარულ დღესასწაულთა რიგის ხარებით დაწყება, რაც აღარ დასტურდება Sin. 34 ხელნაწერში, რომელიც X საუკუნის ახალი იადგარების წესს უხდის ხარკს (აქვე, გვ. 715); ნუსხის სიძველეზე მიუთითებს მისი ორთოგრაფიის ზოგიერთი თავისებურება, კერძოდ ე-ს ხმარება ო-ს ნაცვლად, რასაც ნუსხაში სისტემატური ხასიათი აქვს; დაბოლოს, ხელნაწერის ხელი და საწერი მასალა მის სიძველეზე უფრო მეტყველებენ, ვიდრე გვიანდლობაზე. ყოველივე თქმულის საფუძველზე ვფიქრობთ, რომ კილ-ეტრატის ნუსხა IX—X საუკუნეთა მიჯნაზე, უქილურეს შემთხვევაში, X საუკ. დასაწყისშია გადაწერილი. როგორც ამას ვარაუდობენ ი. აბულაძე და ბ. უტიე.

B. Sin. 18 (დაცულია სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში). შეიცავს 300 ფურცელს. ხელნაწერი თავბოლონაკლულია. აქვს რვეულებრივი აღრიცხვა. ფურცელთა რაოდენობა რვეულებში ყოველთვის ერთი და იგივე არ არის. იწყება პირველი რვეულის ბოლო ფურცლით და წყდება 29-ე რვეულის მე-7 ფურცელზე, რომელიც არასწორად არის ჩაიხსენებული ხელნაწერში 78-ე ფურცლად. იადგარის გადაწერაში დიდ კოლექტივს მიუღია მონაწილეობა, ნუსხაში 10 სხვადასხვა ხელი მონაცვლეობს (ერთი ფურცლის ფარგლებში ზოგჯერ ორი ან სამი ხელი მონაცვლეობს: 1r, 24v, 25r, 43r და ა. შ.). ტექსტის ნაწილი გადაწერილია მთავრულით, ნაწილი — ნუსხურიით. იადგარის შინაარსობრივი თანმიმდევრობა არსად დარღვეული არ არის. მხოლოდ ერთგან დასტურდება ხელნაწერის გვიანდელი შევსების ფაქტი, რაც ქრონოლოგიურად დიდად დაშორებული არ უნდა იყოს ნუსხის გადაწერის დროიდან. ხელნაწერმა არ შემოინახა არავითარი ცნობა შემდგენლების, გადაწერის ადგილისა და დროის შესახებ. მიუხედავად ამისა, ხელნაწერის მიახლოებითი დათარიღება მაინც ხერხდება—მასში აღმოჩნდა ტექსტის გადაწერის შემდეგ შეტანილი შენიშვნები, რომლებიც მე-10 საუკუნის ცნობილ მოღვაწეს, იოანე-ზოსიმეს ეკუთვნის. ეს შენიშვნები გამოჩნულია ხელნაწერის სხვადასხვა ნაწილებში მოთავსებული ერთი და იმვე დანიშნულების საგალობლების ურთიერთდასაკავშირებლად, ან ზოგიერთი სხვა ხასიათის დეტალის დასაზუსტებლად¹²⁷. იოანე-ზოსიმეს ხელითვე ჩანს დაწერილი დიდმარხვისა და ზატიკის კვირათა რიგის აღმნიშვნელი რიცხვები ხელნაწერის აშეიბზე და რვეულებრივი აღრიცხვა.

გამორიცხული არ არის, რომ იოანე-ზოსიმესვე ეკუთვნოდეს ხელნაწერის შევსება. ხელნაწერის მე-2 რვეული, როგორც ირკვევა, თავიდან 10 ფურცლისაგან შედგებოდა და თავდებოდა დღევანდელი მე-15 ფურცლით, რომლის v-ზე მოთავსებულია პაგინაციის აღმნიშვნელი „გ“. როგორც ჩანს, ხელნაწერის რვეულებად შეკვრის შემდეგ მეორე რვეულის მე-9, მე-10 (დღევანდელ მე-10 და მე-15) ფურცლებს შორის ჩაუქინძავთ სხვა ხელნაწერიდან ამოღებული ოთხი ფურცელი, რომლის მასალა კალენდარული რიგის მიხედვით აქ უნდა ყოფილიყო მოთავსებული. მე-2 რვეულის 9v-ზე თავდება 27 დეკემბრის თარიღზე დადებული სტეფანე პირველმოწამის ხსენების საგალობლები, ხოლო

¹²⁷ სიხურ ხელნაწ. აღწერილობა, I, გვ. გვ. 61, 62, 69, 70 72.

მის მომდევნო ფურცელზე, რაც დღეს რიგით მე-15-ა, იწყებოდა განცხადება. მათ შორის ჩამატებულია მოციქულთა ხსენებისა და ათენაგენობის, აგრეთვე პირველი იანერის ბასილის ხსენების განგებები. უთარილოდ მოტანილი მოციქულთა ხსენება მისადაგებული ჩანს 28 დეკემბრის პეტრე-პავლობასთან და წარმოდგენილია როგორც მოციქულთა ხსენების ზოგადი განგება. იგივე დღესასწაული ქილ-ეტრატის იადგარში მარტვილიიდან მე-7 კვირას არის შეტანილი.

აღნიშნული ორი დღესასწაულის გვიანდელ ჩართვაზე მიუთითებს შემდეგი გარემოებები:

1. ტექსტი დაწერილია წინა და მომდევნო ფურცლებისაგან განსხვავებული ხელით. ეს ხელი ხელნაწერში სხვაგან არ დასტურდება.

2. მოციქულთა დასდებლები იწყება არა ფურცლის დასაწყისშივე, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, არამედ უფრო ქვემოთ. დასაწყისში არსებული ტექსტი არ არის დაკავშირებული წინა გვერდის მასალასთან — სტეფანე პირველმოწამის ხსენებასთან, რომელსაც ხელნაწერში დასრულებული სახე აქვს. აქ წარმოდგენილი პოეტური სტროფები შინაარსის მიხედვით ჯერისა და მოწამეთა თემას ეხება.

„...მერმისა ცხორებისა ძალითა ჭუარისაათა განძლიერდებოდეს. ოხითა მათითა, უფალო, შეგვწყალენ ჩუენ.

ძლიერებითა ჭუარისა შენისაათა აცხოვნენ სულნი ჩუენნი და ოხითა წმიდათაათა მოგვტევენ ცოდვანი.

ექმნა საკურველ და გვრგვენ ჭუარი შენი მოწამეთა შენთა, ქრისტე, მით სძლეს...“ (B10r).

ტექსტის შედარებითი შესწავლით გაირკვა, რომ ერთ-ერთი სტროფი „ექმნა საკურველ და გვრგვენ...“ ქილ-ეტრატის იადგარში თვედრობის აქებდითსას სტროფია (აქვე, გვ. 113). მაშასადამე, იგი მოწამეთა დასდებელია და შესაძლოა, იმ ხელნაწერში, საიდანაც ამოიღეს, სტეფანე პირველმოწამის მასალად ყოფილიყო გამოყენებული. Sin. 18-ში კი იგი უადგილოდ გამოიყურება.

3. ჩართულად მიჩნეული ფურცლების პირველსავე გვერდზე, რომელიც დღეს ხელნაწერის 11r-ა, ზედა აშიაზე იოანე-ზოსიმეს ხელით მიწერილია: „ბრჩევე (რვეულივე). ლოცვა ყათ“. ეს ფურცლები რომ თავიდან ხელნაწერის კუთვნილება ყოფილიყო, ასეთი საგანგებო აღნიშვნა, ბუნებრივია, საჭირო არ განდებოდა.

აქ წარმოდგენილი მასალის მიხედვით იოანე-ზოსიმეს კვალი ხელნაწერზე მოგვიანებით ჩატარებული რედაქციული მუშაობის ხასიათს ატარებს. იოანე-ზოსიმე არ უნდა იყოს კრებულის შედგენის თანამედროვე და თანამონაწილე, რადგან ყველა მისი შენიშვნა შემდეგ მიწერილი ჩანს. ვფიქრობთ, რომ Sin. 18-ით, როგორც ერთ-ერთი ხელნაწერით, იოანე-ზოსიმე სარგებლობდა Sin. 34 კრებულზე მუშაობის დროს. Sin. 18-სა და Sin 34-ის კალენდარში ერთდროულად ჩანს შეტანილი იოანე-ზოსიმეს შენიშვნა წმ. გიორგის 25 მაისის დღესასწაულის შესახებ, თუმც ძნელია ამ შენიშვნის ხელნაწერებში შეტანის დროის ზუსტად განსაზღვრა (აქვე, გვ. 727). ჩვენი დაკვირვებით, Sin. 18-ით სარგებლობდა იოანე-ზოსიმე მოგვიანებითაც Sin. 37 ხელნაწერის ჰიმნოგრაფიული დანართის გადაწერის დროს.

ამრიგად, იოანე-ზოსიმეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლების მიხედვით, Sin 18-ის გადაწერის დრო X საუკ. არ გადასცილდება. მაგრამ გარკვეული გარე-

მოებები გვაფიქრებინებს, რომ ამ ნუსხის გადაწერის ზედა თარიღი შეიძლება X საუკუნის შუაწლებით შემოვფარგლოთ. ამის სასარგებლოდ მეტყველებს ზოგიერთი გარემოება:

1. Sin. 34-ის გადაწერის ზედა საზღვარი 965 წელია (აქვე, გვ. 703).

2. Sin. 18-ში აღმოჩნდა რამდენიმე ცისკრის კანონი (აქვე, გვ. 540—556), რომელთა ავტორებია იოანე დამასკელი და კოზმა იერუსალამელი. ეს კანონები უძველესი იადგარის შედგენილობის ორგანული ნაწილი არ არის და განიხილება როგორც Sin. 18-ის სპეციფიკა (აქვე, გვ. 774—775). აღენიშნავთ, რომ იგივე კანონები დასტურდება თითქმის ყველა ახალ იადგარში. შედარებით ირკვევა, რომ საქმე გვაქვს ერთი და იმავე კანონების ორ სრულიად განსხვავებულ თარგმანთან. Sin. 18-ში შეტანილი თარგმანი პროზაულია და ჭერ კიდეც არ არის დამყარებული ძლისპირ-ტროპართა მეტრულ თანაფარდობაზე, რაც ორიგინალში ამ საგალობელთა არსებითი ნიშანია. ეს პრინციპი დაცულია ახალ იადგარებში შეტანილ თარგმანებში. Sin. 18 ერთადერთი ნუსხაა, რომელმაც ამ კანონთა აღრეული პროზაული თარგმანი შემოგვინახა. ეს უთუოდ მის აღრეულობაზე მეტყველებს, რადგან ვფიქრობთ, რომ ახალი თარგმანის შემოსვლის შემდეგ, რაც X საუკ. I ნახევრის იადგარებში—Sin. 1-სა და Sin. 34-ში უკვე ასახულია, კრებულში ძველი თარგმანის შექანა მოსალოდნელი აღარ არის. მით უმეტეს, რომ Sin. 18 საბაწმიდაში გადაწერილი ნუსხა ჩანს. ამ ნიშნით იგი აშკარად Sin. 34-ისა და Sin 1-ის წინამორბედია. ამრიგად, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ Sin. 18 X საუკუნის I ნახევარშია გადაწერილი.

Sin. 18-ის, როგორც ნუსხის, თავისებურებები დიდად არის განპირობებული იმ გარემოებით, რომ მის გადაწერაში მრავალი პირი იღებდა მონაწილეობას. ყველა იმათგანს, ვისაც წილად ზედა ხელნაწერის შედარებით დიდი მონაკვეთის გადაწერა, და იმათაც. ვინც შედარებით მცირე მოცულობის ტექსტი გადაწერეს, სრულიად გამოკვეთილად თავისი დამოკიდებულება აქვთ ენობრივ ნორმებთან, რასაც იცავენ მთელი ნუსხის მანძილზე. განსაკუთრებით თვალში საცემია ორთოგრაფიული სიჭრელე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ გადაწერები სხვადასხვა ტრადიციებზე არიან აღზრდილი.

Sin. 18 თითქმის სრულიად შეუსწავლელი ნუსხაა. ა. ცაგარლის აღწერილობაში არ ხერხდება მისი შესაბამისი ხელნაწერის ზუსტად დადგენა. ყ. გარიტი ვარაუდობს, რომ ა. ცაგარლის აღწერილობაში Sin. 18-ს შეიძლება შეესაბამებოდეს № 58 ხელნაწერი¹²⁸. ივ. ჯავახიშვილის აღწერილობა, რომლის მიხედვით Sin. 18-ს პარაკლიტონი ჰქვია, მეტისმეტად მოკლეა, მასში არ არის გახსნილი ხელნაწერის სახე¹²⁹. Sin. 18-ის რაობის განსაზღვრის პირველი ცდა პ. ინგოროყვას ეკუთვნის. ამაზე უკვე იყო მითითებული უძველესი იადგარის შესახებ არსებული ძირითადი ლიტერატურის მიმოხილვაში (იხ. გვ. 659). Sin. 18-ის ვრცელი აღწერილობა მოთავსებულია სინური კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობის პირველ ნაკვეთში¹³⁰.

C. Sin. 40 (ცაგარლის მიხედვით № 67, დაცულია სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში). შეიცავს 254 ფურ-

¹²⁸ Garitte, Catalogue, p. 10—11.

¹²⁹ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, აღწერილობა, გვ. 40

¹³⁰ სინურ ხელნაწ. აღწერილობა, I, გვ. 53—73.

ცელს. ხელნაწერი თავნაკლულია, აკლია პირველი რვეული მთლიანად, მეორე რვეულიდან მოღწეულია ბოლო ექვსი ფურცელი. აქვს რვეულებრივი სათვალავის აღმნიშვნელი პავინაცია, რომელიც ხელნაწერს 22 რვეულის მანძილზე გასდევს. ბოლო 10 ფურცელზე პავინაცია არ იძებნება. რვეულები ძირითადად რვაფურცლიანია. კრებულის ბოლოს, 253r-ზე, მოთავსებულია გადამწერის ანდერძი, საიდანაც ირკვევა, რომ იადგარი სვიმეონ მაგალობელს გადაუწუხებავს საბაწმიდას თევდორე პალავრელის დავალებით¹³¹.

მეორე ანდერძიდან, რომელიც ხელნაწერის 253v—254r-ზეა მოთავსებული, ირკვევა, რომ ხელნაწერი შეუძენია სინელ მღვდელს გრიგოლს ივანე კუმურდოელის მეშვეობით. ანდერძი მომგებლის სახელითაა დაწერილი¹³².

მიუხედავად გადამწერისეული ანდერძისა, ხელნაწერის ზუსტი დათარიღება არ ხერხდება. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით იგი X საუკუნის ტიპური ნუსხაა. ის ფაქტი, რომ ხელნაწერი საბაწმიდაშია გადაწერილი და შემდგომ გადატანილი სინაზე, გვაფიქრებინებს, რომ იგი გადაწერილია X საუკ. 60-იან წლებამდე, ანუ მანამდე, ვიდრე საბაწმიდელ მოღვაწეთა დიდი ჯგუფი გარკვეულ ისტორიულ გარემოებათა გამო იძულებული გახდა დაეტოვებინა საბაწმიდის კერა და სინაზე გადასულიყო. სწორედ ამ გადასვლას და სინაზე ლიტერატურული ცხოვრების გაცხოველებას უკავშირდება საბაწმიდური წარმოშობის მრავალი ნუსხის გადატანა სინაზე. ერთი ამათგანი უნდა იყოს Sin. 40-ც.

გადამწერის ანდერძის მიხედვით Sin. 40-ს „იადგარანი დაჩხრეკილანი“ ეწოდება¹³³. სიტყვა „დაჩხრეკილანი“ არსებული დედნის თუ დედნების მიხედვით გარკვეული თვალსაზრისით და მიზანდასახულობით კრებულის შედგენას უნდა გულისხმობდეს. როგორც ეს ქვემოთ იქნება ნაჩვენები, Sin. 40 არ არის ტიპური იადგარის აღნაგობისა და სისრულის თვალსაზრისით. „დაჩხრეკის“ ხასიათის დაზუსტებას შეიცავს მეორე მომგებლის ანდერძი, სადაც კრებულს „იადგარნი გამოკრებულნი“ ეწოდება. სიტყვა „გამოკრებული“ ზუსტად გამოხატავს Sin. 40 ხელნაწერის სახეს სისრულის თვალსაზრისით. ეს არის უძველესი ტიპის ვრცელი იადგარიდან შერჩევით ამოკრებილი და თავისებურად დალაგებული საგალობლების კრებული. იგი კერძო დანიშნულების კრებულის შთაბეჭდილებას ტოვებს.

მიუხედავად იმისა, რომ Sin. 40 აღწერეს ა. ცაგარელმა¹³⁴ და ი. ჭავჭავიძემ¹³⁵, მისი რედაქციის განსაზღვრის პირველი ცდა პ. ინგოროყვას ეკუთვნის (აქვე, გვ. 659). Sin. 40-ის ვრცელი აღწერილობა შესულია ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ შედგენილ სინურ ხელნაწერთა აღწერილობის პირველ ნაკვეთში¹³⁶.

¹³¹ სინურ ხელნაწ. აღწერილობა, I, გვ. 152.

¹³² იქვე, გვ. 152.

¹³³ „ჩხრეკა“, როგორც საბაწმიდურ-სინური ხელნაწერებისათვის დამახასიათებელი პალეოგრაფიული ტერმინი, ვრცლად არის განხილული მ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ი ს ნაშრომში: „ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები“, თბ., 1978, გვ. 80—94. ავტორი ეხება Sin.40-ის ანდერძებსაც. ავტორის დაკვირვებით, „დაჩხრეკა“ ნიშნავს შემოკლებას, მატებას, გაწმენტას, ე. ი. განსხვავებული რედაქციის შექმნას.

¹³⁴ А. А. Ц а г а р е л и, Сведения, II, с. 83, № 67.

¹³⁵ ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, აღწერილობა, გვ. 107—109.

¹³⁶ სინურ ხელნაწ. აღწერილობა, I, გვ. 143—152.

D. Sin. 41 (დაცულია სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში). შეიცავს 183 ფურცელს. თავბოლონაკლულია. დასაწყისში აკლია 4 რვეული მთლიანად, მე-5 რვეულიდან მოღწეულია ექვსი ფურცელი. წყდება 27-ე რვეულის მე-7 ფურცელზე. შემორჩენილი ნაწილის ფურცელთა თანმიმდევრობა არსად დარღვეული არ არის. არ შემოინახა არავითარი ცნობები გადაწერის ადგილის, დროისა და გადამწერთა შესახებ. პალეოგრაფიული მონაცემებით X საუკ. გადაწერილად ითვლება.

ა. ცაგარლის აღწერილობაში Sin. 41-ს შესატყვისი არ ეძებნება¹³⁷. ხელნაწერი აღწერილია ორჯერ — ნ. მარისა¹³⁸ და ც. ჭანკიევის¹³⁹ მიერ.

E. Sin. 34 (ცაგარლის აღწერილობით № 19, დაცულია სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში).

იაღგარის ოთხი ძირითადი ნუსხის გარდა, აქვე უნდა განვიხილოთ სინური კოლექციის ცნობილი ხელნაწერი Sin. 34, რომელშიც უძველესი იაღგარია შეტანილი. იგი მრავალგზის აღწერილი და მრავალმხრივ შესწავლილი კრებულია¹⁴⁰. მიუხედავად მრავალფეროვანი და რთული შედგენილობისა, Sin. 34 იაღგარად არის ცნობილი. ასე მოიხსენიებს მას იოანე-ზოსიმე კრებულზე დართულ ძირითად ანდერძებშიც¹⁴¹. გარდა იაღგარისა, Sin 34 შეიცავს: „ჟამსს“ და სხვადასხვა დამატებებს „ჟამნისათვის“, საეკლესიო კალენდარს ანუ „კრებას“, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში იოანე-ზოსიმეს კალენდრის სახელითაა ცნობილი. მორალურ-ასკეტიკური ხასიათის თხზულებას — ბარსანოფისა და იოვანეს კითხვა-მიგებებს, სხვადასხვა ცნობებს ასტრონომია-ასტროლოგიიდან და სხვა. შედგენილობისა და მასში დაცული ტრადიციების მრავალფეროვნების გამო Sin. 34-ს თავისი დროის ლიტურგიკულ „ენციკლოპედიას“ უწოდებენ¹⁴². მასში იოანე-ზოსიმემ თავი მოუყარა სხვადასხვა დროის, სხვადასხვა დანიშნულებისა და წარმომავლობის ლიტურგიკულ მასალას — პრაქტიკაში ადრევე დამკვიდრებულსა და ახლად შემოღებულს — და შენიშვნა-განმარტებების საშუალებით ერთ მთლიანობად წარმოადგინა იგი¹⁴³. Sin. 34-ის ახლახან გამოვლენილი ანდერძით ირკვევა, რომ კრებულზე მუშაობა იოანე-ზოსიმეს 965 წელს დაუსრულებია საბაწმიდაში¹⁴⁴. ამ კრებულის შედგენაზე იოანე-ზოსიმე, როგორც ხელნაწერის სხვადასხვა ნაწილებში მითითებული თარიღებიდან ირკვევა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა. სხვა ნაწილებთან შედარებით იაღგარი ადრე ჩანს გადაწერილი.

Sin. 34-ში შეტანილი იაღგარი დიდი ხანია მკვლევართა ყურადღე-

¹³⁷ Garitte, Catalogue, p. 10—11.

¹³⁸ Марр, Описание, с. 27—31.

¹³⁹ სინურ ხელნაწ. აღწერლობა, I, გვ. 153—156.

¹⁴⁰ A. A. Цагарели, Сведения, II, с. 64—65; ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, აღწერილობა, გვ. 54—59; Garitte, Calendrier, p. 15—19; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 756—757, 759, 874—878; მისივე: თხზ., ტ. 3, გვ. 217—218, 221, 359—363, 367—368, 533—539; ძლისპირნი, გვ. 0107—0108; ც. ჭ ა ნ კ ი ე ვ ი, სინურ ხელნაწ. აღწერილობა, I, გვ. 94—131; ლ. ხ ე ვ ს უ რ ი ა ნ ი, იქვე, გვ. 131—143.

¹⁴¹ სინურ ხელნაწ. აღწერილობა, I, გვ. 124—125, 141—142.

¹⁴² კ. კ ე ე ლ ი ძ ე, იოანე ქართველის კალენდარი, ეტიუდები, ტ. V, გვ. 243.

¹⁴³ ძლისპირნი, გვ. 020.

¹⁴⁴ სინურ. ხელნაწ. აღწერილობა, I, გვ. 141—142.

ბას იქცევს. პ. ინგოროყვამ საგანგებოდ შეისწავლა იგი შედგენილობის, სტრუქტურისა და რედაქციული რაობის თვალსაზრისით¹⁴⁵. იადგარების მის მიერვე შედგენილ კლასიფიკაციაში Sin. 34-ის „პალესტინის ქართული სკოლის მოკლე იადგარი“ უწოდა. ამ ნაშნით იგი Sin. 26-თან ერთად გამოყო X საუკუნის დიდი იადგარებისაგან¹⁴⁶. უნდა შევნიშნოთ, რომ პ. ინგოროყვას ნაშრომებში Sin. 34-ის იადგარის მხოლოდ ერთი ნაწილია. განხილული, კერძოდ, „ახალი“ ნაწილი, რომლითაც იგი X საუკუნის დასახელებულ ახალ იადგარებთან დგება. უკანასკნელ დრომდე გაურკვეველი რჩებოდა, თუ რას წარმოადგენს იადგარის ის ნაწილი, რომელიც იოანე-ზოსიმეს მრავალრიცხოვან შენიშვნებში თუ მითითებებში „ძველად“ იწოდება და კრებულის 123r—143r-ზეა მოთავსებული. აღნიშნულ ფურცლებზე მოთავსებულ მასალას პ. ინგოროყვა დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, გვიანდელ დამატებად თვლიდა¹⁴⁷, ან საერთოდ არ იხილავდა¹⁴⁸. ხოლო „ძველისა“ და „ახლის“ დაპირისპირებას იადგარის „ახალ“ ნაწილში ეძებდა¹⁴⁹. ამჟამად უკვე გარკვეულია, რომ Sin. 34-ის 123r—143r უჭირავს უძველესი რედაქციის იადგარს, სადაც იგი ყველა თავისი ძირითადი შემადგენელი ნაწილითაა წარმოდგენილი¹⁵⁰. ამრიგად, იოანე-ზოსიმეს კრებულში თავი მოიყარა იადგარის ორმა რედაქციამ, ისინი იოანე-ზოსიმეს შენიშვნებში კვალიფიცირდება როგორც „ძველი“ და „ახალი“. მაშასადამე, „ძველისა“ და „ახლის“ დაპირისპირებაში კონკრეტული შინაარსია ჩადებული. იგი გულისხმობს ახალი რედაქციის იადგარის დაპირისპირებას არქაულთან Sin. 34-ის ფარგლებშივე.

მიუხედავად საგალობლების რედაქციული გამიჯვნისა, იოანე-ზოსიმეს მრავალრიცხოვანი შენიშვნებისა და ანდერძების ანალიზი გვიჩვენებს, რომ Sin. 34-ში იადგარი წარმოდგენილია როგორც ერთი მთლიანობა, რომელშიც „ძველი“ და „ახალი“ საგალობლები ერთმანეთს ავსებენ და ერთნაირად საქირო არიან საღვთისმსახურო პრაქტიკაში. Sin. 34-ში ტრადიციების გამიჯვნასთან კი არა გვაქვს მხოლოდ საქმე, არამედ ურთიერთშეკვებასთან. სწორედ ეს მხარეა არსებითი იოანე-ზოსიმეს ამ იშვიათ ხელნაწერში. ამ მიზანდასახულობას ექვემდებარება იადგარის ახალი და არქაული ფენები და მათი თავისებურებები სწორედ ამით არის განპირობებული.

უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავთ, რომ Sin. 34-ის უძველესი იადგარი გადაწერილია ძალიან მოკლედ. გარდა აღდგომის დასდებლებისა, საგალობელი ტექსტები თითქმის არსად სრული სახით მოტანილი არ არის, არამედ წარმოდგენილია ორ-სამ სიტყვიანი დასაწყისებით¹⁵¹.

¹⁴⁵ ინგოროყვა, თხზ., ტ. 3, გვ. 216—222.

¹⁴⁶ იგულისხმება Sin. 1, Sin. 14, Sin. 59, Sin. 64—65, S—425, წვირისა და იელის იადგარები.

¹⁴⁷ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 874—875.

¹⁴⁸ პ. ინგოროყვა თხზულებათა კრებულის მე-3 ტომში საერთოდ აღარ იხილავს Sin. 34-ის „ძველ“ ნაწილს. იგი წერს: „ხელნაწერი წარმოადგენს კრებულს. საგალობელ იადგარს ამ კრებულში უჭირავს 34—123 ფურცლები (თხზ., ტ. 3, გვ. 359). Sin. 34-ის იადგარის „ძველი“ ნაწილი კი სწორედ 123r-დან იწყება.

¹⁴⁹ ც. კანკიევი, პალესტინელ გადაწერ „იოვანთა“ შესახებ, მრავალთავი, III, თბ., 1973, გვ. 50.

¹⁵⁰ ლ. ხევსურიაძე, Sin 34-ის შედგენილობის საკითხისათვის, მრავალთავი, VI, თბ., 1978, გვ. 89—91.

¹⁵¹ სწორედ ამის გამო არ არის Sin. 34 გამოყენებული იადგარის ტექსტის წინამდებარე გამოცემაში.

თავისებურია უძველესი იაღგარის კომპოზიცია — მისი შემადგენელ ნაწილებად დაყოფა და მათი ურთიერთგანლაგება (ამაზე ქვემოთ).

Sin. 34-ის უძველესი იაღგარის არსებითი ხასიათის თავისებურებას კი ის შეადგენს, რომ მასში არ არის შეტანილი იაღგარის ძირითადი საგალობელი — ცისკრის გალობანი, რომლის თვისობრივად ახალი სახეობა და ახალი ტექსტები შეადგენს იაღგარის საგალობელთა „ახალ“ ნაწილს. როგორც ირკვევა, ეს არ არის შემთხვევითი ფაქტი და არსებითად გამოხატავს „ძველი“ და „ახალი“ ნაწილების ურთიერთმიმართებას. იოანე-ზოსიმე უძველესი იაღგარის კანონებს ღვთისმსახურების პრაქტიკაში ახლად შემოსული კანონებით ცვლის. „ძველი იაღგარის“ რამდენიმე დღესასწაულის განგებაში, იქ, სადაც წესის მიხედვით მოთავსებული უნდა იყოს ცისკრის გალობანი, იოანე-ზოსიმეს ჩაურთავს საგანგებო შენიშვნები: „გალობანი ახალნი ზემოთ ჰპოვნე“ (იხ. 134v, 135r, 137v). მართალია, ამგვარი შენიშვნა არ არის მიწერილი ყველა იმ დღესასწაულთან, რომელთაც უძველესი იაღგარის სხვა ნუსხების მიხედვით ცისკრის კანონი ახასიათებთ, ვფიქრობთ, პრინციპი მაინც ნათელია და იგი მთელ ძველ იაღგარზე ვრცელდება (გამონაკლისს მხოლოდ აღდგომის დასდებლები შეადგენენ, სადაც ჯერ კიდევ შენარჩუნებულია კანონის არქაული ფორმა).

ამრიგად, Sin. 34-ის შესწავლა გვიჩვენებს, რომ მასში ასახულია იმ ჰიმნოგრაფიული რეპერტუარის შეცვლისა და განახლების პროცესი, რომელიც უძველესი იაღგარის შინაარსს შეადგენს. განახლება, როგორც კრებულიდან ჩანს, ცისკრის კანონით დაწყებულია და ერთბაშად ყველა ელემენტს არ შეხება. ძველ იაღგარში მხოლოდ კანონია მთლიანად შეცვლილი, ხოლო უძველესი იაღგარის სტიქარონები და განსაკუთრებით, ეამისწირვისა და სხვა მსახურებათა თუ რიტუალებისათვის განკუთვნილი სხვადასხვა დანიშნულების მცირე ფორმის პოეტური და ფსალმუნური საგალობლების მთელი სიმრავლე ისევ ძალაშია და ისევე აუცილებელია ღვთისმსახურებისათვის, როგორც ახალი კანონები. Sin. 34 ამ პროცესის სათავეებს, მის ადრეულ ეტაპს ასახავს, მიუხედავად იმისა, რომ X საუკ. I ნახევარშია გადაწერილი.

უძველესი იაღგარის იმ სიახლეთა გარემოში წარმოდგენა, რომელიც Sin. 34-შია შემოტანილი, ჰიმნოგრაფიის განვითარების ახალი ტენდენციების ფონზე თავისთავად გულისხმობს, რომ უძველეს იაღგარს ამ დროისათვის თავისი განვითარება დამთავრებული აქვს, იგი იწყებს საღვთისმსახურო პრაქტიკიდან გასვლას. ეს კი საშუალებას გვაძლევს უფრო გარკვევით ვიმსჯელოთ განვითარების იმ დონეზე, იმ მასშტაბებზე, რომლისთვისაც მიუღწევია უძველეს იაღგარს თავისი არსებობისა და გამოყენების ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ვიმსჯელოთ იაღგარის სპეციფიკაზე, სტრუქტურაზე, შედგენილობაზე. ამრიგად, Sin. 34 მიგვაჩნია უძველესი იაღგარის განვითარების ერთგვარად შემაჯამებლად, მიუხედავად მთელი რიგი თავისებურებებისა, და ამიტომ მის მონაცემებს გამოკვლევაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი.

სხვა ხელნაწერებს, რომლებშიც შესულია უძველესი იაღგარის მასალა, საკუროების მიხედვით ვეხებით გზადაგზა.

უძველესი იაღბარის შემადგენელი ნაწილები

უძველესი იაღბარის შედგენილობის შესახებ მსჯელობას ვიწყებთ იმ ძირითადი შემადგენელი ნაწილების გამოყოფით, რომელთა ერთობლიობა იაღბარს თავისი დროის უნივერსალურ ჰიმნოგრაფიულ კრებულად წარმოგვიდგენს. სხვადასხვა ლიტურგიკული დანიშნულების მასალის ერთ კრებულში თავმოყრა ერთი შეხედვით შეიძლება ხელოვნურად გაერთიანების შთაბეჭდილებას ტოვებდეს, მაგრამ წინასწარ უნდა ითქვას, რომ კავშირი იაღბარის სხვადასხვა ნაწილებს შორის უაღრესად ორგანულია და საღვთისმსახურო პრაქტიკის ერთიანი გააზრების, განვითარების არსებითად ერთი პროცესის მაჩვენებელია.

იაღბარის შედგენილობაზე მსჯელობა ერთგვარად იმით არის გართულებული, რომ ნუსხათა უმრავლესობას არ შერჩენია თავისი თავდაპირველი სახე და ხარვეზები ზოგჯერ მეტად საგრძნობია. ამიტომ იაღბარის შედგენილობის სპეციფიკის განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნუსხებში დაკარგული ნაწილების გამოვლენასა და მათ შეძლებისდაგვარად აღდგენას, რაც ზოგიერთ შემთხვევაში აღარც კი ხერხდება.

დღეისათვის არსებული ვითარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ. უძველესი იაღბარის შედგენილობა მისი ძირითადი ნაწილების თვალსაზრისით ასე გამოიყურება: იაღბარის ერთ-ერთ ძირითად და არსებით ნაწილს შეადგენს წელიწადის უძრავი კალენდრის დღესასწაულთა რიგი. ეს ნაწილი იაღბარის ნუსხათაგან არ ჩანს მხოლოდ D-ში. იგი მეტ-ნაკლები სისრულითა და მოცულობით დაცულია ABCE ნუსხებში¹⁵². კალენდარულ დღესასწაულთა რაოდენობის თვალსაზრისით ყველაზე ვრცელი A ნუსხაა. მასში არსებული ზოგიერთი დღესასწაული ვერ პოულობს პარალელს ვერც ერთ სხვა ნუსხაში. მეტად მოკლეა დღესასწაულთა რიგი CE ნუსხებში.

იაღბარის მეორე ვრცელ ნაწილს შეადგენს მოძრავი კალენდრის ციკლები — დღემარხვა და აღდგომის ზატიკი თავისი დღესასწაულებითა და რიგითი დღეებით. დღემარხვის ციკლი სრული სახით შესულია იაღბარის ყველა ნუსხაში. მხოლოდ D წყდება ვნების ორშაბათის ცისკრის სამსაგალობელზე. რაც შეეხება ზატიკს, იგი არ არის D ნუსხაში, შესაძლებელია, იმის გამო. რომ ხელნაწერი ნაკლებია. დანარჩენ ნუსხათაგან AC ზატიკის მხოლოდ დიდ დღესასწაულებს შეიცავს. BE ნუსხებში კი ძირითად დღესასწაულებთან ერთად მოცემულია ჩვეულებრივ დღეთა საგალობელი მასალაც¹⁵³.

იაღბარის მესამე ნაწილად გამოიყოფა ე. წ. აღდგომის დასდებლები ანუ საკვირაო საგალობლები, რომლებიც რვახმიან სისტემას ქმნიან. აღდგომის დასდებლები შემონახულია ABCDE ნუსხებში და სინური კოლექციის კიდევ ორ ნუსხაში — Sin. 20-სა (F) და Sin. 26-ში (G)¹⁵⁴, რომლებიც ახალი რედაქციის იაღბარებს წარმოადგენენ. ნუსხათა დაზიანების გამო აღნიშნული დასდებლები

¹⁵² A 1r—74v, 183r—187v, 197v—275v; B 1r—47r, 132v—142v, 144v—177r; C 160r—252r; E 134v—137v.

¹⁵³ A 75r—183r, 188r—197v; B 47r—132r, 143r—144v; C 78v—157v. 196r—204v; D 124r 183v; E 135v—137r, 138v—141r.

¹⁵⁴ A 307v—313v; B 177v—230v, 78r—v; C 1r—47v; D 1r—123v; E 123r—131v; F 95r—130v; G 287v—290v.

სხვადასხვა სისრულითაა მოღწეული. დანიშნულების თვალსაზრისით აღდგომის დასდებლები ქმნიან ოქტოიხოსის ადრეულ რედაქციას და შეიძლება წრეს განეკუთვნებოდნენ. ღვთისმსახურების ამავე წრეს განეკუთვნება დასდებლთა კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც მხოლოდ CE ნუსხებშია და სინური კოლექციის კიდევ ერთმა ლიტურგიკულმა კრებულმა—Sin. 53-მა შენოგერნაეს. ეს დასდებლები სამარადისო ან სინანულის დასდებლებად იწოდებიან და, მსგავსად აღდგომის დასდებლებისა, რვასმიან სისტემას წარმოგვიდგენენ¹⁵⁵.

დაბოლოს, ACE ნუსხებში დაცულია იაღვარის კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილი—იბაკო-წარდგომანი. იაღვარის ამ ნაწილის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავს უყრის ერთად სხვადასხვა დღესასწაულებსა თუ დღეებისათვის განეკუთვნილ დამატებით ელემენტებს—იბაკო-წარდგომანს, რითაც მიმართებას ამყარებს იაღვარის ყველა დანაჩენ ნაწილთან. იბაკო-წარდგომანი, გარდა საწელიწდო დღესასწაულებისა, დაწესებულია დიდმარხვის და ზატიკის პერიოდის დღესასწაულებისათვის და აღდგომის და სინანულის დასდებლების დამატებადაც. მათი დიდი რაოდენობა E-მ შენოგერნაეს, სანორ ვრცელი რიგი იბაკოებისა და წარდგომებისა შესულია A ნუსხაშიც. C მოკლეა და შეიცავს მხოლოდ ზოგიერთი დანიშნულების იბაკოებს¹⁵⁶. ნუსხებში შედარებითი შესწავლა გვიჩვენებს, რომ აქ მითითებულს გარდა უძველეს იაღვარში კიდევ რაიმე სხვა ნაწილის არსებობა მოსალოდნელი არ არის.

ცალკეულ ნუსხათა შედგენილობას, რასაკვირველია, სხვა სახე ექნებოდა, ხელნაწერებს რომ მათი თავდაპირველი სახით მოეღწია. დაკარგული ფურცლების შინაარსის აღდგენას, რაც რიგ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება, გარკვეული კორექტივი შეაქვს აქ წარმოდგენილ სურათში. მაგრამ ვიდრე აღდგენებს შევხებოდეთ, საჭიროა გავითვალისწინოთ იაღვარის ნუსხათა შედგენილობის ერთი მხარე:

უძველესი იაღვარის ნუსხები ერთმანეთისაგან სხვაობენ კრებულებში ძირითადი ნაწილების განლაგებისა და თანმიმდევრობის თვალსაზრისითაც. ამ მხრივ არსებული ნუსხები შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დაიყოს: პირველს მიეკუთვნებთ AB ნუსხებს, რომლებიც აგებულია ჯარჯვლელ კალენდარულ ქარგაზე. კალენდარის ეს ქარგა, როგორც ამას უფრო დაწვრილებით ქვემოთ დავინახავთ, აღებულია იერუსალიმური ლექციონარიდან. იაღვარის პირველ შემადგენელ ნაწილად დღესასწაულთა საწელიწადო რიგია შეტანილი. მის თავისებურებას ის წარმოადგენს. რომ, მსგავსად ლექციონარისა, უძრავ დღესასწაულთა რიგში მარტსა და აპრილს შორის ჩაირთავს დიდმარხვისა და ზატიკის მოძრავ ციკლებს. საწელიწადო-სადღესასწაულო ნაწილის მომდევნოდ A-ში შეტანილია იბაკო-წარდგომანი და შემდგომ აღდგომის დასდებლები, რაც უკანასკნელ დრომდე ხელნაწერში გამოვლენილი არ იყო. B-ში საწელიწადო-სადღესასწაულო ნაწილს უშუალოდ აღდგომის დასდებლები მოსდევს. აღდგომის დასდებლების საწელიწადო დღესასწაულთა შემდგომ მოთავსება შეთანხმებული ჩანს ლექციონარის ტრადიციასთან, აქ სწორედ დღესასწაულთა შემდეგ არის შეტანილი ცალკე საკვირაო დანიშნულების ფსალმუნები და ალელუია-ფსალმუნები (T 1679—1692).

¹⁵⁵ C 47v—63v; E 132r—133v; Sin. 53, 80v—86v.

¹⁵⁶ A 275v—307v; C 63v—78v, 157v—159v; E 133v—134v, 141r—143r.

ნუსხათა მეორე CDE ჭგუფი ამგვარ კალენდარულ ქარგას არ იცავს და ძირითადი შემადგენელი ნაწილების სხვადასხვა განლაგებას გვიჩვენებს. C ნუსხაში ჭერ შეტანილია აღდგომისა და სინანულის დასდებლები, რასაც უშუალოდ მოსდევს დღესასწაულების ამ წრესთან დაკავშირებული იბაკობის მოკლე რიგი — ლიტანიის, აღდგომის, სინანულის, საშაბათო იბაკობები. შემდეგ C-ში შეტანილია დიდმარხვის ციკლი და, ბოლოს, უძრავი კალენდრის დღესასწაულთა მოკლე რიგი. კალენდარულ დღესასწაულებს წინ უძღვის რამდენიმე დღესასწაულისათვის (ხარების, შობის, მოწამეთა და ა. შ.) განკუთვნილი იბაკობების მცირე ჭგუფი.

D ნუსხა, მსავალსად C ნუსხისა, იაღგარის დასაწყისში აღდგომის დასდებლებს ათავსებს, რასაც შემდეგ დიდმარხვის ციკლის საგალობლები მოსდევს.

ყველაზე დანაწევრებულად უძველესი იაღგარი E ნუსხაშია წარმოდგენილი. იოანე-ზოსიმეს ვრცელი სათაურებითა და შენიშვნებით გაუმიჯნავს ერთმანეთისაგან არა მარტო იაღგარის ძირითადი ნაწილები, არამედ საგალობელთა უფრო მცირე ჭგუფები: იაღგარის დასაწყისში მოთავსებულია აღდგომისა და სინანულის დასდებლები, რასაც უშუალოდ მოსდევს ცალკე ჭგუფებად წარმოდგენილი აღდგომისა და სინანულის იბაკო-წარდგომანი. შემდეგ მოტანილია დღესასწაულთა უძრავი კალენდარული რიგი, რასაც იოანე-ზოსიმეს მიხედვით ეწოდება „დღესასწაულნი ძუელნი მიწყებით“. ცალკეა გამოყოფილი ე. წ. „შეკრებულად მსგებსისა დღესასწაულნი“, რომელიც ტიპიურ დღესასწაულთა ზოგად განგებებს შეიცავს. განგებათა ამგვარ ცალკე ჭგუფს იაღგარის არც ერთი სხვა ნუსხა არ იცნობს, თუმცა დღესასწაულთა ზოგადი მოდელეები მათთვის უცხო არ არის. ცალ-ცალკეა გამოყოფილი დიდმარხვისა და ზატიკის ჩვეულებრივ დღეთა საგალობლები. იაღგარის ბოლო ნაწილში მოთავსებულია კალენდარულ და ე. წ. „შეკრებულ“ დღესასწაულთა იბაკობები. მიუხედავად იმ თავისუფლებისა, რომელსაც CDE ნუსხების გადამწერები იჩენენ, მაინც არის მსავალსება მათ შორის. სამივე მათგანში წინ წამოწეულია ოქტობისის საგალობლები და დიდმარხვისა და ზატიკის პერიოდები ცალკეა გამოყოფილი წელიწადის დღესასწაულებისაგან.

ამრიგად, კრებულის აგების თვალსაზრისით იაღგარის ნუსხები საკმაოდ სხვაობენ. მიუხედავად ამისა, ყველა მათგანში კარგად ჩანს იაღგარის ერთი და იგივე ტიპი. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ უძველესი იაღგარის წარმოშობას საფუძვლად იერუსალიმური ლექციონარი უდევს, რომელიც უნდა ყოფილიყო მისი არქიტექტონიკის მოდელიც, უნდა ვთქვათ, რომ თავდაპირველი და ტიპიური სახე იაღგარისა დაცულია იმ ნუსხებში, სადაც დღესასწაულთა მოძრავი და უძრავი ნაწილები ლექციონარის კალენდრის მიხედვითაა განლაგებული და შემდეგ მოცემულია შეიდეულის საგალობლები და იბაკობები. იაღგარის ნაწილებს შორის საწელიწადო ნაწილი ყველაზე აღრეული ჩანს და სწორედ ის უნდა დასდებოდა საფუძვლად კრებულის სახის ჩამოყალიბებას. მაშასადამე, AB ნუსხებს მივიჩნევთ იმ კრებულებად, სადაც უძველესი იაღგარის შემადგენელი ნაწილების თანმიმდევრობის ძველი სახეა დაცული.

ნუსხების დაშორება თავდაპირველი მოდელისაგან სხვადასხვა საფუძველზე ჩანს მომხდარი. თუმცა ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლებელია, მათი გვიანდლობა იყოს, როცა უძველესი იაღგარის პოზიციები შერყეულია და

მისი ტრადიციული სახის დაცვას არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს. აქ უთუოდ ისიც არის გასათვალისწინებელი, თუ რა მიზნით და დანიშნულებით ხდება ილგარის გადანუსხვა. C ხელნაწერი, მაგალითად, ატარებს აშკარა ნიშნებს მისი კერძო, სამონასტრო გამოყენებისა. ხელნაწერის ანდერძში ნათქვამია, რომ „დაყუდებულმა“ ბერმა თვედორე პალაურელმა თავისთვის გადააწერინა ხელნაწერი ვინმე სვიმეონ მაგლობელს საბაწმიდის მონასტერში¹⁵⁷. გადამწერისეულ შენიშვნებში რამდენჯერმეა განმარტებული, თუ როგორ უნდა მოიქცეს მარტოდმყოფი ამა თუ იმ წესის შესრულებისას. ხელნაწერის 204v-ზე მარტივლიის სიწმიდისაჲს გამო შენიშნულია: „სიწმიდისაჲ აღელუჲათა შემოიყვანონ. თუ კულა მარტოჲ იყო, რაჲცა იცოდე, იგიცა ბრძანე“ (გვ. 250). ანალოგიური შენიშვნები ახლავს ფერისცვალებისა და ენკენიის განგებებსაც (გვ. 266, 298). აშკარაა, რომ გადამწერი სამონასტრო ცხოვრების პირობებს ითვალისწინებს. ასეთ შემთხვევაში გამორიცხული არ არის, რომ კრებულის აგება, მისი შედგენილობა იმ პირის სურვილებით არის ნაკარნახევი. ვისთვისაც იგი იწერება, რაც სრულიად გამორიცხულია სამრევლო მსახურებისათვის გადაწერილ ხელნაწერებში.

უფრო თვალსაჩინოდ აღნიშნული ვითარება E ნუსხაში ჩანს. მასში დაცული ძველი ილგარის მკვეთრად გამოხატული თავისებური სახე განპირობებული უნდა იყოს იმ ამოცანებით, რასაც იოანე-ზოსიმე Sin. 34 ხელნაწერს უსახავდა მთლიანად. იოანე-ზოსიმეს მიზანს შეადგენდა კრებულში აესახა ღვთისმსახურებისა და ჰიმნოგრაფიის განვითარების ის გარდამავალი ეტაპი, როცა ახალმა და ძველმა ილგარულმა მასალამ ერთად მოიყარა თავი და ერთნაირად საკირო აღმოჩნდა მსახურებისათვის. იოანე-ზოსიმე „ძველსა“ და „ახალს“ განიხილავს როგორც ერთმანეთის შეესებას, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ძველი ილგარის გადაწერისას, იგი მხედველობაში იღებს ვითარებას ახალ ილგარში. ძველი ილგარის შემადგენელი ნაწილების თანმიმდევრობა აშკარად ისეთივეა შესაბამის ნაწილებში, როგორც ახალში. ამ უკანასკნელში ჭერ სწორედ ოქტობოსის საგალობლებია გადაწერილი, შემდეგ ღვთისაწაულების საწელიწდო რიგი, ზოგადი ღვთისაწაულები და, ბოლოს. მარხვის კვირიაკეთა საგალობლები¹⁵⁸. ამ თანმიმდევრობას უჩვენებს, როგორც ზემოთ ვნახეთ, E-ს ძველი ნაწილიც. უნდა შევნიშნოთ, რომ E ნუსხის არც ახალი ნაწილის აგების სქემაა ტიპიური X საუკუნის ახალი ილგარებისათვის და იგი განხილულ უნდა იქნას როგორც ამ კრებულის თავისებურება.

7.



უძველესი ილგარის შედგენილობის სპეციფიკის განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცალკეულ ნუსხათა ღვთისათვის დაკარგული ფურცლების შინაარსის ცოდნას. როგორც ითქვა, ილგარის ABCD ნუსხებიდან არც ერთი არ არის ჩვენამდე მოღწეული სრულად. მხოლოდ E-ში შეტანილი „ძველი“ ილგარი შემოინახა თავდაპირველი სახით. ნუსხების დაზიანება საგრძნობია, ფურცელთა დიდ რაოდენობას მოიცავს და ძირითადად ხელ-

¹⁵⁷ სინურ. ხელნაწ. აღწერილობა, I, გვ. 152.

¹⁵⁸ იქვე, გვ. 97—116.

ნაწერთა თავსა და ბოლოში აღინიშნება. იადგარის სხვადასხვა ნუსხებში ნაკლებია მისი სხვადასხვა ნაწილები. AB ნუსხებში დასაწყისში დაზიანება შეხება დღესასაწულთა საწელიწდო რიგს, ხოლო ბოლოში — აღდგომის დასდებლების ბოლო ხმებს. CD ნუსხების დასაწყისში ნაკლებია იმავე აღდგომის დასდებლების პირველი ხმები. კარგად არის ნუსხებში დაცული მარჯვის ნაწილი, ვინაიდან იგი თითქმის ყველგან ხელნაწერთა შუა ნაწილშია მოქცეული. ამ მხრივ გამონაკლისს მხოლოდ D ნუსხა შეადგენს, რომელიც ვნების კვირის საგალობლებზე წყდება. ძირითადი შემადგენელი ნაწილების სხვადასხვა თანმიმდევრობის წყალობით ამა თუ იმ ნუსხის დაკარგული ნაწილების შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ არა მარტო ნუსხაშივე არსებული მონაცემებისა და მინიშნებების მიხედვით, არამედ ძირითადად პარალელურ ნუსხებში არსებული ვითარების მიხედვით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ მხრივ E-ს ენიჭება.

დაკარგული ფურცლების შინაარსის განსაზღვრის მნიშვნელობა სცილდება ცალკეული ნუსხების ფარგლებს, რადგან ამგვარი აღდგენები საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ უძველესი იადგარის ამა თუ იმ მოვლენის გავრცელების მასშტაბებზე, საზოგადოდ იადგარის განვითარების დონეზე.

ხემათ უკვე აღვანხეთ, რომ AB ნუსხება თავნაკლულაა. A-ს დასაწყისში ორი რვეული ანუ 20 ფურცელი აკლია. B-ს კი პირველი რვეულიდან შემორჩა მხოლოდ ბოლო ფურცელი¹⁵⁹.

AB ნუსხაზე დღეს შინაარსს დღესასწაულთ იწყება. A-მ ამ დღესასწაულის უმნაშენლო ფრაგმენტი შემოინახა, რომელიც ხელნაწერის მეტად დაზიანებულ 1r—v-ზეა მოთავსებული (გვ. 20—21). B-ს ფრაგმენტი გაცილებით ვრცელია (გვ. 14—22). შობას დღესასწაულის განგება დაზიანების გარეშე დაცულია C და E ნუსხებში.

რათა უკეთ წარმოგვედგინა, თუ როგორ გამოიყურებოდა AB ნუსხების დაკარგული თავი, საჭირო გახდა პირველ რიგში იმის გარკვევა, თუ როგორი სახე ჰქონდა AB-ში ფრაგმენტულად მოღწეულ შობის დღესასწაულს. ეს იმიტომ იყო ნაკარნახევი, რომ E ნუსხა C-სთან შედარებით გარკვეულ განსხვავებებს შეიცავს, რაც სპეციალურ განმარტებას ითხოვს. უძველესი იადგარის შობას დღესასწაულა ჩვენ შევასწავლოთ ABCE ნუსხათა მონაცემების ურთიერთ-თან და იერუსალიმის ლექციონარის ნუსხათა მონაცემებთან შეპირისპირებით. მიღებული შედეგები შეიძლება ამგვარად ჩამოყალიბდეს:

1. უძველესი იადგარის შობის დღესასწაულის სახეს ლექციონარი უდევს საფუძვლად. ამ დღესასწაულის ლექციონარისეული დასაწყისი, წირვითა და საგანგებო რაჭულთა ფორმები, მათი თანმიმდევრობა და საგალობელთა ტექსტები თითქმის უცვლელად არის გადასული იადგარში და შევსებული ახალი, რაღაზისეული საგალობლებით—ცისკრის კანონითა და სტიქარონებით. C ნუსხაში დაცულია უძველესი იადგარის შობის დღესასწაულის ტიპური სახე.

2. AB ნუსხების ფრაგმენტები დღესასწაულის იმავე სახეს უჩვენებენ და შესაბამის ნაწილებში ზუსტად მიჰყვებიან ლექციონარის ნუსხებს, რაც უკეთ

¹⁵⁹ B-ს პირველი რვეულის ფურცელთა რაოდენობის ზუსტად განსაზღვრა არ ხერხდება, რადგან ამ ხელნაწერისათვის არ არის დამახასიათებელი რვეულებში ფურცელთა ერთი და იგივე რიცხვი.

B-ს შედარებით ვრცელ ფრაგმენტში ჩანს. ეს ფრაგმენტები ამავე დროს C-სთან დგებიან, ერთი განსხვავებით: ვალობათა ძირითადი ფენის გარდა, რომელიც საერთოა C-სთან, B შეიცავს მეორეულ ფენასაც — „სხუანებს“, რაც არ არის დამახასიათებელი C ნუსხისათვის (გვ. 17—19), ასევე, C-საგან განსხვავებით, „სხუანები“ აქვს AB-ს აქებდითსას (გვ. 19—21).

3. E ნუსხა შობის დღესასწაულის წინაღლის სტიქარონებით იწყება¹⁶⁰, რასაც შემდეგ მოსდევს ლექციონარიდან მომდინარე ტრადიციული ლასაწყისი და დღესასწაულის მთელი კომპოზიცია¹⁶¹. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხსენებულ სტიქარონებს, აღმოჩნდება, რომ E თავისი აგებულებითა და ტექსტებით C-ს იდენტურია, არ შეიცავს მხოლოდ შობის ცისკრის კანონს, რაც E ნუსხის სპეციფიკით აიხსნება¹⁶². რაც შეეხება აღნიშნულ სტიქარონებს, ირკვევა, რომ ისინი უძველესი იადგარის კუთვნილებას არ შეადგენენ. ამაზე მეტყველებს შემდეგი გარემოებები:

ა. საგალობლებს ახლავს იოანე-ზოსიმეს ხელით მიწერილი სპეციალური შენიშვნა: „ახალნი“. ტერმინები „ძველი“ და „ახალი“, როგორც ცნობილია, E-ში იხმარება იადგარის არქაული და ახალი ნაწილების გასამიჯნად¹⁶³.

ბ. სხვადასხვა დანიშნულების ეს ორი სტიქარონი ერთად არის მოტანილი და არ არის ორგანულად ჩართული შესაბამის მსახურებათა თანმიმდევრობაში. უძველესი იადგარისათვის კი საგალობლების სწორედ ამგვარი განაწილება დამახასიათებელი.

გ. აღნიშნული საგალობლების სრული ტექსტები შეტანილია X საუკ. ახალ იადგარებში (Sin. 26. Sin. 1, Sin. 14, Sin. 64)¹⁶⁴. უნდა ვიფიქროთ, რომ E ხელნაწერის ახალი ნაწილის გადაწერის დროს იოანე-ზოსიმეს ხელთ არ ჰქონდა ან გამოარჩა აღნიშნული საგალობლები და შემდგომ დაუმატა „ძველ“ ნაწილში სათანადო განმარტებით: „ახალნი“.

ამრიგად, თუ ჩვენ მიერ განხილულ სტიქარონებს უძველესი იადგარის ორგანულ ნაწილად არ მივიჩნევთ, აღმოჩნდება, რომ E-შიც შობის დღესასწაულს არსებითად იგივე სახე აქვს, რაც C-ში (მხედველობაში არ ვიღებთ უმნიშვნელო ტექსტობრივ განსხვავებებს). ყოველივე ეს, ვფიქრობთ, იმაზე მეტყველებს, რომ AB ნუსხეშიც დღესასწაულს ისეთივე დასაწყისი ჰქონდა, როგორც ეს C ნუსხაშია, და სტრუქტურულად C-ს თანხვედრილი იყო. ოღონდ B და, საფიქრებელია, A-ც უფრო ვრცელი იყო ახლა საგალობლების ნაწილში, რადგან „სხუანების“ ფენებს შეიცავენ.

შობის დღესასწაულის ფარგლებისა და მოცულობის განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება AB ნუსხების დაკარგული თავის აღდგენისათვის. აღმოჩნდა, რომ ორივე ნუსხის დასაწყის ნაწილში დაკარგული ფურცლების რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე ეს შობის დღესასწაულისათვის უნდა ყოფილიყო საჭირო. მართლაც, ვიარკვეა, რომ AB-ში შობის დღესასწაულის წინ

¹⁶⁰ E-ს 134v-ზე ვკითხულობთ: „ქრისტეს შობასა წინა დღით დასადგენნი უფალო ღალად-ყავაქებდითსა ახალი—ანგელოზთა დღეს წინა უეიდოდეს...“. ამ მოტანილი სტიქარონთა 7 სტროფის დასაწყისები.

¹⁶¹ E 134v.

¹⁶² ამ სპეციფიკის შესახებ იხ. აქვე, გვ. 705.

¹⁶³ ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მეხელისა და მეხურის გავებისათვის, გვ. 167.

¹⁶⁴ სინურ ხელნაწ. აღწერილობა, I, გვ. გვ. 15, 40, 81, 187.

მოთავსებული იყო ხარება. რომელიც დღეს ამ ნუსხებში თავის თარიღზე არ იძებნება.

წინასწარ უნდა ითქვას, რომ ხარების დღესასწაულს იცნობენ ლექციონარის ნუსხები. L და P ხელნაწერებში ხარება, რომელიც თავისი თარიღის მიხედვით ჩართულია დღესასწაულთა საწელიწდო რიგში, წარმოდგენილია ლექციონარის დიდი დღესასწაულებისათვის დამახასიათებელი წინადღის მწუხრისა და ჟამისწირვის საკითხავებითა და საგალობლებით (T 267—276).

ხარების დღესასწაულის ჰიმნოგრაფიული ნაწილის უფრო ვრცელი სახე შეუძუშავებიათ უძველესი იადგარის დონეზე, რაც CE ნუსხებმა შემოგვინახეს (გვ. 7—11, E 135v). პირველ მათგანში საგალობელთა შემადგენლობა სრულია, მეორეს აკლია ცისკრის კანონი. იადგარის ხარების დღესასწაულს ლექციონარის საგალობელი ტექსტები დასდებია საფუძვლად. გარდა სტიქარონებისა და ცისკრის კანონისა, C და E თითქმის მთლიანად იმეორებენ ლექციონარისეულ საგალობლებს და მათ ტექსტებს¹⁶⁵.

ამრიგად, ხარების დღესასწაულის არსებობა უძველესი იადგარის დონეზე ექვეს არ იწვევს, ამდენად ლოგიკურია დაშვება, რომ მას შეიცავდა AB ნუსხებიც, რასაც ადასტურებს კიდევ შემდეგი გარემოებები:

1. ხარებაზე მითითებას შეიცავს თვით A ნუსხა. მარიაშობის საგალობელთა შორის არ არის სიწმიდისაჲ. ამის თაობაზე ხელნაწერის 218v-ზე ტექსტის ხელითვე შენიშნულია: „სიწმიდისაჲ ხარებასა ჰპოო“ (გვ. 271). ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ იადგარის გადამწერს მხედველობაში აქვს სიწმიდისაჲს ისეთი ტექსტი, რომელიც ამავე ხელნაწერშია მოთავსებული და საერთოა ორი დღესასწაულისათვის. ამგვარი მითითებები A-ში სხვა შემთხვევებშიც გვხვდება და საჭირო საგალობლები უკლებლივ ხელნაწერის ფარგლებშივე იძებნება. აღნიშნული თავისებურება იადგარში ლექციონარიდან ჩანს გადასული. P ნუსხაში, რომელმაც შემოინახა ხარებისა და მარიაშობის დღესასწაულთა განგებები, ორივე დღესასწაულისათვის სიწმიდისაჲს ერთი და იგივე ტექსტი დასტურდება, რომ-

P

¹⁶⁶ თთუესა მარტსა კე ხარებაჲ წმიდისა
ღმრთისმშობელისაჲ

მწუხრო

ოხითაჲ კმაჲ გ: ღმრთისა მიერ მოივლინა...

ფსალმუნი კმაჲ გ: გარდამოკვდეს ვითარცა...

დასდებელი: ღმერთო, სარჩელი შენი...

ოხითაჲ კმაჲ გ: ოდეს კილობნისა სახტ...

ფსალმუნი კმაჲ ა: აღიღებს სული ჩე...

დასდებელი: რამეთუ მოხელდა სიმდაბლესა...

აღელუაჲ დ გ: ისმინე, ასულო ვიღრე თა-
ყუანის-სცემს.

კელთაბანისაჲ ა გ: უცხო იყო მოკითხვაჲ,
უცხო...

სიწმიდისაჲ: საშინელი და დიდებული და
დიდი სა...

(T 267, 268, 273, 275, 276).

L-ში სამხრის ფსალმუნ-დასდებელი ემთხვევა P-ს მწუხრის ფსალმუნ-დასდებელს (მდრ-
T 267 და 268). E იადგარი L-ის ჩვენებას მისდევს (E 135v).

C

თთუესა მარტსა კე ხარებაჲ

ოხითაჲ კმაჲ გ გ: ღმრთისა მიერ მოივლინა-
გაბრიელ ანგელოზი...

—

—

ოხითაჲ კმაჲ ბ გ: ოდეს კილობნისა სახტ...

ფსალმუნი კმაჲ გ: აღიღებს სული ჩე...

დასდებელი: რამეთუ მოხელდა სიმდაბლესა...

აღელუაჲ კმაჲ დ გ: ისმინე, ასულო, და
იხილე...

კელთაბანისაჲ ა გ: უცხო იყო მოკითხვაჲ და
უცხო...

სიწმიდისაჲ: საშინელი და დიდებული და დი-
დი საიდუმლო...

(გვ. 7, 10—11).

ლის დასაწყისია: „საშინელი და დიდებული და დიდი სა[იღუმლო]...“. ეს ტექსტი შეტანილია ხარების განგებაში (T 276), ხოლო მარიამობის განგებაში არის მხოლოდ მითითება: „სიწმიდისაჲ ხარებისაჲ“ (T 1154). აშკარაა, რომ P-ც და A-ც ერთსა და იმავე ტრადიციას იცავენ — მარიამობის ეამისწირვაში ამსახურებენ ხარების სიწმიდისაჲს¹⁸⁸, რომელიც დღეს A-ში 25 მარტზე არ ჩანს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ A ნუსხას საწელიწდო ნაწილის მხოლოდ დასაწყისი აქვს დაკარგული, ხარება სწორედ ამ დაკარგულ ნაწილში უნდა ვიგულოთ.

2. A ნუსხა კიდევ შეიცავს ხარებასთან დაკავშირებულ ერთ საგულისხმო ფაქტს. იადგარის იბაკობის რიგი, რომელიც ზუსტად შეესიძლება იადგარის ძირითადი ნაწილის დღესასწაულების თანმიმდევრობას, ხარების იბაკობით იწყება (გვ. 334). ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ იბაკობის რიგის მიხედვით ხარება უნდა იდგეს კალენდარული დღესასწაულების თავში, შობის წინ.

ასეთივე ვითარებაა E-ში. იადგარის ძველ ნაწილში ცალკეა გამოყოფილი დღესასწაულთა იბაკობი შემდეგი სათაურით: „იბაკონი ყოველთა დღესასწაულთანი მიწყებით“. იბაკონთა რიგი ხარებით იწყება, რასაც შემდეგ უშუალოდ მოსდევს შობის იბაკობი და ა. შ. (141r), თუმც თვით დღესასწაული E-ში უკვე თარიღის — 25 მარტის მიხედვითაა გადატანილი.

3. ხარებასთან დაკავშირებით საგულისხმო ვითარებაა C ნუსხაშიც. კალენდარული დღესასწაულების რიგი, რომელიც იადგარის ცალკე ნაწილს შეადგენს, ხარებით იწყება, რასაც შემდეგ მოსდევს შობა და სხვა დღესასწაულები (C 160r). ხარებითვე იწყება C-ში დღესასწაულთა იბაკობის მოკლე რიგი 157v-ზე.

4. საგულისხმო მასალები დაიძებნა ხარებასთან დაკავშირებით საბაწმიდურ-სინური წარმოშობის სხვადასხვა ლიტურგიულ კრებულებში, კერძოდ, კონდაკებში. Sin. 54 ხელნაწერი 66v-დან 175v-მდე შეიცავს ეამისწირვათა ახალი აღთქმის საკითხავენსა და პოეტურ და ფსალმუნურ საგალობლებს მთელი წლისათვის, რაც იერუსალიმური ლექციონარის შესაბამისი ნაწილების იდენტურია და დალაგებულია იმავე ლექციონარის კალენდარული რიგით. მაგრამ ეს რიგი იწყება არა შობით, არამედ ხარებით. იმავე ხელნაწერში ეამისწირვების კიდევ

¹⁸⁸ ლექციონარის L ნუსხაში დაწესებული სიწმიდისა ორივე დღესასწაულზე ტექსტის მოკლე დასაწყისებით არის მოტანილი: ხარებას — „საშინელი და დი...“ (T 276), მარიამობას — „საშინელი და დიდებული...“ (T 1154). შესაძლებელია, ლატალის ნუსხა ამ დასაწყისებში ერთი და იმავე ტექსტს გულისხმობდეს, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ მას ტექსტის განსხვავებული ვარიანტები ჰქონდეს მხედველობაში, როგორც ეს C ნუსხაშია (გვ. 11, 271). C-ს ვითარებას მხარს უჭერს E. აქაც სხვადასხვა ტექსტი უნდა იგულისხმებოდეს: ხარებას — „საშინელი და დიდი საიღუმლოა...“ (135v). მარიამობას — „საშინელი და დიდებული და დი...“ (137r). იადგარის B ნუსხამ ღვთისმშობლის მოწინების დღეს სიწმიდისაჲს კიდევ ერთი ვარიანტი შემოინახა, რომელიც C-ს ორ ტექსტს შორის არსებულ განსხვავებებს შეიცავს (იხ. გვ. 271). მიუხედავად ამგვარი სიკრელისა, აშკარაა, რომ სიწმიდისაჲს ყველა ვარიანტი ერთი ტექსტიდან მომდინარეობს, რომელიც თავიდან საერთო უნდა ყოფილიყო ორი დღესასწაულისათვის. ეს ვითარება იყო, როგორც ჩანს, დატული A ხელნაწერში.

ამ ვარაუდს მხარს უჭერს J. ლეების მიერ დაძებნილი ბერძნული მოდელი სიწმიდისაჲს იმ ტექსტისა, რომლის დასაწყისია: „საშინელი, დიდებული და დიდი...“ (PCE) და რომელიც სრული სახით შემოინახა C ხელნაწერმა სწორედ ხარების განგებაში. მარიამობის განგებაში BC ამ ტექსტის განსხვავებულ ვარიანტებს იძლევიან (L e e b, Die Gesänge, S. 123.).

ორი შემადგენელი ელემენტია წარმოდგენილი დღესასწაულების რიგზე—კვერეჩსები და ერის განტევებანი. ორივე რიგი ხარებით იწყება (16r, 29r). მსგავსი ვითარებაა Sin. 12-ში, რომელიც შეიცავს ჟამისწირვათა ახალი აღთქმის საკითხავებისა და ფსალმუნების, აგრეთვე კვერეჩსებისა და ერის განტევებათა საწელიწდო რიგს იმავე წესით. როგორც ეს Sin. 54-ში ვნახეთ (იხ. Sin. 12, 191r, 11r, 35r). Sin. 66-ში. რომელიც კურთხევას წარმოადგენს, ერის განტევებათა საწელიწადო რიგი ხარებით იწყება (100r). დაბოლოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს ტრადიცია შემოინახეს ქართულმა უძველესმა მრავალთავებმა (სინური, A-19, A-95. ათონური). მრავალთავების ლიტურგიკული წელიწადი ხარებით იწყება.

თუ შევაჯამებთ A და CE ნუსხებიდან მოხმობილ ფაქტებს და გავითვალისწინებთ მასალას სხვადასხვა ხელნაწერებიდან, უნდა დავასკვნათ, რომ იადგარის A ნუსხა ხარებით იწყებოდა, რომ სწორედ ხარება იდგა დღესასწაულთა კალენდარული რიგის თავში. ამგვარივე ვითარება უნდა ყოფილიყო B ნუსხაშიც, რადგან როგორც A-ს, ასევე B ნუსხასაც დღესასწაულთა ნაწილში, გარდა დასაწყისისა, არსად ფურცელი არ აკლია.

ამრიგად, გამოიკვეთა უძველესი იადგარის ერთი არსებითი ნიშანთაგანი, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ იადგარის ლიტურგიკული წელიწადი, მსგავსად უძველესი მრავალთავებისა, ხარებით იწყება.

ქართული ლიტურგიკული ძეგლების ამ სპეციფიკას პირველად ყურადღება ე. გარიტმა მიაქცია სინური მრავალთავების მაგალითზე¹⁶⁷, მაგრამ ამ თავისებურების ახსნას ე. გარიტი არ იძლევა. შემდგომში მ. თარხნიშვილი იერუსალიმური ლექციონარის შესავალში მიუთითებდა, რომ „არსებობს საკითხავთა კრებულები, რომლებშიც ქადაგებანი ხარების შესახებ უშუალოდ უსწრებენ წინ შობის ქადაგებებს. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს კრებულები საეკლესიო წელიწადს იწყებენ არა შობით, არამედ ხარების დღესასწაულით“. ამ ფაქტს იგი უპირისპირებს ლექციონარს, რომელიც შობით იწყება. მრავალთავების სინური, ათონური და პარზლის (A—95) ხელნაწერების გვერდით მ. თარხნიშვილი ასახელებს Sin. 54 ხელნაწერს, რომელსაც ზემოთ შევეხეთ¹⁶⁸. საეკლესიო წელიწადის ეს სპეციფიკა მრავალთავების მიხედვით გამოიკვლია და ახსნა მ. ვან ესბროკმა¹⁶⁹.

როგორც ირკვევა, ქართული ლიტურგიკული ძეგლები გარკვეულ პერიოდში ურთიერთშეთანხმებულად ერთსა და იმავე წესს იცავდნენ — ლიტურგიკულ წელიწადს ხარებით იწყებდნენ (ხარება თავისი ტრადიციული თარიღით გადატანილი იყო კალენდარულ დღესასწაულთა თავში). უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ვითარება ვრცელდებოდა იერუსალიმურ ლექციონარზედაც. იერუსალიმური ლექციონარი, საღვთისმსახურო პრაქტიკის ძირითადი წარმართველი ძეგლი, რომელსაც ტიპიკონის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული, ვერ აუვლიდა გვერდს იმ მოვლენებს, რომელთაც ლიტურგიკულ კრებულებში ხარებით წელიწადის დაწყება განსაზღვრეს. ლექციონარის ჩვენამდე მოღწეული

¹⁶⁷ Garitte, Catalogue, p. 93.

¹⁶⁸ Le grand Lectionnaire de l'église de Jérusalem, t. 1, traduit, p. VI—VII.

¹⁶⁹ მ. ვან ესბროკის ეკლესიის შედეგები და მათი მნიშვნელობა უძველესი იადგარის რიგი საკითხების გარკვევისათვის იხ. აქვე, გვ. 686—688.

ნუსხები, რომელთაც ხარება შემოგვიწინებს, X საუკუნეზე აღრეული არ არის. ამიტომ არ ვიცით, რა ვითარება იყო აღრეულ ნუსხებში ხარების შემოღებიდან. რის მოწმეც ლექციონარი უნდა ყოფილიყო, ვიდრე IX საუკუნის გასულამდე (სომხური ლექციონარი ხარებას ჯერ კიდევ არ იცნობს). X საუკუნის კონდაკების ქამისწირვათა საწელიწოდო რიგი ფაქტიურად ლექციონარის ამ დანიშნულების საკითხავებისა და საგალობლების გამონაკრებს წარმოადგენს და მისი ხარებით დაწყება გვაფიქრებინებს, რომ Sin. 54-ს და Sin. 12-ს ლექციონარის ისეთი ნუსხები აქვთ მხედველობაში, სადაც ხარება ჯერ კიდევ კალენდარული რიგის თავში ზის ან ინერციით აგრძელებენ კონდაკების ძველ ტრადიციას, ასევე აღმოცენებულს ლექციონარის აღრეულ ნუსხებზე, რადგან ქამისწირვათა საკითხავები და საგალობლები კონდაკებში მხოლოდ ლექციონარიდან შეიძლებოდა გადასულიყო. ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, რომ განვითარების გარკვეულ ეტაპზე ლექციონარი ხარებით იწყებოდა და მასთან შეთანხმებული იყო ყველა ის ძეგლი, რომელიც ღვთისმსახურებისათვის საკირო დამატებით ჰიმნოგრაფიულ ან საკითხავ მასალას შეიცავდა. ასეთი ძეგლებია სწორედ მრავალთავი და იადგარი. X საუკუნეში ეს ვითარება შეცვლილია არა მარტო ლექციონარებში, არამედ იადგარის ახალ რედაქციაშიც. X საუკ. ახალი იადგარები, უკლებლივ ყველა, შობით იწყება, ეს მათი სპეციფიკაა. ხარება გადატანილია დღესასწაულთა კალენდარულ რიგში. X საუკუნის ძეგლებში ეს პროცესი ბოლომდე გატარებული არ არის, რიგი ძეგლებია ინარჩუნებენ ძველ ტრადიციას.

მოვლენათა მიმდინარეობის ამგვარ ფონზე შესაძლებელი ხდება ახსნა იმ ფაქტისა, თუ რატომ არის Sin. 34-ის იადგარის ძველ ნაწილში ხარება არა დღესასწაულთა დასაწყისში, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, არამედ თავის თარიღზე. ვფიქრობთ, ეს ვითარება იადგარის „ძველი“ და „ახალი“ ნაწილების ურთიერთშეთანხმების აუცილებლობამ განაპირობა, რაც იმ გარდამავალი ეპოქის ანარეკლია, როცა საგალობელი რეპერტუარისა და გარკვეული ტრადიციების შეცვლის პროცესში „ძველი“ და „ახალი“ ერთმანეთის გვერდით იდგა და ერთმანეთს ავსებდა: იოანე-ზოსიმე, როგორც ჩანს, ხარკს უხდის ახალი იადგარის მოთხოვნილებებს და მათ შესატყვისად ძველ იადგარში ხარება თარიღის მიხედვით გადააქვს. იგივე იოანე-ზოსიმე ხარების იბაკობს, როგორც ვნაქეთ, დღესასწაულთა თავში ათავსებს, უძველესი იადგარის წესის თანახმად. E-ში ხარების თარიღის მიხედვით გადატანის ფაქტის დადასტურება კარგი საბუთია იმის დასაშვებად, რომ იგივე ფაქტია მომხდარი ლექციონარის გვიანდელ ნუსხებშიც¹⁷⁰.



ფურცელთა დაკარგვა A ზელნაწერის დასაწყისში ამ ნუსხის კიდევ ერთ დღესასწაულს შეეხო, რაც შემუმჩნეველი დარჩა კილ-ეტრატის იადგარის მკვლე-

¹⁷⁰ ხარების დღესასწაულის აღდგენა AB ზელნაწერების დასაწყისში საფუძვლად დაედო ხარების ადგლის განსაზღვრას წინამდებარე გამოცემაში.

ვრებსა და გამომცემლებს. ეს არის 26 დეკემბრის დავით-იაკობის დღესასწაული. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ A ხელნაწერის 1r—v უჭირავს შობის დღესასწაულის ფრაგმენტს. ტექსტის შესწავლით ირკვევა, რომ შობის დღესასწაულს ამ ფრაგმენტის მომდევნოდ აკლია შობის ეამისწირვის ჰელთაბანი-საჲ და სიწმიდისაჲ. ამის მიზეზი კი ის არის, რომ დღევანდელ პირველ და მეორე ფურცლებს შორის A-ს ერთი ფურცელი აკლია. სწორედ ამ ფურცელზე იწყებოდა დავით-იაკობის დღესასწაულის საგალობლებიც, რომელთა მეტი ნაწილი დარჩენილია A-ს 2r—4v-ზე. დღესასწაული სრული სახით B ნუსხამ შემოგვინახა, რომელიც ლექციონართან ერთად საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ, თუ როგორი სახე უნდა ჰქონოდა მას A-ში (გვ. 22—24)¹⁷¹.



უძველესი იადგარის შედგენილობის კვლევის თვალსაზრისით მნიშვნელობა ენიჭება იმ ფურცელთა აღდგენასაც, რომელთა კლება A ნუსხის იბაკოთა ნაწილშია შემჩნეული. ზემოთ უკვე ითქვა, რომ A ნუსხის 275v—307v უჭირავს იადგარის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს — იბაკო-წარდგომანს. აღნიშნული გვერდები ხელნაწერის 33-ე — 34-ე რვეულების ფარგლებშია მოქცეული, მათგან 33-ე ნაკლებია, ნაცვლად ათი ფურცლისა დღეს 6 ფურცელს ითვლის. მიუხედავად იმისა, რომ A ხელნაწერი აღნიშნულ ნაწილში ძალიან დაზიანებულია, ამასთანავე იბაკოთა ორ-სამ სიტყვიან დასაწყისებში ხშირად შეუძლებელია მათი დანიშნულების ამოცნობა, E და, რაც შემთხვევაში, C საშუალებას იძლევიან აღვადგინოთ დაკარგული ფურცლები. აღდგენა, რასაკვირველია, გულისხმობს იმის გარკვევას, თუ რა დანიშნულების იბაკოები უნდა ყოფილიყო მოთავსებული დაკარგულ ფურცლებზე. ტექსტის აღდგენაზე აქ არც შეიძლება ლაპარაკი, რადგან A და E ნუსხები იბაკოების ნაწილში ძალიან შორს არიან იდენტურობისაგან. E-მ შემოინახა იბაკო-წარდგომათა უაღრესად ვრცელი რიგი, რაც რაოდენობრივად ბევრად ჰარბობს A ნუსხის იბაკოთა რიცხვს. ამას ისიც ემატება, რომ A-ს იბაკოებს ხშირ შემთხვევაში პარალელი E-ში არ ეძებნება. ამრიგად, ამ ორ ნუსხას საერთო აქვს იბაკოთა შედარებით მცირე ნაწილი. C ნუსხის იბაკოთა რიგი უაღრესად მოკლეა. აქ წარმოდგენილია მხოლოდ ზოგიერთი დანიშნულების იბაკოები. ურთიერთშეჯერებისას არსებითი მნიშვნელობის აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ E-ში, რომელმაც მსგავსად A ნუსხისა, შემოინახა იმ დღესასწაულთა თანმიმდევრული რიგი, რომლებისთვისაც უძველეს იადგარს შემოღებული აქვს იბაკოები, დადასტურდა ზოგიერთი ისეთი დღესასწაული, რომელსაც არ აღმოაჩნდა პარალელი A ნუსხაში. ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ შესაბამის ნაწილებში A-ს ფურცლები აკლია.

კერძოდ, E-სთან შეჯერებით გაირკვა, რომ A ნუსხის 300r-ზე, დასაწყის-შივე მოთავსებული იბაკო, რომლის დასაწყისია: „ხატად ფუფუნებისა სამოთხისა არს ტაძარი...“ (გვ.352) და რომელიც დღეს ჯვრის ამალეების იბაკოებს მისდევს, სინამდვილეში არ არის ჯვრის იბაკო, არამედ განკუთვნილია 14 ნომერ-

¹⁷¹ ჭილ-ეტრატის იადგარში დავით-იაკობის დღესასწაულს არსებობას უთითებს ბ. უტიეი, იხ. მისი რეცენზია: *Le iadgari sur papyrus et parchemin...*, Bedi Kartlisa (Revue de Kartvëlogie), vol. XXXVII, Paris, 1979, p. 338.

ბრის მთავარანგელოზთა დღესასწაულისათვის. E-ში იგი მოთავსებულია სათაურით: „იბაკონი მთავარანგელოზთანი“ (142v). იბაკოს ამგვარი დანიშნულება თვით ტექსტიდანაც ჩანს: „განწყობილებაჲ დიდებულთა ანგელოზთაჲ აღავსე, მათ მიერ წარგუიმართე, ღმერთო, ლოცვაჲ სულთა ჩუენთაჲ“. A ხელნაწერის მესამასე ფურცელი დღეს 33-ე რვეულის პირველი ფურცელია და, როგორც ვხედავთ, იგი არ წარმოადგენს წინა ფურცლის უშუალო გაგრძელებას. როგორც ჩანს, ჯერის აღმართების იბაკოთა მომდევნოდ, რომელსაც უფრო ვრცელი სახე უნდა ჰქონოდა A-ში, ვიდრე 299v-ზეა შემონახული, A-ში მოთავსებული იყო ზაქარიას დაღუმების იბაკოები, როგორც ეს E-შია, და შემდეგ 14 ნომბრის მთავარანგელოზთა დღესასწაულისათვის განკუთვნილი იბაკოები, რომელთა ნაწილი შემორჩა A-ს 300r-ზე. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ ზაქარიას დაღუმებისა და მთავარანგელოზთა დღესასწაულები A-ში შეტანილია და მათ დღეს შესაბამისი იბაკოები არ ეძებნებათ. ამრიგად, ვფიქრობთ, რომ A ნუსხა ნაკლებია 299v-სა და 300r-ს შორის.

ჩვენ მიერ განხილული მთავარანგელოზთა იბაკოების მომდევნოდ A-ში, იმავე 300r-ზე იწყება და 302v-მდე გრძელდება „იბაკონი სულთანი“ (გვ. 352—354). იმავე 302v-ზე A-ში იწყება აღდგომის იბაკო-წარდგომათა ვრცელი რიგი, რომელიც 305r-ზე მთავრდება (გვ. 354—359). CE-სთან შეჯერება გვიჩვენებს, რომ ეს ნაწილები A ხელნაწერში უხარვეზოდაა შემორჩენილი, მაშასადამე, 33-ე რვეულის სახეზე არსებული ფურცლები უკლებლივ ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენენ. მაგრამ ირკვევა, რომ 33-ე რვეულს ფურცლები ბოლოშიც აკლია. ხელნაწერის 305v-ზე, აღდგომის იბაკო-წარდგომათა მომდევნოდ, მოთავსებულია იბაკოთა ჯგუფი სათაურით: „ანგელოზთანი“ (გვ. 359). აღმოჩნდა, რომ აღნიშნული იბაკოები C და E ნუსხებში საშაბათო იბაკოებად იწოდება (გვ. 359, E 134r—v). შედარებამ გაარკვია, რომ A-ს საშაბათო იბაკოები ანუ „ანგელოზთანი“ 305v-ზევე წყდება და 306r-დან შემოდის სრულიად სხვა დანიშნულების მასალა, რაც CE-ში სინანულის იბაკო-წარდგომებად არის წოდებული (გვ. 359—364, E 134r—v).¹ A-ს 306r-ზე დასაწყისებით მოტანილი იბაკოები: „მართალ ხარ შ...“, „უფალო, მე მონაჲ“... „შეიწირე ვედრე...“ და სხვა CE-ს სინანულის დასდებლების მე-4—მე-8 ხმებში აღმოჩნდა (გვ. 362, E 134v). თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ E სინანულის იბაკოების რვა ხმის მასალას შეიცავს, სადაც ძირითადი და გვერდითი ხმების იბაკოები ყოველ ხმაზე ერთად არის მოცემული (იხ. 134r—v), მაშინ ადვილია დარწმუნება, რომ A-ს 33-ე რვეულის ბოლოს, 305v—306r-ს შორის დაკარგულ ფურცლებზე, მოთავსებული იყო საშაბათო იბაკოთა ბოლო ნაწილი და სინანულის იბაკო-წარდგომათა პირველი სამი ძირითადი და გვერდითი ხმა. CE-ს მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ A შეიცავდა სინანულის იბაკოთა საკმაოდ დიდ რაოდენობას.

ამრიგად, გაირკვა, რომ A-ს 33-ე რვეულს ფურცლები აკლია თავსა და ბოლოში, რასაც ის გარემოებაც ადასტურებს, რომ დღეს ხელნაწერში არ ჩანს ისეთი ფურცლები, რომლებზედაც მოთავსებული იყო 33-ე რვეულის დაწყებისა და დამთავრების აღმნიშვნელი ასო-ნიშნები.

A ხელნაწერში სინანულის იბაკო-წარდგომათა გამოვლენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენ არაერთგზის მივიუთითეთ, რომ უძველესი იადგარის ნუსხებში იბაკოებს აუცილებლად ეძებნებათ თავისი შესატყვისი ძირითადი დღესასწაულების დასდებლები. CE გვიჩვენებენ, რომ სინანულის იბაკო-

წარდგომათა პარალელურად ამ ხელნაწერებში არსებობს სინანულის ანუ სამარადისო დასდებულთა რვახმიანი რიგი. აქედან კი ის დასკვნა გამოდის, რომ A ნუსხაში, დღეისათვის დაკარგულ მის ბოლო ნაწილში, ოდესღაც მოთავსებული იყო სინანულის დასდებლები, რომელთა დამატებად უნდა განვიხილოთ იბაკოთა რიგში მოთავსებული სინანულის იბაკო-წარდგომანი.

ამ ვარაუდის სასარგებლოდ იმავე A ხელნაწერში სხვა ფაქტიკ მეტყველებს. კილ-ეტრატის იადგარის შესახებ არსებული ლიტერატურიდან და იადგარის გამოცემიდან ცნობილია, რომ ხელნაწერში შეტანილია აღდგომის ანუ საკვირაო დანიშნულების იბაკო-წარდგომანი. მაგრამ აქამდე შეუმჩნეველი რჩებოდა ხელნაწერში ამ იბაკოთა პარალელურად აღდგომის დასდებლების არსებობა, ახლა ირკვევა, რომ A ნუსხის 307v-დან 313v-მდე (ეს გვერდები ძლიერი დაზიანების გამო არ ასახულა არც ა. ცაგარლისა და კ. კეკელიძის აღწერილობებში და არც იადგარის გამოცემაში), რაზედაც დღეს ხელნაწერი წყდება, მოთავსებულია აღდგომის ანუ საკვირაო ძველი რედაქციის დასდებლების ნაწილი. ხელნაწერის 307v-ზე, იბაკოების მომდევნოდ, გარკვევით იკითხება სინგურით ნაწერი სათაური: „[და]სადებულნი აღგ[ომის]ანი“ (გვ. 545). უძველესი იადგარის ნუსხებში არსებული პარალელური ტექსტების მომარჯვებით შესაძლებელი გახდა აღდგომის დასდებლების არა მარტო ამოცნობა, არამედ მისი შედგენილობის გარკვევა და ტექსტის აღდგენაც¹⁷². ბოლონაკლულ A ხელნაწერში დღეს აღდგომის დასდებლების მხოლოდ ორი ხმაა შემორჩენილი. აღდგომის დასდებლების მომდევნოდ კი, ჩვენი ვარაუდით, შეტანილი იყო სინანულის ანუ სამარადისო დასაღებლები. E და C ნუსხებშიც სინანულის დასაღებლები სწორედ აღდგომის დასდებლების მომდევნოდ არის მოთავსებული, რადგან ისინი ერთი დანიშნულების—შვიდეულის წრის საგალობლებს შეადგენენ.



როგორია აღდგენის შესაძლებლობანი და შედეგები უძველესი იადგარის დანარჩენ BCD ნუსხებში?

ზემოთ ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება, რომ B ნუსხა, მსგავსად A ნუსხისა, ხარების დღესასწაულით იწყებოდა, რომელიც ხელნაწერში თავისი თარიღის მიხედვით არ იძებნება. იადგარის მთელ მანძილზე B უხარვეზოა და წყდება აღდგომის დასდებლების VII ხმის ცისკრის კანონზე. ცხადია, რომ B თავიდან აღდგომის რვავე ხმის საგალობლებს შეიცავდა. მაგრამ იყო თუ არა მასში სამარადისო დასაღებლების ჭგუფი ან იბაკოების რიგი, ამის არავითარი კვალი ხელნაწერში არ დარჩენილა. მათი არსებობა აღდგომის დასდებლების მომდევნოდ, რასაკვირველია, გამორიცხული არ არის.

იადგარის C ნუსხაში ყველაზე უკეთ არის დაცული ხელნაწერის თავდაპირველი შედგენილობა. მას შედარებით უმნიშვნელო ნაწილი აკლია—დასაწყისში მოთავსებული აღდგომის დასდებლების პირველი ხმა და მეორე ხმის მცირე ნაწილი.

¹⁷² აღდგომის დასდებლები განხილულია გამოკვლევის ცალკე თავებში.

ბუნდოვანია სურათი D ნუსხაში. თავბოლონაკლული D ხელნაწერი დღეს იადგარის მხოლოდ ორ შემადგენელ ნაწილს შეიცავს—დასაწყის ნაწილში აღდგომის დასდებლებს, რომელსაც წინ აკლია ტექსტი მეორე ხმის „კურთხეულარსამდე“, და დიდმარხვის ციკლის საგალობლებს, რომლებიც ვენების ორშაბათის ცისკრის გალობაზე წყდება. ამრიგად, D შემადგენელი ნაწილების თვალსაზრისით ყველაზე მოკლეა ნუსხათა შორის და გამოკრებილის შთაბეჭდილებას ტოვებს. შემადგენელი ნაწილების თანმიმდევრობის თვალსაზრისით D ნუსხა უახლოვდება C-ს. სწორედ C-შია შეტანილი ჯერ აღდგომისა და სინანულის დასდებლები და მათ მომდევნოდ დიდმარხვის საგალობლები. C-სგან განსხვავებით, D-ში არ არის სინანულის დასდებლები. ისმის კითხვა, D ხელნაწერი თავიდანვე ამგვარ გამოწერებს წარმოადგენდა, თუ მსგავსად სხვა ნუსხებისა შეიცავდა დღესასწაულთა საწელიწდო რიგსაც, რომელიც ფურცელთა კლების გამო აღარ შემორჩა ხელნაწერს?

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს D ნუსხის ორი შენიშვნა. ერთი მათგანი მოთავსებულია მარხვის პირველი შაბათის განცხადებაში. ეს დღე იადგარის ყველა ნუსხის მიხედვით წმ. თევდორეს ხსენებას ეძღვნება. ABC ნუსხებში ამ დღეს დღესასწაულის სრული განგებაა მოცემული. D ნუსხაში კი შეტანილია მხოლოდ ჟამისწირვის საგალობლები და შენიშვნა: „მწუხრი თევდორე წმიდისათვის და ცისკრად გალობათა მეორე კმისანი მოწამეთანი ამსახურენ“ (გვ. 107, შწმ.). ამ შენიშვნას მიხედვით თევდორეს ხსენებისათვის საჭირო მწუხრის საგალობლები და ცისკრის გალობანი აღებული უნდა იქნას მოწამეთა განგებიდან.

ამგვარივე ვითარებაა მარხვის მეოთხე შაბათს დაწესებულ ორმოცი სებასტიელი მოწამის ხსენებაშიც. D ნუსხა, რომლის ცისკრის კანონი მხოლოდ ორი უკანასკნელი გალობით არის წარმოდგენილი, შენიშნავს: „გალობათა მოწამეთანი ამსახურენ“ (გვ. 139, სქოლიო). მაშასადამე, კვლავ მოწამეთა განგებიდან უნდა იქნას გამოყენებული კანონის დანარჩენი გალობები.

მსგავსი შენიშვნები ხელნაწერებში ჩვეულებრივ მის ფარგლებშივე არსებული მასალის მოხმობას, გამოყენებას გულისხმობს. უნდა ვიფიქროთ, რომ D ნუსხაშივე იყო შეტანილი მოწამეთა ისეთი დღესასწაული, რომელიც თავს უყრიდა სხვა მოწამეთა ხსენებისათვის საჭირო მასალას. ამგვარი პრაქტიკა დაცულია იადგარის A ნუსხაშიც, სადაც თევდორეს ხსენება საზოგადოდ მოწამეთა ხსენების განგებაცაა. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ამ მხრივ E-ს ანალოგია. E-ში თევდორეს ხსენებაზე არის მხოლოდ შენიშვნა: „უფალო ღალადყავი წმიდისა თევდორესი და გალობათა... ყოველივე მოწამეთანი იმსახურენ“. (E 139r). მითითება გულისხმობს მოწამეთა იმ ზოგად დღესასწაულს, რომელიც ამავე კრებულში შეტანილია ზოგად განგებათა ნაწილში: „შეკრებულად მსგებისა დღესასწაულნი“ (E 138r).

ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, რომ D ნუსხაში იმთავითვე არსებობდა კიდევ სხვა ისეთი ნაწილი, სადაც მოთავსებული იყო საგალობლები, რომლებიც გამოიყენებოდა თევდორესა და ორმოცი სებასტიელი მოწამის ხსენებებში. ეს უთუოდ იყო ან დღესასწაულთა საწელიწდო რიგი, ან ზოგად დღესასწაულთა ჯგუფი, როგორც ეს E-შია. შესაძლებელია, ერთიც და მეორეც.

იადგარის ნუსხების ანალიზისა და მათი ურთიერთშეკრების გზით შევეცადეთ შეძლებისდაგვარად წარმოგვედგინა ნაკლული ნუსხების სრული სახე ძირითადი შემადგენელი ნაწილების თვალსაზრისით. A-ში გამოვლინდა აღდ-

გომის დასდებლები, გამოიკვეთა ნიშნები, რომელთა მიხედვით დასტურდება ხელნაწერში სამარადისო დასდებლების არსებობაც. D-ში რეალური ჩანს სადღესასწაულო ნაწილის არსებობა. თუმც B ყველაზე ნაკლებად იძლევა მასალას აღდგენისათვის. ნუსხაში არსებული ვითარების მიხედვით არ გამოვრჩევათ, რომ მასში სინანულის დასდებლებიც იყო. ამის დაშვებას ისიც აადვილებს, რომ, როგორც ირკვევა და როგორც ეს ნაჩვენებია იქნება ქვემოთ CE ნუსხების მაგალითზე, სამარადისო დასდებლები იაღგარის კომპილაციური ნაწილია და ძირითადად შედგენილია დღესასწაულთა, უფრო კი მარხვის დღეების, დასდებლების საფუძველზე. ამგვარი კომპილაციისათვის B-ში ყველა პირობა არსებობს. მას ვრცელი სადღესასწაულო ნაწილი და მარხვანი აქვს.

ამრიგად, გაირკვა, რომ იაღგარის ნუსხები განვითარების თითქმის ერთ დონეს ასახავენ. კრებულის არსებითი ნაწილების ჩამოყალიბების პროცესი ყველგან დამთავრებული ჩანს და გამოკვეთილია მათი ლიტურგიკული ფუნქციები. ამ პროცესის თავისებურ შეჯამებას იძლევა E ხელნაწერი, რომელშიც უკვე დაწყებულია ძველი იაღგარის ახალი იაღგარით შეცვლა, რაც, ბუნებრივია, გამორიცხავს ძველი იაღგარის შემდგომი განვითარების შესაძლებლობას. უძველესი იაღგარი წარმოგვიდგება როგორც თავისი დროის უნივერსალური ჰიმნოგრაფიული კრებული, რომელიც შეიცავს ღვთისმსახურებისათვის საჭირო ყველა ძირითად და აუცილებელ ნაწილს — საწელიწოდ-სადღესასწაულო, მარხვან-ზატიკისა და შვიდეულის წრის საგალობლებს. ჯერ კიდევ ძალიან ადრე, კილ-ეტრატის იაღგარის მაგალითზე კ. კეკელიძე მიუთითებდა ამ კრებულის უნივერსალურ ხასიათზე. იგი წერდა: „ამ ხელნაწერში ჩვენ გვაქვს ერთად ერთი ნიმუში იმ წიგნისა, რომელიც სრულებით აკმაყოფილებდა ლიტურგიკულ მოთხოვნილებას მერვე-მეცხრე საუკუნემდე, ვინაიდან იმაში მოთავსებულია ყველა ის დიდი წიგნი, რომლებიც აუცილებლად საჭიროა ეკლესიაში სახმარებლად — თვენი, მარხვანი და ზატიკნი. მართალია, ამ ხელნაწერში არ არის ერთი უსაჭიროესი გვიანდელი ეკლესიისათვის წიგნი — პარაკლიტონი, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ მერვე საუკუნემდე, როდესაც ცხოვრობდა პარაკლიტონის ავტორი — იოანე დამასკელი, პარაკლიტონი არ არსებობდა“¹⁷³. ახლა, როდესაც იაღგარის ნუსხებში და თვით კილ-ეტრატის იაღგარშიც გამოჩნდა პარაკლიტონის ადრეული და თავისებური ტიპი, მით უმეტეს გამართლებულია კ. კეკელიძის შეფასება.

იაღგარის ძირითადი ნაწილების ჩამოყალიბება ერთდროული პროცესი არ ჩანს. ამას ადასტურებს აღდგომის დასდებლების თავისებურებები და სინანულის დასდებლების კომპილაციური ხასიათი, რაც მისი მეორადი წარმოშობის მაჩვენებელია. უძველესი იაღგარის შედგენილობის ზოგადი დახასიათება, რომელიც აქ იყო წარმოდგენილი, ამ პროცესის დიფერენცირებისათვის საჭირო მასალას არ გვაძლევს. ამჯერად ჩვენი მიზანი იყო, განგვესაზღვრა უძველესი იაღგარის მთლიანი სახე მისი განვითარების შედარებით გვიანდელ ეტაპზე. უნდა ითქვას, რომ ჩვენს ხელთ არსებულ ნუსხათა შორის კილ-ეტრატის იაღგარი გამორჩეულია იმ თვალსაზრისით, რომ სწორედ მასში არის მოცემული ერთდროულად უძველესი იაღგარის სრული შედგენილობა და შემადგენელი ნაწილების თანმიმდევრობის ის სახე, რომელიც ახლოს დგას

¹⁷³ კ. კეკელიძე, ახალი საგალობლები აბო თბილელისა, ეტიუდები, ტ. VI, გვ. 415.

ლექციონართან — იაღგარის თავდაპირველ მოდელთან, და ტიპური უნდა ყოფილიყო ადრეული სამრევლო ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი ხელნაწერებისათვის. ამ ნიშნების გამო დაედო საფუძვლად იაღგარის ჩვენს გამოცემას კილ-ეტრატის ნუსხა.

უძველესი იაღგარის კალენდარი

უძველესი იაღგარის კალენდრის შესწავლა, პირველ ყოვლისა, ემყარება ABCE ნუსხათა მონაცემების ანალიზს. D ნუსხა მასალას არ იძლევა, რადგან არ შეიცავს უძრავი კალენდრის დღესასწაულებს. მეორეს მხრივ, იაღგარის კალენდრის არსებითი ნიშნებისა და თავისებურებების განსაზღვრა დღეს წარმოდგენილია და შეუძლებელიც, თუ იგი არ იქნა შეპირისპირებული მისი ეპოქის ძირითად ლიტურგიკულ ძეგლებთან, პირველ რიგში იერუსალიმურ ლექციონართან¹⁷⁴.

სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს მიღებულია აზრი, რომ მიუხედავად ნუსხათა გვიანდლობისა, იერუსალიმური ლექციონარის ვრცელი ქართული რედაქციის კალენდარი ასახავს ვითარებას VIII საუკუნემდე და არც ერთი შემდგომდროინდელი მოვლენა მასში შესული არ არის. ამავე დროს იგი განიხილება, როგორც შედეგი იმ განვითარებისა, რომელიც იერუსალიმის ქრისტეს საფლავის ეკლესიის საღვთისმსახურო განგებამ V საუკუნიდან VIII საუკუნემდე განვლო. როდესაც ლექციონარის ქართულმა რედაქციამ განვითარება ქმეწყვიტა, მასში უკვე ასახული იყო VI—VII საუკ. საეკლესიო ცხოვრებაში მიმდინარე არსებითი ძვრები, რომელთა საფუძველზე ლექციონარში ჩამოყალიბდა საუფლო, ღვთისმშობლის, მოციქულთა და სხვა დღესასწაულთა ის ციკლები, რომლებიც ლექციონარის ლიტურგიკული წელიწადის სახეს განსაზღვრავენ. მხედველობაში გვაქვს ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, როგორცაა შობისა და ნათლისღების გათიშვა, ამის შესაბამისად მიგებების გადმოტანა 14 თებერვლიდან 2 თებერვალზე, დაეთ-იაკობის დღესასწაულის გადატანა 25-დან 26 დეკემბერზე, ხარების, ფერისცვალების, ჯვრის აღმართების და სხვა დღესასწაულთა დაწესება, მარხვის კვირათა სისტემის ჩამოყალიბება და მის შაბათებზე უძრავი კალენდრის დღესასწაულების გადატანა და ა. შ. ლექციონარის განვითარების ერთ არსებით მხარეს ისიც შეადგენს, რომ მას საკმაოდ ვრცელი აგიოლოგიური ნაწილი აქვს — ლექციონარის კალენდარულ დღეთა უმეტესობაზე ესა თუ ის ხსენებაა დაწესებული¹⁷⁵.

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ლექციონარის მონაცემების გათვალისწინება არ არის საკმარისი უძველესი იაღგარის თავისებურებების განსაზღვრისათვის, რადგან იაღგარის ჩვენ ხელთ არსებული ნუსხები საგრძნობლად არიან დაზოგბული იმ მიჯნას, რომელზედაც ლექციონარის კალენდრის განვითარების შეწყვეტა ივარაუდება. ბუნებრივია, რომ მოსალოდნელი შემდეგდროინდელი მოვლენები ახსნას ლექციონარში ვერ პოულობენ. მიზანშეწონილად უნდა მივიჩნიოთ იაღგარის შეპირისპირება იოანე-ზოსიმეს კალენდ-

¹⁷⁴ იაღგარის ლიტურგიკული წელიწადის მოძრავი ციკლები განიხილულია ცალკე თავებში, გვ. 757—785.

¹⁷⁵ დაწვრილებით ლექციონარის შესახებ ახ. აქვე, გვ. 662—664.

რის¹⁷⁶ მონაცემებთანაც, რომელშიც ერთგვარად შეჯამებულია იერუსალიმური კალენდრის განვითარება X საუკ. I ნახევრისათვის¹⁷⁷. სწორედ ამ საზღვრებში თავსდება უძველესი იადგარის ჩვენს ხელთ არსებული ნუსხები. ზოგ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ახალი იადგარების მონაცემების გათვალისწინებასაც.

იადგარის, როგორც ლიტურგიული კრებულის, სპეციფიკის განსაზღვრისას კ. კეკელიძე მიუთითებდა მის ერთ-ერთ არსებით ნიშანზე, რომ იგი აუცილებლად შობის დღესასწაულით იწყება¹⁷⁸. მაგრამ ირკვევა, რომ ეს ნიშანი X საუკუნის ახალი იადგარებისათვის არის ნიშანდობლივი, უძველესი იადგარის ლიტურგიული წელი კი, როგორც ვნახეთ, ხარებით იწყება.

უძველესი იადგარის კალენდარი მოკლეა. იგი შეიცავს ყველა იმ ძირითად საუფლო და დიდ საეკლესიო დღესასწაულს, რომელიც ქართული ლექციონარის ლიტურგიული წელიწადის ბირთვის ქმნის. იადგარში თითქმის არ არის ასახული წმინდანთა, მოციქულთა, მღვდელთმოძღვართა და სხვათა კონკრეტული დღესასწაულები თუ ხსენებები, რაც ლექციონარის კალენდარულ დღეთა დიდი ნაწილის შინაარსს შეადგენს. იადგარის ნუსხათა შორის დღესასწაულთა ყველაზე ვრცელი რიგი A-შია დაცული. A-ს ხსენების ტიპის რამდენიმე დღესასწაული (აბოს, წმ. გიორგის, თეკლას და სხვა) დანარჩენ ნუსხებში არ დასტურდება. შედარებით ვრცელი კალენდარი წარმოდგენილია B-შიც, C მეტად მოკლეა. მასში არ არის შეტანილი ზოგიერთი ისეთი დღესასწაულიც კი, რომელიც საეკლესიო კალენდრის უძველეს ფენას მიეკუთვნება, მაგალითად, 26 დეკემბრის დავით-იაკობის და 27 დეკემბრის სტეფანე პირველმოწამის ხსენებები. C ამ მხრივაც „გამოკრებილის“ შთაბეჭდილებას ტოვებს. მოკლეა იადგარის E ნუსხაც.

იადგარის ნუსხები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო კალენდრის მოცულობით, არამედ ერთი და იმავე დღესასწაულის სხვადასხვა დღეზე დაწესებითაც. აღინიშნება დღესასწაულთა ლექციონარისეული თანმიმდევრობის დარღვევებიც.

შედარება გვიჩვენებს, რომ ლექციონარისა და უძველესი იადგარის კალენდარი ერთი ტიპისაა და არსებით მომენტებში განვითარების ერთ დონეს შეესაბამება. ეს ჩანს არა მარტო საუფლო და სხვა სადღესასწაულო ციკლებში, არამედ მრავალ სხვა დეტალშიც. კ. კეკელიძე, რომელმაც პირველმა აღნიშნა ლექციონარისა და კილ-ეტრატის იადგარის ტიპოლოგიური მსგავსება, მიუთითებდა, რომ მათ ერთნაირად ახასიათებთ ერთკვირიანი სადღესასწაულო პერიოდები განცხადებისა და ენკენიის მომდევნოდ¹⁷⁹. ეს მოვლენა, მართლაც, გარკვევით ჩანს ABE ნუსხებში¹⁸⁰. ეს სადღესასწაულო პერიოდები

¹⁷⁶ ი. ქ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, აღწერილობა, გვ. 200—226; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, იოანე ქართველის კალენდარი (X ს.), ეტიუდები, ტ. V, გვ. 242—294; Garitte, Calendrier.

¹⁷⁷ იოანე-ზოსიმეს კალენდრის გათვალისწინება იმითაც არის გამართლებული, რომ იგი Sin. 34-ის შემადგენელი ნაწილია, რომელშიც უძველესი იადგარის უაღრესად მნიშვნელოვანი რედაქციაა შესული.

¹⁷⁸ კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, უცნობი რედაქცია ქართული ჰიმნოგრაფიული თუნისა, ეტიუდები, ტ. VIII, გვ. 20.

¹⁷⁹ Иерус. Канонарь, с. 27.

¹⁸⁰ აღსანიშნავია, რომ განცხადების ზატივი უკვე სომხურ ლექციონარშია დადასტურებული ახ. Renoux, Codex 121, Edition, p. 214—223.

შესაბამისად განცხადებისა და ენკენის ზატიკად იწოდებიან. გარდა ამ მოვლენისა, უძველესმა იაღგარმა შემოინახა იერუსალიმური ტრადიციისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ძველი მოვლენის კვალი — წელიწადის დაყოფა შვიდკვირიან პერიოდებად. შვიდკვირიან პერიოდებს ქმნიან იაღგარის დღეობა და აღდგომის ზატიკი, ასევე შვიდ კვირას 'თვლის პერიოდი მარტვილიდან ათენაგენობამდე, რაც A ნუსხაში გამოჩნდა¹⁸¹.

უძველესი იაღგარისა და ლექციონარის შედარებითი შესწავლა კალენდრის თვალსაზრისით, და საერთოდაც, იმით არის გართულებული, რომ დღეს ხელთა გვაქვს ამ ძველთა გვიანდელი IX—X სს. ნუსხები, რომლებშიც, ბუნებრივია, აღარ ჩანს ნათლად განვითარების ის დონე, როცა ლექციონარისაგან დამოუკიდებელი კრებული — იაღგარი წარმოიშვა. ამავე დროს, ლექციონარის ნუსხები გვიჩვენებენ გარკვეულ განსხვავებებს, რაც მათში სხვადასხვა სიძველის მოვლენების არსებობით აიხსნება. ეს ითქმის არა მარტო საკითხავების, არამედ სხვა კომპონენტების, კერძოდ, ჰიმნოგრაფიული ელემენტის შესახებ¹⁸².

ლექციონარის ნუსხებში არსებული ამგვარი ვითარება ერთგვარად ართულებს მათთან იაღგარის ნუსხათა მიმართებების გარკვევას, მით უმეტეს, რომ იაღგარის ნუსხებს შორისაც საკმაო განსხვავებებია, რომლებიც ყოველთვის ერთ კვალიფიკაციას არ ექვემდებარებიან.

უძველესი იაღგარის კალენდრის თავისებურებათა გარკვევისათვის ჩვენ ხელთ არსებულ ნუსხათა ყველა კალენდარული მონაცემი შევუდარეთ თარხნიშვილისეულ გამოცემას. ამ შეჭერებით მნიშვნელოვანი ფაქტი გამოვლინდა: უძველეს იაღგარში, უმნიშვნელო გამოჩაყლისის გარდა, ლექციონარის ვრცელი კალენდრის მხოლოდ და მხოლოდ ის დღესასწაულები და დღეებია შეტანილი, რომელთაც ლექციონარშივე ახასიათებთ სპეციალურად მათთვის დაწესებული ეპისწირვის თუ სხვა დანიშნულების ტროპარები (სწორება P ლექციონარზეა აღებული, რადგან L ამ თვალსაზრისით აშკარად ჩამორჩება იაღგარებს). შემდგომი ჰიმნოგრაფიული განვითარება და იაღგარში ახალი ტიპისა და დანიშნულების საგალობლებით შევსებაც ძირითადად ამ დღესასწაულებს შეეხება. იაღგარში არ არის ასახული ისეთი დღეები, რომელთაც ლექციონარის მიხედვით ან საერთოდ არა აქვთ დამოუკიდებელი განგება და ზოგადი განგებით სარგებლობენ, ან საგალობელ ელემენტად მხოლოდ ფსალმუნი აქვთ. ასეთ დღეთა ხვედრითი წილი კი ლექციონარის ნუსხებში ბევრად მეტია¹⁸³. გამოჩაყლისის ამ მხრივ შეადგენენ A ხელნაწერის შემდეგი დღესასწაულები: 7 იანვრის აბოს ხსენება, 23 აპრილის წმ. გიორგის და 24 სექტემბრის თეკლას ხსენებები. ირკვევა, რომ ლექციონარის ნუსხებში ამ ხსენებებს თავისი საკუთარი განგება არა აქვთ და იყენებენ მოწამეთა ზოგად განგებას (T 118, 932, 1256 სქოლიო). იაღგარში მათთვის შემოღებულია პოეტური საგალობლები, ამასთანავე, თეკლასა და აბოს ხსენე-

¹⁸¹ ძველი ქართული საეკლესიო წელწადის პერიოდებად დაყოფას კ. კეკელიძე დაწვრილებით ეხება წერილში: ძველი ქართული ეორტალოგიური წელიწადი, ეტიულები, ტ. 1, გვ. 125—132.

¹⁸² L e e b, Die Gesänge, S. 27—29.

¹⁸³ მხედველობაში არ ვიღებთ A ნუსხაში დადასტურებულ ორიოდ ისეთ შემთხვევას, ტიცო კალენდარული მითითება საგალობლების გარეშეა მოტანილი.

ბებისათვის სპეციალურად მათ სახელზე დაწერილი, მაგრამ მათგან არც ერთი არ არის განკუთვნილი ეამისწირვისთვის. აბოს ხსენების კელთაბანისაჲს გარდა იაღგარიც ეამისწირვისთვის მოწამეთა საერთო გამოყენების საგალობლებს უთითებს. ამავე რიგისაჲს ის შევსება, რომელიც იაღგარის A ხელნაწერში განცხადების ზატიკის მე-2 — მე-7 დღეებს ახასიათებთ. აღნიშნულ დღეებს ლექციონარში პოეტური საგალობლები არა აქვთ (T 117—135).

ამრიგად, გამოიყო დღესასწაულთა ის მცირე ჯგუფი, რომელთაც ლექციონარში თავისი საგალობლები არა აქვთ. მათი შევსება იაღგარის დონეზე მომხდარა, რაც იმ ფაქტიდანაც ჩანს, რომ ეამისწირვათა ნაწილში ისინი კვლავ ლექციონარის ვითარებას ინარჩუნებენ (მხედველობაში არა გვაქვს აბოს საგალობლები).

იაღგარის ერთადერთი დღესასწაული, რომლის ლექციონართან მიმართების შესახებ გარკვევით რაიმეს თქმა არ ხერხდება, არის ზატიკთა მე-6 შაბათს დაწესებული ბრმის განკურნების დღესასწაული, დადასტურებული AB ნუსხებში. ხელნაწერთა დაზიანების გამო ეს დღესასწაული ლექციონარის არც ერთ ჩვენთვის ცნობილ ნუსხაში არ აღმოჩნდა, არ არას იგი არც Sin. 54-ში, სადაც ეამისწირვათა ლექციონარისეული მასალაა გადასული. იაღგარის ნუსხებში ეს დღესასწაული მხოლოდ ეამისწირვის საგალობლებითაა წარმოდგენილი, ახალი იაღგარისეული შევსება აქ არ არის. ვეარაუდობთ, რომ ადრევე ასეთივე სახით იყო იგი შესული ლექციონარშიც¹⁸⁴.

უძველესი იაღგარისა და ლექციონარის შედარებისას ჩვენი ყურადღება მიიქცია ლექციონარის დღესასწაულთა ერთმა ჯგუფმა (T 174, 188, 1089, 1306, 1352, 1399)¹⁸⁵, რომელთა განგებებში შეტანილია პოეტური დასდებლები, არსებითად ოხითები. ზემოთ გამოთქმული დებულების თანახმად, პოეტური ტროპარების შემცველი ეს დღესასწაულები თითქოს უნდა ასახულიყო იაღგარებშიც, მაგრამ ეს ასე არ არის. აღნიშნული პოეტური ტროპარები იაღგარებში არ დადასტურდა. საგულისხმოა, რომ საგალობლების ეს ჯგუფი მხოლოდ P ნუსხას ახასიათებს და L იმავე დღესასწაულებისათვის პოეტურ ტროპარებს არ იცნობს. იბადება კითხვა, ხომ არა გვაქვს აქ საქმე ლექციონარის გვიანდელ შევსებასთან, როცა უძველეს იაღგარს თავისი ფუნქცია არსებითად დაკარგული აქვს და ლექციონარში მომხდარი ცვლილება მასში ასახვას აღარ პოულობს. ვფიქრობთ, რომ ეს ასეა: როდესაც IX—X საუკუნეებში ჰიმნოგრაფიული რეპერტუარის განახლების პროცესი დაიწყო და ახალმა იაღგარებმა იწყეს თანდათან უძველესი იაღგარის პრაქტიკიდან გამოდევნა, იგი გარკვეულად ეამისწირვის საგალობლებსაც შეეხო. შემოსვლა იწყო ეამისწირვის საგალობელთა ახალმა ტექსტებმა, რაც თვალნათლივ ჩანს საბაწმიდურ-სინურ ახალ იაღგარებში¹⁸⁶, განსაკუთრებით ნათლად — მიქაელ მორდრეკილის იაღგარში. სრულიად გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ მიქაელ მორდრეკილის იაღგარში ეამისწირვებისათვის განკუთვნილი მთელი რეპერტუა-

¹⁸⁴ ამ დღესასწაულს ჩვენ ვეხებთ ქვემოთაც, გვ. 782.

¹⁸⁵ მხედველობაში გვაქვს იოვანე ოქროპირის, ზაქარია იერუსალიმელის, წმ. კვირიკის, კონსტანტინე და დამიანის, წმ. გიორგისა და საბა განწმედილის ხსენების დღეები.

¹⁸⁶ იხ. სინურ ხელნაწ. აღწერილობა, I გვ. გვ. 15, 17, 28, 163, 164, 167—170, 175, 177, 178, 181 და ა. შ.

რი განახლებულია, ან საზოგადოდ ახალია და არაფერი აქვს საერთო იერუსალიმურ ლექციონართან და, შესაბამისად, უძველეს იადგართან. ლიტურგიკულ პრაქტიკაში მიმდინარე ახალმა პროცესებმა, როგორც ჩანს. გადამწერტა წყალობით ლექციონარის ნუსხებშიც გაჟონა და ამ გზით პარიზის ლექციონარში შეაღწია. P ლექციონარი აშკარად გვიჩვენებს ისეთ გვიანდელ შევსებას, რაც ახალი იადგარების პარალელურადაა მასში შესული. ამ რიგის უნდა იყოს ლექციონარის აქ მითითებული ექვსი დღესასწაული. რომელთა საგალობლებმა ვერ ჰპოვეს ასახვა უძველეს იადგარში¹⁸⁷.

თუ აქ წარმოდგენილ ორმხრივ განსხვავებულ დღეებს გამოვრიცხავთ, დაგვრჩება იადგარის დღესასწაულთა ის ბირთვი, რომელიც ლექციონარში პოულობს თავის წინამორბედს, ანუ ლექციონარის დღესასწაულთა ის ბირთვი, რომელმაც უძველეს იადგარში ჰპოვა თავისი ახალი შევსება. უძველესი იადგარის ნუსხათაგან ამ შედგენილობას ყველაზე მეტად B ნუსხა უახლოვდება, CE ნუსხების სიმოკლე ჩვენ არ მიგვაჩნია არაქაულობის გამომხატველად, რადგან მას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვა ფაქტორები განსაზღვრვენ. A უჩვენებს ყველაზე მეტ გადახრას იადგარის თავდაპირველი კალენდრიდან.

ამრიგად, დავასკვნით, რომ უძველესი იადგარის კალენდარი არ არის და არც შეიძლება იყოს ისეთი სისრულის, როგორც ლექციონარისა. მით უმეტეს, ძალიან დაშორებულია იგი იოანე-ზოსიმეს კალენდრისაგან. რომელიც ლიტურგიკული პრაქტიკის უფრო მოგვიანო, X საუკ. დასაწყისის. ეტაპს შეესაბამება. უძველესი იადგარის ნუსხები მათი დროისათვის დამახასიათებელი კალენდრიდან მხოლოდ იმ დღესასწაულებსა და დღეებს უჩვენებენ. რომელთაც სპეციალურად მათთვის დაწესებული ჰიმნოგრაფიული მასალა აქვთ. იადგარის მიზანს არ შეადგენს ასახოს წელიწადის ყველა დღე. იგი განხილულ უნდა იქნას როგორც ლექციონარის დამატება, რომლის დანიშნულებაც უპასუხოს იმ მოთხოვნილებებს, რასაც აღრებიზანტიური ღვთისმსახურების განვითარება ჰიმნოგრაფიას უყენებს. ამდენად, იადგარის მასშტაბები კალენდრის თვალსაზრისით და საერთოდაც, პირველ რიგში, იმაზეა დამოკიდებული, თუ სად და რა მიზნით გამოიყენება საგალობელი ელემენტი და რა ფორმებსა და საშუალებებს ფლობს ჰიმნოგრაფია, რათა დააკმაყოფილოს ღვთისმსახურების არსებული წესის მოთხოვნილებები. სწორედ ეს მხარეა იადგარის არსებითი შინაარსი. ყოველივე ამის გამო უძველესი იადგარის მიხედვით შეუძლებელია

¹⁸⁷ პარიზის ლექციონარის ზემოთ მითითებული დღესასწაულების ოხითები დაექმნეთ მიქაელ მორდრეკელის იადგარში (S 425). ხელნაწერის ფურცელთა დაკარგვის გამო, მიქაელის კრებულში დასახელებული დღესასწაულებიდან მხოლოდ სამი აღმოჩნდა. მათგან ორი — კოზმან-დამიანეს და წმ. გიორგის ხსენებები იადგარის იმ ნაწილშია მოხვედრილი, რომელსაც მიქაელის ხელში არ გაუვლია და ოხითებით შევსებული არ არის (პ. ი ნ გ რ ო ყ ვ ა, თხზ., ტ. 3, გვ. 445, შენიშვნა). ამიტომ შედარება ფაქტიურად ერთ ო.ხითაზე დავიდა — 27 იანვრის იოანე ოქროპირის ხსენების ოხითაზე, რომლის დასაწყისია: „ოქროსა უწმიდესი მადლი...“ ეს ტექსტი ლექციონარისა და მიქაელის იადგარისათვის საერთო აღმოჩნდა (T 174, მიქაელ მორდრეკელის იადგარი, გვ. 257). ასევე საგულისხმოა, რომ საბა განწმედროსიანში მიძღვნილი ოხითა P-დან „გვიხაროდენ, სამკერებლო შუენი“... (მ. თარხნიშვილის გამოცემაში შეცლომით: „გცენ სამკერებელი შუენ“) შესულია E იადგარის ახალ ნაწილში (E 85v). L ლექციონარი ამ დღესასწაულს საერთოდ არ უთითებს. ვფიქრობთ, ეს დამთხვევები ჩვენი დებულების სასარგებლოდ მტყუებენ.

შევიქმნათ წარმოდგენა მისი დროის სრული კალენდრის შესახებ. იაღგარი ასეთ მიზანს არც ისახავს.

ამრიგად, უძველესი იაღგარის კალენდარი ნაწილია თავისი დროის სრული კალენდრისა, რომელიც იერუსალიმურ ლექციონარშია წარმოდგენილი.



პირველ რიგში შევხებით იაღგარის ნუსხების ისეთ კალენდრულ ჩვენებებს, რომელთაც ან საერთოდ არ იცნობს ლექციონარი, ან სპეციალურ განმარტებას ითხოვენ.

იაღგარის A ნუსხაში დადასტურებული 26 ივნისის ფებრონიას, 28 სექტემბრის ხარიტონის და 3 ნოემბრის წმ. გიორგის ხსენებები ლექციონარში არ არის. არ დასტურდება ლექციონარში არც 25 მაისის წმ. გიორგის სახელზე დაწესებული დღესასწაული, რომელიც B ნუსხის ერთ-ერთ მინაწერშია მითითებული. აღნიშნული ხსენებებიდან საგალობელი მასალა მხოლოდ წმ. გიორგის დღესასწაულს ახლავს. სხვები უბრალოდ კალენდრულ მითითებებს წარმოადგენენ, რაც უჩვეულოა იაღგარისათვის. ფებრონიას და ხარიტონის ხსენებებს გადამწერის სპეციალური შენიშვნები ახლავს, რომელთა საფუძველზე მათთვის საგალობელი მასალა მოწამეთა და მამათა ზოგადი განგებებიდან უნდა იქნას მოხმობილი (იხ. გვ. 255, 318).

ცნობილია, რომ ლექციონარის ხსენებათა დიდი უმრავლესობა კონკრეტულ განგებას მოკლებულია და ზოგადი სქემებით სარგებლობს. იაღგარში კი ასეთი ხსენებები, როგორც წესი, არ აისახებიან. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში იაღგარის გადამწერის მიზანი ნათელია, იგი ყურადღებას ამახვილებს კალენდრის ისეთ ჩვენებებზე, რომლებიც მას ლექციონარში არ ეგულება და გარკვეული თვალსაზრისით საჭიროდ მიაჩნია მათი იაღგარში ასახვა¹⁸⁸.

ფებრონიას ხსენება იოანე-ზოსიმეს კალენდრის მიხედვით 24 და 25 ივნისს არის დაწესებული¹⁸⁹. იმ წყაროების მიხედვით, რომლებიც ე. გარიტს ფებრონიას ხსენების კომენტარებში მოაქვს, ირკვევა, რომ სხვადასხვა ძეგლები დღესასწაულს სხვადასხვა თარიღზე დებენ, კერძოდ, 23, 24, 25 და 26 ივნისს¹⁹⁰. ბერძნულ კალენდრებში 25 ივნისი IX ს-დან ჩანს¹⁹¹. უნდა ვიფიქროთ, რომ პრაქტიკის ამგვარი სიჭრელე A ნუსხის გადამწერისთვისაც იყო ცნობილი და მან საჭიროდ მიიჩნია შეჩერებულიყო გარკვეულ თარიღზე, რაც ასახა კიდევ იაღგარში.

ხარიტონის ხსენება იოანე-ზოსიმეს კალენდრის მიხედვითაც 28 სექტემბერს არის დაწესებული¹⁹². ამასვე უჩვენებენ ახალი იაღგარის ნუსხებიც¹⁹³.

¹⁸⁸ აქვე, საკითხზე იხ. აქვე, გვ. 862—865.

¹⁸⁹ Garitte, Calendrier, p. 74.

¹⁹⁰ აქვე, გვ. 258—260.

¹⁹¹ Сергий, Полный месяцеслов Востока, т. II, Владимир, 1901, с. 191.

¹⁹² Garitte, Calendrier, p. 93.

¹⁹³ აქვე, გვ. 342—343. იაღგარების მონაცემებს შორის ე. გარიტი, რატომღაც, არ უთბობს კილენტრატის იაღგარს, რომელსაც საერთოდ ითვლისწინებს თავის კომენტარებში.

იგი პირველად IX—X საუკუნის ძეგლებში ჩნდება—ბერძნული სახარების საძიებლებსა და კონსტანტინოპოლის დიდი ეკლესიის ტიპიკონში¹⁹⁴. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ IX—XI საუკუნეებში ქართველები ინტენსიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ პალესტინაში, ხარიტონის მიერ დაარსებულ ლავრაში¹⁹⁵, რისი კვალიც დარჩენილია პალესტინური წარმოშობის ხელნაწერებში. კ. კეკელიძე ვარაუდობს, რომ ქართველები უკვე VIII საუკუნიდან მოღვაწეობდნენ ხარიტონის ძველ ლავრაში ანუ პალავრაში, საიდანაც წარმოდგა ტერმინი პალავრელი¹⁹⁶. იაღგარის A ნუსხა უძველესი ჩანს იმ ქართულ ხელნაწერთა შორის, სადაც ხარიტონის ხსენების დაწესებაა ფიქსირებული. საფიქრებელია, რომ ამ მოღვაწით დაინტერესება და მისი ხსენების იაღგარში ასახვა სწორედ ხარიტონის ლავრაში ქართული ელემენტის არსებობით, ქართველთა იქ მოღვაწეობით იყოს ნაკარნახევი. აღსანიშნავია, რომ იოანე-ზოსიმეს კალენდარშიც განსაკუთრებული მოწიწებით მოიხსენიება ხარიტონი: „დადგამა... მამისა ჩუენისა ხარიტონ წმიდისა და მონაზონთა დასაბამისა და მოციქულთა მადლსა და სრბასა თანაზიარისა“¹⁹⁷. საგულისხმოა ისიც, რომ უძველესი იაღგარის C ნუსხის მომგებელი თევდორე, რომლის სურვილითაც სვიმეონ მგალობელმა ხელნაწერი გადაწერა, პალავრელად იწოდება.

წმ. გიორგის 25 მაისის დღესასწაულის თაობაზე იაღგარის B ნუსხაში დადასტურებული შენიშვნა იოანე-ზოსიმეს ეკუთვნის და მოგვიანებით ჩანს შეტანილი ხელნაწერში. იგი მოთავსებულია 7 მაისის ჭერის გამოჩინების საგალობლების ბოლოს¹⁹⁸. შენიშვნაში ნათქვამია: „მე-ე თთუე ვარდობისა მამისი და მამისა კე წმიდისა გიორგისი წამება. ლოცვა ყავთ, ამენ“. ამგვარ დღესასწაულს ქართული ლექციონარი არ იცნობს. იგივე დღესასწაული იოანე-ზოსიმეს მოგვიანებით ჩაუმატებია თავის კალენდარში საგანგებო განმარტებით: „ესე თთუე არს ვარდობისა მამისი, და მამისა კე არს წამება გიორგისი და დღესასწაულებად არს დიდი საბერძნეთს, ხოლო თქუენ, რა გინებთ, ყავთ და ლოცვა ყავთ ჩემთკ, ამენ“¹⁹⁹. ამგვარივე მინაწერი E-ში მოთავსებულია კიდევ 196 წ-ზე. არ გამოვრიცხავთ, რომ შენიშვნა BE ხელნაწერებში ერთდროულადაა შეტანილი, რაზედაც მიგვანიშნებს იოანე-ზოსიმეს თავისებური ხელი.

იოანე-ზოსიმეს განმარტებებიდან ნათლად ჩანს, რომ 25 მაისის წმ. გიორგის დღესასწაული ბერძნული ანუ კონსტანტინოპოლური პრაქტიკიდან შემოდის. ის ჭერ კიდევ არ არის დამკვიდრებული და იოანე-ზოსიმეს სასურველად მიაჩნია მისი დაწესება. ამას ემსახურება სწორედ ერთი და იმავე შინაარსის განმარტების გამეორება ხელნაწერებში.

ჩვენთვის უცნობია, თუ რა წყაროთი სარგებლობდა იოანე-ზოსიმე. უ. გარიტი აღნიშნავს, რომ 25 მაისის დღესასწაულის კვალი ბერძნულ სეინაქსარებში არ ჩანს²⁰⁰. გარიტის შენიშვნას მხარს უჭერს გიორგი მთაწმიდ-

¹⁹⁴ Сергий. Полный месяцеслов Востока, т. II, с. 301.

¹⁹⁵ Garitte, Calendrier, p. 343.

¹⁹⁶ კ. კეკელიძე, ქართ. ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 91—92.

¹⁹⁷ Garitte, Calendrier, p. 93.

¹⁹⁸ სინურ ხელნაწ. აღწერილობა, I, გვ. 69.

¹⁹⁹ Garitte, Calendrier, p. 63—64.

²⁰⁰ იქვე, გვ. 233.

ლის სვინაქსარი, სადაც აღნიშნულ თარიღზე წმ. გიორგის ხსენება არ მოიპოვება. იოანე-ზოსიმესთან კი იგი დიდ დღესასწაულად არის მიჩნეული.

იადგარის A ნუსხაში წმ. გიორგის კიდევ ორი ხსენება ეძღვნება—23 აპრილს და 3 ნოემბერს. მათგან მეორე, როგორც უკვე ვთქვით, ლექციონარში არ ჩანს. ლექციონარის LP ნუსხებმა საშაგიეროდ შემოინახეს 10 ნოემბერს დაწესებული დღესასწაული, რომელიც წმ. გიორგის ხსენებასა და მის სახელზე ეკლესიის სატფურებს ეძღვნება (T 1352). იოანე-ზოსიმეს კალენდარში შეტანილია ორივე თარიღი²⁰¹. ე. გარიტის კომენტარებში ნათლად ჩანს, თუ როგორი თანმიმდევრულია ქართულ ხელნაწერებში 10 ნოემბრის დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიცია. ლექციონარის ნუსხებზე გარდა იგი, როგორც წესი, შესულია X საუკუნის იადგარებში (Sin. 1, Sin. 65, S 425)²⁰².

ეს ტრადიცია, სხვათა შორის, გრძელდება გიორგი მთაწმიდლის სვინაქსარშიც²⁰³. ამავე დროს ქართული ხელნაწერები იცნობენ 3 ნოემბრის დღესასწაულსაც (ე. გარითი ხელნაწერთა შორის რატომღაც არ ასახელებს კილეტრატის იადგარს). კ. კეკელიძე, რომელმაც ლექციონარის გამოცემაში ყურადღება მიაქცია ქართული კალენდრის თავისებურებას — აღნიშნოს წმ. გიორგის ხსენება არა 3 ნოემბერს, როგორც ეს ბერძნული ტრადიციით არის მიღებული, არამედ 10 ნოემბერს, დაასკვნის, რომ 10 ნოემბრის დღესასწაული სხვა არაფერია, თუ არა 3 ნოემბრის დღესასწაულის სწორი ანუ მსგებსი, რაც ძველი იერუსალიმური წესისათვის ჩვეულებრივი და დამახასიათებელი მოვლენაა²⁰⁴. მაშასადამე, 3 ნოემბრის ხსენება ისევე ძველია, როგორც 10 ნოემბრისა, მაგრამ, რატომღაც, ქართულ ლექციონარში იგი არ ჩანს. იადგარის A ნუსხა ერთი უძველესთაგანია, სადაც მას ეხვდებით. გამორიცხული არ არის, რომ მას ლექციონარის ისეთი ტრადიცია აქვს მხედველობაში, სადაც დატული იყო 3 ნოემბრის ხსენება, რომელიც დროთა ვითარებაში ლექციონარის ნუსხებიდან ამოვარდა იმ მიზეზით, რომ მსგებსის დღესასწაული ქართული წესისათვის უფრო მნიშვნელოვანი გახდა.

ჩვენ მიმოვიხილეთ უძველესი იადგარის ის დღესასწაულები, რომლებიც ლექციონარის ჩვენს ხელთ არსებულ ნუსხებში არ არის. იადგარში ზოგიერთ მათგანის საგალობლების გარეშე შეტანა იმის მაჩვენებლად მიგვაჩნია, რომ გარკვეული დროიდან იადგარს კალენდრის სიახლეთა ფიქსირების ფუნქციაც აქვს დაკისრებული.



იადგარის A ნუსხაში ყურადღებას იქცევს კიდევ სამი კალენდარული მითითება, რომელთაც საგალობელი მასალა არ ახლავთ. ეს მითითებები საგან-

²⁰¹ Garitte, Calendrier, p. 102—103. შტრ. С е р г и й, Полный месяцеслов Востока, II, с. 343, 453.

²⁰² Garitte, Calendrier, p. 374—375, 380.

²⁰³ სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია ცნობილია ამ დღესასწაულის გიორგი მთაწმიდლისეული განმარტება: „წმიდანო მამანო, ამას დღესა დაღაცათუ ბერძენნი წმიდისა გიორგისტვის არა დიად დღესასწაულობენ, წ არარაჲ არს ყენებაჲ, რათათა ჩუენ ვდღესასწაულობდეთ, რამეთუ ჩუენ პირველითგან ესრეთ გუაქუს ჩუეულებაჲ“ (იხ. Иерус. Канонарь, с. 283). გიორგი მთაწმიდლის სვინაქსარში 3 ნოემბრის ხსენება შეტანილი არ არის.

²⁰⁴ Иерус. Канонарь, с. 282—286.

გებოდ არის ჩამატებული გადაწერის მიერ. ხელნაწერის 224v-ზე ვკითხულობთ: „თთუესა კთ იენისსა პეტრე-პაულეთაჲ საპსენებელი“, „თთუესა იელისსა იე კურიკეასი — ყოველი წმიდათაჲ და კვ თეკლასი“ (გვ. 275).

თეკლას ხსენება იადგარში ორჯერ არის შეტანილი: 24 სექტემბერს, რასაც ამ მოწამისათვის სპეციალურად დაწესებული საგალობლები ახლავს და 26 ივლისს, სადაც მხოლოდ კალენდარული მითითება გვაქვს²⁰⁶. იერუსალიმური ლექციონარი ორივე დღეს იცნობს: 26 ივლისის ხსენება LP ნუსხებითაა მოღწეული (T 1110), 24 სექტემბრისა — მხოლოდ L ნუსხით, P ამ ნაწილში ნაკლებია (T 1256 შწ.). P ხელნაწერში თეკლა კიდევ 10 ოქტომბერს ჩნდება, რაც არ არის L-ში (T 1290). 26 ივლისის ხსენება იოანე-ზოსიმეს კალენდარში აღარ არის შეტანილი, თუმცა იოანე-ზოსიმესათვის იგი ცნობილი უნდა ყოფილიყო თუნდაც მისი დროის საბაწმიდური ახალი იადგარებიდან — Sin. 1-დან და Sin. 14-დან²⁰⁸. სამაგიეროდ იგივე კალენდარი თეკლას მოიხსენიებს 23 და 24 სექტემბერს, 10 და 12 ოქტომბერს, 24 დეკემბერს²⁰⁷. როგორც ვხედავთ, თეკლა პირველმოწამის მოხსენიების სურათი ლექციონარსა და იოანე-ზოსიმეს კალენდარში არსებით დაცილებებს გვიჩვენებს. ჩვენ არ ვიცით, A-ს გადაწერისათვის ცნობილია თუ არა ტრადიციების ამგვარი მრავალფეროვნება. ვფიქრობთ, იგი ლექციონარის L ნუსხისათვის დამახასიათებელ ტრადიციას მისდევს. გარდა 24 სექტემბრისა, მას სავალდებულოდ მიაჩნია კიდევ 26 ივლისის ხსენება, თუმც მისთვის ცალკე განგება არა აქვს.

ჟ. გარიტი მიუთითებს, რომ 26 ივლისის დღესასწაული საკუთრივ იერუსალიმური ხსენებაა და იგი არ ჩანს სხვა წყაროებში²⁰⁸. აღსანიშნავია, რომ სომხური ლექციონარი მას არ იცნობს²⁰⁹. იოანე-ზოსიმეს დროისათვის იგი, როგორც ჩანს, ხმარებიდან გადის. იადგარის A ნუსხა კვლავ ძველი იერუსალიმური ტრადიციების დამკველია.

წმ. კვირიკეს ხსენების დღის ფიქსირება A ნუსხაში აუხსნელი ჩანს, რადგან იგი ამავე თარიღზეა დაწესებული ლექციონარშიც. LP ნუსხები მას სპეციალურ განგებას უძღვნიან (T 1089)²¹⁰. E-ში ამ ხსენებისათვის დაწესებულია სხვა დღეც, 16 ივლისი,²¹¹ რომლის შესახებ ჟ. გარიტი წერს, რომ იგი სხვადასხვა კვირიკეთა აღრევის შედეგად უნდა იყოს მოხვედრილი კალენდარში²¹². ქართული ხელნაწერები, როგორც წესი, იცნობენ კვირიკეს ხსენების ტრადიციულ თარიღს — 15 ივლისს²¹³.

²⁰⁶ ჟ. გარიტი შეეღობით მიუთითებს ჰილ-ეტრატის იადგარში თეკლას ხსენების დღედ 29 ივლისს ნაცვლად 26 ივლისისა, *ib. Calendrier*, p. 288.

²⁰⁷ სინურ ხელნაწ. აღწერილობა, I, გვ. 27, 51.

²⁰⁸ *G a r i t t e*, *Calendrier*, p. 79, 92, 96, 112.

²⁰⁹ იქვე, გვ. 288, ამავე ხსენებას ეხება კიდევ გვ. გვ. 338, 354 417.

²¹⁰ შტრ. F. C. Conybeare-ის (*Rituale Armenorum*, Oxford, 1905) და A. Renoux-ს გამოცემებს.

²¹¹ ამ განგების პოეტური ტროპარები, რაც მხოლოდ პარიზის ნუსხაშია, ჩვენი ვარაუდით, ლექციონარის გვიანი შეესებაა და ისინი ამიტომ არც მის აღრეულ ნუსხებში და არც უძველესი იადგარის ნუსხებში საგულეებელი არ არის.

²¹² *G a r i t t e*, *Calendrier*, p. 78—79.

²¹³ იქვე, გვ. 281.

²¹⁴ იქვე, გვ. 279.

იადგარის ზოგიერთი ტიპიკონური შენიშვნის შესახებ

ამჯერად შევეხებით იადგარის ნუსხების ზოგიერთ ტიპიკონურ შენიშვნას, რომლებიც ამა თუ იმ კუთხით ასახავენ იადგარის კალენდარს და რომელთა ახსნა მხოლოდ შედარებითი მასალის მოხმობით არის შესაძლებელი.

ორმოცი სებასტიელი მოწამის ხსენება

დიდმარხვის მე-4 შაბათს იადგარის ნუსხებში დაწესებულია ორმოცი სებასტიელი მოწამის ხსენება (გვ. 137—144). A ნუსხაში კალენდარულ მითითებას ახლავს განმარტება: „განჩინებული დღეა მარტსა ცხრასა არს. შენ სადა გინებს, ყავ. თუ კულა სხუას სადა მიხდეს, შაბათსა ყოველი წმიდათა ამსახურო“ (გვ. 137). განმარტების მიხედვით ხსენებისათვის ოფიციალურად 9 მარტია დაწესებული, მაგრამ იგი მარხვის მე-4 შაბათსაც შეიძლება აღინიშნოს. დღესასწაულის დაწესების ამგვარი გაორება იადგარის ნუსხათაგან კიდევ D-ში ჩანს. მარხვის მე-4 შაბათზე დაწესებულ დასდებლებს თავსა და ბოლოში შენიშვნები ერთვის. დასაწყისში შენიშნულია: „უკუეთუ ორმეოცთასა აქა ჰყოფდე, დასადებელნი უფალო ღაღადყავსა ჯა გ“, რასაც მოსდევს მოწამეთა, ხსენებისათვის საჭირო საგალობლები (გვ. 137, შწმ.). ბოლოს შენიშნულია: „უკუეთუ მარტსა ცხრასა ჰყო ესე ყოველი, მაშა აქებდითსა ესენი, ჯა გ“ (გვ. 144, შწმ. 3). შენიშვნის მომდევნო საგალობლები განკუთვნილია იმ შემთხვევისათვის, თუ მე-4 შაბათი თავისუფალი იქნება მოწამეთა ხსენებისაგან. ამჟამად, რომ იადგარის ნუსხები ანგარიშს უწევენ არსებულ წესს, თუმც მასალა ყველგან მე-4 შაბათს არის მოტანილი. ეს ვითარება ლექციონარის ნუსხებშიც ჩანს.

LP ნუსხები ორმოცი სებასტიელი მოწამის ხსენებას 9 მარტს უთითებენ, მათგან P-ს იქვე აქვს მოტანილი განგება, L კი მკითხველს მე-4 შაბათზე მიასწავლის (T 248—251. Ka ხელნაწერი აქ ნაკლულია). მარხვის მე-4 შაბათს დაწესებული ხსენება ლექციონარის სამივე ნუსხაშია და სამივეს აქვს განგებაც (T 462—469). აღსანიშნავია, რომ P ნუსხაში 9 მარტის ხსენების ყველა ელემენტი, გარდა სახარების საკითხავისა, იგივეა, რაც მე-4 შაბათის. ამჟამად, რომ ლექციონარის ვრცელი რედაქციისათვის მე-4 შაბათის განგება უფრო ძველია და მასზეა აღმოცენებული P ნუსხის 9 მარტი. P-ში მე-4 შაბათს ორმოცი მოწამის ხსენების გარდა დაწესებულია კიდევ იერუსალიმელ ეპისკოპოსთა ხსენება, რასაც არ იცნობენ LKa (T469). ამ ხსენებისათვის საჭირო განგება მოხმობილია ბზობის პარასკევიდან, სადაც იოანე იერუსალიმელისა და მოდისტოსის ხსენებაა დაწესებული (T 565—570). ამრიგად, LKa ნუსხებში ტრადიციის მეტი სიძველე აღინიშნება, ვიდრე P-ში. მათ მიხედვით ორმოცი სებასტიელი მოწამის ხსენების მარხვის მე-4 შაბათს დადება უფრო ძველი და მიღებული ჩანს, თუმც L-ისთვის არც 9 მარტია უცხო.

იოანე-ზოსიმეს კალენდარში ორმეოცთა ხსენება მითითებულია 9 მარტსაც და მარხვის IV შაბათსაც²¹⁴. საწლიწლო იადგარებში კი იგი უკვე უძრავ კალენდარზეა დამკვიდრებული²¹⁵. ასევე 9 მარტზეა დამკვიდრებული გიორგი მთაწმიდლის სვინაქსარშიც²¹⁶. უაღრესად საგულისხმოა, რომ ორმოცი მოწამის

²¹⁴ Caritte, Calendrier, p. 54-

²¹⁵ იქვე, გვ. 174.

²¹⁶ Литург. памятники, с. 254.

ხსენება იოანე-ზოსიმეს შეტანილი აქვს E-ს იაღგარის ძველ ნაწილში შემდეგი 'სათაურით: „დ შაბათსა ესენებაჲ წმიდათა ორმოცთაჲ ქართულად“ (E 139v). მითითება „ქართულად“ ტრადიციის იმგვარ სიძველეს გულისხმობს, რომელიც ოლითგანვე არის დამახასიათებელი ქართული ღვთისმსახურებისათვის. რასაკვირველია, აქ არ იგულისხმება აუცილებლად ქართულ ნიადაგზე წარმოშობილი მოვლენა.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ღვთისმსახურების განვითარების ადრეულ ეტაპზევე ის კალენდარული დღესასწაულები, რომლებიც მარხვის პერიოდს ემთხვეოდნენ, უძრავი კალენდრიდან მარხვის შაბათებზე გადაიტანეს, რადგან ესქუპანასკენელი მარხვისაგან თავისუფალ დღეებად ითვლებოდნენ. 40 სებასტიელი მოწამის ხსენების თარიღი მეტწილად მე-4 კვირას მოდიოდა, რის გამოც იგი IV შაბათზე დაწესდა²¹⁷. ე. გარიტი მიუთითებს, რომ ეს ვითარება უკვე ჩანს სომხურ ლექციონარსა და სირიელი იაკობიტების კალენდარში²¹⁸. ქართული ლექციონარის LKa ნუსხების მიხედვით, როგორც ვნახეთ, IV შაბათი უფრო მიღებული ყოფილა, თუმც 9 მარტის არსებობა L-ის თვის ცნობილია. P ნუსხაში ეს უპირატესობა აღარ იგრძნობა. ახალ იაღგარებში ხსენება ყველგან დაწესებულია 9 მარტს. ამ ფონზე კარგად ჩანს, რომ უძველესი იაღგარის ნუსხები, განსაკუთრებით კი E-ს „ძველი“ იაღგარი, ცდილობენ შეინარჩუნონ ის პრაქტიკა, რომლის მიხედვით უპირატესობა ეძლევა ამ დღესასწაულის მარხვის IV შაბათზე დადებას, თუმც კარგად იციან, რომ დაწესებული თარიღი 9 მარტია.

დიდმარხვის მეხუთე შაბათი

იაღგარის A ნუსხაში მარხვის მე-5 შაბათის საგალობლებს შორის ჩართულია შენიშვნა: „ამას შაბათსა ყოველი მღვდელთმოდღუართაჲ ამსახურო“ (გვ. 152). ანალოგიური შინაარსის შენიშვნა აღმოჩნდა E-ში: „სამხრად ყოველი წმიდათაჲ და მღვდელთმოდღუართაჲ“ (E 140r). ამ შენიშვნების შინაარსს კალენდრის თვალსაზრისით განმარტავს ლექციონარი, რომლის ნუსხებშიც შემონახულია აღნიშნული დღე. P-ს მიხედვით ამ დღეს დაწესებულია მოციქულთა ხსენება (T 515). რაც შეეხება Ka-ს, ის სხვა შინაარსს შეიცავს: „შაბათსა მე-ე-სა სამხრად ესენებაჲ წმიდისა კირილე ეპისკოპოსისაჲ“ (T 515 შწშ.)²¹⁹. Ka ხელნაწერის ჩვენება აღმოჩნდა იოანე-ზოსიმეს კალენდარშიც: „მეხუთესა შაბათსა ესენებაჲ კირილე ეპისკოპოსისა იერუსალემლისაჲ“²²⁰. მოძრავ კალენდარზე დაწესებული ეს ხსენება ახალი იაღგარის ნუსხებში (Sin. 59, Sin. 64), მაგრამ იაღგარებში მარხვის კვირათა ათვლის სხვა წესის გამო იგი გადანაცვლებულია მე-6 პარასკევზე²²¹.

²¹⁷ И. Карабинов, Постная Троида, СПб., 1910, с. 31.

²¹⁸ Garritte, Calendrier, p. 426. შევნიშნავთ, რომ სომხური ლექციონარის უძველესი ნუსხები 40 სებასტიელი მოწამის ხსენებას მხოლოდ 9 მარტს უთითებენ (იხ. F.=C. Conybeare, Rituale Armenorum, p. 518; Renoux, Codex 121, Edition, p. 231; იხ. აგრეთვე Renoux, Codex 121, Introduction, p. 34-40).

²¹⁹ იგივე დღესასწაული პარიზულ ლექციონარში უკვე 18 მარტსაა გადატანილი, იხ. T 260.

²²⁰ Garritte, Calendrier, გვ. 116. კირილე იერუსალიმელის ხსენება კალენდარში შეტანილია 18 მარტსაც, იქვე, გვ. 55.

²²¹ სინურ ხელნაწ. აღწერილობა, I, გვ. 173.

ამრიგად, ირკვევა, რომ ადრეული იერუსალიმური ტრადიციის მიხედვით დიდმარხვის მე-5 შაბათს დაწესებული ყოფილა კირილე იერუსალიმელის ხსენება, რაც დატულია ლექციონარის Ka ნუსხაში, ხოლო იგივე ხსენება P-ში გადატანილია 18 მარტზე²²². იადგარის A და E ნუსხები კვლავ ძველ ტრადიციას იცავენ და თუმცა სათაურში კონკრეტული მითითება არ არის, ვფიქრობთ, ლაპარაკია არა მღვდელთმოდღვართა ხსენებაზე საერთოდ, არამედ კირილე იერუსალიმელის ხსენებაზე. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ არც ლექციონარში და არც იადგარში ამ პირის სახელზე დაწესებული სპეციალური განგება არ არსებობს და ერთი და მეორეც მღვდელთმოდღვართა ზოგადი განგების მასალას იყენებს.

აქ მოყვანილი ამ ორი კალენდარული ჩვენების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გარკვეული დროიდან ქართულ ხელნაწერებში შეიმჩნევა ტენდენცია მარხვის პერიოდის დღესასწაულების კვლავ უძრავ კალენდარზე გადატანისა. ვამბობთ კვლავ, რადგან სომხური ლექციონარი, რომელიც წინ უსწრებს პრაქტიკის სიმეველის თვალსაზრისით ქართულს, ამ დღესასწაულთა სწორედ მხოლოდ თარიღებზე დაწესებას იცნობს. ასეთ ვითარებაში უძველესი იადგარის ნუსხები და ლექციონარის ადრეული ნუსხებიც ცდილობენ შეინარჩუნონ ქართული ტრადიციით „ძველად“ მიჩნეული წესი, ანუ მათი დაწესება მოძრავ ციკლზე.

დიდმარხვის მეექვსე შაბათი

იადგარის A ნუსხაში დიდმარხვის მეექვსე პარასკევს ჩვეულებრივი სამარხვო დასდებლების შემდეგ არის შენიშვნა: „და ეამისწირვასა ყოველი მღვდელთმოდღვართა ამსახურო, თუ გინდეს, ბერძენნი კულა ყოველსა ლაზარეასა იტყუიან“ (გვ. 160).

პირველ ყოვლისა გასარკვევია, თუ რა დანიშნულებისაა მარხვის მე-6 პარასკევს დაწესებული მღვდელთმოდღვართა მსახურება ანუ, როგორც გადამწერი ამბობს: „ყოველი მღვდელთმოდღვართაჲ“. ლექციონარის ნუსხები მდიდარ მასალას იძლევა საკითხის გარკვევისათვის. მარხვის მე-6 პარასკევი ლექციონარის KaLP ნუსხებშია დატული: სამივე მათგანში აღნიშნულ დღეს დაწესებულია იერუსალიმის მთავარეპისკოპოსების იოვანეს და მოდისტოსის ხსენება (T 565—570). ამ პირთა ვინაობას აზუსტებს P-ს კალენდარულ მითითებაში მოტანილი ცნობები: „მასვე დღესა პარასკევსა ესენება იოვანე მთავარეპისკოპოსისა იერუსალმელისაჲ, რომელმან პირველად სიონი აღაშენა და მოდისტოსისი, რომელმან მეორედ აღაშენა, შემდგომად დაწუვისა“ (T 565)²²³. სამი-

²²² აღსანიშნავია, რომ კირილე იერუსალიმელის ხსენება კალენდრის უძველეს ფენას განეკუთვნება. იგი 18 მარტს არის დაწესებული სომხური ლექციონარის იერუსალიმურ ნუსხაში, იხ. Re nou x, Codex 121. Introduction, p. 231. ამავე ლექციონარის პარიზულ ნუსხაში მითითებულია 12 მარტი (იხ. იქვე და F.-C. Conybeare, Rituale Armenorum, p. 518), რაც ა. რენეს ნუსხისეულ შეცდომად მოიჩინა.

²²³ კ. კ ე ე ლ ი ძ ე, როცა იგი ჭერ კიდევ პარიზის ლექციონარს არ იცნობდა, ფიქრობდა, რომ იოვანე მოდისტოსის თანამედროვე აღექსანდრიელი პატრიარქი იოვანე მწყალობელია (609—620), იხ. Иерус. Канонар, გვ. 193—194. შემდგომში, იადგარებიდან და ლექციონარებიდან მოპოვებული მასალის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მოდისტოსისთან ერთად მოიხსენიება იოვანე II, იერუსალიმის მთავარეპისკოპოსი (387—417), იხ. უცნობი რედაქცია

ვე ნუსხაში კალენდარულ მითითებას ახლავს განგებაც. LP ამავე დროს იცნობენ იგივე ხსენებას 29 მარტის თარიღზე (T 280. Ka ამ ნაწილში ნაკლულია). აღსანიშნავია, რომ წირვის მასალა აქ მოტანილი არ არის და ორივე მე-6 პარასკევზე მიუთითებენ მკითხველს. ამრიგად, ლექციონარის ნუსხებიდან გარკვევით ჩანს, რომ მარხვის მე-6 პარასკევის შინაარსი საეკლესიო კონკრეტულია, იგი იოვანე და მოდისტოს იერუსალიმელ მთავარეპისკოპოსთა ხსენებას ეძღვნება. ამასთანავე, ჩვენ მიერ უკვე განხილულ სხვა დღესასწაულთა მსგავსად, ხსენება ერთდროულად მოძრავ კალენდარზეც არის დაწესებული და უძრავზეც, თუმცა წირვის მასალის მიხედვით დამკვიდრებული მოძრავ კალენდარზე ჩანს.

ვნახოთ, რა ვითარებაა იოანე-ზოსიმეს კალენდარში და E-ს იაღგარულ ნაწილში. კალენდარში ხსენება მხოლოდ 29 მარტს არის მითითებული²²⁴, მე-6 პარასკევს დაწესებულია ზოგადად მღვდელთმოდღვართა ხსენება²²⁵. E-ს „ძველ“ ნაწილში 29 მარტი ასახული არ არის, ხოლო მე-6 პარასკევს ყოველგვარი დაკონკრეტების გარეშე მითითებულია მღვდელთმოდღვართა დასდებლები (E 140v). ამავე იაღგარის „ახალ“ ნაწილში მარხვის კვირათა განსხვავებული ათვლის გამო ჩვენთვის საინტერესო მასალა მე-7 პარასკევზეა გატანილი. აქ ვკითხულობთ: „წმიდათა მარხვათა მე-7 ბზობისა პარასკევსა ლაზარის მოსწავება და წმიდათა მღვდელთმოდღვართა ქსენება“ (E 117v). იგივე ვითარებაა ახალ იაღგარებში²²⁶, ოღონდ Sin. 14, Sin. 59 და Sin. 64 დღესასწაულს მღვდელთმოდღვართა ხსენებას უწოდებენ.

უარესად საინტერესოა ვითარება, რომელიც უძველესი იაღგარის C ნუსხაში გვაქვს. აქ მე-6 პარასკევს მოთავსებულია მღვდელთმოდღვართა ზოგადი განგების საგალობლები. ზუსტად იგივე საგალობლები A-ში შეტანილია 1 იანვარს, რაც ამ ნუსხისათვის მღვდელთმოდღვართა ზოგადი განგებაა (გვ. 30—37).

ამრიგად, როგორც ხელნაწერების ანალიზი გვიჩვენებს, ადრეულ პრაქტიკაში მარხვის მე-6 პარასკევიწმომოდღვართა იერუსალიმელი მთავარეპისკოპოსების იოვანეს და მოდისტოსის ხსენებას, რაც ლექციონარის ნუსხებშია გამოკვეთილი, გარკვეულ ეტაპზე გაჩნდა ტენდენცია ამ დღესასწაულის უძრავ კალენდარზე გადატანისა, რაც იმავე ლექციონარებიდან ჩანს. იოანე-ზოსიმეს კალენდრისა და ახალი იაღგარებისათვის ეს ფაქტი უკვე მომხდარია და მე-6 პარასკევს მიღებული აქვს ზოგადი შინაარსი, რასაც მხარს უჭერს E-ს არქაული იაღგარი და C-ც. ამ მონაცემების ფონზე A ნუსხის შენიშვნა, რომელსაც ვიხილავთ, ვფიქრობთ, ჭერ კიდევ კონკრეტულ ხსენებას გულისხმობს, სხვა შემთხვევაში მღვდელთმოდღვართა ზოგადი განგება მას აქვე ექნებოდა მოტანილი, როგორც ეს C-შია და არა 1 იანვარს. სათაურის ფორმულირებაც ამ აზრს უჭერს მხარს,

ქართ. ჰიმნოგრაფიული თევისა, ეტიუდები, ტ. VIII, 1962, გვ. 27—31. უფრო ადრე იგივე მიუთითა ე. გ. არიტი მათვის კომენტარებში, იხ. Calendrier, p. 186—187. სომხურ ლექციონარში ამავე იოვანეს ხსენება აღინიშნება 29 მარტს, იხ. F.-C. Conybeare, Rituale Armenorum, p. 518; Renoux, Codex 121, Edition, p. 233. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული ლექციონარის ადრეულ ნუსხებში შეტანილი იყო იოვანე II-ის ხსენება, რომელიც იერუსალიმური კალენდრის უძველეს ფენას განეკუთვნება, რასაც მოგვიანებით მიუერთდა მოდისტოსის ხსენება.

²²⁴ Garitte, Calendrier, p. 57.

²²⁵ იქვე, გვ. 116.

²²⁶ სინურ ხელნაწ. აღწერილობა, I, გვ. გვ. 20, 44, 173, 198.

მარხვის მე-6 პარასკევის ჩვენს მიერ განხილული მინაწერის მთავარი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ მკითხველს ამ დღის მსახურების არსებული წესისაგან განსხვავებული სხვა წესიც შეახსენოს. შენიშვნაში რომ ძველი იერუსალიმური და ახალი ე. წ. „ბერძნული“ ტრადიციები არის შეპირისპირებული, ეს მტკიცებას არ მოითხოვს. ტერმინს „ბერძენი“, „ბერძნული“ ბიზანტიური ანუ კონსტანტინოპოლური საღვთისმსახურო წესის ან მისი. ამა თუ იმ მოვლენის აღსანიშნავად ხმარობენ საბაწმიდელ-სინელი და შემდეგი ეპოქის მოღვაწენი. ხელნაწერთა შენიშვნებსა და მინაწერებში უხვი მასალა დაცული ამ აზრის საილუსტრაციოდ. განსაკუთრებით ხშირად ხმარობს ამ ტერმინებს იოანე-ზოსიმე. არა ერთი და ორი მაგალითის მოყვანა შეიძლება მისი ხელნაწერებიდან²²⁷.

ამრიგად, A ნუსხის გადამწერისათვის ცნობილია ბერძნული წესი — აღნიშნოს მარხვის მე-6 პარასკევს ლაზარეს ხსენება, რომელიც ძირითადად მომდევნო დღეზეა დაწესებული. გადამწერი ანგარიშს უწყევს მას, არჩევანის თავისუფლებასაც აძლევს მკითხველს, მაგრამ თვითონ იერუსალიმური წესის ერთგული რჩება. აღსანიშნავია, რომ ძველი წესისადმი ეს ერთგულება ქართულ ღვთისმსახურებას შემდეგ ეპოქაშიც გადაჰყოლია. ამას ადასტურებს გიორგი მთაწმიდლის შენიშვნა, რომელიც მან დიდი სვინაქსარის მარხვის მე-6 პარასკევს დაურთო: „ბერძნულად აქა მღვდელთმოდღუართაჲ არა არს, ქართულად კულა არს და თუ არაინ დააგდოს, კეთილ არს“²²⁸. გიორგი მთაწმიდლის ამ შენიშვნაში კ. კეკელიძე ქართველთა დამოუკიდებლობის გამოვლენას ხედავს.²²⁹ კილ-ეტრატის იადგარის გადამწერის შენიშვნა კი იმაზე მიგვითითებს, რომ ღვთისმსახურების საკუთარი ტრადიციების შექმნა ქართველთა მიერ ბევრად ადრე დაწყებულა, რაც რიგ შემთხვევაში უძველესი იერუსალიმური მოვლენების შენარჩუნებაში გამოიხატებოდა.

იოანე ნათლისმცემლის შობის დღესასწაული

იადგარის A ნუსხაში ყურადღებას იქცევს იოანე ნათლისმცემლის შობის სათაური: „თთუესა იენისსა იოვანეს შობაჲ კე ბე რ ძ უ ლ ა დ“. სიტყვას „ბერძნულად“ პირველად ა. ცაგარელმა მიაქცია ყურადღება და იგი საგალობელთა ბერძნულ ენაზე შესრულების მინიშნებად მიიჩნია²³⁰. კ. კეკელიძე იადგარის აღწერილობაში ამ სიტყვას კალენდარული მითითების ნაწილად განიხილავს (ეს ჩანს სათაურის რუსული თარგმანიდან), შენიშვნებში უთითებს დღესასწაულის აღნიშვნის სხვადასხვა პრაქტიკის არსებობას²³¹.

ქართული ხელნაწერების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ძველი, იერუსალიმური პრაქტიკის მიხედვით იოვანეს შობის დღესასწაული 24 ივნისს არის დაწესებული. ასეა იგი შესული ლექციონარის LP (T1055) ნუსხებში (Ka ნაკლულია). ამავე თარიღზეა დადებული ეს დღესასწაული უძველესი იადგარის BC.

²²⁷ სინურ ხელნაწ. აღწერილობა, I, გვ. გვ. 96, 97, 127, 131, 136, 138 და ა. შ.

²²⁸ Литург, памятники, с. 281.

²²⁹ Иерус. Канонарь, с. 37—38, примеч. 3.

²³⁰ А. А. Цагарели, Памятники, с. 161.

²³¹ Литург памятники, с. 367—368.

ნუსხებში. A ნუსხა გვიანდელ ჩვენებას შეიცავს. აღსანიშნავია, რომ მას მხარს უჭერს Sin. 34-ის იადგარის ძველი და ახალი ფენები (E 137r, 74r). იოანე-ზოსიმეს კალენდარი იცნობს როგორც 24 ივნისის, ასევე [25 ივნისის დღესასწაულს²³², მაგრამ ძირითადად 25 ივნისს მიიჩნევს²³³.

ამრიგად, იადგარის ნუსხათაგან A და E ცილდებიან ლექციონარის ტრადიციას. ეს სიახლე აღნიშნულია იოანე-ზოსიმეს კალენდარშიც.

ათენაგენობა

უძველესი იადგარის კალენდარს ახასიათებს კიდევ ერთი დღესასწაული, რომლითაც იგი ლექციონარის გვერდით დგება და იადგარში ასახული პრაქტიკის სიძველეზე მიუთითებს. ეს არის მღვდელთმომძღვარ ათინოგენ სებასტიელის (III ს.) სახელზე დაწესებული, „ათენაგენობად“ წოდებული დღესასწაული. მისი ადგილი ქართულ კალენდარში დღეს საეგვიპტო გარკვეულია, რამდენადაც იგი დასტურდება ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლების ცალკეულ ნუსხებში, როგორცაა ლექციონარი, ქართული მრავალთავი²³⁴, უძველესი იადგარი, და ბოლოს, იოანე-ზოსიმეს კალენდარი (X საუკ. ახალი იადგარები ამგვარ დღესასწაულს არ უთითებენ). ყველა ძეგლის მიხედვით ათენაგენობა დაწესებულია მოძრავ კალენდარზე მარტილიდან მე-7 კვირას. სტატიაში, რომელიც ქართული ეორტალოგიური წელიწადის დაბასიათებას მიუძღვნა, კ. კეკელიძე სპეციალურად შეეხო ათენაგენობას, მისი შემოღებისა და გავრცელების ისტორიას. კ. კეკელიძე მას უძველეს დღესასწაულად მიიჩნევს, რომელიც სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივი ერთობის ხანაში უნდა ყოფილიყო შემოღებული²³⁵. მ. ვან ესბროკმა სცადა განესაზღვრა ათენაგენობის ქართულ სინამდვილეში შემოღების თარიღი. იგი 505 წელზე შეიჭრდა²³⁶.

ამჯერად ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ყველა ძეგლში, სადაც ათენაგენობა შემოგვენახა, მათ შორის უძველესი იადგარის AB ნუსხებშიც, ამ დღეს მოციქულთა ხსენებაა დაწესებული. ლექციონარის P ნუსხაში (KaL ნუსხები აქ ნაკლულია) ვკითხულობთ: „შემდგომად მარტკრიისა ზ კკრიაკესა კსენებაა წმიდათა მოციქულთაჲ, რომელსა ეწოდების ათენაგენი“ (T 899). სათაურის ამგვარი ფორმულირებიდან აშკარად ჩანს, რომ მარტილი-ის შემდგომი მე-7 კვირა ათენაგენობად იწოდება, მაგრამ მისი შინაარსი მოციქულთა ხსენებაა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მასალა, რომელიც უამისწირვის საკითხავებისა და საგალობლების სახით სათაურს მოსდევს, მოციქულთა თემას ეხება. ამგვარივე ვითარებაა უძველესი იადგარის ნუსხებში. დღესასწაულის სათაურში წინა პლანზე მოციქულთა ხსენებაა წამოწეული („მარტილიითგან მე-ზ-სა კუირაესა მოციქულთანი, ათენაგენაჲ“ A. „წმიდათა მოციქულთა ხსენებასა და ათენაგენასა“ B) და საგალობლებიც მოციქულთა თემას ეხება.

²³² Garitte, Calendrier, p. 74.

²³³ იქვე, გვ. 259.

²³⁴ მხედველობაში გვაქვს მრავალთავის ორი ნუსხა—A 95 და A 144.

²³⁵ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ეორტალოგიური წელიწადი, ეტბუღები, ტ. I, 1956, გვ. 128—131. უფრო ადრე კ. კეკელიძე ათენაგენობას შეეხო თავის ორ ნაშრომში: Лихтург. памятники, с. XXV; Иерус. Канонарь, с. 16—21, 228—294.

²³⁶ Esbroeck, Homélieire, p. 331—335.

უფრო მეტიც, ეს დღე განზოგადებულად წარმოგვიდგენს მოციქულთა ხსენებას.

ლიტერატურაში აღნიშნულია განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც ენიჭება პეტრე-პავლეს 29 ივნისის დღესასწაულის ჩართვას ლიტურგიკულ ციკლში ათენაგენობამდე 8 დღით ადრე. მ. ვან ესბროკი თვლის, რომ ამ ფაქტს ადგილი უნდა ჰქონოდა 519 წელს²³⁷. როგორც ჩანს, დროთა ვითარებაში მოციქულთა თემამ დაფარა ათენაგენობის თავდაპირველი შინაარსი. ამის გამოხატულება უნდა იყოს ვითარება, რომელიც იადგარის B ნუსხაში გვაქვს, ათენაგენობა აქ 27 დეკემბრის სტეფანე პირველმოწამისა და 1 იანვრის ბასილის დღესასწაულებს შორისაა ჩართული თარიღზე მითითების გარეშე. ეს საგალობლები თითქმის მთლიანად თანხვედრილია A ნუსხის ათენაგენობაზე დაწესებული მოციქულთა დასდებლებისა. B ნუსხაში მათი თითქოსდა უადგილოდ ჩართვა იმით არის გამართლებული და, ალბათ, განპირობებულიც, რომ 28 დეკემბერი პეტრე და პავლე მოციქულების ხსენების კიდევ ერთი დღეა.

ამრიგად, უდავოა ფაქტი, რომ დროთა ვითარებაში ათინოგენ მღვდელთმობღვრის დღესასწაული მარტვილიის შემდგომ მეშვიდე კვირას შეიცვალა მოციქულთა ზოგადი ხასიათის დღესასწაულით, რაც ჩვენს ხელთ არსებულ ხელნაწერებში უკვე დამკვიდრებულია.

სულის დასდებლება

იადგარის ABC ნუსხებში უძრავი კალენდრის დღესასწაულების ბოლოს თარიღზე მითითების გარეშე შეტანილია საგალობლების ჭკუფი, რომელიც „სულის“ დასდებლებად იწოდება (გვ. 327—333). ამ დასდებლების ადგილი იადგარის კალენდარულ სისტემაში ნათელი არ არის და სპეციალურ განხილვას მოითხოვს.

იადგარში „სულის“ ანუ „შესუენებულთა“ მოხსენება დიდი დღესასწაულებისათვის დამახასიათებელ შედგენილობას გვიჩვენებს, შეიცავს გალობანს, სტიქარონებს და ჟამისწირვის საგალობლებს, განსხვავებულია B ნუსხა, რომელშიც ჟამისწირვის საგალობელთაგან მხოლოდ კელთაბანისაა დასტურდება. „შესუენებულთათვის“ დაწესებული დღესასწაული აღმოჩნდა E-ს „ძველ“ ნაწილშიც, სადაც იგი შეტანილია დღესასწაულების იმ რიგში, რომელსაც ჰქვია „შეკრებულად მსგებსისა დღესასწაულნი“ (E 138v). შესუენებულთა ხსენება არც ლექციონარისათვის არის უცხო. P ნუსხაში ყველიერის შაბათს დაწესებულია „საკენებელი; სულთაჲ“, რომელიც ლექციონარის დიდი დღესასწაულისათვის დამახასიათებელი ვანგებითაა წარმოდგენილი (T 307—319)²³⁸. იგივე ხსენება L-ში ზოგად დღესასწაულთა რიგშია შეტანილი (T 1521—1527, სქოლიო). „სულის“ დასდებლების ხელნაწერთა სრულიად განსხვავებულ ნაწილებში არსებობის მიუხედავად აღმოჩნდა, რომ საქმე გვაქვს არსებითად ერთი და იმავე შედგენილობის მასალასთან. P ლექციონარის და იადგარის ABCE ნუსხების ჟამისწირვის საგალობლების უმრავლესობა ტექსტობრივად ერთი და იგივეა²³⁹.

²³⁷ Esbroeck, Homélie, p. 331—335.

²³⁸ L ამ ნაწილში ნაკლებია.

²³⁹ L ხელნაწერში „სულის“ ხსენება წარმოდგენილია მხოლოდ საკითხავებითა და ფსალმუნებით.

ამასთანავე, ABCE ნუსხებს საერთო აქეთ უფალო ლალადყავსას და აქებდით-სას ტროპარების გარკვეული ნაწილიც, ABC ნუსხებს—გალობანი.

ლექციონარისა და იადგარის ნუსხების „სულის“ დასდებლების თანხვედრილობა მათი ერთი და იმავე დანიშნულებით გამოყენებას უნდა გულსხმობდეს. მაგრამ ახსნას საჭიროებს, თუ რა არის ამ დასდებლების ლიტურგიკული ფუნქცია და რატომ დაშორდა შესვენებულთა ხსენება იადგარებში თავის თავდაპირველ ადგილს, რაც ლექციონარის P ნუსხაში გამოჩნდა. ხომ არ არის ეს დაკავშირებული რაიმე არსებით ცვლილებებთან პრაქტიკაში?

P ლექციონარის „სულის“ ხსენების საკითხავი და საგალობელი მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყველიერის შაბათის ლექციონარისეული²¹⁰ განგება უნდა სცილდებოდეს კონკრეტული დღის ფარგლებს და გააზრებული უნდა იყოს „სულის“ ხსენების ზოგად განგებად, როგორც ეს L ნუსხაშია. ამაზე მეტყველებს ერთის მხრივ ის ფაქტი, რომ აქ საკითხავებისა და საგალობლების ორი ან მეტი ფენაა მოცემული²¹⁰. ამასთან, შესვენებულთა ხსენების ზოგადი განგება P ლექციონარში სხვაგან არსად არ არის. LP ნუსხებმა შემოინახეს საშაბათოდ განკუთვნილი სამოციქულოსა და სახარების საკითხავები, რომლებიც P-ში ამგვარად არის დასათაურებული: „ესე განგებაა შაბათთაჲ. ფსალმუნნი და აღელუჲა წმიდათაჲ. გინა სულისაჲ“ (T 1668). ამ მითითებაში აშკარად ჩანს ორგანული კავშირი შაბათის განგებასა და სულის ხსენებას შორის. გამორიცხული არ არის, რომ P ნუსხას სწორედ ყველიერის შაბათს დაწესებული ფსალმუნები აქვს მხედველობაში.

შაბათის არსებითი შინაარსი რომ სულის ხსენებაა, ეს უძველესი პრაქტიკის ამსახველი სინური ნუსხების არაერთი მონაცემით დასტურდება. იოანე-ზოსიმეს კალენდარში განმარტებულია შეიდეულის ყოველი დღის შინაარსი აველი. საბაწმიდური წესის მიხედვით: „დღეჲ კურიაჲ დღესასწაულ არს წმიდისა აღდგომისაჲ და ბ-შაბათი და სამშაბათი—სინანულისაჲ, და ოთხშაბათი და პარასკევი—ჯურისაჲ, და ხუთშაბათი—ღმრთისმშობლისაჲ, და შაბათი—წმიდათა და სულისაჲ“²¹¹. იგივე განმარტება დაცულია იოანე-ზოსიმეს ხელით გადაწერილ სამარადისო ანუ შეიდეულის დასდებლების შესრულების საბაწმიდურ წესში²¹².

ყველაზე მნიშვნელოვანი საბუთი, რაც ლექციონარის „სულს“ ხსენების განგების ზოგადად საშაბათო გამოყენებაზე მიგვიჩვენებს, შემონახულია Sin. 53 ხელნაწერში.

Sin. 53 ლიტურგიკული დანიშნულების კრებულია. იგი საბაწმიდაში არის გადაწერილი, საფიქრებელია, X ს. I ნახევარში²¹³. სრულიად გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ საღვთისმსახურო პრაქტიკა, რომელიც Sin. 53-ის მასალაში ჩანს, ძველი იერუსალიმურია. ამის პირველი და ძირითადი საბუთია იაკობის ქამისწირვის ტექსტი, რომელიც მასშია შეტანილი. მეორე არსებითი ნიშანი სა-

²¹⁰ ა. ლეებს აღნიშნული აქვს, რომ P ხელნაწერის ყველიერის შაბათის განგება საკითხავების, ფსალმუნებისა და პოეტური ტროპარების ლექციონარის ზოგადი დღესასწაულებისათვის დამახასიათებელ არჩევანს იძლევა. იხ. Leeb, Die Gesänge, S. 118.

²¹¹ G a r i t t e, Calendrier, p. 119.

²¹² ლ. ხ ე ვ ს უ რ ი ა ნ ი, Sin. 34-ის შედგენილობის საკითხისათვის, მრავალთავი, VI, 1978, გვ. 114.

²¹³ M a p p, Описание, с. 83.

კითხავთა სისტემა. აქ წარმოდგენილი წმიდა კვირიაკეთა საციცკრო სახარებე-
ბი, მარტილიის შემდგომი კვირიაკეების საკითხავები სამოციქულოდან და სახა-
რებიდან, შეიდეულის ჟამისწირვის საკითხავები იერუსალიმური კანონის ანუ
ლექციონარის ტრადიციებთან დგება²⁴⁴. მესამე ნიშანი საგალობელი მასალაა,
რომელიც მთლიანად უძველესი იადგარისა და ლექციონარის გარკვეულ ნაწი-
ლებთან დგება²⁴⁵. Sin. 53-ში შესული საკითხავები, ფსალმუნები და პოეტური
საგალობლები განკუთვნილია შეიდეულის წრის ღვთისმსახურებისათვის. შეი-
ძლება ითქვას, რომ Sin. 53 ერთადერთი ნუსხაა, რომელმაც შეიდეულის ყოველი
დღის (გარდა კვირისა) ჟამისწირვის განგება შემოინახა.

შაბათის განგება აქ ორ ნაწილად არის წარმოდგენილი²⁴⁶. თითოეულ
ნაწილში ჟამისწირვის ელემენტები—საკითხავები და საგალობლები—ძირითა-
დად თითო ტექსტით არის მოცემული²⁴⁷. შეჯერებით გაირკვა, რომ Sin. 53-ის
საშაბათო განგებაში შესული ჟამისწირვის საგალობლები, ერთად აღებული, თი-
თქმის მთლიანად ფარავს იადგარის ნუსხებს, განსაკუთრებით ემთხვევა C ნუს-
ხას, ასევე საგალობლების დიდი ნაწილი ემთხვევა ლექციონარს. Sin. 53-სა და
P ლექციონარს საერთო აქვთ აგრეთვე თითო საკითხავი პავლეს სამოციქულო-
დან და იოანეს სახარებიდან (T 313, 316). იგივე საკითხავებია L-შიც²⁴⁸.

ამრიგად, აღმოჩნდა, რომ P ლექციონარის ყველიერის შაბათის ხსენებას
Sin. 53-ში პარაკლიტონისეული დანიშნულება აქვს და ყოველი შაბათის გან-
გებად არის დაწესებული. ასევე გაირკვა, რომ სულის ხსენების დღესასწაულს
E ნუსხაშიც იგივე ფუნქცია აკისრია, რაც Sin. 53-ში, რამდენადაც ის
შეტანილია ე. წ. „შეკრებულად მსგებსისა დღესასწაულთა“ რიგში, რომელიც
შეიდეულის მასალას წარმოადგენს.

ყოველივე თქმულის მიხედვით შეიძლება დაეუშვათ, რომ უძველესი
იადგარის ნუსხებშიც იმავე ვითარებასთან გვაქვს საქმე და საშაბათოდ გამო-
ყენებული სულის დასდებლები, ბუნებრივია, კონკრეტულ თარიღზე მითი-
თებას აღარ შეიცავენ.

ამრიგად, მასალის ანალიზის შედეგად დავასკვნით:

1. შესვენებულთა ანუ სულის ხსენება, როგორც ჩანს, თავდაპირველად
დაწესებული იყო ყველიერის შაბათს, სადაც მან დროთა ვითარებაში ზოგა-
დობის შინაარსი შეიძინა. ეს ეტაპი ასახულია ლექციონარის P ნუსხაში.

2. უძველესი იადგარის ნუსხებში აისახა ის ეტაპი, როცა შესვენე-
ბულთა ხსენება დაშორდა თავის თავდაპირველ ადგილს და გადაიქცა
ზოგადად საშაბათო გამოყენების მასალად. ეს შედარებით ბუნდოვნად და-
არამყარად ჩანს ABC ნუსხებში და თვალნათლივ—L, E და Sin. 53 ხელნაწე-
რებში.

უძველესი იადგარის ჩვენს ხელთ არსებული ნუსხები ერთგვარად დას-
ცილდნენ ლექციონარს, თუმცა მასალის ლიტურგიკული შინაარსი იგივე დარჩა. ეს

²⁴⁴ მხედველობაში გვაქვს ამ საკითხავების პარალელები ლექციონარიდან და საბაწმიდურ-
სინური წარმოშობის სამოციქულოსა და სახარების საძიებლებიდან.

²⁴⁵ ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 914—919.

²⁴⁶ იხ. Sin. 53, 50v—52r, 52v—55r.

²⁴⁷ პირველ ნაწილში არ არის ოხითაჲ, მეორე ნაწილში ოხითაჲს ორი ტექსტია, არ არის
ფსალმუნ-დასდებლები და სიწმიდისაჲ.

²⁴⁸ Le grand Lectionnaire, II, გვ. 87 (სქოლიო).

გარემოება შეიძლება განპირობებული იყოს იმ ცვლილებით, რაც ყველიერის შაბათის შინაარსის გააზრებაში მოხდა. X საუკ. ახალ იადგარებში ყველიერის შაბათს დაწესებულია არა სულის, არამედ წმინდა მამათა ხსენება²⁴⁹, და რაც უფრო საგულისხმოა, ეს გამოჩნდა უკვე E-ს იადგარის ახალ ნაწილში. E-ში მარხვის კვირაკეთა დასდებლების შემდეგ შეტანილია მამათა ხსენებისათვის დაწესებული საგალობლები, რომელთა ავტორად თეოდორე სტუდიელია მითითებული: „ყველიერისა შაბათსა კსენებაჲ ყოველთა წმიდათა მამათაჲ, თეოდორე ასტოდელი-სა თქუმულნი“²⁵⁰. მითითება ავტორზე თანხმობაშია ბერძნული ნუსხების ტრადიციასთან²⁵¹. Sin. 59-შიც იგივე კანონია შეტანილი ავტორზე მითითების გარეშე. ყველიერის შაბათის იგივე შინაარსი და თეოდორე სტუდიელის გალობანი ჩანს ქართულ „მარხვანებში“, რომლებიც იადგარებისაგან განსხვავებით კონსტანტინოპოლურ წესს მისდევენ²⁵². ი. კარაბინოვი, რომელიც მიიჩნევს, რომ მამათა ხსენების აღნიშნული დღესასწაული შედარებით გვიანდელი წარმოშობისა უნდა იყოს, რადგან იგი არ არის მოხსენიებული ადრინდელ ბერძნულ ხელნაწერებში, შენიშნავს, რომ ივირონის ბერძნული საგალობელი კრებული № 954 ამ დღისათვის დაწესებულ ორ ტროპარს სტიქარონიდან იოანე დამასკელს მიაწერს, და რომ ეს ტროპარები გვაძიებენ აღნიშნული ხსენების ძირები პალესტინაში ვეძებთ²⁵³. საგულისხმოა, რომ იგივე ტროპარები, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ იმ დასაწყისების მიხედვით, ი. კარაბინოვს რომ მოაქვს, შეტანილია ქართულ იადგარებსა და მარხვანებში, კერძოდ Sin. 34-სა და Sin. 5-ში, თუმცა მათ, სამწუხაროდ, ავტორზე მითითება არ ახლავს²⁵⁴.

ამრიგად, თუ ლექციონარის მიხედვით ყველიერის შაბათი სულის ხსენებისათვის არის განკუთვნილი²⁵⁵, ახალ იადგარებში მისი ფუნქცია შეცვლილია. საგალობლების მიხედვით მამათა ახალი ხსენების წარმოშობა იერუსალიმის წილში ივარაუდება. სტუდიელებმა, როგორც ჩანს, გააფართოვეს ამ ხსენების მასალა, თეოდორე სტუდიელმა დაწერა სპეციალური გალობანი. X ს. I ნახევარში ქართული ხელნაწერები უკვე გვიჩვენებენ ხსენების სრულ დამკვიდრებას ქართულ ლეთისმსახურებაში.

²⁴⁹ იხ. Sin. 59, 67v—72r. სინურ ხელნაწ. აღწერილობა, I, გვ. 170. Sin.64 ამ ნაწილში ნაკლებია, სავარაუდებელია, რომ აქაც იგივე ვითარება იყო, რაც Sin.59-ში.

²⁵⁰ სინურ ხელნაწ. აღწერილობა, I, გვ. 116.

²⁵¹ ამ დღესასწაულის ტიპიკონის კანონის ავტორად ტრიოდონის ბერძნულ გამოცემაშიც თეოდორე სტუდიელია მითითებული. იხ. *Триодий, вв. Паулѣ*, 1879, გვ. 87; ი. კარაბინოვიც მითითებს, რომ თეოდორე სტუდიელს ეკუთვნის ამ დღის კანონი, იხ. *Постная Триодь*, с. 52.

²⁵² იხ. Sin.5, 44v—46v.

²⁵³ И. Карабинов, *Постная Триодь*, с. 51—52.

²⁵⁴ უფალო ღაღადყავსა ქა და გი. „მოვედით, მორწმუნენო, ყოლად ღირსთა მამათა გალობით შევასხმიდეთ...“, „გიხაროდენ, ეგვპეტო, იხარებდი ლუბაო, იხარებდი თებაიდაო...“ Sin. 34, 120r; Sin. 5, 41r—v. Sin.34-ში, დღესასწაულის საერთო სათაურში, ავტორად თეოდორე სტუდიელია მითითებული. შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს აღნიშნული ტროპარებიც თეოდორეს ეკუთვნის, მაგრამ ბერძნული ტრადიცია ამ დღეს მხოლოდ გალობას მიაწერს თეოდორე სტუდიელს, იხ. დასახ. ტრიოდონი.

²⁵⁵ ამ ხსენების ადრინდელი არსებობას, ი. კარაბინოვის აზრით, მხარს უჭერს ნესტორიანულ ეკლესიის ტრადიცია, რომლის მიხედვით შესვენებულთა ხსენება დაწესებულია უშუალოდ 40-დღიანი მარხვის დაწყების წინ, იხ. *Постная Триодь*, с. 51.

რაც შეეხება შესვენებულთა ხსენებას, იგი ახალი იადგარის შემადგენლობიდან არ გასულა, მაგრამ კონკრეტულ დღესთან დაკავშირებული აღარ არის. ამ ხსენებისათვის დაწესებული გალობანი და სტიქარონები მოთავსებულია დღესასწაულთა ზოგად განგებათა რიგში²⁵⁶.

ამრიგად, შეიძლება დავუშვათ, რომ ყველიერის შაბათის ფუნქციის შეცვლამ, რასაც ადგილი უნდა ჰქონოდა იოანე დამასკელის ეპოქამდე ან მის დროს, თავისებური გამოძახილი ჰპოვა უძველესი იადგარის ჩვენს ხელთ არსებულ ნუსხებში და გამოიწვია „სულის“ დასდებლების დაშორება თავდაპირველი ადგილიდან. შესაძლებელია ამის მიზეზი აღნიშნული მასალის პარაკლიტონისეული საჭიროებისათვის გამოყენებაც იყოს.

უძველესი იადგარის კალენდრის კვლევის შედეგად შემდეგ დისკენებამდე მივდივართ:

1. უძველესი იადგარის ლიტურგიკული წელიწადის სპეციფიკას ის შეადგენს, რომ იგი ხარებით იწყება. ასეთივე ვითარება უნდა ყოფილიყო ლექციონარში იმ დროისათვის, როცა იადგარი მას გამოეყო როგორც დამოუკიდებელი კრებული. უძველესი იადგარის ნუსხებმა, მრავალთავეების მსგავსად, ბოლომდე შეინარჩუნეს კალენდრის ეს თავისებურება.

2. უძველესი იადგარის კალენდარი მოკლეა. იგი წარმოადგენს გამონაკრებს თავისი დროის ვრცელი კალენდრიდან, რომელიც ლექციონარშია განხორციელებული და შეიცავს წელიწადის მხოლოდ იმ დღესასწაულებსა და დღეებს, რომლებისთვისაც ქრისტიან ავტორთა ხელიდან გამოსული პოეტური საგალობლებია შემოღებული. იადგარის კალენდრის სიმოკლეს განაპირობებს ჰიმნოგრაფიის განვითარების მასშტაბები და შესაძლებლობები. ამ თვალსაზრისით, იადგარი განხილულ უნდა იქნას, როგორც ლექციონარის ჰიმნოგრაფიული დამატება.

3. იადგარში გამოიყოფა დღესასწაულთა ის ძირითადი ბირთვი, რომელიც იმთავითვე განსაზღვრავდა იადგარის სახეს. იგი მოიცავს ყველა ძირითად საუფლო და დიდ საეკლესიო დღესასწაულს, ხსენების ტიპის ზოგიერთ დღესასწაულს, რამდენიმე ზოგად განგებასა და მარხვან-ზატიკის პერიოდს თავისი ძირითადი დღესასწაულებით. კალენდრის ეს სახე ყველაზე უკეთ B ნუსხაშია დაცული, A შეიცავს ზოგიერთ ისეთ ჩვენებას, რაც მოგვიანებით წარმოებული შევსების შედეგია. C ნუსხის სიმოკლე არ არის მისი არქაულობის ნიშანი, რადგან იგი „გამოკრებილ“ ნუსხას წარმოადგენს.

4. იადგარის გამოყოფის დროისათვის კალენდრის ყველა არსებითი ნიშანი ლექციონარში უკვე ჩამოყალიბებული ჩანს და მზამზარეულად გადასული იადგარში. ეს, რასაკვირველია, არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას,

²⁵⁶ სინურ ხელნაწ. აღწერილობა, I, გვ. გვ. 34, 86, 100, 112, 225. აღსანიშნავია, რომ „მარხვანებში“ „სულის“ ხსენება ხორცის აკრების შაბათს არის დაწესებული. საგულისხმოა ვითარება, რომელსაც Sin. 5 შეიცავს. აქ ხორცის აღების შაბათს მოთავსებულია შენიშვნა: „ქორციელისა შაბათსა კსენება აღესრულების ბერძულად სულთა ყოველთა. დასდებელნი უფალო ღალად-ყავსა და გალობანი პარაკლიტონსა შინა დამიწერია, შემინდვეთ, აქა ვერლარა შემეძლო“ (Sin. 5, 28v). შენიშვნა ორხრივ არის საინტერესო: ერთის მხრივ, გვიჩვენებს „სულის“ ხსენების დაწესებას გარკვეულ დღეზე—ხორცის აკრების შაბათზე, მეორეს მხრივ, მივცითოთებს იმავე დასდებლების პარაკლიტონისეულ გამოყენებაზე, რაზედაც ჩვენ მივუთითებ Sin. 34-ისა და დიდი იადგარების მიხედვით.

რომ საგალობლებით შეესება შემდეგშიც გრძელდებოდა და ზოგიერთი რამ როგორც იაღგარში, ასევე ლექციონარში შემდეგ არის შეტანილი. L და P ნუსხები ლექციონარის განვითარების სხვადასხვა ეტაპებს შეესაბამებიან, როგორც კალენდრის ზოგიერთი დეტალის, ასევე ჰიმნოგრაფიული რეპერტუარის სისრულის თვალსაზრისით. უძველესი იაღგარის ნუსხებში, ვფიქრობთ, L ნუსხაში ასახული პრაქტიკის შემდგომი განვითარებაა ფიქსირებული, ხოლო P-ში აშკარად შეიმჩნევა ისეთი შევსება, რომელიც მას შემდეგ ჩანს შეტანილი, როცა იაღგარს უკვე შეწყვეტილი ჰქონდა თავისი განვითარება.

5. იაღგარის ნუსხებისათვის არ არის ნიშანდობლივი კალენდარული ხსენებები საგალობელი მასალის გარეშე. ასეთი ხსენებების არსებობა A-ში იმის მაჩვენებელია, რომ იაღგარის ნუსხებს იყენებდნენ ახლად შემოტანილი ისეთი დღესასწაულების ფიქსირებისათვის, რომლებიც ლექციონარში აღარ ასახვებოდა.

6. ლექციონარის ნუსხებში აღინიშნება გარკვეული დღესასწაულების აღნიშვნის ტრადიციების ცვლა, რაც ასახულია იაღგარის ნუსხებშიც. თუმცა იაღგარები იცნობენ თავისი დროის სიახლეებს, ხშირ შემთხვევაში ცდილობენ ძველი ტრადიციების შენარჩუნებას.

უძველესი იაღგარის საწელიწადო ნაწილის ძირითადი სტრუქტურები

იაღგარის კალენდრის განხილვისას ნაჩვენები იყო, რომ მისი მოკლე კალენდარი ასახავს საწელიწადო დღესასწაულთა იმ ბირთვს, რომელსაც ლექციონარშივე ახასიათებს ფსალმუნური და პოეტური საგალობლების გარკვეული ფორმები. ლექციონარის შედგენილობის არსებით მხარეს ის შეადგენს, რომ აღნიშნული საგალობლები აქ მოტანილია დღესასწაულთა განგებათა თანმიმდევრობაში მათი ადგილისა და ფუნქციის მიხედვით, სადაც ისინი კანონზომიერად მონაცვლეობენ ღვთისმსახურების სხვა ელემენტებთან, ძირითადად ბიბლიურ საკითხავებთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლექციონარის ყოველი დღესასწაული წარმოდგენილია მისთვის დაწესებული ღვთისმსახურების მიმდინარეობის პროცესში გამოყენებული სხვადასხვა ცვალებადი ელემენტების, მათ შორის საგალობლების, თანმიმდევრობის მიხედვით.

ლექციონარის აღნიშნული სპეციფიკა ამოსავალი გახდა ავსტრიელი მეცნიერის ჰ. ლეებისათვის, როცა იგი ქართული ლექციონარის საგალობლებს იკვლევდა²⁵⁷. საგალობლები მან განიხილა სწორედ ღვთისმსახურების პროცესში მათი ადგილისა და ფუნქციის მიხედვით. ამის საფუძველზე ჰ. ლეები შეეცადა გამოეკვეტა ტ ი პ ი უ რ ი ს ტ რ უ ქ ე ტ უ რ ე ბ ი. ასეთია, უპირველეს ყოვლისა, ლექციონარის უ ა მ ი ს წ ი რ ვ ა, რომელიც დღესასწაულთა დიდ უმრავლესობას ახასიათებს, მ წ უ ხ რ ი, რომლის რეკონსტრუქციის ცდა არის მოცემული ჰ. ლეების გამოკვლევაში, ზოგიერთი დღესასწაულებისათვის ნიშანდობლივი ც ი ს კ რ ი ს გ ა ნ გ ე ბ ა და დ ი დ ი ღ ა მ ი ს თ ე ვ ე ბ ი. ამავე მეთოდის მოშველიებით განიხილავს ჰ. ლეები გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი რ ი გ ი ს ე. წ. ა ნ ა მ ნ ე ტ უ რ მ ს ა ხ უ რ ე ბ ე ბ ს, რომლებიც დიდ საუფლო

²⁵⁷ Leeb, die Gesänge.

დღესასწაულებში სიმბოლურად განასახიერებენ ქრისტეს ცხოვრებისა და ვნების ამა თუ იმ ეპიზოდს. ამგვარი მიდგომა იმითაც იყო გამართლებული, რომ ლექციონარის პოეტური საგალობლები ფორმის თვალსაზრისით არ განსხვავდებიან და მათი დიფერენცირება მხოლოდ ლიტურგიკული შინაარსის დადგენის საფუძველზეა შესაძლებელი.

საგალობლების ღვთისმსახურების კონტექსტში განხილვამ, მათი ფუნქციის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამოცნობის ცდამ პ. ლეებს საშუალება მისცა დაეზუსტებინა ლექციონარისეული საგალობლების სახეები, ამასთანავე ცალკეულ შემთხვევებში ერთი და იმავე ტერმინის უკან სხვადასხვა დანიშნულების საგალობლები დაენახა, ან პირიქით. ეჩვენებინა, რომ ხელნაწერების ტრადიცია ერთსა და იმავე მოვლენას ზოგჯერ სხვადასხვა ტერმინით აღნიშნავს.

ლექციონარისა და უძველესი იადგარის შედარებითმა შესწავლამ, უპირველეს ყოვლისა, ის გაარკვია, რომ იადგარის დღესასწაულები აგებულია ლექციონარისათვის დამახასიათებელი სტრუქტურების მიხედვით. ცალკეულ დღესასწაულთა ღვთისმსახურების ლექციონარისეული სახეები, საგალობელთა მათთვის ნიშანდობლივი ფორმები და თანმიმდევრობა თითქმის უცვლელად არის გადასული იადგარში და ქმნის აქ საფუძველს ახალი, იადგარისეული შევსებისათვის²⁵⁸.

მსგავსად ლექციონარისა, იადგარის დღესასწაულთა დიდ უმრავლესობას ახასიათებს ჟამისწირვა, თავისი მკვეთრად გამოკვეთილი სტრუქტურით, სადაც საგალობლების ზუსტად იგივე სახეები და თანმიმდევრობა გვაქვს, რაც ლექციონარში: ოხითაჲ, ფსალმუნ-დასდებელი, ალელუაჲ, კელთაბანისაჲ, სიწმინდისაჲ. ეს შედგენილობა, შესაძლებელია, ყოველთვის ერთნაირი სისრულით არ არის დატული იადგარის ნუსხებში, აქა-იქ აკლია ესა თუ ის ელემენტი, რაც მეტწილად გადამწესხველთა უზუსტობებია, რაც შეეხება წირვის სტრუქტურას, იგი არსებითად ყოველთვის დატულია და გვიჩვენებს იადგარის მთლიანად ლექციონარზე დამოკიდებულებას. ყოველი გადახრა ჟამისწირვის ტიპიური სტრუქტურიდან, რაც იადგარში აღინიშნება, ასევე ლექციონარიითაა განპირობებული. მოვიყვანთ ერთ თვალსაჩინო მაგალითს:

პ. ლეებმა გამოიკვლია, რომ ჟამისწირვის ტიპიურ სტრუქტურას ლექციონარის გარკვეულ დღესასწაულებში ემატება ზიარების თანხლები პოეტური საგალობლები — განიცადე და აღავსე²⁵⁹. დიდი ხუთშაბათისა და აღვსების ჟამისწირვათა განგებებში სიწმინდისაჲს შემდეგ ლექციონარის სინურ ნუსხას შემოაქვს განიცადენი (იგი მოცემულია S ნუსხის როგორც ძირითად, ასევე დამატებით ნაწილში—T 639 (შწ.), 739 (შწ.), 751 (შწ.), App. I, № 50,51). ამ მოვლენის კვალი დარჩენილია L ნუსხის შაბათის განგებაშიც, რაც ამ პრაქტიკის სიძველეზე მეტყველებს (T 739). აღმოჩნდა, რომ უძველესი იადგარის ნუსხებს აღნიშნული საგალობელი სწორედ მითითებულ დღესასწაულებზე შემოაქვთ. დიდი ხუთშაბათის განიცადენი დასტურდება იადგარის ABCE, დიდი შაბათისა—BCE, ხოლო აღვსებისა—B ნუსხებში. ასევე იადგარის BCE ნუსხებში

²⁵⁸ ლექციონარისა და ქილ-ეტრატის იადგარის ზოგიერთი საერთო საგალობელი მიუთითა ძ. კეკელიძემ, *იხ. Иерус. Канонарь*, с. 27—28.

²⁵⁹ Leeb, *Die Gesänge*, S. 124—136.

ჩართულია საგალობელი ელემენტი „აღავსე“, როგორც ეს ლექციონარის S ნუსხაშია²⁶⁰. უძველესი იადგარი არ იცნობს ქამისწირვისათვის ლექციონარისაგან განსხვავებულ რაიმე საგალობელს. საგულისხმო ფაქტია, რომ უძველესი იადგარის აღდგომის დასდებლებშიც ქამისწირვის იგივე სტრუქტურებია შემოღებული, თუმც მათ ლექციონარში პარალელი არ ეძებნებათ.

იადგარისა და ლექციონარის ურთიერთმიმართება ჩანს მწუხრის სტრუქტურაში. ამ მსახურების ძირითად ცვალებად ელემენტებს ლექციონარში შეადგენენ ფსალმუნ-დასდებელი და პოეტური ტრაპარი ოხითაჲ. სწორედ ეს ორი საგალობელია ნიშანდობლივი იადგარის დიდი დღესასწაულების წინა დღის მწუხრის, მარხვის პერიოდის კვირა და სადა დღეებისა და ვნების კვირის მწუხრისათვის, ზოგიერთი განსაკუთრებული რიტუალისათვის, რომელსაც მწუხრი ახლავს (ახალკვირა, მარტილია და სხვა).

უძველესი იადგარის ლექციონარიდან მომდინარეობა და მასზე დამოკიდებულება განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს ისეთ თავისებურ მოვლენებში, როგორცაა შობისა და განცხადების დიდი ღამისთევები, აგრეთვე განსაკუთრებული რიგის წირვები და რიტუალები, რომელთა სტრუქტურებში თავმოყრილია ლექციონარისეულ პოეტურ საგალობელთა დიდი უმრავლესობა. შედარება გვიჩვენებს, რომ არა მარტო აღნიშნული ღამისთევები, არამედ ისეთი თავისებური რიტუალები, როგორცაა შობისა და განცხადების წინაღობის მწუხრის ჩვეულებრივისაგან განსხვავებული, საზეიმო განგებები, ამავე დღესასწაულის წყლის კურთხევის რიტუალი, ბზობის საზეიმო პროცესია, დიდი ხუთშაბათის „ფერკთა ბანის“ რიტუალი და ღამისთევა, დიდი პარაკლესის მე-9 ქაშე დაწესებული განგება, რომელშიც ქრისტეს ვნება სიმბოლურად ასახული, ჭრის ბანის რიტუალი ამავე დღეს, ვნების შაბათის სინათლის დღესასწაული, ახალკვირისა და მარტილიის მე-9 ქამის სპეციალური მსახურებები — ყველა აქ მითითებული მოვლენა ლექციონარიდან მომდინარეობს, და, რაც მთავარია, იმავე გააზრებით, საგალობელთა არსებითად იმავე შედგენილობითაა წარმოდგენილი იადგარში, როგორც ლექციონარში.

ამჯერად არა გვაქვს საშუალება ვუჩვენოთ დეტალურად მიმართებები ლექციონარისა და იადგარის აქ ჩამოთვლილ მოვლენათა შორის, ზოგიერთ მათგანს ვეხებით გამოკვლევაში გზადაგზა სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

უძველესი იადგარის შედგენილობის არსებით მხარეს შეადგენს ის ფაქტიც, რომ ლექციონარის დღესასწაულთა და ცალკეულ რიტუალთა სტრუქტურებს უძველეს იადგარში გადაყვა ლექციონარისეული საგალობელი ტექსტები. შეჭერება გვიჩვენებს, რომ ლექციონარის ნუსხებში დადასტურებული სხვადასხვა დანიშნულების ფსალმუნური და პოეტური საგალობლების ტექსტების უდიდესი ნაწილი იმავე დანიშნულებით იქებნება იადგარის ნუსხების ლექციონარისეულ ფენაში. არის, რასაკვირველია, განსხვავებებიც: ერთი და იმავე ტექსტების სხვადასხვა დღესასწაულებში ჩართვა ან განსხვავებული ფუნქციით გამოყენება, განსხვავებული ტექსტების შემოტანა და ა. შ. ლექციონარისა და იადგარის ნუსხების საერთო ფენის ტექსტობრივი მიმართებები საკმაოდ რთულ სურათს იძლევა და მოითხოვს ყოველი კონკრეტული

²⁶⁰ იხ. აქვე, გვ. გვ. 189, 216, 217; E 136r—v.

შემთხვევის ცალკე განხილვას. რაც ამჟერად ჩვენს ამოცანებს სცილდება. ლექციონარის განვითარებისა და შევსების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე. მასში პირველი პოეტური ტროპარების შემოღებიდან გარკვეული სისტემების ჩამოყალიბებამდე, რაც ქართულ ლექციონარში ბერძნულის კვალდაკვალ მიმდინარე პროცესად არის მიჩნეული, ლექციონარის ნუსხებს შორის წარმოიშვა ტექსტობრივი და სხვა ხასიათის გარკვეული განსხვავებები, რამაც შემდგომში. როგორც ჩანს. ერთგვარად განაპირობა განსხვავებები იაღგარის ნუსხებს შორისაც. ეს განსხვავებები სხვადასხვა ნიადაგზე ჩანს აღმოცენებული. ამის წყარო, შესაძლებელია, იყო თანდათან წარმოებული შევსება, რაც ყოველთვის ერთნაირად ვერ აღწევდა ხელნაწერებში, შესაძლებელია, გადაშფერთა მიერ დაშვებული შეცდომები თუ უზუსტობები (ამის მაგალითები მოიპოვება თვით A-ში), რაც შემდგომ გადადიოდა ხელნაწერიდან ხელნაწერში. არ არის გამორიცხული, რომ განსხვავებების მიზეზი იყო ლექციონარისეული რეპერტუარის იმდენად „გაქართულება“, როცა პირველწყაროს ანგარიში აღარ ეწევა. ამის თვალსაჩინო მაგალითებს იძლევა იოანე-ზოსიმეს ხელნაწერები. დაბოლოს, განსხვავებების ერთი ნაწილი უთუოდ განაპირობა ლექციონარის ნუსხების გვიანდელმა შევსებებმა, რომელთაც ასახვა ვერ ჰპოვეს უკვე ხმარებიდან გამოსული უძველესი იაღგარის ხელნაწერებში (ჩვენ ზემოთ ვუჩვენეთ P ხელნაწერის ამგვარი ფენა)²⁶¹.

მიუხედავად განსხვავებებისა, შეიძლება დაბეჭიბებით ითქვას, რომ ლექციონარის საწელიწადო ნაწილის დღესასწაულთა სტრუქტურა და საგალობელთა ლექციონარისეული ფენა არის ის საფუძველი, რომელზედაც უძველესი იაღგარი აღმოცენდა.

უძველესი იაღგარის, როგორც ჰიმნოგრაფიული კრებულის, სახეს ძირითადად მაინც საგალობლების ის ახალი ფორმები განსაზღვრავს, რომელთაც არ იცნობს ლექციონარი და რომლებიც იაღგარის შედგენილობის არსებით და ორგანულ ნაწილს წარმოადგენენ. მხედველობაში გვაქვს სტიქარონები (უფალო ღაღადყავსა, აქებდითსა) და ცისკრის კანონები. აღნიშნული საგალობლები უძველესი იაღგარის რეპერტუარის ძირითად მასას შეადგენენ.

ახალი საგალობლების შემოღება იაღგარში ღვთისმსახურების ლექციონარისეული სტრუქტურებიდან მხოლოდ მწუხრისა და ცისკრის განგებებს შეეხო, სადაც მათ თავისი ადგილი დაიმკვიდრეს ისე, რომ ახალ შევსებას არ მოჰყოლია ლექციონარის სისტემაში ძირეული ცვლილებები. იგი არ შეხებია ლექციონარის ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, როგორცაა ეამისწირვა, დიდი ღამისთევები და სხვადასხვა განსაკუთრებული განგებები.

ცისკრის კანონისა და აქებდითსას შემოტანამ იაღგარში გამოკვეთა ლექციონარის ღვთისმსახურების ფორმებს შორის ყველაზე ღარიბად წარმოდგენილი ცისკრის განგება. ცისკარი ლექციონარის სულ რამდენიმე დღესასწაულში ჩანს და რიც შემთხვევაში ყოველგვარი მასალის გარეშეა მითითებული (T 25. 107 შნშ.. 704). იწელია თქმა, თუ რა აქვს მხედველობაში ლექციონარს ასეთ შემთხვევებში. უძველესი იაღგარის დღესასწაულთა და დღეთა აბსოლუტური უმრავლესობა, როგორც წესი, შეიცავს ცისკრად შესასრულებელ კანონსა და აქებდითსას, ან მხოლოდ აქებდითსას. სხვა საგალობელ ელემენტს

²⁶¹ ი. ბ. აქვე, გვ. 724—725.

ცისკრად იადგარი არ უჩვენებს. პ. ლეები ლექციონარის მონაცემებისა და ბერძნული ლიტურგიული ძეგლებიდან მოხმობილი მასალის საფუძველზე შეეცადა გამოეყო ლექციონარის ვნების კვირის ცალკეულ დღეებში და აღვსებანს 'ცისკრად დაწეაებული საგალობლები და განესაზღვრა მათი ფუნქცია²⁶². აქ წარმოდგენილ საგალობელთა წრე ძალიან ვიწროა და მათი უმეტესობა ღვთისმსახურების მუდმივ, უცვლელ კომპონენტთა რიცხვს განეკუთვნება (როგორცაა „დიდებამა მალალთამ, „ღირსმყვენი“, „წმიდაო ღმერთოჲ“ და სხვა). ეს არის, ალბათ, მიზეზი იმისა, რომ ლექციონარის აღნიშნულ საგალობელთაგან იადგარში არაფერია ასახული.

არც ლექციონარიდან და არც იადგარიდან არ ჩანს გარკვევით ის ლიტურგიული გარემო, რომელშიც ცისკრის კანონისა და აქებლითსას შესრულება ივარაუდება. ამასთან დაკავშირებით საინტერესო უნდა იყოს ის ფაქტი, რომ Sin. 34-ში შეტანილ „ჟამში“, რომელიც ყველა ნიშნით იერუსალიმური პერიოდის ადრეული ძეგლია, ჩართულია ცისკრის განგება²⁶³. აღნიშნულ განგებაში, რომელიც 20-ზე მეტი კომპონენტისაგან არის შედგენილი და სამრევლო ღვთისმსახურების წესს ასახავს, შეტანილია უძველესი იადგარის სხვადასხვა დღესასწაულების ცისკრის კანონების ცალკეული სტროფებით შედგენილი კომპილაციური კანონი²⁶⁴. ამავე განგებაში შეტანილი აქებლითსაც იადგარისეული სტიქარონების მიხედვითაა შედგენილი. უძველესი იადგარის საგალობლების ჩართვა E-ს „ჟამის“ ცისკრის ზოგად განგებაში შემთხვევითი ფაქტი არ უნდა იყოს. იგი, პირველ ყოვლისა, იმაზე მიგვითითებს, რომ „ჟამის“ აღნიშნული რედაქცია და იადგარი ღვთისმსახურების განვითარების ერთი დონის შესატყვისი ძეგლებია, ამდენად, „ჟამის“ მონაცემებს შეუძლია შუქი მოჰფინოს უძველესი იადგარის განგებებს, კერძოდ, ცისკრის განგებას, რაც სპეციალური შესწავლის საგანი უნდა გახდეს.

უძველესი იადგარის ახალი ფენა, როგორც ითქვა, სტიქარონებითა და ცისკრის კანონებითაა წარმოდგენილი. ერთადერთი შემთხვევა გვაქვს (ვნების შაბათის ცისკრაზე), როცა მრავალსტროფიანი საგალობელი „ნეტარაიანად“ იწოდება. ფორმის თვალსაზრისით იგი არ განსხვავდება იადგარის სტიქარონებისაგან. ტექსტობრივი ანალიზი გვიჩვენებს, რომ საგალობელი 118-ე ფსალმუნის ტექსტზეა აგებული და, ჩანს, მის პოეტურ დამატებას წარმოადგენს.

იადგარის ჩვენს ხელთ არსებული ყველა ნუსხის მონაცემების მიხედვით საწელიწოდ-სადღესასწაულო ნაწილში დღესასწაულთა უმრავლესობა შეიცავს სტიქარონებსა და ცისკრის გალობებს, განსაკუთრებით ფართოდაა წარმოდგენილი სტიქარონები. ცისკრის გალობანი შემოღებულია 46 დღესასწაულზე, მათ შორის 25-ს ახასიათებს სრული, ცხრაოდიანი კანონი. 11-ს — ორსაგალობელი, 8-ს — სამსაგალობელი, 4-ს — ოთხსაგალობელი (ცისკრის გალობანი შედის აგრეთვე აღდგომის დასდებლების რვავე ხმის შემადგენლობაში). მათი დიდი ნაწილი საერთოა ABC ნუსხებისათვის. შედარებით ვრცელი კალენდრის შედეგად A შეიცავს ცისკრის გალობანს ისეთი დღესასწაულებისა-

²⁶² Leeb, *Die Gesänge*, S. 183—205.

²⁶³ E, 17v—24v.

²⁶⁴ ლ. ხ ე ე ს უ რ ი ა ნი, Sin. 34-ის შედგენილობის საკითხისათვის, მრავალთავი, VI, 33. 94.

თვის, რომელთაც პარალელი სხვა ნუსხებში არ ეძებნებათ. ასეთებია: აბოს, თეკლას, პეტრე და პავლე მოციქულების, წმ. გიორგის 23 აპრილისა და 3 ნოემბრის დღესასწაულები. იმავე A-ში დეფექტურობის გამო არ შემონახულა ხარებისა და შობის კანონები. იმის გამო, რომ C ნუსხას მოკლე კალენდარი ახასიათებს, ცისკრის კანონების რიცხვი მასში შედარებით მცირეა. D-ში დღეს ერთადერთი სრული (ბზობის) და ორიოდ არასრული კანონია სახეზე.

იაღგარის თავისებურებას შეადგენს ის, რომ ცალკეული დღესასწაულების ცისკრის კანონები და სტიქარონები ხშირ შემთხვევაში ორ ან მეტ ფენას შეიცავენ. ეს ფენები ერთმანეთისაგან სიტყვა „სეუანითა“ გამოჩნული. ანალიზი გვიჩვენებს, რომ იაღგარის, როგორც ცალკე კრებულის, განვითარება ორი მიმართულებით წარმართულა. ერთის მხრივ, ხდებოდა ახალ-ახალი დღესასწაულების შემოტანა (ჩვენ ზემოთ ვუჩვენეთ, რომ იაღგარის კალენდარი მისი განვითარების ადრეულ ეტაპზე უფრო მოკლე უნდა ყოფილიყო, ვიდრე იგი A ხელნაწერშია). მეორეს მხრივ, ახალ-ახალი ფენებით ივსებოდა უძველესი ფენის დღესასწაულთა საგალობლები. გამონაკლისს შეადგენს იაღგარის დიდმარხვის ციკლი, სადაც სტიქარონები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მთლიანად ერთფენოვანია.

იაღგარის ნუსხათაგან მრავალფენიანობა AB-ს ახასიათებს. C ამ მხრივ განსხვავებულია. იგი თავიდან ბოლომდე ერთფენოვანია. უძველესი იაღგარის მრავალფენიანი საგალობლებიდან C-ს შემდგენელმა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ ერთი ფენა „გამოკრიბა“. ამ მხრივაც C მოკლე რედაქციის ნუსხაა. ნიშანდობლივია, რომ C-ს მიერ შერჩეული ფენა უმეტეს შემთხვევაში AB ნუსხების პირველ ფენას ემთხვევა. ფენობრივი შედგენილობის შესწავლამ უჩვენა, რომ პირველი ფენა გარკვეულ შემთხვევაში იაღგარის გვიანი შევსებაა²⁶⁵. მაშასადამე, C-ს ვერ მივიჩნევთ ისეთ ნუსხად, რომელმაც სიძველე შემოგვინახა. მისი სიმოკლე არ არის სიძველის მაჩვენებელი.

ცისკრის გალობათა მრავალფენიანობა AB ნუსხებში საინტერესო სურათს იძლევა. გალობათა ერთი ნაწილი თავიდან ბოლომდე ორფენოვანია. ასეთებია: განცხადების, მიგებების, ენკენიისა და ჯვრის აპყრობის კანონები AB-ში და ბზობის კანონი A-ში. უნდა ითქვას, რომ AB-ს მეორე ფენები ყოველთვის თანხვედრილი არ არის, ამასთანავე, ამავე კანონების ცალკეულ გალობებში ჩნდება კიდევ მესამე-მეოთხე ფენები²⁶⁶.

მიუხედავად იმისა, რომ უძველესი იაღგარის საგალობლებში გამოიყო მეტ-ნაკლები სიძველის პლასტები, რომლებშიც ასახულია იაღგარის შიგნით მიმდინარე განვითარების პროცესი, მთელი ეს რეპერტუარი მომდევნო ეპოქების ძეგლებში აღქმულია როგორც ერთი მთლიანობა, თვისობრივად ერთმოვლენა და პლასტების განურჩევლად იაღგარი ერთიანად „ძველის“ კატეგორიას განეკუთვნება.

ამრიგად, უძველესი იაღგარის საწელიწდო-სადღესასწაულო ნაწილის აღნაგობას საფუძვლად ქართული ლექციონარის კალენდარი და დღესასწაულებისათვის ნიშანდობლივი სტრუქტურა დაედო. ლექციონარიდან იაღგარში გადავიდა ღვთისმსახურების ცალკეული სახეები, მათი სტრუქტურები, საგა-

²⁶⁵ იხ. აქვე, გვ. 849—851.

²⁶⁶ დაწერილობით „სხუანების“ შესახებ იხ. აქვე, გვ. 844—851.

ლობელთა ფორმები და ტექსტები. ყოველივე ეს შეადგენს უძველესი იაღგარის ლექციონარისეულ ფენას და იმ საფუძველსაც, რომელზედაც განხორციელდა იაღგარის სტიქარონებითა და კანონებით შევსება.

უძველესი იაღგარის ზოგადი დღესასწაულები

უძველესი იაღგარის ნუსხებში გამოიყოფა დღესასწაულები, რომელთა საგალობლებში განზოგადებულია დღესასწაულთა თუ ხსენებათა ესა თუ ის ტიპი. მიუხედავად იმისა, რომ ნუსხებში ამ თვალსაზრისით სხვადასხვა ვითარებაა, წინასწარვე უნდა ითქვას, რომ ზოგადი დღესასწაულები იაღგარის შედგენილობის არსებითი მხარეა და აუცილებლად გასათვალისწინებელი მისი სპეციფიკის განსაზღვრისათვის. ძირითადად მიჩნეულ ნუსხათა ზოგადი დღესასწაულები ყველაზე გამოკვეთილად A-ში ჩანს. შედარებით ნაკლებადაა გამოკვეთილი ისინი BC ნუსხებში. D აღნიშნული სპეციფიკის დასახასიათებლად მასალას არ იძლევა, რადგან მას სათვეო ნაწილი არა აქვს.

იაღგარის ზოგადი დღესასწაულები ABC ნუსხებში ამა თუ იმ კონკრეტულ კალენდარულ დღეზეა მოცემული. ამასთანავე იაღგარებში, კერძოდ A ნუსხაში, დასტურდება გადამწერისეული შენიშვნები, რომლებიც ზოგადი შინაარსის დასდებლების სხვადასხვა კონკრეტულ ხსენებებზე გამოყენებას მიუთითებენ.

იაღგარის ნუსხათაგან თავისებური ვითარებაა E-ში. ამ ნუსხის „ძველ“ ნაწილში იოანე-ზოსიმემ ცალკე გამოყო დღესასწაულთა ჭგუფი სათაურით: „შეკრებულად მსგებბისა დღესასწაულნი“²⁶⁷. აქ მოცემულია დასდებლები ლეთისმშობლის, ჭვრის, მოციქულთა, წინასწარმეტყველთა, მოწამეთა, მღვდელთმობღვართა, მამათა, მთავარანგელოზთა და სულის ხსენებებისათვის. ამ დღესასწაულთა საგალობლები თავისი ხასიათით ზოგადია. მათი ტექსტობრივი შესწავლა და შეჭერება იაღგარის სხვა ნუსხებთან გვიჩვენებს, რომ „შეკრებულად“ წოდებული დღესასწაულები შედგენილია არსებითად იმ დასდებლებით, რომლებიც უძველესი იაღგარის ABC ნუსხებში კონკრეტულ დღესასწაულებზეა დაწესებული, მაგრამ თავისი შინაარსით ზოგადია. იოანე-ზოსიმე უძველესი იაღგარის მასალის საფუძველზე აკომპლექტებს ზოგად დღესასწაულებს — პირდაპირ გადააქვს იაღგარის ამა თუ იმ კალენდარული დღის საგალობლები, ან, რიგ შემთხვევაში, წარმოვიდგენს სხვადასხვა მსგავსი დღესასწაულების საგალობელთა შენაკრებს.

უძველესი იაღგარის ზოგადი დღესასწაულები, ისევე როგორც მრავალი სხვა მოვლენა იაღგარში. ლექციონარის საფუძველზეა წარმოშობილი. ცნობილია, რომ ლექციონარის კალენდარულ დღესასწაულთა დიდ ნაწილს მსახურებისათვის საჭირო თავისი საკუთარი განგება (საკითხავები, საგალობლები) არ გააჩნია და სარგებლობს ტიპიურ დღესასწაულთა იმ ზოგადი განგებებით, რომლებიც დღესასწაულთა საწელიწდო რიგს ბოლოში აქვს დართული (T 1437—1559). ლექციონარის კალენდარულ მითითებებში ხშირად გამოყენებული გამოთქმები: „ყოველი წმიდათაჲ“, „ყოველი მღვდელთმობღვართაჲ“, „ყოველი მოციქულთაჲ“ და ა. შ. სხვა არაფერია, თუ არა ზოგადი განგების

²⁶⁷ E 138 r-v.

მოხმობა ამა თუ იმ კონკრეტული დღესასწაულის მსახურებისათვის. ზოგადი-სა და კონკრეტულის ურთიერთშეთანხმება ლექციონარის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანთვისებათაგანია, რომელიც გარკვეულად განსაზღვრავს ლექციონარის შეესებას, გავრცობას, მისი გამოყენების ფარგლებსა და მასშტაბებს.

აღნიშნული სპეციფიკა ლექციონარის განვითარების ადრეულ ეტაპზევე უნდა შეეშუშავებულეყო, რასაც ადასტურებს ზოგადი გამოყენების განგების არსებობა ლექციონარის ჰაემეტ ნუსხაში, რომელიც ამ ძეგლის განვითარების საკმაოდ ადრეულ ეტაპს შეესაბამება²⁶⁸. დღესასწაულთა ზოგადი განგებები ლექციონარის LP ნუსხებით შემოგვეჩვენა. მ. თარხნიშვილის გამოცემაში კარგად ჩანს, რომ ეს ორი ნუსხა საკმაოდ სხვაობს ზოგადი დღესასწაულების სახეობებში თვალსაზრისითაც და ერთი და იმავე შინაარსის დღესასწაულთა საკითხავებისა და საგალობლების შედგენილობითაც. მათში აშკარად ჩანს ტრადიციის სიჭრელე და შესაძლებელია, განსხვავებები იმიტაც იყოს განპირობებული, რომ ეს ორი ნუსხა ლექციონარის განვითარების სხვადასხვა ეტაპს ასახავს.

ლექციონარის ზოგადი დღესასწაულები საგანგებოდ ჯერჯერობით არავის უკვლევია. არ არის შესწავლილი, თუ რა დროიდან ჩნდება ისინი ლექციონარში, განვითარებისა და ხელნაწერებში ფიქსირების რა სტადიები გაიარეს, იმათივე ცალკე ჯგუფის სახით არსებობდნენ, თუ განზოგადება ლექციონარის კონკრეტულ დღესასწაულებზე განხორციელდა. ყველა ეს საკითხი არსებითი მნიშვნელობისაა, რათა აიხსნას უძველესი იადგარის ზოგადი დღესასწაულების ხასიათი, მათი ადგილი და გამოყენება. ყოველივე ეს მოითხოვს პირველ რიგში, ლექციონარის მრავალმხრივ შესწავლას — საკითხავების, ფსალმუნების, პოეტური დასდებლების თვალსაზრისით, აგრეთვე კალენდარულ დღესასწაულებს შორის მასალის დასესხების თუ სხვა მიმართებების თვალსაზრისით.

ამ საკითხების საფუძვლიანი შესწავლა მომავლის საქმეა. აქ შევეცდებით წარმოვადგინოთ ის ზოგადი დასკვნები, რასაც LP ნუსხების ურთიერთშეჯერება იძლევა.

ლექციონარის LP ნუსხებში მოცემული ზოგადი დღესასწაულების რიგი საკმაოდ ვრცელია (T 1437—1559). აქ წარმოდგენილია: ღვთისმშობლის (LP), ჯვრის ხსენების (LP), მოციქულთა (LP) წინასწარმეტყველთა (LP) მოწამეთა (LP), მღვდელთმოძღვართა (LP), მართალთა და ნეტართა (LP), მეფეთა (P) ზოგადი დღესასწაულები. აგრეთვე ზოგადი განგებები სატფურებისათვის (LP), ქორწილისათვის (L), ეპისკოპოსის, ყოველი ერისა და სულის ხსენებისათვის (L).

როგორც შედარება გვიჩვენებს, LP ნუსხების ზოგადი დღესასწაულები ერთმანეთს არ ფარავს. P-სა და L-ს შორის განსხვავება იმაშიც მდგომარეობს, რომ ზოგიერთი დღესასწაულის განგება, რომელიც P ნუსხით ზოგად ნაწილშია მოტანილი, მას L იმავე დანიშნულებით უთითებს რომელიმე კალენდარულ დღეზე. ასე მაგალითად, ღვთისმშობლის ზოგადი განგების სათაურში ლატალის ნუსხა წერს: „წმიდისა ღმრთისმშობლისათვის ყოველი ჰპოო აგვსტოსსა იე“ (T 1437, შწშ.). ასევე ჯვრის ხსენების დღესასწაულისათვის L შენიშნავს: „ჯუა-

²⁶⁸ იხ. აქვე, გვ. 676—682.

რსა თუ შესწირვიდე, ყოველი ჰპოო მაისსა ზ“ (T 1446, შწშ.). ანალოგიური დაცილება გვაქვს სულის ხსენების ზოგადი განგების შემთხვევაშიც, მაგრამ აქ ვითარება შებრუნებულია. ამ დღესასწაულს P უჩვენებს ყველიერის შაბათს (T 307—319), ხოლო L—ზოგად განგებათა შორის (T 1521—1527, შწშ.).

როგორც ვხედავთ, ლექციონარის ნუსხებისათვის არ არის უცხო კონკრეტული თარიღის ქვეშ მოთავსებული დღესასწაულის ზოგად მასალად გამოყენება. შედარება გვიჩვენებს, რომ პარიზის ნუსხის ლეთისმშობლის ზოგად განგებას მასალის მხოლოდ ნაწილი აქვს საერთო მარიამობის განგებასთან²⁶⁹. ამასთანავე P-ში მარიამობის განგება გაცილებით უფრო ვრცლად გამოიყურება როგორც საკითხავების, ასევე პოეტური დასდებლების თვალსაზრისით. ყოველივე ეს, ვფიქრობთ, იმის მიმანიშნებელია, რომ თავიდან ლექციონარში ლეთისმშობლის ხსენებისათვის გამოყენებული მასალა სწორედ ამ თარიღზე იყრიდა თავს და განზოგადებულ ხასიათს ატარებდა, როგორც ეს L ნუსხაშია.

პარიზის ნუსხაში შეიძლებოდა მიგვეთითებინა შემთხვევები. როცა ზოგადი გამოყენება აქვს კონკრეტულ თარიღზე და არა ზოგად დღესასწაულთა შორის არსებულ განგებას. ამის მაგალითია 22 იანვრის „კსენებაჲ ყოველთა მოწამეთაჲ, რომელნი სტეფანსითგან ვიდრე დღუნდელად დღედმდე წამებულ არიან“ (T 163—169). სწორედ ამ ხსენების მასალა P-ში მოხმობილი მარხვის პირველ შაბათს თვედრობის დღესასწაულზე (T 356). 22 იანვრის ხსენებაზე მითითებას გვიჩვენებს ქართულ ნიადაგზე წარმოშობილი დღესასწაულიც: „თთუესა დეკენბერსა ია კსენებაჲ ყოველთა მოწამეთაჲ, რომელნი ქართლს შინა იწამნეს. ყოველი ჰპოო იანვარსა კბ“ (T 1408).

შეგვიძლია დავასახელოთ სხვა მაგალითიც. მიუხედავად იმისა, რომ P-ში არის მღვდელთმოდღართა სპეციალური ზოგადი განგება, რიგი ხსენებებისა უთითებს პირველი იანვრის ბასილი მთავარეპისკოპოსის დღესასწაულისათვის დაწესებული განგების გამოყენებას (T 143, 239, 11C6, 1182, 1370, 1414). ვფიქრობთ, აქ დარჩენილია უფრო ძველი პრაქტიკის კვალი, როცა ლექციონარის მღვდელთმოდღართა ზოგადი განგება სწორედ 1 იანვრის თარიღზე იყო დაწესებული. გამოყოფის მიუხედავად დღესასწაულთა გარკვეულმა ნაწილმა შეინარჩუნა მითითება მასზე²⁷⁰.

როგორც ვხედავთ, ნუსხებში საკმაოდ კრელი სურათია. ჩვენს ხელთ არსებული მასალა, რომელიც, რასაკვირველია, აქ სრულად არ არის წარმოდგენილი. გვაფიქრებინებს, რომ განვითარების ადრეულ ეტაპზე დღესასწაულთა განზოგადება კონკრეტული თარიღების ქვეშ უნდა დაწყებულიყო, საფიქრებელია, ისეთ დღესასწაულებზე, რომლებიც კალენდრის უძველეს ფენას შეადგენენ, და განვითარების და ფორმირების ხანგრძლივი გზა უნდა გაეკლო, ვიდრე ლექციონარში ზოგად დღესასწაულთა ცალკე რიგი ჩამოყალიბებოდა²⁷¹.

²⁶⁹ შდრ. T 1437—1445 და T 1148—1154.

²⁷⁰ საინტერესოა, რომ P ხელნაწერის მღვდელთმოდღართა ზოგადი განგება საკითხავთა დიდ რაოდენობას შეიცავს, მათ შორის იმ საკითხავთა უმრავლესობას, რომლებიც 1 იანვრის განგებაშია შეტანილი. ამ ორ განგებას საერთო აქვთ ფსალმუნური საგალობლებიც (შდრ. T 66, 68, 70, 71 და T 1493, 1494, 1500, 1501, 1503).

²⁷¹ ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, საგულისხმოა Sin. 54 ხელნაწერის მონაცემები. აქ ეა-

აქ უთუოდ ანგარიშგასაწევია შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტიც. P ნუსხის ზოგადი განგებების უმრავლესობა ბევრად უფრო ვრცელია, ვიდრე L-ისა. ყველა კომპონენტის — საკითხაულების, ფსალმუნებისა და ჟამისწირვის პოეტური საგალობლების თვალსაზრისით²⁷². უფრო მეტიც, L ნუსხა პოეტურ ტროპარებს თითქმის არ უჩვენებს, ხოლო P-ში ზოგადი დღესასწაულების პოეტური საგალობლებით გვიან წარმოებული შევსების აშკარა ფაქტები გვაქვს.

ამრიგად, ლექციონარის მხოლოდ ორი ნუსხის შედარებითაც არსებითი განსხვავებები გამოვლინდა, რაც გარკვეული დასკვნების საშუალებას გვაძლევს. ეს განსხვავებები, ვფიქრობთ, უპირველეს ყოვლისა, იმაზე მიუთითებენ, რომ LP ნუსხები ლექციონარის განვითარებისა და შევსების სხვადასხვა ეტაპს შეესაბამებიან — L აშკარად უფრო ძველ პრაქტიკას უჩვენებს. განსაკუთრებით იგრძნობა ეს ჰიმნოგრაფიულ ნაწილში, თუმცა ზოგადი დღესასწაულების ცალკე რიგი მასში უკვე ჩამოყალიბებულია. გარდა ქრონოლოგიური ფაქტორისა, ვფიქრობთ, განსხვავებებს ისიც ქმნის, რომ ნუსხები სხვადასხვა ტრადიციებს მისდევენ. როგორც ჩანს, საკმაო თავისუფლება იყო დაშვებული ზოგადი დღესასწაულების შედგენისას, მათი კომპილირებისათვის ლექციონარში უკვე არსებული მასალის გამოყენებით.

უძველესი იადგარის ზოგადი დანიშნულების დღესასწაულებია:

1. მოწამეთა ანუ წმიდათა დღესასწაული. იგი დაწესებულია წმ. თევდორეს ხსენების დღეს, დიდმარხვის პირველ შაბათს (გვ. 107—115). იადგარის ნუსხათაგან დატულია ABC-ში. D-ში დასტურდება მხოლოდ შენიშვნა: „მწუხრი თევდორე წმიდისათვის და ცისკრად გალობათა მეორე კმისანი მოწამეთანი ამსახურენ“ (გვ. 107)²⁷³.

თევდორეს ხსენების საგალობლების ზოგად გამოყენებაზე მიუთითებს შემდეგი ფაქტორები:

ა. A ხელნაწერში რამდენიმე დღესასწაულს ახლავს შენიშვნა, რომლის მიხედვით საჭირო საგალობლები მლიანად ან მათი ნაწილი თევდორეს ხსენებიდან უნდა იქნეს აღებული. სტეფანე პირველმოწამის, ორმოცი სებასტიელი მოწამისა და წმიდა გიორგის 23 აპრილისა და 3 ნოემბრის ხსენებებზე A-ში ცისკრის არასრული კანონებია შეტანილი, რომელთაც ახლავთ შენიშვნა: „გალობათა თევდორობასა ჰპოვნე“ (გვ. 25, 139, 233, 319). შენიშვნის მიხედვით მითითებული დღესასწაულების არასრული კანონები უნდა შეივსოს თევდორობის სრული კანონით. ანალოგიური დანიშნულებისაა სხვა შენიშვნაც, რომელიც A-ში იმავე 40 სებასტიელი მოწამის ხსენებას ერთვის: „ველთაბანისაჲ, სიწმიდისაჲ — ყოველი თევდორობასა ჰპოო“ (გვ. 144). წმ. გიორგის 23 აპრილისა და 3 ნოემბრის დღესასწაულებიც A-ში ჟამისწირვის საგალობლებს თევდორეს ხსენებიდან იღებს (გვ. 235, 321). ასევე თევდორობა უნდა ჰქონდეს მხედველობაში კვირიკეს ხსენების სათაურში მითითებულ შენიშვნას: „ყოველი წმიდა-

მისწირეთა საწელიწადო რიგში მოწამეთა, მოციქულთა და მღვდელთმოდვართა ზოგადი განგებები ჩართულია დეკემბრის ციკლში, კალენდრის ამ უძველეს ნაწილში, და ყველა ნიშნით მიყვანილია 27 დეკემბრის სტეფანე პირველმოწამის, 28 დეკემბრის პეტრე და პავლე მოციქულებისა და 1 იანვრის ბასილის ხსენებებთან (M a p p, Описание, с. 89).

²⁷² T 1437—1559.

²⁷³ D ხელნაწერის აღნიშნულ შენიშვნას ვეხებით ზემოთ, გვ. 719—720.

თაჲ“ (გვ. 275) და თეკლას ხსენების შენიშვნას: „სხუაჲ ყოველი მოწამეთაჲ ამსახურო“ (გვ. 316)²⁷⁴.

ამრიგად, ჩამოთვლილი დღესასწაულები, რომელთაც A-ში ან საერთოდ არ გააჩნიათ საყოთარო განგება, ან კიდევ აქეთ საჭირო საგალობლების მხოლოდ ნაწილი, სარგებლობენ თევდორეს ხსენების მასალით. ეს კი ამ უკანასკნელის ზოგად გამოყენებაზე მიუთითებს.

აღსანიშნავია, რომ A-ში თევდორობის განგებაში ოხითაჲს და კელთაბანისაჲს სამ-სამი ტექსტია შეტანილი. ოხითაჲს ახლავს შენიშვნა: „ამათგანი სხუასცა მოწამეთასა სთქუა“ (გვ. 114). ეს კი ნიშნავს, რომ A-ს გადამწერმა იცის ამ საგალობელთა დანიშნულება, როგორც სხვა მოწამეთა ხსენებისათვის გამოსაყენებელი მასალისა. ამის დადასტურებაა ის ფაქტიც, რომ ოხითაჲს ერთ-ერთი ტექსტი: „რომელი გალობაჲ ანუ ვითარი ქებაჲ გშუენის...“ ხელნაწერში კიდევ სამჯერაა შეტანილი — აბოს, თეკლასა და წმ. გიორგის 23 აპრილის ხსენებათა ჟამისწირვებში (გვ. 59, 235, 316).

ბ. B ხელნაწერში თევდორეს ხსენების სათაურის ფორმულირება („დასადებელნი წმიდათანი და წმიდისა თევდორცისნი“) ამ დღესასწაულის ზოგად გამოყენებაზე მიუთითებს.

გ. აღმოჩნდა, რომ ABC ნუსხებში თევდორეს ხსენებისათვის დაწესებულ სტიქარონებში შემავალი სტროფების დიდი ნაწილი შეტანილია E-ს მოწამეთა ზოგად განგებაში (138r). ამავე ზოგად განგებაში აღმოჩნდა A-ს წმ. გიორგის 3 ნოემბრის ხსენებისათვის გამოყენებული სტიქარონები, რომლებიც მოწამეთა თემას ეხება ზოგადად. ამრიგად, იოანე-ზოსიმეს ხელთა აქვს უძველესი იადგარის მასალა მოწამეთა სხვადასხვა დღესასწაულებიდან და მათი გაერთიანების გზით აკომპლექტებს მოწამეთა ზოგად განგებას. იოანე-ზოსიმე შემთხვევით არ ირჩევს წმ. თევდორეს დასდებლებს. იგი უთუოდ ითვალისწინებს უძველესი იადგარის ტრადიციას.

დ. უძველესი იადგარის თევდორეს განგების ზოგად გამოყენებაზე მიუთითებს მისი მიმართება ლექციონართან ჟამისწირვის საგალობლების ნაწილში. ჩვენ ზემოთ უკვე ვუჩვენეთ, რომ ლექციონარის P ნუსხაში თევდორობისათვის სპეციალური განგება მოტანილი არ არის²⁷⁵ და იგი ამ დღისათვის იყენებს 22 იანვრის „ყოველთა მოწამეთა“ განგებას. ამ უკანასკნელისათვის დაწესებული ფსალმუნური და პოეტური დასდებლების დიდი ნაწილი A-ში სწორედ თევდორობის განგებაშია შეტანილი (შდრ. T 163, 168, 169)²⁷⁶.

ე. დაბოლოს, თევდორეს ხსენების ზოგად გამოყენებაზე ისიც მიუთითებს, რომ ცისკრის გალობანი მთლიანად და სტიქარონების სტროფების აბსო-

²⁷⁴ ყურადღებას იპყრობს შენიშვნა, რომელიც აბოს ხსენების განგებაშია ჩართული: „ფსალმუნი, აღლულაჲ, სახარებაჲ—ყოველი წმიდათაჲ ამსახურო“ (გვ. 59). შენიშვნა თავისი შინაარსით სცილდება იადგარის ფარგლებს, რადგან საკითხავები სახარებიდან იადგარის მასალა არ არის. ვფიქრობთ, რომ მას მხედველობაში აქვს ლექციონარი, სადაც გადამწერს ეგულება მისთვის საჭირო ფსალმუნური საგალობლები და საკითხავები.

²⁷⁵ P უჩვენებს მხოლოდ ოხითაჲს დასაწყისს: „გამოჩნდი ვენაკად კე...“ ეს ტექსტი იადგარებში არ იქვანება.

²⁷⁶ შევნიშნავთ, რომ L ნუსხა თევდორეს ხსენებისათვის უთითებს მოწამეთა ზოგად განგებას. ეს განგება პოეტურ დასდებლებს არ შეიცავს.

ლუტური უმრავლესობა თავისი შინაარსით ეხება მოწამეებს ზოგადად და მხოლოდ ორიოდ სტროფია მოტანილი საკუთრივ თევდორეს სახელზე²⁷⁷.

ამრიგად, ვფიქრობთ, ნათელია, რომ უძველესი იადგარის A ნუსხაში თევდორეს ხსენებაზე დაწესებულია მოწამეთა ზოგადი განგება. ისიც უდავო უნდა იყოს, რომ კრებულის შემდგენელს სწორედ ეს განგება ჰქონდა მხედველობაში, როცა სხვადასხვა მოწამეთა კონკრეტული დღესასწაულების განგებებს ადგენდა და იადგარში ისეთი ხსენებებიც შემოჰქონდა, რომლებისთვისაც არავითარი კონკრეტული საგალობელი მასალა ხელთ არ ჰქონდა. ხელნაწერში იგრძნობა ერთი რედაქტორის ხელი. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ისეთი დღესასწაულების მიმართ, რომლებიც ჰიმნოგრაფიული თვალსაზრისით იადგარის დონეზე ჩანს განვითარებული და მათ ლექციონარის არსებულ ნუსხებში ეამისწირვის პოეტური საგალობლები არ ეძებნებათ. მხედველობაში გვაქვს აბოს, თეკლას და წმ. გიორგის დღესასწაულები. ამ დღესასწაულთა ეამისწირვები იადგარში ერთი პრინციპითაა შედგენილი — ყველგან ოხითაჲს ერთი და იგივე ტექსტია შემოტანილი, რომელიც თევდორობის ზოგადი განგებიდან მომდინარეობს, და დანარჩენი პოეტური თუ ფსალმუნური საგალობლებისათვის მინიშნებულია თევდორობა (გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ აბოსათვის დაწერილი კელთაბანისა)²⁷⁸.

ლექციონარისა და უძველესი იადგარის ნუსხების შედარება გვიჩვენებს, რომ მოწამეთა ზოგად განგებას ფორმირების სხვადასხვა ეტაპი უნდა გაეგლო. ლექციონარის უძველესი ნუსხებისათვის უცხო არ უნდა ყოფილიყო ამ ზოგადი დღესასწაულის კონკრეტულ თარიღზე არსებობა, რის კვალიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, დარჩენილია P ნუსხაში, ასევე Sin. 54 ხელნაწერში. გამორიცხული არ არის, რომ არსებობდა ლექციონარის ისეთი რედაქციაც, რომელშიც სწორედ თევდორეს ხსენება წარმოადგენდა ზოგად დღესასწაულს და ეს ვითარება შემონახული იადგარის ABC ნუსხებში.

2. ზოგადი ხასიათისაა უძველესი იადგარის მოციქულთა დღესასწაულიც (გვ. 255—260). იგი იადგარის AB ნუსხებმა შემოგვინახეს—A-მ მარტვილის შემდგომ მე-7 კვირას, ათინოგენ მღვდელთმომძღვრის ხსენების დღეს, ხოლო B-მ—უთარილოდ, იადგარის დასაწყის ნაწილში (აქვე, გვ. 736). ამ დღესასწაულის ზოგად დანიშნულებაზე მიგვიითივებს:

ა. უპირველეს ყოვლისა, სათაური და ადგილი იადგარში. AB-ს მიხედვით მას ეწოდება ზოგადად „მოციქულთანი“ (გვ. 255). იადგარში იგი დაწესებულია არა რომელიმე კონკრეტული მოციქულის დღესასწაულის თარიღზე, არამედ საგანგებოდ შერჩეულ მოძრავ თარიღზე, რომელიც ათენაგნობად იწოდება, თუმც B-ში, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, მოციქულთა განგება ჩართულია დეკემბრის ციკლში, სტეფანე პირველმოწამის ხსენების შემდეგ. ამგვარი ტრადიციის არსებობას მხარს უჭერს Sin. 54, სადაც

²⁷⁷ C ნუსხაში მეტია ისეთი სტროფების რიცხვი, რომლებიც უშუალოდ თევდორეს მიეწარება. იგივე სტროფები A-ში ეხება ზოგადად მოწამეებს. ძნელია თქმა, რომელი ნუსხის ჩვენება გვანი გადაკეთების შედეგი. იგივე ვითარებაა ოხითაჲს იმ ტექსტებშიც; რომლებიც C-თი აღვადგინეთ („დასაბამითგანი მცნებანი ქრისტესნი...“), ან მხოლოდ C-შია („ლუაწლისა მძლეო თევდორე...“). იხ. გვ. 114. ვფიქრობთ, C აკონკრეტებს თავიდან ზოგადი შინაარსის მქონე დასდებლებს.

²⁷⁸ დღესასწაულთა ამავე ჯგუფის შესახებ იხ. აქვე, გვ. 862—867.

მოციქულთა ზოგადი განგება თარიღის გარეშე მოთავსებულია სტეფანე პირველმოწამის ხსენებასა და განცხადებას შორის (Sin. 54, 75r—77v). აქ არ არის მითითებული კავშირი ათენაგენობასთან.

ბ. იადგარის A ნუსხაში რამდენიმე დღესასწაული შეიცავს მითითებებს, რომელთა საფუძველზე საკირო საგალობლები მოხმობილი უნდა იქნას მოციქულთა ზოგადი განგებიდან. 28 დეკემბერს, პეტრე და პავლე მოციქულების ხსენების დღეს, ცისკრის კანონი წარმოდგენილია მხოლოდ ორი უკანასკნელი გალობით. მათ წინ უძღვის შენიშვნა: „გალობათა ათენაგენასა ჰპოვნე“ (გვ. 27). ეს კი ნიშნავს, რომ პეტრე-პავლობის გალობათა შემავსებელი საგალობლები აღებული უნდა იქნას მოციქულთა იმ კანონიდან, რომელიც ათენაგენობის დღეზეა მოტანილი. იმავე დღესასწაულს ახლავს სხვა შენიშვნაც, რომლის მიხედვით ეამისწირვის საგალობლებიც მოხმობილია ათენაგენობას დაწესებული მასალიდან: „ოხითაჲ, ფსალმუნი, კელთაბანისაჲ — ყოველი ათენაგენასა ჰპოო“ (გვ. 28).

ანალოგიური დანიშნულებისაა შენიშვნა, რომელიც 29 დეკემბერს იაკობ მოციქულისა და იოანე მახარებლის განგებას ახლავს: „ოხითაჲ და გლობათა დასადებელი ყოველი მოციქულთაჲ ამსახურო, ათენასა (ანუ ათენაგენასა) ჰპოვო“ (გვ. 29)²⁷⁹.

გ. ირკვევა, რომ E-ს „შეკრებულ“ დღესასწაულთა შორის მოთავსებული მოციქულთა დღესასწაულის საგალობლების დიდი ნაწილი ემთხვევა იადგარის

²⁷⁹ კილ-ეტრატის იადგარის აღნიშნულ შენიშვნებს თავის დროზე ყურადღება მიაქცია კ. კეკელიძემ. სიტყვა „ათენაგენაჲ“, რომელიც ხელნაწერში მოციქულთა საგალობლების სათაურის გასწვრივ აშთაზე ოდნავ დაშორებით არის მიწერილი (A 202r) და ამ სათაურის ორგანული ნაწილია, კ. კეკელიძეს მხედველობიდან გამორჩა. ამის შედეგად ათენაგენობის არსებობა ხელნაწერში და მისი კავშირი მოციქულთა დღესასწაულთან მისთვის ცნობილი არ არის. კ. კეკელიძემ გამოთქვა ვარაუდი, რომ უნდა არსებულყო საღვთისმსახურო წიგნი, სახელწოდებით „ათენა“, რომელიც შეიცავდა სხვადასხვა შემთხვევისათვის დაწესებულ ტროპარებსა და კანონებს, მათ შორის მოციქულთა იმ საგალობლებსაც, რომლებიც მხედველობაში აქვს A-ს შენიშვნებს (Ихтург. памятники, с. XXV). უნდა ითქვას, რომ ამ დროისთვის ქართულ ლიტურგიულ ხელნაწერ წიგნებში ჯერ კიდევ არ იყო გამოვლენილი არავითარი მასალა ათენაგენობის შესახებ, რის გამოც სიტყვა „ათენას“ — „ათენაგენას“ შინაარსი და ამ სიტყვით სახელდებული დღესასწაულის ადგილი კალენდარში გაურკვეველი იყო.

შემდგომში „იერუსალიმის ლექციონარის“ გამოცემაში კ. კეკელიძე საგანგებოდ შეჩერდა ათენაგენობაზე, გაარკვია მასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი (Иерус. Канонарь, с. 16—21, 288—294). მაგრამ ლექციონარის LKa ნუსხებში, რომელთაც იგი ეყრდნობოდა, დეფექტურობის გამო არ მისცეს მას საშუალება ზუსტად განესაზღვრა ათენაგენობის ადგილი კალენდარში. ყოველივე ამის გამო კ. კეკელიძე კვლავ იმ თვალსაზრისზე დარჩა, რომ წმ. ათინოგენის სახელი უნდა რქმოდა საღვთისმსახურო წიგნს, რომელიც ასახავდა პერიოდს ყველა წმინდის კვირიდან ენკენიამდე. ამგვარ წიგნში, მისი აზრით, უთუოდ შედიოდა 29 იენისის პეტრე-პავლობის საგალობლები, რომელთა მითითება შესაძლებელი იყო სხვა მოციქულთა ხსენებისას. ამ ვარაუდს კ. კეკელიძე ძირითადად კვლავ კილ-ეტრატის ხელნაწერის შენიშვნებზე აგებდა (Иерус. Канонарь, с. 20—21).

მიუხედავად იმისა, რომ პარიზის ლექციონარმა, იოანე-ზოსიმეს კალენდარმა და მრავალთავეშმა სრული სიყბადე შეიტანეს ათენაგენობის ადგილისა და მოციქულთა ხსენების მასთან დაკავშირების საკითხში, კილ-ეტრატის იადგარის შენიშვნების საფუძველზე კ. კეკელიძე კვლავ ვარაუდობს ათინოგენის სახელით წოდებული კრებულის არსებობას (იხ. ძველი ქართული ეპიტრალოგიურა წერილადი, ეტიუდები, ტ. I, გვ. 128). ამ ვარაუდისათვის, როგორც ვხედავთ, კილ-ეტრატის ნუსხა საფუძველს არ იძლევა.

მოციქულთა ზოგადი ხსენების საგალობლებს. E-ს უფალო ღალადყავსას და აქებდითას ყველა სტროფი პოულობს პარალელს ათენაგენობის შესაბამის საგალობლებში. ასევე დიდია მსგავსება ჟამისწირვის საგალობელთა მხრივ (შდრ. E 138r).

დ. AB ნუსხების მოციქულთა ხსენებას გარკვეული შეხვედრები აქვს ლექციონარის მოციქულთა ზოგად განგებასთან (T 1455—1468)²⁸⁰. ლექციონარის ოხითაჲ, ფსალმუნ-დასდებელი და ალელუჲა ემთხვევა A-ს შესაბამის საგალობლებს. იადგარის AB ნუსხების კელთაბანისაჲ „განაღიდე, მატხოვარ, სოფ...“ დაემთხვა P-ს 29 დეკემბრის იაკობ მოციქულისა და იოანე მახარებლის კელთაბანისას (T 57), ხოლო კელთაბანისას მეორე ტექსტი A-დან „მოციქულნო და მოწამენო...“ იმავე დანიშნულებით შესულია P ნუსხის 28 დეკემბრის პეტრე-პავლობის განგებაში (T 51)²⁸¹.

თუ შევაჯამებთ აქ წარმოდგენილ მასალას, ვფიქრობთ, შეიძლება ითქვას, რომ უძველესი იადგარის მოციქულთა დასდებლები, რომლებიც ათენაგენობაზეა დაწესებული, თავისი დანიშნულებით ზოგადი გამოყენების მასალას წარმოადგენს.

3. ზოგადი გამოყენებისაჲ, როგორც ირკვევა, უძველესი იადგარის მღვდელთმოდვართა ის დასდებლებიც, რომლებიც AB ნუსხებში 1 იანვარს არის დაწესებული (გვ. 30—37). ლექციონარის მიხედვით ეს დღე ბასილი კესარიელი მთავარეპისკოპოსის ხსენების დღეა. ეს ფაქტია სწორედ ფიქსირებული B ნუსხის სათაურში. A ნუსხის სათაურში კი დღესასწაულის ზოგადი ხასიათია წინ წამოწეული. იგივე დღესასწაული C ნუსხაში მოთავსებულია დიდმარხვის მე-6 პარასკევს. C ნუსხაც დღესასწაულის ზოგად ხასიათს გადმოგვცემს.

იადგარის ნუსხების ურთიერთმიჯერება გვიჩვენებს, რომ დასდებლების აბსოლუტური უმრავლესობა სამივე ნუსხაში თანხვედრილია და დაწერილია ზოგადად მღვდელთმოდვართა შესახებ. მხოლოდ B ნუსხა აკონკრეტებს უფალო ღალადყავსას ორიოდ სტროფს ბასილის სახელზე. იგივე სტროფები AC-ში ზოგადი შინაარსისაა (გვ. 30).

E ნუსხაში მღვდელთმოდვართა განგება, რომელიც „შეკრებულ“ დღესასწაულთა შორის არის მოთავსებული, შედგენილია ABC ნუსხებში კონკრეტული თარიღების ქვეშ მოტანილი მასალის საფუძველზე²⁸². ბუნებრი-

²⁸⁰ შეენიშნათ, რომ L-თან შედარებით P ბევრად ვრცელია საკითხაეებისა და ფსალმუნების მხრივ და შეიცავს პოეტურ ტროპარებსაც, რომელთაგან ზოგიერთი (T 1468) გვიანი შეეება უნდა იყოს.

²⁸¹ შეენიშნათ, რომ ათენაგენობას, რომელიც ლექციონარის მხოლოდ P ნუსხით არის მოღწეული, არ აქვს ზოგადი დღესასწაულის სახე, თუმცა საკუთარი განგება აქვს. ამ დღის ფსალმუნური საგალობლები ემთხვევა P-ს მოციქულთა ზოგადი განგების ფსალმუნური საგალობლების ერთ-ერთ ფენას (შდრ. T 899, 904 და 1455, 1460). პოეტურ საგალობელთაგან ოხითაჲ დასაწყისით: „გიხაროდენ, საგალობელნო...“ არ იძებნება სხვაგან არსად, არც ლექციონარებში და არც იადგარებში. ხოლო კელთაბანისაჲს და სიმფიდისაჲს ტექსტებს იგი სესხულობს 28 დეკემბრის პეტრე-პავლეს დღესასწაულის განგებიდან (შდრ. T 906 და T 51, 52). ამგვარად, ლექციონარის არსებული ნუსხები არ იძლევა შესაძლებლობას შევაიმოწოთ, იყო თუ არა ლექციონარში ათენაგენობა განეთარების რომელიმე ეტაპზე მოციქულთა ზოგადი განგება, როგორც ეს იადგარშია, თუმც მისი მასალა აშკარად მოციქულთა თემას ეხება.

²⁸² E-ს უფალო ღალადყავსას და აქებდითას სტროფებს უკლებლივ დაექებნა პარალელური ტექსტები ABC ნუსხების დასდებელთა შორის (შდრ. E 138r). ჟამისწირვის საგალობლების თვალსაზრისით ასეთი სრული დამთხვევა არა გვაქვს.

ვია დავასკვნათ, რომ ამ დასდებლებში იმთავითვე იყო ჩადებული ზოგადი ხასიათი როგორც შინაარსის, ასევე მათი გამოყენების თვალსაზრისით. უძველეს იადგარში მღვდელთმოდღვართა დღესასწაული, როგორც ჩანს, კონკრეტულ კალენდარულ დღეზე განზოგადდა, ვიდრე იგი ცალკე გამოიყოფოდა. ეს კონკრეტული დღესასწაული სწორედ 1 იანვრის ბასილი მთავარეპისკოპოსის ხსენება უნდა ყოფილიყო, რომელიც კალენდრის უძველეს ფენას განეკუთვნება. ამას მხარს უჭერს ლექციონარის P ნუსხა, სადაც მთელი რიგი დღესასწაულებისა, რომელთაც თავისი განგება არა აქვთ, როგორც ზემოთ უკვე ითქვა (გვ. 749), მასალისათვის მიმართავს 1 იანვრის განგებას. ამ ფაქტში ძველი პრაქტიკის ნაშთი უნდა დაინახოთ (ამასვე მხარს უჭერს Sin. 54)²⁸³. ნიშანდობლივია, რომ უძველესი იადგარის მღვდელთმოდღვართა დღესასწაულის ეამისწირვის ფსალმუნური და პოეტური საგალობლები მეტ სიახლოვეს სწორედ P ნუსხის 1 იანვრის შესაბამის საგალობლებთან ამჟღავნებენ (შდრ. T 66, 67)²⁸⁴.

4. უძველესი იადგარის ზოგადი გამოყენების დღესასწაულთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ მამათა ხსენება, რომელიც 28 იანვარს არის დაწესებული (გვ. 79—85). ამ ხსენების საგალობლები შესულია იადგარის ABC ნუსხებში. B მამათა ხსენებისათვის განეკუთვნის დასდებლებს არ გამოყოფს სპეციალური კალენდარული მითითებით, არამედ მოაქვს ანტონის ხსენების დასდებლებთან ერთად 17 იანვარს. ანტონის ხსენება A-ში ცალკეა წარმოდგენილი, ხოლო C-ში საერთოდ არ არის შეტანილი. B-ს ეს თავისებურება, როგორც ჩანს, იმით არის განსაზღვრული და გამართლებულიც, რომ იადგარის ანტონისა და ყოველთა მამათა ხსენების საგალობელთა გარკვეული ნაწილი ამ ორი დღესასწაულისათვის საერთოა, განსაკუთრებით ითქმის ეს ეამისწირვის პოეტურ საგალობლებზე (შდრ. გვ. 78—79 და გვ. 84—85). ასევე ზოგიერთი სტიქარონი, რომელიც A-ში ზოგადად მამათა ხსენებას შეეხება, B-ში დაკონკრეტებულია ანტონის სახელზე (გვ. 79, 83—84). როგორც ჩანს, ამ ორ დღესასწაულს, გარკვეულად ერთი და იმავე საგალობლებით აკომპლექტებდნენ.

ანტონისა და ყოველთა მამათა ხსენებებს: აღნიშნული ნათესაობა ლექციონარიდან მომდინარეობს. ლექციონარის ანტონის დღესასწაული, რომელიც დღესასწაულთა უძველეს ფენას განეკუთვნება, როგორც ჩანს, საფუძვლად დასდებია ყოველთა მამათა ხსენების განგებას, რაც კარგად ჩანს P ხელნაწიდან (T 178—181).

ლექციონარის ნუსხები მამათა დღესასწაულს ზოგად განგებათა რიგში არ შეიცავენ. შესაძლებელია ეს იმით აიხსნას, რომ ლექციონარის კალენდარი საერთოდ ღარიბია მამათა კონკრეტული ხსენებებით.

რაც შეეხება იადგარის E ნუსხას, მასში მამათა ხსენება გადატანილია „შეკრებულ“ დღესასწაულთა რიგში (E 138v). E ნუსხის სტიქარონები უკლებლივ პოულობს პარალელს ABC ნუსხებში. ეამისწირვის საგალობლებიდან E-ში,

²⁸³ Sin. 54-ში მღვდელთმოდღვართა ზოგადი განგება ჩართულია სტეფანე პირველმონაღმის ხსენებასა და ვანებადებს შორის.

²⁸⁴ ამავე ნუსხის ზოგადი განგების კელთაბანისაჲს ორი ტექსტი დასაწყისებით — „კაცი ღმრთისანი სარწმუნო...“ და „ქრისტეს მეუფისა შეერთებულნი...“ (T 1507)—ისეთ ტროპართა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც იადგარის ნუსხებში პარალელი არ ეძებნებათ და P-ს გვიანდელ შევსებად უნდა განვიხილოთ.

გარდა იმ ტექსტებისა, რომლებიც ABC-ში და ლექციონარის პარიზულ ნუსხაშია. იოანე-ზოსიმეს შემოაქვს კელთაბანისაჲს და სიწმიდისაჲს განსხვავებული ტექსტები. მიუხედავად განსხვავებისა, აშკარაა, რომ მამათა დღესასწაულს იაღგარის ყველა ნუსხაში ძირითადად ერთი შედგენილობა აქვს და ფუნქციაც ერთი აქვს დაკისრებული. მის ზოგად დანიშნულებას ისიც ადასტურებს, რომ A ნუსხაში მამათა დასდებლები გამოყენებულია 28 სექტემბერს დაწესებულ ხართონის ხსენებაზე, რომელსაც თავისი საკუთარი საგალობლები არ გააჩნია (გვ. 318). აქ შენიშნულია: „ყოველი ანტონისი ამსახურო ანუ მამათაჲ“. ეს შენიშვნა იმის მაჩვენებელიცაა, თუ როგორი მკიდრო კავშირია ანტონისა და მამათა ხსენებებს შორის მასალის თვალსაზრისით, რაზედაც ჩვენ ზემოთაც მივეუთოთ.

ამრიგად, უძველესი იაღგარის ნუსხებში გამოყავით რამდენიმე დღესასწაული, რომელთა ზოგადი გამოყენება ნუსხებში არსებული მონაცემებისა და შედარებითი მასალის მიხედვით ექვს არ უნდა იწვევდეს. მაგრამ ამავე დროს არ გამოერიცხავთ, რომ იაღგარის კიდევ ზოგიერთი დღესასწაულის საგალობელ მასალას ჰქონდა საერთო გამოყენება. ამას გვაფიქრებინებს, უპირველეს ყოვლისა, იოანე-ზოსიმეს მიერ შედგენილი „შეკრებულ“ დღესასწაულთა რიგი, რომელშიც ზემოთ განხილულ დღესასწაულთა გარდა შეტანილია კიდევ რამდენიმე: ღვთისმშობლის, ჯვრის, წინასწარმეტყველთა და მეფეთა, მთავარანგელოზთა და სულის ხსენებისა. ყველა ისინი უძველესი იაღგარის მასალის მიხედვითაა შედგენილი.

ჩვენ არა გვაქვს საშუალება დეტალურად წარმოვადგინოთ E ნუსხის ჩამოთვლალ ზოგად განგებათა საგალობლების შედგენილობა და შევქმნათ იაღგარის ნუსხათა მიმართებების სრული სურათი. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ E-ს დასდებულთა შორის არის ისეთებიც, რომელთაც არ ეძებნებათ შესატყვისი იაღგარის დანარჩენ ნუსხებში და არც ლექციონარში. არ გამოერიცხავთ, რომ ზოგიერთი მათგანი ახალია და პირველად იოანე-ზოსიმეს დროსაა შემოტანილი. ზოგად დღესასწაულთა საგალობლებით დაკომპლექტებაში იგრძნობა იოანე-ზოსიმეს უაღრესად თავისუფალი დამოკიდებულება იაღგარული მასალისადმი. ამგვარი დამოკიდებულების გამოვლენაა თვით ზოგად დღესასწაულთა ცალკე რიგის შექმნის ფაქტიც, რაც, ჩვენი აზრით, ახალი იაღგარების ანალოგიითაა მოცემული. მაგრამ ზოგად დღესასწაულთა განგებათა შედგენისას იოანე-ზოსიმე გარკვეულ ტრადიციებს ემყარებოდა, რაც მოცემული იყო იაღგარის ადრეულ ნუსხებშივე, მის ხანგრძლივ პრაქტიკულ გამოყენებაში. უნდა ვიფიქროთ, რომ კალენდარული დღესასწაულები, რომელთა მიხედვით ააგო იოანე-ზოსიმემ ზოგადი დღესასწაულები, ადრევე გამოიყენებოდა ამგვარი დანიშნულებით. მოციქულთა, მოწამეთა, მღვდელთ-მოძღვართა, მამათა ზოგადი დღესასწაულების გვერდით უძველეს იაღგარში, საკიროების შემთხვევაში, ასეთივე დანიშნულებით იხმარებოდა 14 ნოემბრის მთავარანგელოზთა დღესასწაულის, 14 სექტემბრის ჯვრის აღმართების, იაღგარის საწელიწდო ნაწილის ბოლოში უთარილოდ დართული სულის დასდებლები და სხვა. შესაძლებელია, მარიამობის განგებაც, რომელიც A ნუსხაში გამოირჩევა საგალობელთა დიდი არჩევანით, გამოიყენებოდა ღვთისმშობლის ზოგად განგებად, როგორც ეს ლექციონარის LP ნუსხებშია (ამის შესახებ ზემოთ, გვ. 749).

ზოგადი გამოყენების დღესასწაულების არსებობა უძველეს იაღვარში ექვს არ უნდა იწვევდეს. სხვა საკითხია, თუ რამდენად მკაფიოდ არის გამოკვეთილი იაღვარის ეს მხარე ამა თუ იმ ნუსხაში. მიუხედავად იაღვარის ნუსხათა სიმცირისა და მათი სხვადასხვა სისრულისა, ისინი საშუალებას გვაძლევენ ერთგვარად თვალი გავადევნოთ ზოგადი განგებების ჩამოყალიბებისა და ხელნაწერებში მათი ფიქსირების პროცესს. იაღვარების შეპირისპირება ლექციონარის ნუსხებთან გვაფიქრებინებს, რომ განვითარების ადრეულ ეტაპზე ლექციონარში დღესასწაულთა განზოგადება კონკრეტული თარიღების ქვეშ უნდა განხორციელებულიყო. მსგავსი შინაარსის დღესასწაულების კალენდარული წრის გაფართოებამ და თანდათან შემოტანამ, როგორც ჩანს, მოითხოვა მათი მიყვანა ლექციონარის უძველესი ფენის დღესასწაულებთან, რომლებისთვისაც უკვე შემუშავებული იყო ღვთისმსახურების სათანადო განგებები. შემთხვევითი არ არის, რომ იაღვარის ნუსხებში ზოგადი განგებები დაუკავშირდა ბასილი კესარიელის, წმიდა თევდორეს, მღვდელთმოდვარ ათინოგენის და სხვა დღეებს, რომლებიც იერუსალიმური კალენდრის უძველეს დღესასწაულთა რიცხვს მიეკუთვნებიან. ჩვენ არ გამოვირიცხავთ, რომ მსგავსი ვითარება იყო თვით ლექციონარის ადრეულ ნუსხებშიც, ვიდრე დღესასწაულები ცალკე ჯგუფად გაფორმდებოდა. ამის კვალი, როგორც ეს ზემოთ იყო ნაჩვენები, დარჩენილია LP ნუსხებში და Sin. 54-ში, სადაც სრულიად აშკარად ზოგადი დღესასწაულების ჯგუფი დეკემბრის ციკლთან არის მიყვანილი²⁸⁵. მარტივი კალენდრის წყალობით იაღვარმა, როგორც ჩანს, ბოლომდე შეინარჩუნა ზოგად დღესასწაულთა ფიქსირების ძველი წესი. იოანე-ზოსიმეს მიერ შედგენილ ზოგად დღესასწაულთა რიცხვ აშკარად ხელოვნურობის ბეჭედი აზის და იგი ახალი იაღვარების ანალოგიითაა შედგენილი.

კონკრეტულ და ზოგად დღესასწაულთა ურთიერთგანსაზღვრულობა, რაც ლექციონარს და შესაბამისად უძველეს იაღვარს ახასიათებს, საშუალებას იძლევა შედარებით ვიწრო და შემოფარგლული ჰიმნოგრაფიული რეპერტუარის პირობებში დაკმაყოფილდეს დღესასწაულთა და სხენებათა დიდი წრე. იაღვარის გამოყენების მასშტაბები არ შემოიფარგლება საკუთრივ მისი კალენდრით, მას მხედველობაში თავისი დროის ვრცელი კალენდარი აქვს, რასაც ლექციონარი განასახიერებს. ვფიქრობთ, სწორედ ზოგად დღესასწაულთა არსებობით უძველესი იაღვარი სავსებით დაკმაყოფილებდა მთელი კალენდარული ციკლისათვის იმ მოთხოვნილებებს, რასაც ადრეული ღვთისმსახურება ჰიმნოგრაფიას უყენებდა.

უძველესი იაღვარის მარხვის ციკლი

უძველესმა იაღვარმა შემოინახა მდიდარი მასალა დიდმახვისა და ზატიკის პერიოდების ჩამოყალიბების ისტორიული პროცესისა და ამ პერიოდებისათვის დაწესებული საგალობელი ტრადიციების შესასწავლად.

²⁸⁵ აღსანიშნავია, რომ ეს ვითარება თავს იჩინს A ხელნაწერის იბაკოების ნაწილში, სადაც მოციქულთა, მოწამეთა და მღვდელთმოდვართა იბაკოები, მსგავსად Sin. 54-ისა, მოთავსებულია სტეფანე პირველმოწამისა და განცხადების იბაკოებს შორის და არა A-ს ძირითადი ნაწილის შესატყვისად.

ჩვენ უკვე მივეუთითეთ, რომ იადგარის ნუსხებში ყველაზე უკეთ მარხვის ნაწილია დაცული. იგი მხოლოდ D ნუსხაშია ნაკლები, სადაც იგი ვნების ორშაბათის ცისკრის სამსაგალობელზე წყდება (გვ. 178). პერიოდის გავრცობისა და სისრულის თვალსაზრისითაც ნუსხები უმნიშვნელო განსხვავებებს იძლევიან. C ნუსხაში არ არის შეტანილი მხოლოდ ხორცის ალების კვირა დღე, D-ში წმ. თევდორეს ხსენება მარხვის პირველ შაბათს წარმოდგენილია მხოლოდ შენიშვნით, საჭირო მასალა კი იადგარის სხვა ნაწილში უნდა ყოფილიყო მოთავსებული²⁸⁶.

უძველესი იადგარისა და ლექციონარის ურთიერთმიმართებათა შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ იადგარის მარხვის პერიოდის ყველა თავისებურება, რაც ღვთისმსახურების წესსა და რიგს შეეხება, მთლიანად ლექციონარით არის განპირობებული. ლექციონარიდან უძველეს იადგარში გადასულია ცალკეული ღვთისმსახურების სახეები და მათი სტრუქტურა, საგალობელთა ფორმები, მათი ფუნქცია და ადგილი ღვთისმსახურების მიმდინარეობაში, დაბოლოს, ამ საგალობელთა ტექსტები.

იადგარში დიდმარხვა ხორცის აკრების კვირა დღით იწყება, რასაც უშუალოდ ყველის ალების კვირა დღე მოსდევს. საკუთრივ სამარხვო პერიოდი კი ყველის ალებით იწყება, იგი მარხვის ღვთისმსახურების პირველ კვირა დღედ იწოდება. მას მოსდევს პირველი ორშაბათი, პირველი სამშაბათი და ა. შ. ვიდრე აღვსებამდე. მთლიანად პერიოდი შვიდ კვირას ითვლის. დიდმარხვის ღვთისმსახურების ამგვარი ათვლა ლექციონარის ანალოგიურია, მისგან მომდინარეობს (T 320—743)²⁸⁷. „ამგვარ ათვლას — წერს კ. კეკელიძე — ადგილი აქვს სირო-ქალდეველთა და სომეხთა კალენდარში, რაც მაჩვენებელი უნდა იყოს ჩვენი პრაქტიკის სიძველისა“²⁸⁸. პრაქტიკის სიძველის მიმანიშნებლად კ. კეკელიძე იმ გარემოებასაც თვლიდა, რომ ლექციონარში, და შესაბამისად იადგარშიც, ჯერ კიდევ არ ჩანს მეზვერისა და ფარისეველისა და უძღვები შეილის კვირები — დიდმარხვის ე. წ. მოსამზადებელი პერიოდი²⁸⁹. ასეთად ლექციონარშიც და იადგარშიც მხოლოდ ხორცის აკრების კვირა ჩანს²⁹⁰. X საუკუნის ახალი იადგარების ჩვენს ხელთ არსებული ნუსხების შესწავლა გვიჩვენებს, რომ მათში საკუთრივ სამარხვო პერიოდი 8 კვირას შეადგენს. ათვლა იწყება ხორცის აკრების კვირა დღიდან, ამდენად ყველის აკრების კვირა დღე რიგით მეორეა, ხოლო ბზობის კვირა დღე რიგით მერვე²⁹¹. საგულისხმო ფაქ-

²⁸⁶ ამის შესახებ იხ. გვ. 719.

²⁸⁷ განსხვავებას ლექციონარსა და იადგარს შორის ის შეადგენს, რომ ყველიერის შეიდეული (პერიოდი ხორცის აკრებიდან ყველის ალებამდე) ლექციონარის P ნუსხაში ყველა დღით არის წარმოდგენილი (T 290—319).

²⁸⁸ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ეორტალოგიური წელიწადი, ეტიუდები, ტ. I, 1956, გვ. 127.

²⁸⁹ Иерус. Канонарь, с. 195.

²⁹⁰ ცნობილია, რომ მარხვის მოსამზადებელი პერიოდის განვითარება პალესტინაში ყველიერის შეიდეულით დაშთავრდა, ხორცის აკრების წინა დღეებს იგი არ იცნობს (იხ. И. Капабаниов, Постная Троица, с. 8—17). ამ ვითარებას ადასტურებს იერუსალიმის პერიოდის ქართული ლიტურგიული ძეგლები.

²⁹¹ სინურ ხელნაწ. აღწერილობა, I, გვ. 19—22, 114—116, 169—175, 197—199. საგულისხმოა, რომ ამგვარივე ათვლას უთითებს იოანე-ზოსიმეს მიერ 979 წელს გადაწერილ ოთხთავზე (Sin. 30, 38) დართული განგება. იხ. G. Garitte, Un index géorgien des lectures évangéliques selon l'ancien rite de Jérusalem. Le Muséon, t. 85, fasc. 3—4, 1972, p. 348—353.

ტია, რომ საბაწმიდელ-სინელ მოღვაწეთა ერთი თაობის წარმომადგენელთა, რაც შემთხვევაში ერთი და იმავე პირის მიერ გადაწერილი ძველი და ახალი იადგარები სხვადასხვა წესს მოსდევნ. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ეს ვითარება იოანე-ზოსიმეს E კრებულში ჩანს, სადაც ძველი და ახალი იადგარები ერთმანეთის პარალელურად დგას²⁹².

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ VIII საუკუნეში აღმოსავლეთში მართლმადიდებელთა შორის აღვილი ჰქონდა ცხარე დავას 8 და 7 კვირიანი მარხვის მომხრეთა შორის. ეს დავა ასახულია იოანე დამასკელის ეპისტოლეში მარხვის შესახებ. იოანე დამასკელი, რომელიც ანტიოქიის ძველ პრაქტიკას მიიჩნევდა მოციქულთა მოძღვრების საფუძველზე შექმნილად, ამავე დროს ამტკიცებდა რვაკვირიანი მარხვის წესს²⁹³. ნიშანდობლივია, რომ ქართული ჰიმნოგრაფიული კრებულებიდან 8 კვირიანი მარხვა ახალ იადგარს დაუკავშირდა, სწორედ იმ ძეგლს, სადაც არსებითად შემოდის იოანე დამასკელის თაობის ჰიმნოდთა საგალობლები.

დავა მარხვის პერიოდის განსაზღვრისათვის ქრისტიანობის პირველსავე საუკუნეებში წარმოიშვა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ საკითხის ირგვლივ მდიდარი ლიტერატურა არსებობს. უკანასკნელ ხანებში ა. რენუმ სომხური ლექციონარის ანალიზის საფუძველზე დაადგინა, რომ რვაკვირიანი მარხვიდან შეიღ კვირაზე გადასვლა იერუსალიმში 384—439 წლებს შორის უნდა მომხდარიყო²⁹⁴. ეს პრაქტიკა ასახულია სწორედ ქართულ ლექციონარში. უძველესი იადგარი განვითარების იმ ეტაპზე ჩანს შექმნილი, როცა შეიღკვირიანმა მარხვამ ოფიციალურად აღიარებული წესის სახე მიიღო და მარხვის დასაწყისში ყველით აღების კვირა დღე დადგა²⁹⁵.

ამასთანავე, იადგარის მარხვის პერიოდის ჰიმნოგრაფიული სახე და განვითარება, როგორც ირკვევა, განპირობებულია სახარების საკითხავების იმ სისტემით, რომელიც ლექციონარის მარხვის კვირა დღეთა შინაარსს განსაზღვრავს. არც ლექციონარის და არც იადგარის კვირა დღეებზე რაიმე ხსენება დაწესებული არ არის. ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ იერუსალიმის ღვთისმსახურებაში მარხვის კვირა დღეთა შინაარსი განსაზღვრული იყო სახარების საკითხავების თავიანთი სისტემით. იგი დატულია IX—X საუკ. დათარიღე-

²⁹² უნდა შევნიშნოთ, რომ დიდ იადგარებში 8 კვირიანი პერიოდის საგალობლებით დაკომპლექტებაში ერთგვარი ხელოვნურობა შეიძინევა. მარხვის მე-6 კვირა, ნაცელად საკუთრივ სმარხვო დასდებულებისა, სხვადასხვა დღესასწაულთა საგალობლებით არის შედგენილი: ოთხშაბათი ღვთისმშობლის, ხუთშაბათი მოციქულთა, პარასკევი—კვირიღ იერუსალიმელის ხსენების, შაბათი მთავარანგელოზთა საგალობლებით. იადგარის ეს თავისებურება ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის. თითქოს ამ გზით ცდილან შეიღკვირიანი პერიოდის რვა კვირად გადაკეთებას.

²⁹³ И. Карабинов, Постная Троица, с. 17—20.

²⁹⁴ Renoux, Codex 121. Edition, p. 184.

²⁹⁵ აღსანიშნავია, რომ VIII ს. ისეთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლი, როგორცაა „მარტოლოზა ჰაბო ტფილელისა“, შეიცავს ცნობებს შეიღკვირიანი ხანგრძლივობის მარხვის შესახებ: „ხოლო წმიდათა მათ დღეთა დიდისა მის მარხვისათა შედოთა მათ შედელთა, კვრიაქესა და დღესა შაბათსა ხოლო მი-რაბ-ილის წმიდა იგი სადღესლოდ, კორცი და სისხლი ქრისტისი, მაშინლ ნაკლულევანად მიიღის საზრდლი, ვიდრემდის მიიწია იგი წმიდასა მას დღესა, დიდსა დღესასწაულსა აღვსებასა, აღდგომასა ქრისტის ღმრთისა ჩუენისასა. მაშინლა დააცადა ფიცხელი იგი მარხვა...“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, 1963, გვ. 60).

ბულ სინურ ბერძნულ ხელნაწერში № 210, რომელიც სახარების საკითხავებს შეიცავს²⁹⁶. ამ ხელნაწერის მიხედვით ირკვევა, რომ დიდმარხვის კვირა დღეთა ქამისწირვებზე სრულდება საკითხავები ძირითადად ლუკას სახარებიდან. ესენია: იგავები უძღები შვილის, ფარისევლისა და მეზვერის, გულმოწყალე სამარიტელის, მდიდრის შესახებ და სხვა²⁹⁷. ის, რაც მოგვიანებით დიდმარხვის მოსამზადებელი პერიოდის ცალკეულ კვირათა ძირითადი თემა და შინაარსი გახდა, იერუსალიმური პრაქტიკის მიხედვით დაწესებული ჩანს დიდმარხვის კვირა დღეებზე. კ. კეკელიძემ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ იგივე ვითარებაა დაცული იერუსალიმური ლექციონარის ქართულ თარგმანში. ლექციონარის მარხვის კვირა დღეთა ქამისწირვის საკითხავები თითქმის თანხვდება ხსენებული ბერძნული ხელნაწერის საკითხავებს²⁹⁸.

უძველესი იადგარის დიდმარხვის პერიოდის საგალობლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ იერუსალიმის ღვთისმსახურების აქ მითითებული თავისებურება არსებითად საფუძვლად დასდებია იადგარის არა მარტო კვირა დღეების, არამედ მთლიანად მარხვის შვიდეულების საგალობელთა თემას და შინაარსს. ეს ჩანს არა მარტო ქამისწირვის პოეტურ საგალობლებში, რომლებიც საერთოა უძველესი იადგარისა და ლექციონარისათვის, არამედ საკუთრივ იადგარიულ ციკრისა და მწუხრის პოეტურ საგალობლებშიც.

კვირა დღეთა შესახებ ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ვიმსჯელოთ მხოლოდ ქამისწირვის გელთაბანისა და მწუხრის უფალო ღალადაყვასას მიხედვით, რადგან პოეტურ საგალობელთაგან ცალკეულ კვირა დღეებს მხოლოდ ეს უკანასკნელი აქვთ საკუთარი. ირკვევა, რომ ყველის აღების კვირის გელთაბანისა და წარმოადგენს პირდაპირ მითითებას დიდმარხვის დასაწყისზე: „ვიწყოთ, ერნო, უბიწომა მარხვისა, რომელ არს სულთა ცხორება...“ (გვ. 100). ხოლო მომდევნო მე-2—მე-6 კვირა დღეთა გელთაბანისას ტექსტები პირდაპირ პასუხობენ შესაბამისი დღის სახარების თემას²⁹⁹: მარხვის დანარჩენ დღეთა ოხითებასა და სტიქარონებში ასევე ჩანს უშუალო დამოკიდებულება შესაბამის კვირათა სახარებებზე.

აქედან კი ის დასკვნა გამოდის, რომ საკითხავების აღნიშნული სისტემის უკვე არსებობა აუცილებელი წინაპირობაა უძველესი იადგარის მარხვის პერიოდის ჰიმნოგრაფიული მასალის შემუშავებისათვის.

საგულისხმო ფაქტია, რომ ლექციონარის საკითხავების ზუსტად იგივე სისტემა საფუძვლად დასდებია იოანე ბოლნელის ქადაგებებს მარხვისათვის³⁰⁰ და თუ გავიზიარებთ მ. თარხნიშვილისა და მ. ვან ესბროკის თვალსაზრისს, რომ იოანე ბოლნელის მოღვაწეობის ეპოქა VII საუკუნის დასაწყისია, მაშინ გამოდის, რომ ამ დროისათვის ლექციონარში უკვე გვაქვს აღნიშნული საკითხავები. მარხვის კვირათა სახარების საკითხავებს სომხური ლექციონარის V ს. რედაქციები ჯერ კიდევ არ იცნობენ. მაშასადამე, სისტემის ფორმირება

²⁹⁶ И. Ка́р а́б и н о в, Постная Трпюдь, с. 22—25.

²⁹⁷ იქვე, 83. 25.

²⁹⁸ Иерус. Канонарь, с. 195—196.

²⁹⁹ L e e b, Die Gesänge, S. 107.

³⁰⁰ M. T a r c h n i š v i l i, Zwei georgische Lectionarfragmente, S. 280—281 = E s b r o e c k, Homélieires, p. 312—316, 329—330.

VI ს. თავსდება. მხოლოდ ამის შემდგომად უნდა ვივარაუდოთ ის საგალობლები, რომლებიც ლექციონარსა და იაღვარში გვაქვს.

იაღვარის დიდმარხვის პერიოდის კალენდრის თავისებურებას ისიც შეადგენს, რომ მისი შაბათები თავისუფალია მარხვისაგან და მათზე გარკვეული დღესასწაულებია დაწესებული. I შაბათი ეთმობა წმიდა თევდორეს ხანებას³⁰¹, IV—40 სებასტიელი მოწამის ხსენებას, როგორც უკვე ნაჩვენები იყო ზემოთ (იხ. გვ. 730—731), VI შაბათი — ლაზარეს აღდგინებას. იაღვარის ნუსხების დანარჩენ შაბათთა დაწერილებითი შესწავლა გვიჩვენებს, რომ ისინიც განკუთვნილია დღესასწაულებისათვის და ამდენად თავისუფალი მარხვისაგან (იხ. გვ. 765—767). აღნიშნული ვითარება სრულ თანხმობაშია ქართული ლექციონარის ადრეული პრაქტიკის ამსახველი LKa ნუსხების ჩვენებებთან და ლექციონარზე სრულ დამოკიდებულებას გვიჩვენებს.

უძველესი იაღვარის მარხვის პერიოდი გარკვეული კანონზომიერებებით ხასიათდება, რომელთაც აქ შევეხებით.

1. დიდმარხვის შეიღვეულების სადა დღეები (ორშაბათი-პარასკევი), გარდა ენების კვირის დღეებისა, მსგავსად ლექციონარისა, საგალობლების ერთსა და იმავე შედგენილობას გვიჩვენებს.

აქ წარმოდგენილია ორი მსახურებას საგალობლები—ციცკრის აქებდითსა და მწუხრის უფალო ლაღადყავსა, ოხითაჲ და ფსალმუნ-დასდებელი. ეს გამიჯვნა ნათლად ჩანს C ნუსხაში, სადაც თითქმის ყოველი დღის განგებაში აქებდითსას შემდეგ არის მითითება: „მწუხარი“³⁰².

სადა დღეების საგალობლებს ახასიათებთ ერთი თავისებურება, რაც აგრეთვე ლექციონარით არის ნაკარხავე: პირველი ოთხშაბათის ოხითაჲს ტექსტი საერთოა დიდმარხვის ყველა ოთხშაბათისა და პარასკევისათვის ენების კვირამდე. იაღვარის A, B და D ნუსხებში ამის თაობაზე არის სპეციალური მითითებები (გვ. 105)³⁰³. მითითება დასტურდება E-შიც (E 139r). იაღვარის დანარჩენ ოთხშაბათ-პარასკევა განგებებში შენიშვნის შესაბამისად ოხითაჲ შეტანილი აღარ არის, იგი იგულისხმება. ეს წესი დატულია C ხელნაწერშიც, თუმცა სათანადო შენიშვნა მასში არ არის.

საგალობელთა შედგენილობის თვალსაზრისით იაღვარს ლექციონართან საერთო აქვს მხოლოდ მწუხრის ოხითაჲ და ფსალმუნ-დასდებელი. ამ უკანასკნელის არსებობა განსაზღვრულია საკითხავების იმ სისტემით, რომელიც ნიშანდობლივია ლექციონარის მიხედვით დიდმარხვის სადა დღეების ლტის-მსახურებისათვის³⁰⁴.

³⁰¹ წმ. თევდორეს ხსენება ლექციონარის ნუსხების მიხედვით აღნიშნება მარხვის I შაბათს, სხვა ტრადიციას ლექციონარი არ იცნობს. Sin.34-ის ძველ იაღვარში, იოანე-ზოსიმეს კალენდარში და ახალ იაღვარებშიც იგივე ვითარებაა. ქართული ლიტურგიული ძეგლები არსად არ უთითებენ 17 თებერვალს, როგორც სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით ამ დღესასწაულის დაწესების თაღდაპირველი თარიღი უნდა ყოფილიყო (И. Карабнинов, Постная Триода, с. 32—33).

³⁰² მწუხარზე მითითება ასევე ახასიათებს ლექციონარის ნუსხებს: T 331, 336, 341, 345 და ა. შ.

³⁰³ შდრ. T 341.

³⁰⁴ აღსანიშნავია, რომ ლექციონარში მარხვის სადა დღეებისათვის მხოლოდ ძველი აღთქმის საკითხავებია დაწესებული, ამიტომაც, რომ ფსალმუნურ საგალობელთაგან აღნიშნულ დღეებს მხოლოდ ფსალმუნ-დასდებელი ახასიათებთ, როგორც ამ ტიპის საკითხავებთან დაკავშირებულია.

მარხვის პირველი ოთხშაბათის განგებას იადგარის CE ნუსხების მიხედვით კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს. საგალობელთა სადა დღეებისათვის ნიშანდობლივი თანმიმდევრობის შემდეგ ამ ნუსხებში შეტანილია დამატებით ფსალმუნ-დასდებელი და სიწმიდისაჲ (გვ. 105). ფსალმუნ-დასდებლისათვის შერჩეულია მუხლები 140-ე ფსალმუნიდან (შესაბამისად მეორე და პირველი), სიწმიდისაჲს სრული ტექსტი მოცემულია C-ში. E ნუსხა იოანე-ზოსიმესათვის ჩვეული სიწმინდით ხსნის აღნიშნული მასალის ლიტურგიკულ შინაარსს. ირკვევა, რომ აქ საქმე გვაქვს სიწმიდის განახლების განგებასთან და აღნიშნული ფსალმუნ-დასდებელი და სიწმიდისაჲ ამ ლიტურგიის თანმხლებ საგალობელ მასალას წარმოადგენს. E-ში ნათქვამია: „... და ზედა საკითხაესა—ფსალმუნი: ვითარცა საკუმეველი წინაშე შენსა წარემ... დასადებელი: უფალო, დაღად-ვეყვ შენდამი, ისმ... სიწმიდის განახლებასა—სიწმიდისაჲ: აწ ძალნი ცათანი...“ (E 139r). ამგვარი პირდაპირი მითითება სიწმიდის განახლების ლიტურგიაზე არც ლექციონარისა და არც იადგარის დანარჩენ ნუსხებს არ დაუცავთ.

აქ რომ სიწმიდის განახლების ლიტურგიის თანმხლებ საგალობლებთან გვაქვს საქმე, ეს კარგად ჩანს იმ ფაქტიდან, რომ მითითებული ფსალმუნ-დასდებელი და სიწმიდისაჲ მოთავსებულია „სიწმიდის განახლების წესის“ იმ რედაქციაში, რომელიც XVI საუკუნის გელათის მონასტრის ილიტარიონშია მოთავსებული და ბასილი დიდის სახელს ატარებს. ამ ძეგლის რუსული თარგმანი გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ³⁰⁵.

სიწმიდისაჲს ტექსტი შეტანილია „სიწმიდის განახლების წესის“ სხვა რედაქციაშიც, რომელიც იოანე-ზოსიმეს ხელით 985 წელს სინაზე გადაწერილ ხელნაწერშია შესული³⁰⁶. ტექსტი გამოცემულია მ. თარხნიშვილის მიერ³⁰⁷.

იგივე ფსალმუნ-დასდებელი და სიწმიდისაჲს ტექსტი დასტურდება აგრეთვე „იერუსალიმის ტიპიკონის“ ვნების ორშაბათის განგებაში ჩართულ „სიწმიდის განახლების წესში“³⁰⁸.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ სიწმიდის განახლების ლიტურგია უძველესი მოვლენაა. მის წარმოშობას მოციქულთა ეპოქას უკავშირებენ. ისიც ცნობილია, რომ უამისწირვის ეს თავისებური წესი შემუშავებულია სპეციალურად მარხვისათვის და რომ იგი უძველესი დროიდანვე დაწესებული იყო დიდმარხვის ყოველ ოთხშაბათსა და პარასკევს, აგრეთვე ვნების კვირის პირველ სამ დღეს — ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს³⁰⁹.

ქართული უძველესი იადგარის პირველი ოთხშაბათის განგებაში სიწმიდის განახლების ლიტურგიის მასალის ჩართვა, რასაკვირველია, შემთხვევითი არ არის და ამ ფაქტში არსებული წესის ასახვა უნდა დავინახოთ. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ A ნუსხაში, პირველი პარასკევის განგებაში, თითქოსდა უადგილოდ, ჩართული აღმოჩნდა იგივე ფსალმუნ-დასდებელი 140-ე

³⁰⁵ Литург. памятники, с. 102—106.

³⁰⁶ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხელნაწერები გრაეში. თბ. უნივერსიტეტის შრომები, IX, გვ. 347.

³⁰⁷ Liturgie Ibericae Antiquiores. Louvain, 1950, p. 93—101.

³⁰⁸ იბ. ა. პაპადოპულო-კერამევის გამოცემა *Ανάλεκτα Ἱεροσολυμιτικῆς σταχυολογίας*, II, Petersburg, 1894, 49. იგივე: А. А. Дмитриевский, Богослужение страстной и пасхальной седмиц во св. Иерусалиме IX—X в. Казань, 1894, с. 49.

³⁰⁹ А. А. Дмитриевский, დასახ. შრომა, გვ. 292—302.

ფსალმუნიდან. ამ საგალობელს დართული აქვს შენიშვნა: „ყოველთა ოთხ-შაბათ-პარასკევთა“ (გვ. 107). ვფიქრობთ, შემთხვევითი არ არის A და C ხელნაწერების ამგვარი შეხვედრა. უაღრესად საგულისხმო შენიშვნა A-დან C-ში მოცემული განგების მარხვის დანარჩენ ოთხშაბათ-პარასკევებზე გავრცელებას მიგვანიშნებს. როგორც ვხედავთ, A და C ნუსხებისათვის ოთხშაბათი და პარასკევი გამორჩეულია უთუოდ იმით, რომ სწორედ ამ დღეებში აღგილი აქვს სიწმიდის განახლების ლიტურგიას, რომელიც მწუხრის მომდევნოდ სრულდება.

იერუსალიმური ლექციონარის გამოცემის კომენტარებში კ. კეკელიძემ სპეციალური პარაგრაფი უძღვნა სიწმიდის განახლების ლიტურგიის საკითხს ლექციონარში³¹⁰. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ლექციონარის ნუსხებში არ მოიპოვება პირდაპირი მითითება ან რაიმე განმარტება დასახელებული წესის შესახებ. კ. კეკელიძემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ Ka ხელნაწერი მარხვის რამდენიმე დღის განგებაში—კერძოდ, მე-5 ოთხშაბათს, ხუთშაბათსა და პარასკევს, მე-6 ორშაბათსა და ოთხშაბათს—უთითებს წირვას, რომელიც „სამხრად“ სრულდება (T 478, 500, 507, 529. 543-ის შენიშვნები)³¹¹. რადგან ტერმინი „სამხრად“ ქართული ლიტურგიკული ძეგლების მიხედვით ეამისწირვას აღნიშნავს, კ. კეკელიძემ ხელნაწერში დაინახა პირდაპირი მინიშვნება სიწმიდის განახლების ლიტურგიაზე, რომელიც, მისი აზრით, სრულდება არა მარტო ოთხშაბათსა და პარასკევს, არამედ, Ka-ს მითითებებიდან გამომდინარე, მარხვის ყველა დღეს ბზობამდე, გარდა შაბათებისა და კვირა დღეებისა, აგრეთვე ვნების ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს. ამგვარი პრაქტიკა, კ. კეკელიძის აზრით, ალარ დასტურდება ლატალის ნუსხაში³¹².

საგულისხმოა, რომ ტერმინი „სამხრად“ Ka ხელნაწერში მარხვის მე-5 ორშაბათიდან შემოდის და უკავშირდება განსაკუთრებული რიგის მსახურებას, რომელზედაც დაწესებულია კათაკუმეველთა საკითხავეების შესრულება. LP, რომლებიც აგრეთვე შეიცავენ აღნიშნულ მსახურებას, უთითებენ მისი შესრულების დროს—მესამე ეამს ანუ „სამეამს“, როგორც ეს ნათქვამია ორივე ხელნაწერის რუბრიკებში. აღნიშნული მსახურება დიდმარხვის პერიოდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს. იგი ძალიან ძველია. მის სიძველეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი აღწერილი აქვს IV საუკ. მოგზაურ ქალს ეგერიას³¹³. მისი ცნობით, მსახურება პირველ-მესამე ეამებზეა დაწესებული. ეს თავისებურება იერუსალიმურ ნიადაგზე შემუშავებულად ითვლება³¹⁴.

სიწმიდის განახლების ლიტურგია კი, როგორც ეს იადგარის CE ნუსხებიდან დავინახეთ, მწუხრის მომდევნოდ სრულდება, მისი ორგანული გაგრძელებაა. მარხვის სადა დღეების მწუხრი, რომელიც ერთსა და იმავე მოვლენას წარმოადგენს ლექციონარსა და იადგარში, ლექციონარის მონაცემების მიხედვით მე-9 ან მე-10 ეამზე სრულდება (T 481, 488, 560 შგშ.). „იერუ-

³¹⁰ Иерус. Канонарь, с. 202—204.

³¹¹ კ. კეკელიძე უძველესი უთითებს მე-6 სამშაბათს ნაცლად ოთხშაბათისა. (T 536, შგშ.) იგი ასახელებს მე-6 პარასკევის განგებასაც, მაგრამ აქ მითითება „სამხრად“ არ დასტურდება (T 560, შგშ.).

³¹² შევნიშნავთ, რომ Ka ნუსხას კ. კეკელიძე რედაქციულად ეფრო ადრეულად მიიჩნევს ლატალურთან შედარებით, Иерус. Канонарь, с. 11.

³¹³ Правосл. Палест. сборник, т. VII, вып. 2, с. 167—170.

³¹⁴ М. С к а б а л л а н о в и ч, Толковый Типикон, вып. I, Киев, 1910, с. 276.

სალიმონ ტიპიკონის“ გამოკვლევაში ა. დმიტრიევსკი აღნიშნავს, რომ მწუხრი და სიწმიდის განახლება ერთი და იმავე მსახურების ორი განუყოფელი მოვლენაა და რომ მწუხრის გარეშე იგი არ იცნობს სიწმიდის განახლების ლიტურგიის არც ერთ განგებას³¹⁵.

ამ აზრის დადასტურება „სიწმიდის განახლების წესის“ ქართულ სინურ ხელნაწერებში არსებული რედაქცია, რომელზეც ჩვენ უკვე მივეუთითეთ. ამ ძეგლის დასაწყისშივე ნათქვამია: „რამეს მღვდელი სიწმიდეს განახლებს, ყოველი წესი სამწუხრომ აღასრულონ და შემდგომად მამათ ჩუენოჲსა თქუან კელთაბანისაჲ, რომელ მას კვრიაკესა ითქუას...“ და ა. შ., რასაც შემდეგ მოსდევს ჩვენთვის საინტერესო „სიწმიდისაჲ“. მაშასადამე, სიწმიდის განახლება მწუხრის დროს ხდება, მისი ორგანული გაგრძელებაა. *Ка* ხელნაწერში კი გარკვეულ შეუსაბამობებს ვაწყდებით. მასში ხომ ერთაა და იმავე დღეებში „სამხრად“ დაწესებული მსახურებაც არის შეტანილი და მწუხრიც. და თუ სიტყვა „სამხრად“ „სამეამის“ არასწორი წაკითხვის შედეგად არ არის გაჩენილი *Ка* ხელნაწერში, მაშინ აქ მართლაც განსხვავებულ პრაქტიკასთან გვაქვს საქმე, რაც კვლავ ახსნას საჭიროებს. უძველესი იადგარის ნუსხები კი თავის დროის პრაქტიკასთან შეთანხმებული ჩანან — მათი მიხედვით სიწმიდის განახლების ლიტურგია სრულდება დიდმარხვის ყოველ ოთხშაბათსა და პარასკევს მწუხრის განგების მომდევნოდ.

2. დიდმარხვის კვირა დღეების სტრუქტურა განსხვავებულია დანარჩენი დღეებრსაგან. კვირა დღეების მოდელი ყველის ალების კვირაა, რომლითაც ფაქტიურად იწყება მარხვა. აღნიშნული სტრუქტურა შეიცავს ქამისწირვის და მწუხრის საგალობლებს — სამხრად ფსალმუნ-დასდებელს, ალელუიას. კელთაბანისაჲს, სიწმიდისაჲს; მწუხრზე უფალო ღალაღყავასა, ოხითაჲს, ფსალმუნ-დასდებელს.

იადგარის საგალობელთა აქ მითითებული თანმიმდევრობა ემთხვევა ლექციონარს ერთი განახლებებით — იადგარში ჩნდება მწუხრის უფალო ღალაღყავასა³¹⁶.

იადგარის ყველის ალების კვირა დღე შეიცავს შენიშვნებს, რომლებიც განმარტავენ დანარჩენ კვირა დღეთა თავსებურებებს. კერძოდ, შენიშვნა, რომელიც ქამისწირვის „სიწმიდისაჲს“ ახლავს ABDE-ში, განმარტავს, რომ აქ მოცემული ტექსტი („რომელნი ქერობინთა საიდუმლოსა ვემსგავსებით...“) გამოყენებული უნდა იქნას დიდმარხვის ყველა კვირა დღის ქამისწირვაში ბზობამდე (გვ. 100, E 135v).

ანალოგიურია იმ შენიშვნის დანიშნულებაც, რომელიც ABDE-ში მწუხრის „ოხითაჲს“ („ვისწრაფოთ, ერნო, წინა-განსაზღვრებად მომავალისა უბიწოჲსა...“) ერთვის (გვ. 101, E 138 v). თუმცა C ნუსხა აღნიშნულ შენიშვნებს არ შეიცავს, თვით წესი მასში დატულია. II—VI კვირა დღეთა განგებებში სიწმიდი-

³¹⁵ А. А. Дмитриевский, Богослужение страстной и пасхальной седмиц во св. Иерусалиме IX—IX в., с. 300.

³¹⁶ P ხელნაწერს მარხვის საკვირაო ქამისწირვათა განგებებში დამატებით შემოაქვს კიდევ ერთი საგალობელი — „ერის განტევაჲ“. ამ საგალობელს არ უთითებენ არც ლექციონარის LKa და არც უძველესი იადგარის არც ერთი ნუსხა. იგი P-ს სპეციფიკა ჩანს (იხ. T, 329, 364, 402, 476, 527). იხ. აგრეთვე Lee b, Die Gesänge, S. 136—144.

ნაჲ და მწუხრის ოხითაჲ შეტანილი არ არის, ყველგან იგულისხმება ყველით ბღების კვირის საგალობლების ტექსტები.

უძველესი იადგარის აქ მითითებული თავისებურებაჲც საერთოა ლექციონართან. მაგრამ ლექციონარის ნუსხები სხვადასხვა ვითარებას გვიჩვენებენ. ლექციონარის ნუსხათაგან სპეციალური შენიშვნები მხოლოდ P ნუსხაში დასტურდება (T 328, 330). ამავე დროს პარიზის ნუსხა ყოველი კვირის განგებაში იმეორებს სიწმიდისაჲს იმავე ტექსტის დასაწყისს (T 363, 401, 437, 476, 526). ასევე II კვირის განგებაში P იმეორებს ოხითაჲს დასაწყისსაც (T 365). აღნიშნულ შენიშვნებს არ შეიცავს, თვით წესს დაცვა ჩანს სიწმიდისაჲს მიმართ, რომელიც მეორე და მესამე კვირათა განგებებშია გამეორებული. ოხითაჲს შესახებ კი რაიმეს თქმა ძნელია. რადგან იგი არ არის არც ყველის აკრების და არც დანარჩენი კვირა დღეების განგებებში. ლექციონარის Ka ნუსხა ღეფექტურობის გამო ყველის აკრების განგებას არ შეიცავს, სხვა ნაწილებში იგი აბსოლუტურად ემთხვევა L-ს.

უძველესი იადგარისა და ლექციონარის ნუსხების შედარებითი შესწავლა გვაფიქრებინებს, რომ ცალკეულ ნუსხებში ჩვენს მიერ განხილული წესის ფორმირების სხვადასხვა ეტაპებია ასახული. LKa ნუსხები, ვფიქრობთ, ადრეულ ვითარებას ასახავენ. შესაძლებელია, ამ ეტაპზე მწუხრის ოხითაჲ არც კი იყო შემოღებული. იადგარის ნუსხებში ეს წესი საბოლოოდ გაფორმებულია და გამართული.

უძველესი იადგარის კვირა დღეებზე, როგორც ითქვა, რაიმე განსაკუთრებული დღესასწაულები დაწესებული არ არის. მათი შინაარსი განსაზღვრულია შესაბამისი სახარებების საკითხავებით.

3. ცალკე გამოიყოფა უძველეს იადგარში შაბათების სტრუქტურა.

მარხვის იმ შაბათებს, რომელთაც იადგარში ერთი შეხედვით რაიმე განსაკუთრებული მოვლენა არ უკავშირდებათ, საგალობელთა სხვა დღეებისაგან განსხვავებული შედგენილობა ახასიათებთ. მე-2, მე-3 და მე-5 შაბათების საგალობელთა თანმიმდევრობა იადგარის ნუსხებში გარკვეულ განსხვავებებსაც იძლევა, რაც ახსნას ითხოვს. საგალობელთა თანმიმდევრობის სქემა ნუსხათა მიხედვით ასე გამოიყურება:

აქებლითსა ABCDE

სამხრად

ფსალმური ABD

დასადებელი ABD

აღელუჲა ABD

ველთაბანისაჲ A

როგორც ვხედავთ, CE ნუსხებში არ არის შეტანილი სამხრის საგალობლები, ხოლო A-ში II და III შაბათის განგებებში შეტანილია ველთაბანისაჲ. ლექციონარის ნუსხები დასახელებულ დღეებში მხოლოდ ფსალმუნურ საგალობლებს შეიცავენ, რომლებიც აქ ძველი და ახალი აღთქმის საკითხავებს უკავშირდებიან (T 391—394, 427—430, 515—519).

იადგარების მონაცემების, განსაკუთრებით E-ს, ანალიზი საშუალებას გვაძლევს ავხსნათ მარხვის შაბათების თავისებურება. E ხელნაწერის II შაბათის განგებაში აქებლითსას შემდეგ, რომელიც ტექსტობრივად ABCD ნუსხებთან დგას, არის შენიშვნა: „სხუჲა ყოველი წმიდათაჲ“ (139 r), რაც იმაზე მიგვა-

ნიშნებს, რომ II შაბათს დაწესებულია წმიდა მოწამეთა ხსენება. ამ ვითარებას მხარს უჭერს იოანე-ზოსიმეს კალენდარიც, სადაც ნათქვამია: „მეორესა შაბათსა—წმიდათაჲ“³¹⁷. A ნუსხის II შაბათის კელთაბანისაჲ ტექსტის დასაწყისის მიხედვით „წმიდათა“ საგალობელი ჩანს „სატანჯველსა შინა რაჲ იყვენეს წმიდანი...“ (გვ. 123). აღსანიშნავია, რომ ამავე დღის აქებდითსას სტროფებშიც იგივე ხსენების თემა ჩანს (გვ. 122). უნდა ვიფიქროთ, რომ A და E ნუსხები ისეთ ტრადიციას მისდევენ, რომლის მიხედვით მეორე შაბათის სამხარი „წმიდათა“ ხსენებას ეთმობა და ეამისწირვას გულისხმობს. ანგარიშგასაწევეია ის ფაქტი, რომ იადგარის ABD ნუსხებში არსებული ფსალმუნ-დასდებელი და ალელუაჲ, რომლებიც ტექსტობრივად ლექციონართან დგება, ამავე დროს ემთხვევა ლექციონარის წმიდა მოწამეთა ზოგადი განგების შესაბამის საგალობლებს (T 1475, 1484). გამორიცხული არ არის, რომ იადგარის BD ნუსხები და ლექციონარის ნუსხებიც აქ წმიდათა ხსენებას გულისხმობს, მიუხედავად იმისა, რომ მათში სპეციალური მითითებები არა გვაქვს. მით უმეტეს, რომ ლექციონარის ამ დღის საკითხავებიც სამოციქულოდან და სახარებიდან ასახულია წმიდა მოწამეთა ზოგად განგებაშიც (შდრ. T 391—394, 1475, 1477, 1484, 1486).

ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, რომ ლექციონარშიც და იადგარშიც მარხვის II შაბათი იმთავითვე აღბეჭდილი იყო მოწამეთა თემით და დროთა ვითარებაში იგი მოწამეთა ხსენების დღედ ჩამოყალიბდა, რაც ნათლად ჩანს E-სა და იოანე-ზოსიმეს კალენდრის რუბრიკებში. A ნუსხის „კელთაბანისაჲც“ ამ ვარაუდს უჭერს მხარს.

რაც შეეხება E-ს შენიშვნას: „სხუაჲ ყოველი წმიდათაჲ“, იგი უთუოდ გულისხმობს წმიდა მოწამეთა ზოგადი განგების საგალობლებს, რომლებიც მოთავსებულია ამავე ხელნაწერში „შეკრებულად მსგებსისა დღესასწაულთა“ შორის (138r). ამით აიხსნება, რომ მასში II შაბათი მხოლოდ „აქებდითსას“ ტექსტითაა წარმოდგენილი.

ანალოგიურია ვითარება III შაბათის შემთხვევაშიც. შედარებითმა შესწავლამ გაარკვია, რომ იგი მოციქულთა ხსენებას ეთმობოდა, რის კვალიც დარჩენილია ლექციონარის LP ნუსხებში, AE იადგარებსა და იოანე-ზოსიმეს კალენდარში³¹⁸.

მარხვის V შაბათის განგების თავისებურებები განხილული იყო ზემოთ. იადგარის კალენდარზე მსჯელობისას გაირკვა, რომ V შაბათი განკუთვნილია მღვდელთმოდვართა, ხოლო თავისი უფრო ადრეული ტრადიციით კირილე იერუსალიმელის ხსენებისათვის (იხ. გვ. 731—732). აქ მხოლოდ იმას დავძენთ, რომ თუმცა იადგარის BD ნუსხებში V შაბათის რუბრიკებში არავითარი მინიშნება მღვდელთმოდვართა ხსენებაზე არა გვაქვს, მაგრამ მათში იმავე ფსალმუნ-დასდებლისა და ალელუას დადასტურება, რაც A-შია (გვ. 152) და ლექციონარისა და E-ს ზოგად განგებებში, აშკარა მიმანიშნებელია BD-ში იმავე ტრადიციებისა, რაც A-ში გვაქვს.

ამრიგად, იადგარის ნუსხების შედარებითი შესწავლა გვიჩვენებს, რომ მარხვის II, III და V შაბათები შესაბამისად მოწამეთა, მოციქულთა და მღვდელთმოდვართა ხსენებას გულისხმობს. ამის საფუძვლები კი ლექციონარშია იმთავითვე ჩადებული.

³¹⁷ Garilte, Calendrier, p. 116.

³¹⁸ შდრ. ტექსტი გვ. 129—130, T 427—430, E 139v, Garilte, Calendrier, p. 116.

უძველესი იადგარის მარხვის პერიოდის სადა დღეებს ყველის აღების კვირიდან ბზობამდე ერთნაირი, მკაცრად განსაზღვრული სახე აქვს. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ მათში ერთი და იგივე ლიტურგიკული შინაარსია ჩადებული. სწორედ ეს დღეებია საკუთრივ სამარხვო დღეები, რასაც ლეთისმსახურების ხასიათის გარდა კარგად გამოხატავს საგალობელთა ტექსტებიც, რომლებიც აღსავსეა სინანულთა და ცოდვთა მიტევების თხოვნით.

დიდმარხვის კვირა დღეები თავისუფალია მარხვისაგან, რასაც უჩვენებს მათ განგებაში ეამისწირვის არსებობა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ დიდმარხვის პერიოდის ჩამოყალიბების საკმაოდ ადრეულ ეტაპზე მარხვისაგან თავისუფლად მიუჩნევიათ კვირა დღეები და შაბათებიც. რომლებიც მოძრავი კალენდრიდან მათზე გადატანილ დღესასწაულებს დაეთმო³¹⁹. განვითარების სწორედ ამ ეტაპს შეესაბამება ქართული უძველესი იადგარი.



მარხვის პერიოდის მკაცრად მოწესრიგებული სტრუქტურები და პარალელურ ნუსხათა მონაცემები საშუალებას იძლევა შევნიშნოთ ხელნაწერებში ყველა, თუნდაც უმნიშვნელო გადახვევა სისტემისაგან და მეტწილად ზუსტად განვსაზღვროთ, ლეთისმსახურების წესითაა იგი განპირობებული, თუ ნუსხისეული შეცდომაა.

აღნიშნავთ ზოგიერთ ფაქტს. ნუსხისეულ შეცდომებად უნდა ჩაითვალოს ხელნაწერებში ამა თუ იმ საგალობელი ელემენტის გამოტოვების შემთხვევები. ასე მაგალითად, B-ს აკლია პირველი ორშაბათის ფსალმუნური საგალობლის მეორე კომპონენტი—დასდებელი (გვ. 103); A-ს II ხუთშაბათისა და V კვირის მწუხრის განგებებს აკლია ფსალმუნ-დასდებელი (გვ. 121, 146), მეექვსე კვირის ეამისწირვას კი—ალელუაჲ (გვ. 153). C-ს საშაბათო ეამისწირვებში არ ჩანს ფსალმუნური საგალობლები და ა. შ.

ამა თუ იმ დღის სტრუქტურის დარღვევა ზოგჯერ გამოწვეულია იმით, რომ საგალობელი არ არის გადაწერილი თავისი დანიშნულებით, თავის ადგილზე. A-ს გადამწერს IV პარასკევის მწუხრისათვის განკუთვნილი და IV შაბათის ყველა საგალობელი შეცდომით მოუთავსებია VI კვირა დღის საგალობლებს შორის, რის გამოც დარღვეულია კვირა დღისათვის ნიშანდობლივი სტრუქტურა³²⁰. იმავე VI კვირადღის მწუხრის უფალო ღაღადყავსას შესახებ გადამწერი თვითონვე შენიშნავს: „ღმერთმან დაგაჯეროს, ყოველთა შემინდგეთ, ესე დასადებელნი არა ამისა ადგილისანი, განა დედანი ურვილნი მქონდეს“ (გვ. 153). BCDE ნუსხები მართლაც ადასტურებენ ამ დასდებლების უადგილოდ ჩართვას. (იხ. გვ. 153). ამგვარი დარღვევების მიზეზი, როგორც ჩანს, ხშირად დაზიანებული და ნაკლები დედანია.

სხვა ნიადაგზე ჩანს აღმოცენებული იადგარებში მწუხრის საგალობლების გამოტოვება I და VI პარასკევის განგებებში. როგორც ჩანს, სამარხვო მწუხარი ადგილს უთმობს პირველ შემთხვევაში თევდორობის, მეორე შემთხვევაში

³¹⁹ И. Карабинов, Постная Троица, с. 31—51.

³²⁰ წინამდებარე გამოცემაში შეცდომა გასწორდა. იხ. გვ. 136—137, 144—145.

ლაზარეს ხსენების წინაღობის მწუხრს. მაშასადამე, სტრუქტურის დარღვევას ობიექტური მიზეზები აპირობებს.

უძველესი იადგარის მარხვის პერიოდის საგალობლები, როგორც ლექციონარისეული, ასევე ახალი ფენა, ყველა ნუსხაში ჭკრთფენოვანია (მხედველობაში არ გვაქვს მარხვის პერიოდის დღესასწაულები). შეიძლება დავასახელოთ სულ რამდენიმე შემთხვევა, როცა რომელიმე დღის ესა თუ ის საგალობელი ორი ფენითაა წარმოდგენილი. ასეთი შემთხვევები აღმოჩნდა A და E ნუსხებში³²¹. იადგარის ნუსხებში მცირეა ისეთი სტიქარონების რიცხვიც, რომლებიც ან მხოლოდ ერთ ნუსხაშია, ან ნუსხათა ერთ ჯგუფში.

ეს განსხვავებები, რასაკვირველია, უმნიშვნელოა სტიქარონების იმ სიმრავლისათვის, რასაც მარხვის პერიოდში აქვს გამოყენება და ერთნაირად ახასიათებს ყველა ნუსხას.

იადგარის ნუსხებს შორის განსხვავებას ისიც ქმნის, რომ ამა თუ იმ მრავალსტროფიანი სტიქარონის ფარგლებში ნუსხები განსხვავებულ სტროფულ შედგენილობას უჩვენებენ და ზოგჯერ ისეთი სტროფებიც ჩნდება, რომელთა პარალელი არც ერთ ნუსხაში არ არის, ან არის ნუსხათა მხოლოდ გარკვეულ ნაწილში. განსხვავებული სტროფების უმრავლესობა A ნუსხაში დასტურდება, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ისინი განსაკუთრებულ ელფერს აძლევენ მას. მათ შორის არის ისეთი სტროფები, რომლებიც იადგარში სხვაგანაც არის გამოყენებული სხვადასხვა დანიშნულებით.

აღსანიშნავია, რომ A ნუსხის განსხვავებული სტროფების ერთი ნაწილი, რომლებიც ხელნაწერში დასაწყისებითაა მოტანილი, გვიანი დამატების შთაბეჭდილებას ტოვებენ, რადგან თითქმის ყოველთვის ნუსხებისათვის საერთო შედგენილობას ერთვიან დამატებით სტროფებად. ზოგი მათგანის სრული ტექსტები აღმოჩნდა C ნუსხის სინანულის დასდებელთა ჯგუფში, აგრეთვე აღდგომის დასდებელთა შორის³²². მათი იდენტურობა ექვს არ იწვევს. როგორც ჩანს, მარხვის ციკლი, რომლის რეპერტუართაც უხეად სარგებლობდნენ სინანულის დასდებელთა კომპოზიციების შემდგენლები (აქვე, გვ. 918), მოგვიანებით თვითონ დაესესხა ახალ მასალას სინანულისა და აღდგომის დასდებლებიდან.

მიუხედავად აქ მითითებული განსხვავებებისა, შეიძლება ითქვას, რომ სტიქარონების აბსოლუტური უმრავლესობა ნუსხებს საერთო აქვთ. ამ მხრივ ნუსხებს შორის მიმართებები ასეთია: BD მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს, დამთხვევა იმდენად სრულია, რომ შეიძლება მივუთითოთ ერთადერთი სტროფი, რომელიც მეტი აღმოჩნდა B-ში (მე-6 პარასკევის აქებდითსას მე-5 სტროფი, გვ. 160). CE ნუსხებიც მეტწილად BD-სთან ღებება, იშვიათად გვიჩვენებენ გადახრას. ყველაზე მეტ განსხვავებულ ფენას თუ ცალკეულ სტროფს A ნუსხა შეიცავს.

იადგარის ნუსხებს შორის არსებით განსხვავებას კი ის ქმნის, რომ ისინი ტექსტობრივად ერთი და იმავე სტიქარონების მარხვის სხვადასხვა დღეებზე

³²¹ შეენიშნაეთ, რომ, მიუხედავად ორფენოვანი შედგენილობისა, E სხვა ნუსხებისაგან განსხვავებულს არაფერს არ შეიცავს.

³²² იხ. აქვე აღდგომის, სინანულისა და საწელიწოდ დღესასწაულების საერთო დასდებლების სია, გვ. 874—880.

დაწესებას გვიჩვენებენ. ასე მაგალითად, რომელიმე აქებდითსა, რომელიც A ნუსხაში მესამე ხუთშაბათის ცისკარზე შესასრულებლად არის დაწესებული, BD-ში შეტანილია მესამე პარასკევის განგებაში და ა. შ.

იაღგარის ნუსხების ურთიერთშეჯერებამ გარკვევა, რომ ამ თვალსაზრისით ხელნაწერები გარკვევით ორ ჯგუფად იყოფა. ერთი მხრივ, გვაქვს A ნუსხის ტრადიცია, მეორე მხრივ—BCDE ნუსხებისა. BD ამ მხრივაც აბსოლუტურად იდენტურია, CE უმნიშვნელოდ სცილდება BD-ს.

ნუსხების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ტექსტების გადანაცვლება მეტწილად ერთი კვირის ფარგლებში შეიმჩნევა. შესაძლებელია ეს იმით იყოს განპირობებული, რომ, როგორც ამის შესახებ ზემოთ უკვე ვწერდით, მარხვის საგალობლების შინაარსი ყოველი კვირის ფარგლებში ამ კვირისათვის დაწესებული სახარების საკითხავებითაა განსაზღვრული. სახარების მკვეთრად გამოხატული თემა საგალობლებში, ბუნებრივია, არ იძლევა საშუალებას ნებისმიერი გადაჯგუფებისათვის. ამიტომ იგი უშეტესად ერთი კვირის ფარგლებში ხდებოდა. მაგრამ არის შემთხვევები, როცა გადანაცვლება სცილდება ერთი შეიდეგის ფარგლებს.

BCDE ნუსხების თანხედრილობა უფლებას გვაძლევს მათში გარკვეული ტრადიცია დავინახოთ. მით უმეტეს, რომ სინური კოლექციის ერთ-ერთ გვიანდელ ხელნაწერში, Sin. 75-ში, რომელიც ახალი რედაქციის მარხვანს წარმოადგენს და რომელშიც შესულია უძველესი იაღგარის ფენაც, ზუსტად ის ვითარება აღმოჩნდა, რაც BCDE ნუსხებში გვაქვს. მაშასადამე, Sin. 75-ში გაგრძელდა ის ტრადიცია, რომელიც იაღგარის საბაწმიდურ-სინური წარმოშობის ხელნაწერებს ახასიათებთ.

A ნუსხის განსხვავებულობა არ შეიძლება შემთხვევითი იყოს. შესაძლებელია, მასში სხვა ლიტერატურული კერის ხელნაწერთა ტრადიციაა ასახული, ან უფრო ძველი პრაქტიკა, რომელმაც დროთა ვითარებაში გარკვეულად სახე იცვალა.

უძველესი იაღგარის მარხვის ცალკეულ დღეთა სტრუქტურებში ჩვენ ვუჩვენეთ იაღგარისა და ლექციონარის საერთო ფენები. სრულიად აშკარად გამოჩნდა, რომ ლექციონარისეული საგალობლების ფორმები იმავე დანიშნულებით და ლიტურგიული ფუნქციით გადასულია იაღგარის შემადგენლობაში. ახლა გასარკვევია საკითხი, თუ როგორია საგალობელთა ტექსტობრივი მიმართებები. ამ საკითხის განხილვისას გასათვალისწინებელია, უპირველეს ყოვლისა, ვითარება ლექციონარის ნუსხებში, მათი ურთიერთმიმართებები, ასევე მიმართებები იაღგარის ნუსხებს შორის. მხოლოდ ამ გზით შეიძლება სწორი სურათის მიღება. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ლექციონარის LKaP ნუსხები, რომელთაც საკმაო სისრულით შემოინახეს მარხვის ნაწილი, ყველის ალების კვირიდან ბზობამდე ჰიმნოგრაფიული განვითარების ერთ დონეს გვიჩვენებენ⁸²³. ეს დონე, როგორც ჩანს, საკმაოდ ადრე შეუშუშავებია ლექციონარს და შეუწარმობია პრაქტიკული გამოყენების მთელ მანძილზე. ლექციონარის ნუსხები უჩვენებენ პოეტურ ტროპართა აბსოლუტურად ერთსა და იმავე რეპერტუარს

⁸²³ ერთი გამონაკლისით: როგორც ზემოთ ითქვა, „ერის განტევებას“, როგორც საგალობელს, LKa არ იცნობენ. მას ჩვენ P-ს შევსებად მივიჩნევთ, ადრეულ ეტაპზე იგი, ჩვენის აზრით, ლექციონარში ასახული არ იყო, რასაც მხარს უჭერს უძველესი იაღგარის ნუსხებიც.

ერთადერთი გამონაკლისით—L ნუსხა, როგორც ზემოთ ვნახეთ (გვ. 764—765), არ იცნობს ყველის ალების მწუხრის ოხითაჲს (Ka ნუსხას ეს ნაწილი აკლია).

მარხვის პერიოდის ცალკეულ დღეებზე დაწესებული პოეტური ტროპარები, რომელთა რიცხვი დიდი არ არის³²⁴, ტექსტობრივად ყველა ნუსხაში ერთი და იგივეა. მხოლოდ P-ს ერთგან, მე-2 ორშაბათს, ოხითად მითითებული აქვს დასაწყისი: „ცოდვილსა ამას მი[ლხინე]...“ (T 366). ამავე დღეს LKa უჩვენებენ დასაწყისს: „ვცოდე (ვცოდეთ Ka), უფალო...“ (T 366, სქოლიო). ჩვენ ვფიქრობთ, რომ P ნუსხის გადამწერს დაშვებული აქვს შეცდომა. იგი II ორშაბათს და II სამშაბათს ერთსა და იმავე დასაწყისს უთითებს: „ცოდვილსა ამას მილხინე...“ (შდრ. T 366, 372), რომელიც ლექციონარის ნუსხების და ზოგიერთი იადგარის მიხედვითაც სამშაბათის ოხითაჲს. ვფიქრობთ, P ორშაბათს იმავე ტექსტს უნდა შეიცავდეს, რასაც LKa. თუ ეს გასწორება საფუძველს მოკლებული არ არის, მაშინ ლექციონარის ყველა ნუსხა მოღწეული ნაწილის მიხედვით ზუსტად ერთსა და იმავე ვითარებას უჩვენებს.

მარხვის ექვსი კვირის ფარგლებში ბზობამდე ლექციონარის პოეტური საგალობლები უკლებლივ გადასულია იადგარის ნუსხებში. ამავე დროს იადგარებში არ აღმოჩნდა არც ერთი განსხვავებული ტექსტი. რეპერტუარის მთლიანობის თვალსაზრისით იადგარისა და ლექციონარის ნუსხებს შორის სრული იდენტურობაა. განსხვავებას ქმნის მხოლოდ ტექსტობრივად ერთი და იმავე ტროპარების სხვადასხვა დღეებზე დაწესება. III, IV და VI შვიდეულების პოეტური საგალობლები სრულ თანხვედრას გვიჩვენებენ ლექციონარისა და იადგარის ყველა ნუსხის მიხედვით. განსხვავებები დასტურდება I, II და V შვიდეულების ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ იადგარის ნუსხები ამ თვალსაზრისით განსხვავებას გვიჩვენებენ, პირველ ყოვლისა, ერთმანეთის მიმართ. BCD ნუსხები აბსოლუტურად იდენტურია, E ძირითადად BCD ნუსხებთან დგას. ყველაზე მეტ განსხვავებას A ნუსხა იჩენს. იგი ცალკე დგას პირველი ხუთშაბათის, მეორე ორშაბათის, მეორე ხუთშაბათის, მეხუთე კვირისა და მეხუთე სამშაბათის ოხითებისა და კელთაბანისას ჩვენებისას. A-ს აღნიშნული საგალობლები BCD-ში სხვა დღეებშია დაწესებული.

რაც შეეხება იადგარის ნუსხების ლექციონართან მიმართებას, აქ სურათი კრელია. იადგარის E ნუსხა აბსოლუტური სიზუსტით მიყვება ლექციონარს. მასთან დიდ სიახლოვეს ამჟღავნებენ BCD ნუსხებიც. ისინი II ორშაბათისა და სამშაბათის ოხითების განსხვავებულ ჩვენებებს იძლევიან მხოლოდ. ყველაზე მეტ განსხვავებას აქაც უჩვენებს A ნუსხა.

A ნუსხის განსხვავებულობას, ბუნებრივია, ვერ განვიხილავთ გადამწერის დონეზე. ვფიქრობთ, მას მხედველობაში აქვს ლექციონარის ისეთი ნუსხა ან ნუსხები, რომლებიც ჩვენ ხელთ არაებულ ხელნაწერთაგან განსხვავდებოდნენ და გარკვეულად სხვა ტრადიციას უჩვენებდნენ. თუ რამდენად არის ეს განსხვავება სიძველის მაჩვენებელი, ამის თქმა ძნელია.

შევცედებით გარკვეული შეფასება მივცეთ იმ ფაქტს, რომ ყველიერის კვირის პოეტური ტროპარები მხოლოდ P ლექციონარით არის მოღწეული (LKa

³²⁴ ხორცის აკრების კვირიდან ბზობამდე სულ 29 ტროპარი დასტურდება, მათგან 21 ოხითაჲს, 6 კელთაბანისაჲს, 2 სიწმილისაჲს.

ნუსხები ნაკლულია) და იაღგარის არც ერთი ნუსხა ამ შვიდეულის საგალობლებს არ უთითებს. ზემოთ ვნახეთ, რომ საგალობელი ტექსტების გამეორებას მარხვის პერიოდში მკაცრი კანონზომიერება ახასიათებს, რაც სათანადოდ არის ნუსხებში განმარტებული, იმავეს ვერ ვიტყვით P ნუსხის ყველიერის შვიდეულზე, თუმც პოეტური ტროპარები, კერძოდ ოხითები, რომლებიც ამ შვიდეულის განგებებში გვხვდება, დასტურდება ლექციონარისა და იაღგარის სხვა ნაწილებში. სამშაბათის ოხითაჲ „ვისწრაფოთ, ერწო, წინა-განსაზღვრებად...“ (T293), როგორც ზემოთ ვნახეთ, არის ყველის ალების კვირა დღის მწუხრის ოხითაჲ და საერთოდ ყველა საკვირაო მწუხრისა ბზობამდე. აქ კი აღნიშნული ტექსტის გამოყენება ლოგიკურ კავშირში არ არის დანარჩენ დღეებთან და უკვე არსებულის ახალი დანიშნულებით გამოყენების შთაბეჭდილებას ტოვებს.

გვიანი პრაქტიკა იგაძნობა ოთხშაბათის ოხითაჲს ტექსტის გამოყენებაშიც. ეს ის ტექსტია, რომელიც საერთოა ყველა ოთხშაბათისა და პარასკევისათვის ბზობამდე: „შენდა შეუენის გალობაჲ...“ (T 296). P-ს პარასკევის განგებაში ოხითაჲ არ არის, ჩანს, აქ იგულისხმება ოთხშაბათის ოხითაჲ. ამრიგად, ყველიერის შვიდეულზე ვრცელდება მარხვის ოთხშაბათ-პარასკეების საერთო წესი. მაგრამ ამ წესის შესახებ სათანადო განმარტების მოთავსება პირველი ოთხშაბათის განგებაში საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ წესი იმთავითვე შემოღებული იყო პირველი შვიდეულიდან და მხოლოდ შემდეგ გაავრცელეს წინა ანუ ყველიერის შვიდეულზე. შესაძლებელია, გავრცობა უკავშირდება დიდი იაღგარების პრაქტიკას, რომელთა მიხედვით ყველიერის შვიდეული მარხვის პირველ შვიდეულად არის მიჩნეული (იხ. გვ. 758 — 759).

რაც შეეხება ორშაბათის ოხითაჲს: „ვიხილეთ ნათელი ქემშარიტი...“ (T 290), იგი ლექციონარის L და იაღგარის B ნუსხებში აღმოჩნდა როგორც მარტვილის მწუხრის ოხითაჲ, ხოლო ხუთშაბათის ოხითაჲს დასაწყისით: „მადლმან მაცხოვ...“ (T 299) პარალელი არ დაეძნება.

ამრიგად, აქ განხილული მასალის საფუძველზე ვფიქრობთ, რომ ლექციონარის განვითარების ადრეულ ეტაპზე ყველიერის შვიდეული ლექციონარში პოეტურ ტროპარებს არ შეიცავდა, ისევე როგორც ეს იაღგარის ნუსხებშია. გამორიცხული არ არის, რომ ასეთივე ვითარება იყო LKa ნუსხებში, რომლებიც P-სთან შედარებით მეტ სიძველეს უჩვენებენ. P ლექციონარი, ვფიქრობთ, ასახავს შედარებით გვიანდელ პრაქტიკას, როცა ყველიერის შვიდეული უკვე არსებული მასალით დააკომპლექტეს და შეუფარდეს ახალ სისტემას.

უძველესი იაღგარის ვნების კვირა

ვნების კვირა უძველესი იაღგარის განსაკუთრებული მოვლენაა. სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალგზის არის აღნიშნული, რომ იერუსალიმის ღვთისმსახურებამ ადრეულ ეტაპზევე შექმნა ვნების კვირის თავისებური სახე, რომელმაც დიდი კვალი დაამჩნია მომდევნო ეპოქების პრაქტიკას. ვნების კვირის ღვთისმსახურების განვითარება იერუსალიმში, როგორც ცნობილია, სხვადასხვა ეპოქების რამდენიმე პირველხარისხოვანმა ძეგლმა შემოინახა, რომლებშიც ასახულია რიტუალის განვითარება IV—X საუკ. მანძილზე: IV საუკ. მოგზაური

ქალის ეგერიას თხზულებამ³²⁵, იერუსალიმური ლექციონარის უკვე ხსენებულმა უძველესმა სომხურმა რედაქციებმა (V საუკ.)³²⁶, ამავე ლექციონარის ქართულმა რედაქციებმა (V—VIII სს.)³²⁷, დაბოლოს, „იერუსალიმური ტიპიკონის“ სახელით ცნობილმა ძეგლმა (IX—X ს.)³²⁸. თავისი წინამორბედი ძეგლებისაგან განსხვავებით, ქართული ლექციონარი ვნების კვირის განგებაში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს გალობას და ამ მიზნით პირველად შემოაქვს პოეტური საგალობლები. სწორედ ვნების კვირაშია თავმოყრილი ქართული ლექციონარის პოეტურ დასდებელთა უდიდესი ნაწილი. ქართული ლექციონარის მნიშვნელოვან მხარედ ისიც უნდა მივიჩნიოთ, რომ ნუსხებს შორის არსებულ განსხვავებებში ვნების კვირის საღვთისმსახურო პრაქტიკის განვითარების პროცესი შეიცნობა. განსაკუთრებით ნათლად იგი იოანე-ზოსიმეს S ნუსხაში ჩანს, მის ჰიმნოგრაფიულ დანართში (T App. I, № 47—175).

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია დამკვიდრდა ქართული ლექციონარის შედარებითი კვლევის ტრადიცია. კ. კეკელიძემ, ხოლო შემდეგ ა. ბაუმშტარკმა და ჰ. ლეებმა ქართული ლექციონარის ვნების კვირის თავისებურებათა კვლევისას ფართოდ გამოიყენეს ეგერიას მოგზაურობის, სომხური ლექციონარისა და „იერუსალიმური ტიპიკონის“ ჩვენებები, აგრეთვე ლექციონარის საგალობელთა ის ბერძნული შესატყვისები, რომლებიც მათ დაძებნეს ბიზანტიური პრაქტიკის ამსახველი ლიტურგიკული წიგნების (ძირითადად მარხვანის) ბერძნულ გამოცემებში³²⁹.

იერუსალიმური ლეთისმსახურების განვითარების ამსახველ ძეგლთა რიგში დღეს თამამად შეიძლება ჩაეაყენოთ ქართული იადგარებიც, როგორც უძველესი, ასევე ახალი რედაქციისა, რადგან ისინი ყველა არსებითი ნიშნით იერუსალიმური ეპოქის ძეგლებია და შეიცავენ მნიშვნელოვან მასალას არსებული ძეგლების მონაცემებზე დასამატებლად.

წინასწარ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ვნების კვირის შემთხვევაშიც ძალაში რჩება ჩვენი გამოკვლევების ძირითადი დებულება, რომ უძველესი იადგარის სახეს ქართულმა ლექციონარმა განსაზღვრავს. ლექციონარის ვნების კვირის მრავალფეროვან და ამასთანავე უაღრესად თავისებური აგებულების მქონე წირვები, ლიტანიები და რიტუალები, რომლებიც სიმბოლურად განასახიერებენ ქრისტეს მიწიერი ცხოვრების უკანასკნელი დღეების ცალკეულ ეპიზოდებს და მის ვნებას, თითქმის უცვლელადაა ასახული იადგარში და წარმოდგენილია არსე-

³²⁵ Паломничество по Святым местам конца IV века, Изд. И. В. Памяловским. Правосл. Палест. сборник, т. VII, вып. 2, с. 152—162.

³²⁶ A. Reponx, Codex 121, Edition, p. 260—309.

³²⁷ Le grand Lectionnaire, 598—743, App. I, 47—175.

³²⁸ A., Παπαδοπούλος-Κεραμειδης, Τυπικὸν τῆς ἐν Ἱεροσολύμοις ἐκκλησίας. Ἀναλύματα Ἱεροσολυμιτικῆς σταυρολογίας, II, Πετρουπόλεις, 1894, 1 — 254; A. A. Дмитриевский, Богослужение страстной и пасхальной седмиц во св. Иерусалиме IX—X вв. Казань, 1894. A. A. Дмитриевский, Древнейшие патриаршие типиконы. Святогробский Иерусалимский и Великой Константинопольской церкви. Критико-библиогр. исследование. Киев, 1907.

³²⁹ Иерус. Канонарь, с. 202—230; Th. Kluge—A. Baumstark, Quadregesima und Karwoche Jerusalems im siebten Jahrhundert, Oriens Christianus, N. S., Bd 5, 1915, S. 201—233; Leeб, Die Gesänge. (ვნების კვირის საგალობლებს ჰ. ლეები ეხება ნაშრომის სხვადასხვა თავში მათი დანიშნულების მიხედვით).

ბითად იმავე საგალობელი ტექსტებით, რაც ლექციონარში გვაქვს³³⁰. უნდა ითქვას, რომ ლექციონარის განგება რიგ შემთხვევაში უფრო ვრცელია და რიტუალები, რომელთაც პოეტური საგალობლების თანხლება არ ახასიათებთ (წარმოდგენილია მხოლოდ საკითხავებითა და ფსალმუნებით ან მხოლოდ ტიპიკონური მითითებებით), იაღვარში გადასული არ არის. ამგვარი განგებების ასახვას, როგორც სხვა შემთხვევებშიც იყო ნაჩვენები, იაღვარი საკვიროდ არ მიიჩნევს ასეთია, მაგალითად, დიდი ხუთშაბათის მე-3 ჟამს დაწესებული „მონანულთა მიყვანა კარსა ეკლესიისასა“, რომელიც P ნუსხაშია დაცული (T 626—631)³³¹, ან კიდევ ვნების შაბათს კათაკუმეველთა მონათვლის განგება (T 720—736), ამავე შაბათის ღამისთევა (T 740), რომელსაც PS უთითებენ. ლექციონარი იმ მხრივაც არის ვრცელი, რომ მასში შედარებით დეტალიზირებულია გარკვეული მღვდელთმოქმედებანი, რაც, ბუნებრივია, იაღვარის კომპეტენციას არ შეადგენს, თუმცა ეს ის კონტექსტია, რომელშიც იაღვარის საგალობლების შესრულება იგულისხმება. ამის თვალსაჩინო მაგალითია დიდი შაბათის საზეიმო მწუხარი (T 70E—720), რომელშიც ხორცშესხმულია ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის თემა, რაც გააზრებულია როგორც სინათლის (ნათლის) შემოსვლის დიდი დღესასწაული. იერუსალიმის აღდგომის ეკლესიისათვის შემუშავებული ეს განგება იწყება ეკლესიის კურთხევის რიტუალთ, რომელიც ვრცლად არის აღწერილი ლექციონარის ნუსხებში. რიტუალის აღწერას იაღვარის ნუსხებში ცვლის მარტივი რუბრიკები³³²: „მწუხარი. აკურთხონ ეკლესიაჲ, უფლო ღალატყავი წართქუან ...“ (A), ან კიდევ: „დიდსა შაბათსა მწუხარი, შეკრფენ ყოველნი მსახურნი და მოწესენი და აკურთხონ ეკლესიაჲ, ვითარცა კანონსა წერილ არს“ (B), ან მარტყვად: „მწუხარი“ (C), რასაც მოსდევს მწუხრის პოეტურ და ფსალმუნურ საგალობელთა რიგი³³³. B ხელნაწერის განმარტებაში „ვითარცა კანონსა წერილ არს“ კარგად ჩანს უძველესი იაღვარის ლექციონარის განგებაზე დამოკიდებულება.

უძველესი იაღვარისა და ლექციონარის ნუსხებს შორის არსებული განსხვავებების ნაწილი მათთვის საერთო საგალობლების ტექსტობრივ მიმართებებზე მოდის. აქ სურათი საკმაოდ ქრელია. ჩვენ არ ვისახავთ მიზნად დაწერილობით აღწერას და აღწერათ ეს მიმართებები, შევხებით მხოლოდ ზოგიერთ საკითხს, რათა შეძლებისდაგვარად გამოვეკვეთთ იაღვარის ვნების კვირის სპეციფიკა.

ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ დიდმარხვის შეიღვეულები ყველის აღებიდან ვიდრე ბზობამდე (გარდა დღესასწაულებისა) ცისკრის კანონს არ იცნობენ. ვნების კვირა ამ მხრივ განსხვავებულია. მასში პირველად ქართულ ჰიმნოგრაფიულ ძეგლთა შორის შემოდის სამსაგალობელთა სისტემა ანუ „გალობათა ხუედრნი“, როგორც მას ქართული ლიტურგიკული კრებულები უწოდებენ. ვნების ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით ყოველი დღის ცისკარი იაღვარში

³³⁰ ვნების კვირის განსაკუთრებული რიგის მსახურებები ლექციონარის მიხედვით მრავალმხრივ განხილულია კ. კეკელიძის, ა. ბაუმშტარკისა და პ. ლეების დასახელებულ შრომებში.

³³¹ შევნიშნათ, რომ E-ში დასტურდება ტიპიკონური მითითება კათაკუმეველთა მონათვლის განგებაზე (E 136v).

³³² იხ. აქვე, გვ. 214.

³³³ გამოჩაქლის შეადგენს მხოლოდ E, რომელშიც კურთხევის განგება ვრცლად აღწერილი (E 136v). ამავე განგებიდან მომდინარეობს ფსალმუნ-დასდებულთა ორი წყვილი B ხელნაწერში, რომლებიც შაბათის მწუხრის უფლო ღალადყავსას წინ უსწრებენ (იხ. გვ. 214—215).

იწყება ამ ღლის წილხვედრი სამსაგალობლით³³⁴. კ. კეკელიძეს უთუოდ ეს მოვლენა ჰქონდა მხედველობაში, როცა წერდა, რომ „ხუედრის“ უძველესი ფორმაცია დაცულია პაპირუს-პერგამენტის ხელნაწერშიო“ (იგულისხმება კილ-ეტრატის ხელნაწერი)³³⁵. სამსაგალობლები იაღგარის ნუსხებში ძირითადად ერთფენოვანია და თანხვედრილი. მხოლოდ C შეიცავს „უგალობლითსას“ განსხვავებულ ტექსტს, ხოლო A — „მოიხილესას“ ორიოდ განსხვავებულ სტროფს. აქვე საპიროდ მიგვაჩნია აღნიშნოთ კიდევ ერთი გარემოება. B ხელნაწერის ვნების ხუთბაშათის განგებაში სამსაგალობლის გარდა შეტანილია ცისკრის სრული კანონი, რომელიც, როგორც გაირკვა, კოზმა იერუსალიმელს ეკუთვნის (გვ. 540—543)³³⁶. ეს კანონი, ვფიქრობთ, უძველესი იაღგარის ორგანულ ნაწილს არ შეადგენს და მისი გვიანდელი ჩანართია. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ B ხელნაწერში ვნების ხუთბაშათის კალენდარული მითითება ორჯერაა მოცემული: ერთხელ კოზმასეული კანონის წინ (93v). მეორედ ამ კანონის შემდეგ, სადაც ფაქტიურად იწყება დიდი ხუთბაშათის საგალობლების იაღგარისათვის ნიშანდობლივი თანმიმდევრობა, მთლიანად თანხვედრილი სხვა ნუსხებთან (97r). აღნიშნული კანონის გვიანდელ ჩართვაზე ისიც მეტყველებს, რომ იგი იაღგარისათვის დამახასიათებელი ცხროდიანი კანონისაგან განსხვავებით რვა ოდისაგან შედგება და „მოიხილესას“ არ შეიცავს. და კიდევ, რაც მთავარია, კოზმას კანონი X საუკ. ახალი იაღგარების რეპერტუარის აუცილებელი კომპონენტია³³⁷. თუ ყოველივე ამას დავუმატებთ, რომ B-ში კოზმას კანონთან ერთად შეტანილია აქებდითსას ასევე ახალი რედაქციის ტექსტი, რომელიც უადგილოდაა ჩართული კოზმას კანონსა და იაღგარისეულ სამსაგალობელს შორის, B-ში უძველესი იაღგარისათვის უცხო ფენის არსებობის ფაქტი ექვს არ უნდა იწყვედეს. ამგვარი შევსება დაკავშირებული უნდა იყოს იმ ხანასთან, როცა დაიწყო ჰიმნოგრაფიული რეპერტუარის განახლება, რასაც ახალი იაღგარების შექმნა მოჰყვა შედეგად. როგორც ჩანს, ახალი იაღგარის კრებულად ჩამოყალიბებამდე, მისი ცალკეული საგალობლების პირველი თარგმანები უძველესი იაღგარის ნუსხებში შექმნიდათ. ვნების ხუთბაშათის აქ მითითებული კანონის გარდა B-ში შეტანილია ცისკრის კიდევ სამი კანონი, ასევე უცხო უძველესი იაღგარის რეპერტუარისათვის. ესენია: იოანე დამასკელის აღესების კანონი, კოზმა იერუსალიმელის კანონი ღვთისმშობლისათვის და კანონი საბა განწმედილის სახელზე (იხ. გვ. 544—556)³³⁸, ეს კანონები ახალი იაღგარის უძველეს ფენას მიეკუთვნებიან³³⁹. ყველა ისინი უძველეს იაღგარში

³³⁴ D ნუსხა ორბაშათის „ადიდებდითსაზე“ წყდება (იხ. გვ. 178), E სამსაგალობლებს არ შეიცავს.

³³⁵ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 596; Литург. памятники, с. XXI.

³³⁶ შტრ. W. Christ—M. Paraniikas, *Anthologia graeca carminum christianorum*. Leipzig, 1871, p. 190—193.

³³⁷ სინურ ხელნაწ. აღწერილობა, I, გვ. გვ. 21. (VII, 4), 45 (38), 81 (II, 10), 104 (6), 198 (67 ბ).

³³⁸ შტრ. W. Christ—M. Paraniikas, დასახ. ანთოლოგია, გვ. 180—183, 218—221. აღსანიშნავია, რომ Sin. 18-ში შესული თარგმანები არ არის დამყარებული ძლისპირ-ტროპართა მეტრულ თანფარდობაზე, რაც თარგმანის სიძველეზე მეტყველებს.

³³⁹ სინურ ხელნაწ. აღწერილობა, I, გვ. გვ. 22 (VIII, 1), 28 (37), 33 (80), 104 (7), 107 (18) და ა. შ.

გვიანდელი შევსების აშკარა ნიშნებს ატარებენ. კოზმას კანონი სრულიად უდგვილოდ, მარტვილიის წინაა ჩართული. იოანე-ზოსიმეს ერთ-ერთ შინაწერში (B 150v) მარიამობის კოზმასეული კანონი „ახლად“ იწოდება³⁴⁰. ამგვარად კი უძველესი იაღგარისეული საგალობლებისაგან განსხვავებულ ახალ რეპერტუარს აღნიშნავენ.

ამრიგად, თუ B ხელნაწერის ვნების ხუთშაბათის ცისკრის კანონს უძველესი იაღგარის ორგანულ ნაწილად არ მივიჩნევთ, აღმოჩნდება, რომ ABC ნუსხებში ერთი და იგივე პრაქტიკაა ასახულა.

უძველესი იაღგარის მარხვის ციკლის თავისებურებებზე მსჯელობისას კ. კეკელიძე მიუთითებდა, რომ იგი ჯერ კიდევ არ იცნობს თეოდორე სტუდიელის საგალობლებს, რომელსაც, როგორც ცნობილია, მიეწერება დიდმარხვის მთელი პერიოდის გამართვა სამსაგალობელთა სისტემაზე³⁴¹. ჩვენს მიერ ჩატარებულმა შედარებითმა კვლევამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ თეოდორე სტუდიელის რედაქციის მარხვის ციკლის შემოსვლა ქართულ სინამდვილეში X საუკ. ახალ იაღგარებთან არის დაკავშირებული. ახალ იაღგარებში აღმოჩნდა სამსაგალობელთა ის ფენა, რომელიც ბერძნული ტრიოდის გემოვნებში თეოდორე სტუდიელის სახელს ატარებს³⁴². ამავე ახალი იაღგარების ვნების კვირა არსებითად იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის კანონებით და სამსაგალობლებით არის შედგენილი³⁴³. ამ საგალობელთა შორის არ დაიძებნა უძველესი იაღგარისეული ფენა. ეს შეეხება როგორც ვნების კვირის სამსაგალობლებს, ასევე სტიქარონებს. იაღგარისეული ეს ფენა ჩვენ ვერ დავადასტურეთ ვერც „იერუსალიმურ ტიპიკონში“, რომელსაც რედაქციულად სწორედ ახალი იაღგარის შედგენილობა უახლოვდება. ამგვარი ვითარება, ვფიქრობთ, იმის სასარგებლოდ შეტყვევებს, რომ უძველესი იაღგარის ვნების კვირის სამსაგალობლები და მარხვის პერიოდის სტიქარონები უფრო ძველი მოვლენაა და წინ უსწრებს სახელგანთქმულ საბაწმიდელ ჰიმნოდთა და, მით უმეტეს, თეოდორე სტუდიელის მოღვაწეობას. აქ ისიც უნდა გაეთვალისწინოთ, რომ უძველესი იაღგარის ჩვენთვის საინტერესო საგალობლები თვისობრივად სხვაობენ ახალი იაღგარების იმავე დანიშნულების საგალობლებისაგან, რომლებიც ძლისპირ-ტროპართა მეტრული თანაფარდობის პრინციპზე არიან აგებული.

უძველესი იაღგარის ვნების კვირის სამსაგალობლების, სტიქარონებისა და დანარჩენი პოეტური საგალობლების ტექსტობრივი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისინი მთლიანად პასუხობენ ცალკეულ დღეებზე თუ ცალკეულ მოვლენებთან დაკავშირებით დაწესებული სახარების საკითხავების თემას, ამდენად ორგანულად არიან ჩართული დღესასწაულთა ლექციონარისეულ კონცეფციაში, რაც საგალობელთა არსებითი ნიშანია. განსაკუთრებით იგრძნობა დამოკიდებულება მათეს სახარების ტექსტზე. სამსაგალობელთა და სტიქარონთა სტროფები წარმოადგენენ შესაბამისი საკითხავების თავისებურ პოეტურ ვა-

³⁴⁰ სინურ ხელნაწ. აღწერილობა, I, გვ. 70.

³⁴¹ Литург. памятники, с. XXI, 351.

³⁴² შედარებისათვის ესარგებლობით ტრიოდის რომისა (1879 წლის) და ათენის (1967 წლის) გამოცემებით.

³⁴³ ამას გვიჩვენებს ახალი იაღგარის ცალკეულ ნუსხებში არსებული მითითებები ავტორებზე, აგრეთვე შედარება ბერძნული ტრიოდის რომისა გამოცემებთან.

რიაციებს, რომლებშიც გარდა შინაარსისა გადასულია სახარებისეული სიმბოლიკა და ფრაზეოლოგია.



უძველესი იაღგარის ვნების კვირის პირველი სამი დღე საგალობლების ერთნაირი შედგენილობით ხასიათდება. აქ წარმოდგენილია ცისკრისა და მწუხრის საგალობელთა შემდეგი თანმიმდევრობა: ცისკრად — სამსაგალობელი, აქებდითსა, მწუხრზე — უფალო დაღადაყვასა, ოხითაჲ, ფსალმუნ-დასდებელი. ამ სტრუქტურას ლექციონართან, როგორც მოსალოდნელი იყო, საერთო აქვს მწუხრის ოხითაჲ და ფსალმუნ-დასდებელი. ლექციონარისა და იაღგარის ნუსხები ოხითებისა და ფსალმუნ-დასდებლების ერთსა და იმავე ტექსტებს უჩვენებენ.

აღსანიშნავია, რომ ამავე დღეების განგებაში ლექციონარის ნუსხები უთითებენ კიდევ რამდენიმე საგალობელ ელემენტს, რომლებიც არ დასტურდება იაღგარის ნუსხებში. ესენია: ცისკრად „ღირსმყვენი“ და „დიდებაჲ მალალთაჲ“, მწუხრზე — „ღირსმყვენი“, „იბაკო“ („უწინარეს ვნებისა ეტყოდა უფალი მოწაფეთა თჳსთა...“) და „წმიდაო ღმერთო“ (T, 599, 608, 609, 610, 615, 616, 623 სქოლიო). ჰ. ლეები თავის გამოკვლევაში საგანგებოდ ჩერდება ცისკრისა და მწუხრის აქ მითითებულ საგალობლებზე³⁴⁴. მას მოაქვს მასალები, რომელთა მიხედვით ცხადი ხდება, რომ ლექციონარისეული „დიდებაჲ მალალთაჲ“, „ღირსმყვენი“, „წმიდაო ღმერთო“ ღვთისმსახურების უცვლელ ელემენტთა კატეგორიას განეკუთვნებიან. ეს უნდა იყოს სწორედ იმის მიზეზი, რომ ისინი არ არიან ასახული იაღგარის ნუსხებში. რაც შეეხება სამების ფორმულას: „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდაო“, იგი იაღგარის სხვადასხვა საგალობლის ტექსტშია ორგანულად ჩართული, რაც მის სიძველეზე და ფართო გავრცელებაზე მიგვიითბებს³⁴⁵.

უძველესი იაღგარის ვნების კვირის ძირითადი მოვლენები ვნების ხუთშაბათის, პარასკევისა და შაბათის განგებებშია თავმოყრილი (მხედველობაში გვაქვს დიდი ხუთშაბათის ფეხთა ბანის რიტუალი და შუალამის განგება, პარასკევის მე-6 ეამზე დაწესებული დიდი მსახურება, ჯერის განბანის რიტუალი ამავე დღეს, შაბათის საზეიმო მწუხრი და სხვა). როგორც უკვე ითქვა, ყველა ეს მოვლენა იაღგარში ლექციონარის პარალელურად არსებობს, მის საფუძველზეა აღმოცენებული.

ჰ. ლეებმა, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ლექციონარის ვნების კვირის თავისებურებები, ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ S ნუსხის ჰიმნოგრაფიულ დანართში იოანე-ზოსიმეს შემოაქვს მთელი წყება საგალობლებისა, რომელთაც ლექციონარის LPKa ნუსხები და S ნუსხის ძირითადი ნაწილი არ იცნობენ, მოცემულია აგრეთვე შუალამის დასდებლების შესრულების წესი, რომლის შესახებ ასევე არაფერია თქმული ლექციონარის ნუსხებში. ამ მონაცემებში ჰ. ლეები ჰიმნოგრაფიული განვითარების უფრო გვიანდელ ეტაპს

³⁴⁴ Leeb, Die Gesänge, S. 176—178, 180—181, 185—187.

³⁴⁵ იხ. აქვე, გვ. გვ. 20, 122, 124, 130, 154—155, 296, 348, 364 365 და ა. შ.

ხედავს. მაგრამ ის ფაქტი, რომ იგი ლექციონარის ზედა თარიღად VIII საუკ. შუა წლებს მიიჩნევს, უკვე ნიშნავს, რომ ლექციონარის ყველა მოვლენა, მათ შორის იოანე-ზოსიმეს S ნუსხისეული დანართის მონაცემებიც, მისთვის ამ ქრონოლოგიური საზღვრის ქვემოთ თავსდება.

ვნახოთ, რა ვითარებაა იადგარის ნუსხებში.

ვნების ხუთშაბათის დამისთვევა ლექციონარში დიდ ლიტანიას წარმოადგენს, რომელიც მიზნად ისახავს, მოინახულოს ქრისტეს ცხოვრების უკანასკნელი დღის მოვლენებთან დაკავშირებული წმინდა ადგილები, რომელთა რიცხვი ქართული ლექციონარის მიხედვით შვილია. ამ საზეიმო მსვლელობას თან ახლავს წმინდა ადგილების შესატყვისი ეპიზოდების კითხვა სახარებიდან და პოეტური დასდებლების, იზაკობისა და ფსალმუნების შესრულება (T 642—662). კ. კეკელიძის, ა. ბაუმშტარკისა და პ. ლეების შრომებში დაწვრილებითაა განხილული შუალამის აღნიშნული განგება ძირითადი კომპონენტების — წმინდა ადგილების, საკითხავეების სისტემისა და საგალობლების თვალსაზრისით იმ მდიდარი შედარებითი მასალის გათვალისწინებით, რასაც ეგერიას მოგზაურობა, სომხური ლექციონარი, იერუსალიმური ბერძნული ტიპიკონი და ისტორიული ლიტურგიიდან მოხმობილი სხვა მასალები იძლევა³⁴⁶. ამასთანავე ნაჩვენებია, რომ საგალობლების ნაწილი შესულია იერუსალიმური ტიპიკონისა და კონსტანტინოპოლური რედაქციის ბერძნული ჰარხვანებზე ამავე დღის განგებაში.

ლექციონარისა და იადგარის ნუსხების შედარება გვიჩვენებს, რომ მათ შუალამის პოეტური დასდებლები და ფსალმუნები არსებითად თანხვედრილი აქვთ³⁴⁷, მაგრამ საგულისხმო განსხვავებებია იბაკოთა ნაწილში. ასე მაგალითად, S ხელნაწერის ძირითად ტექსტში იბაკობი შეტანილი არ არის, E ხელნაწერში ყოველ პოეტურ დასდებელთან მოტანილია თითო იბაკო, ნაცვლად სტრუქტურისათვის დამახასიათებელი ორისა, A ნუსხა შეიცავს იბაკოთა ისეთ ტექსტებს, რომელთა პარალელი დანარჩენ ნუსხებში არ ჩანს („დღეს საიდუმლოა შენი...“, „უფალო, პეტრეასნი იგი ცრემლნი...“). არ არის გამორიცხული, რომ ამ განსხვავებებში შუალამის განგების განვითარების სხვადასხვა ეტაპები და სხვადასხვა ტრადიციის ასახული, რაც სპეციალურ კვლევას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, კ. კეკელიძის, ა. ბაუმშტარკისა და პ. ლეების დაკვირვებები ვრცელდება უძველეს იადგარზეც. უფრო მეტიც, საგალობლები რიტუალის მხოლოდ ერთი მხარეა და მათი ფუნქცია და შესრულების წესი ლექციონარის ტექსტის გარეშე ნათელი არ არის.

შუალამის აღნიშნული დასდებლების გვერდით ლექციონარის S ნუსხის დანართში იოანე-ზოსიმეს შემოაქვს დასდებლების ახალი ჯგუფი: „დიდსავე ხუთშაბათსა შუალამისანი სხუანი იერუსალემელად. სხუანი შუალამისა დასადებლნი ახალნი ია-ნი“ (T App. I, 99—113). სათაურიდან გარკვევით ჩანს, რომ საგალობლების ეს ჯგუფი, რომელიც 11 პოეტური დასდებლისა და შესაბამისი ფსალმუნებისაგან შედგება, იერუსალიმური წარმოშობისაა და, ამავე დროს, პრაქტიკაში

³⁴⁶ Иерус. Канонарь, с. 215—221; Th. Kluge—A. Baumstark, Quadregesima und Karwoche Jerusalems im siebten Jahrhundert, S. 208—210, 223—225; L e e b, Die Gesänge, S. 238—250.

³⁴⁷ შტრ. T 642—662, E 136r, იადგარის ტექსტი, გვ. 191—195.

ახლად შემოღებული. 3. ლეები ვარაუდობს იმის შესაძლებლობას, რომ დასდებლები ახალ პროცესიას გულისხმობენ, რომლის პუნქტები 7-დან 11-მდეა გაზრდილი³⁴⁸.

შუალამის ახალი დასდებლები არც ლექციონარის (მათ შორის S-ის ძირითად ნაწილში) და არც უძველესი იაღგარის ნუსხებში არ ჩანს, მაშინ როცა იგი აღმოჩნდა ვრცელი რედაქციის ახალ იაღგარებში—Sin. 59-სა და Sin. 64-ში³⁴⁹. საგულისხმო ფაქტია, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ საქმე გვაქვს გვიანდელ შევსებასთან, რომელიც ახალი იაღგარების პარალელურად მიმდინარეობდა, და, ბუნებრივია, ვერ აისახა უძველეს იაღგარში. აღსანიშნავია, რომ ეს დასდებლები არ არის შეტანილი იოანე-ზოსიმეს E ხელნაწერში. ჩანს, E-ს შედგენისას იოანე-ზოსიმეს ისინი ხელთ არ ჰქონდა (არ იყო ჯერ კიდევ ქართულ პრაქტიკაში), ან არ მიიჩნია საჭიროდ მათი ჩართვა უძველეს იაღგარში.

ამრიგად, ვფიქრობთ, რომ დიდი ხუთშაბათის შუალამის ახალ დასდებლებს არც ლექციონარი და არც უძველესი იაღგარი არ იცნობს. ის შედარებით გვიანდელი მოვლენაა და ლექციონარის დათარიღების მიღებულ საზღვრებში, ვფიქრობთ, არ ექცევა. ეს დასდებლები, ამავე დროს, უფრო ადრეული ჩანს, ვიდრე „იერუსალიმური ტიპიკონი“, რადგან მათი ერთი ნაწილი, მსგავსად ძველი დასდებლებისა, გადასულია „იერუსალიმურ ტიპიკონსა“ და ბერძნულ მოგვიანო მარხვანებში³⁵⁰.

შევეხებით ვნების პარასკევის შუადღის განგებასაც.

იაღგარის ეს განგება, ისევე როგორც ლექციონარისა, 12 პოეტური დასდებლითა და შესაბამისი 12 ფსალმუნითაა წარმოდგენილი და ორივე ძეგლის ნუსხებში კომპოზიციისა და ტექსტის იშვიათი თანხვედრილობით გამოირჩევა³⁵¹. იაღგარის BCE ნუსხები ამავე დროს უჩვენებენ იმ ფსალმუნ-დასდებლებსაც, რომლებიც ლექციონარის მიხედვით შუადღის განგების საკითხავენის სისტემას უკავშირდება და განგებაში მე-5 დასდებლის შემდეგ ჩაერთვის საკითხავენთან ერთად. A ხელნაწერი ფსალმუნ-დასდებელთა ამ ჯგუფს არ შეიცავს, მაგრამ უდავოა, რომ მას იგი ლექციონარში ეგულება.

დიდი პარასკევის შუადღის განგება მრავალმხრივ განხილულია კ. კეკელიძის, ა. ბაუმშტარკისა და 3. ლეების შრომებში³⁵². გარკვეულია ამ დასდებლების ადგილი შემდგომი ეპოქების ბიზანტიურ რიტუალში.

3. ლეებმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ S ლექციონარის დანართში, რომელსაც არ იცნობდნენ კ. კეკელიძე და ა. ბაუმშტარკი, იოანე-ზოსიმეს, ამავე ხელნაწერის ძირითადი ნაწილისაგან განსხვავებით, შემოაქვს იბაკობი, რომელთა ტექსტი მხოლოდ დასაწყისებითაა მითითებული (სულ 10 იბაკო)³⁵³. ეს იბაკობი არ აღმოჩნდა ლექციონარისა და უძველესი იაღგარის არც ერთ

³⁴⁸ L e e b, Die Gesänge, S. 239. არ გამოირიცხავთ, რომ დასდებელთა რიცხვის მატება დაკავშირებულია საკითხავენის სისტემაში მომხდარ ცვლილებებთან.

³⁴⁹ სინურ ხელნაწ. აღწერილობა, I, გვ. გვ. 174 (39), 198 (67 ბ, შგშ.).

³⁵⁰ L e e b, Die Gesänge, S. 247—250.

³⁵¹ შდრ. ტექსტი, გვ. 198—203; T 665—698, App. I, 115—156; E 136r—v.

³⁵² Иерус. Канонарь, с. 221—223; Th. Kluge—A. Baumstark, Quadregesima und Karwoche Jerusalems im siebten Jahrhundert, S. 210, 225—228; L e e b, Die Gesänge, S. 253—259.

³⁵³ იხ. T App. I, 115—156.

ნუსხაში და ჭერჭერობით ვერც სხვაგან მივაკვლიეთ. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაშიც S ხელნაწერის ჰიმნოგრაფიული დანართის იმგვარ შევსებასთან გვაქვს საქმე, რომელიც ლექციონარსა და უძველეს იაღგარს არ შეხება.

ამრიგად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ S ნუსხისეულ გვიანდელ შევსებებს, გამოიკვეთება ის სახე, რომელიც უნდა ჰქონოდა ვნების ხუთშაბათისა და პარასკევის ძირითად განგებებს უძველესი იაღგარის დონეზე. არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული კომპოზიციების შესრულების ის წესიც, რომელსაც იოანე-ზოსიმე მკითხველს სთავაზობს³⁵⁴, ასევე შედარებით გვიანი მოვლენაა და ამიტომ არ ჩანს იაღგარის ნუსხებში.

ვნების კვირის ცალკეული მოვლენების შესწავლისათვის ახლა მეტი მასალა მოგვეპოვება, ვიდრე იგი ჰ. ლეებს ჰქონდა ხელთ. იაღგარისა და ლექციონარის ნუსხებსა და S ხელნაწერის ჰიმნოგრაფიული დანართის მონაცემებს შორის არსებული განსხვავებები, რომელთაგან ზოგიერთი უკვე აღვნიშნეთ, ყოველი კონკრეტული განგებისათვის ცალკე განხილვას ითხოვს, რადგან ამ განსხვავებებში ღვთისმსახურების წესის განვითარება მოჩანს და ამ ფონზე უძველესი იაღგარის შედგენილობის ის სახე, რომელზედაც მისი განვითარება უნდა შეწყვეტილიყო. აშკარაა, რომ S ხელნაწერის ჰიმნოგრაფიულ დანართს იოანე-ზოსიმე X საუკ. 80-იან წლების პრაქტიკას უფარდებდა, რის შედეგადაც მასში ისეთი ელემენტები თუ ცალკეული ტექსტები აღმოჩნდა, რომლებსაც არ იცნობს ამ დროისათვის უკვე ხმარებიდან გასული უძველესი იაღგარი. მეორეს მხრივ, იაღგარის ნუსხებიც შეიცავენ ზოგიერთ ისეთ მონაცემს, რომლებიც ლექციონარიდან უკვე ცნობილ ამა თუ იმ ფაქტს აზუსტებენ. ამის თვალსაჩინო მაგალითია ვნების შაბათის საზეიმო მწუხრის საგალობელი „ნათელ-იღე, ნათელ-იღე, იერუსალემ...“, რომელსაც საგანგებოდ განიხილავენ ა. ბაუმშტარკი და ჰ. ლეები³⁵⁵. ლექციონარის ნუსხებში აღნიშნული საგალობელი ერთადერთი ტროპარის დასაწყისითაა წარმოდგენილი (ასევეა იგი შესული იაღგარის ABCE ნუსხებშიც). ჰ. ლეები მას მწუხრის 140-ე ფსალმუნის რეფრენად განიხილავს. E ხელნაწარში აღმოჩნდა ამ საგალობლის გავრცობილი, მრავალსტროფიანი ტექსტიც (იხ. შენიშვნა E136v-ზე და სრული ტექსტი E 146v-ზე)³⁵⁶, რაც მწუხრის განგებაში მომხდარ ცვლილებებზე მიგვიჩივებს.

უძველესი იაღგარის ზატიკი

უძველესი იაღგარის ნუსხებში აღდგომის ზატიკი სხვადასხვა სისრულითაა მოცემული, როგორც დღესასწაულების, ასევე რიგითი დღეების თვალსაზრისით. იაღგარის შედგენილობის ზოგადად დახასიათებისას ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ნუსხათაგან ერთადერთია D, რომელმაც არ შემოინახა ზატიკი, რაც ხელნაწერის დეფექტურობით უნდა აიხსნას.

აღდგომის ზატიკი უძველეს იაღგარში 7-კვირიან სისტემას ქმნის, რაც ნათლად ჩანს BE ნუსხებში, რომლებშიც პერიოდი მთლიანი სახითაა წარმოდ-

³⁵⁴ T App. I, '58, 115—116.

³⁵⁵ Th. Kluge—A. Baumstark, Quadragesima und Karwoche Jerusalems im siebten Jahrhundert, S. 206, 232; Leeb, Die Gesänge, S. 264—268.

³⁵⁶ იგივე ტექსტი აღმოჩნდა Sin. 5 ხელნაწერში, იხ. 265v.

გენილი. თუმცა A ხელნაწერი ზატიკის რიგითი დღეების ჰიმნოგრაფიულ მასალას არ შეიცავს, მარტვილის კალენდარული მითითება ნათლად მიაჩნებოდა ამ ფაქტზე. აქ ნათქვამია: „მე-ზ-სა კუირაესა მარტვილიაჲ“ (გვ. 245). კვირა დღეთა ათვლაში, როგორც A-ს ამ რუბრიკიდან ჩანს, აღვსება არ არის შეტანილი, ათვლა იწყება აღვსების ორშაბათიდან, ამიტომ მარტვილია რიგით მე-7 კვირა დღეა. ასეთივეა ათვლა ლექციონარის LP ნუსხებში. BC-ში ათვლის სისტემა არ ჩანს. რაც შეეხება E-ს, აქ ათვლა აღვსებით იწყება, ამიტომ მარტვილია რიგით მე-6 კვირა დღეა (140v—141r). აღსანიშნავია, რომ იოანე-ზოსიმეს მიერ გადაწერილ ხელნაწერებში უპირატესობა ამგვარ ათვლას აქვს მინიჭებული³⁵⁷.

ნუსხათა შედარებითი შესწავლა გვიჩვენებს, რომ ის დონე, რომლისთვისაც მიუღწევია უძველეს იადგარის ზატიკის დღესასწაულთა ჰიმნოგრაფიული განვითარების თვალსაზრისით, AB ნუსხებშია ასახული. ამ ნუსხებში გვაქვს სწორედ იმ დღესასწაულთა ყველაზე ვრცელი რიგი, რომელთა მსახურებაში პოეტური საგალობლებია შემოღებული. ესენია: ახალკვირა, განრღვეულის განკურნება, ჩვილ ყრმათა ხსენება, ამალღება, ბრმის განკურნება და მარტვილია. უძველესი იადგარის დანარჩენ CE ნუსხებში დღესასწაულთა რიგი მოკლეა. C-ში შეტანილია მხოლოდ ამალღება და მარტვილია, E-ში—ახალკვირა, ამალღება და მარტვილია.

ზუსტად ახსნა და კვალიფიციერება ფაქტისა, თუ რატომ არ არის მოცემული ყველა ზემოთხაზოთვლილი დღესასწაული CE ნუსხებში, ალბათ არ მოხერხდება. ერთი რამ უდავოა, რომ CE ნუსხების შემდგენლებისათვის კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი ის დღესასწაულებიც, რომლებიც მათ კრებულებში არ აისახა. მით უმეტეს ითქმის ეს იოანე-ზოსიმეს შესახებ, რომელსაც ხელთ ჰქონდა B ხელნაწერი, რომლითაც იგი, ვფიქრობთ, სარგებლობდა E-ზე მუშაობის დროს. C და E ნუსხებში ზატიკის პერიოდის დღესასწაულთა შემოკლების მიზეზი ამ ნუსხათა საერთო მიზანდასახულებათა საძიებელი. C, როგორც გამოკრებილი იადგარი, როგორც ჩანს, შეჩერდა მხოლოდ დიდი მასშტაბის ძირითად საუფლო დღესასწაულებზე. E-ს სიმოკლე, უნდა ვიფიქროთ, განაპირობა იმ ვითარებამ, რომ მისი იადგარის „ძველი“ ნაწილი შეფარდებულია „ახალთან“, ხოლო ამ ნაწილში არც განრღვეულის, არც ჩვილ ყრმათა და არც ბრმის განკურნების დღესასწაულთა ახალი საგალობლები ჯერ კიდევ შეტანილი არ არის³⁵⁸.

ლექციონარისა და იადგარის ნუსხების შედარებითი შესწავლა გვიჩვენებს, რომ ამ ძეგლებში გარკვეულად ასახულია საგალობელთა თვალსაზრისით ზატიკის პერიოდის დღესასწაულთა ფორმირების პროცესი.

ლექციონარის ნუსხათაგან ზატიკის პერიოდი მხოლოდ LP ნუსხებშია შემონახეს. ამ ნუსხათა დეფექტურობის გამო ბევრი რამ დღეს სახეზე აღარ არის: ახალკვირა და ამალღება აკლია P-ს, ბრმის კურნება არ შემორჩა არც ერთ მათგანს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იადგარის AB ნუსხებისაგან განსხვავებით, LP ნუსხებში ზატიკის პერიოდში დაწესებულია კიდევ რამდენიმე დღესასწაული. ესენია: ღვთისმშობლისა და წმიდა ღელათა ხსენება (მე-2 სამშაბათს), განზო-

³⁵⁷ G a r i t t e, Calendrier, p. 118. მისივე: Un index géorgien des lectures évangéliques selon l'ancien rite de Jérusalem. Le Muséon, t. 85, fasc. 3—4, 1972, p. 358—370.

³⁵⁸ დიდი იადგარებიდან მხოლოდ განრღვეულისათვის დაწესებული საგალობლები დასტურდება Sin. 1-სა (133v—134r) და Sin 64-ში (148v—149r).

გება (მე-4 ოთხშაბათს) და გოლგოთას დადგმა საკურთხევისა (მე-7 შაბათს) (T 767—772, 843—845, 876—880). მაგრამ ისინი არ შეიცავენ პოეტურ საგალობლებს და ჰიმნოგრაფიული განვითარება მათ არ შეეხებიათ არც უძველესი იადგარის დონეზე.

წინასწარვე უნდა ითქვას, რომ იქ, სადაც LP ხელნაწერები უხარვეზოა და მათი ურთიერთშედარების საშუალება გვეძლევა, ნუსხები გვიჩვენებენ ჰიმნოგრაფიული განვითარების სხვადასხვა დონეს. ასე მაგალითად, განრღვეულის დღესასწაულისათვის L ნუსხა არ იცნობს ყამისწირვის პოეტურ დასდებლებს, P-ში კი არის ოხითაჲ და კელთაბანისაჲ (T 790, 796). უფრო მეტიც, L-ის სათაურში ჯერ კიდევ არ არის გამოკვეთილი დღესასწაულის შინაარსი (T 789), P ნუსხასთან, რომელიც მასთან შედარებით გაცილებით ვრცელია საკითხავების თვალსაზრისითაც, L-ს საერთო აქვს მხოლოდ საკითხავი იოანეს თავიდან (V, 1—23), შემოკლებული სახით (V, 19—23) (T 795), რომელიც საფუძვლად უნდა დასდებოდა ამ დღესასწაულს—მასში ქრისტეს მიერ სწეულთა განკურნების ეპიზოდია გადმოცემული. თუ აქვე ვიტყვი, რომ AB ნუსხებში შეტანილია ყამისწირვის კელთაბანისაჲ იგივე ტექსტი, რაც P ხელნაწერშია („უფალო, განრღვეული იგი...“ გვ. 228) და სიწმიდისაჲს ტექსტი („ანგელოზთა ერთი შენდა დიდებასა...“ გვ. 228), რომელიც სპეციალურად ამ დღესასწაულისათვის არ ჩანს დაწერილი, რადგან რამდენჯერმე მეორდება იადგარებში, შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ L-ს შემოუნახავს ამ დღესასწაულის ადრეული ვარიანტი, რომლის ფორმირება და ჰიმნოგრაფიული შეესება ასახულია P-სა და იადგარის ნუსხებში.

ანალოგიურია ვითარება ჩვილ ყრმათა დღესასწაულის შემთხვევაშიც. L ნუსხის სათაურში ჯერ კიდევ არ არის მითითებული დღესასწაულის სახელწოდება და არც პოეტურ საგალობლებს არ შეიცავს (T 810—818). ვფიქრობთ, რომ L ნუსხას უფრო ძველი პრაქტიკა აქვს დატული, ხოლო P და A ნუსხები დღესასწაულის შემდგომი განვითარების სურათს იძლევიან⁵⁹.

⁵⁹ ჩვილ ყრმათა დღესასწაული ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის. იგი დასტურდება იერუსალიმური ლექციონარის ადრეულ სომხურ რედაქციებში, სადაც იგი უძრავ თარიღებზეა დაწესებული (9 მაისს—იერუსალიმური და ერევნის ნუსხების, ხოლო 18 მაისს—პარიზული ნუსხის მიხედვით. Renoux, Codex 121, Edition, p. 335). თავის გამოკვლევაში ა. რენუ იძლევა სომხურ ნუსხებს შორის არსებული განსხვავებების ახსნას (Renoux, Codex 121, Introduction, p. 70—73). იგი ფართოდ იყენებს ქართული ლექციონარის მონაცემებსაც.

ქართული ლექციონარის ჩვილ ყრმათა დღესასწაულს პირველად ყურადღება ა. ბუშუმტარკმა მიაკცია (Th. Kluge—A. Baumstark, Osler-und Pflingstfeier Jerusalems im siebten Jahrhundert, Oriens Christianus, N. S., 6. Bd., 1916, S. 225—226). სწორედ მან ამოიკონა L ნუსხის შესაძებ ხუთშაბათის უსათაურო მასალაში აღნიშნული დღესასწაული. მანვე შენიშნა, რომ ზატიაჲ შესაძებ სამშაბათის, ოთხშაბათისა და ხუთშაბათის განგებთა ფსალმუნებსა და სახარების საკითხავებში ჩანს კავშირი შობის დღესასწაულთან. ა. ბუშუმტარკის აზრით, თავდაპირველად თარიღზე არსებული ჩვილ ყრმათა დღესასწაული (ამ ფაქტს იგი იცნობს სომხური ლექციონარის კონიერისეული გამოცემიდან) დროთა ვითარებაში დაუკავშირდა მოძრავ ციკლს, რაც ასახულია L ხელნაწერში. მისი ვარაუდით, 16 და 17 მაისი ოდესღაც პალესტინური ტრადიციით ქრისტეს შობის აღსანიშნავი დღეები უნდა ყოფილიყო, რაც აგრეთვე შემორჩა ქართული ლექციონარის მოძრავ ციკლს.

ჩვენის მხრივ შევნიშნავთ, რომ სომხური და ქართული ლექციონარების ნუსხათა საკითხავებისა და ფსალმუნების შედარებითი შესწავლა ჩვილ ყრმათა დღესასწაულის განგების განვითარების ერთ უწყვეტ ხაზს უჩვენებს. L ხელნაწერი მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს მის წინამორბედ სომხურ რედაქციასთან, ხოლო P-ში განგების ყველაზე ვრცელი რედაქციაა დატული.

აღნიშნულ დღესასწაულებს იაღვარის დონეზე განვითარება თითქმის არ განუცდიათ. განრღვეულისათვის AB-ს შემოაქვს მხოლოდ სამსტროფიანი უფალო ღალადყავსა (გვ. 227), ხოლო ჩვილ ყრმათა დღესასწაულისათვის—ორ-ორსტროფიანი უფალო ღალადყავსა და აქებდითსა (გვ. 229). საგალობლები დღესასწაულის თემაზეა დაწერილი.

იაღვარის დონეზე განვითარება არ შეხებია ბრმის განკურნების დღესასწაულს, რომელიც AB-ში მხოლოდ ქამისწირვის საგალობლებითაა წარმოდგენილი (აკლია მხოლოდ ოხითაჲ გვ. 243—244). ლექციონარის ნუსხებს მათი დაზიანების გამო ეს დღესასწაული არ შემორჩათ და ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ გამოიყურებოდა იგი LP ნუსხებში. ფსალმუნური საგალობლების არსებობა იაღვარის განგებაში იმის მიჩვენებელია, რომ არსებობდა შესაბამისად ამ დღესასწაულისათვის განკუთვნილი საკითხავებიც, რომლებიც, ბუნებრივია, ლექციონარში უნდა ყოფილიყო ფიქსირებული³⁶⁰.

ზატიკის პერიოდის დიდ საუფლო დღესასწაულებს — ახალკვირას, ამაღლებას და მარტვილიას ნუსხებში ვრცელი განგებები ახასიათებთ, რომლებშიც წარმოდგენილია წინაღლის მწუხრის, ცისკრის და ქამისწირვის საგალობლები. ამას გარდა ახალკვირას დაწესებულია საკუთრივ სადღესასწაულო მწუხრი, ხოლო მარტვილიას—მე-9 ეამზე. შესასრულებელი მსახურება, რომელიც აგრეთვე მწუხრის თანმიმდევრობით თავდება. ახალკვირისა და მარტვილიის განგებათა ეს თავისებურება, როგორც ირკვევა, ლექციონარით არის განპირობებული.

ასე მაგალითად, ლექციონარის LP ნუსხებიდან ირკვევა, რომ მარტვილიის დღეს, მე-9 ეამზე დაწესებულია საზეიმო მსვლელობა ზეთისხილის მთაზე, ამაღლების ეკლესიაში, სადაც სრულდება სპეციალური მსახურება. მსვლელობა ითვალისწინებს კიდევ რამდენიმე წმინდა ადგილის მოვლას და მთავრდება სიონის ეკლესიაში მწუხრით. საზეიმო პროცესიას თან ახლავს ფსალმუნების შესრულება პოეტური რეფრენების თანხლებით, ლოცვების წარმოქმნა და საკითხავების კითხვა (T 889—896). აღნიშნული მსვლელობის სქემა დაწვრილებით არის აღწერილი და განმარტებული ჰ. ლეების გამოკვლევაში³⁶¹. უძველესი იაღვარის მარტვილიის მე-9 ეამის თანმიმდევრობა არ არის ისეთი სრული, როგორც იგი ლექციონარშია, ამასთანავე გაუგებარია იმ ფსალმუნ-დასდებლის ფუნქცია, რომელიც A ნუსხას განგების დასაწყისში მოაქვს (გვ. 250). ლექციონარის მიხედვით კი ირკვევა, რომ ეს ის ძირითადი საგალობელია, რომელიც ამაღლების ეკლესიაში მისვლის დროს უნდა შესრულდეს (50-ე ფსალმუნის მე-13—მე-14 მუხლები)³⁶². ამრიგად, ლექციონარს სიცხადე შეაქვს იაღვარში ფრაგმენტულად, ყოველგვარი განმარტების გარეშე მოტანილ მასალაში, რომლის დანიშნულება იაღვარის ფარგლებში ლექციონარის გარეშე ნათელი არ არის.

ახალკვირის, ამაღლებისა და მარტვილიის დღესასწაულები იაღვარის ნუსხებში არსებითად ერთსა და იმავე სტიქარონებსა და ცისკრის გალობებს შეიცავენ. საგალობელთა უმრავლესობა ერთფენოვანია. საგალობელთა სტროფული

³⁶⁰ ამავე დღესასწაულის შესახებ იხ. აქვე, გვ. 724.

³⁶¹ L e e b, Die Gesänge, S. 268—271.

³⁶² შდრ. T 890.

შედგენილობითაც ნუსხები ძალიან დიდ მსგავსებას ავლენენ. ნუსხებს შორის არსებული განსხვავებებიდან გამოვყოფთ ორ მომენტს, რომლებიც, ჩვენის აზრით, საეკლესიოა: 1. ახალკვირის ცისკრის გალობანი B-ში არ შეიცავს მონიხილესას. ეს ერთი იმ კანონთაგანია უძველესი იაღგარის რეპერტუარიდან, სადაც არ დასტურდება მეორე ოლა. იმავე კანონისათვის მეორე ოლა შესულია A ნუსხაში. 2. ახალკვირის აქებდითსას მეორე, ფენა E ნუსხიდან (E 137r), რომელსაც არ ეძებნება პარალელი არც ერთ იაღგარში, აღმოჩნდა ახალი რედაქციის დიდ იაღგარებში—Sin. 1-სა და Sin. 14-ში იმავე დანიშნულებით³⁶³. საინტერესოა, რომ ხელნაწერები აღნიშნულ საგალობლებს „ქართულს“ უწოდებენ. უნდა ითქვას, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს ერთ იმ იშვიათ ფაქტთან, როცა უძველესი იაღგარის რეპერტუარიდან საგალობელი ახალ იაღგარში მეორდება. უძველესი და ახალი იაღგარების მკაცრად გამიჯნული შედგენილობა იშვიათად გვაძლევს ამგვარ ფაქტს. ამჟამად, რომ სახელწოდება „ქართული“, Sin. 1 და Sin. 14 კრებულების შემდგენლებისათვის, ძველის, ძველი რეპერტუარიდან აღებული სინონიმია.

უამისწირვის და მწუხრის პოეტური და ფსალმუნური საგალობლების თვალსაზრისით იაღგარის ნუსხები ერთმანეთის მიმართ გარკვეულ განსხვავებებს იძლევიან. ვიტყვი, ზოგადად, რომ განსხვავებები ლექციონარისა და იაღგარის ნუსხების საერთო რეპერტუარის ფარგლებშია მოქცეული და ერთ ღონეს გვიჩვენებს.



ზატიკის სადა დღეების საგალობლები მხოლოდ BE ნუსხებშია შეტანილი. B-ში ეს არის აღესებიდან მარტვილიამდე დღეთა თანმიმდევრობაზე დალაგებული ფსალმუნური საგალობლები—ფსალმუნ-დასდებლები და ალელუა-ფსალმუნები (გვ. გვ. 219—220, 225—228, 230—233, 243—245). იგივე ფსალმუნები იოანე-ზოსიმეს E ნუსხაში ცალკე ჯგუფად აქვს გამოყოფილი სათაურით: „ზატიკთა ფსალმუნნი და ალელუაჲთ-ფსალმუნნი“ (E 140v—141r). ამ ჯგუფში წარმოდგენილია მე-2—მე-7 კვირათა ფსალმუნები, ხოლო პირველი კვირა იოანე-ზოსიმეს მოუთავსებია დღესასწაულთა რიგში აღესებასა და ახალკვირას შორის (136v). ეს ორი ნაწილი სათანადო შენიშვნებითაა დაკავშირებული ერთმანეთთან და ერთ მთლიანობას ქმნის.

BE ნუსხების შედარება გვიჩვენებს, რომ E სრულია, მასში შევიდკვირიანი პერიოდის ყველა სადა დღეზე დაწესებული ფსალმუნური საგალობლებია შეტანილი, ზოგჯერ დღესასწაულებისაც კი, რასაც ვერ ვიტყვი B-ზე. იგი თანმიმდევრული არ არის. დღეთა ნაწილს აკლია ალელუები, არ არის მასში შეტანილი არც კვირა დღეთა ფსალმუნები.

უძველესი იაღგარის აღესების ზატიკის სადა დღეების სახე ლექციონარით არის განპირობებული. ლექციონარში სადა დღეებს გარკვეული სტრუქტურა აქვთ, რაც დაცულია მთელი პერიოდის მანძილზე:

³⁶³ სინურ ხელნაწ. აღწერილობა, I, გვ. 22, 46.

ფსალმუნ-დასდებელი, საკითხავი საქმე მოციქულთადაც, საკითხავი კათოლიკე ეპისტოლედან, ალელუაჲ, საკითხავი სახარებიდან.

მოცემულ თანმიმდევრობაში საკითხავების წინ, როგორც წესი, დაწესებულია საკითხავთა შესატყვისად ფსალმუნ-დასდებელი და ალელუა-ფსალმუნი. იადგარის აღსვების ზატიკის საგალობლები კი სხვა არაფერია, თუ არა ლექციონარის აქ წარმოდგენილი განგებიდან გამოკრებილი ფსალმუნები, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ლექციონარისა და იადგარის ნუსხებში ტექსტობრივადც თანხვედრილია³⁶⁴ და უმნიშვნელო განსხვავებებს იძლევა. მცირე განსხვავებები თვით ლექციონარის ნუსხებს შორისაც არსებობს.

ამრიგად, ირკვევა, რომ ზატიკის სადა დღეებს უძველესი იადგარის დონეზე ჰიმნოგრაფიული განვითარება არ შეხებია და ამიტომ იადგარში ის სახეა შენარჩუნებული, რაც ლექციონარში გვაქვს. სადა დღეების პოეტურ დასდებლებს არც ლექციონარი და არც უძველესი იადგარი ჭერ კიდევ არ იცნობს. ეს ვითარება, როგორც ირკვევა, თვით X საუკუნის დასასრულამდე გაგრძელდა, რაც იქიდან ჩანს, რომ არც ერთ ახალ იადგარში არ დასტურდება სადა დღეების განვითარებული სახე. სამსაგალობლების სისტემა ახალ იადგარებში ჭერ კიდევ შემოსული არ არის³⁶⁵.

ამგვარი ვითარების ფონზე, ვფიქრობთ შესაძლებელია აიხსნას, თუ რატომ არ არის ზატიკის სადა დღეები იადგარის ყველა ნუსხაში, კერძოდ AC-ში. უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა გადამნუსხველი არ თვლიდა საჭიროდ ზატიკის ფსალმუნების იადგარში შეტანას, რადგან ისინი ლექციონარში ეგულებოდა. ზატიკის ფსალმუნები, როგორც ამას ლექციონარის სტრუქტურა გვიჩვენებს, ბიბლიურ საკითხავებთან დაკავშირებული საგალობლებია და საკითხავების გარეშე მათ არსებობას აზრი ეკარგება. ამიტომ განუჩრჩევლად იმისა, თუ სად იყო ფსალმუნები ფიქსირებული, მათი ლიტურგიკული კონტექსტი და გამოყენება ლექციონარით იყო განსაზღვრული და მთლიანად მასზე დამოკიდებული.

ლექციონარისა და იადგარის ნუსხების შედარებით გამოიკვეთა ზატიკის ფსალმუნთა კიდევ ერთი საინტერესო მხარე. აღმოჩნდა, რომ ლექციონარში ზატიკის კვირა დღეებში ერთი და იგივე ფსალმუნ-დასდებელი სრულდება (ფსალმუნი: შენდა შუენის გალობაჲ... დასადებელი: შეგესმინ, ღმერთო, ლოცვისა³⁶⁶). ამგვარივე ვითარებაა E-ში (140v—141r). რაც შეეხება საკვირაო ალელუებს, ისინი ლექციონარის ნუსხათა დეფექტურობისა და ფსალმუნთა გამოტოვების შედეგად მხოლოდ მე-3 და მე-6 კვირათა განგებებს შემორჩა თითო ნუსხით. აქ ორი ტრადიცია ჩანს: P ნუსხისა, რომლის მიხედვით გვაქვს: „უფალო, ძალითა შენითა...“ (T 832) და L ნუსხისა, რომლის მიხედვით ალელუაჲს ტექსტია: „აქებდ იერუსალემი უფალსა...“ (T 857 სქ.). E ნუსხა მისდევს L-ს და დასტურებს ამ ტექსტის გამოყენებას ყველა კვირა დღეს (140v—141r).

აღნიშნული სპეციფიკა გვაფიქრებინებს, რომ B ნუსხის ვადამწერმა შეგნე-

³⁶⁴ ლექციონარის ნუსხებიდან აღსვების ზატიკი დაცულია LP-ში. ფურცელთა კლების გამო ზოგიერთი დღის მასალა ლექციონარში არ შემორჩენილა. დანარჩენი მასალის შედარება აღასტურებს უიარესად მჭიდრო კავშირს ლექციონარისა და იადგარს შორის.

³⁶⁵ ზატიკის ცალკე ჰიმნოგრაფიულ კრებულად ჩამოყალიბება და მისი შეესება სამსაგალობლებით ათონურ პერიოდთან ჩანს დაკავშირებული.

³⁶⁶ შდრ. T 797 (PL), 829 (P), 849 (P), 857 სქოლიო (L).

ბუღალდ აარიდა თავი ერთი და იმავე ფსალმუნების მრავალგზის გამეორებას და ამიტომ გამოტოვა კვირა დღეები.

3. ლეებმა, რომელმაც გამოიკვლია ქართული ლექციონარების მიხედვით ფსალმუნ-დასდებლებისა და ალელუების ადგილი და დანიშნულება იერუსალიმურ ღვთისმსახურებაში, ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ აღესებიდან მარტილიამდე ფსალმუნები გარკვეული სისტემით არის შერჩეული და დაახლოებით მისდევს ფსალმუნთა აღმავალ რიგს³⁶⁷. მაგრამ უნდა ითქვას, რომ BE იადგარებში, რომლებშიც ფსალმუნების უფრო სრული სურათია მოცემული, ეს წესი თანმიმდევრულად გატარებული არ ჩანს.

თუ შევაჯამებთ ჩვენს მიერ წარმოებულ კვლევას, უნდა ვთქვათ, რომ უძველესი იადგარის აღდგომის ზატიკი ჰიმნოგრაფიული თვალსაზრისით განვითარების სხვადასხვა დონეს გვიჩვენებს. მის სადა დღეებს, როგორც ვნახეთ, ლექციონართან შედარებით განვითარება არ შეხებია და ცალკეულ ნუსხებში ლექციონარიდან მომდინარე ფსალმუნური საგალობლებითაა წარმოდგენილი. ეს ვითარება, ვფიქრობთ, ძალაში დარჩა მას შემდეგაც, რაც საღვთისმსახურო პრაქტიკაში უძველესი იადგარი ახალმა იადგარებმა შეცვალეს. ეს კარგად ჩანს, ერთის მხრივ E-დან, სადაც ზატიკის ფსალმუნები ცალკე ნაწილად არის გამოყოფილი, როგორც ახალი იადგარის აუცილებელი შევსება. ეს ჩანს იქიდანაც, რომ ახალი იადგარის არც ერთ ნუსხაში ზატიკის სადა დღეებისათვის შემოღებული ახალი საგალობლები ჯერ კიდევ არ დასტურდება.

დღესასწაულების თვალსაზრისით იადგარი მთლიანად ლექციონარის მიმდგომია. მასში მხოლოდ ის დღესასწაულებია ასახული, რომელთაც ლექციონარშიც ახასიათებთ პოეტური საგალობლების შემოღება. ახალი იადგარები ამ მხრივ ლექციონარს სცილდებიან და ისეთი დღესასწაულებიც შემოაქვთ, რომელთაც ლექციონარის ნუსხები არ იცნობენ³⁶⁸. თუ გავითვალისწინებთ, რომ ლექციონარის LP ნუსხები საგულისხმოდ განსხვავებებს შეიცავენ, რის საფუძველზეც ჩვენ ვთვლით, რომ მათში განვითარების განსხვავებული ეტაპებია ასახული, უნდა ვთქვათ, რომ უძველესი იადგარის ნუსხები უფრო P ხელნაწერის დონეს შეესაბამებინ.

უძველესი იადგარის მცირე სადღესასწაულო პერიოდები

ზემოთ უკვე ითქვა, რომ აღდგომის ზატიკის გარდა უძველესი იადგარის ნუსხებში დასტურდება ერთკვირიანი სადღესასწაულო პერიოდები, რომლებიც აგრეთვე ზატიკად იწოდებიან. მხედველობაში გვაქვს განცხადებისა და ენკენიის სადღესასწაულო ოქტავეები (იხ. გვ. 60—73, 314).

ქართული ლიტურგიული, აგიოგრაფიული, საისტორიო და სხვა ხასიათის ბეგლების შესწავლამ ტერმინ „ზატიკის“ მრავალი მნიშვნელობა გამოავლინა, რაც განმარტებულია სხვადასხვა მკვლევართა ნაშრომებში³⁶⁹.

³⁶⁷ Lee b, Die Gesänge, S. 78—79.

³⁶⁸ მხედველობაში გვაქვს ელია წინასწარმეტყველისა და იოსებ არიმათიელის ხსენებები Sin. 1, Sin. 14; Sin 64 იადგარებიდან (იხ. სინურ ხელნაწ. აღწერილობა, I, გვ. გვ. 22, 23, 46, 47, 199, 200).

³⁶⁹ Литург. памятники, с. XX—XXIV; Иерус. Канонарь, с. 328. კ. კ ე ე ლ ი ძ ე. ქართული ლიტურგიის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 595—597; მისივე: ძველი ქართული ეორტა-50. იადგარი

ლექციონარის ვრცელი რედაქციის ნუსხებში ტერმინ „ზატიკის“ ხმარების ყველა შემთხვევის ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი ამ ძეგლში სამი სადღესასწაულო პერიოდის აღსანიშნავად იხმარება — აღდგომის, განცხადებისა და ენკენიის. ამასთანავე ნიშანდობლივია, რომ აღდგომის შეიდეგირიან პერიოდს ჰქვია „ზ ა ტ ი კ ნ ი“, სიტყვის მრავლობითის ფორმით. ლექციონარის ხელნაწერთა რუბრიკებიდან და ტიპიკონური შენიშვნებიდან ნათლად ჩანს, რომ „ზატიკი“ აღნიშნული პერიოდის ყოველ ცალკეულ შეიდეულს ეწოდება³⁷⁰, ხოლო მთელი პერიოდი გააზრებულია როგორც „ზატიკთა“ ანუ შეიდეულთა ერთობლიობა, ანუ „ზატიკნი“³⁷¹. ჩანს „შეიდეულის“, როგორც ტექნიკური ტერმინის შემოღებამდე, რაც ათონურ პერიოდთან უნდა იყოს დაკავშირებული, ადრეულ ქართულ ლიტურგიულ ძეგლებში ამ დანიშნულებით გამოყენებული იყო ტერმინი „ზატიკი“. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო მასალას იძლევა Sin. 74 ხელნაწერი. აქ ზუსტად ერთი და იმავე შინაარსის გადმოსაცემად ხან სიტყვა „ზატიკი“ იხმარება, ხან კი „შეიდეული“ (Sin. 74, 144r, 159v და ა. შ.). არ არის გამორიცხული, რომ „ზატიკი“ საკუთრივ სადღესასწაულო შეიდეულს ნიშნავს.

ფიქრობთ, „ზატიკის“ შინაარსის ამგვარი გააზრება უდევს საფუძვლად იმ ფაქტს, რომ ლექციონარის განცხადებისა და ენკენიის ერთკვირიანი პერიოდებიც „ზატიკად“ იწოდება. მ. თარხნიშვილი მიუთითებს აგრეთვე მარტვილიის ზატიკის არსებობას, თუმცა ლექციონარის ჩვენს ხელთ არსებულ ნუსხებში იგი არ ჩანს³⁷². მარტვილიის ზატიკი მართლაც დასტურდება ახალი იადგარის ორ ნუსხაში, Sin. 1-სა და Sin. 64-ში. მარტვილიის ორშაბათის მწუხრის უფალო დაღადაცვას ახლავს შენიშვნა: „ზატიკი აქუს და მსგეფსამდე ამათ იტყვან სიონს“ (Sin. 1, 142v, Sin. 69, 156v). ამრიგად, გამოიყოფა დღესასწაულების ჯგუფი, რომელთა სადღესასწაულო ერთკვირიანი პერიოდები „ზატიკად“ იწოდება³⁷³.

აქ წარმოდგენილი ვითარების ფონზე შესაძლებელი ხდება ავხსნათ უძველესი იადგარის ანალოგიური მოვლენები და მათი თავისებურებები.

განცხადების ზატიკი იადგარის ABE ნუსხებში დასტურდება. ყველაზე გამოკვეთილი სახე მას A ნუსხაში აქვს, სადაც ყველა დღე წარმოდგენილია საკუთარი

ლოგიური წელიწადი, ეტიუდები, ტ. I, 1956, გვ. 727; M. Tarchnischvili, Zwei georgische Lectionarfragmente, S. 283—284. (უფრო ადრე იგივე სტატია გამოქვეყნდა: Kyrios, № 6, 1942, S. 1—28); მისივე: Geschichte der georgischen kirchlichen Literatur, S. 454; მისივე: Le grand Lectionnaire, II, p. 157; - Garitte, Calendrier, p. 116. ი ლ ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 162. ც. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე, ძველი აღქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები, I, თბ., 1970, გვ. 435. „ზატიკი“ განმარტებულია ს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს „სიტყვის კონაში“, თხზ. კრებულში, ტ. 4, ნაკვ. 1, თბ., 1965, გვ. 281.

³⁷⁰ T 37, 50 (შგშ.), 757, 758 და ა. შ.

³⁷¹ T 897; საეულისხმოა აგრეთვე ის სათაური, რომლითაც იოანე-ზოსიმე იადგარის E ხელნაწერში აღდგომის ზატიკის ფსალმუნებს გამოყოფს: „ზატიკთა ფსალმუნნი და ალელუამთ ფსალმუნნი“ (E 140v)

³⁷² M. Tarchnischvili, Zwei georgische Lectionarfragmente, S. 283—284.

³⁷³ კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ ერთკვირიანი პერიოდი უნდა ჰქონოდა წმ. გიორგის 3 ნოემბრის დღესასწაულსაც, რის შედეგადაც უნდა იყოს წარმოშობილი ქართული ლექციონარისათვის დამახასიათებელი 10 ნოემბრის დღესასწაული ამავე წმინდანის სახელზე (Иерус. Ка-нонаръ, с. 282—286).

განგებით. ეს განგებები მე-2—მე-7 დღეებისათვის საგალობელთა ერთი და იგივე თანმიმდევრობით ხასიათდება: უფალო ღალადუყავსა, ორსაგალობელი (აკურთხევიდითსა, აღიდებდითსა), აქებდითსა, ფსალმუნ-დასდებელი (გვ. 60—67)

შეენიშნავთ, რომ მე-7 დღის განგებაში ჩნდება კიდევ ერთი ელემენტი — ალელუაჲ. განსხვავებულია ზატიკის უკანასკნელი დღის განგება, რომელიც მსგებსად ანუ დღესასწაულის სწორად ითვლება. მასში შემოტანილია ცისკრის სრული კანონი და ჟამისწირვის საგალობლები (გვ. 67—73).

შედარება გვიჩვენებს, რომ იადგარის განცხადების ზატიკი ლექციონარის საფუძველზეა აგებული. სწორედ P ნუსხაში, რომელმაც შემოგვინახა ეს მონაკვეთი³⁷⁴, მე-2—მე-7 დღეების განგება ელემენტთა ერთსა და იმავე თანმიმდევრობას უჩვენებს (ფსალმუნ-დასდებელი, საკითხავი პავლეს სამოციქულოდან, ალელუაჲ, სახარების საკითხავი), ხოლო მე-8 დღეს მოცემულია ჟამისწირვის სრული განგება. ლექციონარზე დამოკიდებულება ჩანს ფსალმუნურ საგალობლებშიც, რომლებიც ტექსტობრივად საერთოა ლექციონარისა და იადგარისათვის.

თავისებურია ვითარება, რომელსაც იადგარის B ნუსხა უჩვენებს. აქ საკუთრივ განცხადების დღის განგების შემდეგ შეტანილია ცისკრის სრული გალობანი და აქებდითსა სათაურით: „ზატიკისა დასადებელი“ (B 27v—34r). კანონის უკანასკნელი ორი გალობა და აქებდითსა მრავალფენიანია, შედგენილია სხვადასხვა ხმის გალობებისაგან. აღმოჩნდა, რომ ეს ფენები ტექსტობრივად ემთხვევა A-ში ცალკეულ დღეებზე წარმოდგენილ შესაბამის საგალობლებს. თანხვედრილია ამავე კანონის ძირითადი ფენა და A-ს მე-8 დღის სრული კანონი.

თუმც E ნუსხაში ზატიკის ყველა დღე ცალკეა წარმოდგენილი (E 135 r), საგალობელთაგან მასში მხოლოდ ფსალმუნებია მოტანილი — ყოველი დღისათვის ფსალმუნ-დასდებელი და ალელუაჲ, ისე როგორც ეს ლექციონარშია. შედარება გვიჩვენებს, რომ A ხელნაწერს ალელუები აკლია.

A-ში განცხადების ოქტავის მასალა ოქტოიხოსის პრინციპზეა აგებული. თუმც B ნუსხის ზატიკისათვის განკუთვნილი საგალობლები სხვადასხვა ხმაზეა წარმოდგენილი, A-ს მსგავსი მოწესრიგებულობა B-ში არ დასტურდება, ოქტოიხოსის პრინციპი არ ჩანს არც E-ში. აქ ფსალმუნურ საგალობლებთან ხმები მითითებული არ არის.

A ხელნაწერი საინტერესოა იმითაც, რომ იგი შეიცავს საგულისხმო ტიპიკონურ შენიშვნებს.

განცხადების მე-2 დღეს ანუ 7 იანვარს A-ში შეტანილია აბოს ხსენების საგალობლები, რასაც შემდეგ მოსდევს საკუთრივ განცხადების მე-2 დღის საგალობლები. ამ ორი სხვადასხვა დანიშნულების მასალის ერთმანეთისაგან გამიჯვნის მიზნით აბოს საგალობლების შემდეგ A-ს შემოაქვს რუბრიკი: „მწუხრი ზატიკისანი“ (გვ. 60), რითაც იგი ზუსტად განსაზღვრავს მომდევნო

³⁷⁴ T 117, 119—141. ლატალის ნუსხა ნაკლებია, მაგრამ მის სხვადასხვა ნაწილებში არსებული შენიშვნები ადასტურებენ ხელნაწერში განცხადების ზატიკის არსებობას. ეს შენიშვნები მკითხველს მიუთითებენ ზატიკის ცალკეულ დღეებზე დაწესებულ მასალაზე მათი სხვაგან გამოყენების მიზნით (T 494, 804, 949, 969—971).

დასდებლების დანიშნულებას. თუმც ეს დანიშნულება ჩანს როგორც სტრუქტურაში, რომელიც მეორდება მომდევნო დღეებშიც, ასევე საგალობელთა შინაარსშიც.

განცხადების მე-8 დღის განგებაში კი ჩართულია ორი განმარტება: „უფალო ღალატყავსა განცხადებისანი ამსახურნე და ესე გალობათა კუირაესა ზატიკსა სთქუნე“ (გვ. 67). „ზატიკსა რომელ კურაეფ დახუდეს, მუნ სთქუნე გალობათა“ (გვ. 72). ამ შენიშვნებში ორი მომენტია განმარტებული: 1. განცხადების მე-8 დღეს უფალო ღალატყავსა ის ტექსტი უნდა შესრულდეს, რომელიც საკუთრივ განცხადების განგებაშია მოთავსებული. 2. მე-8 დღის ცისკრის სრული გალობანი უნდა შესრულდეს ზატიკის პერიოდის იმ დღესაც, რომელსაც კვირა დღე დაემთხვევა.

აღნიშნულის გარდა A-ს მე-2 დღის განგებაში არის კიდევ მინაწერი, რომელიც აბოს ხსენების საგალობლებს შეეხება და ფურცლის ძლიერი დაზიანების გამო დღეს ფრაგმენტულადაა მოღწეული: „ესე აბოჲსნი დ ზატიკსა, რომელ მეოთხესა სწერიან...“ (გვ. 57, შწმ.)³⁷⁵. ამ მინაწერის შესახებ იხ. აქვე, გვ. 869.

ენკენიის ზატიკი უძველესი იადგარის მხოლოდ AE ნუსხებშია შეტანილი. ორივე ნუსხაში ენკენიის მომდევნოდ მე-3—მე-8 დღეები წარმოდგენილია ფსალმუნური საგალობლებით, იმ განსხვავებით, რომ A შეიცავს მხოლოდ ფსალმუნ-დასდებლებს (გვ. 314), E კი—აღელულებსაც (E 137v). ლექციონართან შედარება გვიჩვენებს, რომ იადგარის დონეზე ენკენიის ზატიკს ჰიმნოგრაფიის თვალსაზრისით განვითარება არ შეხებია. არც ერთი პოეტური დასდებელი ამ პერიოდში

³⁷⁵ განცხადების მეორე დღის ჩვენ მიერ დასახელებულ მინაწერებს აბოს ხსენებისა და ზატიკის მწუხრის შესახებ თავის დროზე ყურადღება მიაქცია კ. კეკელიძემ (Литург. памятники, გვ. XXIII). რადგან კ. კეკელიძისათვის იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი „ზატიკის“ მნიშვნელობა, დაკავშირებული განცხადებასთან, მან აბოსა და განცხადების საგალობლები ხელნაწერის გარეთ ივარაუდა. სწორედ ამ მინაწერის საფუძველზე კ. კეკელიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ადრეულ პერიოდში, „თენების“ შემოღებამდე, უნდა არსებულყო „ზატიკად“ წოდებული წიგნი, რომელიც შეიცავდა წელიწადის კალენდარულ დღესასწაულთა საგალობლებსაც. ეს ვარაუდი გამეორებულია კ. კეკელიძის „ძველი ქართული ლიტურატივის ისტორიის“ გამოცემებში. „თენის“ განმარტებასთან კ. კეკელიძე წერს: „ეს სახელი ხმარებაში შემოდის XII საუკუნეში, გიორგი მთაწმიდლის დროიდან, მანამდე კი, პირველ პერიოდში, ამ კრებულს სხვადასხვა სახელი ერქვა. პირველ ყოვლისა, მას ეწოდებოდა „ზატიკი“, რაც, როგორც ზემოთაუ აღვნიშნეთ, დღესასწაულთა წიგნს ნიშნავს. ეს რომ ასეა, ჩანს მეცხრე საუკუნის პაპირუს-პერგამენტის ჩიზნოგრაფიული კრებულიდან, რომელშიაც ვკითხულობთ: ესე აბოჲსნი დასდებელნი ზატიკსა სწერიან“ ანდა „მწუხრი (7 იანვრის) ზატიკისანი“. ცხადია, აქ ვერ ვივლისსხმებთ „ზატიკად“ აღდგომის პერიოდის ჰიმნებს, რომლებიც 6 და 7 იანვარს არასდროს მოდის“ (კ. კეკელიძე, ქართული ლიტურატივის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 596—597).

ჩვენ აქ ვუჩვენებთ, რომ „მწუხრის ზატიკისანი“ A ხელნაწერის ფარგლებშივე პოულობს ახსნას და იგი განცხადების მე-2 დღის საგალობლებს გულისხმობს. აბოს საგალობლების შესახებ მინაწერის კ. კეკელიძისეული წაკითხვაიც, როგორც ვხედავთ, არ შეესაბამება ხელნაწერის ნამდვილ ვითარებას. ასე რომ, კილ-ეტრატის ხელნაწერი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ აბოს ხსენებისა თუ განცხადების საგალობლებს მის ფარგლებს გარეთ დაეუწყეთ ძებნა. „ზატიკად“ წოდებული ცალკე ჰიმნოგრაფიული კრებული XI საუკუნემდე ქართულ სინამდვილეში არ დასტურდება და, როგორც ჩანს, არც არის მოსალოდნელი არა თუ სათვეო-სადღესასწაულო მასალის შემცველი კრებულის მნიშვნელობით, არამედ ტრადიციული მნიშვნელობითაც, როცა ამგვარი სახელწოდებით აღნიშნულია აღდგომის პერიოდის საგალობლების კრებული. ლიტურგიკული წელიწადის ამ პერიოდის მასალა შეტანილია ლექციონარსა და იადგარებში.

ოდისათვის შემოღებული არ არის. ამასთანავე, ფსალმუნები ტექსტობრივად აგივეა, რაც ლექციონარში. იაღგარის სახეს მთლიანად ლექციონარი განაპირობებს. შესაძებლთა ამით აიხსნას ის ფაქტი, თუ რატომ არ არის ენკენისის ზატიკი შეტანილი იაღგარის სხვა ნუსხებშიც, კერძოდ, BC-ში. უნდა ვიფიქროთ, რომ გადამნუსხავეები ზმირად საკიროდ არ თვლიდნენ იაღგარებში იმ ნაწილების შეტანას, რომლებიც ისეთივე სახით ლექციონარში ეგულებოდათ.

უძველესი იაღგარის პლასტური ბუნება

ზემოთ ჩვენ შევეცადეთ განგვესაზღვრა იაღგარის ლექციონარისაგან ცალკე ჰიმნოგრაფიულ კრებულად გამოყოფის დრო. მივიჩინეთ, რომ ეს უნდა მომხდარიყო VII საუკუნის ფარგლებში (კერძოდ, მის მეორე ნახევარში). მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ეს ძეგლი იმ სახით, რა სახითაც ის ჩვენ შემოგვინახეს X საუკუნის საბაწმიდურ-სინურმა ხელნაწერებმა, მხოლოდ VII და წინა (V—VI) საუკუნეების მასალას შეიცავს. უძველესი იაღგარის სტრუქტურის და პოეტურ ფორმათა ნაირსახეობის შესწავლამ აშკარა გახადა, რომ უძველესი იაღგარი არ არის ერთი დროის, ერთგვაროვანი მასალის შემცველი კრებული. აქ შესულია როგორც ადრეული VI—VII, ასევე VII—VIII და IX საუკუნეების პოეტური ფენები, რომლებიც თვისობრივად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და იერუსალიმური ადრებიზანტიური ჰიმნოგრაფიის განვითარების სხვადასხვა საფეხურს წარმოადგენენ. უძველესი იაღგარის თითოეულ პოეტურ ფორმას (მონოსტროფებს, სტიქარონებსა და კანონებს) ცალ-ცალკე თავებში ვიხილავთ. აქ ზოგადად შეეხებათ იმ მეთოდებს, რომლებსაც ჩვენ მიემართავდით ამ საკითხების კლავისას და იმ სირთულეებს, რომლებსაც შეეხვდით ამ გზაზე.

უძველესი იაღგარი პალესტინური პერიოდის ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის განვითარების ადრეულ პერიოდში იქმნება როგორც პირველი ოფიციალური ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებული, რომელიც აკანონებს იერუსალიმურ ლეთისმსახურებაში საგალობელთა რამდენიმე სახეობის (მონოსტროფების, სტიქარონების, კანონების) შესრულებას, განსხვავებით იერუსალიმური ლექციონარის ქართული რედაქციისაგან, რომელიც მხოლოდ პოეტურ მონოსტროფებს იცნობს.

უძველესი იაღგარის თავდაპირველი სავარაუდო რედაქცია და მისი განვითარებული ვარიანტი, რომელიც შემოგვინახეს იაღგარის X საუკუნის ნუსხებმა, წარმოაჩენენ პალესტინური პერიოდის ბერძნული ჰიმნოგრაფიის განვითარების სურათს რამდენიმე (VI—IX) საუკუნის მანძილზე. ამდენად ამ ძეგლის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა როგორც ბერძნული, ასევე ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით განუზომელია. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ჩვენამდე მეტად უმნიშვნელო რაოდენობით მოაღწია იერუსალიმური, ადრებიზანტიური ლიტურგიკისა და ჰიმნოგრაფიის ამსახველმა ბერძნულმა წყაროებმა, ხოლო საკუთრივ იერუსალიმური ლექციონარისა და უძველესი იაღგარის ბერძნული მოდელები საერთოდ არ ჩანს და არც არის იმედი, რომ ოდესმე გამოჩნდება, ვინაიდან იერუსალიმური წესი ლეთისმსახურებისა ძალიან ადრე ამოიკვეთა ბიზანტიის ლიტურგიკული პრაქტიკიდან (X ს.), მასთან ერთად დაიკარგა

ამ პრაქტიკის ამსახველი უძველესი ბერძნული ლიტურგიკული ძეგლები³⁷⁶. ამიტომ ამ უძველესი ძეგლების კვლევა გვიხდება ძირითადად ქართული მასალის საფუძველზე, ვინაიდან ქართულმა ხელნაწერებმა, უმთავრესად სინური კოლექციის X საუკუნის ლიტურგიკული ხელნაწერების სახით, შემოგვინახეს V—X საუკუნეების იერუსალიმური ლიტურგიკული პრაქტიკის ამსახველი უნიკალური მასალა. სიტყვა უნიკალური აქ არავითარ გაზვიადებას არ შეიცავს, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ პერიოდის ბერძნულ ლიტურგიკულ ძეგლებს ჩვენამდე თითქმის არ მოუღწევიათ, და თუ არა ქართული ხელნაწერები (პირველ რიგში კი ქართულ ხელნაწერთა სინური კოლექცია), პალესტინური პერიოდის ჰიმნოგრაფია, რომელიც ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის სათავედ და მინი ყველაზე დიდი აღმავლობის ხანად ითვლება, შეუსწაველი დარჩებოდა.

სინური კოლექციის ქართულ ლიტურგიკულ ხელნაწერთა შესწავლა პალესტინური პერიოდის ლიტურგიკული ჰიმნოგრაფიის თვალსაზრისით მხოლოდ დაწყებით სტადიაზეა. ამ საკითხებზე დღეს მუშაობენ არა მარტო ქართველი მეცნიერები, არამედ ბელგიელი და ფრანგი ქართველოლოგები და ორიენტალისტები. დიდ ინტერესს იჩენენ ქართული მასალისადმი ევროპის სხვა ქვეყნების სამეცნიერო ცენტრებშიც. ამ კოლექციის ერთობლივი შესწავლა ბიზანტიური ლიტურგიკული ჰიმნოგრაფიის ისტორიის ამ აღრეული და მეტად მნიშვნელოვანი პერიოდის სრულ სურათს წარმოგიდგენს, ამოავსებს ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ისტორიის ხარვეზს, უკეთ წარმოაჩენს ამ აღრეული პერიოდის ქართველ ჰიმნოდთა და მთარგმნელთა მაღალ პროფესიულ ოსტატობას და იმ დიდი მასშტაბის სამეცნიერო და მთარგმნელობით საქმიანობას, რომელსაც ეწეოდნენ ქართველები საბაწმიდას, სინაზე და პალესტინის სხვა სამონასტრო ცენტრებში V—X საუკუნეებში.

ამჯერად კი იერუსალიმური ლექციონარისა და მასზე აღმოცენებული უძველესი იადგარის პოეტური მასალის კვლევისას უნდა შემოვიფარგლოთ უძველესი ქართული ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულებით და პოეტური ტროპარების იმ მკირერიცხოვანი ბერძნული მოდელებით (საერთო რაოდენობის არაუმეტეს 5%-სა), რომლებიც გაფანტულია ბერძნულ ლიტურგიკულ კრებულებში: ტრიოდისონში, თვენებში, პარაკლიტონში, პენტეკოსტარიონში, ჟამნში და სხვ. ეს ბერძნული ლიტურგიკული წიგნები არ არიან სინქრონული იერუსალიმური ლექციონარისა და უძველესი იადგარისა. ისინი X—XIV საუკუნეებში კონსტანტინოპოლური ლიტურგიკული პრაქტიკის შესაბამისად არაერთგზის გადამუშავების შედეგად მიღებული რედაქციებია, სადაც უძველესი იერუსალიმური წარმომავლობის, წინადასკელისეული პერიოდის პოეტური ტროპარები აქა-იქ გამოსკვივიან და ისიც უმთავრესად ახალ პოეტურ მასალასთან კომბინაციაში, რის გამოც მათ დაკარგული აქვთ თავდაპირველი სახე და დანიშნულება: რაც შემთხვევაში არქაული პოეტური ტროპარები VII—VIII საუკუნეების ცნობილი ჰიმნოდების სტიქარონებსა და კანონებში

³⁷⁶ ბერძნული ლიტურგიკული ხელნაწერების შესწავლის დღევანდელი მდგომარეობაც ამ საკითხებზე მომუშავე მეკლერებს ოპტიმისტურად არ განაწყოვს (იხ. წინასიტყვაობა Ch. H a n n i c k -ის შრომისა: Studien zu den griechischen und slavischen liturgischen Handschriften der Österreichischen Nationalbibliothek. Wien, 1972, S. 13—16.

ჩანან ძლისპირისა თუ რიგითი პოეტური სტროფის სახით. ეს გარემოება კიდევ უფრო ართულებს იმის გარკვევას, თუ რა დროისაა და ვის ეკუთვნის ეს ტროპარები, ართულებს ძველი ფენის გამოყოფას ახლისაგან. ამისდა მიუხედავად, მეცნიერები ქართული იერუსალიმური ლექციონარის დასათარიღებლად იყენებენ პოეტურ ტროპარებს, რომელთაც ბერძნულ ლიტურგიკულ წიგნებში ავტორი აღმოაჩნდათ (ე. კეკელიძე, ა. ბაუმშტარკი, მ. თარხნიშვილი, პ. ლეები)³⁷⁷. ვფიქრობთ, რომ მკვლევრები, რომლებიც იერუსალიმის ლექციონარის ამა თუ იმ პოეტური ტროპარის ბერძნული ავტორიანი მოდელის მიხედვით ათარიღებენ მთლიანად ლექციონარს, მეთოდოლოგიურად არ არიან მართალი, ვინაიდან ისინი ამ ძეგლს განიხილავენ როგორც ერთი დროის პროდუქტს, რომელიც ჩამოყალიბდა გარკვეულ დროს ბერძნულ გარემოში, ბერძნულ ენაზე, ითარგმნა გარკვეულ დროს ქართულად და შემდგომი ცვლილებები არ განუცდია. იერუსალიმური ლექციონარის პოეტური მასალისადმი ასეთი ცალმხრივი მიდგომის მიზეზი უნდა ვეძებოთ იმაში, რომ დღესდღეობით ეს შესანიშნავი ძეგლი სათანადოდ შესწავლილი არ არის, არ არის გამოვლენილი მისი განვითარების გზა და ამასთან დაკავშირებით მისი პლასტური ბუნება.

იერუსალიმური ლექციონარის ახალი ნუსხებისა და უძველესი ფრაგმენტების გამოჩენამ და მ. თარხნიშვილის მიერ კრიტიკული ტექსტის გამოცემამ ამ ძეგლის ისტორიულ ასპექტში შესწავლის ახალი პერსპექტივები გამოაჩინა.

უძველესი იადგარის სტრუქტურის შესწავლასთან დაკავშირებით საკირო გახდა ლექციონარის სტრუქტურის გათვალისწინებაც. კვლევის შედეგად აშკარა გახდა, რომ ქართულ ლექციონარს თავისი ხუთსაუკუნოვანი (VI—X სს) არსებობის მანძილზე განუცდია ცვლილებები, გავრცობილა ახალი დღესასწაულებისა და პოეტური მასალის ხარჯზე³⁷⁸. ამდენად, არაფერი მოულოდნელი არ უნდა იყოს არც იმაში, თუ ლექციონარში დაჯასტურდა ერთი ან ორი პოეტური ტროპარი, რომელიც VII—VIII საუკუნეების ავტორებს შეეწერებათ.

მეორეს მხრივ, იერუსალიმური ლექციონარის პოეტური ტროპარების შესწავლის დროს უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ლექციონარისეული პოეტური პროზით დაწერილი ტროპარები ის მდიდარი პოეტური სამყაროა, რომელზედაც აღიზარდნენ და რომლითაც უხვად სარგებლობდნენ თავის შემოქმედებაში სახელმწიფოებრივი საბაწმიდელი ჰიმნოდები, თავისი დროის დიდი რეფორმატორები, რომლებმაც შემოიღეს და დააკანონეს ლიტურგიკულ პოეზიაში რიტმული პოეზია თავისი მტკიცე ნორმებით. მეტიც, უძველესი იადგარის პოეტური მასალის შესწავლიდან ირკვევა, რომ საბაწმიდელი მელოდოსების მიერ დამუშავებული ე. წ. ბიზანტიური რიტმული პოეზიის ნორმები V—VII საუკუნეების პალესტინური პოეტური პროზის უარყოფას კი არ წარმოადგენდა, არამედ მისი განვითარების ახალ საფეხურს, ვინაიდან რიტმული პოეზიის რიტმიკა ეყრდნობოდა პოეტური პროზის შინაგან ბუნებრივ რიტმს. პოეტური პროზის ბუნებრივმა რიტმმა განსაზღვრა რიტმული პოეზიის რიტმული

³⁷⁷ ამის შესახებ უფრო დაწერილებით იხ. აქვე, გვ. 808—811.

³⁷⁸ იხ. აქვე: „უძველესი იადგარის ზოგადი დღესასწაულები“, გვ. 747. „ქავეტი ლექციონარისა და კანონის ურთიერთმიმართება“, გვ. 672.

მრავალსახეობა³⁷⁹. შემდგომ, რიტმული პოეზიის ამ თავისებურმა რიტმულმა სტრუქტურამ თანდათან მეტრული თვისებებიც შეიძინა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა ძლისპირ-ტროპართა სავალდებულო თანაფარდობის კანონად. ამ ეტაპზე რიტმულმა პოეზიამ უკვე ახალი თვისობრიობა შეიძინა V—VII საუკუნეების პოეტურ პროზასთან შედარებით.

ამავე დროს, ეს ორი, ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთისაგან განსხვავებული, პოეტური სიტყვის სახეობა — პოეტური პროზა და რიტმული პოეზია — ერთმანეთის გვერდით არსებობდნენ VII—IX საუკუნეების პალესტინაში, ამის ყველაზე მკაფიო დადასტურება უძველესი იადგარის X საუკუნის ნუსხების არსებობაა. ეს თანაარსებობა, როგორც ჩანს, გაგრძელდა იქამდე, სანამ არ შეიქმნა რიტმული პოეზიის ნორმატიული სახელმძღვანელო — „ირმოლოგიონი“ და სანამ კანონთა და სტიქარონების დაკანონებულ ძლისპირთა საზომებზე აგება სავალდებულო არ გახდა ყველასათვის. ამ დროიდან რიტმული პოეზიის ნიმუშებმა (განსაკუთრებით კანონმა) საბოლოოდ განდევნეს ლიტურგიკული პრაქტიკიდან პოეტური პროზით დაწერილი სტიქარონები და კანონები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოხდა ძველი კანონებისა და სტიქარონების ძლისპირებზე გაწყობა და ამ სახით შეტანა ახალი ტიპის იადგარებში³⁸⁰.

ახალი ტიპის იადგარი, დაკომპლექტებული უკვე რიტმულა პოეზიის ნიმუშებით, რომელთა დიდი უმრავლესობა საბაწმიდელი ჰიმნოდების კალაშს ეკუთვნის, ქართულად ითარგმნა და შედგა X საუკუნის პირველ ნახევარში³⁸¹. ამ დროიდან ახალმა იადგარმა თანდათან განდევნა იერუსალიმის ლიტურგიკული პრაქტიკიდან უძველესი იადგარი. ამრიგად, IX საუკუნის დასასრულამდე უძველესი იადგარი ჯერ კიდევ ძალაშია. X საუკუნის I ნახევარში გადაიწერა უძველესი იადგარის რამდენიმე ნუსხა, რაც იმას ნიშნავს, რომ მას პრაქტიკულა მნიშვნელობა ამ დროისათვის დაკარგულა არ ჰქონდა. იოანე-ზოსიმემ კი ასევე X საუკუნის I ნახევარში თავის „ლიტურგიკულ ენციკლოპედიაში“ (Sin. 34) ერთმანეთის გვერდით მოათავსა ძველი და ახალი იადგარების პოეტური მასალა³⁸². ასეთი ხანგრძლივი არსებობისა და განვითარების მანქილზე, ცხადია, უძვ. იადგარი დროის შესაბამისად ახალი დღესასწაულებითა და პოეტური მასალათ გამდიდრდებოდა და მიიღებდა, ნაწილობრივ მინც, იმ ცვლილებებს, რომელიც განიცადა საეკლესიო რიტმმა და ფორმამ VIII—IX საუკუნეებში.

³⁷⁹ იხ. აქვე, გვ. 804.

³⁸⁰ ამის ნიმუშები დაუცავს ზოგიერთ ქართულ ჰიმნოგრაფიულ კრებულს. იხ. ე. ლ. მ ე ტ - რ ე ვ ე ლ ი, „მეხელისა“ და „მეხურის“ ვაგებისათვის, კრებული შოთა რუსთაველი. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი. თბ., 1966, გვ. 169.

³⁸¹ ვფიქრობთ, რომ ახალი იადგარის ბერძნულ ენაზე ჩამოყალიბების დრო ბევრად არ უნდა უსწრებდეს მის ქართულ ენაზე თარგმნის დროს, ვინაიდან ქართველი მგალობლები და მთარგმნელები საბაწმიდის ჰიმნოგრაფიულ ცენტრში დიდ შემოქმედებითა და მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდნენ უკვე VI საუკუნიდან. ისინი ლიტურგიკულ პრაქტიკაში მიმდინარე ყოველი სახლის კურსში იყვნენ და სდილობდნენ არ ჩამორჩენოდნენ თავისი დროის მოთხოვნილებებს.

³⁸² იხ. აქვე გვ. 704—705.



უძველესმა იადგარმა თავისი დანიშნულების გამო ლექციონარისაგან მიიღო მხოლოდ ის დღესასწაულები, რომელთა განგებაშიც პოეტური ტროპარები იყო შეტანილი. ლექციონარის პოეტური საგალობლები ფორმის თვალსაზრისით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ისინი სხვაობენ მხოლოდ ლიტურგიკული შინაარსით. ლიტურგიკული შინაარსის მიხედვით პ. ლეებმა ლექციონარში გამოყო პოეტური საგალობლების შემცველი რამდენიმე ტიპური სტრუქტურა. ესენია: ჟამისწირვის, ზიარების თანხლები საგალობლებით, მწუხრის, ცისკრისა და ღამისთევების, ამთგან პ. ლეებს ყველაზე განუვითარებელ სტრუქტურებად მიაჩნია მწუხრისა და ცისკრის³⁸³. სწორედ ეს სტრუქტურები შეივსო უძვ. იადგარში ახალი პოეტური მასალით: ცისკრის განგებამ უძვ. იადგარში შეიმატა ცისკრის კანონი და აქებდითსა, ხოლო მწუხრის განგებამ — ორ ღლყესა.

მნელია იმის თქმა, ერთდროულად მოხდა ცისკრის კანონებითა და სტიქარონებით უძველესი იადგარის შევსება, თუ თანდათანობით — ჯერ სტიქარონებით, ხოლო შემდეგ — კანონებით. უფრო საფიქრებელია, რომ ეს ერთდროულად მოხდა, ვინაიდან VII საუკუნის ბოლოსათვის ორივე ეს პოეტური კომპოზიცია უკვე არსებობდა და გავრცელებული იყო პალესტინაში. მაგრამ ეს შევსება თავიდანვე შეეხო მხოლოდ იმ შემოფარგლულ დღესასწაულთა წრეს, რომლითაც გამოეყო უძვ. იადგარი ლექციონარს. ამდენად, უძვ. იადგარის თავდაპირველმა რედაქციამ ლექციონარისეული პოეტური ტროპარების (მონოსტროფების) სახით შემოგვინახა პოეტური ფორმის ყველაზე არქაული სახე და ამასთანავე სტიქარონები და კანონები, რომლებიც ამ ახალ პოეტურ ფორმათა აგრეთვე ადრეულ სახეობას უნდა მივაკუთვნოთ.

ლექციონარისეულ მონოსტროფებს უძვ. იადგარში თითქმის არ განუცდიათ ცვლილებები. ამის თქმა არ შეიძლება სტიქარონებსა და კანონებზე. ამ მასალის შესწავლამ აშკარა გახადა, რომ ისინი იადგარის ძველ ფენაშიც არ არიან ერთგვაროვანნი.

რაც შეეხება უძვ. იადგარის იმ დღესასწაულების სტიქარონებსა და კანონებს, რომლებიც ახალ შევსებას წარმოადგენენ, აქ უკვე სახეზეა სხვადასხვა ფორმითა და ოდენობით რიტმული პოეზიის კანონებისა და სტიქარონებისათვის დამახასიათებელი ელემენტები, ჯერ კიდევ გაუფორმებელი და ჩამოუყალიბებელი სახით. ამდენად, უძვ. იადგარის პოეტური ფორმები განვითარების სხვადასხვა დონეს წარმოაჩენენ. ამ საკითხების კვლევას ეძღვნება გამოკვლევის მომდევნო თავები.

უძველესი იადგარის ლექციონარისეული პოეტური ფენა

უძველესი იადგარის პოეტური მასალის მრავალფეროვნება მისი მრავალფენიანობით აიხსნება. მაგრამ მასალის თვალსაზრისით სხვაობები თითოეუ-

³⁸³ L e e b. Die Gesänge.

ლი პლასტის ფარგლებშიც საგრძნობია იადგარის სხეადსხვა ნუსხებში. შედარებით უფრო სტაბილური სურათია იადგარის უძველეს ფენაში, რომელიც მან ლექციონარისაგან მიიღო. ცვლილებები და სხვაობები ყველაზე ხშირია კანონებსა და სტიქარონებში, ე. ი. უძველესი იადგარის ახალ, საკუთრივ იადგარისეულ ფენაში. სტიქარონებსა და კანონთა გალობებს ხშირად ერთვის „სხუანები“ (მეორე ფენა), ზოგჯერ თითო, ზოგჯერ კი — რამდენიმე, რაც მოწმობს იმას, რომ უძველესი იადგარის ამ ახალი ფენის შექმნის პროცესში და მისი შემდგომი განვითარების პერიოდშიც პალესტინის ბერძნულ ჰიმნოგრაფიულ კოლექტივებში მიმდინარეობდა ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა, იქმნებოდა დიდძალი პოეტური პროდუქცია, რომელიც ასევე ინტენსიურად ითარგმნებოდა პალესტინის ქართველი ჰიმნოგრაფების მიერ და თავის ადგილს პოულობდა ლიტურგიკულ კრებულებში.

ა. ბაუმშტარკის აზრით, უძველესი ლიტურგიკული ტექსტები უმრავლეს შემთხვევაში იმპროვიზირებული ხასიათისაა. იმპროვიზაცია ინდივიდუალური იყო, მაგრამ არ სცილდებოდა ცალკეულ საკრებულოს ფარგლებს³⁸⁴. ამით უნდა აიხსნას, ალბათ, ისიც, რომ უძველესი იადგარის თითოეული ხელნაწერი, ან ხელნაწერთა მონოგენური ჯგუფი თავის საკუთარ, სხვა ნუსხებისაგან განსხვავებულ მასალასაც შეიცავს, რაც ამ ხელნაწერთა სკრიპტორიუმების შემოქმედებითი მარაგიდან უნდა მომდინარეობდეს³⁸⁵. მაგრამ ძირითადი კურსი ლიტურგიკის ევოლუციაში მაინც უნიფიკაციისაკენ იყო მიმართული, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს ა. ბაუმშტარკი. ა. ბაუმშტარკის ეს დებულება დასტურდება როგორც უძველესი იადგარის მასალაზე, ასევე იადგარის შემდგომი დროინდელ ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებშიც.

ა. ბაუმშტარკის აზრით, ცვლილებები ლიტურგიკულ ძეგლებში ეხება მეორეხარისხოვან ელემენტებს და მოქმედებს ასე თუ ისე პერიფერიულ ფენოზე, უცვლელად ტოვებს სუბსტანციას როგორც ფორმისა, ასევე ტექსტისას, რომელმაც მისცა ლიტურგიკას უნიფიკირების შესაძლებლობა³⁸⁶. ამ პოზიციებიდან თუ შევხედავთ უძველესი იადგარის მასალას გლობალურად (ყველა ნუსხას ერთად), აქაც აშკარად გამოიყოფა ყველასათვის ძირითადი და საერთო, რომელიც ყველაზე სრულად და კომპაქტურად A ხელნაწერშია წარმოდგენილი, და პერიფერიული, რომელიც ნუსხების დამატებით მასალაში გამოიხატა.

ირკვევდა რა ლიტურგიკული ტექსტების ევოლუციის პრობლემას, ა. ბაუმშტარკი ევოლუციის ძირითად კანონად მიიჩნევდა იმას, რომ ტექსტის ტრანსფორმაცია მიმდინარეობდა სადა და მოკლე რედაქციიდან გამდიდრებული და გაფართოებული რედაქციისაკენ³⁸⁷. ეს კანონი ძალაშია უძველესი იადგარის მიმართაც, რომელიც ამ ძეგლის ევოლუციას კარგად ასახავს.

³⁸⁴ A. Baumstark, Liturgique comparée, III ed., p. 16—17.

³⁸⁵ იხ. აქვე, გვ. 691.

³⁸⁶ A. Baumstark, დასახ. შრომა, გვ. 22.

³⁸⁷ იქვე, გვ. 23.



უძველესი იადგარის პოეტური მასალის უძველესი ფენა არის იადგარის ის ნაწილი, რომელიც მას საერთო აქვს ლექციონართან. ეს ის ჰიმნოგრაფიული მასალაა, რომელიც გამოეყო ლექციონარს და საფუძველი გახდა უძველესი იადგარის თავდაპირველი რედაქციის ჩამოყალიბებისა.

ლექციონარის პოეტური მასალის შესწავლას სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა პ. ლეებმა, სადაც ისტორიულ ასპექტში ამომწურავად არის განხილული თითოეული პოეტური ფორმა³⁸⁸. ლექციონარის პოეტური მასალის შესწავლის საფუძველზე პ. ლეების მიერ მიღებული დასკვნები სავსებით ვრცელდება უძველესი იადგარის პოეტური მასალის პირველ ფენაზე, რომელიც ლექციონარის პოეტური მასალის იდენტურია. ამიტომ ჩვენ მოკლედ შევჩერდებით პ. ლეების შრომაზე.

პ. ლეები შემდგენაირად ახასიათებს ქართულ ლექციონარს: ქართული ლექციონარი წარმოადგენს სამრევლო ანუ ე. წ. კათედრალური ღვთისმსახურების წიგნს. კათედრალური ღვთისმსახურება უნდა გვესმოდეს როგორც მსახურების ის სახეობა, რომელიც ტაძარში მიმდინარეობდა და მრევლის მონაწილეობით სრულდებოდა. ის გამოირჩეოდა გალობის ისეთი ფორმებით, რომლებშიც შესაძლებელი იყო ხალხის მონაწილეობა. ზუსტი, კარგი შერჩევა საკითხავენებისა და ფსალმუნებისა, მრავალფეროვნებით სავსე ცერემონიები, თვალსაჩინოება და მასალის სიმოკლე ადვილებდა ხალხის ქმედით მონაწილეობას³⁸⁹.

სანამ ავტორი ქართული ლექციონარის პოეტური ფორმების განხილვაზე გადავიდოდეს, ის ზოგადად ეხება ლიტურგიკული პოეზიის თავისებურებებს, ქართული ლექციონარის პოეტური ფორმების ხასიათსა და ამასთან დაკავშირებით თავისი კვლევის მიზანს. „ლიტურგიკულ პოეზიად — წერს ავტორი — ჩვენ მივიჩნევთ ზოგადად ქრისტიანული პოეზიის სხვადასხვა სახეობებს, რომლებიც გამოყენებას პოულობენ ღვთისმსახურებაში, აქვთ სასულიერო შინაარსი, მაგრამ არ წარმოადგებიან საღმრთო წერილიდან. ლიტურგიკული პოეზია, რომელსაც ქართული ლექციონარი შეიცავს, ხასიათდება იმით, რომ აგებულია მახვილზე, წარმოადგენს ერთსტროფიან კომპოზიციებს და განკუთვნილია გალობისათვის“³⁹⁰. თავისი წარმომავლობით ის უნდა ეკუთვნოდეს პალესტინის მკვიდრი ბერძნების სასულიერო პოეზიის უძველეს ფენას. V ს-ის დასასრულს იერუსალიმის სამრევლო ღვთისმსახურებაში, პ. ლეების აზრით, ადგილი უნდა ჰქონოდა დიდ ცვლილებებს: იმატა საგალობელთა რიცხვმა, ლიტურგიკაში შემოიღეს ახალი საგალობელი ტექსტები, ფსალმოდიაში ფსალმუნური რეფრენები შეეცალა პოეტურმა და ამასთან დაკავშირებით წარმოიქმნა ახალი პოეტური ფორმები. ამ სიახლემ თავისი კვალი დატოვა ქართულ ლექციონარშიც მდიდარი ლიტურგიკული პოეზიის სახით, რომლის წარმოშობასა და განვითარებას შეიძლება თვალი გავადევნოთ სწორედ ქართული ლექციონარის მასალაზე. ავტორი იხილავს ლექციონარის ამ ახალი

³⁸⁸ L e e b, Die Gesänge.

³⁸⁹ იქვე, გვ. 33.

³⁹⁰ იქვე, გვ. 34.

პოეტური საგალობლების ფუნქციასა და სტრუქტურას, მათ თეოლოგიურ შინაარსს. რისთვისაც იყენებს ე. წ. „მცირე კანონში“ (Sin. 37) დანართის სახით შეტანილ ლექციონარის 5 საუფლო დღესასწაულის პოეტური მასალის სრულ ტექსტებს.

ქართულ ლექციონარში ახალი პოეტური ფორმები თავს იყრიან სხვადასხვა სახის ღვთისმსახურებებში. 3. ლეები მათ შესწავლაზე ამყარებს თავის გამოკვლევას. ქართული ლექციონარი ხუთი სახის ღვთისმსახურებას იცნობს. ესენია: სამხრის, ცისკრის, მწუხრის, ღამისთვისა და ე. წ. ანამნეტური ანუ საუფლო დღესასწაულების განსაკუთრებული რიგის მსახურებანი. თითოეული მსახურების შესწავლას ნაშრომში თითო თავი ეთმობა. შესწავლის შედეგად ავტორმა ქართულ ლექციონარში 19 ჰიმნოგრაფიული ტერმინი გამოავლინა. ესენია: ალელუა, ალავსე, ვალობაჲ, განიცადე, გარდამოთქმაჲ, დასდებელი, დიდებაჲ მაღალთაჲ, ერის განტევებაჲ, უფალო ღაღადყავი, ფსალმუნი, ღირსმყვენი, წარდგომაჲ, წმიდაო ღმერთო, კელთაბანისაჲ, იბაკოჲ, ნათელი მხიარული, ოხითაჲ, სიწმიდისაჲ, სტიქარონი³⁹¹.

ამ ტერმინების სახელწოდებები სხვადასხვა პრინციპითაა შედგენილი: „ზოგ შემთხვევაში ტერმინი ნასესხებია არა მარტო თავისი შინაარსით, არამედ ფორმითაც: მაგ. ფსალმუნი, იბაკოჲ, სტიქარონი; ზოგჯერ ტერმინში გააზრებულია საგალობლის ფუნქცია და ხასიათი და შესაბამისად შერჩეულია ქართული სიტყვა: მაგ. დასდებელი, ოხითაჲ; ზოგჯერ საგალობელი ატარებს იმ რიტუალის სახელს, რომელსაც ის თან ახლავს: მაგ. კელთაბანისაჲ, სიწმიდისაჲ, ერის განტევებაჲ. მეტწილად კი ფსალმუნური საგალობლების დასაწყისი გადაქცეულია პოეტური საგალობლების სახელწოდებად: მაგ. „ალავსე“, „განიცადე“, „წმიდაო ღმერთო“³⁹².

3. ლეები თავის შრომაში ქართული ლექციონარის მასალაზე იხილავს არა მარტო ჰიმნოგრაფიულ ტერმინებს, არამედ საგალობლების შესრულების ფორმებსაც და ლექციონარში ამ მიმართულებით მომხდარ ცვლილებებსაც წარმოაჩენს. ავტორი ქართულ ლექციონარს განიხილავს როგორც ერთ-ერთ წყაროს აღმოსავლეთის სამრევლო ღვთისმსახურების საგალობელი ფორმების განვითარების შესწავლისათვის. „სომხურ ლექციონარში — წერს ავტორი — რომელიც უშუალო წინამორბედი ქართულისა, დამოწმებულია ვალობის მხოლოდ ერთი ფორმა — რესპონსორული ფსალმოდია, ქართულ ლექციონარში კი აშკარაა ფორმების მნიშვნელოვანი განვითარება“³⁹³.

ქართულ ლექციონარში 3. ლეები გამოყოფს რამდენიმე ჰიმნოგრაფიულ ფორმას თავისი შესრულების წესით:

რესპონსორული ფსალმოდია: ეს ორნაწილიანი კომპოზიცია შეიცავს ფსალმუნურ ტექსტებს, რომლებიც სრულდება სხვადასხვა სახის მსახურებაში მგალობლისა და მრევლის მიერ. მრევლი წარმოთქვამს ფსალმუნურ რეფრენს (დასდებელს), მგალობელი — ფსალმუნს. რესპონსორული ფსალმოდია არის სომხური ლექციონარის ერთადერთი ჰიმნოგრაფიული

³⁹¹ დაწერილებით 3. ლეების შრომის შესახებ იხ.: ლ. ხეცსურიანი, ახალი შრომა ქართული ლექციონარის საგალობლებზე, მაცნე, ვენისა და ლიტერატურის სერია, 1973, № 2, გვ. 183—190. იხ. აგრეთვე წინამდებარე გამოცემა, გვ. 741—747.

³⁹² ლ. ხეცსურიანი, დასახ. წერილი, გვ. 188.

³⁹³ Lee b, Die Gesänge, S. 35.

ფორმა. რესპონსორული ფსალმოდია უცვლელად გადავიდა უძველეს იადგარში.

ქართულ ლექციონარში, პ. ლეების აზრით, წარმოდგენილია ჰიმნოგრაფიის განვითარების შემდეგი ეტაპი, როდესაც რესპონსორულ გალობაში ფსალმუნური რეფრენის ადგილს იკავებს პოეტური ტროპარი. ამას მკვლევარი ამტკიცებს ჰიმნოგრაფიული ტერმინების ანალიზის საფუძველზე. ასეთ პოეტურ ტროპარად მიაჩნია პ. ლეებს ო ხ ი თ ა ე — ეამისწირვის საწყისი საგალობელი, რომელსაც ვედრების ხასიათი აქვს.

ოხითაჲ, ავტორის ცნობით, უკვე VI საუკუნიდან ფსალმუნურ ტექსტებთან ერთად იგალობებოდა როგორც ეამისწირვის ახალი საწყისი-საგალობელი. თუმცა ქართული ლექციონარი ოხითაჲსთან ერთად არ ასახელებს ფსალმუნს, მაინც შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მისი შესრულება მასთან დაკავშირებული ფსალმუნის გარეშე, ვინაიდან ადრეულ ხანაში ლიტურგიკული პოეზია ჯერ კიდევ არ იყო გამოჩნული ფსალმუნისაგან. ის გარემოება, რომ ოხითაჲს ყველგან აკლია ფსალმუნი, შეიძლება აიხსნას იმით, რომ ოხითაჲსთან ფსალმუნი ყოველთვის უცვლელი იყო (ფს. 94), ლექციონარში კი მხოლოდ ცვალებადი ელემენტებია წარმოდგენილი. ასეთია ოხითაჲ, რომელაც გამოიყენება როგორც რეფრენი ფსალმუნის რესპონსორული წარმოთქმის დროს³⁹⁴.

ამავე თვალსაზრისით საინტერესოა პ. ლეების მიერ განხილული კიდევ რამდენიმე ჰიმნოგრაფიული ტერმინი ქართული ლექციონარიდან. ეს არის ზიარების რიტუალის თანმხლები ორი საგალობლის სახელწოდებები: განი-ცადე და აღავსე. ორივე ტერმინი ფსალმუნური წარმოშობისაა და წარმოადგენს ფს. 39,9 და 70, 8 მუხლების საწყის სიტყვებს. ლექციონარში კი ეს ტერმინები უკვე პოეტური ტროპარების სახელწოდებებად არის მოტანილი. პ. ლეების აზრით, ეს ფაქტი აშკარად მოწმობს, რომ თავდაპირველად ორივე ტროპარი წარმოადგენდა დასახელებულ ფსალმუნთა რეფრენებს რესპონსორულ შესრულებაში, ხოლო ქართულ ლექციონარში ამ გზით დადასტურდა ჰიმნოგრაფიის განვითარების შემდგომი პერიოდი: რესპონსორული ფსალმოდია შეცვალა ისეთმა რესპონსორულმა გალობამ, სადაც ფსალმუნურ რეფრენს შეენაცვლა პოეტური ტროპარი. შემდეგ, პოეტურმა ტროპარმა დაკარგა მასთან შეწყვილებული ფსალმუნი და დამოუკიდებელი არსებობა მოიპოვა (ოხითაჲ, განიცადე, აღავსე).

ჰიმნოგრაფიული ფორმების განვითარებას უკავშირებს პ. ლეები ზოგიერთი ჰიმნოგრაფიული ტერმინის მნიშვნელობის ცვლას. ამის აშკარა მაგალითია ტერმინი დასადებელი. შობისა და განცხადების დიდ ლამისთევებსა და ზოგიერთ ანამენტურ ღვთისმსახურებაში ქართულმა ლექციონარმა საკითხავების წინ შემოინახა ორნაწილიანი საგალობელი, რომლის ძირითადი ტექსტი ფსალმუნურია, რომელსაც ახლავს პოეტური ტროპარი ანუ დასადებელი. ეს ტერმინი აქ თავისი თავდაპირველი მნიშვნელობით იხმარება და ნიშნავს პოეტურ სტროფს, რომელიც უნდა დაერთოს ფსალმუნს³⁹⁵. საგალობლის

³⁹⁴ Lee b Die Gesänge, S. 41.

³⁹⁵ ფსალმუნ-დასდებლებში კი ფსალმუნი ეწოდება ფსალმუნურ რეფრენს, ხოლო დასდებელი ფსალმუნის ძირითად ტექსტს.

სტრუქტურა და ტექსტების ხასიათის მიხედვით ავტორი ვარაუდობს, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს საგალობლის შესრულების უფრო განვითარებულ ფორმასთან — ანტიფონურ გალობასთან, რომელიც ამ ორნაწილიანი გალობის შესრულებას აკისრებს მგალობელსა და გუნდს (და არა მრევლს. როგორც ეს არის რესპონსორული გალობის დროს). ავტორი ფიქრობს, რომ ამ საგალობლის ანტიფონური შესრულების ამსახველია ტერმინი წაქცევი თ. რომელიც ხშირად არის ნახმარი „მცირე კანონში“ (სინური ლექციონარი) ამ დასაბუთებთან³⁹⁶.

ამრიგად, ქართულ ლექციონარში, 3. ლეების გამოკვლევით, გამოიკვეთა ჰიმნოგრაფიული ფორმებისა და მათი შესრულების რამდენიმე სახეობა: I. ყველაზე არქაული რესპონსორული ფსალმოდია, როდესაც ფსალმუნი იგალობება მგალობელისა და მრევლის მიერ (მრევლი წარმოთქვამს ფსალმუნურ რეფრენს). II. უფრო განვითარებული ფორმა — ანტიფონური გალობა, სადაც გალობაში მონაწილენი არიან მგალობელი და გუნდი, და ფსალმუნური რეფრენი შეცვლილია პოეტური ტროპარით. III. ფსალმუნის ტექსტისაგან გამოთავისუფლებული პოეტური ტროპარები, რომლებიც უკვე დამოუკიდებელი პოეტური ფორმების სახით არსებობენ ქართულ ლექციონარში.

ქართული ლექციონარის ეს ჰიმნოგრაფიული მასალა მთელი თავისი მრავალსახეობით უცვლელადაა გადასული უძველეს იადგარში და ქმნის ამ იადგარის ძველ ფენას. ჰიმნოგრაფიული ფორმების შემდგომი განვითარება უკვე მიმდინარეობს უძველესი იადგარის წიაღში.

უძველესი იადგარის ლექციონარისეული პოეტური ტროპარების ბერძნული მოდელები

3. ლეებმა თავის ზემოთ განხილულ შრომაში ლექციონარის პოეტურ ტროპართა ერთი ნაწილის ბერძნული მოდელები გამოაქვინა ბერძნულ ლიტურგიკულ წიგნებში³⁹⁷. უფრო ადრე ლექციონარის ზოგიერთი მონოსტროფის ბერძნული შესატყვისი მიუთითა ა. ბაუმშტარკმა³⁹⁸.

ბერნარ უტიემ „ქილ-ეტრატის იადგარზე“ დაწერილ თავის რეცენზიაში³⁹⁹ გამოაქვეყნა მთელი სია (119 ერთეული) იადგარის იმ პოეტური მასალისა, რომლის ბერძნულ მოდელებსაც მან მიაკვლია ბერძნულ ლიტურგიკულ წიგნებში. ეს წიგნებია: თვენები (MR), ტრიოდონი (TR), ჟამნი (HR), პარაკლიტონი (PaR), პენტეკოსტარიონი (PeR), ირმოლოგიონი (Eu)⁴⁰⁰.

ამ სიაში მითითებული ბერძნული მოდელების ნახევარზე მეტი ბერძნულ ტრიოდონზე მოდის. ეს ფაქტი ადასტურებს ა. ბაუმშტარკის გამოთქმულ

³⁹⁶ T/ App I, 51, T 36—39.

³⁹⁷ L e e b, Die Gesänge, 23. გვ. 44—48, 111—112, 162—166, 241—252 და სხვ.

³⁹⁸ Oriens Christianus, N. S. Bd. 5., 1915, S. 211—233; Bd 6., 1916, S. 229—239; 3. Serie, Bd 1., 1927, S. 314—318.

³⁹⁹ B. O u t t i e r, Le iadgari sur papyrus et parchemin, édition et études par A.C. H a n i d z e, A. M a r t i r o s o v et A. D j i c h i a c h v i l i, sous la direction d'A. C h a n i d z e. T b., 1977, Revue de Kartvélogie, vol. XXXVII, 1979, p. 372.

⁴⁰⁰ კავებში მითითებულია ბ. უტიეს მიერ ბერძნულ წიგნთა გამოცემებისათვის გამოყენებული ლიტერები.

მოსაზრებას, რომ ღვთისმსახურების ძველი ვითარება ყველაზე უკეთ მარხვან-ზატიკის პერიოდის ღვთისმსახურებამ შემოგვიინახა⁴⁰¹.

უძველესი იადგარის საწელიწდო ნაწილის პოეტური მასალის ბერძნული მოდელები იადგარის პოეტურ ტროპართა საერთო რაოდენობის მხოლოდ მცირე ნაწილს მოიცავენ⁴⁰² (იადგარის საწელიწდო ნაწილის პოეტურ ერთეულთა ზაერთო რაოდენობა 3000 ერთეულს აღემატება). ეს გარემოება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იადგარის პოეტურ მასალას წინა და აღრებიზანტიური ხანის ჰიმნოგრაფიის შესწავლისათვის.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებენ სიძველის გამო იადგარის უძველესი, ლექციონარისეული ფენის ტროპარები. იხილავს რა ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის მცირე ფორმებს, მათ შორის ტროპარს, ე. ველეში წერს: „ქრისტიანული პოეზიის უძველესი ფორმა — ტროპარი დიდხანს შერჩა ბიზანტიურ ლიტურგიკას. ლიტურგიკულ წიგნებში ძველ ფენას ერთვოდა ახალი ჰიმნები. ამით ისინი იძენდნენ ახალ კილოს და ახალ შედგენილობას და უკვე ამ სახით განაგრძობდნენ არსებობას ახალ გარემოცვაში“⁴⁰³.

ვფიქრობთ, ასეთ ვითარებაში აღმოჩნდა იადგარის პოეტური ტროპარების (ლექციონარისეული ფენის) ბერძნული მოდელების ის ნაწილი, რომელიც დაილექა ბერძნულ ლიტურგიკულ ძეგლებში და ამ გზით მკვლევართათვის ხელმისაწვდომი გახდა. მართლაც, იადგარის ტროპარების ბერძნულ მოდელებს ეხვედებით სხვადასხვა დანიშნულების ლიტურგიკულ ძეგლებში სხვადასხვა პოეტურ ფორმებში: სტიქარონებში, ძლისპირთა შორის, მაგრამ უფრო ხშირად ეს პოეტური მონოსტროფებია, რომლებიც გვხვდება, ხმისა და ფორმის შეუცვლელად, თვითთავაჯ ტროპარებსა და სტიქარონებს შორის.

I. მე-ვ-სა ო რ შ ა ბ ა თ ს ა

მ ე ო რ ე კ ვ ი რ ა

ოხითაჲ ბ გ¹

Ἰδιόμελον τὸν Τριψόσιον. 'Ηχος πλ. β'.

რომელნი ბნელსა შინა ცოდვათასა⁴⁰⁴
ვილოდეს,

Τοῖς ἐν σκότει ἀμαρτημάτων πορευομένοις

ნათელი გამოუბრწყინე, მაცხოვარ,
უამსა მას მარხვისასა

φῶς ἀνέτειλας, Χριστέ,
τῷ καιρῷ τῆς ἐγκρατείας·

და დღეცა იგი დიდი ვნებისა შენისაჲ
მჩიუენე ჩუენ,

καὶ τὴν εὐσημιον ἡμέραν τὸν παθόντας σου
δειξόν ἡμῖν,

რამთა ვლალატ-ყოთ:

ὥστε βιώμεν σοι·

აღდეგ, ღმერთო,

Ἐνάστα, ὁ Θεός,

შემეწიენ ჩუენ⁴⁰⁵.

ἐλέησον ἡμᾶς.

გვ. 155, 23; T 533.

TR 301,5.

⁴⁰¹ A. B a u m s t a r k, Liturgique comparée, 1953, p. 32. შდრ. ბ. უტიეს დასახ. რეცენზია, გვ. 375.

⁴⁰² იხ. უძველესი იადგარის ბერძნულ მოდელთა საძიებელი, აქვე, გვ. 646—650.

⁴⁰³ E. W e l l e s z, A History of Byzantine Music and Hymnographie. 1962, p. 239.

⁴⁰⁴ უძვ. იადგარის ხელნაწერებში არის „ცოდვითა“, აქ გასწორდა ბერძნულის მიხედვით.

⁴⁰⁵ ოხითაჲს ტექსტი ტაეკებად ჩუენ მიერ არის დაყოფილი ბერძნული მოდელის შესაბამისად.

ქართულ მონოსტროფს ამ შემთხვევაში შეესაბამება ბერძნული თვით-
ავაჯი მონოსტროფი (ტროპარი). ოხითაჲს თარგმანი ზედმიწევნით ზუსტია.
მარცვალთა რაოდენობა ბერძნულ-ქართულ ტროპარებში ერთნაირია, მაგრამ
საგრძობობა სხვაობა მარცვალთა რაოდენობის მხრივ ქართულ ფრაზეო-
ლოგიურ ერთეულსა და ბერძნულ ტაეპებს შორის, თუმცა ქართული
თარგმანის ფრაზეოლოგიური (აზრობრივი) მონაკვეთები საკსებით ხვდება
ბერძნული ტროპარის ტაეპებს. ჩანს, თარგმნის დროს ამ პირობის დაცვა
აუცილებელი იყო ტროპარის გალობით შესრულებისათვის.

მოვიყვანთ მეორე მაგალითს, სადაც ქართული ტროპარი (ოხითაჲ) ბერ-
ძნული მრავალსტროფიანი სტიქარონის პირველი ტროპარია:

II. პ ი რ ვ ე ლ ს ა ო რ შ ა ბ ა-
თ ს ა

ოხითაჲ ა გ⁴⁰⁶
სულიერებრი, იმანო⁴⁰⁶,
ავილოთ მარხვაჲ,
ენითა ნუმცა ვიტყუით ბოროტსა
და ნუცამცა დაუგებთ
იმათა საფრჯესა,
არამედ ცრემლითა სინანულისა-
ათა
განვაბრწყინვენთ
ლამპარნი სულთა ჩუენთანი.
ვლადატ-ყოთ ქრისტესა:
მოგუიტევენ შეცოდებანი ჩუენნი,
ვითარცა კაცთმოყუარე ხარ.
გვ. 102, 35; T 336.

მეორე ორშაბათს
მწუხრი.

Στιχηρὸν ᾠδὴ ἰσόμελον ἑπτάστιχον ἄ.
Ἦθν πνευματικῆν, ἀδελφοί
ἀναλαβόντες νεστεῖαν,
τῆ γλῶσση μὴ λαλεῖτε τὰ δόξια,
μηδὲ τίθεισθε προσκομιμα
τῷ ἀδελφῷ εἰς σακνδαλον·
ἀλλὰ τῆ μετανοίᾳ φασιρύναντες
τῆν τῆς ψυχῆς λαμπάδα,
τοῖς δάκρυσι,
βιοήσωμεν τῷ Χριστῷ·
Ἄφες ἡμῖν τὰ παραπτώματα ἡμῶν,
ὧς φιλάμωραποις.
TR 270, 11.

ამ შემთხვევაში ქართული მონოსტროფის ბერძნული დედანია თვით-
ავაჯი სტიქარონის პირველი სტროფი. ორსტროფიანი სტიქარონის სტრო-
ფებს განსხვავებული რიტმული დაყოფა აქვთ.

მარცვალთა რაოდენობით ქართულ-ბერძნული ტროპარები ერთმანეთს
ზუსტად არ ფარავენ, მაგრამ აქაც საკსებით ხვდება ერთმანეთს ქართული
ტექსტის ფრაზეოლოგიური (აზრობრივი) დაყოფა. და ბერძნული მოდელის
ტაეპები, რაც რიტმული პუნქტუაციითაა გამოხატული. იადგარში ტროპარი
დაწერილია გაბმით, სასვენი ნიშნებისა და რიტმული პუნქტუაციის გარეშე.
საფრქვებელია, ასეთივე სახე ექნებოდა ქართული ტროპარის ბერძნულ მო-
დელს იმ დროს, როცა ის ითარგმნა ქართულად, ვინაიდან რიტმული პუნქ-
ტუაცია ბიზანტიურ ჰიმნებში IX ს. აღრე არ იყარაუდებია. მაგრამ ქართველ
მთარგმნელს აქაც საჭიროდ მიუჩნევია დაეცვა ტროპარის ფრაზეოლოგიური
სტრუქტურა.

⁴⁰⁶ ოხითაჲს ტექსტი ტაეპებად აქაც ჩვენს მიერ არის დაყოფილი ბერძნული მოდელის რიტ-
მული დაყოფის შესაბამისად.

III. მე-ღ-სა ხ უ თ შ ა ბ ა თ ს ა

Στιχηρά και καθίσματα⁴⁰⁷

ოხითაჲ კ^ად გ^ი

Στιχηρά και καθίσματα Ἦγος πλ. ᾠ.

შენ, მეუფესა და უფალსა,
ანგელოზნი დაუცხრომელად გა-
კურთხევენ

Σὲ τὸν βασιλέα και Δεσπότην
Ἄγγελου ἀπαύτου, ἄνυμουσίου,

და მეცა შეგივრდები,
ვითარაც მეზუერეჲ იგი ლალადი-
ბით:

ἐγὼ δὲ σοι προσπίπτω,
ὡς ἔ Τελώνη; κράζω

ღმერთო, მიღბინე
და შემიწყალე მე.
გვ. 135, 20; T 452.

Ὁ Θεός. ἰλάσθητί μοι,
και σῶσόν με.
TR 818,13.

ბერძნული სტიქარონი ოთხსტროფიანია. ამ სტიქარონის პირველი სტროფი არის ოხითაჲს მოდელი. სტიქარონიცა და ოხითაჲც მერვე ხმაზეა გაწყობილი. გასარკვევია, აკისრია თუ არა პირველ სტროფს სტიქარონში მეტრული მოდელის ფუნქცია? ბერძნული სტიქარონის პირველსა და მეორე სტროფებში ერთნაირია როგორც მარცვალთა რაოდენობა, ასევე ტაქების სილაბიკაც და მათი რაოდენობა სტროფში. ამრიგად, პირველი სტროფი, ოხითაჲს ბერძნული დედანი, შეიძლება მივიჩნიოთ მეორე სტროფის რიტმულ მოდელად. სტიქარონის III და IV სტროფები განსხვავდებიან მარცვალთა რაოდენობითაც და რიტმული დაყოფითაც წინა ორისაგან, მაგრამ ერთმანეთის თანაფარდი არიან. სტიქარონის დაყოფა ორ-ორ სტროფიან იზომეტრულ მონაკვეთებად ჩვეულებრივი მოვლენაა, განსაკუთრებით თვითავაჭ სტიქარონებში.

ჩვენთვის საინტერესო პირველი სტროფის (ოხითაჲს) ბერძნული მოდელის რიტმული დაყოფა ბუნებრივად უკავშირდება ოხითაჲს ფრაზეოლოგიურ სტრუქტურას. ტროპარის ფრაზეოლოგიურმა სტრუქტურამ განაპირობა მისი რიტმული სახეც და რიტმიკა ბერძნული სტიქარონის მეორე სტროფიცაჲც.

პოეტური ტროპარი (ოხითაჲ) ლექციონარის ფენისა (T 452) და თავისი წარმოშობით, ფორმით და დანიშნულებით უფრო აღრეულია, ვინემ მრავალსტროფიანი ბერძნული სტიქარონი, რომლის შემადგენლობაშიც იგი აღმოჩნდა, ამიტომ ამ ფაქტმა შეიძლება თვალსაჩინო გახადოს არა მარტო ტრიოდიონის. ამ სტიქარონის კომპილაციური ხასიათი და მისი შედგენის წესი, არამედ შემოფარგლოს კიდევ დრო ამ ტიპის სტიქარონების შედგენისა: რიტმულ თანაფარდობაზე დამყარებული ეს ბერძნული სტიქარონი დამასკელის რეფორმაზე აღრე ვერ შედგებოდა, ვინაიდან აქ დატულია რიტმული პოეზიის ძირითადი პრინციპი: ძლისპირ-ტროპართა თანაფარდობა (ჩვენს შემთხვევაში სტიქარონის პირველი ტროპარი მეორე ტროპარის მიმართ ძლიაპირის ფუნქციის მქონეა). ამრიგად, განხილული შემთხვევა მკაფიო მაგალითია იმისა, თუ VIII—IX საუკუნეებში როგორ და რა წესით ხდებოდა წინაბიზან-

⁴⁰⁷ სტიქარონები და კათიზმები, სხვა დამატებით მასალასთან ერთად, ერთის ბერძნულ ტრიოდიონს და შეიცავს თითოეულ ხმაზე კვირა და სადა დღეებისათვის განკუთვნილ სტიქარონებსა და კათიზმებს (წარდგომებს), იხ. TR, გვ. 766—825.

ტიური ხანის პოეტური ტროპარების გამოყენება, ამ შემთხვევაში ტრიოდინის ახალი რედაქციის ჩამოყალიბების პროცესში.

ბერძნული ტროპარის ქართული თარგმანი (ოხითაჲ) ძალიან ზუსტია. ქართული თარგმანის ფრაზეოლოგიური ერთეულებიც შეესატყვისება ბერძნული მოდელის რიტმულ მონაკვეთებს, მაგრამ მარცვალთა რაოდენობა ოხითაში და მის მოდელში საგრძნობლად სხვაობს ერთმანეთისაგან. განსხვავდებიან მარცვალთა რაოდენობით ოხითას ფრაზეოლოგიური ერთეულები ბერძნული ტროპარის რიტმული მონაკვეთებისაგანაც. აქედან კიდევ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ოხითაჲ, ისევე როგორც იადგარის უძველესი ლექციონარისეული პოეტური ფენა საერთოდ, თარგმნილია მაშინ, როდესაც სავალდებულო არ იყო თარგმანსა და მოდელს შორის სილაბური თანაფარდობის დაცვა, ე. ი. ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის განვითარების ადრეულ ეტაპზე, რიტმული პოეზიის შემოღებისა და გავრცელების წინა პერიოდში.

გვაქვს ისეთი შემთხვევაც, როდესაც ბერძნულ სტიქარონში დადასტურებული იადგარის პოეტური ტროპარი სტიქარონის პირველ სტროფს კი არ წარმოადგენს, არამედ რიგით სტროფს.

IV. მ ა რ ხ ე ი ს მ ე - მ - ს ა კ უ ი რ ა ე ს ა

კელთაბანისაჲ [კმაჲ ზ]

ცოდვანი ჩემნი უგულებელს-ყვენ, უფალო,

რომელი იშვე ქალწულისაგან და გულნი ჩუენნი განწმიდენ და მყვენ ჩუენ ტაძარ სულისა წმიდისა.

ნუ განმიშორებ მე

პირისაგან,

რომელსა გაქუს

აურაცხელი დიდი წყალობაჲ.

გვ. 116, 4.

Στιχηρά και καθίσματα

Στιχηρά Κατανυκτικά Ἦχος β'

Αυτόμελον

Τὰς ἀνομίαις μου πᾶριθε, Κύριε,

ὁ ἐκ Παρθένου τεχθεὶς,
καὶ τὴν καρδίαν μου καθάρισον,
ναὸν αὐτῆς ποιῶν
τὸν ἀγίον σου Πνεύματος·
μή με ἐξουθενώσης
ἀπὸ τοῦ σοῦ προσώπου,
ὁ ἀμέτητος ἔχων
τὸ μέγα ἔλεος·

TR, გვ. 774, 32; IV სტროფი.

კელთაბანისაჲს ბერძნული მოდელი ოთხსტროფიანი სტიქარონის მეოთხე სტროფია, მისი I და II სტროფები იზომეტრულია, III და IV სტროფები თვითავაჯია. თვითავაჯი სტროფები სილაბიკით სხვაობენ როგორც პირველი ორისაგან, ასევე ერთმანეთისაგან. ქართული კელთაბანისაჲ, რომელიც წარმოადგენს IV სტროფის თარგმანს, მარცვალთა რაოდენობით არ ფარავს თავის ბერძნულ მოდელს, მაგრამ თარგმანი ძალიან ზუსტია, კელთაბანისას ფრაზეოლოგიური მონაკვეთებიც ძირითადად ხვდება ბერძნული მოდელის რიტმულ დაყოფას. ამრიგად, ამ სტიქარონში კელთაბანისას ბერძნული მოდელი თავისი სილაბიკითა და ფრაზეოლოგიური სტრუქტურით უცვლელად გადავიდა სტიქარონის IV სტროფად ისე, რომ ის წინა სტროფებთან არ არის ადაპტირებული არც სილაბიკისა და არც რიტმიკის თვალსაზრისით.

ეს ბერძნული თვითავაჯი სტიქარონი სხვა მხრივაც საინტერესოა ჩვენ-

თვის. ამ სტიქარონის პირველი ორი სტროფის ქართული თარგმანებიც აღმოჩნდა უძველესი იაღვარის ორ სხვადასხვა სტიქარონში. ესენია:

V ა. მარხვის მე-გ-სა სამშაბათ-

სა ო ო ღ ღ ტყვესა, ჯ ა ბ.

იმავე სტიქარონის I სტროფი

ველოდ შენდამი, მაცხოვარ,
ვითარცა უძღვებმან მან შეილმან.
შემიწყნარე მე, მამაო, სინანულითა,
და შემიწყალე მე, ღმერთო.

Ἦμαρτον εἰς σε, Σωτήρ.
ὦς δ ἄσωτος σὶός·
δέξαι με, Πάτερ, μετανοῶντα,
κα! ἐλέησόν με, ὁ Θεός.

გვ. 125, 24; II სტროფი.

TR 774,22

ბერძნულ სტროფში არის 33 მარცვალი, განაწილებული 4 რიტმულ ეროფულზე, ქართულშია 39 მარცვალი, რომელიც შედგება ოთხი ფრაზეოლოგიური ერთეულისაგან. მსგავსი ვითარებაა მომდევნო ტროპარში (V ბ):

V ბ. მარხვის მე-დ-სა სამშაბათსა

იმავე სტიქარონის II სტროფი

ო ო ღ ღ ტყვესა, ჯ ა ბ

Ἦχος β'

ვღალადებთ შენდამი, მაცხოვარ,
მეზუერისა კმასა.
მილხინე შეცოდებულსა ამას
და შემიწყალე მე, ღმერთო.

Κράζω σοι, Χριστέ Σωτήρ,
τοῦ Τελώνου τῆν φωνήν·
ἰλάσθητι! μοι, ὡσπερ ἐχέινω,
κα! ἐλέησόν με, ὁ Θεός.

გვ. 133, 12; I სტროფი.

TR 774,24.

ამრიგად, ბერძნული ტრიოდონის უაეტრო თვითავაჯ ოთხსტროფიან სტიქარონში (ო ო ღ ღ ტყვესა) აღმოჩნდა იაღვარის მარხვის II, III და IV კვირების პოეტური მასალის 3 ბერძნული მოდელი. I სტროფი ბერძნული სტიქარონისა არის მოდელი იაღვარის მარხვის III სამშაბათის სამსტროფიანი სტიქარონის II სტროფისა, ხოლო II სტროფი ბერძნული სტიქარონისა—იაღვარის IV სამშაბათის ო ო ღ ღ ტყვესას I სტროფისა. ბერძნული სტიქარონის IV სტროფი კი მოდელია იაღვარის მარხვის II კვირის კელთაბანისაჲს. ე. ო. ბერძნული ტრიოდონის ამ ერთ სტიქარონში თავი მოიყარა იაღვარის სამმა სტროფმა, აქედან ერთი—კელთაბანისაჲ—იაღვარის ძველი, ლექციონარისეული, ფენის მასალაა, ხოლო დანარჩენი ორი—იაღვარის ახალი, საკუთრივ იაღვარისეული პოეტური ფენის (სტიქარონების) მასალა. ვფიქრობთ, ეს ფაქტი მიუთითებს თვითავაჯი ბერძნული სტიქარონის კომპილაციურ ხასიათზე. ამას მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ იაღვარის ზემოთ მოყვანილი 2 ქართული სტიქარონი თავისი თემების (უძღვები შეილისა და მეზუერის) შესაბამისად მარხვის II და IV კვირების განგებებშია შეტანილი, ბერძნულ სტიქარონში კი თემატურად განსხვავებული კვირების მასალა ზოგადი ხასიათის ერთ სტიქარონშია გაერთიანებული.

გარდა ტრიოდონისა, ლექციონარის პოეტურ ტროპარებს ბერძნული მოდელები აღმოაჩნდათ ბერძნულ თვენებში, პარაკლიტონში და პენტეკოსტარიონში. თუ ტრიოდონში ძირითადად თავი მოიყარა იაღვარის მარხვის პერიოდის პოეტურმა ტროპარებმა, ბერძნულ თვენებსა და პარაკლიტონში კარბობს იაღვარის სადღესასწაულო ნაწილის პოეტური მასალა. მაგრამ მითარება ქართულ თარგმანებსა და მათ ბერძნულ მოდელებს შორის დაახ-

ლოებით იგივეა, რაც მარხვის პერიოდის პოეტურ ტროპარებსა და მათ ბერძნულ მოდელებს შორის.

ამრიგად, იადგარში წარმოდგენილი პოეტური პროზით დაწერილი მონოსტროფების ერთი ნაწილის ბერძნული მოდელები გადავიდა რიტმული პოეზიის ახალი მასალით დაკომპლექტებულ გვიანდელ ბერძნულ ლიტურგიკულ წიგნებში მათი ფორმირების პროცესში (X—XIV სს.). იქამდე ეს მასალა თავს იყრიდა ბერძნულ ლექციონარსა და უძველეს ჰიმნოგრაფიულ კრებულში, რომელიც, როგორც ჩანს, ტროპოლოგიონის სახელწოდებას ატარებდა⁴⁰⁸.

ბერძნული არქაული მონოსტროფები გვიანდელ ლიტურგიკულ ძეგლებში გადავიდნენ როგორც მონოსტროფების სახით, ასევე სტიქარონების ცალკეულ სტროფებად. საგულისხმოა, რომ პოეტური მონოსტროფების ბერძნული მოდელები ვერ დაიძებნა კანონებში.

ბერძნული მონოსტროფების ქართული თარგმანები უძველესი იადგარისა, რომლებსაც ბერძნული შესატყვისები აღმოაჩნდათ გვიანდელ ბერძნულ ლიტურგიკულ ძეგლებში, შესრულებულია ზედმიწევნითი სიზუსტით. ამ თარგმანების საშუალებით შეიძლება მსჯელობა იმაზე, თუ რა სახის მოდიფიკაცია განიცადეს უძველესმა მონოსტროფებმა ახალ ლიტურგიკულ კონტექსტში, ახალი ტიპის ლიტურგიკულ წიგნებში, რომლებიც ემყარებოდნენ კონსტანტინოპოლის ტიპიკონს და ამდენად არსებითად განსხვავდებოდნენ ლიტურგიკული პრაქტიკის იერუსალიმური წესისა და ტრადიციისაგან.

გაირკვა, რომ არქაულმა მონოსტროფებმა ახალ ლიტურგიკულ ძეგლებში გადასვლისას შეინარჩუნეს თავისი სილაბიკა და ფრაზეოლოგიური სტრუქტურა, და ეს ფრაზეოლოგიური სტრუქტურა გახდა საფუძველი მათი ტექსტების რიტმული დაყოფისა რიტმული პოეზიისათვის სავალდებულო რიტმული პუნქტუაციით.

რიტმული პოეზიის წარმოშობის დრო და პირობები, მისი განვითარების საფეხურები დღეისათვის არ არის სათანადოდ შესწავლილი. წარმოდგენილი მასალა, ჩვენს ფიქრით, დიდ სამსახურს გაუწევს ამ საკითხების კვლევას, ვინაიდან აშკარად გამოიკვეთა უშუალო კავშირი რიტმულ პოეზიასა და მისი წინამორბედი პოეტური პროზის ნიმუშებს შორის. როგორც ჩანს, პოეტური პროზის ფრაზეოლოგიური სტრუქტურა იყო ის საფუძველი, რომელზედაც აღმოცენდა რიტმული პოეზია. თავისი საზომებისა თუ რიტმული სტრუქტურების დიდი რეპერტუარით.

• •
•

აქამდე ჩვენ ვიხილავდით ისეთ შემთხვევებს, როდესაც უძველესი იადგარის პოეტური ტროპარები, რომელთაც ეძებნებათ ბერძნული მოდელები, უავტოროდ იყვნენ წარმოდგენილი ბერძნულ ლიტურგიკულ წიგნებში. მაგრამ ამის გვერდით გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ქართული მონო-

სტროფების ბერძნული მოდელები VII—VIII საუკუნეების ცნობილ ბიზანტიელ ავტორებს მიეწერებათ. რამდენიმე ასეთ შემთხვევას ვიხილავთ მომდევნო თავში, რომელიც ეძღვნება იადგარის უძველესი პოეტური ფენის დათარიღების საკითხს⁴⁰⁹. აქ კი ერთმანეთის პარალელურად მოვიყვანთ რამდენიმე ბერძნულ-ქართული ტროპარის სრულ ტექსტს, რათა ნათლად გამოჩნდეს იადგარის მონოსტროფების ქართული თარგმანების რიტმულ-სილაბური და შინაარსობრივი მიმართება ავტორიან ბერძნულ მოდელებთან.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ა
კელთაბანისაჲ კ' ა ზ

განმანათლებელი ჩუენი,
რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა,
იხილა წინამორბედმან,
რაჟამს ქრისტე ნათლის-ღებად მოვიღოდა,
იხარებდა სულითა
და ძწოდა, კელითა
უჩუენებდა მას
და ეტყოდა ერსა:
აჰა ესერა ნუგეშინისმცემელი ჩუენი,
რომელმან აიხუნეს ცოდვანი სოფ-
ლისანი.
შეუცოდებლო
ქრისტე, ღმერთო ჩუენო, შეგუიწყა-
ლენ ჩუენ.
გვ. 40, 7.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა (სტიქარონი)
'Ηγος β'. Ἰωάννου Μοναχῶς

Ἦν φωνεῖσθαι ἡμῶν,
τὸν φωνεῖσσαντα παντα ἀνθρώπων,
Ἰῶν ὁ Πρόδρομος,
βαπτισθεῖν ἡμᾶς: παρρηγομένον,
χαίρει: τῆ ψυχῆ
καὶ τρέμει τῆ χεῖρ:
θεῖαυαυ αὐτὸν,
καὶ λέγει τοῖς λαοῖς:
Ἰῶθε ὁ λυτρωμένος τὸν Ἰσραῆλ,
ὁ ἐλευθερῶν ἡμᾶς ἐκ τῆς φθορᾶς.
Ἦ ἀναμύρητε
Χριστὲ ὁ Θεὸς ἡμῶν, ὁδῶσαι.

MR III, 124,8.

ქართული თარგმანი ბერძნულთან შედარებით უკანასკნელ ოთხ მუხლში განსხვავებას აჩენს (სლავური თარგმანი ზუსტად მისდევს ბერძნულს)⁴¹⁰. ეს სხვაობა ქართულის თავისებურებაა, თუ იოანე ბერის გადამუშავება, ძნელი სათქმელია. უფრო სავარაუდოა, რომ ეს ცვლილებები იოანეს მიერ არის შეტანილი, ვინაიდან, როგორც წესი, იადგარის უავტორო ბერძნული მოდელების ქართული თარგმანები ზედმიწევნითი სიზუსტით ხასიათდებიან.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იადგარის BC ხელნაწერებს ამ ტროპარის უკანასკნელი სტრიქონის განსხვავებული ვარიანტი დაუცავთ: ნაცვლად A ხელნაწერის „შეგუიწყალენ ჩუენ“ — აქ იკითხება „ღიდებაჲ შენდა“, რაც ემთხვევა ბერძნულ ტექსტს (δὲξαι σοι)⁴¹¹. უნდა ვიფიქროთ, რომ BC ნუსხების რედაქტორებისათვის ამ ტროპარის იოანე ბერისეული ვარიანტი უკვე ცნობილი იყო.

იოანე ბერის თვითავაჯი სტიქარონი ოთხსტროფიანია. სტიქარონის პირველი სტროფი იადგარის განცხადების კელთაბანისაჲს მოდელია. ქართული თარგმანი აქაც, ისევე როგორც ადრე მოტანილ სხვა მაგალითებში, შესრულებულია იმ ვარაუდით, რომ ბერძნული ტროპარის თითოეულ აზრობრივ

⁴⁰⁹ იხ. აქვე, გვ. 808—820.

⁴¹⁰ Миняя праздничная, изд. Московской патриархии, М., 1970, с. 261.

⁴¹¹ ამ საკითხზე ვრცლად იხ. აქვე, გვ. 825—826.

მონაკვეთას ზუსტად შეეფარდებოდეს ქართული თარგმანი, მაგრამ ამ მონაკვეთებში ბერძნული ტაეპების სილაბიკა დაცული არ არის. ბერძნული სტიქარონის პირველი სტროფის რიტმიკა შეორდება მომდევნო II სტროფში. ამ სტროფებში მარცვალთა რაოდენობაც ერთნაირია (71—72 მარცვალი). ამრიგად, სტიქარონის პირველი სტროფი შეორისათვის რიტმული მოდელიც არის. მომდევნო III და IV სტროფები შეიცავენ თითოეული 93 მარცვალს და განსხვავდებიან როგორც სილაბიკით, ასევე რიტმიკით წინა ორისაგან. ამრიგად, ამ თვითავაჯ სტიქარონშიც გვაქვს ორი წყვილი იზომეტრული სტროფებისა⁴¹², სადაც თითოეული წყვილის პირველ სტროფთან შეწყობილია მომდევნო სტროფი. უძვ. იადგარის განცხადების კელთაბანისაჲს ბერძნული მოდელი გამოყენებულია პირველი წყვილის პირველ სტროფად, როგორც მომდევნო სტროფის რიტმული მოდელი.

ლექციონარის ეამისწირვის პოეტური ტროპარების სისტემა ადრე (VI ს.) ჩამოყალიბებული ჩანს. ის თითქმის უცვლელი სახით გადავიდა (როგორც უძველესი პოეტური ფენა) იადგარში, შემდგომშიც ცვლილებები თითქმის არ განუცდია, მიუხედავად იმისა, რომ უძველესი იადგარი ახალი პოეტური ფორმებითა და მასალით გამდიდრდა დროთა ვითარებაში. ეს გვაფიქრებინებს, რომ ლექციონარის ეამისწირვის პოეტურ მასალაში (შესაბამისად უძვ. იადგარის პოეტური მასალის უძველეს ფენაში) არ უნდა იყოს შეტანილი ავტორიანი პოეტური ტროპარები (გგულისხმობთ VII—VIII სს. ცნობილ ჰიმნოდებს), და თუ ზოგი პოეტური ტროპარი ჩანს როგორც ავტორიანი სტიქარონების შემადგენელი ერთ-ერთი სტროფი, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევებში ბერძნული ლექციონარის უძველესი პოეტური ტროპარებია გამოყენებული ცალკეული ავტორების მიერ⁴¹³ როგორც პირველი სტროფი, რომელსაც ავტორიან თვითავაჯ სტიქარონში რიტმული მოდელის ე. ი. ძლისპირის ფუნქცია აკისრია.

უძვ. იადგარის პოეტური ტროპარების ბერძნული მოდელები რომ ავტორიან სტიქარონებში პირველ სტროფად და რიტმულ მოდელად გამოიყენებოდა, ეს კარგად გამოჩნდა კოზმა იერუსალიმელის ერთ-ერთ თვითავაჯ სტიქარონშიც⁴¹⁴.

ფერისცვლების დღეს (6 აგვისტოს) სამხრად, დიდი ეამისწირვის მასალაში, ლექციონარში და შესაბამისად იადგარშიც, შესულია ოხითაჲ და კელთაბანისაჲ, რომელთა ბერძნული მოდელები აღმოჩნდა ბერძნული თვენის ამავე დღესასწაულის მწუხრის მასალაში — კოზმა იერუსალიმელის თვითავაჯ სტიქარონში.

ფერისცვალებაჲ

კელთაბანისაჲ 3^ა დ

პირველ ჭუარცუმისა შენისა, უფალო,
მთაჲ, ცათა მობაძავი,
ღრუბლისა ტალავრითა საესე იყო,
რაეამს შენ ფერ იცვალე

Στιχηρὰ Ἰδιόμελα

Ἦχος δ'. Κοσμᾶ Μοναχοῦ

Πρὸ τοῦ Σταυροῦ σου, Κύριε,
θραὺς σὺραχνὸν ἐμίμητο,
νεφέλη ἄς σχηγῆ ἐφηπλοῖτο.
Σὺς μεταμορφουμένους,

⁴¹² ამ ტიპის თვითავაჯ სტიქარონების შესახებ იხ. აქვე, გვ. 801.

⁴¹³ ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 808—820.

⁴¹⁴ ამ სტიქარონის შესახებ იხ. აგრეთვე აქვე, გვ. 815.

და მამისა მიერ იწამე,
მუნ იყო პეტრე
იაკობითურთ და იოანე.
რომელნიცა თანა-ყოფად იყვნეს
უამსა მას ვნებისა შენისასა,
რადთა იხილონ საკუთრეველებად შენი
და არა შეორგულდენ ვნებასაცა შენსა,
რომელსა ჩუენ თაყუანის-ვსცემთ,
რადთა მშუდილობით თანა-მავალ მეყოს
ჩუენ დიდი წყალობად შენი.
გვ. 265, 26.

ტიქსტი მუხლებად დაყოფილია ბერძნულის მიხედვით.

ფ ე რ ი ს ც ვ ა ლ ე ბ ა ე
ოხითაჲ კ ა ლ

მთასა მალალსა ფერი იცვალა მაცხო-
ვარმან,
თავნი მოწაფეთანი ჰქონდეს,
დიდებით გამობრწყინდა.
საცნაურ არს, რამეთუ
რომელნი სიმალლითა სიმკნისაჲთა
განშუენდეს,
სალმრთოჲსა მისცა ხილვად ღრღე-
ბასა ღირს იქმნეს.
ზრახვითა ურთიერთას
მოსე და ელია აუწყებდეს.
თუ ცხოველთა და მკუდართა უფლე-
ბდეს,
და კუალად რომელი-იგი რჩულისა
მიერ და წინაწარმეტყუელთა ზრახ-
ვითა იყო ქრისტე,
რომლისათვისცა
ქმაჲ მამისაჲ
ღრუბლით გამო ნათლისაჲთ
წამებდა თქუმითა (BC):
მაგისი ისმინეთ, რომელმან
ჯუარითა
ჯოჯოხეთი წარმოტყუენოს
და მორწმუნეთა მიანიჭოს ცხორე-
ბად საუკუნოჲ.
გვ. 265, 9.

ἵπθ Πατρὸς δὲ μαρτυρομένου,
πατρὴν δὲ Πέτρος
σὺν Ἰακώβῳ καὶ Ἰωάννῃ,
ὡς μέλλοντες συνεῖναι σοὶ
καὶ ἐν τῷ καιρῷ τῆς παρθένου σου·
ἦνα μεαρήσαντες τὰ φασμασίαι σου,
μη̄ δελεάσωαι τὰ παθήματα σου·
ἃ παροσχυνῆσαι ἡμᾶς
ἐν εἰρήνῃ καταδείξασον
δὲ τὸ μέγα ἔλεος.
MR VI, 330,31.

Εἰς ὄρος ἰψηλὸν μεταμορφωθείς δὲ
Σωτήρ,
τοὺς κορυφαίους ἔχων τῶν Μαιητῶν,
ἐνδόξως ἐξέλαμψας·
ὀηλῶν, ὅτι:
οἱ τῷ ὕψει τῶν ἀρετῶν διαπρέψαντες,
καὶ τῆς ἐνθέου δόξης ἀξιομήσονται.
Σαλλαλοῦντες δὲ τῷ Χριστῷ
Μωϋσῆς καὶ Ἠλίας ἐδείκνυσον
ὅτι ζώντων καὶ νεκρῶν κυριεύει·
καὶ ὁ πᾶσι

δὲ νόμου καὶ Προφητῶν ἀκλήσας
ἰπῆρχε Θεός·
ἦ
καὶ φωνῆ τοῦ Πατρὸς
ἐκ νεφέλης φωνεῖν τῆς
ἐμαρτύρει λέγουσα·
Αὐτοῦ ἀκούετε,
τοῦ διὰ Σταυροῦ
τὸν Ἁθῆν στυλεύσοντος,
καὶ νεκροῖς ὁραομένου ζῶντος αἰώνιον.

MR VI, 331,5.

კომპას სტიქარონი ოთხსტროფიანია. ის შედგება ორი იზომეტრული წყვი-
ლისაგან: I—II და III—IV სტროფები. I სტროფი სტიქარონისა კელთაბანი-
სას ბერძნული მოდელია, III სტროფი კი—ოხითას ბერძნული მოდელი. პირვე-

ლი სტროფი (ველთაბანისაჲ) რიტმული მოდელია მომდევნო მეორე სტროფისა, III სტროფი (ოხითაჲ) კი რიტმული მოდელია მომდევნო მეოთხე სტროფისათვის. ამდენად, ლექციონარისა და შესაბამისად უძველესი იადგარის ორი პოეტური მონოსტროფის ბერძნული მოდელები კოზმას თვითავაჯ სტიქარონში რიტმულ მოდელების ფუნქციას ასრულებენ. ცხადია, ამ ორი პოეტური მონოსტროფის რიტმული დაყოფა კოზმას ეკუთვნის. მაგრამ ამ დაყოფას არავითარი ცვლილება მონოსტროფების სილაბურ აგებულებაში არ შეუტანია, ვინაიდან აქაც, ისევე როგორც ადრე მოყვანილ მაგალითებში, საფუძველი ამ ტროპარების რიტმული დაყოფისათვის მათი ფრაზეოლოგიური წყობაა. ამგვარად, კოზმამ უძველესი პოეტური ტროპარები გამოიყენა რიტმულ მოდელებად, რომლებიც ააგო თვითავაჯი სტიქარონი.

უძველესი იადგარის ლექციონარისეული პოეტური ფენის დათარიღებისათვის

როგორც აღნიშნული იყო, უძველესი იადგარის თავდაპირველი პოეტური ფენა შეიცავს იმ პოეტურ ტროპარებს, რომლებიც იადგარმა ლექციონარისაგან მიიღო. ამ ფენას ვუწოდებთ ლექციონარისეული ფენა, რადგან შედგენილობით ის თითქმის იდენტურია ლექციონარის პოეტური ფენისა⁴¹⁵. ეს ფენა მოიცავს მხოლოდ პოეტურ მონოსტროფებს. ვინაიდან უძველესი იადგარის ცალკე კრებულად გამოყოფას VII საუკუნეში ვვარაუდობთ, ამიტომ პოეტური ტროპარების ამ თავდაპირველი ფენის ზემო ქრონოლოგიური ზღვარიც ამავე დროით უნდა შემოიფარგლოს. მაშასადამე, ამ ფენაში არ არის მოსალოდნელი VII—VIII საუკუნეების ცნობილი ბიზანტიელი ჰიმნოდეების პოეტური ტროპარები. მაგრამ ამ ჩვენს ვარაუდს ზოგი ფაქტი ეწინააღმდეგება, რომლებიც ახსნას მოითხოვენ.

„იერუსალიმის კანონარის“ წინასიტყვაობაში კ. კეკელიძემ წარმოადგინა თავისი თვალსაზრისი ქართული ლექციონარისა და მისი ბერძნული მოდელის ჩამოყალიბების დროის შესახებ. კ. კეკელიძის აზრით, ბერძნული ლექციონარის კალენდრის განვითარება უნდა დასრულებულიყო VII საუკუნის პირველ ნახევარში (644 წლამდე). განვითარების ეს პროცესი არ შეხებია ქართულს, ვინაიდან ქართულად ითარგმნა ბერძნული ლექციონარის საბოლოო, სრული ვარიანტი. მეკლევარის აზრით, ლექციონარი ვერ ითარგმნებოდა ქართულად VIII საუკუნის შუა წლებამდე, ვინაიდან ქართულ ლექციონარში ის ვარაუდობდა ანდრია იერუსალიმელის ორი ტროპარის არსებობას. რომლებიც ბერძნულ დედანშივე უნდა ყოფილიყო შეტანილი გადამწერების მიერ მოგვიანებით — VIII საუკ. პირველ ნახევარში⁴¹⁶.

⁴¹⁵ ზოგიერთი გამოკვლევის შესახებ იხ. აქვე, გვ. 706—721.

⁴¹⁶ Иерусалимский Канонарь, გვ. 26—27. კ. კეკელიძის ეს თვალსაზრისი ბოლო დრომდე გაზარებული იყო ქართული ლექციონარის მეკლევართა მიერ (მ. თარხნიშვილი, პ. ლევი). კ. კეკელიძის ეს თვალსაზრისი არ ითვალისწინებს ქართული ხანშეტი და ჰემეტი ლექციონარების არსებობის ფაქტს (იერუსალიმური კანონის გამოქვეყნების დროისათვის ამ ნუსხების არსებობის შესახებ ჭერ არაფერი იყო ცნობილი). ამ ძეგლებმა კი არსებითად შეცვალეს ჩვენი წარმოდგენა ქართულ ლექციონარის თარგმანის დროსა და მისი განვითარების ეტაპებზე (იხ. აქვე, გვ. 683—684).

თავის ვარაუდს კ. კეკელიძე ძალიან ფრთხილად გამოთქვამს. იგი წერს: «В последовании Рождества Христова указываются начальные слова одного тропаря: «Веселитесь праведнии, небеса» („იხარებდით მართალნი, ცანი“); такими словами начинается теперь первая стихира на хвалитех рождественской утрени, надписываемая именем Андрея Иерусалимского. Затем, в Вербное воскресенье, на литургии, указано петь тропарь—«Общее воскресение прежде твоя страсти» („უველთა ადგომაჲ წინა ვნებისა“), по изысканиям проф. И. Карабинова, это песнопение усвоят тому же Андрею Иерусалимскому лучшие списки Стихирарей. Если в первом случае мы имеем дело именно с песнопением Андрея Иерусалимского (возможно, что так начиналось и другое какое-либо песнопение, до нас не дошедшее), а во втором—безусловно довериться свидетельству рукописей, то должны допустить, что у грузинского переводчика под руками был подлинник, в который благодаря переписчикам, проникли песнопения Андрея Иерусалимского, следовательно, перевод мог появиться не раньше половины VIII века, ибо Андрей Иерусалимский скончался между 712 и 726 годами»¹¹⁷.

კ. კეკელიძის სამართლიანი შენიშვნით, ბერძნულსა და ქართულ ჰიმნოგრაფიულ წიგნებში ძალიან ბევრია ერთნაირი დასაწყისის მქონე პოეტური ტროპარები. ხოლო ვინაიდან ლექციონარში ჰიმნოგრაფიული მასალა, საერთოდ და, კერძოდ, განსახილველი ორი ტროპარიც, მხოლოდ დასაწყისებით არის წარმოდგენილი, ამიტომ კ. კეკელიძისათვის მათი იდენტიფიკაცია ანდრიას ავტორობით ცნობილ ტროპარებთან დამტკიცებას თხოულობდა. დღეს კ. კეკელიძის ამ ეკვის გაქარვება შესაძლებელი გახდა, ვინაიდან ლექციონარში დასაწყისებით წარმოდგენილი ეს ორი ტროპარი, სრული სახითაა მოტანილი უძველეს იადგარში.

ლ ე ქ ი ც ი ო ნ ა რ ი

შობა, შუალამითგან იწყონ დასდებულთა და საკითხავთა. (T12).

ბ დასადებელი ტ ა დ

იხარებდით მართალნი, ცანი (T 14)

უ ძ ვ ე ლ ე ს ი ი ა დ გ ა რ ი

შუალამითგან იწყონ საკითხავთა კითხვად და ამით დასადებულთა იტყოდინ...

ბ დასადებელი ტ ა დ

იხარებდით მართალნი, ცანი მხიარულ იყვენით, იმღერდით მთანი ქრისტეს გამოჩინებასა. ქალწული ზის შობაძავე ქერობინთაჲ. უტვრთავს წიაღითა სიტყუაჲ მბრთისაჲ ჯორცელად. მწყემსთა შობილი დაუკვრდების, მოგუნი უფლსა ძღუესა შესწირვენ, ანგელოზნი დასადებენ და იტყვან: გამოუთქუმელო უფალო, დიდებაჲ შენდა.

გვ. 13,5.

¹¹⁷ Иерус. Канонарь, с. 26—27.

ანდრიას მიეწერება ეს ტროპარი ბერძნულ თვეწში⁴¹⁸ და მესინის XII საუკუნის ტიპიკონში⁴¹⁹.

ანდრია იერუსალიმელის თვითავაჯი სტიქარონი (აქებლითსა) 4 სტროფისაგან შედგება. სტროფები შეიცავენ მარცვალთა სხვადასხვა რაოდენობას; I — 105 მარცვალს, II — 57, III — 102, IV — 103. მეორე ტროპარი დანარჩენი სამისაგან საგრძნობლად სხვაობს მოცულობით, სამ ტროპარში მარცვალთა რაოდენობა დაახლოებით ერთნაირია. სტროფებს აქვთ რიტმული დაყოფა. სტიქარონის სლავური თარგმანი ზუსტად მისდევს ბერძნულ ტექსტს.⁴²⁰ ეს სტიქარონი რომ ანდრია იერუსალიმელს ეკუთვნის, არ უნდა იწვევდეს ეჭვს. მაგრამ ის გარემოება, რომ ამ სტიქარონის მხოლოდ ერთი, პირველი სტროფია შესული ლექციონარსა და უძველეს იადგარში, გვაფიქრებინებს, რომ ეს სტროფი ადრეზნატიურ ღვთისმსახურებაში ანდრიაზე გამოყენებული და ფართოდ გავრცელებული მაღალი პოეტური ღირსების მქონე ტროპარია, რომელიც ანდრია იერუსალიმელმა გამოიყენა სტიქარონის პირველ სტროფად. ეს სტროფი იდეურ-მხატვრულ მიმართულებას აძლევდა მთელ სტიქარონს. ასეთი პოეტური ტროპარები იერუსალიმის ღვთისმსახურებაში ფართოდ იყო გავრცელებული V—VI საუკუნეებში⁴²¹. სტიქარონებიც თავდაპირველად ბიბლიური ტექსტებისაგან გამოთავისუფლებული პოეტური ტროპარებისაგან დგებოდა. ამის მაგალითი უძველესმა იადგარმაც შემოგვინახა⁴²². ამდენად, ანდრიას სტიქარონის ქართული ლექციონარისა და უძველესი იადგარის ტროპარების იგივეობა იმით უნდა აიხსნას, რომ ანდრია ისარგებლა ამ შესანიშნავი პოეტური ტროპარით თავისი სტიქარონისათვის და არა პირიქით. ამ ჩვენ მოსაზრებას ამაგრებს ისიც, რომ ანდრია იერუსალიმელი, როგორც ამას ი. კარაბინოვი გვაშეცნობს, თავის შემოქმედებაში უხვად სარგებლობდა ადრეული პოეტური ტროპარებით: «По своей структуре и технике каноны св. Андрея, как одни из первоначальных песнопений этого рода, значительно отличаются от канонов позднейших песнопевцев: многие особенности их сразу выдают в них собрание припевов или тропарей к библейским песням. Прежде всего т. н. ирмосы в канонах св. Андрея нередко берутся прямо из библейских песней буквально и без всяких дополнений со стороны песнописца, в других случаях, если дополнения и бывают, очень часто они весьма незначительны и напоминают собой такие-же дополнения у древних творцов тропарей»⁴²³.

ანდრიას სამსაგალობლებზე კი კარაბინოვი: წერს «Трипеснцы св. Андрея суть ничто иное, как собрание припевов или тропарей к библейским песням в их более простодневном распределении»⁴²⁴.

თუ ეს ითქმის ანდრიას კანონებზე და სამსაგალობლებზე, ეს დებულება,

⁴¹⁸ MR, დეკემბრის თვე, გვ. 671—672.

⁴¹⁹ Le typicon du monastère du Sant-Sauveure à Messin... introduction, texte critique et notes par Miguel Arranz, Roma, 1969, p. 64.

⁴²⁰ Минея праздничная, изд. Московской патриархии, М., 1970, с. 219.

⁴²¹ E. Wellesz, A History of Byzantine Music and Hymnography, 1962, p. 171.

⁴²² იხ. აქვე, გვ. 822.

⁴²³ И. Карабинов, Постная триодь, с. 93.

⁴²⁴ იქვე, გვ. 103.

მით უმეტეს, გავრცელდება აღრეულ თვითავაჯ სტიქარონზე (Σταχγρα Ἰνδόμελα), სადაც თითოეულ ტროპარს თავისი საზომი აქვს, ტროპარები მარცვალთა რაოდენობით სხვაობენ ერთმანეთისაგან და სტიქარონი ტროპართა მექანიკურ ჯამს უფრო წარმოადგენს, ვიდრე ერთ მთლიან კომპოზიციას. თვითავაჯი სტიქარონები უფრო ძველია, ვიდრე პროსოპოია⁴²⁵. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ლექციონარში (და მასასადამე უძვ. იადგარშიც) მონოსტროფების ბერძნული მოდელების უმრავლესობა სწორედ თვითავაჯ სტიქარონებში ანუ იდიომელებში გამოვლინდა.

უძველესი იადგარის მეორე დასდებლის („იხარებდით მართალნი“) სტიქარონის პირველ სტროფად გამოყენების კიდევ ერთი საინტერესო შემთხვევა შემოგვინახა გიორგი მთაწმიდლის დეკემბრის თვის საშობაო განგებამ (S 4999, გვ. 511). გიორგიმ მის მიერ თარგმნილ დეკემბრის „თთუენში“ შობის ახალი სტიქარონების გვერდით მოათავსა „ქრისტეს შობისა ძუელნი სტაქარონნი“. ეს ძუელი სტიქარონები სხვა არაფერია, თუ არა უძველესი იადგარის შუალამის დასდებლები: აქედან ზოგი ცალ-ცალკე სტროფად არის მოყვანილი საკუთარ ხმაზე მითითებით, ხოლო ერთი ნაწილი (2,3,4 დასდებლები) გაერთიანებულია სამსტროფიან სტიქარონად, რომელსაც მხოლოდ დასაწყისში აქვს მითითებული ხმა (ჯ ა დ). ძველი დასდებლების ამ კომბინაციას, რომელსაც პირველ სტროფად აქვს ანდრია კრიტელისადმი მიკუთვნებული ზემოთგანხილული დასდებელი („იხარებდით მართალნი“), გიორგი მთაწმიდელი უწოდებს ძველ სტიქარონს.

ეს ფაქტი მრავალმხრივ საინტერესოა: 1. მოწმობს, თუ როგორ იყენებს გიორგი მთაწმიდელი უძველესი იადგარის შობის დასდებლებს მის მიერ ახლად თარგმნილ თვენში და როგორ ათავსებს ამ ძველ მასალას ახლის გვერდით. 2) საინტერესოა ისიც, რომ, დროის მოთხოვნილებებიან შესაბამისად, ის ცდილობს ქრისტეშობის მონოსტროფები შეცვალოს სტიქარონებით. 3. სტიქარონის პირველ სტროფად გამოყენებულია ის დასდებელი, რომელიც მიეწერება ანდრია კრიტელს. ამრიგად, სახეზეა შემთხვევა, როდესაც ეს ჩვენთვის საინტერესო სტროფი კვლავ გამოყენებულია სტიქარონის პირველ სტროფად. ცხადია, ამ სტიქარონსა და ბერძნულ თვენში ანდრიას სახელით ცნობილ სტიქარონს საერთო მხოლოდ ეს პირველი სტროფი აქვთ.

გაურკვეველი ვითარებაა მეორე ტროპართან დაკავშირებით, რომლის ავტორადაც კ. კეკელიძე, ი. კარაბინოვის ცნობაზე დაყრდნობით, აგრეთვე ანდრია იერუსალიმელს ვარაუდობს⁴²⁶. ეს ტროპარი არის ბზობის კვირიაკის ჟამისწირვის ოხითაა — „ყოველთა ადგომაა წინა ვნ...“ (T 586).

ამ ოხითაა სრული ტექსტიც შეტანილია უძველესი იადგარის იმავე დღესასწაულის განგებაში (გვ. 175, 15). იგივე ოხითაა, ავტორზე მითითების გარეშე, შესულია 1052 წლის უძველეს ქართულ მარხვანში (Sin. 5, 249r)⁴²⁷. ასევე უავტორო მონოსტროფად არის შესული ეს ოხითაა ბერძნულ და სლავურ ტრიოდონებში (ბზობის შაბათის მწუხრის მასალაში)⁴²⁸.

⁴²⁵ Le lipicon du monastère du Saint-Sauveur à Mesine, p 405.

⁴²⁶ И. Карабинов, Постная триодь, с. 106.

⁴²⁷ იგივე ტროპარი, როგორც „წარდგომა“, შესულია გიორგი მთაწმიდლის რედაქციის „მარხვანში“. იხ. სინურ ხელნაწ. აღწერილობა, II, გვ. 40, № 6.

⁴²⁸ TR. 605, 38; Постная триодь, изд. Московской патриархии, ч. II, 1975 с. სლავუ-

ვფიქრობთ, რომ ეს ტროპარიც ბერძნულ ტრიოდინონში ბერძნული იერუსალიმური ლექციონარიდან გადასულად უნდა მივიჩნიოთ. ეს საჩქმუნო იმიტომაც არის, რომ ლექციონარის პოეტური მასალის ყველაზე ძველი ფენა— მარხვის პერიოდის პოეტური მონოსტროფები, ყველაზე დიდი რაოდენობით დაილექა ბერძნულ ტრიოდინონში. ამრიგად, არც ამ ტროპარის შემთხვევაში არსებობს რაიმე მტკიცე საბუთი იმისა, რომ ლექციონარის ოხითაჲს აეტორად ანდრია იერუსალიმელი მივიჩნიოთ⁴²⁹.

ცნობილია, რომ ბერძნულ ლიტურგიკულ ხელნაწერებში ორი საესეებით ერთნაირი ხელნაწერის პოვნა შეუძლებელია (ასეთივე ვითარებაა ქართულში). ცნობილია ისიც, რომ პოეტური მასალის აეტორებზე მითითება ლიტურგიკულ ხელნაწერებში ხშირად განსხვავებულია: ერთი და იგივე კანონი, სტიქარონი, ტროპარი თუ ძლისპირი სხვადასხვა ლიტურგიკულ ხელნაწერებში (ზოგჯერ ერთი ძეგლის ფარგლებში) სხვადასხვა აეტორს მიეწერება.

ამდენად ლიტურგიკულ წიგნებში აეტორებზე მითითებები ყოველთვის საიმედო და სანდო არ არის და აეტორიანი ტროპარებით ამა თუ იმ ძეგლის დათარიღებასაც დიდი სიფრთხილით უნდა მოვეყვილოთ. ამისდა მიუხედავად, საჭიროდ მიგვაჩნია კ. კეკელიძის მიკვლევულ ამ აეტორიან ტროპარებს კიდევ რამდენიმე დაეუმატოთ ამ საკითხზე უფრო სრული წარმოდგენის შესაქმნელად.

უძვე. იადგარის ლექციონარისეულ ფენაში ტროპარების გარკვეულ რაოდენობას აღმოაჩნდა ბერძნული მოდელები ბერძნულ ლიტურგიკულ წიგნებში. ამ მოდელების მხოლოდ მცირე ნაწილია აეტორიანი. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

I. თ თ უ ე ს ა დ ე კ ე მ ბ ე რ ს ა კ ჯ
ს ტ ე ფ ა ნ ე ა ს ი

ამავე დღესასწაულის სტიქარონი

კელთაბანისაჲ კ ა დ გ ი

Ἦλιος πλ. ὁ, Ἰσαριανος

გიხაროდენ უფლისა მიერ, სტეფანე,
გუირგუინ-შემოსილო...

Χαίρεις ἐν Ἰσαρίῳ. στεφανυφόρε Στέφανε...

გვ. 27,2; T 46.

MR II, 707,37.

სტეფანეს დღესასწაულის კელთაბანისაჲს ბერძნული აეტორიანი მოდელი მოსდევს ამავე დღესასწაულის უაეტორო სტიქარონს (პროსოპოიას). ბერძნულ-ქართული ეს მონოსტროფები საესეებით თანხვდება ერთმანეთს თემით

რი ლიტურგიკული ხელნაწერების მასალას ვერ გავეცანით, ი. კარაბინოვს კი ამ ტროპარის აეტორზე მითითება ხელნაწერებში ვგულებოდა.

⁴²⁹ იხ. აქვე ცხრილი ბერძნული მოდელებისა. ამ ტროპარის ანდრია კრიტელისადმი მიკუთვნებას შეუძლებლად მიიჩნევს ანტონ ბაუმსტარკი. მეცნიერ-ლიტურგისტი იმ ზომამდეა დარწმუნებული, რომ იერუსალიმურ ლექციონარში პოეტური მონოსტროფები იოანე დამასკელის წინაპერიოდის იერუსალიმური პოეტური საგანძურის კუთვნილებაა, რომ ეკუთვნის ამ ტროპარის აეტორის ანდრია იერუსალიმელისა და ანდრია კრიტელის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. მკვლევარი ფიქრობს, რომ ანდრია იერუსალიმელი და ანდრია კრიტელი ორი სხვადასხვა პიროვნება იყო. ანდრია იერუსალიმელი— VII ს. პოეტი, აეტორი ტროპარისა, ხოლო ანდრია კრიტელი VII—VIII სს. პოეტი, რომელსაც მიეწერება სინანულის დიდი კანონი (G. Peradze—A. Baumstark, Die Weihnachtsfeier Jerusalems im siebten Jahrhundert, Oriens Christianus, 3. Serie, Bd. 1, 1927, S. 311).

100—106 მარცვალა. სტიქარონის სტროფები სხვაობენ ერთმანეთისაგან რიტმული დაყოფით. ქართული მონოსტროფების ბერძნული მოდელების რიტმული დაყოფა ემთხვევა ქართული მონოსტროფების ფრაზეოლოგიურ მონაკვეთებს.

სანამ შემდეგ მაგალითებზე გადავიდოდეთ, გვინდა კვლავ შევეხოთ თვითა-ვაჯი სტიქარონების თავისებურებას, ვინაიდან იადგარის ლექციონარისეული მონოსტროფების ბერძნული მოდელების უმრავლესობა სწორედ თვითავაჯ სტიქარონებში იძენება. თვითავაჯი სტიქარონები (Στιχηρά ᾿Ιδιόμελα) არ იწერება ერთ ირმოსზე და თითოეულ სტროფს, ან წყვილ-წყვილად სტროფებს, თავისი საზომი აქვთ. ეს, ჩვენი ვარაუდით, იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ამ ტიპის უძველეს სტიქარონებში გამოყენებულია ადრე გავრცელებული პოეტური ტროპარები, რომლებიც თავისივე სილაბიკით არიან შესჯული ამ სტიქარონებში, და რომელთა შინაგანი რიტმი განსაზღვრავს სტროფების რიტმიკას სტიქარონშიც. ამიტომ თვითავაჯი სტიქარონის სტროფები ნაკლებადაა ერთმანეთთან დაკავშირებული, თვითავაჯი სტიქარონი სტროფთა უფრო მექანიკურ ერთობას წარმოადგენს. თვითავაჯი სტიქარონი, როგორც სტიქარონის ერთ-ერთი სახე, ყველაზე ადრეულად არის მიჩნეული.⁴³²

III. განცხადება მწუხრი განცხადების ლიტანია
(დიდებასა იბაკოა)

[ჯ^ა დ გ^ი]

უფალო, აღსრულებად ინებე, რომელი საუკუნითაგანვე განგეწესა ყოველთათვის დაბადებულთა...

38, 8(B).

Ἦχος πλ. ὁ'. Ἰωάννου Μοναχοῦ

Κύριε, πληρώσαι βουλόμενος

ἃ ἄριστος ἔπ' ἀίνωνος,

ἄπι πάσης τῆς κτίσεως...

MR III, 143, 21.

განცხადების ტროპარი ბერძნულ თვენში მოსდევს კოზმაქიერუსალიმელის თვითავაჯ სტიქარონს. ლექციონარში ეს „დიდებასა იბაკოა“ არ არის შესული. უძველეს იადგარშიც მას მხოლოდ B ნუსხა იცნობს, ამიტომ ეს ავტორიანი მონოსტროფი უძველესი იადგარის B ნუსხის ახალ შევსებად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო მის ავტორად—იოანე ბერი.

IV. ფერისცვალება

ოხითაა ჯ^ა დ

მთასა მალალსა ფერი იცვალა მაცხოვარმან, თავნი მოწაფეთანი ჰქონდეს⁴³³...

გვ. 265, 9. T 1127.

ფერისცვალება

Στιχηρά ᾿Ιδιόμελα, ὁ'. Ἦχος ὁ'. Κοσμά Μοναχοῦ

Ἐὶς ὄρος ὑψηλὸν μεταμορφώθεις ὁ Σωτήρ

τοὺς κορυφαίους ἔχων τῶν Μαθητῶν...

MR VI, 331, 5.

კოზმას თვითავაჯი სტიქარონი 4-სტროფიანია. III სტროფი ფერისცვალების ოხითაა მოდელია. ამავე სტიქარონის I სტროფი ფერისცვალების კელთაბანისაა მოდელია.

⁴³² M. Arranz, Le tipicon du monastère du Saint-Saureur à Messine, p. 405.

⁴³³ სრული ტექსტი იხ. აქვე, გვ. 807.

ფ ე რ ი ს ც ე ა ლ ე ბ ა ა

იგივე სტიქარონი

კელთაბანისაჲ კ^ა დ

პირველ ჭუარკუმისა შენისა, უფალო, მთაჲ, ცათა მობაძაეი, ღრუბლისა ტალავრითა სავსე იყო⁴³⁴.
გვ. 265, 26; T 1133.

Πρὸ τοῦ Σααριῶν σου, Κύριε, ἕρως ὀφραῶν ἐμίμειστο, νεφέλη ἄς σαχηῆ φηηπίστω.
MR VI, 330,31.

ბერძნული და ქართული ტროპარები ერთი დღესასწაულის (ფერისცვალების) მასალაა. ხმაც ორივეს ერთი აქვს. ესეც ის შემთხვევაა, როდესაც იადგარის ერთი დღესასწაულის ეამისწირვის ორი მონოსტროფი იმავე დღესასწაულის ბერძნულ თვითავე სტიქარონშია გაერთიანებული.

იადგარის მონოსტროფები ბერძნული სტიქარონის ძირითადი სტროფებია, რომლებიც სტიქარონში მომდევნო სტროფის სილაბიკას და, ამდენად, მეტრიკასაც განსაზღვრავენ. ვფიქრობთ, ამ ფაქტს თავისი ახსნა ეძებნება. უძველესი იერუსალიმური ტიპიკონის (იერუსალიმური ლექციონარის) ცალცალკე დამოუკიდებელი დანიშნულების წიგნებად დაშლის პროცესში ბერძნულ თვენებში ეამისწირვის პოეტური მასალა აღარ გადავიდა, სამაგიეროდ გაიზარდა მწუხრისა და ცისკრის სტიქარონების რეპერტუარი. ამ სტიქარონების შექმნისას, რომლებიც ძირითადად VII—VIII საუკუნეების ცნობილ საბაწმიდელ ავტორებს ეკუთვნის, გამოყენებულ იქნა ეამისწირვის პოეტური ტროპარები უძველესი იერუსალიმური საღვთისმსახურო პრაქტიკიდან. ამრიგად, ეამისწირვის უძველესი პოეტური მონოსტროფების ერთი ნაწილი შემოგვინახეს უმთავრესად ახალი ბერძნული თვენების სტიქარონებმა.

V. მ ი გ ე ბ ე ბ ა ა

მიგებება

ლიტანიის იბაკონი

Ἐπιχῆρα Ἰδισμούλα

სხუაჲ გ^ა ო

*Ἦχος βαρύν. Κοσμά Μοναχῶν.

შეამკვე სასძლოჲ შენი, სიონ...
გვ. 97, 38.

Κατακόμησον τὸν ναυφῶνά σου, Σιών...
MR III, 479,39.

უძვ. იადგარში მიგებების ლიტანია შეიცავს 6 იბაკოს (ლექციონარში ეს მასალა არა ჩანს). იადგარის B ნუსხაში იბაკოთა ეს მწკრივი მოთავსებულია ცისკრის კანონსა და აქებდითსას შორის. ამ მწკრივის მესამე იბაკო (სკემონ წინაწარმეტყუელო და მართალო...“) მხოლოდ BC ნუსხებშია შეტანილი იბაკოთა მწკრივში. A-ში ეს იბაკო იმავე მიგებების კელთაბანისა არის. ის გარემოება, რომ ლიტანიის იბაკოთა მთელი მწკრივი არ ჩანს ლექციონარის მიგებების განგებაში, ამავე დროს, იადგარის ხელნაწერებში ლიტანიის იბაკოებს სხვადასხვა ადგილი აქვთ დათმობილი განგებაში და შედგენილობაც არ არის სავსებით ერთნაირი, გვაფიქრებინებს, რომ განგების ეს ელემენტი საკუთრივ იადგარის შევსებაა და ამდენად შედარებით ახალიც. ამიტომ სავსებით შესაძლებელია ამ ახალ ფენაში VII—VIII სს-ის ბერძენ ჰიმნოღთა პოეტური ტროპარების არსებობის დაშვება. მაგრამ ის ფაქტი, რომ იადგარში იბაკოთა მწკრივი ცალცალკე

⁴³⁴ სრული ტექსტი იხ. აქვე, გვ. 806.

იბაკობისაგან შედგება, ხოლო ბერძნულ თვენში კი ის თვითავაჯი სტიქარონია და ამ სტიქარონის მხოლოდ ერთი სტროფი თანხვდება იადგარის ლიტანიის იბაკოს. გვაგარაულებინებს, რომ ამ შემთხვევაშიც კოზმას უნდა ესარგებლა იადგარის იბაკოთი და შეეტანა თვითავაჯ სტიქარონში, და არა პირიქით. საინტერესოა, რომ ქართულ იბაკოსა და ბერძნულ სტიქარონს ხმაყ ერთი აქვთ.

VI. 13 სექტემბერსა, ენკენიაა

კელთაბანისაჲ ჯა ა გი
კმაჲ წინაწარმეტყუელთა შენთაჲ,
ესაიაჲსი და დავითისი, აღესრულა...
გვ. 297, 34. T 1245 სქ. (არის
მხოლოდ ლატალის ლექციონარში)

ი ა ნ ვ ა რ ს ა კ თ, ჯ უ ა რ ი ს
გ ა მ ო ჩ ი ნ ე ბ ა ა

ო რ ლ ლ ყ ვ ს ა ჯ ა ა გ ი
მოვედით, ერნო, დიდებულსა საკუი-
რველისა ცნობითა ჯუარსა, რომელ-
სა თაყუანის-ვსცეთ...
გვ. 85, 13.

13 სექტემბერი, ენკენია

Ποίημα Λέοντος δεσπότης Ἰησὺς β'.
Ἦ φωνή τῶν Πρωφητῶν σοῦ
Ἰσαίου καὶ Δαυὶδ ἐπληρώθη...
MR I, 167, 17.

იზივე (ენკენია)

Δεῦτε, λαοί, τὸ παράδοξον θάνατον κα-
θ' ἰσῶντες,
τὸν Σταυρὸν τῆς θύναμιν προσεχυσήσωμεν...
MR I, 167, 10.

ორი დღესასწაულის (ენკენია და ჯვრის გამოჩინება) ტროპარები, რომელთა მოღელები აღმოჩნდა ლეონ მეფის (δεσპότης) ენკენიის სტიქარონში, უძვ. იადგარის სხვადასხვა ფენას ეკუთვნის. იადგარის ენკენიის დღესასწაულში უცვლელად გადასულია ლექციონარისეული მონოსტროფები და ფსალმუნდასდებლები, მათ შორის ჩვენთვის საინტერესო კელთაბანისაყ⁴³⁵. ამდენად, ეს კელთაბანისაჲ იადგარის ლექციონარისეული ფენის კუთვნილებაა, ამიტომ არ არის მოსალოდნელი, რომ ამ მონოსტროფს ჰყავდეს ავტორი და ისიც IX—X საუკუნეებისა. სამეცნიერო ლიტერატურაში ლეონ მეფე გაიგივებულია ლეონ VI კეისართან (886—912)⁴³⁶, ამიტომ უნდა დავუშვათ, რომ ამ შემთხვევაში ლეონს გამოუყენებია ძველი მონოსტროფი თავისი სტიქარონის I სტროფად.

რაც შეეხება 29 იანვრის ჯვრის გამოჩინებას (გვ. 85), ამ დღესასწაულის პოეტური მასალა იადგარის ახალი შეესება და საკმაოდ გვიანდელიც. ჯვრის გამოჩინების დღესასწაული თავდაპირველად, ეტყობა, დადებული იყო 7 მაისს. ამ დღეს არის განწესებული ეს დღესასწაული სომხურ ლექციონარშიც⁴³⁷. ამ დღესასწაულის აღნიშვნის სხვა დღეს სომხური ლექციონარი არ იცნობს. 14 სექტემბრისა და 29 იანვრის ჯვრის გამოჩინების დღესასწაულები

⁴³⁵ ენკენიის კელთაბანისაჲ არ არის შესული პარიზის ლექციონარში, მაგრამ აღმოჩნდა ლატალის ლექციონარში, რომელშიც, ყველა ნიშნებით, ლექციონარის უფრო ძველი რედაქცია შემოგვრანა.

⁴³⁶ H. G. Beck, Kirche und theologische Literatur im Byzantinischen Reich, 1959, p. 516.

⁴³⁷ Renoux, Codex 121, Edition, p. 333.

უფრო გვიანდელი ჩანს, თუმცა ორივე შეტანილია ქართულ ლექციონარში. იადგარში ჯერის გამოჩინების სამივე დღესასწაული სახეზეა, მაგრამ 29 იანვრის განგება ნაწილობრივ სარგებლობს ამავე დღესასწაულის ლექციონარისეული მონოსტროფებით და ძირითადად იმეორებს უძვე. იადგარის 7 მაისისა და 14 სექტემბრის პოეტურ მასალას. 7 მაისის დღესასწაულთან მას საერთო აქვს კელთაბანისაჲ, ფსალმუნ-დასდებელი და აქებდითსა, 14 სექტემბრის დღესასწაულთან—გალობანი. საკუთარი აქვს: ა) ორსტროფიანი ო ო ლალატყავსა, რომლის I სტროფის („მოვედით, ერნო...“) მოდელია ლეონ მეფის ზემოთ მოტანილი სტიქარონის II სტროფი (MR I, 167, 17). ამრიგად, 29 იანვრის ჯერის დღესასწაულის საკუთარ მასალას (ო ო ლ ტყავსას) აღმოაჩნდა ბერძნული მოდელი, რომლითაც შეიძლება დათარიღდეს იადგარში ამ დღესასწაულის განგების ჩამოყალიბების დრო IX საუკუნის II ნახევრით.

ლეკიონარის ძირითად (თავდაპირველ) პოეტურ ფენაში რომ არ არის სავარაუდებელი VII—VIII სს. ცნობილი ბიზანტიელი ჰიმნოღების პოეტური ტროპარების არსებობა, ამის სასარგებლოდ კიდევ ერთი ფაქტი შეტყვევებს: უძველესი იადგარის განცხადების მწუხრში შეტანილია სტიქარონი ო ო ლ ტყავსა, რომელიც A-ში წარმოდგენილია ერთი სტროფით: „ნათელი ნათლისაჲ გამოუჩნდი სოფელსა...“ (გვ. 38). ეს სტროფი გერმანე პატრიარქის სტიქარონის კუთვნილებაა (MR III, 155, 9). გერმანე პატრიარქის იმავე სტიქარონის მეორე ტროპარი აღმოჩნდა იადგარის ძველ ფენაშიც განცხადების შუალამის დასდებულების ერთ-ერთი (თ) ტროპარის სახით: „შენ იორდანეს ნათელი მოიღე, მაცხოვარ...“ (გვ. 43). შუალამის დასდებულებაში კი, რომლებიც იადგარის ძველი, ლექციონარისეული ფენაა, ავტორიანი მასალა არ არის მოსალოდნელი. მართლაც გაირკვა, რომ უძველესი იადგარის განცხადების შუალამის დასდებულების სწორედ თ დასდებულს ლექციონარი არ იცნობს⁴³⁸. ის მხოლოდ უძველესი იადგარის ნუსხებშია დამატებით ტროპარად შეტანილი და ამდენად იადგარისეული პოეტური ფენის კუთვნილებაა. საფიქრებელია, რომ გერმანე პატრიარქის სტიქარონის ეს ორი სტროფი უძველეს იადგარში სხვადასხვა ადგილას ერთდროულად იქნა შეტანილი.

ამრიგად, მოტანილი მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ლექციონარის თავდაპირველ. ძველ ფენაში (შესაბამისად უძველესი იადგარის პოეტური ტროპარების ლექციონარისეულ ფენაში) არ არის შესული VII—IX საუკუნეების ბერძენ ჰიმნოღთა ავტორიანი პოეტური ტროპარები. ხოლო ლექციონარის ის პოეტური მონოსტროფები, რომელთა ავტორიანი მოდელები აღმოჩნდა ბერძნულ ლიტურგიკულ წიგნებში, ლექციონარში გვიან შეტანილი სტროფებია, ან ის არქაული პოეტური მასალაა, რომელიც VII—IX საუკუნეების ბერძენმა ჰიმნოღებმა აიღეს იერუსალიმური ლიტურგიკული პოეზიის მდიდარი სავანძურიდან და გამოიყენეს საკუთარი შემოქმედებისათვის.

ამრიგად, ლექციონარის ძირითადი ფენის პოეტური ტროპარების შექმნის პერიოდი უნდა შემოიფარგლოს VII საუკუნით. ამ ფენაში არ უნდა ვივარაუდოთ VII ს-ის ბოლო წლებისა და VIII—IX საუკუნეების ცნობილ ჰიმნოღთა პოეტური მასალის არსებობა.

⁴³⁸ მას იცნობს მხოლოდ სინური ლექციონარი (Sin. 37). ამიტომ, ისევე როგორც რამდენიმე სხვა შემთხვევაში, ეს მასალა S-ის ახალ შეესებას უნდა წარმოადგენდეს.

უძველესი იადგარის შუალამისა და ვნების პარასკევის შუალის დასდებლები

შუალამის პოეტური დასდებლები სრულდება იადგარის შემდეგ დღესასწაულებზე: შობის, განცხადების, დიდი ხუთშაბათისა და დიდი პარასკევისა. ყველა მათგანი (მცირე გამოჩაყლისით) ლექციონარისეულ ფენას განეკუთვნება.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ა შ უ ა ლ ა მ ი ს ა ნ ი (გვ. 41—43).

- დასადებელი ა. ოდეს მოივლინა იოანე. T 97.
 „ ბ. იოანე დგა იორდანესა ზედა. T 98.
 „ გ. სიხარული იქმნა. T 99.
 „ დ. შიშმან შეიპყრა. T 100.
 „ ე. მსგავსად ტრედისა. T 101.
 „ ვ. მამისა მიერ. T 102.
 „ ზ. ღმერთი განკაცებული. T 103.
 „ ც. გაქებთ შენ. T 104.
 „ თ. შენ იორდანეს ნათელი მოიღე. MR III, 155.
 „ ი. მალღისა მიერ. T 106.
 „ ია. გარდამოჰკედ იორდანესა. T 105.

ამ 11 დასდებლიდან ბერძნული მოდელი აღმოაჩნდა მხოლოდ თ დასდებელს ბერძნული თვენის (MR III, 155) განცხადების სტიქარონში, რომელიც გერმანე პატრიარქს მიეკუთვნება. ეს დასდებელი იადგარის ახალი შევსებაა, ვინაიდან მას არ იცნობს ლექციონარი⁴³⁹. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ განცხადების ლექციონარისეულ შუალამის დასადებლებს ბერძნული მოდელე-ბი ბერძნულ ლიტურგიკულ წიგნებში არ აღმოაჩნდათ.

შ ო ბ ა, შ უ ა ლ ა მ ი ს დასადებლები (გვ. 13—14).

- დასადებელი ა. შობასა უფლისასა ბეთლემს. T 13; MR II, 651.
 „ ბ. იხარებლით მართალნი. T 14; MR II, 671 (ანდრია).
 „ გ. რამეთუ გამოჩნდა მადლი. T 15.
 „ დ. აღესრულა თქუმული. T 16.
 „ ე. ვიხილეთ ჩუენ ქუაბსა. T 17.
 „ ვ. დღეს იხარებენ ცანი. T 18.
 „ ზ. ვინაჲ მოხუედით. T 19.
 „ ც. ქრისტეს გამოჩინებასა. T 21 (თ)
 „ თ. შობილსა ქალწულისაგან. T 20 (ც).
 „ ი. მეუფეჲ ჰურიათაჲ. T 22.
 „ ია. ქალაქი, რომელ შეიყუარე. T 23.

ორი ბერძნული მოდელიდან, რომელიც გამოჩნდა შობის დასდებლებში, ერთი ავტორიანია, მიეკუთვნება ანდრია კრიტელს (იხ. აქვე, გვ. 809). ჩვენ შევეცადეთ დაგვემტკიცებინა, რომ ანდრიას ნასესხები აქვს ეს პოეტური ტროპარი ძველი, იერუსალიმური პოეტური ფონდიდან და გამოყენებული თავისი სტიქარონისათვის⁴⁴⁰.

⁴³⁹ იხ. აქვე, გვ. 97.

⁴⁴⁰ იხ. აქვე, გვ. 809—811.

სულ სხვა ვითარებაა დიდი ხუთშაბათისა და ვნების პარასკევის დასდებ-
ლებში ბერძნული მოდელების მხრივ:

მ ე შ უ ი დ ე ს ა ხ უ თ შ ა ბ ა თ ს ა შ უ ა ლ ა მ ი ს ა ნ ი. (გვ. 191—194).
დასადებელი ა. მთავარი შეკრბეს. T 643; TR 665,4 (ადაპტაცია).

„ ბ. სიტყუაჲ ურჩულებისაჲ. T 646; TR 666,1.

„ გ. მოწაფეჲ მოძღურისაჲ. T 649; TR 668,3.

„ დ. დღეს კმაჲ ესმა. T 652.

„ ე. დღეს ეტყოლა შემოქმედი. T 655; TR 668,4.

„ ვ. თქეთ-ლა, ჰურიანო. T 658; TR 669,6.

„ ზ. ურჩულონო ფარისეველნო A, — T⁴⁴¹.

როგორც ვხედავთ, შობისა და განცხადების შუალამის დასდებლებთან
შედარებით, დიდი ხუთშაბათის დასდებლებს ბერძნული მოდელების დიდი
რაოდენობა აღმოაჩნდათ (ხუთ დასდებელს შეიდიდან). ამ დასდებლების ბერ-
ძნული შესატყვისები იძებნება ამავე დიდი ხუთშაბათის ანტიფონურ ტროპა-
რებში (გვ. 665—669). საინტერესოა, რომ ბერძნულ ტრიოდონში იადგარის
შუალამის დასდებლებთან ერთად წარმოდგენილია შუალამის დასდებლებს
ახალი ფენაც, რომელიც ქართულ ახალ იადგარებში აღმოჩნდა.

მ ე შ უ ი დ ე ს ა პ ა რ ა ს კ ე ვ ს ა, შ უ ა დ ლ ი თ გ ა ნ იტყოლიან. (გვ-
198—203).

დასადებელი ა. დღეს დამოეკიდების ძელსა. T 666; TR 699.

„ ბ. ვითარცა ცხოვარი. T 667; TR 683.

„ გ. ესრეთ ეტყოდე, უფალო. T 668; TR 692.

„ დ. შიშისათუის ჰურიათასა. T 669; TR 689.

„ ე. ურჩულოთა შენთა. T 671; TR 683.

„ ვ. რჩელის-მდებელნო ისრაელისანო. T 675; TR 693.

„ ზ. საშინელ იყო ხილვაჲ. T 679; TR 699.

„ თ. ოდეს ჭუარსა შექმსკუალეს. T 682; TR 699.

„ თ. უპირატეჲს პატიოსნისა ჭუარისა. T 685; TR 689.

„ ი. მოვედით, ქრისტეჲს შემოსილნო ერნო. T 689; TR 693.

„ ია. დღეს ტაძრისა იგი კრეტსაბმელი. T 693; TR 683.

„ იბ. მოსლვასა მას შენსა. T 697; TR 689⁴⁴².

დიდი პარასკევის ყველა დასდებელს დაეძებნა მოდელები ბერძნული
ტრიოდონის ამავე დღის განგებაში. იადგარის 12 დასდებელი ბერძნულ
ტრიოდონში 4 ჯგუფად არის წარმოდგენილი. თითოეული ჯგუფი 3 დას-
დებელს შეიცავს. ეს სამეულები თავსდება ან თვითთავაჲ სტიქარონში, ან ერთ-
მანეთის მიმდევრობით სრულდება, როგორც თვითთავაჲ ტროპარები. დასდებ-
ლების ამ სამეულებში იადგარის დასდებელთა თანმიმდევრობა დაცული არ
არის.

TR 683—3,4,5 სტროფები მოდელებია უძვე. იადგარის ია, ბ, ე დასდებლებსა.

TR 689—1,2,3 სტროფები „ „ „ დ, თ, იბ „

TR 692—3, და 693—1,2 „ „ „ გ, ვ, ი „

TR 699—1,2,3 „ „ „ ზ, თ, ა „

⁴⁴¹ ლექციონარში ზ დასდებელია „ჭუარკუმასა დაღადებდეს“. ეს დასდებელი კი იადგარში
იქვე მოტანილია, როგორც იზაკო (გვ. 195).

⁴⁴² დიდი პარასკევის ამ 12 იდიომელას სირო-იაკობიტური ტრადიცია კირილე იერუსალი-
მელს მიაწერს (იხ. A. B a u m s t a r k, Liturgie comparée, 1953, p. 105).

შობისა და განცხადებისაგან განსხვავებით, ამ მასალიდან აშკარად ჩანს, რომ ბერძნული ტრიოდის ვნების კვირის ხუთშაბათისა და პარასკევის განგებებში დიდი რაოდენობით (თითქმის სრულად) არის შესული ამავე დღეების ლექციონარისეული დასდებლები, ოღონდ განსხვავებულ კომბინაციებში და პოეტურ ფორმებში. ეს ფაქტიც ადასტურებს, რომ მარხვის პერიოდის მასალის (განსაკუთრებით კი ვნების კვირის) იერუსალიმური ფენა ყველაზე ხანგრძლივად და მყარად შერჩა ბიზანტიური ლიტურგიკული კრებულების ახალ რედაქციებს.

უძველესი იადგარის სტიქარონები

იადგარის სტიქარონები, ისევე როგორც კანონი, პოეტური მასალის იადგარისეული ფენაა, რომლითაც ის შეივსო ლექციონარისაგან ცალკე კრებულად გამოყოფის შემდეგ. იადგარის ლექციონარისეულ პოეტურ ტროპარებთან შედარებით, სტიქარონები და კანონები ადრე ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის უფრო განვითარებული ფორმებია. ამ პოეტურ მასალას იადგარი იმატებდა თანდათან, ახალი დღესასწაულების იადგარში შემოტანასთან ერთად VII—IX საუკუნეების მანძილზე. თუ ლექციონარისეული პოეტური ტროპარები იადგარის ყველა ნუსხებში ერთი ძირითადი ფენით და არსებითად ერთი და იმავე მასალით არის წარმოდგენილი, ამის თქმა არ შეიძლება სტიქარონებსა და კანონთა გალობებზე. აქ სხვაობა დიდია, რაც სტიქარონ-კანონთა ძირითად ტექსტებსა და „სხუანებში“ გამოვლინდა.

სტიქარონებს იადგარის ლიტურგიკულ სისტემაში გარკვეული დანიშნულება აქვთ. სტიქარონები (ო^ო ლ^ლ ტყავსა და აქებდითსა) დღესასწაულის განგებაში მწუხრისა და ცისკრის აუცილებელი ელემენტებია. ჟამისწირვის პოეტურ ტროპარებთან ერთად, სტიქარონები მარხვისა და ზატიკის კვირების სადა დღეების განგების ძირითადი ელემენტია.

მსგავსად კანონის გალობებისა, სტიქარონებიც ხშირად წარმოდგენილია როგორც ძირითადი ტექსტებით, ასევე მეორადი ფენითაც („სხუანებით“). „სხუანები“ სტიქარონებში უფრო გავრცელებული მოვლენაა, ვინემ კანონში, მაგრამ განცხადების ზატიკისა და მარხვის პერიოდის სტიქარონები, როგორც წესი, მხოლოდ ძირითადი ფენით, სხუანების გარეშეა წარმოდგენილი. გამოწაკლისა სულ რამდენიმე შემთხვევა.

სტიქარონებში სტროფების რაოდენობა სულ სხვადასხვანაირია. არის სტიქარონები ორსტროფიანი და თხუთმეტსტროფიანიც. სხვაობის მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს: ერთი წყება სტიქარონებისა არ წარმოადგენენ მტკიცედ შეკრულ კომპოზიციებს და აშკარად კრებადი ხასიათი აქვთ, ე. ი. ისინი ზოგჯერ ერთ თემაზე დაწერილი სხვადასხვა მოცულობის მონოსტროფების მექანიკურ შეერთებას წარმოადგენენ. ამის გამო ადვილად იმატებენ იადგარის სხვადასხვა ნუსხებში ამავე თემაზე დაწერილ ან ზოგადი ხასიათის სტროფებს, უმთავრესად დასაწყისში ან დასასრულს—იხ. მაგ. მარხვის მეორე პარასკევის ო^ო ლ^ლ ტყავსას უკანასკნელი სტროფი (გვ. 121); მესამე პარასკევის აქებდითსას I სტროფი (გვ. 128); ბზობის ო^ო ლ^ლ ტყავსას უკანასკნელი სტროფი (გვ. 165) და სხვა. სტიქარონებში ფართოდ არის გამოყენებული რეფრენები, რო-

მელთა უდიდესი ნაწილი ბიბლიური გალობებიდან და ზოგიერთი ბიბლიური წიგნიდან არის აღებული.

სტიქარონების ერთი ნაწილის ცალკეულ სტროფებს დაეძვნათ მოდელები ლიტურგიკული წიგნების ბერძნულ გამოცემებში. ყველაზე დიდი რაოდენობა ბერძნული მოდელებისა აღმოაჩნდათ მარხვის პერიოდის სტიქარონებს ტრიოდონში (იხ. საძიებელი II).

სილაბიკის თვალსაზრისით იადგარის სტიქარონებში არ არის ერთნაირი სურათი. ზოგი სტიქარონის სტროფებში მარცვალთა რაოდენობა დაახლოებით ერთნაირია, სხვაობა 10—15 მარცვლით იფარგლება (იხ. ყველის აღების ხუთშაბათის აქებდითსა და ამავე დღის ო ო ღ ღ ტყვსა); ზოგან კი სხვაობა მეტად დიდია. მაგ. ამალლების აქებდითსას I სტროფში 34 მარცვალია, II-ში—49, III-ში—58, IV-ში კი—140 (გვ. 134). აქებდითსს IV სტროფი სილაბიკის თვალსაზრისით ამოვარდნაა სტიქარონის დანარჩენი სტროფებიდან. ამავე დროს, ამ სტროფს აღმოაჩნდა ბერძნული მოდელი პარაკლიტონში (PaR 272, 1). ამ სტროფის ბერძნული მოდელი IV ხმის აღდგომის სტიქარონის ბოლო, ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ტროპარია (Θεοτοκίον — „ღმრთისმშობლისა“), რომელსაც VIII საუკუნიდან სტიქარონებსა და კანონებში სავალდებულო ბოლო სტროფის ადგილი ეთმობა.

იადგარში ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ტროპარები მხოლოდ აქა-იქ ჩანს. ამ ტროპარებს იადგარში ჯერ არა აქვთ მიჩენილი ვარკვეული ადგილი. კრებულში აისახა მხოლოდ პირველი ცდები ღვთისმშობლის ტროპარებისათვის ადგილის განსაზღვრისა, აზიჯომ, სავსებით დასაშვებია, რომ ეს ტროპარები თავდაპირველად მექანიკურად მიუერთეს იადგარის სტიქარონებს. ასეთი მექანიკური დანართის შთაბეჭდილებას ტოვებს ამალლების აქებდითსას უკანასკნელი (IV) სტროფი, სტიქარონის დანარჩენი სტროფებისაგან დიდად განსხვავებული სილაბიკით (გვ. 241—242). მაგრამ ეს შემთხვევა არ არის ტიპური სტიქარონებისათვის და ამიტომ ვერც მივიჩნევთ სხვადასხვა მოცულობის სტროფების თანაარსებობის ერთადერთ მიზეზად.

ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ტროპარები, როგორც ჩანს, პირველ რიგში იადგარს აღდგომის დასდებლებში იქნა შეტანილი, რომელიც უფრო გვიან არის ჩამოყალიბებული და შეტანილი იადგარში. აღდგომის დასდებლებში ღვთისმშობლის ტროპარებს უკვე მიჩენილი აქვთ თავისი ადგილი⁴⁴³.

იადგარის სტიქარონები ხასიათისა და ფორმის მიხედვით რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს: სტიქარონები, რომლის ყველა სტროფი სიუჟეტურად შეკრულია ერთ კომპოზიციიაში და წარმოადგენს კონკრეტული დღესასწაულის თემის გაშლას. ამგვარი სტიქარონის ტიპიურ ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ ხარების ხუთსტროფიანი ო ო ღ ღ ტყვსა, რომელიც წარმოადგენს ხარების სცენის გაბმულ თხრობას, აგებულს ლუკას I თავის 28—38 მუხლების მასალაზე. სტიქარონი ზუსტად მისდევს სახარების ტექსტს, იცავს ამ ტექსტის დიალოგურ ფორმას და სიტყვა-სიტყვით გადმოაქვს სახარების ზოგიერთი ფრაზა (გვ. 7). ასევეა აგებული ამავე დღესასწაულის თერთმეტ-სტროფიანი აქებდითსა (გვ. 9—10), რომელსაც საფუძვლად იმავე ლუკას

⁴⁴³ აქვე, გვ. 892—895.

თავის შესაბამისი მუხლები უდევს (28—42), მაგრამ არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში სტიქარონებს ფორმალური მაკავშირებელი — რეფრენი არა აქვთ. სილაბიკითაც სტროფები ერთმანეთისაგან სხვაობენ. ამისდა მიუხედავად. ექვს არ იწვევს ის, რომ ეს სტიქარონები ერთი შეკრული კომპოზიციაა, ერთი პიროვნების შემოქმედების ნაყოფია.

ამ ტიპის სტიქარონების ტროპარები უფრო ხშირად საუფლო დღესასწაულების კუთვნილებაა და სხვა დღესასწაულების სტიქარონების მასალად მათი სტროფები არ გამოიყენება (თავიანთი მეტად კონკრეტული შინაარსის გამო): იხ. მაგ. მიგებების აქებლითსა თავისი „სხუანებით“ (გვ. 95—97): ამავე დღესასწაულს ოო ღლყესა „სხუანით“ (გვ. 86—87); 28 იანვრის მამათა დღესასწაულს ოო ღლტყესა თავისი სამი „სხუანით“, სადაც ძირითადი ორსტროფიანი სტიქარონი (გვ. 79) და სამსტროფიანი „სხუანი“ ერთი რეფრენით არიან შეკრული („მეოხ გუეყუენით სულთა ჩუენთათჳს“): განცხადების აქებლითსა „სხუანით“ (გვ. 54—55); ორმოცობის აქებლითსას „სხუანის“ უკანასკნელი 3 სტროფი, რომელიც მხოლოდ C ნუსხაშია. აქ სამივე სტროფს სავსებით ერთნაირი დასაწყისები და რეფრენი აქვს და სხვ.

განსაკუთრებით მდიდარია სიუჟეტური ტროპარებითა და სტიქარონებით ენების კვირის პოეტური მასალა, სადაც რიგ შემთხვევაში სიუჟეტის დრამატიზირებულ გაშლასთან გვაქვს საქმე. კონკრეტული შინაარსის მქონე სიუჟეტური სტიქარონების სტროფები იშვიათად არის გამოყენებული სხვა დღესასწაულის პოეტურ მასალად, რის თქმაც არ შეიძლება ზოგადი შინაარსის სტიქარონებზე.

იადგარში გვხვდება მეორე ტიპის სტიქარონებიც, რომელთა სტროფები თავისი სიმოკლითა და წყობით პოეტურ მისამღერებს გვაგონებენ. ასეთია მაგ. შობის რეასტროფიანი აქებლითსა (გვ. 19), რომლის სტროფები ფსალმუნური ტიპის დისტიქებია. ეს ფრაზეოლოგიური წყვილები გარკვეულ რიტმულობას ანიჭებენ სტროფებს. მარცვალთა რაოდენობითაც სტროფები დიდად არ განსხვავდებიან, თავსდებიან 22—29 მარცვლის ფარგლებში. სტროფებს არა აქვთ გამეორითიანებელი რეფრენი. შობის ამ აქებლითსას რიტმულ-სილაბური თავისებურება განსაკუთრებით ნათლად ჩანს ამ სტიქარონის „სხუანებთან“ შეპირისპირებით (გვ. 19—20). ამავე ტიპისაა განცხადების ზატიკის აქებლითსაც (გვ. 72). ამ ორ სტიქარონს საერთო სტროფებიც აღმოაჩნდათ.

იადგარში გვხვდება ისეთი სტიქარონიც, რომელიც ზემოთ განხილული ორივე ტიპის სტროფებისაგან შედგება. ამის ნიმუშად გამოდგება პეტრე-პავლეს დღესასწაულის აქებლითსა (გვ. 28).

გვხვდება ისეთი სტიქარონებიც, რომლებიც მთლიანად იადგარისავე მონოსტროფებისაგან არის შედგენილი. ასე მაგ. განცხადების ზატიკის სამსტროფიანი ოო ღლტყესა წარმოდგენილია სტროფების მხოლოდ დასაწყისებით (გვ. 60), მათი სრული ტექსტები კი განცხადების შუალამის დასდებლებს შორის იძებნება (გვ. 41—42, გ, დ, ე დასდებლები). ასეთივე ვითარებაა განცხადების ზატიკის მეხუთე დღის ოო ღლტყესაში, რომლის სამი სტროფი ასევე დასაწყისებით არის მოტანილი, ამათგან ორი (მეორე და მესამე) სტროფის სრული ტექსტები აგრეთვე განცხადების შუალამის დასდებლებში აღმოჩნდა (გვ. 42—43, დასდებლები ვ და ი).

შუალამის პოეტური დასდებლები იადგარის უძველეს (ლექციონარისე-ულ) ფენას განეკუთვნება. იადგარის სტიქარონებისათვის ამ მონოსტროფე-ბის გამოყენება ორი თვალსაზრისით არის საყურადღებო: 1. უძე. იადგარში აისახა ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ადრეული ტენდენცია არქაული მონო-სტროფების გამოყენებისა უფრო რთული პოეტური კომპოზიციების, კერძოდ, მრავალსტროფიანი სტიქარონების შექმნისათვის⁴⁴⁴. 2. ეს პროცესი ბერძნუ-ლი მოდელისაგან დამოუკიდებელიც უძე. იადგარის წიადშივე მიმდინარეობდა ამ ძეგლის დღესასწაულთა განგებების ახალი პოეტური ფორმებით (ამ შემ-თხვევაში სტიქარონებით) შევსებასთან ერთად.

სტიქარონებში სტროფები ხან სრულად არის მოტანილი, ხან კი მხოლოდ დასაწყისით. რაც შემთხვევაში ერთ დღესასწაულში დასაწყისით წარმოდგენი-ლი სტიქარონის სტროფი სრული სახითაა შეტანილი რომელიმე სხვა დღესას-წაულის სტიქარონში, ანდა იადგარის ერთ ნუსხაში სტიქარონის სტროფი და-საწყისით არის მოტანილი, მეორე ნუსხაში კი — სრული სახით. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დასაწყისით მოტანილი სტიქარონის სტროფები არც სხვა დღესასწაულებში და არც სხვა ნუსხაში არ შეორდება სრული სახით. საფიქრებელია, რომ ეს სტროფები ფართოდ გავრცელებული და საყოველთა-ოდ ცნობილი პოეტური მასალაა, რომელიც ღვთისმსახურმა ზეპირად იცის და მისი გახსენებისათვის საკმარისია სტროფის მხოლოდ დასაწყისით მითი-თება.

იადგარის სტიქარონების ერთ მცირე ნაწილს აღმოაჩნდა ბერძნული მო-დელეები სხვადასხვა ბერძნულ ლიტურგიულ წიგნებში. უძრავი დღესასწა-ულების სტიქარონების ბერძნული მოდელეები უმთავრესად ბერძნულ თვენებ-სა და პარაკლიტონებშია.

მარხვის კვირების სტიქარონების ბერძნული მოდელეები მთლიანად ბერ-ძნულ ტრიოდონში იქებნება. მათი უმცირესი ნაწილი შესაბამისი კვირის განგე-ბებში გვხვდება, უმრავლესობა კი ბერძნული ტრიოდონის იმ ბოლო, ოქტოი-ხოსის ტიპის დანართ ნაწილში, რომელიც ატარებს სტიქარონებისა და იბაკო-ების ზოგად სახელწოდებას (Συχηρά και Καθυσματά) და შეიცავს შუალამის, ღვთისმშობლის, ჯვრის, მოციქულთა და წმიდათა სტიქარონებსა და იბაკობს, განლაგებულს კვირის ყველა დღეზე 8 ხმაზე⁴⁴⁵ (TR გვ. 766—826).

ბერძნულ მოდელეებსა და მათ თარგმანებს შორის სხვადასხვაგვარი მი-მართებაა. უმრავლეს შემთხვევაში ქართული თარგმანი ძალიან ზუსტია, დაეკუთვნება სტროფის ფრაზეოლოგიური დაყოფა, დღესასწაულის თემა და ხმა.

მ ე ო რ ე შ ა ბ ა თ ს ა

პარასკევის მწუხრი

აქებდითსა გ ო

Συχηρά Μαρτυριά. Ἦχος βάρυς.

დიდებაა შენა, ქრისტე,
მოციქულთა სიქადულ,
მოწამეთა სიხარულ,
რომელთა ქადაგეს სამებისა
წმიდისა ერთარსებაა.

Δόξα σοι, Χριστέ ὁ Θεός,
Ἀποστόλων καύχημα,
Μαρτύρων ἀγαλλίαμα,
ὧν τό κήρυγμα
Τριὰς ἡ ἕμοισόσις.

გვ. 122, 23; V სტროფი.

TR 815, 15.

⁴⁴⁴ E. Wellesz, A History of Byzantine Music and Hymnography, 1961, p. 171.

⁴⁴⁵ ბერძნული ტრიოდონის ეს დანართი ანალოგიურა იადგარის იბაკობისა, სადაც თაე-პოყრილია იადგარის ძირითადი დღესასწაულების იბაკობი.

თარგმანი ზუსტია, მარცვალთა რაოდენობა ბერძნულ-ქართულ სტროფებში თითქმის თანაბარია. ბერძნული სტიქარონის რიტმულ დაყოფას შეესაბამება ქართული თარგმანის ფრაზეოლოგიური დაყოფა. დედანიცა და თარგმანიც: მაღალი პოეტური ღირსებებით ხასიათდება.

მ ე ო რ ე ს ა ხ უ თ შ ა ბ ა თ ს ა

ო¹ ო ლ² ტყავსა კ³ ა ა გ⁴ ი

ცოდვასა არა დავსცხრები
და კაცთმოყუარებისა შენისასა
ღირს-ყოფასა ვერ გულისხმა-გჰყოფ, ა
რამედ მომაქციე მე, შეცთომილი,
მხოლოდ, ქველისმოქმედ
და კაცთმოყუარე⁴⁴⁶.

გვ. 120, 17.

კ ვ ი რ ი ს მ წ უ ხ რ ი

Στιχηρὰ Κατανακτικά. Ἦχος πλ. α

Κύριε, ἀμαρτάνων οὐ παύομαι·

φιλανθρώπως ἀξιούμενος

οὐ γινώσκω.

νικήσόν μου τῆν πάρασιν,

μόνε ἀγχιθῆ,

καὶ ἐλέησόν με·

TR 796, 33.

ამ შემთხვევაში ქართულ თარგმანსა და ბერძნულ მოდელს შორის არის სხვაობა (არამედ მომაქციე მე, შეცთომილი — νικήσόν μου τῆν πάρασιν). ამავე დროს ბერძნულის უკანასკნელ ტაქსს (καὶ ἐλέησόν με) არ იცნობს ქართული.

ქართული, ჩვეულებრივ, ზედმიწევნითი სიზუსტით თარგმნის ბერძნულ მოდელს, ამიტომ ეს სხვაობა ქართულში შეტანილი ცვლილებებით ვერ აიხსნება. როგორც ჩანს, ის არქაული, ბერძნული ტროპარი, რომელიც ითარგმნა ქართული იადგარისათვის, შევიდა ბერძნულ ტრიოდონშიც და ცვლილება განიცადა ამ უკანასკნელის (ტრიოდონის) ჩამოყალიბების პროცესში.

იადგარში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთი სტიქარონის რამდენიმე სტროფს ბერძნული მოდელეები აღმოაჩნდა სხვადასხვა სტიქარონებში. მაგ. თევდორე წმიდის ბ ხმის ო¹ ო ლ² ტყავსა შეიცავს 11 სტროფს (ნაწილი სტროფებისა მოტანილია მხოლოდ დასაწყისებით), აქედან 4 სტროფს ეძებნება ბერძნული მოდელეები სტიქარონებში.

პ ი რ ვ ე ლ ს ა შ ა ბ ა თ ს ა

ო¹ ო ლ² ტყავსა კ³ ა ბ

ჭუარი ქრისტესი აილო

წმიდამან თევდორე...

გვ. 107, 12; I სტროფი.

პ ა რ ა ს კ ე ვ ი ს ც ი ს კ ა რ ი

Ἦχος β'.

Τὸν στυρόν τοῦ Χριστοῦ λαβόντες;

οἱ ἄγιοι Μάρτυρες...

TR 780, 8.

პ ა რ ა ს კ ე ვ ი ს მ წ უ ხ რ ი

Ἦχος β'.

Οἱ τῆν ἐπίγειον ἀπόλαυσιν

μη πιθήσαντες Ἀθλιόφθοροι...

TR 778, 17.

რომელთა ამის სოფლისა საშუებელი არა ინებეს...

გვ. 107, 21; III სტროფი.

⁴⁴⁶ სტროფი ტაქებად დაყოფილია ჩვენს მიერ ბერძნული მოდელის მიხედვით.

დიდ არს დიდებაჲ,
რომელ მოიგეთ, წმიდანო
მოწამენო, სარწმუნოებითა...
გვ. 108, 1; V სტროფი.

იგივე სტიქარონი
Μεγάλη ἡ δόξα,
ἣν ἐκτίσασθε, ἄγιοι,
διὰ τῆς πίστεως...
TR 778,27.

შაბათის ცისკარი

ქსენებაჲ წმიდათაჲ სიხარულ არს
მოწიშთა უფლისათა,
რამეთუ ივენეს ქრისტესთვის
და მის მიერ გუირგუინი მოიღეს,
და აწ მეოხ არიან სულთა ჩუენთა-
თვის.
გვ. 108, 6; VI სტროფი.

Στιχηρὰ Μαρτυριαὶ. Ἦχος πλ. β΄
Μνήμη Μαρτύρων ἀγαλλίσμα
τοῖς φοβουμένοις τὸν Κύριον·
ἀψήγησαντες γὰρ διὰ Χριστὸν,
στεφάνους παρ' αὐτοῦ ἐκομισήθη,
καὶ νῦν ἐν παρρησίᾳ πρεσβεύουσιν
ὑπὲρ τῶν ψυχῶν ἡμῶν.
TR 810,13.

ამრიგად, თველორობის ოთ ლ ო ლტყესას 4 სტროფის ბერძნული მოდელები
ბერძნული ტრიოდონის სამ სხვადასხვა სტიქარონში აღმოჩნდა.

ვფიქრობთ, აქ ერთი და იგივე უძველესი ბერძნული პოეტური ტროპა-
რების სხვადასხვა ბერძნულ სტიქარონებში გამოყენების შემთხვევასთან გვაქვს
საქმე. ერთის მხრივ ეს არის ბერძნული სტიქარონი — მოდელი იადგარის
თველორე წმიდის სტიქარონისა, მეორეს მხრივ, 3 ზემოთმოტანილი ბერძნული
სტიქარონისადაც ეს ტროპარებია გადასული. მაგრამ ამ ფაქტს შეიძლება
სხვა ინტერპრეტაციაც ჰქონდეს — არ არის გამორიცხული, რომ თველორობის
სტიქარონი შედგენილია ქართულ ნიადაგზე ადრევე თარგმნილი და გავრცე-
ლებული პოეტური ტროპარების გამოყენებით ბერძნული დედნის მონაწი-
ლეობის გარეშე. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ქართული სტიქარონის
მრავალსტროფიანობა (11 სტროფი), სტროფების ზოგადი ხასიათი, სტროფებს
შორის სუსტი შინაარსობლივი კავშირი, დიდი სხვაობა ტროპარების მოცუ-
ლობაში. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ეს დღესასწაული უძველესი იად-
გარის მარხვის პერიოდის გვიანდელ ფენას განეკუთვნება ისევე, როგორც
მარხვის პერიოდის შაბათის დღეებზე განწესებული წმიდათა სხვა ხსენებები.

აქამდე ჩვენ ვიხილავდით ისეთ შემთხვევებს, როდესაც იადგარის სტი-
ქარონებს ბერძნული მოდელი ეძებნებოდა უავტორო, უფრო ხშირად თვით-
აეაჲ სტიქარონებში. ამის გვერდით, იადგარის სტიქარონების ბერძნული მო-
დელები აღმოჩნდა ავტორიან სტიქარონებშიც. ასე მაგ. იადგარის ლაზარობის
შაბათის სამსტროფიანი აქებდითას III სტროფის მოდელი შესულია ბერძ-
ნული ტრიოდონის იმავე დღესასწაულის სტიქარონში, რომელიც იო ა ნ ე
ბ ე რ ს მიეწერება (TR 598—599).

ლ ა ზ ა რ ო ბ ი ს შ ა ბ ა თ ი

აქებდითსა გ გ ო

ვითარცა ეტყოდე, უფალო,
მართას:

ლ ა ზ ა რ ო ბ ი ს შ ა ბ ა თ ი

Στιχηρὰ Ὑδὶόμελα Ὑψάνου
Μοναχοῦ. Ἦχος πλ. δ΄

Καθὼς εἶπας, Κύριε,
τῇ Μάρτᾳ·

მე ვარ ადგომამ,
საქმით სიტყუაჲ აღვასრულე,
საფლავით აღვადგინე ლაზარე.
მეცა სირღმეთაგან ცოდვათა ჩემთაჲსა
აღმომიყვანე მე;
ვითარცა კაცთმოყუარე ხარ.
გვ. 163, 6.

Ἐγὼ εἶμι ἡ ἀνάστασις,
ἔργῳ τὸν λόγον ἐπλήρωσας,
ἐξ ᾧ οὖοι καλέσας τὸν Λάζαρον·
κάμῃ, φιλάνθρωπε, νεκρὸν τὸς πάθεισιν,
ὡς συμπαθεῖς,
ἐξανάστησον, θεοίμαι.
TR 599, 19.

ბერძნული სტროფის პირველი ხუთი ტაეპის ზედმიწევნით ზუსტ თარგმანს წარმოადგენს ქართული შესაბამისი ტექსტი. შემდეგ ეს სიზუსტე დარღვეულია. იოანე ბერის თვითთავაჯი სტიქარონი ცხრასტროფიანია, დაწერილია სამ სხვადასხვა ხმაზე: ა ხმაზეა—პირველი 4 სტროფი, დ ხმაზეა—მე-5—მე-6 სტროფები, დ გ-ი ხმაზე -- მე-7—მე-9 სტროფები. იადგარის სტიქარონის მესამე სტროფის მოდელია იოანე ბერის სტიქარონის მერვე სტროფი (ხმები განსხვავებულია). ხოლო ამავე ბერძნული სტიქარონის მესამე სტროფი იადგარის ლაზარობის შაბათის კელთაბანისას მოდელია.

ლ ა ზ ა რ ო ბ ი ს შ ა ბ ა თ ი

კელთაბანისაჲ კ^ა ა

მარიამ და მართაჲ
მაცხოვარსა ეტყოდეს:
უფალო, თუმცა აქა იყავ,
არამცა მომკუდარ იყო ლაზარე, მე-
გობარი შენი.
ხოლო ქრისტემან, მაცხოვარმან ჩუ-
ენმან,
ადგომამან შესუენებულთამან,
ოთხისა დღისაჲ
საფლავით აღადგინა ლაზარე.
მოვედით ყოველი თესლები,
ამას თაყუანის-ესცეთ,
რომელი მოვიდა ნეფსით
კორცითა ვენებად ჩუენთუის.
164, 32.

Ἦχος α'
Μάρθα καὶ Μαρία
τῷ Σατηρὶ ἔλεγον·
Εἰ ἦς ἔθε, Κύριε,
οὐκ ἂν τέθνηκε Λάζαρος.

Χριστὸς δὲ,

ἡ ἀνάστασις τῶν νεκροῦμένων,
τὸν ἦδη τετραήμερον
ἐκ νεκρῶν ἀνέστησε·
θεῦτε, πάντες οἱ πιστοί,
τοῦτον προσκυνήσωμεν,
τὸν ἐρχόμενον ἐν δόξῃ
σῶσαι τὰς ψυχὰς ἡμῶν.

TR 598, 10.

აქაც იადგარის კელთაბანისაჲ ბერძნული მოდელის ზუსტი თარგმანია უკანასკნელი ორი ტაეპის გამოკლებით. აქ კი სხვაობა აშკარაა. ამ შემთხვევაშიც ქართული თარგმანის შინაარსობლივი დაცილება ბერძნული დედნისაგან მოსალოდნელი არ არის. როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითები მოწმობენ, ჩვეულებრივ, ქართული თარგმანები დიდი სიზუსტით ხასიათდებიან, ამდენად, წყაროსთან შედარებით ამ ცვლილებების შეტანაც ისევ იოანე ბერს უნდა მიეწეროს.

იადგარის ორი სხვადასხვა ქრონოლოგიურბ პოეტური პლასტის მასალის (სტიქარონის სტროფისა და კელთაბანისაჲს) მოდელის თანაარსებობა იოანე ბერის სტიქარონში გვაფიქრებინებს, რომ აქ საქმე გვაქვს იოანე

ბერის არა ორიგინალურ შემოქმედებასთან, არამედ კომპილაციასთან. ავტორს თავისი სტიქარონისათვის გამოუყენებია ფართოდ ცნობილი და გავრცელებული 2 პოეტური ტროპარი, შეუტანია ისინი თვითავაჯ სტიქარონში და ნაწილობრივ გადაუმუშავებია კიდევ. ამ 2 პოეტური ტროპარის ქართული თარგმანი კი შესულია იადგარის ლაზარობის შაბათის აქებღითსას III სტროფად და ამავე დღესასწაულის კელთაბანისაჲს სახით. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული თარგმანი ზუსტია, იოანე ბერს კი ეს ტროპარები ნაწილობრივ შეუცვლია და ისე შეუტანია ცნრასტროფიან სტიქარონში. ამან გამოიწვია განსხვავება იოანე ბერის სტიქარონის განხილულ ორ სტროფსა და მათ ქართულ თარგმანს შორის.

ქართულ-ბერძნული ტროპარების ურთიერთმიმართების ზემოთ განხილული ფაქტები მნიშვნელოვან მასალას გვაწვდიან როგორც ბერძნული ლიტურგიკული კრებულების შედგენის ისტორიის, ასევე VII—VIII საუკუნეთა მელოდონების შემოქმედების შესწავლისათვის.

აქამდე ჩვენ ვიხილავდით ისეთ შემთხვევებს, როდესაც იადგარის სტიქარონების ცალკეულ სტროფებს მოეპოვებოდათ მოდელები ბერძნულ სტიქარონებში. იადგარში აღმოჩნდა ისეთი შემთხვევაც, როდესაც ბერძნული ავტორიანი სტიქარონი მთლიანად არის წარმოდგენილი ქართულ თარგმანში. ასეთია ორმოცობის დღესასწაულის სამსტროფიანი აქებღითსას „სხუანი“, რომლის ბერძნული მოდელი შესულია მარტის თვის ბერძნულ თვეში.

მ ა რ ხ ე ი ს V შ ა ბ ა თ ი
დასადებელნი ორმოცობისანი,
აქებღითსა, სხუანი, კ ა მ ბ გ ი

9 მარტი, ორმოც მოწამეთა
ხსენება

მწუხრი, ო რ ლ ტყვისა

Ἦχος β'. Ἰωάννου Μοναχοῦ.

მკნელ
მოითმენდეს სატანჯველთა მათ,
იხარებდეს,
სასოებით ურთიერთას იტყოდეს
წმიდანი ორმოცობნი...

Φέροντες
τὰ παρόντα γυναικας,
χαίροντες
τοῖς ἐπιζομένοις πρὸς ἀλλήλους ἔλεγον
οἱ Ἄγιοι Μάρτυρες...

დაპყრიდეს
სამოსელსა მათსა ყოველნი,
შევიდოდეს
ტბასა მას და მყინვარსა,
ურთიერთსა იტყოდეს
წმიდანი ორმოცობნი...

Ρίπτοντες
περιβόλαια πάντα,
βαίνοντες
ἀτρόμας εἰς λίμνην,
πρὸς ἀλλήλους ἔλεγον
οἱ Ἄγιοι Μάρτυρες...

ხეღვიდეს,
ვითარცა საშუებელსა,
სატანჯველსა მას.
შევიდოდეს ტბასა მას და მყინვარსა.
გულსმოდგინედ იტყოდეს
წმიდანი ორმოცობანი...

Βλέποντες
ὡς τρυφὰς τας βασάνους,
τρέχοντες
πρὸς λίμνην, κρυάθη
ὡς πρὸς θάλασσαν, ἔλεγον
οἱ Ἄγιοι Μάρτυρες...

იაღგარის ორმოცობის აქებდითსა ზუსტი თარგმანია იმავე დღესასწაულის ბერძნული ო-ო ლ-ლ ტყავასასი, რომლის ავტორია იოანე ბერი. ამრიგად, ეკეს-არ იწვევს, რომ იაღგარში შეტანილია იოანე ბერის სრული სტიქარონის თარგმანი.

მართალია, ასეთი შემთხვევა იაღგარში დღეისათვის ერთადერთია, ეს მაინც მოწმობს, რომ იაღგარის სტიქარონებში აისახა VII—VIII საუკუნეების ცნობილი ბერძენი ჰიმნოღების შემოქმედება. ძირითადი ფენა იაღგარის სტიქარონებისა კი უნდა მიეკუთვნოს VII საუკუნის უცნობ ბერძენ ჰიმნოღებს.

უძველესი იაღგარის საწელიწდო ნაწილის კანონი

გამოკვლევის ამ თავში ჩვენ ვიფარგლებით უძველესი იაღგარის მხოლოდ საწელიწდო ნაწილის კანონის განხილვით, ვინაიდან აღდგომის დასდებლებს თავისი სპეციფიკა ახლავს.

„ბიბლიურ გაღობათა შემცირება თოთხმეტიდან ცხრამდე პირველად იერუსალიმურ პრაქტიკაში მოხდა, ამიტომ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მთავარი ნაბიჯები ჰიმნოგრაფიული კანონის ჩამოსაყალიბებლად პალესტინაში გადაიდგა“⁴⁴⁷. ბერძნულიდან თარგმნილი უძველესი იაღგარი პალესტინაში ჩამოყალიბებული ერთ-ერთი პირველი ძეგლია, სადაც კანონს უკვე მტკიცე ადგილი აქვს მიკუთვნებული ცისკრის განგებაში. ამდენად პოეტური კანონის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესწავლისათვის უძველესი იაღგარის მნიშვნელობა მეტად დიდია, მით უმეტეს, რომ მისი უშუალო ბერძნული მოდელი არ ჩანს და არც არის იმედი, რომ გამოჩნდება.

უძველესი იაღგარის საწელიწდო ნაწილის პოეტურ ფორმათა შორის კანონს ცენტრალური ადგილი აქვს დათმობილი. იაღგარმა შემოგვინახა კანონის აღრეული სახე და მისი განვითარების შემდგომი საფეხურებიც.

მ. ველიმიროვიჩი შემდგენაირად აყალიბებს კანონის ძირითად თავისებურებას: „კანონის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისება ის არის, რომ მისი ყველა ოდა წარმოადგენს რჩეული ბიბლიური ჰიმნების პარაფრაზს, ამიტომ ნებისმიერ ძლისპირს აქვს რაღაც დამოკიდებულება ბიბლიურ გაღობებში გამოხატულ იდეასთან. აქედან ნათელია, რომ ძლისპირი კანონის პოეტური ფორმის მნიშვნელოვანი სტრუქტურული ელემენტია“⁴⁴⁸. ეს თვისება ტიპურია უძველესი იაღგარის კანონის უდიდესი უმრავლესობისათვის, გამოწკლისია კანონები, რომელთაც ჩვენ უძლისპირო კანონები ვუწოდეთ.

შევეხებით უძველესი იაღგარის კანონის ზოგიერთ თავისებურებას.

კანონში, ისევე როგორც მონოსტროფებსა და სტიქარონებში, არ დასტურდება აკროსტიქის არც ერთი შემთხვევა. ეს მოვლენა ქართული თარგმანის სპეციფიკაა, თუ ბერძნულ სინამდვილეში არსებული ვითარების ასახვა, დღესდღეობით ძნელი სათქმელია⁴⁴⁹, ვინაიდან უძველესი იაღგარის ვერც მთლიანი კანონისა და ვერც ცალკეული გაღობების ბერძნულ მოდელს გა-

⁴⁴⁷ M. Velimirović, *The Byzantine Heirmos and Heirmologion, Gattungen der Musik in Einzeldarstellungen, Erste Folge*, 1973, München, p. 196.

⁴⁴⁸ M. Velimirović, p. 193.

⁴⁴⁹ შესაძლებელია, ქართველმა მთარგმნელმა არ, ან ვერ გადმოიღო ბერძნული მოდელის აკროსტიქი. მსგავსი შემთხვევები გვხვდება ქართულ ახალ იაღგარებსა და თვენებში.

მოცემულ ბერძნულ ლიტურგიკულ წიგნებში ვერ მივაკვლიეთ⁴⁵⁰. ერთის თქმა კი შეიძლება, რომ უძველესი იადგარის იმ სტიქარონებსა და მონოსტროფებშიც, რომელთაც აღმოაჩნდათ ბერძნული მოდელები, აკროსტიქიანი პოეტური ფორმები ვერ დავადასტურეთ.

კანონთა გალობებში, ისევე, როგორც სტიქარონებში, ფართოდ არის გავრცელებული რეფრენები, რომლებსთვისაც გამოყენებულია ბიბლიური გალობების მასალა. ზოგჯერ რეფრენებთან ერთად გალობების სტროფებს აქვთ სტერეოტიპული დასაწყისები, რომლითაც შინაგანად იკვრება გალობის სტროფები. მაგ.:

შო ბ ის აღიდებდითსას „სხუანი“

1. „რომელი ცათა არა დააკლდი...“
2. „რომელსა ცათა საყდარნი გქონდეს..“
3. „რომელსა ცანი ვერ გიტევდეს...“ (გვ. 19).

გალობის რეფრენია: „დიდებაჲ მალალთა შინა ლმერთსა“.

ბ ზო ბ ის აკურთხედიტსას „სხუანი“

1. „დღეს განმზიარულდა იერუსალემი...“
2. „დღეს აღესრულნეს წინაწარმეტყუელთა კმანი...“.
3. „დღეს აღივსნეს შურითა ურჩულონი ჰურიანი...“ (გვ. 71).

გალობის რეფრენია: „უფროესად ამალეებულ არს სახელი მისი უკუნი-სამდე“.

ეს რიტორული ხერხი პათეტიურსა და ამალეებულ ინტონაციას სძენს გალობებს და ამავე დროს კრავს მათ ერთ მთლიან კომპოზიციად. ასეთივე სურათია მთელ რიგ სტიქარონებში: იხ. განცხადების ორ ლტყესა (გვ. 39), განცხადების აქებდითსა (გვ. 64), ორმოცობის აქებდითსას სამი უკანასკნელი სტროფი, რომლებიც მხოლოდ C ხელნაწერშია შესული (გვ. 143) და სხვა.

უძველესი იადგარის კანონი შედგენილობის თვალსაზრისით ორ ძირითად სახეობად იყოფა: სრული და არასრული. სრული კანონი შედგება 9 გალობისაგან, არასრული კანონი — ორი, სამი და ოთხი გალობისაგან.

იადგარში შეტანილია 25 სრული კანონი, ძირითადად საუფლო დღესასწაულებისა და დიდი დღესასწაულებისათვის განკუთვნილი. ეს დღესასწაულებია: ხარება, შობა, მღვდელთმოძღვართა. განცხადება, განცხადების ზატიკის მერვე დღე, ანტონის, მამათა, მიგებება, თევდორე წმიდის, ორმოცობა, ბზობა, ახალკვირიაკე, ამალეება, მარტვილია, იოვანეს შობა, მოციქულთა (ათენაგენობა), ფერისცვალება, მარიამობა, მარიამობის IV, იოანეს თავის კვეთა, ღვთისმშობლის შობა, ენკენია, ჭვართა აპყრობა, მთავარანგელოზთა (მხოლოდ B-ში), სულთანი.

ამ კანონებიდან რამდენიმე ზოგადი ხასიათისაა, ესენია: თევდორე წმიდისა, მოციქულთა, მამათა და მღვდელთმოძღვართა. ზოგადი კანონებით იკვება კონკრეტული დღესასწაულების არასრული კანონები. არასრული კანონ-

⁴⁵⁰ იხ. აქვე საძიებლები გვ. 646—650.

ნი, ჩვეულებრივ. იმატებს ზოგადი კანონიდან პირველ ხუთ. ექვს ან შვიდ გალობას; კანონის დანარჩენი გალობები კონკრეტული დღესასწაულის კუთვნილებაა. ზოგ შემთხვევაში ზოგადი კანონი სრული სახითაც მეორდება სხვა დღესასწაულის განგებაში. ასე მაგ. იაკობ მოციქულისა და იოანე მახარებლის დღესასწაულს საკუთარი კანონი არა აქვს, მაგრამ მისთვის გამოიყენება მოციქულთა კანონი, როგორც ეს შენიშვნაშია აღნიშნული: „ოხითაჲ და გალობათა დასადებელი ყოველი მოციქულთაჲ ამსახურო“ (გვ. 29).

არასრული კანონის რამდენიმე სახეობა გვხვდება იადგარში:

1. კანონი, რომელიც შეიცავს მხოლოდ უკანასკნელ გალობებს, ხოლო პირველ გალობებს ივსებს ზოგადი კანონისაგან ან თემატურად მონათესავე რომელიმე კანონისაგან.

2. კანონი, რომელიც შეიცავს მხოლოდ უკანასკნელ გალობებს (უმთავრესად VIII-სა და IX-ს) და ამავე მოცულობით სრულდება (იხ. განცხადების ზატიკის მეორე—მეშვიდე დღეების მასალა, გვ. 57—67).

3. ხვედრნი — ვნების კვირის ორშაბათ-შაბათისთვის გარკვეული წესით შედგენილი სამსაგალობლები და ოთხსაგალობელი შაბათს (გვ. 177—210), ტრიოდული გალობები.

იადგარის კანონების ერთი ნაწილი შედგება გალობათა მხოლოდ ერთი ძირითადი ფენისაგან, ასეთებია: ახალკვირიაკის, მარტვილიის, იოანეს შობის, მოციქულთა, ფერისცვალების, მარიამობის IV, იოანეს თავის კვეთის, ხარების კანონები, კანონების მეორე ნაწილს კი ახლავთ გალობათა მეორე ფენა „სხუანები“.

„სხუანები“ შეიძლება ახლდეს კანონის ყველა გალობას ან მხოლოდ რამდენიმეს. ისეთი შემთხვევები, როდესაც „სხუანები“ ერთვის კანონის ყველა ან თითქმის ყველა გალობას, იადგარში მხოლოდ რამდენიმეა: განცხადების (გვ. 43), ბზობის (გვ. 116), მიგებების (გვ. 87), ენკენიის (გვ. 287) და 14 სექტემბრის ჭვართა აპყრობის (გვ. 289).

უმრავლეს შემთხვევაში „სხუანები“ ერთვის კანონის უკანასკნელ (VII—IX) გალობებს, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ, სანამ იადგარში სრული კანონი დაიკავებდა ცენტრალურ ადგილს, არასრული კანონი ასრულებდა მის ლიტურგიკულ ფუნქციებს. ვფიქრობთ, რომ ამ არასრული კანონის თავდაპირველი სახე შემოგვინახეს კანონის უკანასკნელი გალობების „სხუანებმა“ (ისინი, ჩვეულებრივად, რაოდენობრივად ჭარბობდნენ I—VI გალობების „სხუანებს“), რომლებმაც კანონში მეორე ფენად გადაინაცვლეს მას შემდეგ, რაც არასრული კანონი იადგარში სრულმა ახალმა კანონმა შეცვალა. ის ფაქტი, რომ კანონის უმთავრესად უკანასკნელ გალობებს ერთვის „სხუანები“, ვფიქრობთ, გარკვეულ კავშირში უნდა იყოს მეორე ფაქტთან: ბერძნული ირმოლოგიონის ძლისპირთა აკოლუთიებში აგრეთვე უკანასკნელ (VIII—XI) გალობებში ხშირად ერთზე მეტი ძლისპირია (Σλιος).⁴⁵¹

თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, რომ გალობათა „სხუანებმა“ კანონის უფრო ადრეული სახე შემოგვინახეს, მაშინ ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ გალობათა შემდგომი განვითარება ტროპარების მოცულობის შემცირების მი-

⁴⁵¹ M. Velimirović, იქვე, გვ. 207.

მართულებით წარიმართა. ეს კარგად ჩანს ისეთ მაგალითზე, როდესაც ძირითადი გალობის მასალად გამოყენებულია ამავე გალობის „სხუანი“.

ბ ზ ბ ი ს კანონის ორ მსმას

ძ ი რ ი თ ა დ ი

გამოუბრწყინდა მადლი შენი წარმართთა და ყრმანი რტოებითა გაქებდეს შენ: ოსანა, გიღალადებდეს შენ, მაცხოვარ. (გვ. 167,37).

ს ხ უ ა ნ ი

გამოუბრწყინდა მადლი შენი ებრაელთა ყრმათა და რტოებითა ბაიაჲსადა წინა-მიგეგებოდეს და იტყოდეს: ოსანა მალალთა შინა. კურთხეულ არს, რომელა მოვალს დღეს სიმდაბლით და კუალად მოსლვად არს დიდებითა ღმრთეებისაჲთა. (გვ. 167,7).

ძირითადი გალობა შემოკლებული ვარიანტია (რეფრენის ხარჯზე) „სხუანისა“. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ერთი გალობის ფარგლებში პირველ ტროპართა ასეთი მსგავსებისათვის უფრო ღრმა საფუძველიც არსებობს. გალობის პირველი ტროპარები, ანუ ძლისპირები უფრო ხშირად ბიბლიურ ოდებთან გალობის დამაკავშირებელი ტროპარებია, ამიტომ ისინი ბიბლიური ოდების შინაარსითა და მხატვრული სახეებით არიან განპირობებული, რაც იწვევს ერთი გალობის ფარგლებში ძლისპირთა დამსგავსებას.

ანალოგიური შემთხვევები გვხვდება სტიქარონებშიც.

ა მ ა ლ ლ ე ბ ა , ო რ ო ლ ლ ტ ყ ვ ს

ძ ი რ ი თ ა დ ი

მწუხრისა მსხუერპლსა შევსწირავთ შენდამი, ქრისტე, რომელი ამაღლდი ზეცას ჯორციითა ცხორებად სულთა ჩუენთათუის (გვ. 237,22).

ს ხ უ ა ნ ი

მწუხრისა მსხუერპლსა შევსწირავთ შენდამი, უფალო, რომელი ამაღლდი ზეცას ჯორციითა და კუალად მოსლვად ხარ დიდებითა ღმრთეებისაჲთა. მეუფეო დიდებისაო, შეიწირე ქებაჲცა ჩუენი და შეგუიწყალენ ჩუენ. (გვ. 238, 2).

მიუხედავად იმისა, რომ უძველეს იადგარს საფუძვლად ბერძნული მოდელი ედო, იადგარის ხანგრძლივი არსებობის, განვითარების, შევსებისა და თანდათანობით დახვეწის პროცესში მთელი რიგი ოპერაციები, ჩანს, ქართული იადგარის წიაღშივე მიმდინარეობდა, ალბათ, იმ ცვლილებების შესაბამისად, რომლებიც შეჰქონდათ მის ბერძნულ მოდელში. მხოლოდ ამ გზით შეიძლება აიხსნას საერთო გალობების არსებობა თვედორე წმიდისა და მოციქულთა კანონებში.

თვედორობის კანონი (სრულდება მარხვის I კვირის შაბათს) და სტიქარონებიც იადგარისეული ფენისაა. სტიქარონების ტროპარებს აღმოაჩნდათ ბერძნული

მოდლეები ტრიოდონის რდიომელებში⁴⁵². ხოლო თევდორობის კანონის არც გალობებისა და არც ძლისპირებისათვის⁴⁵³ ბერძნული მოდლეები ვერ დაიძებნა. მოციქულთა კანონი სრულდება მარტვილიდან ზეშვიდე კვირას, კანონის სამი გალობის ძლისპირს (IV, VI, IX) აღმოაჩნდა ბერძნული მოდლეები ირმოლოგიონში⁴⁵⁴: ორ მესმასათვის—Eu 146 ბ', კურთხეულარისისათვის—Eu 55 ჳ', ადიდებლითსათვის — Eu 60 ჳ'.

ორივე კანონი იადგარში, კერძო დანიშნულებასთან ერთად, ზოგადი კანონის ფუნქციასაც ასრულებს. ამ კანონების I—VI გალობებით იცხება სხვა წმინდანების და მოციქულების სახელზე შედგენილი კანონები, ამიტომ ორივე კანონი ზოგადი ხასიათისაა. ალბათ კანონთა ზოგადმა ხასიათმა შესაძლებელი გახადა თევდორობის კანონის ორი გალობის თითქმის უცვლელად გადატანა მოციქულთა კანონში.

თ ე ვ დ ო რ ო ბ ი ს კ ა ნ ო ნ ი

მ ო ი ხ ი ლ ე ს ა ჯ ' ა ბ

1. მივსცეთ დიდებამ უფალსა, რომელმან გუიჩუნა ჩუენ საქსენებელი წმიდათა მოწამეთა მისთაჲ.

2. დაგუიცივენ შენნი მოსავნი მეოხებითა, ღმერთო, წმიდათა მოწამეთა შენთაჲთა.

3. მართალ და წმიდა არს უფალი, რომელმან განადიდა საქსენებელი დიდებულთა მისთა მოწამეთაჲ.

4. ყოლად ქებულნო მოწამენო უფლისანო, დაუცხრომელად მეოხებ[უეყვენით სულთა ჩუენთათჳს] (გვ. 109).

მ ო ც ი ქ უ ლ თ ა კ ა ნ ო ნ ი

მ ო ი ხ ი ლ ე ს ა ჯ ' ა ბ

1. მოიხილე, ცაო, და ვიტყოდით...

2. მივსცეთ დიდებამ უფალსა, რომელმან გუიჩუნა ჩუენ საქსენებელი წმიდათა მოციქულთაჲ.

უფლისანო, დაუცხრომელად მეოხებითა, ღმერთო, წმიდათა მოციქულთა შენთაჲთა.

4. მართალ და წმიდა არს უფალი, რომელმან განადიდა საქსენებელი წმიდათა მოციქულთაჲ.

5. ყოლად ქებულნო მოციქულნო უფლისანო, დაუცხრომელად მეოხებუეყვენით ცხორებად სულთა ჩუენთათუის (გვ. 256).

ლ ა მ ი თ გ ა ნ ს ა

ღამისაჲ განვლეს ბნელი, მოწყალე, მოწამენი ნათლითა შეიმოსნეს

ლ ა მ ი თ გ ა ნ ს ა

ღამისანა თანა-წარკდეს ბნელსა, მოწყალე, მოციქულნი ნათლითა შეიმოს-

⁴⁵² ო რ ო ლ ლტყავას 1, 3, 5, 6 ტროპარებს—TR 780, 2; 778, 3; 778, 6; 810, 3. აქებლითსას 4, 6, 7 ტროპარებს—TR 808 3; 810, 2; 808, 4.

⁴⁵³ თევდორობის კანონის VII გალობის დასაწყისია „სამთა ყრმათა საჯუბილსა შინა“. იგივე დასაწყისი აქვს ორ ბერძნულ ძლისპირს (Eu 55 და Eu 11), რომელთა ქართული თარგმანები გამოყენებულია უძველესი იადგარის კანონებში (იხ. საძიებლები IV). Eu 55 ძლისპირი გამოყენებულია მოციქულთა კანონის VII გალობაში. თევდორობისა და მოციქულთა კანონების მასალობრივი ურთიერთდამოკიდებულება გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ თევდორობის VI გალობის ძლისპირის მოდელიც Eu 55 უნდა იყოს.

⁴⁵⁴ იხ. აქვე ძლისპირიან კანონთა ცხრილი, № 19.

და შენ მიერ საცთური მტერთა და-
თრგუნეს და შენსა სასუფეველსა
ღირს იქმნეს.

ჯუარი აიღეს წმიდათა მოწამეთა,
ქრისტე, და მძლავრთა შინებისაგან
არა შეიძრწუნდეს, გილადადებდეს
და იტყოდეს: გუიჯსნენ ჩუენცა საც-
თურისაგან, მხოლოო, ქველისმოქმე-
დო უფალო (გვ. 110).

ორივე შემთხვევაში თეოდორეს კანონის მოწამე მოციქულთა კანონ-
ში შეცვლილია მოციქულით, დამითგანსას II ტროპარი მოციქულთა
კანონში ადაპტირებულია.

მოციქულთა კანონისათვის გამოყენებულია აგრეთვე თეოდორეს კანონის
აქურთხევედითსას „სხუანი“⁴⁵⁵.

ამრიგად. ამ მასალიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორ ხდება იადგარის
თანდათანობით შევსება და გავრცობა იადგარისავე მასალის გამოყენებით.
აქ დაახლოებით იგივე კანონი მოქმედებს, რაც მოქმედებდა ლექციონარში—
კერძო ხსენებებისათვის ზოგადი განგებების შექმნა და მათი რაოდენობის
თანდათანობით ზრდა.

მოტანილ მასალაზე გამოჩნდა, თუ როგორ შედგა იადგარში მოციქულთა
ზოგადი კანონი თეოდორეს კანონის მასალის გამოყენებით.



უძველესი იადგარის კანონების ორივე (ძირითად და მეორად) ფენაში
გალობათა პირველი სტროფის ხასიათისა და დანიშნულების მიხედვით გამო-
იყოფა ორი სახის გალობები: უძლისპირო და ძლისპირიანი.

უძლისპირო გალობებს ვუწოდებთ იადგარის ისეთ გალობებს, სადაც
გალობის პირველ სტროფს არ აკისრია პოეტური გალობის ბიბლიურ გალო-
ბასთან მაკავშირებლის ფუნქცია. ის არ შეიცავს საამისოდ ბიბლიური გალო-
ბებრს სტერეოტიპულ ფრაზეოლოგიას და პირველი ფრაზიდანვე დღესას-
წაულის თემის სიუჟეტურ გახსნას ემსახურება⁴⁵⁶.

უძლისპირო სიუჟეტური გალობების ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ
ენების კვირის ზოგი სამაგალობელი (მაგალითად, მეშვიდე შაბათის კურთხეუ-
ლარსას „სხუანი“. გვ. 208), რომლებიც იადგარის კანონის უძველეს ფენას
უნდა წარმოადგენდეს. ასევე განცხადების გალობათა „სხუანები“, ორმოცობის
კანონის VIII და IX გალობათა „სხუანები“ (გვ. 140—141). ზოგჯერ ამ ტიპის
გალობებში ბიბლიურ გალობასთან მაკავშირებლის ფუნქციას ასრულებს გა-
ლობის რეფრენი (იხ. ოთხშაბათის სამსაგალობელი, გვ. 183).

⁴⁵⁵ კანონში მოტანილია აქურთხევედითსას ძირითადი გალობა, ხოლო იქვე მიწერილია:
„სხუანი თეოდორობასა კპოენა“. თეოდორობის კანონში აქურთხევედითსას გალობას მართლაც
ახლავს სხუანი (გვ. 112).

⁴⁵⁶ ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ უძლისპირო გალობების ტროპარებში არ იყო
გამოყენებულა ბიბლიურ გალობათა მხატვრული სახეები და ფრაზეოლოგია.

უპლსპირო სიუფეტური გალობები უფრო ხშირად გვხვდება გალობათა მეორე ფენაში — „სხუანებში“. „სხუანის“ სტროფები მეტწილად მოცულობით კარბობს ძირითადი გალობის სტროფებს. „სხუანისათვის“ უფრო დამახასიათებელია თხრობითი მანერით დღესასწაულის შინაარსის გახსნა (შდრ. შობის კანონის ძირითადი და „სხუანი“ გალობანი — გვ. 17—19). ძირითადი გალობის მოკლე და სხარტ ფრაზეოლოგიურ მონაკვეთებში უკეთ იგრძნობა სტროფის შინაგანი რიტმი. „სხუანებში“ არ გამოვლინდა ბერძნული მოდელები. საერთოდ (იგულისხმება სტიქარონებიც)⁴⁵⁷, და ბერძნული ავტორიანი ძლისპირები. აშკარაა მხატვრულ-სტილისტური სხვაობაც ძირითად და „სხუანი“ გალობებს შორის. ეს მხარს უჭერს ჩვენ ვარაუდს, რომ ორფენოვან გალობებში „სხუანები“ რიგ შემთხვევაში კანონის უფრო ადრეულ ფენას წარმოგვიდგენენ⁴⁵⁸.

მეორე ჯგუფი იადგარის კანონებისა ძლისპირიანი კანონებია.

პირველ სტროფს (ძლისპირს) გალობებში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ის ახორციელებს პოეტური გალობის მხატვრულ-იდეურ კავშირს ბიბლიურ გალობებთან, ამავე დროს ის არის გალობის დანარჩენი სტროფებისათვის მელოდიის მოდელიც. ბიბლიურ გალობებთან მაკავშირებელი პირველი სტროფის — ძლისპირის საკიროება შეიქმნა იმის შემდეგ, რაც ბიბლიური გალობის დანართი პოეტური სტროფები ჩამოსცილდნენ ბიბლიურ გალობებს და შეიქმნა ახალი ტიპის პოეტური კანონი, სადაც ყოველი გალობის პირველ სტროფს დაეკისრა პოეტური გალობის ბიბლიურ გალობასთან კავშირის განხორციელება, რაც იმაში გამოიხატა, რომ ყოველი ძლისპირი გარკვეულ ფარგლებში ბიბლიურ გალობათა პარაფრაზირებულ ტექსტზე აიგო. ასეთი ძლისპირები ტიპიურია უძველესი იადგარისათვის. შემდგომ ძლისპირმა გაიფართოვა თავისი ფუნქციები საბაწმიდელ ჰიმნოდთა წრეში. იმის შემდეგ, რაც იოანე დამასკელმა გარკვეული რეფორმა ჩაატარა კანონის სტრუქტურის დახვეწის მიზნით, სტროფი-მოდელი ანუ ძლისპირი კიდევ ერთ ახალ ფუნქციას იძენს. ის განსაზღვრავს მომდევნო სტროფების რიტმულ სახეს, რომელიც, ამავე დროს, გარკვეული მნიშვნელობით მისი მეტრული სახეც არის, ხოლო სტროფის განსაზღვრული რიტმიკა საფუძველია გალობის კილოს ფიქსაციისათვის.

უძველესი იადგარის კანონის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ისეთი კანონი, რომლის გალობათა პირველი სტროფები იწყება შესაბამისი ბიბლი-

⁴⁵⁷ გამოწაკისია ორმოცობის დღესასწაულის აღიღებდითას „სხუანი“ (გვ. 141), რომლის მოდელია ბერძნული ტრიოდის სტიქარონი (TR 787, 21—787, 37). ჯერჯერობით ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც კანონის გალობის მთელ ტექსტს აღმოაჩნდა ბერძნული მოდელი, მაგრამ ეს მოდელი სტიქარონია და არა კანონის გალობა. საგულისხმოა, რომ ამავე დღესასწაულის აქედნოას „სხუანი“ (გვ. 142) ოთხიდან სამ სტროფს აღმოაჩნდა ბერძნული მოდელი ბერძნულ თვეში (იოანე ბერის სტიქარონი—MR IV 49, 12—49, 18). იხ. აქვე, გვ. 827.

⁴⁵⁸ გალობებთან „სხუანების“ სიმრავლე ზოგჯერ დღესასწაულის განსაკუთრებული მნიშვნელობითა და პოპულარობითაც უნდა იყოს გამოწვეული. ამ რიგის „სხუანები“ მხატვრულ-სტილისტურად არ სხვაობენ ძირითადისაგან და, ალბათ, ძირითადის თანადროულ და შეიძლება მასზე უფრო გვიანდელ ფენასაც წარმოადგენენ. ამ რიგის „სხუანებია“ უმრავლეს შემთხვევაში აღდგომის დასდებლებში. ამავე დროს, იადგარში შედარებით გვიან შეტანილ უმთავრესად წმიდა მოწამეთა დღესასწაულებს, რომლებიც მხოლოდ A ნუსხას დაუცავს, „სხუანები“ სულ არა აქვთ. ვრცლად „სხუანების“ თავისებურებათა შესახებ იხ. აქვე, გვ. 844—851.

ური გალობის მუხლით (ჩვეულებრივ პირველით). ხშირად გამეორებული ბიბლიური გალობების ერთი და იგივე მუხლები იადგარში ბიბლიური სტერეოტიპული ფრაზების ხასიათს ატარებენ⁴⁵⁹. კანონის ყოველ გალობას სტერეოტიპული ფრაზების თავისი საკუთარი რეპერტუარი აქვს, რაც კარგად ჩანს ტროპართა საძიებლებში (იხ. აქვე, გვ. 563). ჩვეულებრივ, ფრაზეოლოგიური სტერეოტიპი პირველი სტროფის მხოლოდ დასაწყისი ნაწილია⁴⁶⁰, რასაც მოსდევს იმავე სტროფში დღესასწაულის თემის გახსნა. იშვიათია, რომ გალობის პირველი სტროფი მთლიანად ბიბლიურ გალობას ეთმობოდეს. ასეთია მარიამობის კანონის ორ მესმასას პირველი სტროფი: „მესმა სმენაჲ შენი, უფალო, და შემეშინა, განვიცადენ საქმენი შენნი და დამიკვრდა, უფალო“ (გვ. 267)⁴⁶¹.

უძველესი იადგარის კანონის პირველი სტროფი, ისევე, როგორც მომდევნო პერიოდის კლასიკური ძღისპირი, პირველ რიგში ბიბლიურ გალობებთან მაკავშირებელი სტროფია. მაგრამ აქვს თუ არა ამ ძღისპირს ამავე დროს რიტმული მოდელის დანიშნულება, ამის შესახებ ერთნიშნაინი პასუხის გაცემა ძნელია. ვინაიდან ჩვენ საქმე გვაქვს თარგმანებთან, რომელთა ბერძნულ მოდულებს ვერ მივაკვლიეთ, არ ვიცით, თუ რამდენად ასახავს თარგმანი ბერძნული მოდელის სილაბიკას და რიტმიკას. მოდელისაგან დამოუკიდებლად კი ქართული თარგმანების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ კანონების გალობებში პირველი და მომდევნო სტროფების სილაბური ურთიერთმომართების სხვადასხვა სურათია: მათ შორის სხვაობა ხან მცირეა (10 მარცვალს არ სცილდება), ხან კი მეტად დიდია. ე. ი. თარგმანების მიხედვით ამ ტიპის კანონში პირველი სტროფის სილაბიკა არ არის ზუსტად დაცული გალობის მომდევნო სტროფებში. ამის მიზეზი, ჩვენ ვფიქრობთ, არ შეიძლება ვეძებოთ მხოლოდ ქართული თარგმანის არასრულყოფილებაში. თვითონ პრინციპი პირველი და მომდევნო სტროფების ზუსტი თანაფარდობისა, რომელიც კანონად არის ქცეული კლასიკურ ბიზანტიურ საგალობლებში, უძველესი იადგარის კანონში ჯერ არ არის აყვანილი კანონის სიმალემდე.

ეს განსხვავება კარგად ჩანს იმ შემთხვევებში, როდესაც ერთი და იგივე ძღისპირი სხვადასხვა კანონშია გამოყენებული და სხვადასხვა სურათს გვაძლევს პირველი და მომდევნო სტროფების სილაბური ურთიერთმომართებისა.

ამ რიგის ძღისპირთა ერთ ნაწილს აღმოაჩნდა ბერძნული მოდულები ირმოლოგიონში. ბერძნული მოდელიანი და უმოდულო ძღისპირების ერთმანეთისაგან მტკიცედ გამიჯვნა ვერ ხერხდება, ვინაიდან ისინი თანაარსებობენ ერთი კანონის ფარგლებში და არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთ უმოდულო ძღისპირს მომავალში აღმოაჩნდეს მოდელი ირმოლოგიონში ან რომელიმე ლიტურგიკულ კრებულში.

⁴⁵⁹ ბიბლიური გალობების პოეტური ფრაზეოლოგია დიდი რაოდენობით გვხვდება უძველესი იადგარის სხვა პოეტურ ფორმებშიც—მონოსტროფებსა და სტიქარონებშიც.

⁴⁶⁰ ბიბლიურ ფრაზეოლოგიურ სტერეოტიპებს ძღისპირებისათვის ფართოდ იყენებენ ცნობილი ბიზანტიელი პიმნოდებიც, ამიტომაც, რომ მსგავსი დასაწყისების მქონე ძღისპირები სხვადასხვა ავტორთა აკოლუთიებში ხშირი მოელენა ირმოლოგიონებში.

⁴⁶¹ ფსალმუნი, გვ. 426. ბიბლიური გალობის იგივე მუხლი ძღისპირისათვის გამოყენებულია აქვს გერმანე პატრიარქს (Eu 235 წ, Eu 110 წ). ამიტომ, ამ შემთხვევაში ძნელია იმის გარკვევა, თუ რით სარგებლობდა მარიამობის კანონის შემდგენელი—ბიბლიური გალობით თუ კერძანეს ძღისპირით.

იმისათვის, რომ ნათლად გამოჩნდეს ავტორიან ძლისპირთა ხვედრითი წილი და მონაწილეობა იადგარის კანონებში, მათი საერთო რეპერტუარი, მათი კანონებზე განაწილება, წარმოვადგენთ კანონების ძლისპირიან გალობათა ცხრილს ძლისპირთა ბერძნულ მოდელეებზე მითითებით. ცხრილი არ არის სრული (კანონთა ძლისპირების შემდგომი შესწავლა ამ სიას უთუოდ შეაესებს), მაგრამ ამ სახითაც მას შეუძლია გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნას ამ ტიპის კანონებზე.

კანონის გალობები ცხრილში აღნიშნულია რომაული ციფრებით (I—IX). იადგარის ძლისპირთან მითითებულია მისი განსხვავებული თარგმანი (თუ ასეთი არსებობს) ძლისპირთა ქართული გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებული კრებულებიდან. ბერძნულ ირმოლოგიონთა გამოყენებული გამოცემებისათვის იხ. აქვე, გვ. 643.

I. ხ ა რ ე ბ ა

VI. ვლადატ-ვყავ ჭირსა ჩემსა (დ). 8,33. Eu 21 ჳკივ, I,6 გერმანე.

2. შ ო ბ ა

I. ისრაელი მონებისაგან იკსენ. 15,9. Eu 324, VIII,1 გერმანე. ძლ. 336.

II. იხილეთ, იხილეთ, რამეთუ. 15,22. Eu 323, VIII,2 გერმანე. ძლ. 344.

III. არაეინ არს წმიდა, ვითარ უფალი. 15,35. Eu 323, VIII,3 გერმანე. ძლ. 344.

VI. მესმა სმენაჲ გორც-შესხმისა შენისაჲ (დ). 16,11. ასეთივე დასაწყისის ძლისპირი აღმოჩნდა ქართულ ხელნაწერ „ძლისპირში“ (A 603, 40r). ბერძნული მოდელი ამ ძლისპირს არ დაეძებნა, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მოდელის არსებობა ეჭვს არ იწვევს. ამის სასარგებლოდ მეტყველებს ამავე ძლისპირის უძველეს იადგარში გამოჩენაც.

V. ლამითგან აღვიმსთობთ, გიგალობთ შენ. 16,21. Eu 324, VIII, 5 გერმანე. ძლ. 359.

VI. შთამადღეს მე სიღრმესა (დ). 16, 30. Eu 325, VIII, 6 იოანე ბერი. ძლ. 371.

VII. რომელმან დასაბამსა ცანი (დ). 17,8. Eu 323, VIII,7 გერმანე. ძლ. 383.

VIII. რომელი მთასა წმიდასა იდიდა. 18,2. Eu 323, VIII,8 გერმანე. ძლ. 387.

3. ს ტ ე ფ ა ნ ე ს ი (ორსაგალობელი)

VIII. რომელმან ყოველივე სიტყუითა. 25,5. Eu 11, I,8 კოზმა.

IX. შენ, რომელი გიხილა ბქედ (დ). 25,18. Eu 22, I,9 იოანე ბერი.

4. პ ე ტ რ ე-პ ა ვ ლ ე ს ი (სამსაგალობელი)

IX. შენ, ყოლად ქებულო და უბი (დ). 28, 12. Hirm. Sabb. 13v. I, 9. ძლ. 59.

5. მ დ ვ დ ე ლ თ მ ო ძ ღ ვ ა რ თ ა

I. ფარაო (დ). 31, 2. Eu 21, I, 1 გერმანე.

II. მოიხილე, ცაო, და ვიტყოდით და უფროხსად უგალობდეთ ღმერთსა, 31,6. Eu 24, I,2 ნიკიფორე.

VI. ვლად-ვყავ ჭირსა ჩემსა მოწყალისა მიმართ. 33,3. Eu 22, I,6 იოანე ბერი.

VII. რომელი მაყოვანსა შინა (დ). 33,5. Eu 22. I, 7 იოანე ბერი.

6. გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

- IV. გამოუბრწყინდა მადლი. 46, 18. Hirm. Ath. 17v; I, 4 გერმანე, ძლ. 21.
VII. რომელი მაცხოვანსა შინა გამოუჩ (დ). 48,30. Eu 22, I, 7 იოანე ბერი.

7. გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ი ს ო დ ლ ე

- VIII. დაუსაბამო ღმრთისა სიტყუა. 71, 8. Eu 349, VIII, 8.

8. ა ნ ტ ო ნ ი ს ი

- III. უფლისა მიერ ღმრთისა. 74, 34. Eu 146, IV, 3 გერმანე. ძლ. 168.
V. რომელმან გამოაბრწყინე და განანათლე. 75, 16. Eu 146, IV, 5 გერმანე. ძლ. 184.
VII. რომელი მთასა ზედა (დ). 75, 32. Eu 146, IV, 7 გერმანე.

9. მ ი გ ე ბ ე ბ ა

- II. მოიხილე, ცაო, და ვიტყოდით. 88, 14. Eu 110, III, 2 გერმანე.
III. უფლისა მიერ ღმრთისა ჩემისა. 88, 19. Eu 146, IV, 3 გერმანე. ძლ. 168.
IV. მესმა სმენაჲ შენი, უფალო, და შემეშინა. 89, 11. Eu 150, IV, 4 ანდრია კრიტელი; Eu 194, V, 4 ანდრია კრიტელი; Eu 235, VI, 4 გერმანე.
VI. დადად-ყავ სულთქუმით დაუღუმებე (დ). 91, 1. Eu 111, 6 გერმანე. ძლ. 136.
VII. რომელი მთასა ზედა მოსეს. 91, 24. Eu 146, IV, 7 გერმანე.

10. ო რ მ ო ც ო ბ ა

- II. მოიხილე, ცაო, და ვიტყოდით და უფროჲსად. 138, 10. Eu 110, III, 2 გერმანე.
III. სიმტკიცე და ლხინებაჲ მოგუმაღლე ჩუენ. 138, 30. Eu 112, III, 3 გერმანე.
VI. ელადატ-ყავ სულთქუმით დაუღუმებელად (დ) 139, 21. Eu 111, III, 6 გერმანე, ძლ. 136.
VII. სამთა ყრმათა საკუმილსა შინა (დ). 139, 30. Eu 111, III, 7 გერმანე. ძლ. 140.
IX. უძლეველთა წმიდათა ორმოცთა. 141, 12. „სხუანი“. გალობის სამივე სტროფის ბერძნული მოდელია სტიქარონი ბერძნული ტრიოდიონიდან (TR 787, 21—37).

11. VI შ ა ბ ა თ ს ა, ლ ა ზ ა რ ე ს ი (სამსაგალობელი)

- VII. სამთა ყრმათა საკუმილსა სამე (დ). 161, 22. Eu 111, III, 7 გერმანე. ძლ. 140.
IX. ვადიდებდეთ ყოველნი კაცთმოყუარებასა შენსა. 162, 21. Eu 146, IV, 9 გერმანე. ძლ. 226 „მორთული“.

12. ბ ზ ო ბ ა

- I. ფარაო ეტლებითურთ ქრისტემან, ღმერთმან ჩუენმან. 166, 10. Eu 21, I, 1 გერმანე.
VI. ელადატ-ყავ კირი[თა გულისა ჩემი]. 169, 15. Eu 17, I, 6 ანდრია კრიტელი; Eu 28, I, 6 იოანე ბერი.

13. VII ხ უ თ შ ა ბ ა თ ს ა

- VII. რომელი თაყუანის (დ). 186, 2. Eu 112, III, 7 გერმანე.
IX. შენ, დედასა ნათლისასა (დ). 186, 13. Eu 112, III, 9 გერმანე.

14. VII კ ა რ ა ს კ ე ვ ს ა (სამსაგალობელი)

V. ლამისა წარსლეთა. 197,3. Eu 55, II, 5 იოანე ბერი;

Eu 59, II, 9 გერმანე.

IX. ქალწულებაჲ შენი, ღმრთისმშობელო. 197,33. Eu 60, II, 9 ანდრია კრიტელი. ძლ. 111.

15. VII შ ა ბ ა თ ს ა

VI. ვლადატ-ყავ კირი (ღ). 206,37. Eu 17, I, 6 ანდრია კრიტელი; Eu 28, I, 6 იოანე ბერი.

VII რომელი მაყლოანსა შინა (ღ). 207, 18. Eu 22, I, 7 იოანე ბერი.

16. გ ი ო რ გ ი წ შ ი დ ი ს ა (არასრული კანონი, VI—IX)

VII. რომელი მთა (ღ). 234,8. Eu 146, IV, 7 გერმანე.

17. ა მ ა ღ ლ ე ბ ა .

I. რომელმან აღმოძიყვანა ჩუენ ბჭეთაგან. 238, 37. Eu 145, IV, 1 იოანე დამასკელი. ძლ. 157.

18. მ ა რ ტ ვ ი ლ ი ა

I. ფარაო ეტლებითურთ (ღ) 246, 12. Eu 21, I, 1 გერმანე.

VII. რომელი მაყლოანსა შინა (ღ). 248,8. Eu 22, I, 7 იოანე ბერი.

19. მ ო ც ი ქ უ ლ თ ა

IV. დაფარნა ცანი შეენიერებამან, ქრისტე (ღ). 257,2. Eu 146, IV, 4 გერმანე. Eu 237, VI, 4 გერმანე.

VII. სამთა ყრმათა საკუმილსა შინა. 258,2. Eu 55, II, 7 იოანე ბერი.

IX. ქალწულებაჲ შენი, ღმრთისმშო (ღ). 258. 32. Eu 60, II, 9 ანდრია კრიტელი, ძლ. 111.

20. ფ ე რ ი ს ც ვ ა ლ ე ბ ა

VII. რომელი მაყლოანსა შინა (ღ). 263, 15. Eu 22, I, 7 იოანე ბერი.

IX. გადიდებთ შენ ყოველი თესლები. 264,2. Eu 237, VI, 9 გერმანე.

21. მ ა რ ი ა მ ო ბ ა

IV. მესმა სმენაჲ შენი, უფალო, და შემეშინა. 267, 17. Eu 150, IV, 4 ანდრია კრიტელი; Eu 194, V, 4 ანდრია კრიტელი, Eu 235, VI, 4 გერმანე.

V. ლამითგან ავიმსთობთ, უფროასად გიგალობთ. 267,27. Eu 98, II, 5 იოანე ბერი. ძლ. 133.

VI. ვლადატ-ყავ სულთქუმით დაუდუმებელად. 268, 2. Eu 111, III, 6 გერმანე, ძლ. 136.

VII. სამთა ყრმათა საკუმილსა შინა. 268,10. Eu 111, III, 7 გერმანე. ძლ. 140.

VIII. რომელი თაყუანის-იციემების წმიდათა ანგელოზთაგან. 268,20. Eu 112, III, 8 გერმანე.

IX. ა. შენ, დედასა ნათლისასა. 269, 2. Eu 112, III, 9 გერმანე. ბ. შენ, უკუ-დავებისა წყაროსა. 269,9 (მხოლოდ B-ში). Eu 110, III, 9 გერმანე.

22. ე ნ კ ე ნ ი ა

IX. შენ, ყოლად ქებულო, უბიწოო. 294, 38. Hirm. Sabb. 13v. ძლ. 59.

23. ჯ ე ა რ თ ა ა პ ყ რ ო ბ ა

- I. რომელმან აღმოპოვეს ჩუენ. 299, 30. Eu 145, IV,1 იოანე დამასკელი. ძლ. 157.
 III. უფლისა მიერ ღმრთისა ჩემისა. 302, 13. Eu 146, IV,3 გერმანე. ძლ. 168.
 V. რომელმან გამოაბრწყინე ნათელი. 304, 23. Eu 146, IV, 5 გერმანე. ძლ. 184 „მორთული“.
 VII. რომელი მთასა ზედა მოსეჲს თანა (ღ). 306,19. Eu 146, IV,7 გერმანე. ძლ. 202.
 IX. ყოველნი ტომნი ქუეყა (ღ). 308, 33. Eu 141. IV, 9 იოანე ბერი.

24. გ ი ო რ გ ი წ მ ი დ ი ს ა (არასრული გალობა, VI—IX)

- IX. შენ, ყოლად ქებულო. 320, 7. Hirm. Sabb. 13v. I,9. ძლ. 59.

25. ს უ ლ თ ა ნ ი

- I. ფარაო ეტლებითურთ (ღ). 328,8. Eu 21, I,1 გერმანე.
 II. მოიხილე, ცაო, და (ღ). 328, 19. Eu 21, I,2 გერმანე.
 III. განაძრეულე, უფალო, ეკლესიაჲ შენი. 328,32. Eu 21, I, 3 გერმანე.
 IV. გამოუბრწყინდა მადლი შენი წარმართთა (ღ). 329,5. Hirm. Ath. 17v; Hirm. Crypt. 25r. I, 4 გერმანე, ძლ. 21.
 V. ღამითგან ავიმსთობთ შენდამი. 329,13. Eu 21, I,5 გერმანე.
 VI. ელაღატყყავ კირსა ღმრთისა მიმართ მოწყალისა 329,21. Eu 22, I,6 იოანე ბერი.
 VII. რომელი მაცლოვანსა შინა გამოუჩნდა (ღ). 330, 10. Eu 22, I,7 იოანე ბერი.
 IX. შენ, ყოლად ქებულო (ღ). 330, 26. Hirm. Sabb. 13v. I,9. ძლ. 59.
 ძლისპირთა ცხრილში მოტანილი 25 სრული და არასრული კანონის ძლისპირები აკოლუთიებში შემდეგნაირად გამოიხატება⁴⁸²:

Eu 11. კოზმა: VIII (3).

Eu 17. ანდრია კრიტელი: VI (12), VI (15).

Eu 21. გერმანე: I, (5), I(12), I (18), I (25), II (25), III (25), V (25).

Eu 21. ჰსი; გერმანე. VI (1), VI (6).

Eu 22. იოანე ბერი: IX (3), V^{II} (5), VII (7), VII (15), VII (18) VII (20), VI (25), VII (25).

Eu 55. იოანე ბერი: V (14), VI (19).

Eu 60. ანდრია კრიტელი: IX (14), IX (19).

Eu 98. იოანე ბერი: V (21).

Eu 110. გერმანე: II (9), IX ბ (21).

Eu 111. გერმანე: VI (9), VI (10), VII (11), VI (21), VII (21).

Eu 112. გერმანე: III (10), VII (13), VIII (13), VIII (21), IX ა (21).

Eu 145. იოანე დამასკელი: 1 (17), I (23).

Eu 146. გერმანე: III (8), V (8), VII (8), III (9), VII (9), IX (11) VII (16), IV(19), III (23), V (23), VII (23).

⁴⁸² აკოლუთიების ცხრილში ძლისპირის შემცველი გალობა მითითებულია რომელი ციფრით, ხოლო კავეში ჩასმული არაბული ციფრი მანიშნებს ძლისპირის შემცველ დღესასწაულებზე ძლისპირთა წინა ცხრილის მიხედვით.

Eu 150. ანდრია კრიტელი: IV (9), IV (21).

Eu 237. გერმანე: IX (20).

Eu 323. გერმანე: II (2), III (2), VII (2), VIII (2).

Eu 324. გერმანე: I (2), V (2).

Eu 325. იოანე ბერი: VI (2).

Eu 349: VIII (7).

Hirm. Sabb. IX (4). IX (22), IX (24).

Hirm. Ath. 17v. Hirm. Crypt. 25 r. IV (6), IV (25). გერმანე.

იგივე მასალა რომ აკოლუთიათა ავტორების მიხედვით დავალაგოთ, მივიღებთ შემდეგ სურათს:

კოზმა: Eu 11.

ანდრია: Eu 17, Eu 60, Eu 150.

გერმანე: Eu 21, Eu 21 ἄλιος, Hirm. Ath. 17v. Eu 110, Eu 111, Eu 112, Eu 146, Eu 323, Eu 324.

იოანე ბერი: Eu 22, Eu 55, Eu 98, Eu 325.

იოანე დამასკელი: Eu 145.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უძველესი იადგარის ვერც სრულ კანონებს, ვერც კანონების ცალკეულ გალობებს და ვერც ცალკეულ სტროფებს ვერ დაეძებნათ ბერძნული მოდელები. გამონაკლისია გალობათა იადგარში მითითებული ძლისპირების ერთი ნაწილი, რომელთაც აღმოაჩნდათ ბერძნული მოდელები ირმოლოგიონში.

ძლისპირიან კანონთა ცხრილების ანალიზმა და უძველესი იადგარის კანონებზე შესწავლამ საშუალება მოგვცა ზოგიერთი მოსაზრება გამოვთქვათ იადგარის კანონის თავისებურებებზე:

1. იადგარის კანონებში დღესდღეობით არ აღმოჩნდა არც ერთი ისეთი კანონი, რომლის ცხრავე გალობისათვის დაებნდიოყო ძლისპირთა ბერძნული მოდელები ბერძნულ ირმოლოგიონებში. ძლისპირთა ყველაზე დიდი რაოდენობა (ცხრიდან ექვსი და შვიდი ძლისპირი) გამოვლინდა შობის (2), მარიამობისა (21) და სულთას (25) კანონებში. დანარჩენ კანონებში მათი რაოდენობა ოთხს არ აღემატება, რამდენიმეში თითო-თითო ძლისპირია.

2. ძლისპირთა დიდი ნაწილი ზუსტი თარგმანია ბერძნული მოდელისა. იმ შემთხვევაში, თუ ძლისპირი თავისი კონკრეტული შინაარსით არ პასუხობს დღესასწაულის თემას, მისი ბოლო მონაკვეთი ადაპტირებულია და ამ გზით უკვე ძლისპირშივე ასახულია დღესასწაულის თემა.

3. ამავე პრინციპებზეა აგებული ის ძლისპირები, რომელთაც ვერ დაეძებნათ ბერძნული მოდელები ირმოლოგიონში: საფუძვლად აღებულია კანონის გალობის შესაბამისი ბიბლიური გალობის პარაფრაზი, რომელიც შეწყობილია კანონის დღესასწაულის თემასთან.

4. ძლისპირი იადგარის A ხელნაწერში ყოველთვის პირველი სტროფია⁴⁶³. ხელნაწერი ამ პრინციპს მხოლოდ ზოგჯერ დალატობს.

⁴⁶³ გამონაკლისია ლაზარეს დღესასწაულის კანონის აღიდებდითსა, სადაც ძლისპირი II სტროფია, მაგრამ ამ შემთხვევაში პირველი სტროფი (ღვთისშობლისადმი მიძღვნილი ტროპარი) შემდეგ დამატებული ჩანს (იხ. აქვე, გვ. 860). განსხვავებული სურათია აღდგომის დასდებულში, იხ. აქვე, გვ. 903—906.

5. ბერძნულმოდელიანი ძლისპირების უმრავლესობა ბიბლიურ გალობათა პარაფრაზს წარმოადგენს.

6. უძველესი იადგარის კანონებში ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც კანონის ძლისპირები ერთი ავტორის ერთი აკოლუთიის კუთვნილებათ. ეს არის ანტონის კანონი (8), სადაც 3 ავტორიანი ძლისპირია გამოყენებული (III, V, VIII), სამივე გერმანე პატრიარქის ერთი აკოლუთიიდან (Eu 146).

7. არის შემთხვევა, როდესაც იადგარის კანონში გამოყენებული ძლისპირები ერთ ავტორს მიეწერება, მაგრამ ეს ძლისპირები ამ ავტორის სხვადასხვა აკოლუთიის კუთვნილებათ, იხ. ორმოცობა (10), სადაც გერმანეს სამი ძლისპირია გამოყენებული ორი სხვადასხვა აკოლუთიიდან (Eu 112 და Eu 111).

8. უძველესი იადგარის კანონთა დიდი უმრავლესობა „შედგენილი კანონებია“, ე. ი. კანონისათვის გამოყენებული ძლისპირები რამდენიმე ავტორის სხვადასხვა აკოლუთიის კუთვნილებათ. ეს აკოლუთიები, უფრო ხშირად, ერთმანეთის მომდევნო ნომრებით არის აღრიცხული ირმოლოგიონის ევსტრატიადისის გამოცემაში, იხ. შობის კანონი (2), რომელშიც 7 ავტორიანი ძლისპირია, აქედან 6 ძლისპირი გერმანეს მიეწერება და ორი ერთმანეთის მომდევნო (Eu 323, Eu 324) აკოლუთიის კუთვნილებათ, ერთი კი იოანე ბერს მიეკუთვნება და გერმანეს აკოლუთიების მომდევნო ნომრით (Eu 325) აღრიცხება ირმოლოგიონის ევსტრატიადისის გამოცემაში. ამრიგად, ამ კანონში გამოყენებული ორი ავტორის ძლისპირები ერთმანეთის მომდევნო სამი აკოლუთიის ძლისპირებია.

შედგენილი კანონები ბერძნულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში ცნობილი და გავრცელებული მოვლენაა, მაგრამ ამ მოვლენის დამაჯერებელი ახსნა ჩვენთვის არ არის ცნობილი. მ. ველიმიროვიჩი მას გვიანდელად მიიჩნევს და ირმოლოგიონის დაშლასა და მის საფუძველზე OdO ირმოლოგიონის წარმოქმნას უკავშირებს. იგი წერს: „იმ დროს, როდესაც შემოვიდა „შედგენილი კანონები“, არაუგვიანეს XIII საუკუნისა, კანონში ყველაზე მეტად პოპულარული ძლისპირების შერჩევით ჩართვის შედეგად აღგილი ჰქონდა კანონის როგორც პოეტური ჟანრის დაშლას“ (გვ. 224).

ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება უძველესი იადგარის მასალა. შედგენილი კანონი უძველეს იადგარში კანონის ყველაზე გავრცელებული ფორმაა, მეტიც, შეიძლება ითქვას, ერთადერთი ფორმა (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზემოთ განხილულ ერთ შემთხვევას ანტონის კანონისა), ამდენად მისი გავრცელება კანონის განვითარების ადრეულ ხანაშია საძებარი. ეს ხანა კი, როგორც ქვემოთა დაინახავთ, უსწრებს ირმოლოგიონის ცალკე კრებულად ჩამოყალიბების ხანას. ამ ბუნდოვანი საკითხის კვლევაში, ვფიქრობთ, შეიძლება სინათლე შეიტანოს როგორც უძველესი იადგარის კანონმა, ასევე ირმოლოგიონის უძველესმა ქართულმა და სლავურმა თარგმანებმა. მაგრამ ეს საკითხი ცალკე შესასწავლია, მისი კვლევა მომავლის საქმეა.

9. უძველესი იადგარის კანონების ძლისპირები 20 სხვადასხვა აკოლუთიის კუთვნილებათ. ამათგან 9 აკოლუთია მიეწერება გერმანეს, 4 — იოანე ბერს, 3 — ანდრია კრიტელს, 1 — იოანე დამასკელს, 1 — კოზმას.

უძველესი იადგარის კანონებში გერმანე პატრიარქისა და ანდრია კრიტელის ძლისპირთა სიმრავლე გვაძლევს უფლებას ისინი იოანე დამასკელზე და კოზმა იერუსალიმელზე უფრო ადრეულად მივიჩნიოთ და დავეთანხმოთ მ. ველიმიროვიჩს, რომელიც VII საუკუნით ფარგლავს გერმანე პატრიარქისა

და ანდრია კრიტელის შემოქმედებითა აქტივობის ხანას⁴⁶⁴. ამავე დროს დავადასტუროთ, რომ ამ ორი ჰიმნოდის შემოქმედება მეტად პოპულარული ყოფილა VII—VIII საუკუნეებში.

უძველესი იადგარის ახალი იადგარული ფენის შემდგენლისათვის, VII ს. სხვა უსახელო ავტორების გვერდით, ძლისპირების ერთ-ერთი წყარო ანდრია და გერმანეს კანონებიც ყოფილა, საიდანაც მიიღო იადგარის კანონმა ძლისპირების ერთი დიდი ნაწილი. რაც შეეხება იოანე ბერს, ვფიქრობთ, რომ წარმოდგენილი ცხრილები საკმარის საფუძველს ქმნის იმისათვის, რომ ექვე შევიტანოთ იოანე ბერისა და იოანე დამასკელის პიროვნებათა იდენტიფიკაციაში და, ისევე როგორც გერმანე პატრიარქი და ანდრია, იოანე ბერი დამასკელის წინამორბედ VII საუკუნის II ნახევრის ჰიმნოდად მივიჩნიოთ. ამრიგად, ექვეს არ უნდა იწვევდეს, რომ უძველესი იადგარის კანონი წინადამასკელისეული ეპოქის კანონია.

10. იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის თითო ძლისპირის მონაწილეობა იადგარის კანონებში უფრო შემთხვევით ხასიათს ატარებს და აგრეთვე ცალკე შესწავლას თხოულობს იადგარის პლასტური ბუნების გათვალისწინებით.

11. მცირე გამონაკლისის გარდა, იადგარის კანონებში ირმოლოგიური ძლისპირების გამოყენება მაინც ეპიზოდურ ხასიათს ატარებს. ერთადერთია შობის კანონი, სადაც კანონის თითქმის ყველა გალობისათვის დაიბეზნა ირმოლოგიური ძლისპირები, რომლებიც ერთ შემდგენელ აკოლუთიას ქმნიან. ის გარემოება, რომ იადგარის კანონებში ჩვენ არ გვაქვს წარმოდგენილი ერთი ავტორის არც ერთი სრული აკოლუთია, ვფიქრობთ, ძლიერი არგუმენტია იმის სასარგებლოდ, რომ ყველა ეს კანონი არის წინადამასკელისეული და წინაირმოლოგიური ხანისა, როდესაც, ჩანს, ძლისპირთა გამოყენება გალობის მომდევნო ტროპარების სტროფ-მოდელად (გარკვეული შეზღუდვით) უკვე სავალდებულო იყო, მაგრამ ამ ძლისპირთა შერჩევა გაპირობებული იყო ძლისპირის პოპულარობით და კანონის შემდგენლის სურვილით.

12. დაბოლოს, იმის კითხვა, შეიძლება თუ არა ძლისპირთა ზემოთჩამოთვლილი ავტორები ამავე დროს კანონების ავტორ-შემდგენლებიც იყვნენ? ვფიქრობთ, კანონთა „შედგენილი ხასიათი“ ამის საშუალებას არ იძლევა.

13. უძველეს იადგარში დადასტურებულ ბერძნულ ძლისპირთა ერთი ნაწილისათვის განსხვავებული თარგმანები აღმოჩნდა ქართულ „ძლისპირთა“ უძველეს რედაქციებში. ერთი და იმავე ბერძნული ძლისპირის განსხვავებული თარგმანების შესწავლამ ცხადყო, რომ სხვადასხვა თვალსაზრისით შესრულებული ეს თარგმანები სხვადასხვა დროის პროდუქტია: უძველესი იადგარის ძლისპირთა მთარგმნელი ცდილობს მიაღწიოს დედანთან მაქსიმალურ შინაარსობლივ სიზუსტეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ძლისპირი ადაპტირებულია დღესასწაულის თემასთან⁴⁶⁵. „ძლისპირთა“ კრებულში შე-

⁴⁶⁴ M. Velimirović, დასახ. შრომა, გვ. 198.

⁴⁶⁵ იადგარში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთიდაიგივე ძლისპირი კანონის გალობებში წარმოდგენილია ავტორისეული ტექსტი და ადაპტირებულიც. უძველესი იადგარისათვის რომ დამახასიათებელია ბერძნული მოდელის უზუსტესი, სიტყვა-სიტყვითი თარგმანები, ეს კარგად ჩანს იადგარების მონოსტროფებისა და სტიქარონების თარგმანებშიც.

სული თარგმანების შემსრულებლები კი მიზნად ისახავენ ბერძნულ მოდელთან სილაბური და რიტმული იდენტურობის მიღწევას.

იადგარის ძლისპირი ვერ გამოდგება გალობის სხვა სტროფებისათვის სილაბურ და რიტმულ მოდელად. არც კანონის შემდგენელს აქვს დასახული მიზნად დაიცვას გალობის პირველ და მომდევნო სტროფებს შორის ზუსტი სილაბური თანათარღობა. თანათარღობა ძალიან მიახლოებითა და რიგ შემთხვევაში სრულიად დარღვეული.

მეორე თარგმანები კი, რომელთაც „მეხურ ძლისპირებს“ ვუწოდებთ⁴⁶⁶, ზუსტად გადმოსცემენ დედნის სილაბიკასა და რიტმულ წყობას, რაც ძლისპირის კილოს ფიქსაციის აუცილებელი პირობაა და ამავე დროს ძლისპირ-ტროპართა რიტმული და მელიოდური შეწყობის საფუძველიც. ცხადია, ამ ძლისპირთა მთარგმნელები განსხვავებულ დამოკიდებულებას ამკლავნებდნენ სათარგმნი მასალისადმი — რიტმული პოეზიის პრინციპებზე აგებულ ავტორიან ძლისპირებისადმი. მაგრამ, იადგარში აღმოჩნდა ერთი ისეთი შემთხვევა, როდესაც ძლისპირის იადგარისეული თარგმანი და მეხური თარგმანი ერთმანეთისაგან არ სხვაობენ. ეს ძლისპირი („შენ, ყოლად ქებულო, უბიწოო ღმრთისმშობელო...“) გამოყენებულია სამი სხვადასხვა კანონის IX გალობის ძლისპირად. ესენია: პეტრე-პავლეს (გვ. 28), ენკენიის (გვ. 294), წმ. გიორგის (გვ. 320) კანონები. სამივე გალობაში ძლისპირსა და ტროპარებს შორის სილაბური თანათარღობა დაცული არ არის, მაგრამ სხვაობა 10 მარცვლის ფარგლებში ტრიალებს. (გამონაკლისია პეტრე-პავლეს გალობის მეოთხე სტროფი, რომელიც მოცულობით წინა სტროფებზე ბევრად დიდია. ამავე დროს, ძლისპირის ბოლო ფრაზეოლოგიური ფორმულა — „გალობით გადიდებთ“ გასდევს რეფრენად სამივე გალობის ყოველ სტროფს. აქაც გამონაკლისია იგივე პეტრე-პავლეს IX გალობის უკანასკნელი სტროფი. ფორმალური თვალსაზრისით IV სტროფი სხვაობს დანარჩენი სტროფებისაგან, სავსებით შესაძლებელია, რომ ეს შემდეგი დროის დანამატი იყოს). ამ ძლისპირის ბერძნული მოდელი არ არის შესული ბერძნული ირმოლოგიონების ფართოდ ცნობილ გამოცემებში. ის აღმოჩნდა მხოლოდ საბაწმიდურ ირმოლოგიონში⁴⁶⁷, რომელიც, მ. ველიმიროვიჩის აზრით, პალესტინურ ტრადიციას ასახავს და ამდენად სხვა ცნობილ ნუსხებზე უფრო ადრეულია⁴⁶⁸.

როგორ უნდა ავხსნათ ის, რომ იადგარში და მეხურ „ძლისპირში“ ამ ძლისპირის ერთი და იგივე თარგმანია შესული? ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია, რომ IX გალობის ეს ძლისპირი, რომელიც ღვთისმშობლისადმი მიმართული, გვიან არის ამ გალობების პირველ სტროფად მიწერილი, რათა ამ გზით IX გალობა ღვთისმშობლის თემას დაკავშირებოდა.

უძველესი იადგარის კანონების უმრავლესობაში IX გალობა თემატურად არ გამოირჩევა დანარჩენი გალობებისაგან და დღესასწაულის შინაარსის გახსნას ემსახურება. ცნობილია, რომ VIII საუკუნიდან IX გალობა ღვთის-

⁴⁶⁶ იხ. ძლისპირნი, გვ. 051—053.

⁴⁶⁷ გ. კიკნაძე, რამდენიმე ძლისპირის წარმომავლობისათვის, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1976, I, გვ. 73.

⁴⁶⁸ M. Velimirović, Byzantine Elements in Early Slavic Chant; M. M. B. IV, 1960. p. 91.

მშობლის თემას მიეძღვნა. ამ თვალსაზრისით, როგორც ჩანს, რევიზია გაუკეთდა უძველეს იადგარს, რის შედეგადაც ზოგიერთი კანონის IX გალობას ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი სტროფი წაიმძღვარა⁴⁶⁹. ეფიქრობთ, რომ ანალოგიურ შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე ზემოთ განხილული სამი კანონის IX გალობაში. საფიქრებელია, რომ ამ სამივე კანონში ერთი რედაქტორის ხელითაა შეტანილი ეს ძლისპირები და ამავე დროს, მომდევნო სტროფებიც რეფრენის საშუალებით დაკავშირებულია ძლისპირთან.

ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი პირველი სტროფები (ძლისპირები) რომ შემდეგაა წამძღვარებული სამივე გალობისათვის იქიდანაც მტკიცდება, რომ სამივე გალობის სტროფები (გარდა პირველისა) დღესასწაულის თემას უკავშირდება და თემატურად საკვებით შეკრულია, პირველი სტროფები კი გალობის მომდევნო სტროფებთან დაკავშირებული არ არის.

მომდევნო თავებში კანონთან დაკავშირებულ რამდენიმე საკითხს ცალკე განვიხილავთ.

„სხუანი“ გალობები უძველეს იადგარში

„სხუანით“ უძველეს იადგარში აღინიშნება ძირითადი პოეტური გალობის მომდევნო სხვა, დამატებითი სტროფები. „სხუანები“ გვხვდება როგორც სტიქარონებთან, ასევე კანონის გალობებთან, ძალიან იშვიათ შემთხვევებში — მონოსტროფებთან⁴⁷⁰.

სლავურ ლიტურგიკულ ძეგლებში ძირითადი გალობის მომდევნო გალობები აღინიშნება ტერმინით „И ныне,“ რაც ბერძნული ანალოგიური ტერმინის «αὐτὴ νῦν»-ის შესატყვისია და ნიშნავს „და აწ“ — ეს შეასრულეთ. ეს ტერმინი იხმარება ბერძნულ ტიპიკონში და სხვა ლიტურგიკულ ძეგლებში. ქართული „სხუაჲ“ ან „სხუანი“ ზუსტი თარგმანია ბერძნული ἐξαρὰ, ἐξαρὰ-ს ან ἀλλοῦ-ის, რომლებიც აგრეთვე იხმარება ბერძნულ ლიტურგიკულ ძეგლებში, ხშირად ირმოლოგიონებში (Εἰς τὸν ἐξαρὰ, Εἰς τὸν ἀλλοῦ)⁴⁷¹.

უძველესი იადგარის კანონების უმრავლესობას „სხუანები“ არა აქვთ. ასეთებია: ხარება, დავით და იაკობის ორსაგალობელი, სტეფანეს ორსაგალობელი, პეტრე-პავლეს სამსაგალობელი, მღვდელთმოდევართა, განცხადების მე-8 დღის კანონი, 28 იანვრის მამათა, 29 იანვრის ჯვრის გამოჩინება, ლაზარობა, 7 მაისის ჯვრის გამოჩინება, 25 ივნისის იოვანეს შობა, მარიამობის IV ხმის, ფერისცვალება, იოვანეს თავის კვეთა, ღვთისმშობლის შობა, 3 ნოემბრის წმ. გიორგის, მთავარანგელოზთა და სულთა კანონები და სხვ.

ზოგიერთი კანონის მხოლოდ უკანასკნელ გალობებს აქვთ „სხუანები“: შობის კანონის VII—IX გალობებს, ანტონის VIII—IX, თევდორობის მხოლოდ VIII გალობას, ორმოცობის VIII—IX გალობებს, VII შაბათის ოთხსაგალობის VII—IX გალობებს, მოციქულთა VIII გალობას, მარიამობის IX გალობას.

⁴⁶⁹ ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით იხ. აქვე, გვ. 830—831.

⁴⁷⁰ იხ. აქვე, გვ. 205. VII პარასკევის იბაკოს ერთის 3 „სხუანი“.

⁴⁷¹ იხ. ძლისპირნი, გვ. 068.

უძველეს იადგარში, როგორც უკვე ითქვა, სულ რამდენიმე შემთხვევა აღმოჩნდა ისეთი, რომ სრული კანონის ყველა გალობას მოსდევს ერთი ან რამდენიმე „სხუანი“ გალობა,⁴⁷² ესენია: განცხადებრს (გვ. 38). მიგებებრს (გვ. 86), ბზობის (გვ. 165), ენკენიის (გვ. 287), 14 სექტემბრის ჯუართა აპურობის კანონებრ (გვ. 287). ამ კანონების „სხუანები“ ქმნიან ძირითადი კანონის გვერდით სრული კანონის მეორე ფენას, რაც გვაფიქრებინებს, რომ აქ „სხუანები“ შემთხვევით თავმოყრილ ცალკეულ გალობებს კი არ წარმოადგენენ, არამედ ერთი თემით შეკრულ სრულ კანონს, რომელსაც იადგარში დამოუკიდებელი კანონის ფუნქცია აკისრია. ასეთი სრული კანონი, როგორც ითქვა, იადგარში მხოლოდ ხუთია და ხუთივე საუფლო დღესასწაულებსა და დიდ დღესასწაულებზე მოდის.

საინტერესო სურათია იმ კანონებში, სადაც „სხუანები“ აქვს კანონის არა ყოველ გალობას, არამედ მხოლოდ რამდენიმეს. ეს რამდენიმე გალობა კი ყოველთვის VII—IX გალობებია, უფრო ხშირად VIII—IX. ეს ორი უკანასკნელი გალობა აუცილებელი კომპონენტია ორ, სამ და ოთხსაგალობლებისა. სხვათა შორის, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იმ კანონებშიც, რომელთა „სხუანები“ სრული კანონის ცალკე ფენას ქმნიან, VIII—IX გალობები წარმოდგენილია არა ერთი „სხუანით“, არამედ 2 ან 3 „სხუანით“. ორივე ეს ფაქტი უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ კანონის უკანასკნელ გალობებს სრული კანონისაგან დამოუკიდებელი არსებობის ასპარეზიც ჰქონიათ. გარდა მარხვისა და განცხადების ზატიკის ორ, სამ და ოთხსაგალობლებისა, ამ ტიპის საგალობლები სხვა დღესასწაულებზეც სრულდებოდა. ორ და სამსაგალობლები (აუცილებელი VIII—IX გალობებით) უფრო ფართოდ ყოფილა გავრცელებული, ვინემ სრული კანონი. „სხუანის“ სრული და არასრული კანონები ერთდროულად არსებობდნენ, თუ კანონის გავრცელების სხვადასხვა ეტაპს ასახვენ, ამაზე რაიმე გარკვეულის თქმის საშუალებას უძველესი იადგარის მასალა არ იძლევა. ერთი კი ამჟამაა, რომ „სხუანებისაგან“ შემდგარი სრული და არასრული კანონები დროის თვალსაზრისით უნდა უსწრებდნენ იმ ძლისპირიან კანონებს, რომელთა „სხუანებსაც“ ისინი წარმოადგენენ.

მას შემდეგ, რაც უძველეს იადგარში ძლისპირიანმა კანონმა დაიკავა წამყვანი ადგილი, „სხუანებმა“ მეორე ადგილზე გადაინაცვლეს და გამოეყვნენ ძირითად გალობებს ტერმინით „სხუანი“.

უძველესი იადგარის კანონთა უმრავლესობა ის ძლისპირიანი კანონებია, რომელთაც არ ახლავთ „სხუანები“. ამ კანონთა ერთი ნაწილი A ხელნაწერის ახალი შევსებაა და ამდენად უძველესი იადგარის ყველაზე გვიანდელი ფენა (იხ. აქვე, გვ. 862—863). ამის ანალოგიით უნდა ვიკარაუდოთ, რომ ამ ჯგუფის დარჩენილი სრული და არასრული კანონები ასევე კანონების ახალ ფენას უნდა წარმოადგენდნენ და ამ დღესასწაულებისათვის ადრე კანონები არ იყო დაწერილი, ამიტომ მათ გალობებს „სხუანების“ ფენა არა აქვთ. მეორე მხრივ, თუ „სხუანების“ მიხედვით ვიმსჯელებთ, ისიც უნდა დავუშვათ, რომ უძველესი იადგარის თავდაპირველ რედაქციაში კალენდარი მეტად შემოფარგლული იყო და ამ შემოფარგლული კალენდრის მხოლოდ ხუთი ზემოთ-

⁴⁷² იხ. აქვე, გვ. 830.

დასახელებული საუფლო და დიდი დღესასწაულების არქაული კანონი შე-
მორჩა უძველეს იადგარს.

ცალკე დგას დიდმარხვისა და განცხადების ზატიკის ორ, სამ და ოთხ-
საგალობელთა საკითხი, რომელთაც უმეტესად არა აქვთ „სსუანები“. ჩვენ
ვეფიქრობთ, რომ ამ მასალას, რომელიც თავიდანვე უნდა ყოფილიყო შეტანი-
ლი უძველეს იადგარში, ცვლილება ან არ განუცდია, ან, თუ განუცდია, მეტად
უმნიშვნელო.

საინტერესო სურათია „სსუანების“ თვალსაზრისით სტიქარონებში. ჩვე-
ულებრივ, თუ კანონის გალობებს იადგარში ახლავთ „სსუანები“, ასევე
„სსუანები“ აქვთ ცისკრისა და მწუხრის სტიქარონებსაც. მაგრამ არის ისეთი
შემთხვევებიც, როდესაც კანონის გალობებს არა აქვთ „სსუანები“, ხოლო
ამავე დღესასწაულის სტიქარონებს კი აქვთ: მაგ. მღვდელთმოდგართა კანო-
ნის გალობებს არა აქვთ „სსუანები“, ხოლო ამავე განგების აქებდითსას კი
4 „სსუანი“ ერთი, ანდა ლაზარობის ორსაგალობელს (გვ. 161) არა აქვს
სსუანები, სტიქარონებს კი აქვთ ორ-ორი „სსუანი“. ხომ არ ნიშნავს ეს იმას,
რომ ამ დღესასწაულებში ახალ პოეტურ ფორმათაგან ჭერ სტიქარონები იქნა
შეტანილი, ხოლო შემდეგ კანონის გალობები? მაშინ ისიც უნდა ვივარაუდოთ,
რომ ძველი სტიქარონი შეიცვალა ახლით კანონის ძლისპირიან გალობების
შემოტანასთან ერთად, რის გამოც სტიქარონებში გაჩნდა ახალი და ძველი
ფენა („სსუანები“). კანონების ანალოგიით ასე უნდა აეხსნათ ამ რიგის დღე-
სასწაულებში „სსუანების“ არსებობის ფაქტი. მაგრამ ამის მტკიცებისათვის
ხელშეახლები საბუთები არ გავაჩნია, პირიქით, ვერ დავიჭირეთ რაიმე
არსებითი განსხვავება ფორმისა და ხასიათის მხრივ მოყვანილ შემთხვევებში
ბირითად და „სსუანი“ სტიქარონებს შორის, იმ დროს, როდესაც ზოგი კანონის
შემთხვევებში ეს ამჟღავნა. ამიტომ ვეფიქრობთ, რომ ყველა „სსუანი“. რო-
მელიც გვხვდება უძველესი იადგარის პოეტურ მასალასთან, არ მიუთითებს
იმავე პოეტური ფორმის უფრო ადრეულ სახეობაზე, რომელიც იადგარის
განვითარების ადრეული საფეხურისათვის იყო დამახასიათებელი⁴⁷³.

დაუპირუნდეთ იმ შემთხვევების განხილვას, როდესაც ძირითადი და „სსუა-
ნი“ გალობანი კანონში არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თუ
რით განსხვავდებიან ისინი, ამაზე უკვე იყო ზემოთ თქმული. აქ გვინდა
შევეხოთ მათ არსებით სხვაობას: ძირითადი გალობისათვის დამახასიათე-
ბელია ძლისპირი, „სსუანი“ — უძლისპირია. წინა თავებში ჩვენ გვექონდა შემ-
თხვევა ადგენიშნა, რომ ძლისპირიანი გალობის პირველი სტროფი რიგ
შემთხვევაში წარმოდგენილია ავტორიანი ძლისპირით. თუ ეს ძლისპირი თა-
ვისი შინაარსით უდგება გალობის თემას, მაშინ ის. ჩვეულებრივ, წარმოდგენი-
ლია სრული სახით და უზუსტესი თარგმანით. — იხ. შობის კანონის I გალობის
(Eu 324d), მეორე გალობის (Eu 323 β'), III გალობის (Eu 323 γ'), VIII გა-
ლობის (Eu 323ჟ) ძლისპირები. თუ იგივე ძლისპირი გამოყენებულია სხვა კა-
ნონისათვისაც, მაშინ ამ ძლისპირის ადაპტაცია ხდება დღესასწაულის თემა-

⁴⁷³ მონოსტროფებთან „სსუანები“ თითქმის არ გვხვდება. ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევა
VII პარასკევის განგება, სადაც ძირითად იბაკოს მოსდევს სამი „სსუანი“ (გვ. 205). აქ „სსუა-
ნებით“ წარმოდგენილია მხოლოდ იბაკოთა რიგი, ვინაიდან იმავე ოთხი იბაკოს დასაწყისები ლექ-
ციონარში ერთად არის მოტანილი (T 703). ანალოგიური შემთხვევები მოიძებნება სტიქარონებ-
შიც და გალობებშიც.

სთან და ავტორიანი ძლისპირის მხოლოდ დასაწყისი ნაწილი რჩება უცვლელი. ასეთივე ვითარებაა უავტორო I სტროფი-მოდელის სხვადასხვა კანონებში გამოყენების შემთხვევებშიც. იქაც უცვლელი რჩება სტროფის დასაწყისი, რომელიც ჩვეულებრივ, ბიბლიური გალობების ტრაფარეტული რეპერტუარიდან აღებული მასალაა.

ამრიგად, ძლისპირები ძლისპირიან გალობებში არ არის გალობის უცვლელი ნაწილი. საჭირო შემთხვევაში ის ადაპტირებულია დღესასწაულთან, იცვლის სილაბიკასაც, მაგრამ ყოველთვის არის პოეტური გალობის ბიბლიურ გალობასთან მკაცვშირებელი პირველი სტროფი. ამრიგად, გალობის I სტროფი იმ შემთხვევაშიც, როცა ის ავტორიანი ძლისპირია ირმოლოგონიდან და იმ შემთხვევაშიც, როდესაც მისი ავტორის დადგენა ვერ ხერხდება, წარმოადგენს ძლისპირს ე. ი. სტროფს, რომელსაც გალობაში ბიბლიურ გალობასთან მკაცვშირების ფუნქცია აქისრია.

ამ ტიპის ძლისპირები ტიპიურია უძველესი იადგარის კანონის ახალი ფენისათვის, რომელსაც ძლისპირიანი კანონი ვუწოდებ უფრო არქაულ უძლისპრო კანონებთან შეპირისპირებით. ამ ტიპის ძლისპირებისათვის არ არის სავალდებულო ზუსტ რიტმულ-მელოდიურ მოდელს წარმოადგენდნენ ტროპარებისათვის.

კანონის განვითარების ამ ეტაპზე ცალკეულ ძლისპირთა არასტაბილური, ცვალებადი ხასიათი იყო, ალბათ, მიზეზი იმისა, რომ კანონთა უდიდესი უმრავლესობა „შედგენილ აკოლუთიაზეა“ აგებული, ერთი და იგივე ძლისპირი გამოყენებულია სხვადასხვა კანონში, ძლისპირთა სხვადასხვა კომბინაციაში. ამ არასტაბილურობის საფუძველი კი ის იყო, რომ კანონის განვითარების ამ ეტაპზე ძლისპირს ევალეზობდა ბიბლიური თემის შეთავსება დღესასწაულის კონკრეტულ შინაარსთან, რაც იწვევდა კონკრეტული შინაარსის მქონე ძლისპირთა გამრავლებას.

თუ რა სახისა იყო ძლისპირის კილო და როგორ წარმართავდა ის გალობის კილოს თავისი ცვალებადი სტრუქტურის გამო, ძნელი წარმოსადგენია. ალბათ, ამ კანონებში გალობა მტკიცე მელოდიური ჩარჩოებით შეზღუდული არ იყო.

უძველესი იადგარის კანონისა და მისი ძლისპირების თვალსაზრისით თუ შევხედავთ მომდევნო პერიოდის საბაწმიდელი ჰიმნოდების კანონსა და ძლისპირებს, შეიძლება უკებ წარმოვიდგინოთ, თუ რა მიმართულებით წარმართა ამ ადრეული კანონის ძლისპირთა და თვით კანონის შემდგომი განვითარება, და რა ხასიათის უნდა ყოფილიყო ის რეფორმა, დამასკელს რომ მიეწერება, რომელმაც შექმნა საფუძველი რიტმული პოეზიის პრინციპებზე დამყარებული ახალი კანონის შექმნისა და საბოლოო გამარჯვებისათვის.

უძველესი იადგარის კანონთან შედარებით საბაწმიდური კანონი (პირობითად ასე ვუწოდებთ იოანე დამასკელის რეფორმის შემდგომი დონედ კანონს) აწესრიგებს ძლისპირ-ტროპართა სილაბურ თანაფარდობას, რაც, თავის მხრივ, ნიშნავდა ძლისპირ-ტროპართა რიტმულ (გარკვეული მნიშვნელობით მეტრულ) მოწესრიგებასაც. ამგვარ კანონს იოანე დამასკელის ცხოვრების ავტორი უწოდებს „კეთილად შეწყობილ გალობას“⁴⁷⁴ ან „ჯეროვნად შეზავე-

⁴⁷⁴ ძლისპირნი, გვ. 042.

ბულ გალობათა მწყობრს⁴⁷⁵, რომელიც დაწერილია „საზომითა მარტულე-დონითა“ და შემკულია კილოებით⁴⁷⁶. მთელი რეფორმა იოანე დამასკელისა იქითკენ იყო მიმართული, რომ შექმნილიყო სილაბურად ისე შეწყობილი და მოწესრიგებული გალობის დასდებლები (სტროფები), რომელთა რიტმული სტრუქტურა ხელს შეუწყობდა დასდებლისათვის კილოს შეწყობას. კილოს შეთხზვა, „ჯეროვნად შეზავებულ დასდებლის“ კილოზე დადება უკვე მელოდოსების (პროფესიონალ-კომპოზიტორების) კომპეტენცია იყო, რომლებიც ხშირად თავის თავზე იღებდნენ რიტმულად სათანადოდ გაწყობილ დასდებლების შეთხზვასაც.

რიტმული პოეზიის პრინციპებზე გაწყობილი კანონთა კილოების ძირითადი რეპერტუარი VII—VIII საუკუნეთა საბაწმიდელ ჰიმნოღებს ეკუთვნით. შემთხვევითი არ არის, რომ იოანე-ზოსიმეს კალენდარში იოანე დამასკელის უდიდეს დამსახურებად მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ ითვლება ის, რომ მან „შეამკუნა წმიდანი ეკლესიანი და ასწავა ერსა გალობაჲს“⁴⁷⁷.

აპრიგად, ახალი, საბაწმიდური კანონის ძლისპირმა ახალი ნიშან-თვისება შეიძინა. ის გახდა გალობისათვის რიტმულ-მელოდიური მოდელი, ამავე დროს მან შეინარჩუნა ბიბლიურ ოდასთან მაკავშირებლის ფუნქციაც. ამ უკანასკნელმა თვისებამ განსაზღვრა ძლისპირების დასაწყისებად ბიბლიური გალობების პოეტური მუხლების გამოყენება. ამავე დროს ახალმა ძლისპირმა დაკარგა უძველესი იადგარისათვის დამახასიათებელი ერთი ძირითადი თვისება — ძლისპირის ტექსტის ადაპტირება დღესასწაულის თემასთან (შინაარსთან). ამით ძლისპირმა დაკარგა კონკრეტული შინაარსი და ზოგად მოდელად იქცა.

ზოგადი შინაარსის მქონე ძლისპირი თავისი რიტმული აგებულებით და შეწყობილი კილოთი საფუძვლად დაედო ახალი ტიპის კანონს. ახალი ტიპის ძლისპირთა რეპერტუარი შემოიფარგლა დიდი ავტორიტეტების ძლისპირებით, რომელთა გამოყენება სავალდებულო გახდა კანონთა მთხვევებისათვის. მაგრამ ნორმატული ძალა ძლისპირმა მიიღო მას შემდეგ, რაც შედგა პირველი ირმოლოგიონი, სადაც თავი მოიყარა დიდი ჰიმნოღების ძლისპირთა აკოლუთიებმა. ძლისპირთა ვრცელი რეპერტუარიდან ირმოლოგიონისათვის შეიჩრა ძლისპირთა ისეთი აკოლუთიები, რომლებიც ზოგად თემებზე იქნებოდა შედგენილი და გამოდგებოდა კონკრეტული დღესასწაულების გალობათა შესადგენადაც. ასეთებია: მაცხოვრის, ამაღლების, ჭვრის, ღვთისმშობლის თემებზე დაწერილი ძლისპირები⁴⁷⁸. ირმოლოგიონის გავრცელების შემდეგ უფრო სტაბილური გახდა კანონის ძლისპირთა აკოლუთია.

რიტმული პოეზიის პირველი ნორმატიული სახელმძღვანელოს — ირ-

⁴⁷⁵ ძლისპირნი, გვ. 043.

⁴⁷⁶ იხ. იქვე.

⁴⁷⁷ Garitte, Calendrier, p. 109.

⁴⁷⁸ ირმოლოგიონის შედგენა და გავრცელება, რა თქმა უნდა, სავსებით ვერ გამოირიცხება ირმოლოგიონის ძლისპირთა გარეშე კანონებისა და სტიქარონების შეთხზვის ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევებში. ასეთი კანონები და სტიქარონები თვითთავაჲ (საკუთარი კილოს მქონე) პოეტურ ნაწარმოებად იწოდებან.

მოლოგიონის ჩამოყალიბების პროცესში დაიკარგა (ირმოლოგიონის მიღმა აღმოჩნდა) მრავალი კონკრეტული შინაარსის ჯველი და ახალი ძლისპირა. ხოლო უძველესი იადგარის ძლისპირიანი კანონები კი, როგორც სრულიად შეუთავსებელნი რიტმული პოეზიის პრინციპებთან, მთლიანად გამოიდევნა საღვთისმსახურო პრაქტიკიდან.

პროცესი უძველესი იადგარის ძლისპირიანი კანონების განდევნისა საღვთისმსახურო პრაქტიკიდან, ჩანს, თანდათან მიმდინარეობდა. ამიტომ დროის გარკვეულ მონაკვეთში, სანამ ძალაში შევიდოდა ირმოლოგიონი, ძველი და ახალი კანონები თანაარსებობდნენ საღვთისმსახურო პრაქტიკაში. ამითვე უნდა აიხსნას უძველესი იადგარის კანონში აქა-იქ იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის ძლისპირების დადასტურება.

X საუკუნის დამდეგიდან ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში უძველესი იადგარი ახალმა იადგარმა შეცვალა, რომელიც ძირითადად ცნობილი საბაწმიდელი მელოდოსების ირმოლოგაური კანონებითაა დაკომპლექტებული. იადგარს ეა ახალი რედაქცია X ს. შესანიშნავი ნუსხებიანა წარმოდგენილი ქართულ ხელნაწერთა სინურ და ადგილობრივ კოლექციებში⁴⁷⁹.

მოკლე ისტორიული ექსკურსის შემდეგ დავუბრუნდეთ კვლავ უძველესი იადგარის კანონს, ამჯერად უძლისპიროს, რომელმაც, ჩვენის ვარაუდით, კანონის არქაული ფორმა შემოგვინახა და რომელიც უძველეს იადგარში „სხუანი“ გალობებით არის წარმოდგენილი.

თუ ჩვენი ვარაუდი მართებულია და უძველესი იადგარის „სხუანი“ გალობების ზემოთ განხილული შემოფარგლული ჯგუფი, სადაც „სხუანები“ სრულ კანონს ქმნიან, უფრო არქაულია, ვინემ ძლისპირიანი გალობები, მაშინ „სხუანებში“ ბიბლიურ გალობებთან კავშირი უფრო მჭიდრო და აშკარა უნდა იყოს, ვინემ ეს არის ძლისპირიანი კანონებში. სინამდვილეში, პირველი სტროფი-მოდელი, რომელსაც ძლისპირიანი გალობაში ბიბლიური გალობისა და დღესასწაულის თემის კავშირის განხორციელება ეკისრება, „სხუანების“ გალობებს არა აქვთ.

მეორე მხრივ, „სხუანების“ არქაულობაზე მიუთითებს მთელი რიგი მონეტები. რაზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი (იხ. გვ. 829): „სხუანებს“ დღესდღეობით არ აღმოაჩნდათ ბერძნული მოდელები არც პოეტურ მონოსტროფებს შორის, არც ბერძნულ ირმოლოგიონში და არც კანონებში⁴⁸⁰. წინადადების გრძელი პერიოდებით, სიუჟეტური თხრობით, წყობითა და ხასიათით „სხუანების“ ტროპარები უფრო მეტ მსგავსებას იჩენენ უძველესი იადგარის ლექციონარისეულ პოეტურ ფენასთან — მონოსტროფებთან, ვინემ იადგარისეულ ძლისპირიანი კანონის გალობებთან. „სხუანის“ I სტროფი თავისუფალია ბიბლიური გალობების სტერეოტიპული ფრაზეოლოგიისაგან, რომელიც ასე დამახასიათებელია ძლისპირიანი გალობებისათვის. განსხვავდება „სხუანი“ ძირითადი გალობისაგან მხატვრულ-სტრუქტურული თავისებურებებითაც. დაბოლოს, „სხუანის“ თითოეული სტროფი უფრო ხშირად დამოუკიდებელი, დასრულებული ხასიათისაა, თითოეული სტროფი ცალკე

⁴⁷⁹ სინურ ხელნაწერთა აღწერილობა, I. გვ. 10.

⁴⁸⁰ ეს დებულება არ ერკველება აღდგომის დასდებლების მასალაზე.

პოეტურ ტროპარად აღიქმება. სტროფები ერთმანეთს უკავშირდებიან რეფრენით.

ჩვენი აზრით, „სხუანი“ გალობების სახით საქმე გვაქვს კანონის განვითარების იმ ეტაპთან, როდესაც პირველი მოდელი-სტროფი ჭერ კიდევ არ იყო გალობის აუცილებელი ელემენტი. ეს ის ეტაპია, როდესაც პოეტური ტროპარები უშუალოდ ერთვოდნენ ბიბლიური გალობების მუხლებს და ჭერ ცალკე, დამოუკიდებელ გალობებად არ იყვნენ გამოყოფილი. ე. ი. ამ შემთხვევაში პოეტური სტროფების კავშირი ბიბლიურ გალობასთან პირდაპირი და უშუალოა, ვინაიდან ყოველი ტროპარი ერთვის ბიბლიური გალობის გარკვეულ მუხლს, როგორც ეს არის ანდრია კრიტელის „დიდ კანონში“. მაგრამ ანდრიას კანონისაგან განსხვავებით, უძველესი იადგარის „სხუანი“ გალობებში პოეტური სტროფები შემოფარგლულია (უმრავლეს შემთხვევაში გალობა შეიცავს 3 სტროფს) და, ალბათ, ამასთან ერთად შემოიფარგლა ბიბლიური გალობების იმ მუხლების რეპერტუარით, რომელთაც ერთვოდა პოეტური ტროპარები. ამდენად, ბიბლიურ გალობათა მასალა ის უცვლელი ელემენტია, რომელსაც ერთვოდა ცვალებადი პოეტური მასალა — პოეტური ტროპარი. უძველესმა იადგარმა შემოგვინახა ბიბლიური კანონის მხოლოდ ცვალებადი ელემენტი. უცვლელი ელემენტი, ალბათ, ცნობილი იყო და ამდენად არც იწერებოდა⁴⁸¹.

ჩვენ არ გამოვრიცხავთ შესაძლებლობას, რომ უძველესი იადგარის თავდაპირველი რედაქცია სწორედ ასეთი კანონებით თუ ორსაგალობლებით იყო დაკომპლექტებული, მაგრამ მათი რაოდენობა მცირე იყო, ვინაიდან შემოფარგლული იყო ამ იადგარის კალენდარით. როგორც ზემოთ ითქვა, „სხუანებისაგან“ შემდგარი სრული კანონები უძველეს იადგარში მხოლოდ ზეთ-დღესასწაულს (საუფლოსა და დიდს) აღმოაჩნდა.

დროთა ვითარებაში, როგორც ჩანს, ბიბლიური გალობების ტექსტების მოცულობა კანონში თანდათან შემცირდა და დაყვანილ იქნა ტექსტების დასაწყისების შემოფარგლულ რეპერტუარამდე, რომლებიც ამ სახით უკვე უერთდებოდნენ გალობის ყოველ პოეტურ ტროპარს დასაწყისის სახით. ეს, ჩვენი ფიქრით, ბიბლიური გალობის განვითარების უფრო გვიანდელი საფეხურია. შესაძლოა, განვითარების სწორედ ამ საფეხურზე გაჩერდა უძველესი იადგარის კანონის მეორე გალობათა ერთი დიდი ნაწილი, სადაც ყოველი სტროფი იწყება ბიბლიური სტერეოტიპული ფრაზით. სულ ათიოდე ამგვარი სტერეოტიპული დასაწყისი, II გალობაში გარკვეული თანმიმდევრობით განლაგებული, წარმოადგენს იმ ჩონჩხს, რომელზედაც აგებულია უძველესი იადგარის კანონის II გალობის პოეტური ტექსტები⁴⁸². იადგარის კანონის II გალობა განსხვავდება დანარჩენი გალობებისაგან (ამის ახსნა, ალბათ, ამ გალობის განსაკუთრებულ ისტორიაში უნდა ვეძებოთ); სადაც ბიბლიურ გალობებთან კავშირი უკვე დაკისრებული აქვს მხოლოდ პირველ სტროფს, რომელიც უკვე ძლისპირის ფუნქციას ასრულებს, რითაც ის სტროფი-მოდელის თვისებებს იძენს. ეს კი უკანასკნელი საფეხურია უძველესი იადგარის კა-

⁴⁸¹ ანალოგიურ პროცესს ადასტურებს პ. ლეები ქართული ლექციონარის მონოსტროფებში. იხ. L e e b, Die Gesänge, S. 41.

⁴⁸² იხ. აქვე, გვ. 856—858.

ნონის განვითარებაშიც. ეს უკვე ძლისპირიანი გალობაა, რომლის ჩამოყალიბება უნდა ვივარაუდოთ VII საუკუნის II ნახევარსა და VIII საუკუნის დამდეგს.

ღვთისმსახურებაში ძლისპირიანი კანონის შემოტანამ მოითხოვა ამ თვალსაზრისით უძველესი იადგარის პოეტური მასალის რევიზია და არქაული სრული და არასრული კანონების შეცვლა ძლისპირიანი კანონებით. მაგრამ ძველი პოეტური ტროპარები, რომლებიც, ალბათ, ფართოდ იყო გავრცელებული პალესტინურ ღვთისმსახურებაში, მონასტრებსა და ეკლესიებში, უძველესმა იადგარმა მაინც შეინარჩუნა ბიბლიური გალობებისაგან გამოცალკევებული პოეტური ტროპარების სახით, როგორც ძირითად ძლისპირიან გალობებზე დართული მეორე ფენა.

ასე წარმოგვიდგება უძველესი იადგარის პოეტური მასალის ანალიზის საფუძველზე პოეტური კანონის განვითარების საფეხურები. ეს ეტაპები კანონს უნდა გაველო, პირველ რიგში, ბერძნულ სინამდვილეში და ასახულიყო ბერძნულსავე „ტროპოლოგიონებში“. მაგრამ, სამწუხაროდ, ბერძნული კანონის განვითარების წარმოდგენილი სურათის შემოწმება ბერძნულივე წყაროებით შეუძლებელია იმის გამო, რომ უძველესი იადგარის ბერძნულ მოდელს ჩვენამდე არ მოუღწევია. მაგრამ ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ ბერძნული ლიტურგიკული ძეგლების შემდგომი შესწავლა თანდათან წარმოაჩენს მასალას ამ ვარაუდის შემოწმებისათვის.

ძლისპირთა აკოლუთია უძველეს იადგარში

ზემოთ მოტანილი კანონთა ავტორიანი ძლისპირების ცხრილიდან⁴⁸³ აშკარად გამოჩნდა: 1. კანონში ირმოლოგიური ძლისპირები არ ქმნიან სრულ აკოლუთიას. 2. ირმოლოგიური ძლისპირების გვერდით კანონებში გალობების ძლისპირებად არის ისეთებიც, რომელთა ბერძნული მოდელები ვერ დაიძებნა, საფიქრებელია, რომ ისინი ეკუთვნიან ამ კანონების VII—VIII საუკუნეების ავტორებს. ამ ძლისპირების დასაწყისებია ბიბლიურ გალობათა ტრაფარეტული ფრაზები. 3. ერთი კანონის ძლისპირთა აკოლუთია იმავე შემადგენლობით არ მეორდება სხვა კანონებში.

უძველესი იადგარი არ იცნობს ძლისპირთა მყარ აკოლუთიას. გამონაკლისია ერთი შემთხვევა, რომელიც გვინდა ცალკე განვიხილოთ: უძველესი იადგარის 3 კანონის (14 სექტემბრის ჯვართა აპრობის, ამაღლებისა და ანტონის) ძლისპირთა აკოლუთიები. ვნახოთ რა თავისებურებებით ხასიათდება ამ კანონთა ძლისპირები და ძლისპირთა აკოლუთიები.

⁴⁸³ იხ. აქვე, გვ. 836—840.

ჯვართა აპურობის (გვ. 299)	ამიღლების (გვ. 238)	ანტონის (გვ. 74)
<p>უგალობდითსა კად რომელმან აღმომიყვანა ჩუენ ბქე- თაგან სიკუდილისათა, უგალობდეთ ქრისტესა, ჩამეთუ დიდებით დიდებულ არს უკუნისამდე. Eu 145 ა', იოანე დამასკელი</p>	<p>უგალობდითსა კად რომელმან აღმომიყვანა ჩუენ ბქე- თაგან სიკუდილისათა, უგალობდეთ ქრისტესა, ჩამეთუ დიდებით დიდებულ არს უკუნისამდე. Eu 145 ჯ, იოანე დამასკელი</p>	<p>უგალობდითსა კად განმტყიცებულთა მარხეთა ღირსთა მამათა მოთმინებითა სძლეს ენებათა და ქრისტეს სიკუდილი კორციითა მკენდ, დაუცხრომელად თავთა თუისთა აქუნდა და გლობით დაღაღებდეს, ჩამეთუ დიდებით დიდებულ არს.</p>
<p>მოიხილესა მოიხილე, მალალო, წყ...</p>	<p>მოიხილესა მიეცით, ერნო, დიდება ქრისტესა, ღმერთსა ჩუენსა, რომელი ამალდა კორციითა დიდებით ზეცად.</p>	<p>მოიხილესა იხილეთ, იხილეთ, ჩამეთუ ქრისტემან, ღმერთმან ჩუენმან, წმიდათა მამათა სასუფეველი მინიჭა.</p>
<p>განძლიერდასა უფლისა მიერ ღმრთისა ჩემისა გან- ძლიერდა გული ჩემი, ჩამეთუ უძ- ლურთა შეიმოსეს ძალი. Eu 146 ყ', გერმანე პატრიარქი</p>	<p>განძლიერდასა უფლისა მიერ ღმრთისა ჩემისა გან- ძლიერდა გული ჩემი, ჩამეთუ ამალდე- ბითა მისითა სასუფეველსა ღირს ვიქ- მნენით⁴⁸⁴. Eu 146 ყ', გერმანე პატრიარქი (აღაბტ).</p>	<p>განძლიერდასა უფლისა მიერ ღმრთისა ჩემისა გან- ძლიერდა გული ჩემი, ჩამეთუ ღირსთა მამათა შეიმოსეს ძალი. Eu 146 ყ', გერმანე პატრიარქი. (აღაბტ.)</p>
<p>ორ მესმასა მესმა სმენაჲ შენი, უფალო, ჩამეთუ</p>	<p>ორ მესმასა მესმა სმენაჲ შენი, უფალო, ჩამეთუ</p>	<p>ორ მესმასა მესმა სმენაჲ შენი, უფალო, ჩამეთუ</p>

⁴⁸⁴ აღაბტორებულთა ქლისპირთა საიებლებში არ არის ასახული.

ჭართა აპყრობის (გვ. 299)	ამაღლების (გვ. 238)	აბტონის (გვ. 74)
<p>ამაღლდი ჭურასა ზედა და ვადიდებთ ძალსა შენსა.</p> <p>ღამითგანსა რომელმან გამოაბრწყინე ნათელი და განათლუ ცისკარი და გამოაბრწყინე დღე, დიდებაჲ, დიდებაჲ შენდა, იესუ, ძეო ღმრთისაო.</p> <p>Eu 146 წ', გერმანე პატრიარქი.</p> <p>ღაღაჯავსა სირღმესა ცოდვთა ჩემთასა შთავრდომილ ვარ და ვლადებ: უფალო, უფალო, შემეწიე მე (აღმომიყვანე C).</p> <p>კურთხეულარსა რომელი მთასა ზედა მოსეს თანა ზრახვედი და სახეც ქალ.</p> <p>Eu 146 წ', გერმანე პატრიარქი</p>	<p>ამაღლდი ზეცად და ვადიდებთ ძალსა შენსა.</p> <p>ღამითგანსა რომელმან გამოაბრწყინე ნათელი შენითა ამაღლებითა სოფელსა, მაცხოვარ, აცხოვენე სულნი ჩუენნი, იესუ, ძეო ღმრთისაო.</p> <p>Eu 146 წ'. გერმანე პატრიარქი, ადაპტირებულ. ძლისპირის მხოლოდ დასაწყისთა.</p> <p>ღაღაჯავსა სირღმესა ცოდვთა ჩემთასა შთავრდომილ ვარ და ვლადებ: უფალო, უფალო, აღმომიყვანე.</p> <p>კურთხეულარსა რომელი მთასა ზედა მოწიფეთა თანა ზრახვედი და კორცითა ზეცს ამაღლდი, კურთხეულ ხარ შენ, უფალო, ღმერთო მამათა ჩუენთაო.</p> <p>Eu 146 წ'. გერმანე პატრიარქი (ილაპტ).</p>	<p>გამოსჩინდი ქუეყანასა და ვადიდებთ ძალსა შენსა.</p> <p>ღამითგანსა რომელმან გამოაბრწყინე ნათელი ცისკარი და გამოაჩინე დღეჲ, მეოხებითა ღირსთა შენთათა აცხოვენ სულნი ჩუენნი, იესუ, ძეო ღმრთისაო.</p> <p>Eu 146 წ'. ამ ძლისპირისათვის გამოყენებულთა როგორც ჭვართა აპყრობის, ასევე ამაღლებების ძლისპირები.</p> <p>ღაღაჯავსა სირღმესა ცოდვთა.</p> <p>კურთხეულარსა რომელი მთასა ზედა მოსეს თანა. Eu 146 წ' გერმანე.</p>

ჯვართა აპყრობის (გვ. 299)	ამაღლებს (გვ. 238)	ანტონის (გვ. 74)
<p>აკურთხევედითსა ყოველნი საქმენი ღმრთისანი და ყოველი დაბადებული აკურთხევედით უფალსა.</p> <p>ადიდებდითსა შენ, ნათლისა დე⁴⁸⁵</p>	<p>აკურთხევედითსა მეუფეჲ ქრისტე, რომელსა კელადე-ბად ვერ შეუძლეს საღმრთათა სიკუდილისათა, არამედ მის თანასაფლავთან განადგვინა მკუდარნი. ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა უგალობდით და უფროასად ამაღლებდით მას უკუნისამდე.</p> <p>ადიდებდითსა შენ, ნათლისა დედასა და ქალწულსა, ღმრთისმშობელო, დაუცხრომელად გადიდებთ.</p>	<p>აკურთხევედითსა ყოველნი საქმენი ღმრთისანი და ყოველი დაბადებული აკურთხევედით უფალსა.</p> <p>ადიდებდითსა ვადიდებდეთ ყოველნი ქ.</p>

⁴⁸⁵ ასტყვრივ ამაზე მიწერილია: „ყოველნი თომნი ქუეჲ“ (Fu 14 მ). გამოცემაჲ ეს მინაწერი შეტანილია IX გვლის I სტროფად, სინამდვილეში ქობისპირთა „შენ, ნათლისა დე“, რომელსაც ასევე ქობისპირთა ამადლებსი კანონში.

ამ სამი კანონის ძლისპირთა შედარებამ შემდეგი სურათი წარმოაჩინა:

1. ჭვართა აპყრობისა და ამაღლების კანონებში უგალობდითსას ძლისპირია იოანე დამასკელის ძლისპირი (Eu 145 ა'). ანტონის კანონში სხვა ძლისპირია, შინაარსობლივ წმ. მამების თემასთან შეთანხმებული. რეფრენი სამივე კანონის ძლისპირში ერთია.

2. მოიხილესას ძლისპირები სამივე კანონში სხვადასხვაა. ჭვართა აპყრობის ძლისპირი დასაწყისით არის წარმოდგენილი, დანარჩენი ძლისპირები დღესასწაულთა შინაარსთან არიან დაკავშირებული. ეს ძლისპირები არ მეორდება იადგარის სხვა კანონებში.

3. განძლიერდასას ძლისპირად სამივე კანონში გამოყენებულია გერმანე პატრიარქის ძლისპირი Eu 146 ყ'. ჭვართა აპყრობის ძლისპირი ზუსტი თარგმანია ბერძნული მოდელისა. ამაღლებისა და ანტონის ძლისპირები მხოლოდ დასაწყისებით ხვდება გერმანე პატრიარქის ძლისპირს, ძლისპირის მეორე ნახევარი ორივე შემთხვევაში შეცვლილია და შეთანხმებულია დღესასწაულის თემასთან.

4. ო-ო მ-მასას ძლისპირები სამივე კანონში ბიბლიური გალობის მუხლით („უფალო, მესმა სმენაჲ შენი...“ ამბაკ. 3,2) იწყება. ძლისპირთა მეორე ნაწილი პირველ ორ კანონში გალობის შინაარსთან არის შეთანხმებული, მესამე ძლისპირი მხოლოდ დასაწყისით არის მოტანილი.

5. ღამითგანსას ძლისპირად სამივე კანონში გამოყენებულია გერმანე პატრიარქის ძლისპირი (Eu 146 ჰ'). ჭვართა აპყრობის ძლისპირი ბერძნული მოდელის ზუტი თარგმანია. ამაღლებისა და ანტონის კანონებში ძლისპირები შეთანხმებულია დღესასწაულის შინაარსთან, ამავე დროს, ანტონის კანონის ძლისპირი წარმოადგენს წინა ორი ძლისპირის კონტრამიციას: დასაწყისით მისდევს ჭვართა აპყრობის ძლისპირს, მეორე ნაწილით—ამაღლების ძლისპირს.

6. ღაღადყავსას სამივე კანონს ერთი და იგივე ძლისპირი აქვს. ჭვართა აპყრობისა და ამაღლების გალობებში ძლისპირთა სრული ტექსტებია მოტანილი, ანტონის გალობაში—მხოლოდ დასაწყისი. ამ ძლისპირის ბერძნული მოდელი ვერ დაიძებნა.

7. სამივე კანონს კურთხეულარსას ძლისპირად აქვს გერმანეს ძლისპირი Eu 146 ლ'. ჭვართა აპყრობისა და ანტონის კანონებში ძლისპირის დასაწყისებია მოტანილი. ამღლების კანონში იგივე ძლისპირი ადაპტირებულია დღესასწაულის შინაარსთან.

8. სამივე კანონში აკურთხევდითსას ძლისპირებისათვის საფუძვლად აღებულია გერმანეს ძლისპირი (Eu 146 მ'), ოღონდ ჭვართა აპყრობისა და ამაღლებისათვის ძლისპირებად გამოყენებულია გერმანეს ძლისპირის მხოლოდ რეფრენი (რომელიც, თავის მხრივ, ბიბლიური ოდის პარაფრაზია), ხოლო ამაღლების ძლისპირად მოტანილია გერმანეს ძლისპირის დასაწყისი (Τὸν βρασίδα Χριστοῦ—მეუფეჲ ქრისტე) და დასასრული (რეფრენი), შუა ნაწილი კი ამაღლების დღესასწაულის შინაარსს გადმოსცემს.

9. ჭვართა აპყრობისა და ამაღლების გალობებს ადიდებდიფსას გალობაში ერთი ძლისპირი აქვთ, ანტონის გალობას კი—სხვა. ვერც ერთს ვერ დაეძებნა ბერძნული მოდელი. ჭვართა აპყრობის ძლისპირის გასწვრივ, ამიაზე, ტექსტის ხელით მიწერილია სხვა ძლისპირის დასაწყისი: „ყოველნი ტომნი ქუეჟა“. რომელიც იოანე ბერის ძლისპირის (Eu 141 შ') თარგმანს წარმოადგენს.

ეს ძლისპირი შემდეგ არის მიწერილი კიდეზე. მისი ქართული თარგმანი შესულია ძლისპირთა ძველ რედაქციაშიც („ძლისპირნი“, № 221).

ამრიგად, სამივე კანონი ძლისპირების ძირითადად ერთი და იმავე რეპერტუარით სარგებლობს. ცხრა გლობიდან ოთხისათვის (III, V, VII, VIII) გამოყენებულია გერმანე პატრიარქის ძლისპირები (Eu 146). პირველი გლობისათვის ჯერისა და ამაღლების კანონებში გამოყენებულია დამასკელის ძლისპირი (Eu 145). ეს ძლისპირები ზოგჯერ მოტანილია სრული სახით, ზოგჯერ—მხოლოდ დასაწყისით, ზოგჯერ კი კანონის თემასთანაა შეწყობილი. ძლისპირთა ზუსტი თარგმანები გვხვდება ჯვართა აპყრობის კანონში. დანარჩენ ორ კანონში გერმანეს ძლისპირები მეტწილად ადაპტირებულია დღესასწაულის შინაარსთან.

სამივე კანონში ძლისპირები შინაარსობლივად შეწყობილია დღესასწაულის თემასთან და მათ შორის განსხვავებაც ამით არის გამოწვეული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ კანონების შედგენის დროისათვის სავალდებულო იყო ძლისპირის შინაარსობლივი კავშირი გლობასთან. ე. ი. იადგარის კანონების შედგენის დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო კანონიზირებული ძლისპირთა ფუნქციები და მისი, როგორც რიტმულ-მელოდიური მოდელის, მნიშვნელობა გლობისათვის. ეს მოხდა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც შეიქმნა ირმოლოგიონი, იქამდე კი უძველეს კანონთა მთხვევლები ძალზე თავისუფლად ექცეოდნენ გლობის სილაბიკას, რიტმიკას, ცალკე ძლისპირებს და ძლისპირთა აკოლუთიებს.

უძველესი იადგარის კანონებისათვის არ არის დამახასიათებელი ძლისპირთა მყარი აკოლუთია. სხვადასხვა კანონებში ძლისპირთა მსგავსება მხოლოდ იმით უნდა აიხსნას, რომ ამ კანონებმა ერთი რედაქტორის ხელში გაიარეს. ამ კერძო შემთხვევაში კი რედაქტორ-შემდგენელს ჯვართა აპყრობის კანონი მოდელად ჰქონდა დანარჩენი ორისათვის.

II გლობა უძველესი იადგარის კანონში

ზემოთ განხილულ სამ კანონში მსგავსი აღმოჩნდა არა მარტო ძლისპირთა აკოლუთიები, არამედ რამდენიმე შემთხვევაში გლობათა სტროფებიც. როგორც უკვე ითქვა, სამივე კანონში მოიხილესას განსხვავებული ძლისპირები აქვს, მაგრამ ძლისპირის მომდევნო სტროფების დასაწყისები ერთნაირია. ერთნაირია ზოგჯერ მსგავსი დასაწყისების მქონე სტროფთა თანმიმდევრობა გლობაში.

ჯვართა აპყრობა

1. მოიხილე, მაღალო, წყ.

2. დაგუიცივენ შენნი მოსავნი; ღმერთო.

3. მართალ და წმიდა არს უფალი.

ამაღლება

1. მიეცით, ერნო, დიდება ქრისტესა.

2. დაგუიცივენ ჩუენ, ქრისტე, შენნი მოსავნი.

3. მართალ და წმიდა არს უფალი.

ანტონის ხსენება

1. იხილეთ, იხილეთ, რამეთუ ქრისტემან.

2. დიდებაა შენდა, დიდებაა შენდა, უფალი.

3. მიეცით, ერნო, დიდება ქრისტესა (B).

4. დიდებაჲ შენდა,
დიდებაჲ შენდა, მეუ-
ფეო დიდებისაო.
(გვ. 300).

4. დიდებაჲ შენდა,
დიდებაჲ შენდა, მე-
უფეო დიდებისაო.

4. დამიკვენ შენნი-
მოსავნი მეოხებითა.

5. იხილეთ, იხილეთ,
რამეთუ ღმერთი (B).
(გვ. 239).

5. მართალ და წმიდა.
არს ღმერთი (B).
(გვ. 74).

ჯვართა აპყრობისა და ამალლების კანონების მეორე გლობაში ძლისპირის მომდევნო სტროფების თანმიმდევრობა სამი სტროფის ზარგლებში ერთნაირია. ანტონის კანონში ტროპართა ეს თანმიმდევრობა დაცული არ არის, მაგრამ შემადგენლობა ტროპარებისა იგივეა, რაც წინა ორში.

ამრიგად, ამ სამი კანონის მეორე გლობაში გამოიყო ძლისპირთა მომდევნო საერთო დასაწყისების მქონე ტროპარები:

1. იხილეთ, იხილეთ, რამეთუ ქრისტემან (ამალება, ანტონი).
2. დაგუიკვენ შენნი მოსავნი, ღმერთო (სამივეში).
3. მართალ და წმიდა არს უფალი (სამივეში).
4. დიდებაჲ შენდა, დიდებაჲ შენდა, უფალო (სამივეში).

ამ გლობებში ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება: თუ A ხელნაწერს მოტანილი 4 დასაწყისიდან რომელიმე აკლია, ის B ხელნაწერშია შეტანილი (იხ. ამალლების V სტროფი და ანტონის III და V სტროფები). სტროფთა სტერეოტიპული დასაწყისები II ბიბლიური გლობიდან არის აღებული. ისინი ქმნიან შემოფარგლულ რეპერტუარს ამ დასაწყისებისა.

იადგარის დანარჩენი კანონების II გლობათა შესწავლამ ამავე თვალსაზრისით დაგვარწმუნა, რომ ეს თავისებურება ახასიათებს არა მარტო ზემოთ განხილული სამი კანონის, არამედ თითქმის ყველა კანონის II გლობას⁴⁸⁶ მეტნაკლებად. ამ გლობათა სტროფების დასაწყისებად გამოყენებულია ათიოდე სტერეოტიპული დასაწყისი, რომელიც ძირითადად ბიბლიური მეორე გლობიდან მომდინარეობს. დაახლოებით ასეთსავე სურათს გვაძლევს აღდგომის დასდებლების კანონის მეორე გლობაც.

მთელი იადგარის მანძილზე სულ რამდენიმე შემთხვევა დავადასტურეთ ისეთი, როდესაც II გლობისათვის არ არის გამოყენებული სტერეოტიპული დასაწყისების სტანდარტული რეპერტუარი, ესენია: მამათა, მარხვის VII სამშაბათის „სხუანი“, ახალკვირიაკე, მარიაშობა IV, ჯვართა აპყრობის I და II „სხუანები“. საყურადღებოა, რომ დასახელებულ შემთხვევებში ექვსიდან სამი შოდის „სხუანებზე“.

II გლობის სტროფთა შორის აღმოჩნდა რამდენიმე ავტორიანი ძლისპირი, ასეთებია: „იხილეთ, იხილეთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი თქუენი, რომელი პირველ საუკუნეთა მამისაგან...“ შობა (Eu 323 β', გერმანე); „მოიხილე, ცაო,

⁴⁸⁶ იხ. კანონები: შობის, მღვდელთმოდგართა, ვანცხადების, ვანცხადების „სხუანის“, ვანცხადების მე-8 დღის, ანტონის, მიგებების, თედორე წმინდის, ორმოცობის, ბზობის „სხუანი“, VII სამშაბათის, ამალლების, მარტვილის, იოანეს შობის, მოციქულთა, ფერისცვალების, მარიაშობის, იოანეს თავის კეთის, ღვთისშობლის შობის, ენკენის, ენკენის „სხუანის“, ჯვართა აპყრობის, მთავარანგელოზთა და სულთა.

და ვიტყოდით და უფროასად უგალობდეთ ღმერთსა...“ (მღვდელთმომღვართა, Eu 24 β' Ἐξαρῶ, ნიკიფორე, დიდი ეკლესიის დიაკვანი); „მოიხილე, ცაო, და ვიტყოდით და უფროასად უგალობდეთ ქრისტესა მეუფესა...“ (ორმოცობა, Eu 110 β', გერმანე). სამივე ძლისპირის დასაწყისის ბიბლიური II გალობიდან არის აღებული.

ამრიგად, კანონის სხვა გალობებისაგან განსხვავებით, II გალობას თავისებური აგებულება აქვს. ამ გალობის ყოველი სტროფი იწყება ბიბლიური II გალობის სტერეოტიპული პარაფრაზებით, რომელთა რეპერტუარი შემოფარგლულია.

ამ რეპერტუარიდან ამოკრეფილი პარაფრაზების გარკვეული რაოდენობა, განლაგებული გარკვეული თანმიმდევრობით, შეწყობილი დღესასწაულის თემასთან ქმნის II გალობის ტრაფარეტს, რომელიც სავალდებულოა იადგარის თითქმის ყველა კანონის II გალობისათვის. ეს ტრაფარეტი ის აუცილებელი საფუძველია, რომლითაც იკვრება კავშირი ბიბლიურ და პოეტურ II გალობებს შორის.

უძველესი იადგარის კანონებში მეორე გალობის არსებობა და ამ გალობის შედგენის გამორჩეული წესი, მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, საინტერესო მასალას აწვდის მკვლევარს კანონის II გალობის საკამათო პრობლემის შესწავლისათვის. ამჭერად შევეცადეთ მხოლოდ ზოგადად წარმოგვეჩინა, თუ რა სურათია ამ მხრივ უძველეს იადგარში, ხოლო კვლევის და კვალითიკაციისაგან თავი შევიკავეთ, ვინაიდან II გალობის პრობლემის შესწავლა-გადაწყვეტისათვის არანაკლებ საინტერესო მასალას შეიცავს X საუკუნის II ნახევრის ქართული იადგარები. ამიტომ ეს პრობლემა შესწავლილი უნდა იქნეს ძველი და ახალი (X საუკ. II ნახევრის) იადგარების ერთობლივ მასალაზე. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ უძველესი იადგარი და იადგარის შემდგომი რედაქციები კანონის განვითარების ერთმანეთის მომდევნო საფეხურებს ასახავენ⁴⁸⁷.

უძველესი იადგარის IX გალობა

იმ ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებამ, რომლებიც იადგარის კანონში გამოვლინდა, იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ წინადამასკელისეულმა არქაულმა კანონმა, რომლითაც ძირითადად დაკომპლექტებულია იადგარი, დროთა ვითარებაში განიცადა ახალი მოთხოვნილებების შესაბამისად სხვადასხვა სახის და მოცულობის მორდიტიკაცია⁴⁸⁸. ეს ცვლილებები შეეხო ძლისპირტროპართა მიმართებას გალობაში, კანონის IX გალობის შინაარსს, ღვთისმშობლის ტროპარებს გალობებში, კანონის II გალობას.

გვინდა შევეხოთ კანონის IX გალობის შინაარსს და ღვთისმშობლის ტროპართა ადგილს გალობაში.

იოანე დამასკელის დროიდან კანონის IX გალობა (ადიდებდითსა) ღვთისმშობლის თემას ეძღვნება. ეს ცვლილება, შეტანილი IX გალობის შინაარსში,

⁴⁸⁷ იხ. აგრეთვე „სხუანი“ გალობები უძველეს იადგარში, გვ. 844—851.

⁴⁸⁸ წინადამასკელისეული არქაული კანონის გავრცელების დრო არ იფარგლება VII საუკუნით, ვინაიდან არქაული კანონი, როგორც ჩანს, ერთხანს გავრცელებული იყო რიტმული ზეზის პრინციპებზე აგებული ახალი ტიპის კანონის შემოღების შემდეგაც.

დაკავშირებული იყო აღმოსავლეთის ეკლესიაში ღვთისმშობლის კულტის გაძლიერებასთან⁴⁸⁹.

უძველესი იადგარის კანონებში IX გალობის რამდენიმე სახეობა შეიძლება გამოვეყოთ:

1. მეცხრე გალობა, რომელიც შინაარსობლივ დაკავშირებულია კანონის თემასთან და არ იცნობს ღვთისმშობლის მოტივს (იხ. გვ. 22, 58, 62, 63, 64, 83, 141).

II. მეცხრე გალობა, რომელსაც I სტროფად წაძღვარებული აქვს ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი სტროფი, დანარჩენი სტროფები კი ღღესასწაულის თემას პასუხობენ:

„დიდებულ ღმრთისმშობელო, რომელმან შეე სიტყუა ღმრთისა...“ განცხადების ზატიკის მერვე დღე“ (გვ. 71, 24).

„ვადიდებთ ყოველნი ქ...“ (ღ). ანტონისი (გვ. 76, 35). მეორდება აღდგომის დასდებლებში (გვ. 433, 15).

„შენ, ღრუბელი ნათლისა, ქერობინთა საყდართა უმეტესად გამოსჩნდი...“ მიგებება (გვ. 93, 23).

„ვადიდებთ შენ, ქალწ“ (ღ). თევდორე წმიდისა (გვ. 112, 18). მეორდება აღდგომის დასდებლებში (გვ. 394, 34).

„ვადიდებთ შენ, უხრწნელო ქალწულო...“ ლაზარესი (გვ. 162, 18).

„მთისაგან სამოთხისა ლოდი სარწმუნოებისა გამოისახე ქალწულისაგან...“ მეშიდე სამშაბათი (გვ. 181, 26).

„ვადიდებთ შენ, ზეცისა სხალსა...“ მეშიდე ოთხშაბათი (გვ. 184,5).

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც IX გალობის პირველი ტროპარი ავტორიანი ძლისპირია.

1. „შენ, რომელი გიხილა ბქედ“ (ღ). სტეფანესი (გვ. 25, 18). Eu 22, I იოანე ბერი. ეს ძლისპირი სრული სახით შესულია აღდგომის დასდებლებშიც (გვ. 378, 28).

2. „ვადიდებდეთ ყოველნი კაცთმოყუარებასა შენსა“. ლაზარესი (გვ. 162, 21) Eu 146, IV გერმანე.

3. „შენ, ღელასა ნათლისასა“ (ღ). VII ხუთშაბათი (გვ. 186, 13). Eu 112, III გერმანე. მეორდება მარიაშობის IX გალობაში (გვ. 269, 2) და აღდგომის დასდებლებში (გვ. 412, 34).

4. „ქალწულება შენი, ღმრთისმშობელო“. მხოლოდ BC-ში, VII პარასკევი (გვ. 197, 33). Eu 60, II ანდრია კრიტელი. მეორდება მოციქულთა კანონში (გვ. 258, 32).

5. „ვადიდებთ შენ ყოველი თესლები“ (ღ). ფერისცვალება (გვ. 264, 2). Eu 237, VI, 9. გერმანე. მეორდება ღვთისმშობლის შობის ღღესასწაულში რიგით სტროფად (გვ. 286, 2) და აღდგომის დასდებლებში (გვ. 471, 7).

6. „შენ, უკუდავებისა წყაროსა“ (ღ). (გვ. 269, 9) მარიაშობა. Eu 110, 11 გერმანე. მეორდება აღდგომის დასდებლებში (გვ. 412, 40).

7. „შენ, ყოლად ქებულო, უბიწო ღმრთისმშობელო“ წმ. გიორგისი (გვ. 320, 7) Hyrm. Sabb.. მეორდება ენკენიის (გვ. 294, 38) და პეტრე-პავლეს (გვ. 28, 12) IX გალობებშიც.

⁴⁸⁹ E. Wellesz, A History of Byzantine Music and Hymnography, 1962, p. 242.

8. „ყოველი ტომი ქუეყა“ (დ)⁴⁰⁰. (გვ. 308, 33), 14 სექტემბრის ჯვართა აპყრობა. Eu 141, VI, 9 იოანე ბერი.

ერთი ნაწილი დასაწყისებით მოტანილი პირველი სტროფებისა სრული ტექსტებითაა წარმოდგენილი აღდგომის დასდებლებში. რიგ შემთხვევაში ეს სტროფები იადგარის სხვა კანონებშიც მეორდება.

ავტორიანი და უავტორო ძლისპირები IX გლობის თემასთან შინაარსობლივ კავშირს არ ამჟღავნებენ⁴⁰¹ და შემდეგ დამატებული სტროფების შთაბეჭდილებას სტოვებენ. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ზოგიერთი ფაქტი. მარტვილიის კანონის IX გლობა დატულია ABC ხელნაწერებში. ამ გლობის II—III სტროფები საერთოა ABC ნუსხებში, ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი I სტროფი კი AB-სა და C-ს განსხვავებული აქვთ. აშკარაა, რომ მარტვილიის IX გლობის საერთო სტროფებს ღვთისმშობლის სახელზე დაწერილი სხვადასხვა სტროფი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დაურთავთ AB და C ნუსხებში. ამრიგად, ესეც მხარს უჭერს ვარაუდს, რომ იადგარის კანონის IX გლობის შინაარსის ცვლა და მისი დაკავშირება ღვთისმშობლის სახელთან დაიწყო უკვე არსებულ IX გლობაზე ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი სტროფის დართვით. ამ დანართი სტროფების ერთი ნაწილი აღებულა იადგარის აღდგომის დასდებლებიდან, სადაც ეს სტროფები სრული სახითაა მოტანილი.

იმის გამო, რომ იადგარის კანონის IX გლობაში ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი სტროფები მხოლოდ აქა-იქ ჩანს. აღდგომის დასდებლებში IX გლობა კი უკვე მთლიანად ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი გლობაა, ე. ი. მას ახალი შინაარსი უკვე შეთვისებული აქვს, უნდა ვივარაუდოთ, რომ იადგარის საწელიწდო ნაწილის IX გლობამ აღდგომის დასდებლებთან საერთო პირველი სტროფები აღდგომის დასდებლებისაგან შეიმატა მისივე მიბაძვით. ეს უნდა მომხდარიყო არა უადრეს VIII—IX საუკუნეებისა, როდესაც იადგარი შეივსო აღდგომის დასდებელთა ოქტოიხოსით.

IX გლობის ღვთისმშობლის თემასთან დაახლოებების პროცესი I სტროფის დამატებით არ დასრულებულა. იადგარის IX გლობებში დადასტურდა ორი შემთხვევა, როდესაც გლობაში ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ერთზე მეტი სტროფი აღმოჩნდა. ასეთია ლაზარეს კანონის IX გლობა, რომელიც დაუცავს ABCD ხელნაწერებს ერთნაირი შემადგენლობით. ამ ოთხსტროფიანი გლობის პირველი ორი სტროფი ღვთისმშობელს ეძღვნება. აქედან მეორე სტროფი გერმანე პატრიარქის ძლისპირია (Eu 146გ'), III—IV სტროფები ლაზარეს თემის შინაარსის გაშლაა.

უფრო საყურადღებოა მეორე შემთხვევა, რომელიც გვაქვს 14 სექტემბრის ჯვრის აპყრობის კანონში (გვ. 308). ამ კანონის IX გლობაში სხვადასხვა მოცულობითაა წარმოდგენილი BC ფენა. ათსტროფიან IX გლობაში I—III სტროფე-

⁴⁰⁰ „ყოველი ტომი ქუეყა“ ხელნაწერის კიდებუა მიწერილი. გამოცემაში ეს ძლისპირი IX გლობის პირველ სტროფად მოვითავსეთ, სინამდვილეში ამ გლობის პირველი სტროფია „შენ, ღედასა დე“ (გლობის მეორე სტროფი), რომელიც ასევე პირველ სტროფად ანუ ძლისპირად არის გამოყენებული აშალეების კანონის IX გლობაში. რხ. აქვე, გვ. 854.

⁴⁰¹ გამოჩალისა ის შემთხვევები, როდესაც კანონი ღვთისმშობლის თემაზე დაწერილი. ასეთებია მარამობისა და ღვთისმშობლის შობის კანონები.

ბი მხოლოდ A-შია, IV სტროფი—AB-ში, V—VII სტროფები—მხოლოდ A-ში, VIII სტროფი—ABC-ში, IX—X სტროფები მხოლოდ BC-ს კუთვნილებაა. თუ არ მივიღებთ მხედველობაში IX—X სტროფებს, რომლებსაც არ იცნობს A-ს ვალობა, პირველი რვა სტროფიდან მხოლოდ IV და VIII სტროფები აქვს ზიარი A ნუსხას B და C ნუსხებთან. A-ში რვავე სტროფი მოკლე დასაწყისებით არის მოტანილი. B-ში IV სტროფის სრული ტექსტია, ასევე სრული ტექსტია BC-ში VIII სტროფისა.

რეასტროფიანი ვალობის I—IV სტროფები ღვთისმშობლის თემაზეა დაწერილი, V—VIII სტროფები კი—მაცხოვრისა და ჭვრის თემაზე. ასე აშკარა გამიჩნდა ორ სხვადასხვა თემაზე დაწერილი სტროფებისა (I—IV და V—VIII) გვაფიქრებინებს, რომ ერთ-ერთი თემა ამ ორიდან დამატებული უნდა იყოს შემდეგ, ცხადია, ჭვართა აპყრობის IX ვალობა თავდაპირველად დაიწერებოდა ჭვრისა და მაცხოვრის თემაზე. ამას პასუხობს IX ვალობის V—VIII სტროფები, ხოლო შემდეგ ამ ძირითად ვალობას დაემატა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ოთხსტროფიანი ვალობა (I—IV სტროფები). ამ გზით მივიღეთ კომპილაციური რეასტროფიანი IX ვალობა. უძველეს იაღგარში ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც IX ვალობის ოთხი სტროფი ეძღვნება ღვთისმშობელს და დამოუკიდებელი ვალობის ხასიათს ატარებს. როგორც ჩანს, IX ვალობის ღვთისმშობლის თემა ახალ შეესებას წარმოადგენს, ვინაიდან IX ვალობის რეასტროფიანი ვალობის სტროფების უმრავლესობას არ იცნობენ BC ნუსხები. ამ ვარაუდს ამაგრებს კიდევ ერთი ფაქტი: ჭვრის აპყრობის IX ვალობას კანონში მოსდევს ორი „სხუანი“, რომლებიც არ იცნობენ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ სტროფებს და მთლიანად დღესასწაულის თემაზე არიან აგებული. „სხუანებმა“ კი, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, უძველესი იაღგარის კანონის უფრო აღრეული ფენა შემოგვიანახეს.

მოტანილი მაგალითებიდან, ვფიქრობთ, ნათლად ჩანს, თუ რა ეტაპები გაიარა უძველესი იაღგარის კანონის IX ვალობამ, რათა დროის მოთხოვნილებათა მიხედვით ახალი შინაარსი (ღვთისმშობლის თემა) შეეძინა. აღდგომის დასდებლებში ეს პროცესი სავსებით დასრულებულია—IX ვალობა მთლიანად ღვთისმშობელს ეძღვნება.

სპორადულად ჩანს უძველესი იაღგარის კანონში ვალობის ბოლო ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი სტროფები, რომლებიც ახალ კანონში ყოველი ვალობის ბოლოს სრულდება ძლისპირის მეტრსა და კილოზე. ამ მხრივაც უძველესი იაღგარის კანონი წინადასკელისეული კანონია, რომლის თავდაპირველი სახე თავისუფალია ღვთისმშობლის კულტის გაძლიერებასთან დაკავშირებით შემოტანილი ახალი ელემენტებისაგან. მაგრამ ეს ახალი ელემენტები, როგორც ითქვა, აქა-იქ სპორადულად მაინც იჩენს თავს.

უძველესი იაღგარისათვის ამგვარ სიახლედ უნდა მივიჩნიოთ მარხვის VII შაბათის აქებდითსას შემდეგ ერთი მონოსტროფის შემოტანა, რომელიც A ნუსხაში „ღვთისმშობლისად“ იწოდება⁴⁹². ეს მონოსტროფი ღვთისმშობლის შესახის პირველი სახე უნდა იყოს, რომელიც თავისი უკვე განვითარებული სახით მოტანილია აღდგომის დასდებლებთან ყოველ ხმაზე აქებდითსას შემდეგ (გვ. 382, 398, 418, 438, 457, 475, 492, 508). ასევე სპორადულად ჩანს უძველესი იაღგარის კანონში სამებისადმი მიძღვნილი სტროფები.

⁴⁹² იგივე მონოსტროფი C ხელნაწერში ამავე დღესასწაულის აქებდითსას სტროფია.

უძველესი იაღგარის დღესასწაულთა A ნუსხისეული ფენა

უძვე. იაღგარის კალენდარი და შესაბამისად პოეტური ფორმები არ არის ერთი დროისა. ზუსტი ქრონოლოგიური მიჯნების დადება სხვადასხვა დროის მასალისათვის ყოველთვის ვერ ხერხდება. ერთი მცირე ნაწილი დღესასწაულებისა და სხენებებისა აშკარად გვიანდელია. ისინი ერთდროულად უნდა იყოს შეტანილი იაღგარის მხოლოდ A ნუსხაში. ამ ახალ მასალას ლექციონარში თავის საკუთარი განგებები არა აქვს და უმთავრესად ზოგადი განგებებით სარგებლობს. ეს დღესასწაულებია: 1. 23 აპრილის წმ. გიორგის დღესასწაული (გვ. 233).

2. 3 ნოემბრის წმ. გიორგის დღესასწაული (გვ. 318).

3. თეკლას დღესასწაული (გვ. 315).

4. აბო ქართველის დღესასწაული (გვ. 57)⁴⁹³.

23 აპრილის წმ. გიორგის სხენების დღის განგება ლექციონარში ზოგადი განგებითაა წარმოდგენილი („ყოველი წმიდათაჲ“ T 932), იაღგარში კი განგება შეიცავს VIII ხმის რვა სტროფიან ორ ოლტყავსას. ამ სტიქარონის I და II სტროფებს აღმოაჩნდათ ბერძნული მოდელები (PaR 635, 4; PaR₁646, 4), რომლებიც წმინდანებისადმი მიძღვნილი ზოგადი შინაარსის მონოსტროფებია ბერძნული პარაკლიტონიდან. ორ ოლტყავსას სტროფები (გარდა II ბერძნულმოდელიანი სტროფისა)⁴⁹⁴ იაღგარის მასალაში არ მეორდება.

ორ ოლტყავსას მოსდევს კანონი, რომლის პირველი ხუთი გალობისათვის მითითებულია თევდორობის ზოგადი კანონი (გვ. 233). დანარჩენი ოთხი გალობა კუთვნილებაა ამ დღესასწაულის კანონისა. მათი სტროფებიც სხვა დღესასწაულის მასალაში არ იძებნება (გარდა რამდენიმე შემთხვევისა, რომლებზედაც ქვემოთ შევჩერდებით), ისინი აგრეთვე ზოგადი ხასიათისა არიან და დღესასწაულის შინაარსს არ გადამოსცემენ.

კანონის VI და VII გალობების პირველი სტროფები მოტანილია დასაწყისებით. VI გალობის პირველი სტროფის დასაწყისია „სირღმ“. იგივე დასაწყისია მოტანილი იმავე IV ხმის VI გალობის პირველ სტროფად ანტონის კანონში (გვ. 75, 28), რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს დასაწყისი უნდა ეკუთვნოდეს ძლისპირს, რომელიც ერთი დანიშნულებითაა გამოყენებული იაღგარის მსგავსი შინაარსის ორ კანონში (ანტონისა და გიორგისა).

ასევე დასაწყისით არის მოტანილი წმ. გიორგის კანონის VII გალობის პირველი სტროფი — „რომელი მთა“. იგივე დასაწყისი აქვს VII გალობას იაღგარის კიდევ რამდენიმე კანონში:

⁴⁹³ გარდა ამ დღესასწაულებისა, იაღგარში შეტანილია კალენდარული სხენებები: პეტრე-პავლესი (29. VI გვ. 275), წმ. კვირიკესი (25. VII, გვ. 275), წმ. თეკლასი (26. VII, გვ. 275), წმ. ხაბიტონისი (28. IX, გვ. 218). ყველა ეს სხენება, კალენდრის შევსების მიზნით, განგებების გარეშე შეტანილია მხოლოდ A ნუსხაში.

⁴⁹⁴ ორ ოლტყავსას II ბერძნულმოდელიანი (PaR 646) სტროფი („მოწამენო უფლისანო..“) მეორდება იაღგარის იმ ნაწილში, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა დღესასწაულების ზოგადი ხასიათის იბაკონი და წარდგომანი (გვ. 334). ჩვენთვის საინტერესოა სტროფი შეტანილია „მოწამეთა დასადებლებში“ (გვ. 337), ამ შემთხვევაშიც მხოლოდ A ხელნაწერში. საინტერესოა, რომ ეს სტროფებიც მცირედენად სხვაობენ ერთმანეთისაგან. არ არის გამორიცხული, რომ ისინი წარმოადგენენ ერთი ბერძნული მოდელის სხვადასხვა თარგმანს.

ანტონის კანონი 7^ა დ—რომელი მთა[სა ზედა მოსეს თანა], გვ. 75, 32.

მიგებების კანონი 7^ა დ—რომელი მთა[სა ზედა მოსეს თანა], გვ. 91, 24.

ჯვართა აპყრობის კანონი 7^ა დ—რომელი მთასა ზედა [მოსეს თანა ზრახვედი და სახმ ქალ], გვ. 306, 19.

აშკარაა, რომ ოთხივე კანონში პირველი სტროფის დასაწყისი ერთსა და იმავე ტროპარზე მიუთითებს და მას ერთი დანიშნულება აქვს—ძლისპირის ფუნქცია აკისრია IV ხმის VII ვალობაში. მართლაც, ამ ტროპარს აღმოაჩნდა ბერძნული მოდელი ბერძნულ ირმოლოგიონში, გერმანე პატრიარქის აკოლუთიაში (Eu 146^ჯ). ამ კანონების ვალობათა აღნიშნული სტროფები სილაბიკის თვალსაზრისით დიდ სხვაობას არ აჩვენებენ არც ერთმანეთთან და არც ბერძნულ ძლისპირთან მიმართებით (სხვაობა 10—15 მარცვლის ფარგლებს არ სცილდება). ამრიგად, ჩვენთვის საინტერესო 23 აპრილის წმ. გიორგის კანონის ორი ვალობისათვის გამოყენებულია ძლისპირები, მაგრამ ეს ძლისპირები, ისევე როგორც იადგარის სხვა კანონებში შეტანილი ძლისპირები, არ წარმოადგენენ ვალობათარიტმულ-მელოდიურ მოდელს, როგორც ეს არის მიღებული რიტმული პოეზიის ნიმუშებში, ე. ი. იოანე დამასკელისეულ ახალ კანონში.

ამავე დღესასწაულის აქებდითსა ექვსსტროფიანია. აქედან 4 სტროფი მხოლოდ დასაწყისებითაა მოტანილი. ამ 4 დასაწყისიდან ორი მეორდება თეკლას დღესასწაულის ორ ოლტყავსაში, ე. ი. ისეთ მასალაში, რომელიც, მსგავსად წმ. გიორგის დღესასწაულისა, მხოლოდ A ნუსხაშია შეტანილი და იადგარის გვიანდელ შევსებას უნდა წარმოადგენდეს.

საერთო აღმოაჩნდათ წმ. გიორგისა და თეკლას დღესასწაულთა განგებებს ოხითაჲც (გვ. 235 და 316), რომლის ბერძნული მოდელია PaR 670,4. იგივე ოხითაჲ დადასტურდა აგრეთვე აბო ქართველის დღესასწაულის განგებაშიც (გვ. 59) და წმ. თევდორეს განგებაშიც (გვ. 114), ორივე შემთხვევაში დასაწყისებით მოტანილი. ოთხივე დასახელებული დღესასწაული წმინდა მოწამეების სახელზეა დადებული, აქედან სამი (წმ. გიორგი, თეკლა, აბო) დაუცავს მხოლოდ A ნუსხას.

საერთო ვალობები აქვთ 23 აპრილის წმ. გიორგის კანონსა და თეკლას კანონს. წმ. გიორგის კანონი „შედგენილი კანონია“. ამ კანონის I—V ვალობები, მითითების თანახმად, უნდა შეივსოს თევდორობის კანონით. დანარჩენი ოთხი (VI—IX) ვალობა ამ დღესასწაულს საკუთარი აქვს.

ასევე „შედგენილი კანონია“ თეკლას სახელზე დაწერილი კანონიც, რომლის მხოლოდ ორი (VIII—IX) ვალობაა მოტანილი განგებაში, დანარჩენებისათვის კი მითითებულია 23 აპრილის წმ. გიორგის კანონი, რომელსაც I—V ვალობები ნასესხები აქვს წმ. თევდორეს კანონიდან. ამგვარად, თეკლას „შედგენილი კანონი“ ივსება როგორც წმ. თევდორეს კანონის I—V ვალობებით, ასევე საკუთრივ წმ. გიორგის VI—VII ვალობებით⁴⁹⁵. ასეთი აშკარა კავშირი ამ ორი დღესასწაულის განგებებს შორის და განსაკუთრებით კი მათ კანონებში საერთო მასალის დადასტურება, ვფიქრობთ, მიუთითებს იმაზე, რომ გვიან შედგენილი ეს კანონები ერთი რედაქტორის ხელიდან უნდა გამოსულიყო.

⁴⁹⁵ წმ. გიორგის აქებდითსასაც აღმოაჩნდა საერთო სტროფები (III და IV, დასაწყისებით მოტანილი) თეკლას ორ ოლტყავსას III—IV სტროფებთან, რომლებიც ასევე დასაწყისებით არის მოტანილი.

ზემოთ განხილული თეკლას დღესასწაულის განგება დაწესებულია 24 სექტემბერზე. თეკლას ხსენების ეს დღე დაუცავს ლატალის ლექციონარს (T 1256, სქ. d)⁴⁹⁶. ამავე დღეებზეა ეს ხსენება დაწესებული იოანე-ზოსიმეს კალენდარში⁴⁹⁷, მაგრამ თეკლას ხსენებისათვის მეორე დღეც არის შეტანილი იადგარში—ეს არის 26 ივლისი. ამ დღეზეა დაწესებული თეკლას ხსენება პარიზის ლექციონარში (T 1110)⁴⁹⁸ და იოანე-ზოსიმეს კალენდარში⁴⁹⁹.

თეკლას 26 ივლისის კალენდარული ხსენება, განგების გარეშე, იადგარში ჩართულია უადგილოდ (გვ. 275) ორ სხვა ხსენებასთან ერთად, ესენია: პეტრე-პავლეს (გვ. 275)⁵⁰⁰ და კვირიკეს (გვ. 275) ხსენებები. იადგარში ასევე მხოლოდ ხსენებაა (უგანგებოდ) შეტანილი წმ. ხარიტონისა (გვ. 318). ყველა ეს ხსენება მხოლოდ A ხელნაწერში დასტურდება.

ამრიგად, A ნუსხაში თანმიმდევრულად ხდება კალენდრის შევსება წმ. მოწამეთა და წმ. მამათა ახალი დღესასწაულებით. ნაწილი დღესასწაულებისა მხოლოდ კალენდარული ხსენებებით არის წარმოდგენილი, ნაწილი კი—განგებებით.

ზემოთ განხილულ სამ დღესასწაულს აერთიანებს არა მარტო ის, რომ სამივე მხოლოდ A ნუსხას დაუცავს, არამედ პირველ რიგში ის, რომ მათ აქვთ ერთიდაიმავე დანიშნულებით გამოყენებული საერთო პოეტური მასალა. ორ შემთხვევაში (გამონაკლისია აბოს კანონი) განგების ძირითადი ელემენტია „შედგენილი კანონი“, რომლის შევსება წმ. თევდორეს ზოგადი კანონითა და ერთმანეთის მასალით ხდება. სამივე დღესასწაული წმიდათა ხსენებებია. ამ დღესასწაულებს არა აქვთ საკუთარი განგებები ლექციონარში, მათი პოეტური ტროპარები ლექციონარისეულ ფენას არ წარმოადგენენ, ამდენად ეს მასალა იადგარის თავდაპირველ რედაქციას არ განეკუთვნება და შემდგომოდნელ შევსებას წარმოადგენს. ამას მხარს უჭერს ისიც, რომ არც ერთის კანონში არ გვხვდება „სხუანები“.

ამ სამეულს უნდა დაემატოს 3 ნოემბრის წმ. გიორგის დღესასწაულიც (გვ. 318). ამ დღესასწაულის განგებაც, ისევე, როგორც თეკლას და 23 აპრილის წმ. გიორგის განგებები, დამოკიდებულია წმ. თევდორეს ზოგად განგებაზე. ის შედგება ორ ოლტყავსა სტიქარონისაგან, რომლის სტროფები იადგარის მასალაში არ მეორდება. ბერძნული მოდელები ამ სტროფებისა არ ჩანს. ამას მოსდევს „შედგენილი კანონი“, რომლის პირველი ხუთი ვალობისათვის მითითებულია წმ. თევდორეს ზოგადი განგება. დანარჩენი ოთხი ვალობა კი, მიუხედავად იმისა, რომ წმ. გიორგის ეძღვნება, ასევე ზოგადი ხასიათისაა და არ შეიცავს რაიმე სიუჟეტურ მასალას. IX ვალობის პირველი სტროფი, მხოლოდ დასაწყისით მოტანილი („შენ, ყოლად ქებულო, უბიწოო ღმრთისმშობელო, რომელი შემდგომად...“), მეორდება ენკენის (გვ. 294) და პეტრე-პავლეს აღილებდითსაში (გვ. 98), ეძღვნება ღვთისმშობელს და გარკვეული შეზღუდვით ძლისპირის ფუნქციის მქონეა. ამ ძლისპირის ბერძნული მოდელი დაუცავს საბაწმიდურ ირმოლოვიონს (იხ. ძლისპირთა საძიებელი), წმ. გიორგის ეს დღე-

⁴⁹⁶ ეს ნაწილი P-ს აკლავ.

⁴⁹⁷ Calendrier, გვ. 92, 338.

⁴⁹⁸ იხ. აქვე, გვ. 726—728.

⁴⁹⁹ Calendrier, გვ. 81.

⁵⁰⁰ პეტრე-პავლეს ხსენება განგებითურთ შეტანილია იადგარში 28 დეკემბერსაც.

აბოს საგალობლები

ზემოთ განხილული 4 ხსენებიდან ერთი აბო ქართველის ხსენებაა, რომლის განგება და პოეტური მასალა ქართველ ავტორს უნდა ეკუთვნოდეს. ამიტომ ამ დღესასწაულზე ცალკე გვინდა შევჩერდეთ.

განცხადების ზატიკის მეორე დღეს, 7 იანვარს, იადგარის A ნუსხაში შეტანილია აბოს ხსენება. აბოს დღესასწაულის განგება შეიცავს შემდეგ პოეტურ მასალას: ო¹ ო² ლ³ ლ⁴ ტყავასას, აქებდითსას, ორსაგალობელს (აკურთხევდითსა, ადიღებდითსა) და მონოსტროფებს (ოხითაჲ, კელთაბანისაჲ). ამავე შედგენილობისაა განცხადების ზატიკის დანარჩენი დღეების განგებები (გარდა მერვე დღისა), მათ არა აქვთ მხოლოდ მონოსტროფები.

აბოს ხსენების როგორც სტიქარონები, ასევე ორსაგალობელი და კელთაბანისაჲ აგებულია აბოს ცხოვრებისა და წამების ეპიზოდების მასალაზე, ე. ი. აბოს გალობათა ავტორი სარგებლობდა იოანე საბანისძის მიერ დაწერილი აბოს მარტივლობის ტექსტით⁵⁰⁴. ამიტომ აქ ბერძნული პოეტური მოდელები არ იყო მოსალოდნელი და არც არის სინამდვილეში. ბერძნული მოდელი აქვს მხოლოდ ოხითაჲს, რომელიც ზოგადი შინაარსისა და საკუთრივ აბოსათვის არ არის განკუთვნილი. ოხითაჲს ბერძნული მოდელი ბერძნული პარაკლიტონიდან (PaR 670,4) წმინდანთა ზოგად შესხმას წარმოადგენს და ერთნაირი წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული ყველა წმინდანისათვის. ამიტომაც, რომ ეს ოხითაჲ შესულია აგრეთვე თევდორე წმიდისა (გვ. 114) და 23 აპრილის წმ. გიორგის დღესასწაულის (გვ. 235) განგებებში. წმ. გიორგის დღესასწაული კი, აბოს მსგავსად, იადგარის მხოლოდ A ნუსხაშია შეტანილი. ორივე დღესასწაულის განგებაში ოხითაჲ შემოტანილია წმ. თევდორეს განგებიდან, რომელიც მოწამეთა ზოგად დღესასწაულს წარმოადგენს.

ამრიგად, აბოს განგება კომპილაციას წარმოადგენს, მაგრამ პოეტური მასალის ძირითადი ნაწილი (სტიქარონები, ორსაგალობელი და კელთაბანისაჲ) ქართველი ჰიმნოდის ორიგინალური შემოქმედებაა. ამავე დროს, აბოს განგება აშკარად ერთიანდება წმ. მოწამეთა დღესასწაულთა ზემოთგანხილულ ჯგუფში, რომელიც მხოლოდ A ნუსხის კუთვნილებაა და ამ ნუსხის შევსებას წარმოადგენს.

ხელნაწერის ახალ შევსებაში, რომელიც იადგარის ახალი ხსენებებით გამოიდრებას გულისხმობდა, ერთი რედაქტორის ხელწერა მოჩანს.

აბოს როგორც სტიქარონების, ასევე ადიღებდითსას პირველი სტროფები არ წარმოადგენენ ძლისპირებს, ვინაიდან ორივე შემთხვევაში პირველი სტროფებითვე იწყება აბოს წამების ეპიზოდების გადმოცემა და ისინი მკიდროდ არიან დაკავშირებული სტიქარონებისა თუ გალობის გაბმულ სიუჟეტურ თხრობასთან. სხვა ვითარებაა აკურთხევდითსა გალობაში, რომლის პირველი სტროფი ბიბლიური VIII გალობის პირველი მუხლის მასალაზეა აგებული⁵⁰⁵: „ყოველნი საქმენი ღმრთისანი და ყოველ“ (გვ. 58). იგივე ტექსტი იადგარში პირველ სტროფად აღმოაჩნდა კიდევ რამდენიმე დღესასწაულის კანონის IV ხმის აკურ-

⁵⁰⁴ კ. კ. ე. ლ. ი. ძე, ახალი საგალობლები აბოს თბილესა, ეტიუდები, VI, გვ. 416.

⁵⁰⁵ ბიბლიური VIII გალობის პირველი მუხლია: „აკურთხევდით ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა, უგალობდით და უფროასად ამაღლებდით“ (იხ. ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, გამოსცა მუჟქალა შანიძემ, თბ., 1960, გვ. 439).

თხევდითსას, ზოგი მხოლოდ დასაწყისი სიტყვებით, ზოგი სრული ტექსტის სახითაც
ესენია: ჭვართა აპყრობის (გვ. 307), თეკლას (გვ. 315), ანტონის (გვ. 76) და
მარიამობის (გვ. 271) კანონები. აქედან თეკლას და მარიამობის (IV) დღესასწა-
ულები, ისევე, როგორც აბო ქართველისა, მხოლოდ A ნუსხის კუთვნილებაა.

ამ გალობათა სილაბიკის შესწავლამ აშკარა გახადა, რომ აკურთხევდითსას
პირველი სტროფის სილაბიკა გავლენას არ ახდენს დანარჩენ სტროფებზე. ხუთი-
ვე შემთხვევაში სხვადასხვა სურათია, მაგრამ ხუთივე შემთხვევაში გალობე-
ბი IV ხმაზეა გაწყობილი. ამავე დროს, ყველა ამ გალობას რეფრენად იმავე VIII
ბიბლიური გალობის პირველი მუხლის მეორე ნაწილი აქვს გამოყენებული.

ამრიგად, აბოს გალობათა ავტორმა აკურთხევდითსას გალობა VIII ბიბ-
ლიური გალობის პირველი მუხლის მასალაზე ააგო. ის არ მიმართავს მისი მოღვა-
წეობის დროისათვის (IX ს.) უკვე ფართოდ გავრცელებულ ავტორიან ძლისპი-
რებს და უპირატესობას აძლევს კანონისა და სტიქარონების უფრო არქაულ
ფორმებს⁵⁰⁶.

აბოს დღესასწაულის განგების ყველა დანარჩენი ელემენტისათვის ავ-
ტორი სარგებლობს ლექციონარიული „ყოველთა წმიდათა“ განგებით⁵⁰⁷,
ოხითაჲ კი მას საერთო აქვს, როგორც ზემოთ ითქვა, წმ. თევდორეს, წმ.
გიორგისა და თეკლას დღესასწაულების განგებებთან.

განცხადების ზატიკის ციკლის მესამე-მეშვიდე დღეების განგებები საე-
სებით ერთნაირი შედგენილობისა და აგებულებისაა (ორსაგალობელი, სტი-
ქარონები, ფსალმუნ-დასდებელი). ამავე გეგმითაა შედგენილი განცხადების
ზატიკის მეორე დღეზე განწესებული აბო ქართველის განგება: აბოს სტიქა-
რონები, ორსაგალობელი და კელთაბანისაჲ დაწერილია საგანგებოდ ამ გან-
გებისათვის. ამდენად, ქართველი ჰიმნოდი ავტორია აბოს საგალობლებისა
და შემდგენელი მთელი განგებისა, რომელიც განკუთვნილია საგანგებოდ
განცხადების ზატიკის მეორე დღეზე შესატანად. ასეთი სამუშაოს ჩატარება
კი შეეძლო პირს, რომელსაც ხელეწიფებოდა A ნუსხის ან მისი პროტოტი-
პის რედაქტორული გამართვა და მისი შევსება ახალი მასალით. მაგრამ, რო-
გორც ჩანს, ქართველი ჰიმნოდი იადგარში მარტო აბოს დღესასწაულის შე-
ტანით არ დაკმაყოფილებულა. A ნუსხის ახალი შევსების სხვა დღესასწაუ-
ლების განგებების შესწავლამ დაგვანახა, რომ ახალი დღესასწაულების შერ-
ჩევა და იადგარში შეტანა ერთ პრინციპს ემსახურებოდა — ამ ნუსხის კალენ-
დრის გავრცობას წმ. მოწამეთა ხსენებებით. ხსენებათა ამ ჩვეულებაში აბოს
დღესასწაულის შეტანა სავსებით ბუნებრივი ჩანს. მეორე მხრივ, ახალი შევ-
სების დღესასწაულების განგებებში საერთო პოეტური მასალის გამოყენე-
ბა იმაზე მიგვიითივებს, რომ ახალი შევსება ერთი რედაქტორის ხელიდან
უნდა იყოს გამოსული.

A-ს თუ მისი პროტოტიპის შევსება ახალი დღესასწაულებით ქართული ეკ-
ლესიის ეროვნული ინტერესებით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი. საფიქრებელია,
რომ უძველესი იადგარის სწორედ A ნუსხის რედაქტორმა დაიწყო პირველად

⁵⁰⁶ იხ. აქვე გვ. 834—835.

⁵⁰⁷ „ფსალმუნი, ალელუია, სახარებაჲ—ყოველი წმიდათა ამსახურო“ (გვ. 59).

პალესტინური ღვთისმსახურების ამ უძველესი ჰიმნოგრაფიული ძეგლის შევსება ქართული ეკლესიისათვის სასურველი პოეტური მასალით: აბოს ხსენებით და ქართულ ეკლესიაში განსაკუთრებულად პოპულარული დღესასწაულებით (წმ. გიორგის, თეკლას, კვირიკეს). იმავე ეროვნული კურსის გამოხატულება პარიზის ლექციონარის ძირითად ტექსტში შეტანილი აბოს ხსენება (T 118), ლექციონარზე დართული ქართველ წმინდანთა ხსენებების მცირე კალენდარი (T 1434) და იოანე-ზოსიმეს კალენდარში შეტანილი აბოს, არჩილის ხსენებები, მცხეთის ჯვრისა და სხვა დღესასწაულები.

ცალკე ახსნას თხოულობს ხარიტონის ხსენების შეტანა A ხელნაწერში სხვა ახლად შეტანილ ხსენებათა რიგში. ამ ხსენების შეტანა იადგარში, რომელშიც არაიხანა პალესტინელ ქართველ მწიგნობართა წრეში მეტად პოპულარული საბა განწმედილის დღესასწაული, ერთი შეხედვით გაუგებარია. საბა განწმედილის ვრცელი განგება შეტანილია საბაწმიდური მონასტრის ცნობილი მოღვაწის იოანე-ზოსიმეს მიერ სხვადასხვა წყაროების საფუძველზე შედგენილ კალენდარში (იხ. 25 მარტი და 5, 6, 9, 12 დეკემბერი). ამის ანალოგიით, ხარიტონის ხსენების შეტანა უძველესი იადგარის A ნუსხაში ხომ არ ნიშნავს იმას, რომ უძველესი იადგარის ეს რედაქცია შეიქმნა და გადაიწერა პალაერაში ანუ ხარიტონის ლავრაში, სადაც ხარიტონი განსაკუთრებულ პატივში იქნებოდა. ამას მხარს უჭერს: ა) X საუკუნის I ნახევარშივე პალაერაში ქართველთა ინტენსიური მოღვაწეობა, რაც ქართული წერილობითი წყაროებით დასტურდება. ბ) პალაერალების განსაკუთრებული ინტერესი უძველესი იადგარისადმი, რაც იმაში გამოიხატა, რომ თვედორე პალაერელმა სვიმეონ მგალობელს შეუყვება საბაწმიდაში იადგარის გადანუსხვა (Sin. 40) პალაერისათვის⁵⁰⁸. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ პალაერა, საბაწმიდასთან ერთად, უნდა მივიჩნიოთ ქართველების ძლიერ შემოქმედებით ცენტრად⁵⁰⁹, სადაც შეიქმნა უძველესი იადგარის კილ-ეტრატის ნუსხა თავისი ახალი შევსებებით, მაშასადამე, პალაერელი მოღვაწე უნდა ყოფილიყო A ნუსხის ახალი შევსების შემდგენელი⁵¹⁰ და აბოს საგალობლის ავტორიც.

ამ ჩვენი ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ კილ-ეტრატის ხელნაწერი გასული საუკუნის 50-იან წლებში პ. უსპენსკიმ საბა განწმედილის ლავრაში ნახა და იქიდან წამოიღო. ცნობილია, რომ საბაწმიდაში შექმნილი ხელნაწერები X საუკუნის II ნახევარში გადატანილი იქნა სინაწმიდაზე და ისინი ახლაც ეკატერინეს მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კოლექციას ამშვენებენ. ამდენად უნდა ვივარაუდოთ, რომ კილ-ეტრატი საბაწმიდაში გვიან მოხვედრა და საკუთრივ საბაწმიდური წარმომავლობისა არ არის. ასეთ ვითარებაში მისი პალაერული წარმომავლობა ყველაზე მოსალოდნელია.

ვფიქრობთ, არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ პალაერაში გადაწე-

⁵⁰⁸ სვიმეონ მგალობელი შეიძლება საბაწმიდელი მოღვაწე იყო, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ის თვედორე პალაერელმა პალაერიდან მიავიღა საბაწმიდაში იადგარის გადასანუსხვაოდ.

⁵⁰⁹ ტ. გაბაშვილი, შიოსლვა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ელ. მეტრეველმა, თბ., 1956, გვ. 0167.

⁵¹⁰ ძველი ქართული წარმართული კალენდარი: საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. VI, 1931, გვ. 389—391. იხ. აგრეთვე აქვე, გვ. 696—697.

რილია X საუკუნის ერთ-ერთი უძველესი აგიოგრაფიული კრებული Sin. 11, რომელიც სხვა ცნობებთან ერთად შეიცავს აბოს მარტივობის ტექსტსაც⁵¹¹.

ზემოთ განხილული მასალა, როგორც უკვე ითქვა, იადგარის მხოლოდ A ნუსხამ შემოგვინახა. მას არ იცნობენ იადგარის დანარჩენი ნუსხები. მაგრამ ეს არ არის საკმარისი საბუთი იმისათვის, რომ ეს მასალა საკუთრივ A ხელნაწერის შევსებად მივიჩნიოთ. არ არის გამორიცხული, რომ ეს შევსება A ხელნაწერის დედნისეულია. ამ ვარაუდისათვის არსებობს გარკვეული საფუძველი. A ხელნაწერში განცხადების ზატიკის პოეტური მასალა რვა ხმაზეა გაწყობილი. ე. ი. განცხადების ზატიკი ოქტოიხოსია. უძველესი იადგარის სხვა ნუსხებში განცხადების ზატიკი არ წარმოადგენს ოქტოიხოსს. A ხელნაწერში ზატიკის II დღეზე ჩართული აბოს ხსენების პოეტური მასალა წესით II ხმაზე უნდა ყოფილიყო გაწყობილი, სინამდვილეში ოქტოიხოსის პრინციპი დარღვეულია და აბოს განგების ოთხ ღმრთავესა და ორსაგალობლის აკურთხედიისა მეოთხე ხმაზეა დაწერილი. სულ სხვადასხვა ხმაზეა დაწერილი მომდევნო პოეტური მასალა: ადიღებდითსა, აქებდითსა, ოხითაჲ, ჳელთაბანისაჲ (გვ. 57—59). ეს შეუსაბამობა A ხელნაწერის გადამწერს შეუმჩნეველი არ დარჩენია. თავისი დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი მან გამოხატა მინაწერში, რომელიც აბოს დასდებელთა გასწორებულ ფურცლის კიდეზეა მიწერილი: „ესე აბოჲსნი—ღ ზატიკსა, რომელ მეოთხესა სწერიაან...“ (გვ. 57, სქოლიო). ამ მინაწერში, ჩვენი ფიქრით, მითითებულია იმ ფაქტზე, რომ აბოს დასდებლები (სადაც პირველი გალობები დაწერილია მეოთხე ხმაზე) უნდა გადატანილ იქნას ზატიკის მეოთხე დღეზე, რომელიც მეოთხე ხმაზეა გამართული. ამ გზით, მინაწერის ავტორის თვალსაზრისით, გამართება განცხადების ზატიკის ოქტოიხოსია.

A ხელნაწერის ამ მინაწერის ჩვენი ინტერპრეტაცია თუ სწორია, სხვაგვარი ახსნა კი ამ მინაწერს აქამდე ვერ დაეძებნა, მაშინ A-ს მინაწერის ავტორი (A ხელნაწერის გადამწერი) ახდენს აბოს დასდებლის ზატიკის პრინციპებთან შეუთანხმებლობის კონსტატაციას, რაც იმას ნიშნავს, რომ თვითონ ფაქტი აბოს განგების შეტანისა განცხადების ზატიკის მეორე დღეზე არ ეკუთვნის ამ მინაწერის ავტორს, ე. ი. A-ს გადამწერს. ამდენად, ის დღესასწაულები და ხსენებები, რომლებიც აბოს ხსენებასთან ერთად ჩვენთვის ცნობილ უძველეს იადგართა შორის მხოლოდ A ხელნაწერს დაუცავს, არ ყოფილა საკუთრივ A ხელნაწერის შევსება. ეს მასალა A-მ თავისი დედნიდან მიიღო. დედანი კი ჩვენთვის ცნობილი არ არის, მაგრამ ამ დედანზე ერთი რაიმეს თქმა გარკვევით შეიძლება: იგი IX საუკუნის II ნახევარზე ადრეული ვერ იქნება.

ძველი რედაქციის ადღგომის საგალობლები

ადღგომისადმი მიძღვნილი საგალობლები ხელნაწერებში ადღგომის „დასადებლების“ სათაურითაა შესული. ტერმინი „დასადებელი“ თავდაპირველად ფსალმუნური საგალობლის დამატებად აღებული პოეტური ტროპარის

⁵¹¹ Garitte, Catalogue, p. 41. ამ ხელნაწერში აღმოჩნდა ერთი საინტერესო მინაწერი: „იადგარი ტროპოლოჲნი“ (იქვე, გვ. 44), რომელიც იმაზე მიუთითებს, რომ იადგარის ბერძნული შესატყვისია ტროპოლოგიონი. ეს მინაწერიც ადასტურებს პალაერის ქართველ მოღვაწეთა დღ ინტერესს და კარგ გაეცნობიერებას ბერძნულ კიმნოგრაფიაში. იხ. აქვე, გვ. 692—693.

ან ფსალმუნის მეხლის მიმართ იხმარებოდა⁵¹². ამ დანიშნულებით „დასადებელი“ დადასტურებულია ლექციონარსა და იადგარში. შეზღოვმ ამ ტერმინის მნიშვნელობა ფართოვდება და X ს.-ისთვის საგალობლის სინონი-მადაც გვევლინება. აღდგომის საგალობლები ბერძნულში ოქტოიხოსის სახელითაა ცნობილი (ὄχτωήχος — რვა ხმა). ოქტოიხოსის ქართულ შესატყვისად გამოჩნდა ტერმინი კმანი, რომელსაც Sin. 41 ნუსხის გადამწერი უშუალოდ აღდგომის საგალობელთა ტექსტის მომდევნოდ დართულ ანდერძში მიმართავს: „დიდებაჲ ღმერთსა უკუნისამდე, დაესრულნეს კმანი“ (123 v). XI ს-ის ერთ სინურ პარაკლიტონში ამ ბერძნული ტერმინის ქართული თარგმანიც გვხვდება: „პირველი მსგებსი ოხტაიხონისაჲ, რომელ არს რვათა კმათაჲ“ (Sin. 3, 80 r)⁵¹³. აღდგომის დასდებლები შვიდეულის წრის საგალობლებია. მასალა დალაგებულია ხმების მიხედვით გალობათა ძირითადად ერთნაირი თანმიმდევრობით. ამ დასდებელთა ფსალმუნური და მცირე ფორმის პოეტური საგალობლები ლექციონარსა და სინურ კონდაკებში საკვირაო მასალის სახელითაა შესული. სახელწოდებას თვით საგალობელთა ფუნქცია განაპირობებს — აღდგომის დასდებლები სრულდება წლის კვირა დღეებზე ხმების თანმიმდევრობის დაცვით.

აღდგომის საგალობელთა ნუსხები

აღდგომის დასდებლების ძველი რედაქცია შემოგვინახა იადგარის პალესტინურმა ნუსხებმა. აღდგომის საგალობელთა რედაქციებად გამოჩენაც საბაწმიდელ-სინელი მოღვაწის იოვანე-ზოსიმეს სახელთანაა დაკავშირებული. იოვანე-ზოსიმეს რედაქტირებულ მრავალმხრივ საყურადღებო ლიტურგიულ კრებულს Sin. 34-ს ახლავს ანდერძ-მინაწერები, რომელთა მოხმობითაც ხერხდება მასში ასახულ საგალობელთა დაჯგუფება ძველ და ახალ რედაქციებად (ამასთან დაკავშირებით იხ. ზემოთ, გვ. 704). იოვანე-ზოსიმეს მითითებით, აღდგომის საგალობლების ძველი რედაქცია ამავე კრებულში შესული მარხვანის (106r—123r) „წინაჲთ“ — მომდევნოდაა ჩართული (123v—131v), ხოლო ახალი რედაქცია „ზემოთა“ — მარხვანს უსწრებს (48r—56v)⁵¹⁴. მარხვანის მომდევნო აღდგომის საგალობლები რომ კრებულის შემდგენელ-რედაქტორის იოვანე-ზოსიმეს აზრით მართლაც ძველი რედაქციისაა, მეტყველებს აგრეთვე ტერმინი „ძუელი“, რომელიც ამ რედაქციის მიმართაა ნახმარი. ტექსტი იწყება II ხმით, კიდევ იოვანე-ზოსიმეს ხელით მიწერილია: „დასადებლნი წმიდისა აღდგომისანი კმაჲ ა ძუელნი, უფალო დადადყავსა კმაჲ ა და გალობანი სრულიად ზემოთ ჰპოვნე და ლოცვა ყავნ“. მინაწერიდან ჩანს, რომ ძველი რედაქციის I ხმის მასალა ზემოთაა საძიებელი, ბუნებრივია, მინაწერის მომდევნო II—VIII ხმების საგალობლებიც აგრეთვე ძველი რედაქციისაა. Sin. 26-შიც აღდგომის საგალობლების იმ რედაქციას, რომელიც Sin. 34-ის მარხვანის მომდევნო აღდგომის საგალობლებთან დგება, სათაურად აქვს „ძუელნი დასადებლნი აღდგომისანი“. მკვლევარი პავლე ინგოროყვა Sin. 34-ში შესულ საგალობლებს იოვანე-

⁵¹² Lee b, Die Gesāng, S. 274.

⁵¹³ ოქტოიხოსთან დაკავშირებით იხ. Ch. Hapnik, Le texte de l'Octoechos, p. 37—60 (ცალკე ამონაბეჭდი); M. A p p a n u c, История Типикона, опыт, I курс, Л., 1978, с. 67.—71.

⁵¹⁴ „ზემოთ“ და „წინაჲთ“ ტერმინებთან დაკავშირებით იხ. ც. ჭ ა ნ კ ი ე ე ი, პალესტინელ გადამწერ „იოვანთა“ შესახებ, მრავალთავი, III, თბ., 1973, გვ. 45—51.

ზოსიმეს „ანდერძთა უწყების თანახმად“ ორ ჯგუფად ყოფს: „საგალობელნი ძუელნი“ და „საგალობელნი ახალნი“. ამ კლასიფიკაციაში უგულებელყოფილია მარხვანის მომდევნო ძველი რედაქციის მასალა, მათ შორის აღდგომის ძველი რედაქციის საგალობლებიც, ხოლო „ძუელნის“ ჯგუფში თავმოყრილ საგალობელთა შორის შეტანილია აღდგომის საგალობლების ახალი რედაქცია⁵¹⁵.

აღდგომის საგალობელთა ძველი რედაქციის ტექსტი ასახულია შვიდ იადგარში: ჰილ-ეტრატისა H 2123 (A), Sin. 18 (B), Sin. 40 (C), Sin. 41 (D), Sin. 34 (E), Sin. 26 (F) და Sin. 20 (G). ABCD ნუსხები იადგარის მხოლოდ ძველ რედაქციას შეიცავს, ხოლო EFG ნუსხებში ახალი რედაქციის საგალობლების გვერდით შესულია ძველი რედაქციის მასალაც.

A ნუსხაში აღდგომის საგალობლები ბოლო ფურცლებზეა: 307v—313v. ტექსტი მეტად დაზიანებულია, რაც იმითაცაა გამოწვეული, რომ ყველა ფურცელი ეტრატზე გაცილებით ნაკლებ გამძლე ქილზეა ნაწერი. ფურცლები დეფექტურია, კიდევბჩამოხეული, ნაწერი გადალეულია და ცუდად იკითხება, განსაკუთრებით შელახულია ბოლო ორი ფურცელი, ამის გამო ტექსტის ამოკითხვა შესატყვისი მასალის მომარჯვების გარეშე ქირს. A ნუსხა დღეისათვის აღდგომის საგალობელთა ფრაგმენტებს მოიცავს პირველი სამი ხმის ფარგლებში, III ხმა უგალობდითსას მხოლოდ ერთი ნაკლები ტროპარითაა მოღწეული.

B ნუსხაში აღდგომის საგალობლებს უკავია ბოლო 177v—230v და ფ. 78, ტექსტი წყდება VII ხმის უგალობდითსაზე. ძირითადი ნაწილი (177v—230v) ნაწერია მთავრულით, 78r—განსხვავებული მთავრულით, ხოლო verso—გაკრული ნუსხურით. მხოლოდ ერთგან (212r-ზე) V ხმის აქა აკურთხევდითსას ტროპარები სტრიქონებს შორის ჩაწერილია იოვანე-ზოსიმეს ნუსხურით, იმავე გვერდის ქვედა კიდზე მისივე ხელით მიწერილია: „ლოცვა ყავთ“. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ B ნუსხის აღდგომის საგალობლებს გაუვლია იოვანე-ზოსიმეს რედაქცია.

C ნუსხა თავნაკლულია, იწყება აღდგომის საგალობლებით, რომელთაც აკლია I ხმა მთლიანად და II ხმის უფალო ღალადყავსას დასაწყისი. საგალობელთა ტექსტი 1r—47v-ზეა, ნაწერია მთავრულით. 26r-ზე, VI ხმის სათაურის მომდევნოდ, გამოტოვებულია ხუთიოდე სტრიქონი, 26v-ზე მონაცვლეობს ძირითადი (მთავრული) და სხვა (ნუსხური) ხელი. ხელის ამგვარი მონაცვლეობა სინური ხელნაწერებისათვის უცხო არ არის.

D ნუსხაც თავნაკლულია, გაბმული ტექსტი იწყება აღდგომის საგალობელთა II ხმის კურთხეულარსას ბოლო ნაწილით. I ხმა ფრაგმენტულადაა მოღწეული, შეიცავს მხოლოდ თავნაკლულ ღალადყავსას და კურთხეულარსას (13r—14v)⁵¹⁶. ტექსტა ნაწერია კალიგრაფიული მთავრულით. აღდგომის საგალობელთა დასასრულს ანდერძია: „დიდებაჲ ღმერთსა უკუნისამდე, დაესრულნეს ჳ მ ა ნ ი, ლოცვა ყავთ, სანატრელნო და პატიოსან [ნო]“ (123v).

E ლიტერით აღნიშნული ნუსხის შემდგენელ-რედაქტორია იოვანე-ზოსიმე. მისი ხელით კიდევბსა და სტრიქონებს შორის უხვადაა ჩაწერილი დამატები-

⁵¹⁵ პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, თხზ., ტ. 3, გვ. 360—361. პ ა ე ლ ე ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ს მიერ ძველ რედაქციად მიჩნეულ აღდგომის საგალობლებს ძველ ფენად განიხილავს ლ ა ლ ი ო ო ლ ა მ ა ი ა ი ა ც (იხ. მ ის ი მიქაელ მოდრეკილის საგალობლები, მაკნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 2, 1972, გვ. 61—64).

⁵¹⁶ ხელნაწერი ცუდადაა აკინძული, I ხმის ეს ვალობები ჩართულია II ხმის მასალაში.

თი მასალა თუ ტექსტთან დაკავშირებული კომენტარები. იოვანე-ზოსიმე ამ ნუსხის ერთ-ერთი გადამწერიცაა. მისთვის დამახასიათებელი გაკრული ნუსხური-თაა ნაწერი ძველი რედაქციის აღდგომის საგალობელთა ტექსტიც. ამ საგალობლების II—VIII ხმებს უკავია 123v—131v. II ხმის დასაწყისში იოვანე-ზოსიმეს კომენტარია: „დასადებელნი წმიდისა აღდგომისანი კმაჲ ა ძუელნი, უფალო ლალად-ყავსა კმაჲ ა და გალობანი სრულიად, ზემოთ ჰპოვენ და ლოცვა ყავენ“. კომენტარის მიხედვით, ძველი რედაქციის აღდგომის საგალობელთა I ხმის მასალა „ზემოთ“, კრებულის წინა ნაწილშია შესული. დღეისათვის Sin. 34 ნუსხის ის ფრაგმენტი, რომელიც I ხმის მასალას შეიცავს, დაცულია ლაიპციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ტიშენდორფის კოლექციაში (Cod. Ms. V 1096 HB I.pzგ), ხოლო ფოტობირი—კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში. I ხმის დასასრულს იოვანე-ზოსიმეს კომენტარია: „სხუანი აღდგომისა კმანი ძუელნი და სამარადისონი სრულიად და წარდგომა-იბაკონი და ძუელნი დღესასწაულნი წინაჲთ [ჰპოვენ], ლოცვა ყავთ“. თავის მხრივ ეს კომენტარი მიუთითებს II—VIII ხმების მასალაზე, რომელიც ამ კრებულის „წინაჲთ“, მომდევნო ფურცლებზეა საძიებელი (123v—131v). I ხმის ცისკრის კანონის დასაწყისში იოვანე-ზოსიმეს კიდევ ერთი კომენტარია: „რომლისა დასადებელისა თავი აქა ვაჩინო, ზემოთ, მეხუთესა რვეულსა შინა, ჰპოო და ლოცვა ყავთ“. კომენტარი შეეხება დასაწყისებით მოტანილ იმ ტროპარებს, რომელთა სრული ტექსტი კრებულის მეხუთე რვეულშია საძიებელი. აღდგომისადმი მიძღვნილი სრული ტროპარები მეხუთე რვეულში შესული „უამნის“ ტექსტში ჩართულ კანონშია ფიქსირებული, რომლის სათაურია „დასადებელნი გამორჩეულნი“. კანონში მონაცვლეობს აღდგომის, ჭვრის, მოწამეთა, მღვდელთ-მოძღვართა, შესვენებულთა და ღვთისმშობლის მასალა⁵¹⁷. გამოცემულ ტექსტში ამ მასალასაც ვითვალისწინებთ და აღვნიშნავთ E₁ ლიტერით.

იოვანე-ზოსიმეს რედაქტირებულია F ნუსხაც. ერთი რედაქტორის ხელიდან გამოსული ეს ორი იადგარი რედაქციულად ერთად დგას. ამ ნუსხაშიც ერთმანეთის გვერდითაა ასახული იადგარის ძველი და ახალი რედაქციები. ერთ-ერთი გადამწერის, ი ვ ა ნ ე ს, ანდერძში თარიღად მოხსენიებულია 954 წ. ამ თარიღზე დაყრდნობით ნუსხის შედგენა X ს-ის შუა წლებში ივარაუდება. თარიღის დაზუსტებისათვის საყურადღებოა შემდეგი: E-ში იოვანე-ზოსიმეს ხელით კიდევ მიწერილი ზოგი ტროპარი F-ში უკვე ძირითად ტექსტშია შესული⁵¹⁸. E და F ნუსხათა ურთიერთმიმართების ამსახველი ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ F ნუსხა E-ს მომდევნოდაა შედგენილი. აღდგომის საგალობელთა ძველ რედაქციას უკავია ხელნაწერის ბოლო ფურცლები: 287v—305v, წყდება VIII ხმის გარდამოთქმანზე, დღეისათვის გალობის სათაურიღაა შემორჩენილი. საგალობელთა ძირითადი ნაწილი ნაწერია ერთი ხელით, მხოლოდ V ხმის დასაწყისი—უფალო ლალადყავსა და ოხითაჲ (298v—299v)—განსხვავებული ნუსხურით. საგალობელთა საერთო სათაურის გასწვრივ ტერმინი „ძუელი“, აგრეთვე V ხმის აქა აკურთხევდითსას მასალა (299v-ს გვერდით კიდევ) და კომენტარი

⁵¹⁷ Sin. 34 ხელნაწერის ლაიპციგურ ფრაგმენტთან, აგრეთვე უამნის ტექსტში ჩართულ აღდგომის საგალობელთა მასალასთან დაკავშირებით იხ. ლ. ხ ე ვ ს უ რ ი ა ნ ი, Sin. 34-ის შედგენილობის საკითხისათვის, მრავალთაეი, VI, თბ., 1978, გვ. 91—96.

⁵¹⁸ სინურ ხელნაწ. აღწერილობა, I, გვ. 97—99, 130.

(304 v-ს გვერდით კიდევ) ნაწერია იოვანე-ზოსიმეს გაკრული ნუსხურით. E და F ნუსხებისათვის დამახასიათებელია ხშირ შემთხვევებში ტროპართა მხოლოდ მოკლე დასაწყისებით მინიშნება.

G ნუსხა 987 წლისაა, ნაწერია ნუსხურით იოვანეს ხელით (ეს იოვანე არ არის იოვანე-ზოსიმე)⁵¹⁹, შეიცავს კერძო დანიშნულების ძლისპირსა და ღვთისმშობლისაანს, სამარადისო დასდებლებს, სულის დასდებლებსა და აღდგომის დასდებლების ძველსა და ახალ რედაქციებს. აღდგომის საგალობელთა ძველი რედაქციის ტექსტი ბოლო ფურცლებზეა წარმოდგენილი (95r—130v). ნუსხის დასასრულს, თვით გადამწერის ანდერძის მომდევნოდ (131v), მთავრულით დართულია აღდგომის დასდებელთათვის განკუთვნილი მწუხრის ფსალმუნური ხაგალობლები.

აღდგომის საგალობელთა მიმართება უძველესი იაღვარის სხვა საგალობლებთან

პირველ რიგში საეკლესია იადგარში ასახულ დღესასწაულთა და აღდგომის მასალის ურთიერთმიმართების საკითხი. შედარების შედეგად შედგა ორი ცხრილი. პირველ ცხრილში ანბანურ რიგზე მოცემულია იმ ტროპართა ნუსხა, რომლებიც საერთოა იადგარის საწელიწდო ციკლისა და აღდგომის დღესასწაულთათვის, გასწვრივ ფიქსირებულია გალობათა ხმა, რაობა და დღესასწაული. თუ მასალა აღდგომაზეც და სხვა დღესასწაულებზეც ერთნაირი ხმითა და გალობის სახელწოდებითაა შესული, კავენებში ერთხელ ვუთითებთ ხმასა და გალობის, ხოლო თუ განსხვავებულით, მაშინ ორივეს აღვნიშნავთ: ჯერ სხვა დღესასწაულთა მონაცემებს, შემდგომ — აღდგომისა. ხოლო სინანულისა და აღდგომის საგალობელთა ზიარ მასალასთან ჯერ აღდგომის დასდებელთა ჩვენებანია მოცემული, შემდგომ — სინანულისა, დასასრულ მითითებულია დღესასწაული.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ზოგი ტროპარი (№№ 12, 13, 40, 165, 170, 172) აღდგომის დასდებლებიდან ჩანს გადასული იადგარის სხვა საგალობლებში (იხ. აქვე, გვ. 859—860). იქმნება შთაბეჭდილება, რომ აღდგომის ცალკეული ტროპარები მოგვიანებითაა მოხვედრილი დიდმარხვის საგალობლებში (იხ. აქვე, გვ. 768). შესაძლოა მათ რიცხვს ზოგი სხვაეც დაემატოს, მაგრამ ძირითადი მასალა მაინც პირიქითაა საგულვებელი, რადგან აღდგომის საგალობლები იადგარის სხვა საგალობლებზე გვიანდელია.

მეორე ცხრილი პირველიდანაა გამოკრებილი. მასში საეკლესიო კალენდრის მიხედვით წარმოდგენილია ის დღესასწაულები, რომელთა მასალა ასახულია აღდგომის საგალობლებში, ხოლო გასწვრივ მიწერილია საერთო ტროპართა რაოდენობა კონკრეტული დღესასწაულისათვის. იმ ტროპართათვის, რომლებიც სხვადასხვა დღესასწაულზე სრულდება, მივმართავთ ტერმინს „ზიარი“: შობა — 16 (1 ზიარი) ნიშნავს, რომ შობის დღესასწაულის 16 ტროპარი აღდგომაზეც სრულდება, ხოლო 16-დან 1, შობისა და აღდგომის დღესასწაულთა გარდა, საზიაროა სხვა დღესასწაულისათვისაც. მოვიტანთ მეორე ნიმუშსაც, როდესაც კავენებში მხოლოდ „ზიარია“ ჩაწერილი: მამათა — 3

⁵¹⁹ პ. ბ. ნ. გ. ო. რ. ო. ყ. ე. ა., თბ., ტ. 3, გვ. 558; ც. ქ. ა. ნ. ი. ე. ე. ი., პალესტინელ გადამწერ იოვანეთა შესახებ, მრავალთავე, III, თბ., 1973, გვ. 46, 48.

(ზიარი) ნიშნავს, რომ მამათა ხსენებაზე გამოყენებული 3 ტროპარი სრულდება აღდგომის დღესასწაულზეც, მაგრამ სამივე სხვა დღესასწაულთა კუთვნილებაა. ხოლო რა მასალა და რომელი დღესასწაულისა, ამის მოძიება შეიძლება I ცხრილში. ყველა დღესასწაულის აღნუსხვას I ცხრილში და საზიარო დღესასწაულთა რიცხვის ჩვენებას II ცხრილში იმიტომ მივმართავთ, რომ დღეისათვის ქირს კვლევთ, კონკრეტულად რომელი დღესასწაულიდან გადმოვიდა მასალა აღდგომის საგალობლებში.

აღდგომის საგალობლების ტროპართა ჯამია 1633. საწელიწდო ციკლისა და აღდგომის დღესასწაულთა საერთო ტროპარების რიცხვი I ცხრილის მიხედვით 212-ია. მათ შორისაა 41 ტროპარი, რომელიც აგრეთვე საზიაროა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ უკვე აღდგომის მასალა გადასული სინანულის დასდებლებში (ამათან დაკავშირებით იხ. ქვემოთ, გვ. 918).

I ცხრილი

1. აღდგომაჲ ქრისტჳსი ვიხილეთ⁵²⁰ (VII უფ. ღღ.—VII აქა აკ., აქ.)—განრღვეულისა.
2. აღდგომითა უფლისაჲთა ჯოჯოხეთი შეიმუსრა (VIII დსდ.—VIII აქა აკ.)—აღესება.
3. აღიღებს სული ჩემი უფალსა (VI,9)—განცხადების ზატიკი.
4. აემართა ძლიერი ბექედი შენი (III ჯრ.—III აქ.)—სინანულისა.
5. ამალდა ნიში ჭუარისა შენისაჲ (IV აქ.—IV ჯრ.)—ჯვართა აპყრობა.
6. ანგელოზთა განწყობილებითა (VII,9)—განცხადების ზატიკი.
7. ანგელოზთა ერნი შენდა დიდებასა შესწირვენ (VIII სწმ.)—იაკობ მოციქულისა და იოვანე მახარებლისა, განრღვეულისა, იოვანე ნათლისმცემლის შობა, ფერისცვალება.
8. აღმოედინ განკრწნისაგან (II,6)—თევდორობა, მოციქულთა.
9. აჰკედ ძელსა ზედა, ვითარცა ჯერ-იჩინე (I,6)—ენების შაბათი.
10. აჰკედ ძელსა ზედა სიტყუაჲ ეგე (IV,9)—ჯვართა აპყრობა.
11. გადიღებთ შენ, სახარულევანო (VII,9)—განცხადების ზატიკა.
12. გადიღებთ შენ, ქალწულო (II,9)—თევდორობა.
13. გადიღებთ შენ ყოველი თესლები (I,9)—ფერისცვალება, ღეთისმშობლის შობა.
14. გალობასა შენდა შევსწირავთ (I,8)—ღეთისმშობლის შობა.
15. გამოუბრწყინდა მადლი შენი (I,4)—განცხადება.
16. განანათლე, ქველის-მოქმედ (I,3)—განცხადება.
17. განანათლენ ეკლესიანი (IV უფ. ღღ.—IV აქა აკ.)—მიგებება.
18. განმადლიერე მე, ქრისტე, დამამტკიცე (II,3—VI,3)—მოციქულთა.
19. განმადლიერე მე, ქრისტე, რომელი ქალწულისაგან (I,3)—განცხადება.
20. გაქებთ შენ, ქრისტე (II აქ.)—სტეფანესი.
21. გიგალობთ შენ, ქალწულო (IV უფ. ღღ.—III უფ. ღღ.)—მიგებება.
22. გიხაროდენ, დედაო ნათლისაო (I შსხ.—I აქ.)—სინანულისა.
23. გიხაროდენ, მარიამ, კაცთა სიქადულო (VIII შსხ.—VIII აქ.)—სინანულისა.

⁵²⁰ კერძისა და სტრიქონის მოძიება შეიძლება ტროპართა საძიებლის საშუალებით.

24. გიხაროდენ ცასა და საყდარსა (I შსხ.—I აქ.)—სინანულისა.
25. გვკსნენ ჩუენ ყოვლისაგან ქირისა (III აქ.)—სინანულისა.
26. დაგვცვენ შენნი მოსაენი (I, 2—I, III, 2)—სულთა.
27. დაებეჭდე საფლავსა შინა (I, 7)—ენების შაბათი.
28. დაუსაბამოჲსა სიტყვსა სამკვდრებელო ტაძარო (III, 9)—მარიაშობა.
29. დაფარნა ცანი შუენიერებაჲმან (II, 4—IV, VI, 4)—მოციქულთა.
30. დედაჲ მეუფისაჲ (IV, 9)—მთავარანგელოზთა.
31. დედაო კაცთმოყუარისა ღმრთისაო (VII აქ.)—სინანულისა.
32. დედასა შენსა, ქრისტე, ღმრთისმშობელსა (III, 3)—მარიაშობა.
33. დიდებაჲ შენდა, დიდებაჲ შენდა, მეუფეო დიდებისაო, რომელი ნეფსით (I, 2)—სულთა.
34. დიდი საყუდელი (IV უფ. ლღ., შსხ.—IV აქ.)—სინანულისა.
35. დიდითა წყალობითა შენითა, ქრისტე (II სწმ.)—მღვდელთ-მოძღვართა.
36. დიდო ძალო ქერობინთაო (VIII შსხ.—VIII აქ.)—სინანულისა.
37. ევაჲ განკვესენ, ქალწულო, შობითა შენითა (I, 3)—ღვთისმშობლის შობა.
38. ევედრე ღმერთსა, რომელი შევ (VIII, 4)—შობა.
39. ერნი წინაშე დგანან (V სწმ.)—ლაზარობა, ჩვილთა ყრმათა, ფერისცვალება.
40. ვადიდებდეთ ყოველნი ქალწულსა (IV, 9)—ანტონისი.
41. ვაკურთხევდეთ მამასა მოწყალესა (VIII, 8—VIII ოხ.)—სინანულისა.
42. ვაქებდეთ ღმერთსა, მამასა მოწყალესა (VII აქ.—I აქ.)—განცხადების ზატიკი.
43. ვინ არს, ვითარ უფალი (II სწმ.)—ჯვრის გამოჩინება.
44. ვლადებთ შენდა, ქრისტე, რომელი ჰზი (V, 6)—ღვთისმშობლის შობა.
45. ზღუდე ჩუენდა იქმნა ჯუარი (IV აქ.—IV ჯრ.)—ჯვართა აპყრობა.
46. თავს-იდეჲ ვნებაჲ ნეფსით (I, 7)—ენების შაბათი.
47. თანა-არსსა მამისასა, ძესა მხოლოდშობილსა (IV, 7)—ჯვართა აპყრობა.
48. თესლისაგან დავითისა (III, 6)—მარიაშობა.
49. ისრაელი მონებისაგან იქსენ (VIII, 1)—შობა.
50. იქადიან წმიდანი დიდებითა (VI აქ.—III აქ.)—თევდორობა.
51. იხარებს წმიდაჲ ეკლესიაჲ (IV უფ. ლღ.—IV აქა აქ.)—მიგებება.
52. იხილეთ, იხილეთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი—(VIII, 2) შობა.
53. იხილეს ყოველთა დაბადებულთა (IV, 9)—მიგებება.
54. კეთილი საუნჯე (IV უფ. ლღ.—IV აქ.)—სინანულისა.
55. კლდენი განიჰნეს (VIII უფ. ლღ.)—ენების შაბათი.
56. კრებულ არიან ანგელოზნი (IV აქ.—IV, V კლთბ.)—ამაღლება.
57. კრებული მთავარანგელოზთაჲ (I სწმ.)—ხორციელი.
58. კურთხეულ არს ქრისტე (VI, 9)—განცხადების ზატიკი.
59. კურთხეულ ხარ შენ შორის დედათა (VIII, 9—VIII აქ.)—სინანულისა.
60. მადლი მოციქულთაჲ (III, 8)—ორმოცთა მოწამეთა.
61. მარადის ღმრთისმშობელო (VIII, 1)—შობა.
62. მესამესა დღესა ასდევ მკუდრეთით (IV, 9)—ამაღლება.
63. მესმა სმენაჲ შენი (III, 4)—მიგებება, მარიაშობა.
64. მესმა სმენაჲ კორცშესხმისა შენისაჲ (VIII, 4)—შობა.
65. მესმა, უფალო, სმენაჲ შენი და გადიდებთ (I, 4)—ხარება.

66. მეუფეო დიდებისაო, გუაცხოვენ ჩუენ (III, 1) — ორმოცთა მოწამეთა.
67. მთავრობათა (+ და კელმწიფებათა) დაუკუირდა (IV, 9) — მთავარანგელოზთა.
68. მოვედით, ერნო, დიდებასა შევესწირვიდეთ (VIII, 2) — განცხადების ზატიკი.
69. მოველოდე წყალობასა (IV, 2) — ჭვართა აპყრობა.
70. მოიხილე, მაღალო, წყალობითა (IV, 2) — ჭვართა აპყრობა.
71. მოიხილე, ცაო, და ვიტყოდით და უგალობდეთ (I, II, IV, 2 — I, II, 2) — ბზობა, მარტვილია, მოციქულთა, მარიაშობა, ღვთისმშობლის შობა, ენკენია, ჭვართა აპყრობა.
72. მოიხილე, ცაო, და ვიტყოდით და უფროჲსად (I, III, IV, 2 — III, IV, 2) — მღვდელთ-მოძღვართა, მიგებება, ორმოცთა მოწამეთა, მთავარანგელოზთა.
73. მოსე ვითარ იხილა (IV, 2) — ჭვართა აპყრობა.
74. მოსლევასა შენსა, ქრისტე (VIII უფ. ღღ.) — ვნების შაბათი.
75. მოსცა უფსკრულმან (I, 4) — განცხადება.
76. მოციქულთა კრებულმან (IV, 9, ღღ. — VIII აქა აქ., აქ.) — აღვსება, ახალკვირიაკე.
77. მწუხრისა გლობასა შევესწირავთ შენდამი, ქრისტე, შეიწირე (V უფ. ღღ.) — დიდმარხვის II კვირის ორშაბათი და III კვირის სამშაბათი.
78. მწუხრისა ლოცვაჲ (I უფ. ღღ. — I, II უფ. ღღ.) — ჩვილთა ყრმათა.
79. მხოლოო, მოწყალეო (V, 6) — სულთა.
80. მხოლოსა შორის დედათა (I, 3) — ღვთისმშობლის შობა.
81. ნათელ ხარ შენ, ქრისტე, ნათლითა შენითა (VIII, 5) — იოვანე ნათლისმცემლის შობა.
82. ნათელი გამოჩინებული (VI ჭრ. — VI აქ.) — სინანულისა.
83. ნათელი მოვიდა (IV უფ. ღღ. — IV აქა აქ.) — განცხადების ზატიკი, მიგებება.
84. რაჲ მივაგოთ უფალსა (VI კლთბ. — VII კლთბ.) — აღვსება.
85. რომელთა მოვიდეთ ნიში (II ჭრ. — II აქ.) — სინანულისა.
86. რომელი აჰმალდი (IV, 7) — ჭვართა აპყრობა.
87. რომელი თაყუანის-იციებები (III, 8) — ვნების ხუთშაბათი, მარიაშობა.
88. რომელი იშვეჲ ქალწულისაგან, ღმერთ რაჲ ხარ (IV, 7) — ჭვართა აპყრობა.
89. რომელი იშვეჲ, ქრისტე, ქალწულისაგან და წიაღთაგან მამისათა (VIII, 7) — შობა.
90. რომელი მამრსა და სულისა წმიდისა თანა (IV, 9) — ამალეება.
91. რომელი მაყულოვანსა შინა გამოუჩნდი ცეცხლითა (I, 7) — მღვდელთ-მოძღვართა, განცხადება, ვნების შაბათი, მარტვილია, ფერისცვალება, სულთა.
92. რომელი მთასა ზედა მოსეს თანა ზრახვედი (IV, 7) — ანტონისი, მიგებება, გიორგობა, ჭვართა აპყრობა.
93. რომელი მთასა წმიდასა (VIII, 8) — შობა.
94. რომელი სამებით და ერთარსებით იდიდების (II, 8) — ენკენია.
95. რომელი საფლავსა დაიდევ (I, 7) — ვნების შაბათი.
96. რომელი საშოსა დაემკჯდრა ქალწულისასა (VIII, 7) — შობა.
97. რომელი ქალწულისაგან უთესლოდ (VII, 8 — VIII, 8) — განცხადების ზატიკი.

98. რომელი ძელსა ზედა (I,7)—ენების შაბათი.
99. რომელი კორციელ იქმენ ქალწულისაგან (IV,1—I,1)—ბზობა.
100. რომელმან დასაბამითგან დამონებულნი (I,9)—ენების შაბათი.
101. რომელმან დასაბამსა ცანი (VIII,7)—შობა.
102. რომელმან სამთა ყრმათა (VIII,7)—შობა.
103. რომელმან სიტყუითა ღმერთი (I,1)—ბზობა.
104. რომელმან ქალწული შემდგომად შობისა (IV,6)—მიგებება, ჭვართა აპყრობა.
105. რომელმან წინაწარმეტყუელთა კმანი (I აქ.—II,9)—ენენია.
106. რომელსა ქებით (VII აქ.)—სინანულისა.
107. საკვრველებათა მოწყალებისა შენისათა (III,4)—მარიამობა.
108. სამებაჲ ღმერთი (IV,8)—ამაღლება.
109. სამებასა ერთარსებასა მორწმუნენი (I,7)—მღვდელთ-მოძღვართა, მამათა, იოვანე ნათლისმცემლის შობა, ღვთისმშობლის შობა, გიორგობა.
110. სამებასა თაყუანის-ვსცემ(დ)თ (III,7)—მარიამობა.
111. სამთა ყრმათა საკუმილსა შინა სამებზისა ძლიერებითა მეფესა (II,7)—მოციქულთა.
112. სამთა ყრმათა საკუმილსა შინა სამებისა ძლიერებითა ცეცხლისა აღი (III,7)—მარიამობა.
113. სასოო სოფლისაო (III უფ. ღღ.—III,9)—დიდმარხვის VI კვირის ოთხ-შაბათი.
114. საფარველი ჩუენი (VIII ჳრ.—VIII აქ.)—სინანულისა.
115. საშინელისა და უხილავისა (VI სწმ.)—ამაღლება, მოციქულთა.
116. საშოხსაგან ქალწულისა გამოხუედ (VIII,6)—შობა.
117. საკურველად საძლეველად (IV აქ.—IV ჳრ.; IV ჳრ.—IV აქ.)— ჭვართა აპყრობა, აღდგომის იბაკო, სინანულისა.
118. სიკუდილი მოაკუდინა (I,1)—სულთა.
119. სიმრაველთაგან ცოდვათა ჩემთაჲსა (VIII,5)—შობა.
120. სიმტკიცე და ლხინებაჲ (III,3)—ორმოცთა მოწამეთა.
121. სიტყუაჲ კორციელ იქმნა (I,6)—ხარება.
122. სიქადულო სოფლისაო (I აქ.—I შსხ.)—დიდმარხვის II კვირის პარასკევი.
123. სიღრმესა ცოდვათა ჩემთასა (IV,6)—მიგებება.
124. ტაძარი ხარ მაცხოვრისაჲ (I შსხ.—I აქ.)—სინანულისა.
125. უბიწოო ღმრთისმშობელო, ქალწულო (I,2)—ხარება, სულთა.
126. უფალო, და ვითარცა გამოხუედ დაბეჭდულით საფლავით (V ოხ.—V უფ. ღღ.)—აღვსება, ახალკვირიაკე.
127. უფალო, დაბეჭდულისაგან საფლავისა (კლთბ.—V უფ. ღღ.)—ახალკვირიაკე.
128. უფროხსად გიგალობთ შენ, ყოლად წმიდაო ქალწულო (III,4)—მარიამობა.
129. უხრწნელო დედაო (III,1)—მარიამობა.
130. ფარაო ეტლებითურთ (I,1)—მღვდელთ-მოძღვართა, ბზობა, მარტილია, სულთა.
131. ქალწულად და დედად შენ გადიდებთ (I,4)—ღვთისმშობლის შობა.
132. ქალწულებაჲ შენი (II,9)—ენების პარასკევი, მოციქულთა.

133. ქალწულმან შევ, გამოუცდელი (VIII,3)—შობა.
134. ქალწულმან (ქალწულო, რომელმან) შევ მაცხოვარი (VII,4—VII აქ.)—სინანულისა.
135. ქალწულო დედაო, უსძლოო (V,3—V აქ.)—სინანულისა.
136. ქალწულო კურთხეულო, დიდებულო (VII აქ.)—სინანულისა.
137. ქალწულო, რომელმან შევ (VII,9—VII აქ.)—დიდმარხვის VI ხუთშაბათი.
138. ქალწულსა შემდგომად შობისა (VIII,5)—შობა.
139. ქებაჲ შენდა, ქრისტე (IV აქ.)—სინანულისა.
140. ქერობინთა ზედა მჭდომარესა (IV,3)—ჯვართა აპყრობა.
141. ქმნულნი კელთა შენთან (VII აქ.)—სინანულისა.
142. ქრისტე შენგან კორციელად იშვა (IV,9)—ამაღლება.
143. ღამითგან აღვიმსობთ, გიგალობთ (VIII,5)—შობა.
144. ღამითგან აღვიმსობთ, უფროასად გიგალობთ (III,5)—მარიამობა, ორმეოცთა მოწამეთა.
145. ღამითგან აღვიმსობთ, შენდა დიდებასა შევესწირეთ (I,5)—ენკენია, სულთა.
146. ღამისა წარსლვითა მოგუეახლა (II,5)—ენების პარასკევი.
147. ღალადებასა შენდა შევესწირავთ, უფალო, რომელი განზრახვით (I უფ. ღლდ.)—ენების პარასკევი.
148. ღალად-ვყავ სულთქუმით (III,6)—ორმეოცთა მოწამეთა, მარიამობა.
149. ღალად-ვყავ (ვლალატ-ყავ) კირთა გულისა ჩემისაჲთა (I,6)—ენების შაბათი, ბზობა, ფერისცვალება.
150. ღალად-ვყავ (ვლალატ-ყავ) კირსა ჩემსა მოწყალისა მიმართ ღმრთისა (I,6)—ხარება, მღვდელთ-მოძღვართა, ენების შაბათი.
151. ღალატ-ვყავ შენდამი (VII უფ. ღლდ.)—დიდმარხვის V კვირის კვირა ღღე.
152. ღალატ-ვყავ კირსა ღმრთისა მიმართ მოწყალისა (V,6)—განცხადება, მარტვილია, ღვთისმშობლის შობა, ენკენია.
153. ღმრთისმშობელო, სასოო (III უფ. ღლდ. და შსხ.—III აქ.)—დავით-იაკობისი, სინანულისა.
154. ღმრთისმშობელო ქალწულო, მიიღე სინანული (VII იბაკო—VII შსხ.)—ლიტანიის იბაკონი.
155. ღმრთისმშობელო ქალწულო, ყოლად ძალ-გიც (VI შსხ.—VI აქ.)—სინანულისა.
156. ღმრთისმშობელო ქალწულო, შენ ხარ კიდობანი სიწმიდისაჲ (V შსხ.—V აქ.)—სინანულისა.
157. ყოველნი მამასა და ძესა და წმიდასა სულსა უგალობდეთ, მორწმუნენი (I,7)—მამათა, ფერისცვალება.
158. ყოველნი საქმენი ღმრთისანი და ყოველი დაბადებული (IV,8)—აბოსი, ანტონისი, მარიამობა, ჯვართა აპყრობა, თეკლასი.
159. ყოველნი საქმენი შენნი გაქებენ (II,8)—განცხადების ზატიკი.
160. ყოველნი საქმენი შენნი კეშმარიტებით არიან (I,7)—ბზობა, ღვთისმშობლის შობა.
161. ყოლად ნათელი ქალწული (I,9—I შსხ.; I შსხ.—I აქ.)—მამათა, ღვთისმშობლის შობა, სინანულისა.

162. ყოლად წმიდაო ღმრთისმშობელო, დღეთა (VI შსხ.—VI აქ.)—სინანულისა.
163. შენ, გამოუცდელი ქორწინებისაგან (VIII,4)—განცხადების ზატიკი.
164. შენ გაქებენ მკედრობანი ანგელოზთანი (IV, V სწმ.)—იოვანე ნათლისმცემლის თავის კვეთა.
165. შენ, ღედასა ნათლისასა (III,9)—ენების ხუთშაბათი, მარიაშობა.
166. შენ, დიდებულო ღმრთისმშობელო (I,9)—მარტვილა.
167. შენ, ზეცისა ბქე, კარაიე სიწმიდისა (I,9)—მღვდელთ-მოდღვართა, განცხადება, ღეთისმშობლის შობა.
168. შენ, მეუფეო, რომელსა განწყობილნი ანგელოზნი (IV,8)—მთავარანგელოზთა.
169. შენ, ნათლისა ღედასა და ქალწულსა (IV,9)—ამაღლება, ჟვართა აპყრობა.
170. შენ, რომელი გიხილა, ჰქვე (1,9)—სტეფანესი.
171. შენ, სამებასა, გაკურთხევთ (1,8)—მარტვილა, ღეთისმშობლის შობა.
172. შენ, უკუდავების წყაროსა (III,9)—მარიაშობა.
173. შენ, ქრისტე, გაკურთხევთ, ვითარცა მოწყალე ხარ (I,8)—ღეთისმშობლის შობა.
174. შენ, ქრისტე, რომელი მსახურთა მიერ (V,9)—ენების პარასკევი.
175. შენ, ქრისტე, რომელმან გვრგვინოსან ჰყვენ (V,9)—განცხადების ზატიკი.
176. შენ, ქრისტე, რომელსა გიგალობენ (V,9)—განცხადების ზატიკი.
177. შენ, ღმერთო ჩუენო, რომელმან ჰბრძანე (IV,8)—მთავარანგელოზთა.
178. შენდა მსხუერპლსა შეეწირავეთ (IV სწმ.)—თევდორობა.
179. შენი მშვდობაა მომეც ჩუენ (III,5)—მარიაშობა.
180. შთამაგდეს მე სიღრმესა (II,6—VIII,6)—შობა, თევდორობა.
181. შიშსა შენსა, მაცხოვარ (III შსხ.—III აქ.)—სინანულისა.
182. ჩუენ მოსრულ ვართ ვედრებად შენდა (II შსხ.—II აქ.)—სინანულისა.
183. ცანი ცათანი და ანგელოზნი (VI,8)—განცხადების ზატიკი.
184. ძელი ცხორებისაჲ, ჟუარი შენი (VII უფ. ღლდ.—VII ჟრ.; VII ჟრ.—VII აქ.)—ენების პარასკევი, სინანულისა.
185. ძელითა (ჟუარითა) დაქსენ ცოდვაჲ (IV,4)—ჟვართა აპყრობა.
186. ძელმან ჟუარისა შენისამან, ქრისტე, სიკუდილი დათრგუნა (IV,9)—ამაღლება.
187. ძმ ღმრთისაჲ ამაღლდა (I უფ. ღლდ.—I ჟრ.)—ენების პარასკევი.
188. ძლიერ ხარ შენ, უფალო (I,3—VIII,3)—ფერისცვალება.
189. ძლიერებაჲ ჟუარისაჲ გამობრწყინდა (VI უფ. ღლდ.—II, VI ჟრ.)—ღიდმარხვის V სამშაბათი.
190. წინამძღუარსა ცხორებისასა აკურთხევდით ყრმანი (V,8)—განცხადების ზატიკი.
191. წინამძღუარსა ცხორებისა ჩუენისა (V კლთბ.)—ენების შაბათი.
192. წინაშე შენსა, ღმრთისმშობელო, მოვივლტით (IV შსხ.—IV აქ.)—სინანულისა.
193. წმიდაჲ წმიდათაჲ ღმრთისმშო (V,9—V უფ. ღლდ.)—ენების პარასკევი.
194. წმიდაჲ წმიდათაჲ, წმიდაჲ ქალწული (VIII შსხ.—VIII აქ.)—სინანულისა.

195. წმიდაო დედოფალო, ღმრთისმშობელო, ლხინებაჲ შენმიერი (II შეს.—II აქ.)—დიდმარხვის IV კვირის ოთხშაბათი, სინანულისა.
196. ჳირსა ჩემსა უფლისა მიმართ (IV,6)—მიგებება.
197. კმასა ანგელოზისასა ელაღადებ(თ) შენდამი (IV,5)—ჯვართა აპყრობა.
198. ჳორცი უფლისაჲ, სისხლი მაცხოვრისაჲ (V სწმ.) — დავეით-იაკობისი, მღვდელთ-მოძღვართა, ჳაქარისა დაღუმება, ჳვრის გამოჩინება.
199. ჳუარი არს სიქადულ (II, VIII ჳრ.—II აქ.)—სინანულისა.
200. ჳუარი შენი ამალღდა (VIII ჳრ.—VIII აქ.)—სინანულისა.
201. ჳუარი შენი, ჳრისტე, ჳეციით გამოჩნდა (V ჳრ.—V აქ.)—სინანულისა.
202. ჳუარი წმიდაჲ, სასოჲ მორწმუნეთაჲ (I ჳრ.—I აქ.)—სინანულისა.
203. ჳუართა განცხადნა (VIII ჳრ.—VI აქ.)—სინანულისა.
204. ჳუართა სიკუდილი მოაკუდინე (I უფ. ღღღ.)—ვნების პარასკევი.
205. ჳუართა ჳრისტემან სიკუდილი წარმოტყუენა (I, 1)—სულთა.
206. ჳუარისა შენისა აღმართებითა (II, 5)—ვნების პარასკევი.
207. ჳუარმან შენმან, ჳრისტე, განანათლნა (V ჳრ.—V აქ.)—სინანულისა.
208. ჳუარსა დაემრჳულაჲ განზრახვიით (II, 5—I, 6)—ვნების პარასკევი.
209. ჳუარსა დაემრჳულაჲ, ვენაჯი (VII უფ. ღღღ.—VII ჳრ.)—ვნების პარასკევი.
210. ჳუარსა პატიოსანსა ყოღადვე ვაღიღებღეთ (III ჳრ.—III აქ.)—სინანულისა.
211. ჳუარსა ჳრისტესსა თაყუანის-ცემად (VII ჳრ.—VII აქ.)—სინანულისა.
212. ჳუარსა შენსა პატიოსანსა თაყუანის-ვსცემთ (III წარღგომა-იბაკონი—III ჳრ.)—აღდგომის იბაკონი.

II ცხრილი

1. ხარება	4 (2 ჳიარი)
2. 25. XII, შობა	16 (1 ჳიარი)
3. 26. XII, დავეით-იაკობისა	2 (ჳიარი)
4. 27. XII, სტეფანესი	2
5. 29. XII, იაკობ მოციქულისა და იოვანე მახარებლისა	1 (ჳიარი)
6. 1. I, მღვდელთ-მოძღვართა	8 (7 ჳიარი)
7. 6. I, განცხადება	7 (3 ჳიარი)
8. 7. I, აბოსი	1 (ჳიარი)
9. განცხადების ჳატიკი	14 (1 ჳიარი)
10. 17. I, ანტონისი	3 (2 ჳიარი)
11. 28. I, მამათა	3 (ჳიარი)
12. 29. I, ჳვრის გამოჩინება	1
13. 2. II, მიგებება	11 (5 ჳიარი)
14. ხორციელი	1
15. დიდმარხვის I კვირის შაბათი, თვეღორობა	4 (2 ჳიარი)
16. „ II კვირის ორშაბათი	1 (ჳიარი)
17. „ II კვირის პარასკევი	1
18. „ III კვირის სამშაბათი	1 (ჳიარი)
19. „ IV კვირის შაბათი, ორმეღოტა მოწამეთა	6 (3 ჳიარი)

20.	დიდმარხვის V კვირის კვირა დღე	1
21.	„ V კვირის სამშაბათი	1
22.	„ VI კვირის ოთხშაბათი	1
23.	„ VI კვირის ხუთშაბათი	1
24.	„ VI კვირის შაბათი, ლაზარობა	1 (ზ-არი)
25.	ენების კვირის ხუთშაბათი	2 (ზიარი)
26.	„ „ პარასკევი	12 (3 ზიარი)
27.	„ „ შაბათი	12 (3 ზიარი)
28.	ბზობა	6 (4 ზიარი)
29.	აღვსება	4 (2 ზარი)
30.	ახალკვირიაკე	3 (2 ზიარი)
31.	ზატიკის II კვირის შაბათი, განრღვეულისა	2 (1 ზიარი)
32.	ზატიკის III კვირის ხუთშაბათი, ჩვილთა ყრმათა	2 (1 ზიარი)
33.	ამაღლება	8 (2 ზიარი)
34.	მარტვილია	6 (5 ზიარი)
35.	მოციქულთა	7 (4 ზიარი)
36.	25. VI, იოვანე ნათლისმცემლის შობა	3 (2 ზიარი)
37.	6. VIII, ფერისცვალება	7 (6 ზარი)
38.	15. VIII, მარიამობა	17 (7 ზიარი)
39.	29. VIII, იოვანე ნათლისმცემლის თავის კვეთა	1
40.	8. IX, ღვთისმშობლის შობა	14 (8 ზიარი)
41.	13. IX, ენკენია	5 (3 ზიარი)
42.	14. IX, ჭვართა აპყრობა	18 (6 ზიარი)
43.	24. IX, თეკლასი	1 (ზიარი)
44.	27. IX, ზაქარიას დაღუმება	1 (ზიარი)
45.	23. IV; 3. XI, გიორგობა	1 (ზიარი)
46.	14. XI, მთავარანგელოზთა	5 (1 ზიარი)
47.	სულთა	9 (4 ზიარი)
48.	სინანულისა	38 (4 ზიარი)
49.	ლიტანიის იბაკონი	1
50.	აღდგომის იბაკონი	2 (1 ზიარი)

საერთო მასალა დაიძებნა თითქმის ყველა დღესასწაულზე სხვადასხვა პროპორციით. თანხვედრილ ტროპართა ყველაზე მეტი რაოდენობა დადასტურდა შობაზე—16 (1 ზიარი), განცხადების ზატიკზე—14 (1 ზიარი), ენების კვირაზე—26 (8 ზიარი), მარიამობაზე—17 (7 ზიარი), ჭვართა აპყრობაზე—18 (6 ზიარი). შემთხვევათა უმრავლესობაში სხვა დღესასწაულთა და აღდგომის საერთო ტროპარები ერთსა და იმავე გალობასა და ხმას განეკუთვნებიან.

საერთო ტროპარებად მივიჩინეთ ისინი, რომლებიც: ა. ზედმიწევნით თანხვედებიან (№№ 1, 2, 5, 17, 20, 24, 31, 35, 36, 38, 41, 47—49, 51, 57—59, 61, 63—65, 71, 72, 77, 79, 84, 86, 88—90, 93, 95—99, 102, 104, 106, 108, 116, 117, 119, 121, 123—126, 128, 130, 132, 135, 137, 138, 140—143, 146, 147, 150, 151, 154—158, 160, 162, 163, 165, 166, 168, 169, 177, 179—182, 184, 185, 187, 188, 192—195, 198, 200, 205—207, 210, 212).

ბ. მხოლოდ ვარიანტულ სხვაობებს გვიჩვენებენ (№№ 4, 7, 29, 33, 39, 52, 60, 67, 83, 115, 129, 134, 196).

გ. მოკვეცილი აქვთ ბოლო ან ერთვით განსხვავებული რეფრენი (№№ 3, 6—14, 18, 19, 22, 23, 25—28, 30, 32, 34, 37, 40, 42—46, 50, 53—55, 62, 68—70, 73, 74, 76, 78, 80—82, 85, 87, 91, 92, 94, 100, 101, 103, 105, 109—114, 118, 122, 127, 131, 133, 136, 139, 147—149, 152, 153, 159, 161, 164, 167, 170—174, 178, 183, 189—191, 197, 199, 201—204, 209).

დ. აშკარად ატარებენ იმგვარად გადაკეთების კვალს, რომ სხვა დღესასწაულისთვის განკუთვნილი მასალა აღდგომის თემას მიესადაგოს (№№ 15, 16, 21, 56, 66, 75, 107, 120, 145, 175, 176, 186, 208).

საგულისხმოა და პუნქტში თავმოყრილ ტროპართა ურთიერთშეპირისპირება, რომლებიც გადაკეთებულია აღდგომის დღესასწაულზე გამოსაყენებლად. კაეებში მოცემულია აღდგომის საგალობელთა ვარიანტი:

№ 16. „განანათლე, ქველის-მოქმედ, ნათლისღებითა (აღდგომითა) შენითა კაცთა ნათესავი, რამეთუ არავინ არს წმიდად შენსა გარეშე, უფალო“ — (I, 3) განცხადება, აღდგომა. ნათლისღების დღესასწაულის ტროპარი ასევე წარმატებით შესრულდება აღდგომაზეც, თუ „ნათლისღებითას“ შეენაცვლება „აღდგომითა“.

№ 21. „გიგალობთ შენ, ქალწულო, ღმრთისმშობელო უბიწოო, ქერაბინებრ სიმტკიცეო, რომლისაგან ღმერთი იშვა, რამეთუ შენ მხოლოდ ექმენ წყარო უკრწნელების, რომლისა მიერ განათლდეს დაბადებულნი მიქუმითა მაცხოვრისაათა დღეს მკლავთა ზედა მოხუცებულისა სუმეონისთა (რომელმან აღმოგვეცნე ყოველთა ცხორებაჲ, რომლისაგან აღმოვიცნებთ კურნებასა)“ — (IV უფ. ღღ.) მიგებება, (III უფ. ღღ.) აღდგომა. მიგებებაზე საგალობელი ტროპარის ბოლო ფრაზის შეცვლა სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ იგი აღდგომაზეც შესრულდეს.

№ 56. „კრებულ არიან ანგელოზნი ყოველნი ზეცას და უხარის, დღეს იშუებს ყოველი დაბადებული ამაღლებისათვის ზეცად (აღდგომისათვის მკუდრებით) მაცხოვრისა უფლისა, რამეთუ ყოველი საცთური კერპთაჲ დაჰკანდა და აწ ქრისტე სუფევს უკუნისამდე“ — (IV აქ.) ამაღლება, (IV კლბ.) აღდგომა. „ამაღლებისათვის ზეცად“ და „აღდგომისათვის მკუდრებით“ კარგად გამოხატავენ დღესასწაულის ხასიათს. ამგვარ თემატურ გადაშუაება-გადაკეთებას ადგილი აქვს სხვა შემთხვევებშიც (№№ 15, 66, 75, 107, 120, 145, 175, 176, 186, 208). ამგვარად, საკმარისია ცალკეული სიტყვებისა თუ ფრაზების შეცვლა, რომ ნათლისღების, მიგებების, ამაღლების, ორმოცთამოწამის. ვნების კვირის პარასკევისა თუ ენცენიის მასალა სავსებით მიესადაგოს აღდგომის დღესასწაულს.

დასასრულ, იმ თანხვედრილ ტროპართა შესახებ, რომლებიც საერთოა აღდგომისა და სინანულის დასდებელთათვის. სინანულის დასდებლებთან დაკავშირებით გარკვეულია, რომ ეს საგალობლები შედგენილია იადგარის სხვადასხვა ნაწილებიდან აღებული საგალობლების კომპილაციის საფუძველზე, რომელთა შორის აღდგომის დასდებლებიცაა. ამის საფუძველზე სინანულის დასდებელთა შედგენა ქრონოლოგიურად აღდგომის დასდებელთა მომდევნოდ ივარაუდება⁵²¹. მასალის შეჭერების შედეგად გამოჩნდა, რომ აღდგომის საგა-

⁵²¹ აქვე, გვ. 918.

ლობელთა 41 ტროპარი ასახულია სინანულის საგალობლებში, ამათგან 22 ლეთისმშობელს მიემართება (№№ 22—25, 31, 34, 36, 54, 59, 124, 134 — 136, 153, 155, 156, 161, 162, 182, 192, 194, 195), 14—ჯვარს (№№ 4, 82, 85, 114, 117, 184, 199—203, 207, 210, 211), 4—მაცხოვარს (№№ 106, 139, 141, 181), ხოლო ერთი მამისა, ძისა და სულიწმიდის მიმართ ალავლენს ღიღებას (№ 41). ზიარი მასალა ორივეგან ან ერთი ვალობითაა შესული (აქებდითსა: №№ 25, 31, 106, 136, 139, 141), ან სხვადასხვა, მაგრამ კანონზომიერად მონაცვლე ვალობებით. მხედველობაში გვაქვს ლეთისმშობლესადმი მიძღვნილი ერთი და იგივე ტროპარები, რომლებიც თანაბარი წარმატებით ერთვის მწუხრის უფალო ღაღადყავსას, ცისკრის კანონის აღიდებდითსა ვალობას ან ცისკრისავე აქებდითსას და შეხულია შესხმანშიც, ეს უკანასკნელი ზოგან არც არის გამოყოფილი აქებდითსასაგან: უფალო ღაღადყავსა — აქებდითსა (№ 54), აღიდებდითსა—აქებდითსა (№ 59). შესხმანი—აქებდითსა (№№ 22 — 24, 34, 36, 124, 153 155, 156, 161, 181, 182, 194). მხოლოდ თითო შემთხვევა დადასტურდა განძლიერდასა—აქებდითსას (№ 135), უფალო მესმასა—აქებდითსას (№ 134) და აკურთხევდითსა — ოხითას (№ 41) მონაცვლეობისა. კანონზომიერება დადასტურდა ჯვრისადმი მიძღვნილ ტროპარებთან დაკავშირებითაც. აღდგომის დასდებელთა ის მასალა, რომელშიც თემატურად ჯვარია ასახული და ჯუარისანი ვალობაშია თავმოყრილი, სინანულის დასდებლებში, როგორც წესი, აქებდითსადაა გადასული (№№ 4, 82 85, 114, 117, 184, 199—203, 207, 210, 211).

ამგვარად, აღდგომის დასდებელთა მასალა სინანულის დასდებლებისთვის აქებდითსაა. გამონაკლისია აკურთხევდითსას ერთადერთი ტროპარი, რომელიც სინანულის დასდებლებში მწუხრის ოხითას ფუნქციას ასრულებს.

ჰილ-ატრატის იაღვარის აღდგომის საგალობლები

ქილ-ეტრატის იაღვარში აღდგომის საგალობლებს მხოლოდ შვიდიოდე ფურცელი უკავია. მიუხედავად ამისა, ამ ნუსხისათვის დამახასიათებელი ხშირი დაქარაგმებისა და ზოგან ტროპართა მხოლოდ დასაწყისების მინიშნების წყალობით, რამდენიმე ფურცელზე საკმაო მასალა იყრის თავს. ტექსტი იწყება თავიდანვე, I ხმის უფალო ღაღადყავსადან, ფრაგმენტულად მოიცავს ორი ხმის თითქმის ყველა ვალობას და მესამე ხმის უვალობდითსას ერთი ტროპარის ფრაგმენტს.

I ხმა: უფალო ღაღატყავსა, ოხითაჲ, აჟა აკურთხევდითსა, ცხრაოდიანი კანონი, სახარებისა წარდგომანი და დასადებელი, გარდამოთქუმაჲ, აქებდითსა, კელთაბანისაჲ, სიწმიდისაჲ.

II ხმა: უფალო ღაღატყავსა, ოხითაჲ, ცისკრის კანონი (აკლია მხოლოდ აკურთხეულარსა), აქებდითსა.

III ხმა: უვალობდითსა.

მეტ-ნაკლები სისრულით ამოკითხულია 96 ტროპარი, შესატყვისი დაქვებნა 73-ს.

ცისკრის ფსალმუნურ საგალობლებად მოხმობილია ფს. 34, 23—ფს. 34, 1; ფს. 81, 1; ფს. 150, 6. ფსალმუნურ საგალობელთა მეორე ფენა (ფს. 81, 1) „მე-ბ“-თია მინიშნებული. ამ წესით მინიშნებს ფსალმუნურ საგალობელთა

მეორეულ ფენას B ნუსხაც. მხოლოდ ჭილ-ეტრატის იადგარში I ხმაზე ფსალ-მუნურ სავალობლად ჩართულია 22-ე ფსალმუნის დასაწყისი მუხლები კომენტარის თანხლებით — „აქა აკურთხევიდითსა ადგილსა“⁵²² (აღდგომის დასდებელთა ძველი რედაქციის შემცველი სხვა ნუსხები მას არ იცნობს). ამ კომენტარით განსაზღვრულია ფსალმუნური სავალობლის ადგილი, ხოლო დასდებლის ნაცვლად კვლავ შენიშვნაა: „სულისა დასადებელი უქციო“. სავალობელი ტექსტი „ვიდრეთია“ განსაზღვრული, მოიცავს 22-ე ფსალმუნის პირველ სამნახევარ მუხლს. რაც შეეხება დასდებლის ნაცვლად მოხმობილ კომენტარს: „სულისა დასადებელი უქციო“, უნდა გულისხმობდეს ამავე ფსალმუნის მე-3 მუხლს, რომელშიც სული იხსენიება: „მოაქციე სული ჩემი ჩემდა“. ეს მუხლი გამოყენებულია იადგარში ლაზარობას აღელუა ფსალმუნად, ხოლო ვნების კვირის ხუთშაბათს (პირველი ორნახევარი მუხლი) და ზატიკის IV კვირის ორშაბათს—დასდებლად (აქვე, გვ. 164, 188, 230).

A ნუსხის აღდგომის სავალობელთა წაკითხვა-სხვაობანი უმთავრესად ვარიანტული ხასიათისაა. A ნუსხის რედაქციულ სხვაობად ჩანს:

1. განსხვავებულია ხმა: I ხმის ადიდებდითსას ტროპარი „შენ, რომელი მკუდართა თანა...“ დასაწყისი ფრაზით დგას სხვა ნუსხათა III ხმის ადიდებდითსასთან.

2. განსხვავებულია ფენა: ტექსტში აქა-იქ გარკვევით იკითხება „სხუანი“, რაც მოწმობს, რომ გალობათა მეორეული ფენა ამ ნუსხისთვისაც უცხო არ არის⁵²³.

მასალის ძირითად და მეორეულ ფენად მიჩნევის თვალსაზრისით გამოჩნდა განსხვავებული დამოკიდებულების შემთხვევები:⁵²⁴ A-ს I ხმის უფალო ლაღად-ყავსას ძირითადი ფენის ტროპარი „ლაღადებასა შენდა შევსწირავთ, უფალო...“ B-სთვის „სხუანია“. A-ს II ხმის უფალო მესმასას ძირითადი ფენის ტროპარი „მესმა და გულისხმა-ყავ...“ B-სთვის „სხუანის“ II ფენის მასალაა. A-ს ადიდებდითსას ძირითადი ფენის პირველი ტროპარი „გადიდებთ შენ, ქალწულო...“ „სხუანებით“ გამორჩეულად მდიდარი D ნუსხისთვის VI ფენის მეორე ტროპარია და ა. შ. გვხვდება პირიქითაც: A-ს II ხმის უფალო ლაღადყავსას „სხუანის“ ტროპარი „მწუხრისა ლოცვაჲ ჩუენი შეიწირე...“ B ნუსხისათვის ძირითადი ფენის მასალაა. A-ს I ხმის კურთხეულარსას „სხუანის“ ტროპარი „ყოველნი მამასა...“ B-სთვის ძირითადი ფენისაა.

3. ფრაგმენტულად მოღწეული ტექსტი არ გვაძლევს იმის გარკვევის საშუალებას, სხვა ნუსხებთან მიმართებით რა მასალა არ არის შესული A-ში, მეტი ტროპარების მოძიება კი პირველი ორი ხმის ფარგლებში მოსახერხებელია.

⁵²² აქვე, გვ. 530.

⁵²³ A ნუსხისთვის ეითვალისწინებთ მხოლოდ გალობათა სათაურის ან „სხუანი“ რუბრიკის უშუალოდ მომდევნო ტროპარებს, რომელთა ძირითადად თუ „სხუანად“ მიჩნევა ექვს არ იწვევს.

⁵²⁴ უშუალოდ სათაურის მომდევნო ტროპართა ერთი წყების შემდგომ „სხუანი“ რუბრიკით გამოყოფილი მასალა დასტურდება ABDFG ნუსხებში უფალო ლაღადყავსასთან, აქებდითსასთან და კანონის გალობებთან. ჩვეულებრივ, ნუსხებში „სხუანის“ ორი ან სამი ფენა ჩანს, D-ში კი მათი რიცხვი შეიღს აღწევს. C ნუსხა ტროპართა ამგვარ დაქვეყნებას საერთოდ არ იცნობს, ხოლო E მას ფსალმუნურ სავალობლებთან მიმართავს.

ვერ დაეძებნა შესატყვისი A-ს I ხმის უგალობდითსას ტროპარს „უგალობდეთ ყოველნი...“, კურთხეულარსას ტროპარს „რომელმან ჩუენ, მგალობელნი...“, აკურთხევდითსას ტროპარებს: „რომელმან განიპყრანა... ჟუარსა ზედა...“, „რომელი ადგა მკუდრეთით...“—იმ 23 ტროპარს, რომელთა შესატყვისის დაძებნა სხვა ნუსხებში ვერ მოხერხდა. ეს ფაქტი გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ კილ-ეტრატის იადგარის აღდგომის საგალობელთა ტექსტი შეიცავს ჩვენამდე მოღწეულ სხვა ნუსხათაგან განსხვავებულ მასალასაც.

საგალობელთა შედგენილობა

აღდგომის დასდებლების ძველი რედაქციისათვის დამახასიათებელია გალობათა ნაირსახეობა. მასში, გარდა ცისკრის სრული ცხრაოდიანი კანონისა, თავმოყრილია ფსალმუნური და მცირე ფორმის პოეტური საგალობლები. საგალობელთა სრული შედგენილობა ამგვარია:

უფალო ღალადყავსა

ოხითაჲ

მწუხრის ფსალმუნ-დასადებელი (ეს ფსალმუნური საგალობლები მხოლოდ E და G ნუსხებშია ასახული)

აჟა აკურთხევდითსა

ჟუარისაჲ

ცისკრის ცხრაოდიანი კანონი

ცისკრის ფსალმუნ-დასადებელი

გარდამოთქმთაჲ

ფსალმუნ-დასადებელი (გარდამოთქმას მომდევნო ცისკრის ერთი და იგივე ფსალმუნური საგალობელი მხოლოდ E ნუსხაში ჩანს V, VI და VIII ხმეებზე).

აქებდითსა

შესხმანი წმიდისა ღმრთისმშობლისანი (ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ტროპარები აქებდითსას მომდევნოდ სათაურით „შესხმანი“ შესულია DEF ნუსხებში, ხოლო სათაურის გარეშე გამოყოფილია G-ში)

სამხრად ფსალმუნ-დასადებელი, ალელუიამთ ფსალმუნი

კელთაბანისაჲ

სიწმიდისაჲ

რა სურათია ნუსხებში საგალობელთა შედგენილობის თვალსაზრისით: B-ში ოხითაჲ არ შედის I ხმაზე, ჟუარისაჲ I—III და VII ხმეებზე, სამხრის ფსალმუნური საგალობლები მხოლოდ I ხმაზეა, სიწმიდისაჲ არ შედის VI ხმაზე, ხოლო III ხმაზე სათაურია გამორჩენილი.

C-ში ცისკრის ფსალმუნური საგალობლები არ არის ჩართული II ხმაზე, ხოლო ჟუარისანი საერთოდ არ არის ასახული. მხოლოდ VI ხმაზე ჟუარისანს ერთი ტროპარი სათაურის გარეშე მოსდევს აჟა აკურთხევდითსას.

D-ში VI ხმაზე კელთაბანისას ნაცვლად კომენტარია: „თავისაჲ“, კომენტარი II ხმის მასალას გულისხმობს²⁵. VII ხმაზე არ არის ჩართული აჟა აკურთხევდითსა,

²⁵ აქვე, გვ. 476, სქოლიო.

ციკრის ფსალმუნურ საგალობლები, კელთაბანისა და სიწმიდისა, ხოლო VIII ხმაზე — აქა აკურთხევდითსა.

E-ში III ხმაზე მოიხილესას ნაცვლად მხოლოდ კომენტარია. VI და VII ხმების ციკრის ფსალმუნურ საგალობლებთანაც კომენტარის მოხმობით II და III ხმების მასალა მითითებული. ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ტროპარები სათაურით „შესხმანი“ მხოლოდ I, II და VIII ხმებზეა გამოყოფილი, ხოლო გარდამოთქმას მომდევნოდ ციკრის ფსალმუნური საგალობლები მხოლოდ V, VI და VIII ხმებზეა გატანილი.

F-ში ციკრის კანონი საერთოდ არ არის ასახული, VII ხმაზე კელთაბანისა და სიწმიდისას ნაცვლად იოვანე-ზოსიმეს კომენტარია, მითითებული მასალა ნუსხას აკლია. VII ხმაზე არ არის გატანილი ციკრის ფსალმუნური საგალობლებიც.

G-ში წარმოდგენილია მხოლოდ უფალო ღაღადყავსა, ოხითაჲ, აქა აკურთხევდითსა, აქებდითსა და ნუსხის ბოლოს დართული მწუხრის ფსალმუნური საგალობლები. ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ტროპარები ზოგ ხმაზე გამიჯნულია აქებდითსასაგან.

საგალობელთა ანალიზმა გამოაჩინა, რომ ერთი ნუსხის ფარგლებში ზოგჯერ რომელიმე ხმაზე არ არის ასახული ესა თუ ის ვალობა, ხოლო სხვა ხმებზე ჩართულია ტრადიციით განკუთვნილ ადგილას. დაკლებული ვალობის სანაცვლოდ ზოგან კომენტარია მოხმობილი, რომელიც სხვა ხმის შესაბამისი ვალობის გამოყენების შესაძლებლობაზე მიუთითებს. ამ წესით შევსებულია ნუსხის ხარვეზი, მაგრამ ხშირად კომენტარიც არ ჩანს. იმ შემთხვევაში, როდესაც მხოლოდ ერთი ვალობაა გამოჩენილი ერთ რომელიმე ხმაზე, მით უმეტეს, თუ ვალობა ერთტროპარიანია, შესაძლოა გადამწერთა უნებლიე შეცდომასთან გეჭონდეს საქმე: B-ში მხოლოდ I ხმაზე აკლია ოხითაჲ, VI ხმაზე — სიწმიდისაჲ, C-ში მხოლოდ VIII ხმაზე — აქა აკურთხევდითსა. მაგრამ ზოგან ხარვეზისაგრძნობია: B-ში I—III ხმებზე არ ჩანს ჭუარისაჲ, ხოლო სამხრის ფსალმუნური საგალობლები მხოლოდ I ხმაზეა. C-ში ციკრის ფსალმუნური საგალობლები ჩართულია მხოლოდ II ხმაზე, D-ში VII ხმაზე არ არის წარმოდგენილი აქა აკურთხევდითსა, ციკრის ფსალმუნური საგალობლები, კელთაბანისაჲ და სიწმიდისაჲ. ამგვარი უზუსტობანი, ცხადია, გადამწერთა უყურადღებობას ევლარ მიეწერება. მაშალა ამა თუ იმ ხმაზე გამოტოვებული ჩანს გარკვეული მიზეზით: შესაძლოა ერთი ხმის ვალობა სხვა ხმებისათვისაც იყო გამოსაყენებელი და ამის გამო მისი ყველა ხმაზე გატანა საჭიროდ არ მიიჩნიეს, სათანადო კომენტარი კი აღარ დაურთეს. ან, შესაძლოა, დედნად აღებული ნუსხა იყო ნაკლები და გადამწერმა თუ რედაქტორმა დედნისეული ხარვეზის შევსება ვერ შეძლეს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღდგომის საგალობელთა ძველი რედაქციის ტექსტთან დაკავშირებულ კომენტართა უმეტესობის ავტორი იოვანე-ზოსიმეა. ამაზე მეტყველებს კომენტართა სტილი და ხელი.

აღდგომის საგალობელთა ძველი რედაქციის შემცველ შედარებით გვიანდელ F და G ნუსხებში არ არის შეტანილი ციკრის განგების მთავარი ნაწილი — ციკრის კანონი. ამ ნუსხებში მხოლოდ ფსალმუნური და მცირე ფორმის პოეტური საგალობლებია წარმოდგენილი, F-ში სრულად, ხოლო G-ში — გამოკრებილად. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ სამ სინურ ნუსხაში — E, F-სა და G-ში, ერთმანეთის გვერდით ასახულია ძველი და ახალი

რედაქციების აღდგომის საგალობლები. E-ში ძველი რედაქციის მასალა სრულადაა წარმოდგენილი, ხოლო F-სა და G-ში კანონი ამოღებულია. რაც შეეხება ახალი რედაქციის აღდგომის საგალობლებს, მათი შედგენილობა გამარტივებულია, შეიცავს მწუხრის უფალო ღაღადყავსას, ცისკრის კანონსა და ცისკრისავე აქებდითსას (შდრ. Sin. 34, 48r—56v; Sin. 26, 226r—261r; Sin. 20, 50v—89v). ამ სახითაა ეს მასალა სხვა სინურ იადგარებშიც (Sin. 1, 301r—355v; Sin. 65, 183v—220v). ერთ ნუსხაში ორივე რედაქციის მასალის ასახვა შემთხვევითი არ არის, ორივე მოსახმარია და საჭირო, ამასთან, მოსახმარია იმ სახით, რა სახითაც ნუსხაშია შესული. ძველი რედაქციის მასალის არასრული წარმოდგენა, რაც F და G ნუსხებისათვის ძირითადად კანონის უგულვებელყოფაში გამოიხატება, ამ უკანასკნელის მოძველებაზე მეტყველებს. ამ დროისათვის ახალი რედაქციის კანონი უკვე იმდენად ფეხმოკიდებული და პრაქტიკულადაც გამოსაყენებელი ჩანს, რომ ძველის გადმოტანას აზრი აღარა აქვს. მცირე ფორმის პოეტური და ფსალმუნური საგალობლები კი წერ კიდევ მოსახმარია და მათი ასახვაც საჭიროა. აღდგომის საგალობელთა მცირე ფორმის პოეტური და ფსალმუნური საგალობლები დატულია სინურ კონდაკებშიც (ამასთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ, გვ. 908—910).

საინტერესოა იოვანე-ზოსიმეს პოზიცია ძველი რედაქციის კანონის მიმართ. ერთი რედაქტორის ხელიდან გამოსული ერთმანეთის მომდევნო E და F ნუსხები ძველი რედაქციის კანონისადმი განსხვავებულ დამოკიდებულებას იჩენს. E ნუსხა, რომელსაც მეტად ატყვიან რედაქტორის მუშაობის, ძიებისა და შერჩევის კვალი, კანონს ჰერ კიდევ ინარჩუნებს. მართალია F ნუსხის ჩვენი საკვლევი ნაწილი იოვანე-ზოსიმეს გადაწერილი არ არის, მაგრამ საერთო სათაურის გასწვრივ ტერმინი „ძველი“, რომლითაც დასდებულთა რედაქციაა განსაზღვრული, აგრეთვე გამორჩენილი ვალობა თუ ტექსტთან დაკავშირებული კომენტარები იოვანე-ზოსიმეს ხელითაა ჩაწერილი. როგორც ჩანს, F ნუსხის შედგენის დროისათვის იოვანე-ზოსიმეს უკვე შესაძლებლად მიაჩნია ძველი რედაქციის კანონის ამოღება.

აღდგომის დასდებულთა ძველი რედაქცია შეეუდარეთ ახალი რედაქციის საგალობლებს. ახალი რედაქციის დასდებულებში არ დადასტურდა ძველიდან გადასული ტროპარები. ძველი რედაქციის მასალა არ ჩანს მიქაელ მოდრეკილის იადგარშიც, გარდა მხოლოდ მოკლე დასაწყისებით მინიშნებული თითო-ოროლა ღვთისმშობლისანისა. მათი იდენტურობაც სათუთა. ეს ფაქტი მით უფრო საყურადღებოა, რომ X ს-ის ჰიმნოგრაფი მიქაელ მოდრეკილი თავს უყრის ქართულად მისი დროისათვის არსებულ და მისთვის ხელმისაწვდომ აღდგომის საგალობლებს: „მე, გლახაკმან... მიქაელ მოდრეკილმან, ვილუაწე და უზეშთაეს უძღურისა ბლისა ჩემისა შრომაჲ ვაჩუენე და შეეკრიბენ საგალობელნი ესე წმიდისა აღდგომისანი, რომელნი ვპოენ ენითა ქართველთაჲთა: მეხურნი ბერძულნი და ქართულნი, სრულნი ყოვლითა განგებთა წესისაებრ საეკლესიოჲსა: უფალო ღაღადყავითა, ოხითითა, მოიხილითა და აქებდითითა ძლიერად და სიწმიდით და სიმართლით, სისწორითა კილოჲსაჲთა და უცთომელობითა ნიშნისაჲთა...“⁵²⁶ ცხადია, მიქაელ მოდრეკილს

⁵²⁶ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, I, 1959, გვ. 566, ხელნაწერი S 425.

ძველი რედაქციის აღდგომის საგალობლებზეც მიუწვდებოდა ხელი. სხვა არა იყოს რა, იველი და ახალი რედაქციების მასალა მიქაელ მოდრეკილის თანადროულ ნუსხებში ერთმანეთის გვერდითაა ასახული. მიქაელ მოდრეკილის პოზიცია ძველი რედაქციის აღდგომის საგალობელთა მიმართ საგანგებო კვლევას საჭიროებს, ჭერ-ჭერობით კი იქმნება შთაბეჭდილება, რომ მიზეზი მარცხ ამ საგალობელთა არამეხურობაშია საიბიებელი.

ფსალმუნური საგალობლები

ფსალმუნური საგალობლები ძველი რედაქციის აღდგომის დასდებელთა აუცილებელი კომპონენტია. მწუხრის ფსალმუნურ საგალობლებად მხოლოდ E და G ნუსხებში აღებულია 140-ე ფსალმუნი, BCDF ნუსხები მას არ იცნობს. E-ში ეს საგალობლები მარტივი სათაურით: „ფსალმუნი“ და „დასადებელი“ ჩართულია I ხმაზე უფალო დალადყავსას, ხოლო II—VIII ხმებზე ოხითას მომდევნოდ. G-ში, რომელშიც ცისკრისა და სამხრის ფსალმუნური საგალობლები საერთოდ არ არის ასახული, ძველი რედაქციის აღდგომის დასდებელთა ტექსტის ბოლოს, თვით ნუსხის ანდერძის მომდევნოდ, დართულია „წარემართენი კრიაკეთანი“ რვა ხმაზე. სათაური გაპირობებულია 140-ე ფსალმუნის მე-2 მუხლის დასაწყისით: „წარემართენ ლოცვაჲ ჩემი“, რომელიც მეორდება ყველა ხმაზე. 140-ე ფსალმუნი ხმების მიხედვით ასეა განაწილებული:⁵²⁷

I	140,2 და 10.	V	140,2 და 5.
II	140,2 და 6.	VI	140,2 და 8.
III	140,2 და 4.	VII	140,2 და 3.
IV	140,2 და 6.	VIII	140,2 და 1.

ცისკრისა და სამხრის ფსალმუნური საგალობლები ასახულია აღდგომის დასდებელთა ძველი რედაქციის შემცველ ყველა ნუსხაში (G ნუსხის გარდა). ცისკრის ფსალმუნური საგალობლები ჩართულია კანონის, ხოლო სამხრის ფსალმუნური საგალობლები—აქებდითსას მომდევნოდ. ქვემოთ ხმების მიხედვით წარმოდგენილია ცისკრის ფსალმუნურ საგალობელთა ცხრილი. აქაც და შემდგომაც ჭერ ფსალმუნს ვუთითებთ, შემდგომ ფსალმუნად აღებულ და დასარულ, დასდებლად აღებულ მუხლებს.

I	34, 23 და 1; 81, 8 და 1.
II	7,7—8 და 2; 9,33 და 2; 11,6 და 7; 58,5 და 2.
III	43, 24 და 2 ან 25; 43,27 და 24 ან 2; 73, 22—23 და 19—20; 144, 13 და 13 (იმავე მუხლის მომდევნო ფრაზა).
IV	3,8 და 2; 56,9 და 10.
V	9,33 და 37; 82,2—3 და 19; 121,2 და 3 ან 1.
VI	58, 5—6 და 2; 82,6 და 17; 96,11 და 1.
VII	43,27 და 2; 73, 22 და 19.
VIII	43,24 და 25; 43, 27 და 24; 101,14 და 2.

⁵²⁷ ფსალმუნური საგალობლების მუხლებად დაყოფისათვის ვეყრდნობით ფსალმუნის მხეკალა შანიძის გამოცემას (ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X—XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, თბ., 1960).

საგულისხმოა, რომ თითქმის ყველა ხმაზე ცისკრის ფსალმუნურ საგალობლებს ამთავრებს 150-ე და 145-ე „აქებდითსა“ ფსალმუნები. 150-ე ფსალმუნი: I ხმაზე—6 და 1—6 მუხლები, II—VIII ხმებზე—6 და 1 ან 1—2 მუხლები. 145-ე ფსალმუნი: I და VI ხმებზე—10 და 10 მუხლი (იმავე მუხლის მომდევნო ფრაზა), II, V და VIII ხმებზე—10 მუხლი (მხოლოდ „ფსალმუნია“ მითითებული), IV ხმაზე—10 და 1—2 მუხლები.

ცისკრის ფსალმუნური საგალობლებია ჩართული გარდამოთქმას მომდევნოდაც V, VI და VIII ხმებზე: 96,16 (ფსალმუნი 16 მუხლიანია) და 92,1. ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც „ფსალმუნი“ და „დასადებელი“ სხვადასხვა, თუმცა ერთმანეთის მომდევნო ფსალმუნებიდანაა აღებული. ამ ფსალმუნურ საგალობლებს მხოლოდ E ნუსხა გვაძლევს.

ს ა მ ხ რ ი ს ფ ს ა ლ მ უ ნ უ რ ი ს ა გ ა ლ ო ბ ლ ე ბ ი

ფსალმუნ-დასადებელნი

I 73,12 და 2 ან 16.	V 103,33 ან 34 და 1.
II 79, 3 და 2.	VI 91,2 და 4.
III 76,14—15 და 2.	VII 70,17—18 და 1.
IV 27,6 და 8.	VIII 30,17—18 და 2; 32,5 და 9.

აღელუა ფსალმუნნი

I 17,2; 23,1; 45,11.	V 64,2; 92,1; 118,156.
II 67, 2; 87, 2—3.	VI 67,2; 90,1—2; 103,1.
III 20,2; 114,1.	VII 56,2; 124,1.
IV 100,2; 101, 14; 147,1.	VIII 69,2; 94,1; 100,1—2.

გარდა ზემოთ აღნუსხული სხვადასხვა ხმისათვის განკუთვნილი საერთო ფსალმუნური საგალობლებისა (მწუხრის 140-ე, ცისკრის 145-ე, გარდამოთქმის მომდევნო 91-ე და 92-ე) ფსალმუნურ საგალობელთა დამთხვევის რამდენიმე შემთხვევას კიდეც აქვს ადგილი. ცისკრისა: 43,24 და 25 (III და VIII); 43, 27 და 2 (III და VII); 58,5 და 2 (II და VI); 73, 22—23 და 19—20 (III)—73,22 და 19 (VII).

აღელუა ფსალმუნნი: 67,2 (II და VI); 100,2 (IV)—100, 1—2 (VIII). აგრეთვე: 101, 14 და 2 (ცსკრ. VIII)—101, 14 (აღ. IV); 91, 16 და 92,1 (ცსკრ. V, VI, VIII)—92, 1 (აღ. V); 103, 33 ან 34 და 1 (სმხრ. V)—103, 1 (აღ. VI). ამ თვალსაზრისით საგულისხმოა E ნუსხის კომენტარებიც ფსალმუნური საგალობლების VI და VII ხმებთან. კომენტარები უთითებენ VI ხმისთვის II, ხოლო VII ხმისთვის III ხმის ფსალმუნურ საგალობელთა გამოყენების შესაძლებლობაზე.

აღდგომის დასადებელთა მწუხრის, ცისკრისა და სამხრის ფსალმუნური საგალობლებისათვის სულ გამოყენებულია 44 ფსალმუნი.

3. ლეები, საესებით სამართლიანად, არ განიხილავს ქართული ლექციონარის ბოლოს დართულ ე. წ. საკვირაო ფსალმუნურ საგალობლებს, რადგან მათი კვლევა მხოლოდ ლექციონარის მონაცემების საფუძველზე შეუძლებელია. ლექციონარის ბოლოს დართული ფსალმუნური საგალობლები (T 1679—1692)

აღდგომის დასდებელთა მასალაა. მათი ურთიერთშეჯერების შედეგად გამოჩნდა საერთო 17 სამხრის ფსალმუნური საგალობელი, რომელთა შორის 8 ალე-
ლუა ფსალმუნია: 73, 12 და 16 (I); 79,3 და 2 (II); 76, 14—15 და 2 (III);
27,6 და 8 (IV); 103,33 და 1 (V); 91,2 და 4 (VI); 70,17—18 და 1 (VII);
30,17 და 2 (VIII); 32,5 და 9 (VIII). ალელუა ფსალმუნნი: 17,2 (I); 23,1
(I); 114,1 (III); 147,1 (IV); 92,1 (V); 118,156 (V); 124,1 (VII); 94,1
(VIII).

აღდგომის დასდებელთა ტექსტში ჩართულ ფსალმუნურ საგალობელთა
და ლექციონარში შესულ საკვირაო ფსალმუნთა ურთიერთშეჯერებისას გა-
მოჩნდა მცირეოდენი სხვაობანიც:

ა. განსხვავებულია ალელუა ფსალმუნთა ხმები: ლექციონარის ალელუა
ფსალმუნები 92, 1 (II და V ხმებისა) და 124,1 (III და IV ხმებისა) აღდგო-
მის საგალობლებში პირველი V ხმაზეა ჩართული, ხოლო მეორე—VII ხმაზე.

ბ. ლექციონარის ზოგი ალელუა ფსალმუნი აღდგომის დასდებლებში
ციცკრის ფსალმუნურ საგალობლებადაა შესული, ხმები აქაც განსხვავებუ-
ლია: 34,1 (ალ. IV და ცსკრ. I); 73,22 (ალ. VIII და ცსკრ. III და VII);
96,1 (ალ. II, III და ცსკრ. VI); 101, 14 (ალ. I და ცსკრ. VIII); 121,1 და
3 (ალ. III და ცსკრ. V).

გ. სამხრის ფსალმუნური საგალობლები 79,3 და 2 (II); 91, 2 და 4 (VI)
ლექციონარშიც არის შესული და აღდგომის დასდებლებშიც იმ განსხვავებით,
რომ ეგვიპტე ფსალმუნები ლექციონარში ალელუა ფსალმუნთა რიგშიცაა ჩარ-
თული.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ლექციონარში საკვირაო ფსალმუნურ საგა-
ლობელთა სათაურით მხოლოდ სამხრის ფსალმუნ-დასდებლები და ალელუა
ფსალმუნია თავმოყრილი. აღდგომის დასდებელთა ციცკრის ფსალმუნური სა-
გალობლები არ დაიძებნა ლექციონარში. ამის საპირისპიროდ ვერც ის ხუთი-
ოდე შემთხვევა გამოდგება, როდესაც ლექციონარის ალელუა ფსალმუნნი
აღდგომის დასდებლებში ციცკრის ფსალმუნურ საგალობლებადაა გადასული
(იხ. ბ პუნქტი), რადგან ალელუა ფსალმუნნი ლექციონარის ტრადიციით
ქამისწარვის, სამხრის საგალობელია. X ს. I ნახ-ის ერთ საბაწმიდურ კონდაკშიც
(Sin. 53) „ფსალმუნნი საკვარანის“ რუბრიკით აღდგომის დასდებელთა სამხ-
რის ფსალმუნური საგალობლებია თავმოყრილი, ხოლო ციცკრის ფსალმუნუ-
რი საგალობლები „საციცკრონი განიღვძენის“ სათაურითაა წარმოდგენილი
(ამასთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ, გვ. 909).

აღდგომის ფსალმუნური საგალობლები სავსებით ადასტურებს იმ დას-
კვნებს, რომლებიც კ. ლეებს აქვს გამოტანილი ლექციონარში ასახულ ფსალ-
მუნურ საგალობლებთან დაკავშირებით. ნუსხებში ფსალმუნ-დასდებლები
დასაწყისებითაა მითითებული. მათ მიხედვით ვერ განესაზღვრავთ, რამდენი
მუხლითაა შემოფარგლული ფსალმუნური საგალობლები — მითითებანი
მთელ ფსალმუნს გულისხმობს, როდესაც დასაწყისი მუხლია ალებული, თუ
ნაწილს, როდესაც სხვა მუხლია შერჩეული. საგალობელი ტექსტის მოცულო-
ბის განსაზღვრის საშუალებას გვაძლევს „ვიდრეთი“ წარმოდგენილი ნიმუ-
შები — საგალობლის დასაწყისს მოსდევს „ვიდრე“ ბოლო ფრაზის თანხლე-
ბით, ამ წესით მითითებულია საგალობელი ტექსტის დასაწყისი და დასას-
რული.

34 „ფსალმუნად“ აღებული საგალობლიდან ხერხდება 21 საგალობელი ტექსტის განსაზღვრა: 16 საგალობლის ტექსტი „ვიდრეთია“ მითითებული (სამი მათგანი არასრულ, ნახევარ მუხლს შეიცავს, შვიდი — ერთ მუხლს, ხუთი — ერთნახევარს, ხოლო ერთი — ორ მუხლს). დანარჩენი ხუთი საგალობლიდან ზოგი ფსალმუნის ბოლო ან ბოლოდან მეორე მუხლია, ხოლო ზოგს უშუალოდ მოსდევს „დასადებელი“. მათი ტექსტიც ერთი ან ორი მუხლით იფარგლება.

42 „დასადებელი“ საგალობლიდან 19 ფსალმუნის დასაწყისი მუხლია (ამათგან ოთხი თითო მუხლის მომცველია), 2 — ბოლო მუხლი, ხოლო 14 „ვიდრეს“ მეშეობითაა განსაზღვრული. მათ შორის 1 არასრულ მუხლს მოიცავს, 11 — ერთ მუხლს, 1 — ორ მუხლს, ხოლო ერთიც მთელ ფსალმუნს გულისხმობს: 150, 1—6. ეს ნიმუში ადრეული პერიოდის ამსახველია, როდესაც „დასადებელად“ მთელ ფსალმუნს გალობდნენ. ფსალმუნს თითო ან ორი მუხლი უნდა ვივარაუდოთ იმ დასდებელთათვისაც, რომლებიც ფსალმუნის ბოლო მუხლს უთითებენ, ან რომელთა „ფსალმუნდაც“ „დასადებლის“ მომდევნო მუხლებია აღებული. მწუხრის ფსალმუნურ საგალობლად 140-ე ფსალმუნის მე-2 მუხლთან 1, მე-3, მე-6 და მე-8 მუხლების მონაცვლეობაც თითო ან ორ მუხლს გულისხმობს. ამგვარად, 14 „ვიდრეთი“ მითითებულ „დასადებელს“ ემატება 5, რომელთა საგალობელი ტექსტის განსაზღვრა აგრეთვე მოსახერხებელია.

აღდგომის დასდებელთა ტექსტში ჩართული 20 ალელუა ფსალმუნური საგალობლიდან 16 ფსალმუნის დასაწყის მუხლს უთითებს, 1 — ფსალმუნის მეორე, ხოლო 3 — სხვა მუხლებს. „ვიდრეთი“ მინიშნებულია 11 საგალობლის ტექსტი: 1 ალელუა ფსალმუნი ნახევარ მუხლს მოიცავს, 6 — მთელ მუხლს, 3 — ერთნახევარს, ხოლო 1 — ორ მუხლს.

ამგვარად, ფსალმუნურ საგალობელთა ნახევარზე მეტი უმრავლეს შემთხვევაში ერთს, ხოლო იშვიათად არასრულ ან ორ მუხლს მოიცავს. ჰ. ლეების დაკვირვებით, დასდებლისათვის განკუთვნილი ტექსტის ერთი მუხლით შემოფარგულა ფსალმუნის რესპონსორული შესრულების (ღვთისმსახურისა და მრევლის მონაცვლეობით გალობა) დაკნინებაზე მეტყველებს⁵²⁸. აღდგომის დასდებელთა ტექსტში ჩართულ ფსალმუნურ საგალობელთა ნახევარზე მეტი ფსალმუნის რესპონსორული შესრულების ბოლო სტადიის ამსახველია.

აღდგომისათვის განკუთვნილი ფსალმუნური საგალობლები იმგვარადაა შერჩეული, რომ ცისკრის „ფსალმუნთა“ უმრავლესობა სხვადასხვა ფორმით ნახმარი ზმნებით „განიღვძე“ და „აღღვძე“ ქრისტეს აღდგომის თემას ეხმაურება:

„აღღვძე, უფალო, მაცხოვნე მე, ღმერთო ჩემო“ (ფს. 3, 8).

„აღღვძე, უფალო, ამაღლი რისხვითა შენითა მოსრულებად ყოველთა მტერთა ჩემთა, განიღვძე, უფალო ღმერთო ჩემო...“ (ფს. 7, 7).

„აღღვძე, უფალო ღმერთო ჩემო, ამაღლე კელი შენი“ (ფს. 9, 33). აგრეთვე: ფს. 11,6; 34,23; 43,24; 43,27; 56,9; 58,5; 73,22; 81,8. მათ რიცხვს ემატება სამხრის ფსალმუნური საგალობლებიც: 79,3 და 67,2.

⁵²⁸ L e e b, Die Gesänge, S. 58.

ციცკრის ზოგი ფსალმუნური საგალობელი ქრისტეს ცხოვრების ბოლო ეპიზოდს. კერძოდ. მისი გაცემის თემას ესადაგება:

„ღმერთო. ვინ გემსგავსოს შენ? ნუ დაიდუმებ, ნუცა დაკმშუნები, ღმერთო, რამეთუ ავა ესერა მტერთა შენთა აღიზახეს და მოძულეთა შენთა აიღეს თავი მათი“ (ფს. 82,2—3).

„რამეთუ ზრახეს შეთქუმით და შენთვის აღთქუმა ყვეს“ (ფს. 82,6).

„უფალო. რად განმრავლდეს მაჭირებელნი ჩემნი? და მრავალნი აღდგეს ჩემ ზედა“ (ფს. 3,2).

„მიკუნ მე მტერთა ჩემთაგან, ღმერთო, და მათგან, რომელნი აღდგომილ არიან ჩემ ზედა, განმარინე მე“ (ფს. 58,2).

ქრისტეს ამქვეყნიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული წმიდა ქალაქი იერუსალიმი იხსენიება ციცკრის ფსალმუნურ საგალობლებში: ფს. 121,2 და 3, აგრეთვე ალელუა ფსალმუნში — ფს. 64,2.

ზოგან განსაკუთრებული სისავსით ჟღერს საზეიმო თემა: ფს. 23,1; 73,16; 96,11; 144,13. ზეაწეული განწყობილებით გამოირჩევა 145-ე და 150-ე ე. წ. „აქებდითსა“ ფსალმუნები. საგულისხმოა, რომ ამ ფსალმუნთა საგალობლები ყველა ხმაზე სრულდება.

ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი მასალა

აღდგომის საგალობლებში, უძველეს იადგარში ასახულ სხვა საგალობელთა ფონზე, საგრძნობია ღვთისმშობლის ტროპართა სიმრავლე. ქრისტეს აღდგომისადმი მიძღვნილ მასალაში ღვთისმშობლის თემის წამოწევა სავსებით ბუნებრივია, მიუხედავად ამისა, ეს მხოლოდ საგალობელთა თემატიკით ვერ აიხსნება. ღვთისმშობლის კულტი თანდათანობით იზრდება, რაც შესაბამისად ლიტურგიული ხასიათის ძეგლებში პოულობს ასახვას⁵²⁹. ლექციონარის შედგენილობის გათვალისწინება აღდგომისადმი მიძღვნილი მასალის გვიანდლობაზე მეტყველებს—ეს მასალა ლექციონარზე დანართის შთაბეჭდილებას ტოვებს, ბოლოსაა მოქცეული, ამასთან არასრულად, მხოლოდ ჟამისწირვის ფსალმუნური საგალობლებითაა წარმოდგენილი⁵³⁰. აღდგომის საგალობლები გვიანდელი ჩანს იადგარისთვისაც მასში ასახულ საწელიწდო რეპერტუარის ფონზე. ღვთისმშობლის მასალის თანდათანობით ზრდა თვით ძველი რედაქციის აღდგომის დასდებელთა შემცველ ნუსხებშიც იჩენს თავს. ამ თვალსაზრისით შედარებით გვიანდელი ვითარების ამსახველი DEFG

⁵²⁹ საქართველოსათვის ღვთისმშობლის კულტის წამოწევას სხვა მიზეზიც აქვს, რომელიც თავის გამოხატულებას ეროვნული თვითმყოფობისა და შესაბამისად ეკლესიური ნაციონალიზაციისათვის ზრუნვაში პოულობს. ქართლის ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნად გამოცხადებასაც ამგვარი მისწრაფება ედო საფუძვლად (ე. კ. ე. ე. ლ. ი. ძე, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შედგენილობა, წყაროები და ეროვნული ტენდენციები, ლიტერატურული ძიებანი, I, 1943, გვ. 29—37).

⁵³⁰ ლექციონარის ამ ტრადიციამ განსაზღვრა აღდგომის დასდებელთა ადგილი იადგარშიც. ეს საგალობლები იადგარში, ჩვეულებრივ, ბოლოშია.

ნუსხები ადრეულ ABC ნუსხებისაგან განსხვავებულ სურათს წარმოგვიდგენს, რაც ლეთისმშობლის ტროპართა რიცხობრივი ზრდის გარდა, ლეთისმშობლისათვის „შესხმანი“ სათაურით თავმოყრილი მასალის ჩართვაშიც გამოიხატება. ამგვარად, აღდგომის საგალობლებში ლეთისმშობლის ტროპართა სიუხვეს, თემატიკის გარდა, ამ საგალობელთა შექმნის პერიოდიც განაპირობებს.

აღდგომის საგალობელთა ძველი რედაქციის ტექსტში შესულია 220-მდე ლეთისმშობლისადმი მიძღვნილი ტროპარი. ნუსხათა მონაცემები სხვაობს მათი რაოდენობის თვალსაზრისით. DEFG ნუსხებში იზრდება საერთოდ ტროპართა და განსაკუთრებით ლეთისმშობლის ტროპართა რიცხვი. ლეთისმშობლის მასალა, როგორც წესი, ბოლოს დაერთვის უფალო ლაღადაყვასას, აქებდითსას და ცისკრის კანონის ვალობებს ადიღებდითსას გამოკლებით — კანონის დამამთავრებელი ვალობა ლეთისმშობელს უძღვნის პირველსავე სტრიქონებს. ამ ოდენში ძირითადად მონაცვლეობს ლეთისმშობლისა და ქრისტეს თემა³²¹. რაც შეეხება კანონის სხვა ოდებს, მხოლოდ ერთი შემთხვევა დაიძენა B ნუსხაში, როდესაც VII ხმის უგალობდითსას ბოლო მე-9 ტროპარის გარდა ლეთისმშობლისადმი მიძღვნილია მე-5 ტროპარიც: „ქალწულო ღეღაო, უსძლოო, რომელმან შეე მაცხოვარი ქრისტე...“³²²

ლეთისმშობლის ცალკეულ ტროპართა ხმებსა თუ ვალობებზე განაწილების თვალსაზრისით ხელნაწერებში მეტად კრელი სურათია. უნდა შევნიშნოთ, რომ აქ არ განვიხილავთ იმ ტროპარებს, რომლებიც სხვა თემაზეა დაწერილი და ლეთისმშობელი მხოლოდ ძირითადი თემის ფონზეა მოხსენიებული. B ნუსხაში I ხმაზე ლეთისმშობლისადმი მიმართული ძირითადი ფენის უფალო ლაღადაყვასა, უგალობდითსა, მოიხილესა. განძლიერდასა, უფალო მესმასა, ღამითგანსა, ლაღადაყვასა, „სხუანი“ ფენის უგალობდითსა და ადიღებდითსა ტროპარები. II ხმაზე — „სხუანი“ ფენის უგალობდითსა, ძირითადი ფენის მოიხილესა და ადიღებდითსა ტროპარები. III ხმაზე — „სხუანი“ ფენის უფალო ლაღადაყვასა, უგალობდითსა, მოიხილესა, განძლიერდასა, ღამითგანსა, ლაღადაყვასა, ძირითადი ფენის უფალო მესმასა და ადიღებდითსა ტროპარები. IV ხმაზე — მხოლოდ ადიღებდითსა ტროპარები. ასეთივე მრავალფეროვნებაა სხვა ხმებზეც და სხვა ნუსხებშიც. თუ გავითვალისწინებთ რვა ხმის მონაცემებს ყველა ხელნაწერის მიხედვით, გამოჩნდება, რომ ლეთისმშობლის მასალა ახლავს უფალო ლაღადაყვასას, აქებდითსას და ცისკრის კანონის ოდებს აკურთხევდითსას გამოკლებით. მიუხედავად ამისა, ლეთისმშობლის ტროპართა განაწილების არათანაბარი სურათი, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, არ გვაძლევს იმ დასკვნის გამოტანის უფლებას, რომ აკურთხევდითსას საგანგებოდ არ დაერთვოდა ლეთისმშობლის მასალა.

ცისკრის კანონის მომდევნო აქებდითსას DEFG ნუსხებში მოსდევს ლეთისმშობლის მასალა. ამ ნუსხათაგან სამი — DEF მათ სათაურით გამოიქნავს. D-ში ყველა ხმაზე (I ხმის ეს მასალა ნუსხას ა ღია) სათაურია — „შეს-

³²¹ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ლეთისმშობლის ტროპართა ამგვარი განაწილება (იხ. ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, „მეხელისა“ და „მეხურის“ ვაგებისათვის, შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1966, გვ. 162).

³²² აქვე, გვ. 481. ამ ერთადერთ შემთხვევაშიც მომდევნო ტროპარიდან ტექსტი სხვა ხელით გრძელდება.

ხმანი წმიდისა ღმრთისმშობლისანი“. E-ში I ხმაზე სათაურად ჩართულია „შეკობანი და შესხმანი ყოლად წმიდისა და დიდებულისა, წმიდისა ღმრთისმშობლისანი“, II და VIII ხმებზე—„შესხმანი ღმრთისმშობლისანი“ და „შესხმანი“. ხოლო III—VII ხმების ღვთისმშობლის მასალა სათაურის გარეშე მოსდევს აქებდითსას. F ნუსხა I—V და VII ხმებზე ურთავს სათაურს „ღმრთისმშობლისანი“, VI ხმაზე—„წმიდისა ღმრთისმშობლისანი“, VIII ხმის შესხმის ტექსტი ნუსხას აკლია. G-ში ღვთისმშობლის ტროპართა დასაწყისები ზოგან გამოყოფილია ჭერისებური ნიშნით—ურთიერთგადაწყვეთი მოკლე ხაზებით ან სინგურით შესრულებული საზედაო ასოთი. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ნუსხაში სინგური გამოყენებულია მხოლოდ სათაურებისა და გალობათა პირველი ტროპარების საზედაო ასოებისათვის, მომდევნო ტროპართა საზედაო ასოები, როგორც წესი, ტექსტის მელნითაა ნაწერი. აღრინდელი ვითარების ამსახველი B და C ნუსხები „შესხმანს“ არ იცნობს. მეტიც, ამ ნუსხებში ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი აქებდითსას ბოლო ტროპარები საერთოდ არ დადასტურდა. ხოლო A ნუსხაში I ხმაზე აქებდითსას ძირითადი ფენის ბოლო ტროპარად იკითხება „გიხაროდენ“, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ღვთისმშობელს მიემართება. სათაურის კვალი არ ჩანს და არც მოსალოდნელია.

ამგვარად, აქებდითსას მომდევნოდ გამიჯნული (G) და „შესხმანი“ სათაურით თავმოყრილი (DEF) ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი მასალა შედარებით გვიანდელი ვითარების ამსახველ ნუსხებში გამოჩნდა, ეს კი თვით ამ მოვლენის გვიანდლობის საბუთია.

ღვთისმშობლის თემას საგანგებო ყურადღებას აქცევს იოვანე-ზოსიმე. მისი რედაქციით შედგენილი ნუსხების Sin. 26-ისა და განსაკუთრებით Sin. 34-ის კიდევზე და ტექსტშიც, სტრიქონებს შორის თუ თავისუფალ ადგილებზე, ჩაწერილია მოკლე დასაწყისებით მითითებული სტიქარონთა და ცისკრის გალობათა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი დამამთავრებელი ტროპარები. ხოლო ღვთისმშობლის სპეციალური შესხმები, რომელთაც „ფარაფთონი“ და „მოსართავი“ ტერმინები მიემართება, Sin. 34-ს ბოლოს დაერთვის. Sin. 26-ს ეს ნაწილი აკლია⁵³³. „ფარაფთონის“ მასალას შესატყვისი არ დაეძებნა ძველი რედაქციის აღდგომის დასდებლებში.

რა მიმართება შეიძლება არსებობდეს „ფარაფთონად“ წოდებულ ღვთისმშობლის მასალასა და ძველი რედაქციის აღდგომის საგალობლებში ჩართულ „შესხმანს“ შორის. დღეისათვის გარკვეულია, რომ „ფარაფთონის“ ტროპართა უმეტესობა თავდაპირველი დანიშნულებით სტიქარონთა ღვთისმშობლისანია. ამგვარი სურათი ჩანს აღდგომის საგალობელთა „შესხმანშიც“, მასალის თითქმის ნახევარი სტიქარონთა ღვთისმშობლისანია: „შესხმანის“ 75 ტროპარიდან 17 უფალო ლალადყავასა კუთვნილებათა, 10 — აქებდითსასი, 6 — უფალო ლალადყავსა და აქებდითსასი, ხოლო 1 — ცისკრის კანონის აღიდებდითსა და აქებდითსასი⁵³⁴. შინაარსის (ღვთისმშობლის

⁵³³ ტერმინების „ფარაფთონისა“ და „მოსართავის“ ლიტურგიული შინაარსისათვის, აგრეთვე „შესხმანთან“ დაკავშირებული საკითხების კვლევისათვის იხ. ე. ლ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ჰიმნოგრაფიული ტერმინების „ფარაფთონისა“ და „მოსართავის“ გავებისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVIII, 1973, გვ. 144—154.

⁵³⁴ განმეორებული ტროპარებისათვის იხ. საძიებელი I.

თემა) და წარმომავლობის იდენტურობა გვაყარაუდებინებს, რომ ძველი რედაქციის აღდგომის საგალობელთა „შესხმანი“ „ფარაფთონად“ წოდებული „შესხმანის“ წინამორბედი უნდა იყოს.

ძველი რედაქციის აღდგომის საგალობლებში ჩართულ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ტროპარებს ჯერ კიდევ არ აკისრიათ ის ფუნქცია, რასაც ახალი რედაქციის საგალობლებში სტიქარონთა და გალობათა ბოლოს დართული ძლისპირთა ფარდი ღვთისმშობლისეები ასრულებენ. ამაზე მეტყველებს ღვთისმშობლის ტროპარების სტიქარონთა და გალობათა მიხედვით არათანაბარი განაწილება. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მასალას არ დაეფებნა პარალელური მეხუთი „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანის“ ადრეულ ქართულ თარგმანებში, გარდა ერთადერთი ტროპარისა II ხმის აღიდებდითსადან, ისიც ძლისპირის შესატყვისია: „ქალწულებაჲ შენი, ღმრთისმშობელო უბიწო...“⁵³⁵ მაინც აღდგომის ძველი რედაქციის საგალობლებში ღვთისმშობლის ტროპართათვის უკვე განსაზღვრულია ის ადგილი (სტიქარონთა და გალობათა ბოლო), რომელიც ტრადიციით ძლისპირთა რიტმსა და კილოზე შეწყობილ ღმრთისმშობლისებს უკავიათ.



აღდგომის დასდებლები, განსაკუთრებით კი შესხმანი, გამოირჩევა შესხმის ობიექტის ირგვლივ თავმოყრილი მხატვრული სახეების სიუხვით. საგალობელთა ტექსტში შესხმის ობიექტებს, ბუნებრივია, ღვთისმშობელი და ქრისტე წარმოადგენენ. აღდგომის დასდებლებში მხატვრული შედარებების სიუხვე ამ საგალობელთა თემატიკითა და დანიშნულებითაა განპირობებული. რაც შეეხება შესხმანს, გალობათა სრულიად ახალ ფორმას, რომელიც მხოლოდ აღდგომის დასდებლებში დასტურდება, მის ფუნქციაზე თვით ამ გალობის სახელწოდება მეტყველებს. შესხმანში თავმოყრილი ტროპარები ემოციურობითა და პათეტიურობით გამოირჩევა არა მხოლოდ იადგარის სხვა დღესასწაულებისადმი მიძღვნილი საგალობლებისაგან, არამედ თვით აღდგომის სხვა გალობათაგანაც. იმისათვის, რომ ნათლად გამოკვეთილიყო პალესტინის უძველეს ქართულ სერიპტორიუმში მოღვაწე ქართველ ჰიმნოგრაფთა მაღალი მთარგმნელობითი ხელოვნება, დახვეწილი პოეტური გემოვნება და მხატვრული ენა, ღვთისმშობლისა და ქრისტეს ატრიბუტები ამოვკრიბეთ აღდგომის დასდებლებიდან, უძველესი იადგარის სწორედ იმ ნაწილიდან, რომელიც ამ თვალსაზრისით ყველაზე უხვ მასალას შეიცავს. ქვემოთ ვურთავთ ღვთისმშობლისა (I) და ქრისტეს (II) ატრიბუტთა სიას ანბანურ რიგზე სახელობითი ბრუნვის ფორმით (ტექსტში მათთვის ძირითადად წოდებითია გამოყენებული). მასალის სხვა დიფერენციაციას (ეპითეტებისა და მეტაფორების გამიჯვნას) არ ვიძლევი.

⁵³⁵ ძლისპირნი, გვ. 83, ძლ. № 111.

I

- ანგელოზმთავრისა მიერ მოკითხული 509, 12.
- აღმსნებელი ტაძარი 510,1.
- ახლისა შვეულისა კიდობანი სიწმიდისაჲ 476,6.
- ბჭმ 378,28.
- ბჭმ დაჯშული 401,28; 418,19.
- ბჭმ ცათაჲ 509,9.
- გაპოუთქუმეღად მშობელი 399,16.
- გაპოუთქუმელი ნათელი 510,22.
- გაპოუთქუმელი ქორწინებისაგან 452,39.
- გაპოუთქუმელისა ნათლისა დედაჲ 505,7.
- გაპოუცდელი ქორწილისაჲ 498,37.
- გაპოუცდელი ქორწინებისაგან 499,17.
- განმანათლებელი სულთა ჩუენთაჲ 382,17.
- ღაბტვენელი რაუტვენელისაჲ 509,32.
- ღაუზღუეველი ზღუღმ 510,2.
- ღაუსაბამისა სიტყუსა სამკერებელი ტაძარი 413,31.
- ღაუტვენელისა სიტყუსა რაბტვენელი 399,15.
- ღაუშრეტელი სანთელი 510,2.
- დედათა შორის კურთხეული 414,8; 475,1.
- დედაჲ 406,23; 439,28.
- დედაჲ იესუმისი, მისა ღმრთისაჲ 427,37.
- დედაჲ კაცთმოყუარისა ღმრთისაჲ 418,15; 485,32.
- დედაჲ მაცხოვრისაჲ 443,3; 452,28; 458,8.
- დედაჲ მგლოვარმ 415,19; 490,7.
- დედაჲ მეუფისაჲ 369,23; 379,4; 435,23.
- დედაჲ ნათლისაჲ 369,24; 382,23; 472,16...
- დედაჲ უსმლოჲ 394,7; 498,38.
- დედაჲ უფლისაჲ 433,15; 492,6.
- დედაჲ ქალწული 449,14.
- დედაჲ ქალწულებისაჲ 452,37.
- დედაჲ ქრისტეს ღმრთისა ჩუენისაჲ 484,16; 510,8.
- დედაჲ ღმრთისაჲ 454,27.
- დედაჲ, შემდგომად შობისა ქალწული 510,13.
- დედოფალი ყოვლისა ჭერვეულისაჲ 398,30.
- დიდებული 379,20; 404,3; 491,16...
- დიდებული და სანატრელი დედათა შორის 393,35.
- დიდებული და სანატრელი დედაჲ მაცხოვრისაჲ 504,10.
- დიდებული და სანატრელი ქალწული 472,18.
- დიდი საყდარი 461,26.
- დიდი საყუდელი 421,27; 439,35.
- დიდი ძალი ქერობინთაჲ 495,20; 510,22.
- დიდისა მის საფასისა რამპარხველი 399,23.
- ეზოა, რამტვენელი რაუტვენელისა ღმრთისაჲ 413,31.
- ეზოა ტაძრისაჲ 439,9.
- ზეცისა ბჭმ 379,22; 435,19.
- ზეცისა მობაძავი 401,29.
- ზეცისა მობაძავი მთაჲ 418,11.
- ზეცისა სძალი 394,22; 505,18.
- ზეცისა წუმისა წმიდისა საწმისი 439,27.
- ზღუღმ 479,15; 495,18.
- ზღუღმ და ბჭმ 382,20.
- ზღუღმ და მფარველი სოფლისაჲ 509,29.
- ზღუღმ შეურყეველი და მტკიცმ 492,11; 509,15.
- კარავი განწმედილი 435,24; 439,8.
- კარავი სამეუფოა 394,31; 414,14.
- კარავი სიწმიდისაჲ 379,22.
- კაცთა სიქადული 438,33; 495,22; 510,26.
- კეთილთა მომნიჭებელისა მტრთველი 399, 23.
- კეთილი საუნჯემ 421,25; 439,34.
- კიდობანი რჩულისაჲ 439,9; 458,21; 497,39.
- კიდობანი სიწმიდისაჲ 458,1.
- კიდობანი სიწმიდისა ქრისტესი 394,25.
- კურთხეული 398,31; 464,22.
- კურთხეული დედაჲ 505,33.
- კურთხეული დედათა შორის 472,18.
- კურთხეული დედათა შორის ანგელოზისა მიერ 418,29.
- მადლითა საცსმ 438,34.
- მამადმთავართა მიერ ქადაგებული 509,18.
- მარადის სასოა ჩუენი 452,31.
- მარადის ქალწული 375,13; 406,19; 484, 16...
- მარადის ღმრთისმშობელი 497,6.
- მაყუალი აგზებული 439,8.
- მაყუალი შეუწუკელი 479,13; 492,6.

- მეოხი და მფარველი ჩუენი 495,18.
 მეოხი მორწმუნეთაი 488,3.
 მეოხი სოფლისაი 457,34; 485,34.
 მეოხი სულთა ჩუენთაი 404,36; 406,24;
 505,18...
 მეოხი ქრისტიანეთაი 510,9.
 მეოხი ყოველთაი 454,18.
 მეოხი ყოვლისა სოფლისაი 454,39 (სქ.).
 მეოხი ცხორებისათჳს სულთა ჩუენთაი 372,5.
 მეუფისა უკუღაცისა სძალი ქერობინთა უწ-
 მიღსისისა სასუფუველისაი 461,20.
 მზისა უბრწყინვალესი 508,33.
 მთოვარსი 439,24.
 მოღუაწი ღმრთისა მიმართ 508,33.
 მტრთვეელი მზისა მის სიმაბრთლისაი 458,
 26.
 მტრთვეელი შუენიერებისაი 475,29.
 მფარველი მაქებელთაი 492,9.
 მფარველი მორწმუნეთაი 382,30.
 მშობელი 504,12.
 მშობელი გამოუთქმელისაი 452,36.
 მშობელი ევანგელისტისი 413,22; 418,26.
 მშობელი მაცხოვრისა ჩუენისაი 458,11.
 მსოფლი 398,32; 439,29.
 მსოფლი ღეღამი 373,23.
 მსოფლია მშობელი 373,23.
 მკეკელი 439,28.
 ნათლისა ღეღამი 433,17; 461,30; 475,33.
 ნათლისა თუაღო-შუედგამისა ღეღამი 413,38.
 ნათლისა სამარადისოისა მშობელი 488,31.
 ნეტარი ღეღამი 451,37.
 ნეტრული და უბიწოი ქალწული 417,38.
 პატროსანი პატგალიტი 379,33.
 პიზად-პიზადად შუენიერი 439,25.
 საქუფთოსა ტაკუკი 438,27.
 საქვდრებელი სიტყუასა ღმრთისაი 399,22.
 საქვდრებელი სულისა წმიდისაი 505,10.
 სამოთხსი აღმწნებელი 509,17.
 სამოთხსი ცხორებისაი 488,22.
 სანატრელი 414,8; 505,17.
 სანატრელი ღეღამთა შობის 457,32; 464,22.
 სანატრელი ღეღამი 399,23.
 სანთელი დაუშოტრელი 398,39; 510,24.
 სანთელი ჭეშმარიტი 382,16.
 სასოი და სიქადული ჩუენი 443,4.
 სასოი და შესავდრებელი აღმსარებელთაი
 441,15.
 სასოი სოფლისაი 414,6; 485,20.
 სასოი ყოველთა მვედრებელთაი 401,27;
 418,17.
 სასოი ჩუენი 438,25.
 სასოი ჭირვეულთაი 509,3.
 სასკლი 382,31.
 საუნჯეღი დაბეჭდული 418,20.
 საუნჯეღი ღმრთისაი 508,28.
 საუნჯეღი წმიდაი ღმრთისაი 508,34.
 საყღარო 508,28.
 საყღარო ჴეცისაი 443,10; 458,25.
 საყღარო მეუფისაი 439,3; 492,8; 509,9.
 საყღარო სამეუფოი 414,11.
 საყღარო ქებაზინი 369,26.
 საყღარო ღმრთისაი 457,34.
 საშინელი მოღუაწებისა ჩუენისა ქსელა
 439,30.
 საწმისი 457,37.
 სახარულეკანი 379,33; 386,33; 399,3...
 სიტყუათა სიტყუასა ღმრთისა მშობელი
 374,36.
 სიქადული 452,30.
 სიქადული სოფლისაი 382,27.
 სინარული 453,5.
 სინარული ანგელოზთაი 438,32.
 სინარული სოფლისაი 492,7.
 სულთა ჩუენთა ცხორებისა საყუდელი
 412,35.
 სულიერი ტამარი 478,28; 491,21.
 სულასა წმიდისა ტამარი 403,21.
 სულმციობი ღმრთელი 478,29.
 სულწელი საკუძეველი 509,11.
 სძალი 458,11.
 სძალი ჴეცისაი 394,33; 488,36.
 სძალი უბიწოი 510,28.
 ტაკუკი ოქროისაი 509,10.
 ტაკუკი ოქროისაი, სავსი მანანამთა 457,36.
 ტაკუკი ოქროისაი, სავსი სულითა წმიდი-
 თა 458,26.
 ტამარი მაცხოვრისაი 382,16.
 ტამარი სამეუფოი 458,22.
 ტამარა უფლისაი 492,39 (სქ.).

- ტამარი ღმრთისად 439,3.
 ტამარი შემოქმედისა ღმრთისად 495,13;
 509,9.
 უბიწომ 372,27; 393,8; 484,16.
 უბიწომ დედამ 484,29.
 უბიწომ სძალი 435,22.
 უწყითაჲმისა ნათლისა მტკრთველი 475,33.
 უსძლომ 427,37; 446,11; 481,25.
 უსძლომ დედამ 458,14; 483,14.
 უფროსს დიდებულს დედამ მაცხოვრისად
 394,28.
 უქორწინებულად მშობელი 412,37.
 უქორწინებელი 435,22; 509,24.
 უქორწინებელი სძალი 418,33.
 უქორწინებელი ქალწული 483,14.
 უპრწნელი 398,32; 482,4; 488,5.
 უპრწნელი დედამ მკნენლისად 403,39.
 უპრწნელი დედამ ქრისტეს ღმრთისა ჩუენი-
 სად 446,35.
 უპრწნელი ქალწული 374,36; 387,7;
 495,13.
 ფესუელითა ოქროვანითა შემკული 439,25.
 ქაღვწულად დაღვრამილი 399,17.
 ქაღვწული 373,23; 376,3; 382,21...
 ქაღვწული დედამ 481,25.
 ქაღვწული კუთხსული 449,20; 489,7;
 509,38.
 ქაღვწული უბიწომ 394,34; 403,32; 404,39.
 ქაღვწული შემდგომად შობისა 488,36.
 ქაღვწულბითა უბიწომ 505,17.
 ქერბანებზ სიმტყიცმ 401,22.
 ქერობინთა მობაძავი 382,17; 510,20.
 ქერობინთა უმაღლესი 418,37.
 ქერობინი ქრისტესსა 461,26.
 ღმრთისა და მაცხოვრისა დედამ 505,10.
 ღმრთისა დედამ 443,14; 457,10.
 ღრუბელი ნათლისად 472,9; 488,2.
 ყოველთა დაბადებულთა ნეტრული 418,44
 (სქ.).
 ყოველთა დაბადებულთა სინარული 418,29.
 ყოველთა შემოქმედისა ღმრთისა დედამ
 509,24.
 ყოლად დიდებული 488,27.
 ყოლად ნათელი 508,33.
 ყოლად ნათელი ქალწული 369,22; 382,9.
 ყოლად ნათლისა დედამ 492,20.
 ყოლად სანატრელი 399,13; 414,1.
 ყოლად ხასარულევანი 457,40.
 ყოლად უქორწინებელი დედამ 439,20.
 ყოლად უპრწნელი 484,4.
 ყოლად ქებული 403,21; 413,29; 476,2.
 ყოლად შემკული, ვითარცა ზმ ყუავილითა
 439,5.
 ყოლად ძლიერისა მშვიდობისა საყდარი-
 495,19; 508,32.
 ყოლად წმიდამ 424,24; 475,3; 492,16.
 ყოლად წმიდამ და დიდებული 382,7.
 ყოლად წმიდამ დედამ და ქალწული 393,14..
 ყოლად წმიდამ დედამ ნათლისად 394,22.
 ყოლად წმიდამ ქალწული 368,4; 382,12;
 387,20.
 ყოლადვე დაუქნობელი ყუავილი 510,2.
 შეზავებული აღაბასტრი 509,10.
 შემდგომად შობისა ქალწული 412,34.
 შემკული 399,13; 492,11.
 შემკული საღმრთოთა მით 510,28.
 შემკმ და მფარველი მორწმუნეთა შენთამ
 382,35; 465,36.
 შესავებრებული ცოდვილთამ 485,20.
 შეუბინებელი 407,33.
 შეუნიერი ზღუდმ 382,30.
 შეუნიერისა და წარუვალისა ნათლისა მშო-
 ბელი 475,34.
 ცათა უმაღლესი 488,27.
 ცამ 399,3.
 ცამ და საყდარი 382,20.
 ცამ საცნაური 492,8.
 ცამ ღმრთისად 461,25.
 ცამ ცათამ 439,29.
 ცეცხლი არაშესებული 439,9.
 ცხოველს-ყოფელისა ქრისტესს მტკრთველი
 505,7.
 წინამძღუარი სულთა ჩუენთამ 510,23.
 წინაწარმეტყუელთა მიერ აღმოცმნებული
 509,11.
 წინაწარმეტყუელთა მიერ ქებული 509,17.
 წმიდამ 439,20; 443,14; 485,20.
 წმიდამ დედოფალი 385,9; 439,32; 475,31.
 წმიდამ ქალწული 393,35; 396,17; 404,36.
 წმიდამ წმიდთამ 443,11; 510,20.

წმიდათა უწმიდესი 418,37.
 წყარომ უკუდავებისად 369,4.
 წყარომ უკრწნელებისად 401,24.
 ჭეშმარიტად ღმრთისმშობელი 443,4.
 ხმ ყუაველ-გარდაფენილი 509,17.

კიდი ღმრთისად კაცთა მომართ მოსლვი-
 სათვს 439,29.
 კორციელად მშობელი 407,32.
 ჯოჯოხეთისა შემქმნსრველისა დედად 457,32.

II

ადგომად რაცემულთად 493,7.
 ადგომად რა ცსორებად 413,7.
 ადგომად ყოველთად 474,4.
 ადგომილი 381,30; 399,19; 423,11...
 ადგომილი დიდებით 453,10.
 ადგომილი მესამესა დღესა 450,23.
 ადგომილი მკუდრეთით 371,9; 396,15;
 468,3.
 ადგომილი მკუდრეთით მესამესა დღესა 377,
 27; 403,33.
 ადგომილი საფლავით 410,8; 478,20; 496,
 19.
 ადგომილი საფლავით მესამესა დღესა
 437,14; 451,15; 477,25.
 ანგელოზთაგან დაუცხრომელად დიდებულნი
 დმერთი 411,39.
 ანგელოზისა მიერ სარებული სიტყუად
 ღმრთისად 382,28.
 აღმადგინებელი რქისა ცსორებისა ჩუენისად
 453,11.
 აღმადგლებული ზეცად 479,26.
 აღსასრულსა ჟამთასა ქალწულისაგან შო-
 ბილი 487,1.
 აღსასრულსა ჟამთასა ქალწულისაგან კორც-
 შესხმული 453,1.
 გამოუთქმელი 452,12; 453,13.
 გამოუთქმელი რა კაცთმოყუარებ უფალი
 479,7.
 გამოუთქმელი რა უხილავი თანა-არსი მა-
 მისად 427,17.
 გამოუთქმელი სიტყუად 497,6.
 გამოუთქმელი უფალი 442,20; 451,38.
 განკაცებული 453,23; 482,12.
 განკაცებული ქალწულისაგან 434,16.
 განმათავისუფლებელი 493,5.
 განმათავისუფლებელი სოფლისად 509,36.

განმათავისუფლებელი სულთა ჩუენთად
 413,36.
 განმამოზრდებელი ჩუენი 424,16.
 განმანათლებელი ნათესავისა კაცთადისად
 505,27.
 განმანათლებელი სოფლისად 382,1.
 განმანათლებელი სულთა ჩუენთად 414,19;
 437,14; 495,11...
 განმანათლებელი ცოდვილთად 509,37.
 განმაქრებელი ჯოჯოხეთისა ძალისად 507,
 30.
 განმაძლიერებელი დმერთი 425,11.
 განუყოფელი სიტყუად მამისად 416,7.
 განკორციელებული დმერთი 497,7.
 რამაპტიციებული 425,11.
 რამაადებული 411,14; 461,11; 470,35.
 რამაადებული ანგელოზთად 382,34.
 რამაადებული რამაადებულთად 505,27.
 რამაადებული დმერთი 435,17.
 რამაადებული ყოველთად 486,8.
 რაუსაბამოდ 390,40; 391,35.
 რაუსაბამოდ ნათელი ცსორებისად 429,1.
 რაუსაბამოდ სიტყუად მამისად 377,16;
 485,26.
 რაუსაბამოდ დმერთი 456,24; 488,7.
 რაუსაბამოდ ძმ ღმრთისად 454,7.
 რაუტეველი 453,28; 478,30; 509,32.
 რაფარული განზრახვად 439,21.
 რაფულელი 448,20; 449,34; 497,17...
 რაჯდომილი მარჯუენით მამისად 438,19.
 დიდებით ადგომილი 403,8; 496,36.
 დიდებით ადგომილი დმერთი 470,12,20.
 დიდებით დიდებული 371,34; 372,3; 404,
 11...
 დიდებისა მეუფე 505,26,28.
 დიდებული 424,22.

- დიდი საიდუმლოა 378,32; 453,22.
 ზეცად აძაღლებული ღმერთი 504,35.
 ზეცას იგი მშუდობა 368,5.
 თანა-არსი და თანა-მოსაყდრმ 413,39.
 თანა-არსი და თანა-მოსაყდრმ დაუსაბამომ-
 სა და უხილაისა მამისა 409,23.
 აანა-არსი მამისა 382,11; 391,35; 431,9.
 თანა-დაუსაბამომ სიტყუა 379,30.
 თანა-მოსაყდრმ მამისა 390,40; 466,31.
 თანა-მფლობელი მამისა 412,8.
 აყუანისცემული სერაპინთაგან 434,13.
 თუაღ-მუედგამი ბრწყინვალეებითა 383,24.
 კაცთმოყუარე 368,34; 369,34; 400,20...
 კაცთმოყუარე უფალი 483,19.
 კაცთმოყუარე მე 469,29.
 კრავი 413,16.
 კრავი ღმრთისა 413,39.
 ლოდი ქელთ-მუესებელად გამოკუთილი
 418,12.
 მამისა თანა-მოსაყდრმ 477,27.
 მამისა თანა-მოსაყდრმ მმ 504,31.
 მამისა თანასწორი სიტყუა 411,20.
 მამისა მიერ შობალი ქალწულისაგან 454,5.
 მამისაგან მხოლოდშობილი სიტყუა 456,
 24.
 მამისაგან შობილი 453,1.
 მარიაამისგან შობილი 511,22.
 მარჯუენით მამისა მჯდომარმ 393,33.
 მარჯუენით მჯდომარმ მმ 509,6.
 მარჯუენით მჯდომარმ მმ 453,14; 504,35.
 მარჯულ მამისა მჯდომარმ 391,39; 509,35.
 მაცხოვარი 367,13; 381,19; 384,16...
 მაცხოვარი და მქსნელი სულთა ჩუენთა 399,20.
 მაცხოვარი მოწყალმ 386,26.
 მაცხოვარი ნათესავისა კაცთამსა 378,35;
 487,2.
 მაცხოვარი სოფლისა 372,29; 396,3.
 მაცხოვარი სულთა ჩუენთა 400,26.
 მაცხოვარი უკუდავი 473,27.
 მაცხოვარი უფალი 440,15.
 მაცხოვარი ყოველთა 370,9; 381,5; 405,
 14...
 მაცხოვარი ყოველთა დაბადებულთა 374,
 13.
 მაცხოვარი ჩუენი 367,20; 370,5,20...
 მაცხოვარება 477,23.
 მგლოვარეთა სიხარული 397,29.
 მდაბალთა აძაღლება 425,13.
 მდაბალთა სიმადლმ 425,22.
 მესამისა დღისა ადგომილი საფლავით
 475,35.
 მეუფმ 370,14; 372,35; 394,8...
 მეუფმ დიდებისა 370,6; 404,21; 424,7...
 მეუფმ მადლი 414,21.
 მეუფმ მეუფეთა 509,25.
 მეუფმ მშუდობისა 407,23; 417,16.
 მეუფმ მმინარმ 434,27; 457,13.
 მეუფმ საუკუნმ (საუკუნომ) 376,18;
 378,32; 397,18...
 მეუფმ სიმართლისა 415,18; 488,21;
 490,6.
 მეუფმ უკუდავი 427,12; 442,1; 475,22.
 მეუფმ ყოველთა 470,2.
 მეუფმ ყოველთა საუკუნეთა 424,40.
 მეუფმ ჩუენი 496,6.
 მეუფმ ცათა 401,31.
 მეცნიერება 426,11.
 მზმ სიმართლისა 369,27; 389,14; 439,4...
 მთისაგან ლოდი თვნიერად ცელისა გამო-
 კუთილი 488,35.
 მიუწოდებელი საცნაური 510,12.
 მიუწოდებელი უფალი 441,22.
 მკლავთა ზედა ქალწულისათა მიყვანებელი
 433,28.
 მკუდართა აღმადგინებელი 462,23; 489,11.
 მკუდართა განმათავისუფლებელი 485,37.
 მოკუდაეთა უკუდავება 425,15.
 მოსრული ზეცით 454,5.
 მოუკლებელი ნათელი 412,20; 504,16.
 მოწყალმ 370,12,17; 375,32...
 მრავალმოწყალმ 367,14; 371,2; 372,34...
 მრდელთმთავარი დიდი 419,16.
 მწყალობელი უფალი 397,22.
 მხოლოდშობილი 394,16.
 მხოლოდშობილი ღმერთი 433,32.
 მხოლოდშობილი მმ ღმრთისა 462,30.
 მხოლოდ 369,32; 372,34; 400,20...
 მხოლოდ უფალი 488,18.
 მხოლოდ ღმერთი 369,16,20; 460,19...

- მკსნელი 416,18; 417,34; 428,36...
- მკსნელი და მაცხოვარი სოფლისა 398,40.
- მკსნელი და მაცხოვარი სულთა ჩუენთაი 384,7; 414,15; 418,22.
- მკსნელი სოფლისა 453,29; 505,2.
- მკსნელი სულთა ჩუენთაი 379,35; 382,1; 414,21...
- მკსნელი ყოველთაი 372,17.
- მკსნელი ჩუენი 398,22; 505,24; 507,9.
- ნათელი 422,7; 448,18; 504,14...
- ნათელი სამარადისთა 488,7.
- ნათელი სულთა ჩუენთაი 479,11.
- ნათელი წარუვალი ზეცისა ნათლისაი 427,39.
- ნათელი ჭეშმარიტი 372,30; 428,3,9...
- ნათლითა ზეგარდამო შემკული 373,30.
- ნათესაისაგანი დაეთისი 442,18.
- ნაყოფი სახიერებისაი და უკუდავეებისაი 439,17.
- ნეფსით ჯუარსა ზედა ამაღლებული 381,12.
- პატროსანი მარგალიტი 394,25.
- პირველი სიტყუაი 486,27.
- პირველ საუკუნეთა მამისაგან შობილი 418,31.
- პირველ საუკუნეთა სიტყუაი 412,37; 453,1.
- პირველ საუკუნეთა სიტყუამ ღმრთისაი 482,5; 483,14.
- პირველ საუკუნეთა უფალი 369,16,21; 370,8...
- პირველ საუკუნეთა ღმერთი 398,11.
- პირველ საუკუნეთა ღმრთისა სიტყუამ 439,21.
- პირველ საუკუნითგან მოწყალე 370,22.
- პირველ საუკუნითგან უკუდავი მშ უკუდავისა მამისაი 502,21.
- რქამ ცხორებისაი 393,19; 505,21.
- საიკლუბო ქვაი 476,11.
- საკრებელ-მოქმედი ღმერთი 407,1.
- სამ ღღმ მღებარმ საფლავსა შინა 462,15.
- სასოი სოფლისაი 435,15.
- საფასმ ცხორებისაი 381,19; 434,26; 441,9...
- საფლავად შესრული მკსნელი სოფლისაი 437,7.
- საფლავით ადგომილი 391,39; 496,20.
- საფლავით ადგომილი ღმერთი 504,33.
- საყდართა ოთხსატიდთა ზედა მჯდომარმ 504,37.
- საყდართა ქერობინთა ზედა მჯდომარმ 447,14; 478,1.
- სასიერი 370,22; 376,12; 391,3...
- სასიერი და კატოყუარუ უფალი 384,4,13.
- სასიერი უფალი 375,34.
- სიკუდალისა განმთავისუფლებელი 413,2.
- სიკუდილისა დამთბუნველი ღმერთი 425,15.
- სიკუდილისა დამთბუნველი ძლიერებით 471,4.
- სიკუდილისა მკლმ 438,15.
- სიკუდილისა ნეფსით ჩუენთს თავს-მღებელი 413,43 (სქ.).
- სიკუდილისა ცხორებამ 493,7.
- სიმათლისა მშმ 414,15; 435,2.
- სიტყუამ 375,35; 392,7; 497,40.
- სიტყუამ დაუსაბამო 379,11.
- სიტყუამ მამისაი 369,5; 387,12; 422,28.
- სიტყუამ უძნეველი 504,29.
- სიტყუამ ღმრთისაი 386,20; 398,13; 399,36...
- სისარული 453,5; 475,30.
- სოფლისა მკსნელი და მაცხოვარი 498,26.
- სოფლისა ცხორებამ 462,23.
- უბრწყინვალმ მზისთულისაი 437,27; 475,22.
- უენბელი 403,4.
- უენბელი ღმერთი 425,28.
- უენბელი ცოცხთა 461,1.
- უკუდავი 383,12; 407,24; 471,33...
- უკუდავი მეუფმ 486,34.
- უკუდავი უფალი 392,38; 442,3.
- უკუდავი ღმერთი 387,19; 397,21; 403,5...
- უკუდავისა მამისა უკუდავი სიტყუამ 419,12.
- უკუდავებისა წყაროი 412,40.
- უენბელი ღმერთი 383,11.
- უეამოი 399,9.
- უფალი 367,10; 373,4,8...
- უფალი მადლი 403,8.
- უფალი მხილი 386,38.
- უფალი საკრებელ-მოქმედი 497,15.

უფაჴი უფელკათაჲ 509,26.
 უფაჴი ჴპერთი 422,9.
 უფაჴი ჴპერთი მარალი 389,4.
 უფაჴი ჴპერთი ჩემი 389,32; 446,21.
 უფაჴი ჴპერთი ჩუენი 372,29,32; 385,33...
 უფაჴი ჴპერთი ძალთაჲ 400,9,12.
 უნდოვევი 454,8.
 უძღუებთა ძალი 425,22.
 უძღუებთა ძლიერებაჲ 425,13.
 უწინარძისი მთიებისაჲ 472,10.
 უწინარძის საუყუნეთა შობილი სიტყუაჲ
 მამისაჲ 397,10.
 უხილავი მეუფე 433,27.
 უხილავი ჴპერთი 426,33.
 უხილავი ჴმრთეებითა 383,23.
 უხილავთა საყდართა ჴერა მჯღომარძმ მე-
 უფე ყოველთაჲ 383,21.
 უტრწენელი 487,1.
 უტრწენელი სიტყუაჲ 488,27.
 უტრწენელი უფალი 491,23.
 ქაღწულისაგან უბიწოებასა კორციელ-ქმნუ-
 ლი ჩუენოვს 403,32.
 ქაღწულისაგან უთესლორ მეუფე შობილი
 411,39.
 ქაღწულისაგან შობილი 435,13; 458,3.
 ქაღწულისაგან შობილი სიტყუაჲ მამისაჲ
 506,33.
 ქაღწულისაგან კორციელ-ქმნული უთეს-
 ლორ 451,9.
 ქაღწულისაგან კორცქესხმული 477,28.
 ქებული ანგელოზთა მიერ 437,4.
 ქერობინთა ჴერა მჯღომარძმ 368,7; 425,35.
 ქველის-მოქმედი 369,32; 373,15; 395,1...
 ქველის-მოქმედი და მრავალმოწყალე უფა-
 ლი 385,15.
 ქველის-მოქმედი უფალი 449,10.
 ქველის-მოქმედი ჴმერთი 378,35.
 ქუეყანით ჴეცარ ამაღლებული 438,19.
 ჴმერთი 372,10; 373,21; 479,2...
 ჴმერთი განკაცებული 458,17.
 ჴმერთი ჴიდრებული 490,21.
 ჴმერთი ისრაელისაჲ 471,9.
 ჴმერთი მამათა ჩუენთაჲ 410,17; 469,24,
 30...
 ჴმერთი მხოლოჲ 372,21.

ჴმერთი უკუღავი 385,7.
 ჴმერთი უხილავი 453,24.
 ჴმერთი ქველის-მოქმედი 385,14.
 ჴმერთი ყოველთაჲ 392,28; 507,37.
 ჴმერთი ყოველთა საუყუნეთაჲ 462,17.
 ჴმერთი ჩუენი 368,1; 389,31; 403,15...
 ჴმერთი ჴუმპარტი 388,27.
 ჴმრთეებაჲ 367,8; 458,22.
 ჴმრთეებაჲ და კაცებაჲ 399,18; 415,21;
 490,9.
 ჴმრთეებაჲ უვნებელი 398,16; 421,19.
 ჴმრთეებითა შობილი 450,18.
 ჴმრთისა სიტყუაჲ 372,16; 418,38.
 ჴოველთა მაცხოვარი 491,26,34.
 ყოველთა მეუფე 408,21.
 ყოველთა სასოჲ 381,29.
 ყოველთა უფალი 470,21.
 ყოველთა ჴმერთი 399,6.
 ყოველთა შემოქმედი 398,40.
 ყოველთა შემოქმედი ჴმერთი 382,5; 466,
 15; 471,17.
 ყოვარ ქებული ანგელოზთა მიერ 434,13.
 ყოვარ ძლიერი 391,11; 409,5; 466,25.
 ყოვარ ძლიერი მაცხოვარი 460,13; 500,13.
 ყოვარ ძლიერი უფალი 477,31; 481,6.
 ყოვარ ძლიერი ჴმერთი 375,8; 491,26.
 შემოქმედი 434,23.
 შემოქმედი ჴმერთი 394,16.
 შემოქმედი ჴმერთი ყოველთაჲ 392,34.
 შემოქმედი ჴმერთი ჩუენი 423,25.
 შემოქმედი ყოველთაჲ 374,1; 484,9.
 შემოქმედი ცათაჲ 382,33.
 შემოქმედი ცათაჲ და ქუეყანისაჲ 461,26;
 476,7.
 შემწყნარებელი განწირულთაჲ 509,37.
 შუცოდებელი 402,12.
 შუენვისა შემძლებელი 419,17.
 შობილი 504,12.
 შობილი ქაღწულისაგან 433,21,30; 434,36.
 შობილი ქაღწულისაგან ჴუმპარტი მშ
 ჴმრთისაჲ 378,13.
 შობილი ჴმერთი 485,32.
 ჩუენოვს განწორციელებული ქაღწულისა-
 გან უქცეველად 456,25.
 ცათა დაუტევნელი ჴმერთი 509,20.

ცათა მეუფე 435,1; 452,40; 508,5...	წინამძღუარი ცხოვრებისა ჩუენისა 452,40; 459,9; 464,15.
ცხეპული უფლისა 474,9.	წმიდა 403,8.
ცხოველს-ყოფელი უფალი 497,11.	წმიდა მაცხოვარი 459,18.
ცხოვრება 434,22.	წმიდა უფალი 367,3; 383,31.
ცხოვრება საუკუნომ 457,38.	წმიდა ღმერთი 403,2.
ცხოვრება ყოელისა სოფლისა 419,22.	წმიდა წმიდათა 499,18.
ცხოვრება ჩუენი 451,30,32.	წყალობაურაცხელი 433,28.
ცხოვრებისა ჩუენისა წყარომ 475,35.	წყარომ ცხოვრებისა 372,30.
ცხოვრების მომცემელი უფალი 497,30.	ჭეშმარიტი 403,2.
ცხოვრების მომცემელი ქრისტე ღმერთი ჩუენი 371,32; 393,24.	ჭეშმარიტი ღმერთი 459,14; 470,17; 480,32.
ძალითა ძლიერი 457,3; 475,27; 497,17.	ჭეშმარიტი ძმ 452,34.
ძმ, მაშისაგან შობილი 418,6.	ჭეშმარიტი ძმ ღმრთისა 430,17.
ძმ მაღლისა 414,21.	ჭეშმარიტება 448,18.
ძმ მხოლოდშობილი 403,22; 423,19; 431,9...	ჯორციელ-ქმნული ქალწულისაგან 434,4; 445,24.
ძმ საყუარელი 424,14; 497,40.	ჯორციელ-ქმნული ღმერთი სრული 413,35.
ძმ, უწინარძისი მთიებისა 472,10.	ჯორცმესხმული ღმერთი 425,35; 488,28.
ძმ ღმრთისა 371,7; 372,30; 384,1...	ჯორცმესხმული წმიდისა ქალწულისა მარია-ამისგან 422,28.
ძმ ღმრთისა, შობილი ქალწულისაგან 504,17.	ჯოჯოხეთისა ნათელი 493,7.
ძლიერი 403,5; 479,20; 497,15...	ჯუარსა ზედა ამაღლებული 413,1; 451,12.
ძლიერი ღმერთი 491,34.	ჯუარსა ზედა დამჭკუალული 456,26; 504,33; 506,34...
წინამძღუარი სოფლისა 499,18.	ჯუარსა ზედა ვნებული 403,33.
წინამძღუარი ცხოვრებისა 451,7; 470,11.	ჯუარცუებული 377,27; 448,20; 497,17...

ბერძნულ ძლისპირთა შესატყვისი ქართული ტროპარები

ლეთისმშობლის ტროპარათა ანალიზის შემდგომ ბუნებრივად ისმის კითხვა, არის თუ არა ასახული ძლისპირნის მასალა აღდგომის საგალობელთა ძველ რედაქციაში, ან, თუ ასახულია, რა ოდენობით და რა ფუნქციის მატარებელია. ამ მიზნით აღდგომის საგალობელთა მასალა შევეუდარეთ ევსტრატიადისის გამოცემულ ირმოლოგიონს. პარალელი დაემჩნა 63 ტროპარს. ქვემოთ ჭერ ტროპარის დასაწყისის ვუთითებთ ხმისა და გალობის თანხლებით, შემდგომ შესატყვისი ბერძნული დედნის ნომერს ევსტრატიადისის გამოცემის მიხედვით და ავტორს. იმ შემთხვევაში, თუ ტროპარს რიგით პირველი ადგილი არ უკავია, კავებში მოცემულია ნუსხათა ჩვენებები, დასასრულ, მითითებულია წინამდებარე გამოცემის გვერდი და სტრიქონი.

1. ფარაო ეტლებითურთ—I, 1; № 21, გერმანე; 371, 25; 530,8.
2. აგამალოთ შენ, ღმერთი—I, 1; № 23, იოანე ბერი (B II,3); 372, 10.
3. უგალობდეთ უფალსა, რომელმან ქმნა საკრველნი — III, 1; № 111, გერმანე (B III, 2; D II, 1); 403, 28.

4. უგალობდეთ უფალსა, დიდებით დიდებულსა, გალობასა ახალსა — IV, 1; № 137, იოანე ბერი; 422 26.
5. მოიხილე, ცაო, და ვიტყოდით და უგალობდეთ ღმერთსა — I, 2; № 24 ჳεραεζ, ნიკიფორე დიაკვანი; 372, 21; 386, 38.
6. იხილეთ, იხილეთ უფალი ღმერთი ჩუენი — I, 2; № 22, იოანე ბერი; 372, 29.
7. მოიხილე, ცაო, და ვიტყოდით და უფროჲსად უგალობდეთ ქრისტესა — III, 2; № 59 მკლიც, გერმანე. № 110, გერმანე; 404, 13; 424, 26.
8. მოიხილე, ცაო — V, 2; № 191, ანდრია კრიტელი; 445, 38.
9. მოიხილე, ცაო — VII, 2; № 290, ანდრია კრიტელი; 482, 32.
10. იხილეთ, იხილეთ უფალი ღმერთი ჩუენი, რომელი პირველ საუკუნეთა — VIII, 2; № 323, გერმანე; 498, 7.
11. მოიხილე, ცაო — VIII, 2; № 324, გერმანე; 498, 19.
12. განძლიერდა გული ჩემი — III, 3; № 110, გერმანე; 405, 40.
13. სიმტკიცე და ლხინებაჲ — III, 3; № 112, გერმანე (BDE I, 2; C I, 3); 406, 1.
14. განძლიერე მე, ქრისტე, რაჲთა არა შემძრას მტერმან — V, 3; № 194, ანდრია კრიტელი; 446, 14.
15. განძლიერე მე, ქრისტე, დამამტკიცე — VI, 3; № 235, გერმანე (BC I, 1; DE I, 2); 465, 13.
16. არავინ არს წმიდაჲ, ვითარ — VI, 3; № 224, იოანე ბერი. № 265 (E I, 4); 466, 1.
17. განძლიერდა გული ჩემი უფლისა მიმართ — VII, 3; № 285, იოანე ბერი. № 28, გერმანე; 483, 2.
18. განძლიერენ, უფალო, გულნი ჩუენნი — VIII, 3; № 350 (CE I, 1; D I, 2); 465, 15; 498, 24.
19. მესმა სმენაჲ შენი — III, 4; № 110, გერმანე; 406, 27.
20. მესმა სმენაჲ შენი — IV, 4; № 150, ანდრია კრიტელი; 426, 20.
21. დაფარნა ცანი — IV, 4; № 146, გერმანე (BD I, 2); 426, 22.
22. მესმა სმენაჲ შენი — V, 4; № 235, გერმანე; 446, 26.
23. მესმა სმენაჲ შენი — VI, 4; № 227, იოანე ბერი; 466, 6.
24. დაფარნა ცანი — VI, 4; № 237, გერმანე (BD I, 2); 466, 9.
25. მესმა ვმისა შენისაჲ — VII, 4; № 287, გერმანე; 483, 28.
26. სმენაჲ შენი მესმა — VIII, 4; № 351; 483, 30; 499, 27.
27. ლამითგან აღვიმსთობთ, შენდა დიდებასა შევსწირავთ — I, 5; № 21, გერმანე; 374, 17.
28. ლამისა წარსლვითა მოგუეახლა ღღჲ — II, 5; № 55, იოანე ბერი. № 59, გერმანე; 389, 8.
29. ლამითგან აღვიმსთობთ, უფროჲსად გიგალობთ — III, 5; № 98, იოანე ბერი; 407, 17.
30. რომელნი ლამითგან თაყუანის-გცემთ — V, 5; № 187, იოანე ბერი; 447, 31.
31. რომელთა აღვიმსთუეთ დიდებად შენდა — VII, 5; № 289, გერმანე; 484, 19.
32. ლამითგან აღვიმსთობთ, გიგალობთ — VIII, 5; № 324, გერმანე; 500, 6.
33. ვლადატ-ყავე კირითა გულისა ჩემისაჲთა — I, 6; № 17, ანდრია კრიტელი. № 28, იოანე ბერი; 375, 4; 532, 26.
34. ლალად-ყავე კირსა ჩემსა — I, 6; № 21 მკლიც, გერმანე; 375, 26.
35. ვლადატ-ყავე ყოვლითა გულითა ჩემითა — III, 6; № 99, იოანე ბერი; 408, 2.

36. ღალად-ვეყავ სულთქუმით დაუღუმებელად— III,6; № 111, გერმანე; 408,12.
37. ვითარცა იონა წინაწარმეტყუელი ვეშაპისაგან იქსენ— IV,6; № 145, იონანე დამასკელი (B II,3; D III,3); 428, 32.
38. ვღალატ-ყავ ქირსა ჩემსა— VI,6; № 226, იონანე ბერი; 468, 18.
39. იონა მუცლით გამო ვეშაპისაგან ღალადებდა— VII, 6; № 284, იონანე დამასკელი. № 289, გერმანე (DE I,2); 485, 23.
40. შთამაგდეს მე სიღრმესა— VIII, 6; № 325, იონანე ბერი; 500, 33; 539,2.
41. რომელი მაყულოვანსა შინა — I, 7; № 22, იონანე ბერი (B I,1; D II,1; E I, 3); 376,2; 533,4.
42. სამთა ყრმათა საკუმბისა შინა— II,7; № 55, იონანე ბერი; 390,13.
43. სამთა ყრმათა საკუმბისა შინა— III,7; № 111, გერმანე; 408,28.
44. საკუმბისა ალი დაშრიტეს— III,7; № 109, ანდრია კრიტელი (C I,4); 410, 11.
45. რომელი მთასა ზედა მოსეს თანა ზრახვედი— IV,7; № 146, გერმანე; 429,26.
46. ღმერთო მამათა ჩუნთაო, ნუ შარცხუენ ჩუნე— IV,7; № 145, იონანე დამასკელი; 430, 40.
47. მამათაო და ჩუნო ღმერთო— V, 7; № 189, გერმანე (BDE I,2); 449,24.
48. შენ, ღმერთი მამათა ჩუნთაჲ— VI,7; № 237, გერმანე; 468, 32.
49. ქერობინთა ეტლთა ზედა მქლომარეო— VII,7; № 236, გერმანე (CDI,2); 486,5.
50. რომელი თაყუანის-იციემები წმიდათა ანგლოზთაგან— III,8; № 112; გერმანე; 411,8.
51. ღირსნი ყრმანი შენნი— VI,8; № 239. ანდრია კრიტელი (C I, 3; D I,6; E I,9); 470, 31.
52. მხოლოსა, მოწყალესა მეუფესა დიდებისასა — VII,8; № 289, გერმანე (CI,3; DII,2); 487,5.
53. რომელი მთასა წმიდასა იდიდა— VIII,8; № 323, გერმანე; 503,2.
54. შენ, რომელი გიხილა, ბქეჲ, ეზუკიელ წინაწარმეტყუელმან— I, 9; № 22, იონანე ბერი (B I,1; E I,4); 378,28.
55. შენ, ქალწულსა და უბიწ— I,9; № 3. იონანე ბერი (E I, 3); 379, 25.
56. ქალწულებაჲ შენი, ღმრთისმშობელო უბიწოო— II,9; № 60, ანდრია კრიტელი; 393, 8.
57. შენ, დედასა ნათლისასა— III,9; № 112, გერმანე; 412,34.
58. შენ, უუდავებისა წყაროსა— III,9; № 110, გერმანე (DE I,3); 412,40.
59. მოსე ზედა მთასა— IV,9; № 145, იონანე დამასკელი (E I,6); 435, 20.
60. ესაი მხია— V,9; № 182, იონანე ბერი (E I,5); 454,24.
61. გადიდებთ შენ ყოველი თესლები— VI,9; № 237, გერმანე; 471,7.
62. ყოლად დიდებულო, ცათა უმაღლესო— VII 9; № 281, იონანე ბერი (D I,1; E I,2); 488, 27.
63. მთისაგან ლოდი, თკნიერად კელისა გამოყუეთილი— VII,9; № 312 (D I,3; E I,4); 488, 35.

შესატყვისთა უმრავლესობა დაიძებნა აღდგომაზე, ცხრა შემთხვევაში დღესასწაული საერთოდ არ არის მითითებული, ხოლო თითო-ორი ნიმუში სხვა დღესასწაულთა მასალაა: შობის, შობითგან ბრმის, დიდმარხვის. V კვირის პარასკევის, ღვთისმშობლის, ბარბარეს, მარკიანეს და მოწამეთა. ტროპართა უმრავლესობა ბერძნულის ზედმიწევნითი თარგმანია (№№ 1—3,

5, 7, 12, 15, 17, 19, 22, 24, 25, 27, 30, 31—35, 38, 40—43, 45, 47, 48, 50, 52—54, 56, 62). ზოგი ტროპარი მხოლოდ ვარიანტულ სხვაობებს გვიჩვენებს (№№ 6, 10, 14, 28, 36, 39, 44, 49, 51, 57, 58, 61, 63), ან განსხვავებული რეფრენი ერთის (№№ 4, 13, 18, 20, 21, 23, 26, 29, 37, 46). ზოგჯერ ქართულად მხოლოდ ბერძნულის თანმხვედრი დასაწყისია მოცემული, ასეთ შემთხვევებში მთელი ტროპარის შედარების შესაძლებლობას მოკლებული ვართ (№№ 8, 9, 11, 16, 55, 59, 60).

ბერძნული შესატყვისი ვერ დაეძვნა გალობებს ქვემოთ ჩამოთვლილ ხმებზე: უგალობდითსა II, V, VI, VII, VIII.

მოიხილესა II, IV, VI.

განძლიერდასა I, II, IV.

უფალო მესმასა I, II.

ლამითგანსა IV, VI.

ლაღადყავსა II, V.

კურთხეულარსა VIII.

აკურთხევდითსა I, II, IV, V.

ადიდებდითსა VIII.

ვერ დავადასტურეთ ქართულად თარგმნილი ძლისპირთა ერთი რომელიმე სრული აკოლუთია, გადმოღებულია მხოლოდ ერთი, იშვიათად ორი ან სამი ოდის ძლისპირები. მხოლოდ № 110 აკოლუთიიდან პარალელი დაეძვნა მე-2, მე-3, მე-4 და მე-9 ოდების ძლისპირებს.

ავტორებად უმთავრესად VII—VIII ს-ის საეკლესიო მოღვაწენი ჩანან: 29 ტროპარი მიეწერება გერმანეს, 16—იოანე ბერს, 8—ანდრია კრიტელს, 2 — იოანე დამასკელს, 1—ნიკიფორეს, დიდი ეკლესიის დიაკვანს, 3 — იოანე ბერს ან გერმანეს⁵⁸, 1—იოანე ბერს ან ანდრია კრიტელს, 1— იოანე ბერს ან იოანე დამასკელს, 1—იოანე დამასკელს ან გერმანეს, ხოლო 4 ტროპართან ავტორი არ არის მითითებული.

არის თუ არა ბერძნულ ძლისპირთა შესატყვისი ქართული ტროპარები ძლისპირის ფუნქციის მატარებელი ძველი რედაქციის აღდგომის საგალობელათათვის? ძლისპირი გალობასა თუ სტიქარონს პირველ ტროპარად უძღვის, ეს ადგილი მისი ფუნქციითაა განპირობებული — განსაზღვროს მომდევნო ტროპართა რიტმი და კილო. ზემოთ მოხმობილ ტროპართა უმრავლესობა მართლაც რიგით პირველია, მაგრამ 63-დან 23, მესამედი და მეტიც, გალობებში მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-9 ტროპარებადაა ჩართული. ეს ციფრი უკვე ყურადსაღებია.

ლეთისმშობლისადმი მიძღვნილ ტროპარებთან დაკავშირებით გამოჩნდა, რომ ლეთისმშობლის მასალა სტიქარონთა თუ გალობათა მიხედვით არათანაბრადაა განაწილებული. ასეთივე სურათი ჩანს ბერძნულ ძლისპირთა შესატყვის ტროპარებთან დაკავშირებითაც — ბერძნული მასალა ვერ დაეძვნა ყველა გალობას ყველა ხმაზე (ამასთან დაკავშირებით იხ. ზემოთ მოტანილი ცხრილი). არ დადასტურდა აგრეთვე ქართულად გადმოღებული ბერძნულ ძლისპირთა სრული აკოლუთია.

⁵⁸ ორ ავტორს იმ შემთხვევაში ვუთითებთ, როდესაც ორი თანხვედრილი ბერძნული ძლისპირი სხვადასხვა ავტორს მიეწერება.

ძველი რედაქციის აღდგომის საგალობლებში ასახული ბერძნულ ძლისპირთა შესატყვისი ქართული ტროპარები მოვიძიეთ მეხუთი „ძლისპირნის“ ადრეულ ქართულ თარგმანებში. ლეთისმშობლის მასალასთან დაკავშირებით ზემოთ აღნიშნულ ერთ ტროპარს (ძლ. 111) დაემატა საერთო სამი სრული ტროპარი: „განძლიერდა გული ჩემი უფლისა მიმართ...“ (ძლ. 125), „მესმა სმენაჲ შენი და შემეშინა...“ (ძლ. 275), ამ უკანასკნელში სმებიც მონაცვლეობს (V—VI), „შთამაგდეს მე სიღრმესა გულსა ზღკსასა“ (ძლ. 371) და ერთი მხოლოდ დასაწყისით მინიშნებული „ესაია მხია“ (ძლ. 261)⁵³⁷. თარგმანის თანხვედრის შემთხვევები მხოლოდ ამ ხუთიოდე ნიმუშით ამოიწურა.

მარცვალთა რაოდენობის თვალსაზრისით რა თანაფარდობაა ერთ გალობაში თავმოყრილ ტროპართა შორის? ნიმუშებად მოვიხმობთ ცისკრის კანონის იმ ოდებს, რომელთა პირველ ტროპარებს დაეძებნა ბერძნული შესატყვისები. ნიმუშები გალობის ერთი ფენის — ძირითადის ან „სხუანის“ ფარგლებში მოგვაქვს:

I ხმის უგალობდითსას პირველი ტროპარი „ფარაო ეტლებითურთ...“ (Eu № 21) 58 მარცვლიანია, მომღვენოები—40, 50 და 47 მარცვლიანი.

I ხმის მოიხილესას „სხუანის“ პირველი ტროპარი „იხილეთ, იხილეთ უფალი ღმერთი ჩუენი...“ (Eu № 22) 36 მარცვლიანია, მომღვენოები—50 და 40 მარცვლიანი.

VI ხმის განძლიერდასას პირველი ტროპარი „განძლიერე მე, ქრისტე...“ (Eu № 235) 30 მარცვლიანია, მომღვენოები—21,25 და 39 მარცვლიანი.

VI ხმის უფალო მესმასას პირველი ტროპარი „მესმა სმენაჲ შენი...“ (Eu № 227) 38 მარცვლიანია, მომღვენოები—28, 35 და 78 მარცვლიანი და ა. შ. ამგვარი ნიმუშები მრავლადაა.

ამათ გვერდით, შედარებით ნაკლებად, მოიძეეება იმგვარი შემთხვევებიც, როდესაც, ძლისპირიან გალობათა მსგავსად, ტროპართა შორის მარცვალთა რაოდენობის სხვაობა მინიმალურია:

VII ხმის განძლიერდასას პირველი ტროპარი „განძლიერდა გული ჩემი უფლისა მიმართ...“ (Eu № 285) 40 მარცვლიანია, მომღვენოები—40, 43 და 39 მარცვლიანი.

VII ხმის ღამითგანსას პირველი ტროპარი „რომელთა აღვიმსთუეთ დიდებად შენდა...“ (Eu № 289) 46 მარცვლიანია, მომღვენოები—42, 47 და 48 მარცვლიანი.

VI ხმის ღალადყავსას „სხუანის“ პირველი ტროპარი „ღალადყავ ქირსა ჩემსა...“ (Eu № 226) 42 მარცვლიანია, მომღვენოები—44 და 43 მარცვლიანი. და ა. შ.

ასეთივე სურათია იმ ოდებშიც, რომელთა პირველ ტროპარებს არ დაეძებნათ ბერძნული მოდლები.

ამგვარად, ძველი რედაქციის აღდგომის კანონისათვის ყოველთვის არ არის სავალდებულო ერთ გალობაში თანაბარმარცვლიანი ტროპარები იყოს თავმოყრილი. ასეთივე სურათი ჩანს იადგარში ასახულ სხვა დღესასწაულებთან დაკავშირებითაც. იადგარის კანონების ამ თვალსაზრისით კვლევამ ნათელი გახადა, რომ: „იადგარის კანონების შედგენის დროისათვის ჭერ კი-

⁵³⁷ ძლისპირნი, გვ. 89 № 125, გვ. 149 № 275, გვ. 189 № 371, გვ. 143 № 261.

დევ არ იყო კანონიზირებული ძლისპირთა ფუნქციები და მისი, როგორც რიტმულ-მელოდიური მოდელის, მნიშვნელობა გალობისათვის. ეს მოხდა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც შეიქმნა ირმოლოგიონი, იქამდე კი უძველეს კანონთა მთხვევლები ძალზე თავისუფლად ექცეოდნენ გალობის სილაბიკას, რიტმიკას, ცალკე ძლისპირებს და ძლისპირთა აკოლუთიებს⁵³⁸.

ბერძნული ძლისპირის ფარდი ქართული ტროპარები რომ ჯერ კიდევ არ არის ძლისპირის ფუნქციის მატარებელი. ჩანს იმგვარი შემთხვევებიდანაც, როდესაც ერთი გალობის ფარგლებში ბერძნული ძლისპირის შესატყვისი ორი ტროპარი იყრის თავს: VI ხმის უფალო მესმასას პირველი და მეორე: „მესმა სმენაჲ შენი და შემეშინა...“ (Eu № 235) 39 მარცვლიანი და „დაფარნა ცანი შუენიერებაჲმან შენმან...“ (Eu № 237) 28 მარცვლიანი.

III ხმის ადიდებდითსას პირველი და მესამე: „შენ, დედასა ნათლისასა...“ (Eu № 112) 45 მარცვლიანი და „შენ, უკუდავებისა წყაროსა...“ (Eu № 110) 50 მარცვლიანი.

VII ხმის ადიდებდითსას პირველი და მესამე: „ყოლად დიდებულო, ცათა უმაღლესო...“ (Eu № 281) 53 მარცვლიანი და „მთისაგან ლოდი თვნიერად კელისა გამოკუეთილი...“ (Eu № 312) 67 მარცვლიანი.

ამგვარად, ბერძნულ ძლისპირთა შესატყვისი ქართული ტროპარები ძველი რედაქციის აღდგომის საგალობლებისა ჯერ კიდევ არ არიან იმ ფუნქციის მატარებელი, რაც წაეყენება რიტმულ-მელოდიურ ქარგაზე გაწყობილ გადაშუშავებულ ძლისპირებს, რომლებიც, თავის მხრივ, მელოდიის განმსაზღვრელად უნდა იქცნენ.

საწელიწდო ნაწილის ძლისპირთა კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ გალობათა პირველ ტროპარებს ბიბლიურ გალობასთან მაკავშირებლის ფუნქცია აკისრია⁵³⁹. ამავე დასკვნის გამოტანის უფლებას იძლევა აღდგომის დასდებლების გალობათა პირველი ტროპარებიც. მათი უმრავლესობა იწყება ბიბლიურ გალობათა შესატყვისი ტრაფარეტული ფრაზებით: „უგალობდეთ უფალსა“, „მოიხილე, ცაო“, „განძლიერდა გული ჩემი“ და ა. შ. ამ ძლისპირთა დანიშნულება კონკრეტული გალობის შესაბამის ბიბლიურ გალობასთან დაკავშირებაა.

აღდგომის საგალობელთა მასალა ლიტურგიულ კანონებში

როგორ არის ასახული ძველი რედაქციის აღდგომის საგალობელთა მასალა ლიტურგიული დანიშნულების სხვა ნუსხებში? სამ სინურ ნუსხაში: Sin. 47-ში, Sin. 53-სა და Sin. 54-ში გამოჩნდა აღდგომის საგალობელთა პარალელური მასალა.

977 წ-ის იოვანე-ზოსიმეს ავტოგრაფული ნუსხა Sin. 47 შეიცავს კვირიაკეთა საციცკრო განგებას. ხელნაწერის რაობა გარკვეულია იოვანე-ზოსიმეს ანდერძში: „დავჩხრიკე... წმიდანი ესე სახარებანი საციცკრონი წმიდათა კკრიაკეთანი ყოველთა კმათა ზედა ყოვლითავე განგებითა სრულიად, ვითარცა არს ბერძულად, სინაწმიდას შინა“ (88r—v). ნუსხა შეიცავს ლოცვებს, ასამალღებლებს, რვა ხმაზე ცისკრის ფსალმუნურ საგალობლებს, საკითხავებს

⁵³⁸ აქვე, გვ. 856.

⁵³⁹ აქვე, გვ. 834—825.

ოთხთაიდან და გარდამოთქმანს, დასასრულ, კვერქსებს ცისკრად და სამხრად. ამ ნუსხისეული ცისკრის ყველა ფსალმუნური საგლობელი დადასტურდა აღდგომის დასდებელთა ტექსტში, გარდა გარდამოთქმამს მომდევნო საგლობლებისა 133-ე ფსალმუნიდან: 133,2 და 1. მხოლოდ იოვანე-ზოსამეს ავტოგრაფული E ნუსხა ურთავს გარდამოთქმას მომდევნოდ ფსალმუნურ საგლობლებს, ისიც განსხვავებულ ტექსტს: 91, 16 და 92,1. ფსალმუნურ საგლობელთა გარდა, თანხვედრილია პოეტური გარდამოთქმა ყველა ხმისა.

ცისკრის განგების საკითხავებად აღებულია ოთხივე მახარებლის ბოლო თავები. ხმების მიხედვით საკითხავეები ასეა განაწილებული:

I მათეს XXVIII თავი მთლიანად.

II მარკოზის XVI თავის 1—8 მუხლები.

III ლუკას XXIV თავის 1—12 მუხლები.

IV იოანეს XX თავის 1—8 მუხლები. IV ხმის საკითხავის ბოლოს ნუსხას აკლია ერთი ფურცელი.

VI მარკოზის XVI თავის 9—20 მუხლები.

VII ლუკას XXIV თავის 13—35 მუხლები.

VIII იოანეს XXI თავის 1—14 მუხლები.

X ს. I ნახ. საბაწმიდური კონდაკი Sin. 53 შეიცავს იაკობის ჟამისწირვას, კვირის სადა დღეების განგებას, რვა ხმაზე მარტვილიის მომდევნო ხუთი კვირის განგებას, სამხრის საკვირაო ფსალმუნურ საგლობლებს, ცისკრის ფსალმუნურ საგლობლებს—„განილკძენს“, კვირავეთა საციცკრო საკითხავებს ოთხთაიდან პირველი ოთხი ხმის ფარგლებში და დასდებლებს კვირის დღეებისათვის. მარტვილიის მომდევნო ხუთივე კვირა იწყება კომენტარით: „ფსალმუნი და აღელუაჲ საკვრაოჲ“. კომენტარი მიუთითებს კვირა დღეთათვის განკუთვნილი ფსალმუნ-დასდებლისა და აღელუაჲთ ფსალმუნის შესრულების საკვირთაზე. შემდგომ მოსდევს ჟამისწირვ-ს საკითხავები პავლენიდან და ოთხთაიდან. ხოლო თვით ფსალმუნური მუხლები ხმების თანმიმდევრობით ნუსხაში ცალკეა შეტანილი: „ფსალმუნნი საკვრაონი“ და „საციცკრონი განილკძენი“. „ფსალმუნნი საკვრაონის“ სათაურით თავმოყრილი საგლობლები დადგა ლექციონარის ბოლოს დართულ საკვირაო და აღდგომის სამხრის ფსალმუნურ საგლობლებთან. პარალელი დაეძებნა სამხრის ყველა ფსალმუნ-დასდებელს და ორ აღელუა ფსალმუნს: 23,1 და 100,1—2. ცისკრის წირვის „საციცკრონი განილკძენი“ შეიცავს I—V და VIII ხმების მასალას. საგლობლები იმგვარადაა დალაგებული, რომ ყველა ხმაზე, V ხმის გარდა, პირველი საგლობლის ფსალმუნი „განილკძეთი“ იწყება. „საციცკრონი განილკძენი“ აღდგომის დასდებლებში შესულია ცისკრის ფსალმუნურ საგლობლებად.

X ს. ლიტურგიული კრებული Sin. 54 სხვა მასალათა შორის (იაკობის ჟამისწირვა, კურთხევანი, კვერქსნი, ერის განტევებანი, საწელაწლო დღესასწაულთა განგებანი) შეიცავს კვირიაკეთა განგებასაც. ჩვენთვის ამჟერად საინტერესოა კრებულის ეს ბოლო ნაწილი, რომელშიც „კვირიაკეთა ყოველთასა“ სათაურით თავმოყრილია კვირა დღეებისათვის გამოსაყენებელი მასალა. საკვირაო განგება რვა ხმაზე შეიცავს სამხრის ფსალმუნ-დასდებლებს, საკითხავებს

პავლენიდან, ალელუაჲთ ფსალმუნსს, საკითხავებს ოთხთავეიდან, კელთაბანისას და სიწმიდისას. ამ ნუსხისეული სამხრის ფსლმუნური საგალობლები, აგრეთვე პოეტური კელთაბანისაჲ და სიწმიდისაჲ თანხვედბა აღდგომის საგალობელთა შესაბამის მასალას. ფსალმუნურ საგალობელთაგან მხოლოდ ორი ალელუაჲთ ფსალმუნი: 117, 16—17 (II) და 111, 1 (VI) არ არის შესული აღდგომის დასდებლებში. ამათგან პირველი—117, 16 ლექციონარშია ასახული, ხოლო მეორე—111, 1 ლექციონარშიც არ დასტურდება. ამ უკანასკნელში წარმოდგენილია მხოლოდ I—V და VIII ხმების ალელუაჲთ ფსალმუნნი.

ამგვარად, საკვირაო მცირე ფორმის პოეტური და ფსალმუნური საგალობლები დაცულია იმავე პერიოდის საბაწმიდურ და სინურ ლიტურგიკული დანიშნულების ნუსხებში, რა პერიოდისა და ლიტურატურული წრისნუსხებშიაც შემოგვინახეს აღდგომის დასდებელთა ძველი რედაქცია. ეს ფაქტიურად ის მასალაა, რომელიც ამ დასდებელთაგან გამოკრიბეს F და G ნუსხებში.

ძველი რედაქციის აღდგომის დასდებელთა რამდენიმე ტროპარი გამოჩნდა ბერძნულ პარაკლიტონში, კერძოდ, კვირა დღისათვის განკუთვნილ მასალაში:

1. იხარებდით ცანი და გალობდინ საფუძველი ქუეყანისაჲ—I უფ. ლღ.; 367, 16—2, 37⁵⁴⁰.

2. ქრისტემან, მაცხოვარმან ჩუენმან, კელით-წერილი ჩუენთეს ჭუარსა შემრქუალა—VI კლთბ.; 476, 32—100, 26.

3. აღგომამან შენმან, მაცხოვარო ჩუენო, სოფელი განანათლა ყოველი—VI უფ. ლღ.; 460, 12—101, 19.

4. ჭუარსა შენსა თაყუანის-ესცემთ, უფალო—VI ჯრ.; 463, 17—186, 20.

5. ძელისა მიერ ადამ—IV ჯრ.; 422, 23—288, 29.

6. მოეც სასწაულად—VII ჯრ.; 481, 12—323, 4.

7. ჭუარი შენი, უფალო, ცხორება და აღდგომა არს ერისა შენისადა—VI ჯრ.; 463, 21—466, 25.

8. საფლავსა დაიდევ ვითარცა კაცი (მკუდარი)—VII უფ. ლღ.; 478, 16—535, 9.

9. რაჲ მივაგოთ უფალსა ყოვლისავეთეს—VII კლთბ.; 493, 2—549, 35.

10. მწუხრისა გალობასა და სიტყუერსა მსხუერპლსა შენდა, ქრისტე, შეესწირავთ—IV უფ. ლღ.; 420, 3—616, 28.

11. უფალო, უფალო, ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან—IV უფ. ლღ.; 420, 6—616, 31.

ზემოთ აღნუსხულ დამთხვევათა უმეტესობაში (11 ნიმუშიდან 7) აღდგომის დასდებელთა უფალო დალადყაესას, ჭუარისანისა და კელთაბანისას ტროპარები შესულია პარაკლიტონის ე. წ. დიდი მწუხრის განგებაში (№№ 1—4, 8, 10, 11). ორიოდ შემთხვევაში ჭუარისანი გადასულია აქედითსად (№№ 6, 7). ამგვარი ნიმუშები დადასტურდა სინანულის დასდებლებში, ამ უკანასკნელში აღდგომის დასდებელთა ჭუარისანის მასალა, როგორც წესი, აქედითსას ფუნქციის მატარებელია (ამასთან დაკავშირებით იხ. ზემოთ, გვ. 883). აქედითსადაა გადასული აღდგომის საგალობელთა კელთაბანისაჲც (№ 9), ხოლო ერთგან

⁵⁴⁰ ეუთითებთ ჯერ აღდგომის დასდებელთა ხმასა და გალობას, ხოლო შემდგომ წინამდებარე გამოცემისა და ბერძნული პარაკლიტონის გვერდსა და სტრიქონს (*Παρακλητική ηνοι Ὁκτώηχος ἢ μεγάλῃ*, 'Ρώμη, 1885).

ჯუარისანს ენაცვლება ე. წ. μαχαρσμαδ, რომელიც შესხმას წარმოადგენს და ოქტოიხოსში „უამისწირვისათვის“ რუბრიკითაა ჩართული (№ 5). ამგვარად, ძველი რედაქციის აღდგომის დასდებელთა მასალა მეტად ძუნწად, მაგრამ მაინც გამოჩნდა ბერძნული პარაკლიტონის ახალი რედაქციის საკვირაო საგალობლების მწუხრის, ცისკრისა და სამხრის სტიქარონებში.

აღდგომის საგალობელთა ლიტურგიული დანიშნულება

დასასრულ, აღდგომის დასდებელთა ლიტურგიული დანიშნულებისათვის. ჭერ კიდევ ლექციონარის მიხედვით „ფსალმუნნი საკვარონის“ სახელით ცნობილი ფსალმუნური საგალობლები აღდგომის დასდებლებშია შესული. აღდგომის ფსალმუნური და მცირე ფორმის პოეტური საგალობლები აგრეთვე საკვირაო მასალადაა ფიქსირებული X ს-ის სინურ კონდაკებში. იოვანე-ზოსიმეს კალენდარშიც, რომელშიც მოცემულია შეიდეულის დღეთა კვალიფიკაცია საბაწმიდური წესის მიხედვით, კვირა დღის შინაარსი ამგვარადაა განმარტებული: „ღღჳ კვრიაჳჳ ღღესასწაულ არს წმიდისა აღდგომისა“⁵⁴¹. ამ ტრადიციის შესაბამისად, რომელსაც თავის მხრივ საფუძვლად ქრისტეს კვირა დღეს აღდგომა დაედო, პარაკლიტონში კვირა დღისათვის აღდგომის დასდებლებია განკუთვნილი. აღდგომის საგალობელთა მოხმარების თვალსაზრისით საყურადღებოა იოვანე-ზოსიმეს კომენტარი E ნუსხისა მარტვილიის საგალობლებთან დაკავშირებით: „ზატიკთა რომელიცა ღღესასწაული იყოს და მარტკლიობასაცა, უწინა წმიდისა აღდგომისა დასადებელნი სოქუნე ჳმასა ზედა, თუ გინდეს, და მერმე—სულისა წმიდისანი...“⁵⁴² კომენტარი უთითებს ზატიკის პერიოდის თანხვედრილ ღღესასწაულებზე ხმების მიხედვით ჭერ აღდგომის დასდებელთა შესრულების შესაძლებლობასა თუ საჭიროებაზე. აღდგომის მასალის მოხმარების თვალსაზრისით გასათვალისწინებელია გიორგი მთაწმიდლის ტიპიკონის, ე. წ. „ღღი სკნაქსარის“, მონაცემებიც, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ასახავს კონსტანტინოპოლურ განგებას, რომელიც ახალი რედაქციის მასალაზეა აგებული. გიორგი მთაწმიდლის ტიპიკონში ჩართული კომენტარები გვაუწყებს, რა შემთხვევაშია მოსახმარი აღდგომის საგალობელთა მასალა, ან როდის არ შეიძლება მისი გამოყენება. აღდგომის სტიქარონნი, იბაკონი, წარდგომა-დასდებელნი და გალობანი, აგრეთვე საკითხავები ახალი აღთქმიდან მოხმობილია აღდგომის ზატიკის პერიოდისათვის (H 2123, 417r—430r)⁵⁴³. აღდგომის შეიდეულის დღეების „სერობაზე“ შესასრულებლად მოცემულია საგალობელთა დასაწყისებიც: I ხმის მასალა მითითებულია აღდგომის დღეს, II ხმისა—აღდგომის მომდევნო ორშაბათს, III ხმისა—სამშაბათს და ა. შ. ვიდრე ახალკვირიაკემდე, VIII ხმა ახალკვირიაკეს მოდის (419r). საყურადღებო კომენტარია ჩართული ამდღებთან დაკავშირებით: „ესეცა საცნაურ იყავნ, რამეთუ აღდგომისა სტიქარონთა და წარდგომათა და გალობათა ამდღებამდე ვიტყვთ, ხოლო მიერთგან კვრიაკეთა ოდენ ითქუმან აღდგომისა წარდგომა-დასადებელნი და გალო-

⁵⁴¹ G arittle, Calendrier, p. 119.

⁵⁴² სინურ ხელნაწერთა აღწერილობა, I, გვ. 105, № 10, შნშ.

⁵⁴³ გიორგი მთაწმიდლის ტიპიკონს ვამოსაყვამდ აშხადებს. მ ა ნ ა ნ ა დ ო ლ ა ქ ი ძ ე . ჩვენთვის საჭირო მასალა ვამოსაყვამდ მომზადებული ტექსტიდანაა ამოკრებილი.

ბანი“ (426r). კომენტარიდან ჩანს, რომ აღდგომის საგალობელთა მასალა ამაღლებამდეა მოსახმარი, ხოლო მომდევნოდ მხოლოდ კვირა დღეთათვისაა განკუთვნილი. კვირა დღეებზე ჭერ აღდგომის მასალაა მითითებული, ხოლო შემდგომ იმ დღესასწაულისა, რომელიც საეკლესიო კალენდრის მიხედვით ამ დღისთვისაა განკუთვნილი. აღდგომის მასალა მოცემულია ლიტურგიული წლის დასაწყისშივე, 1 სექტემბერს „შემდგომად უკუეთუ დახუდეს კვრიაკე“ (3r), მათმთავართა ხსენების წინა კვირა დღეს (108v—109r), ქრისტეს შობის წინა და მომდევნო კვირა დღეებზე (109r, 127v), ორმოცი მოწამის ხსენებაზე „უკუეთუ... კვრიაკესა დახუდეს“ (195r), ხარებაზე „თუ კვრიაკესა დახუდეს“ (201v—202r), მეზვერისა და ფარისეველის, უძღები შვილის, ხორციელისა და ყველიერის (383v—386r), აგრეთვე ღიდმარხვის კვირა დღეებზე (389v—391r). კომენტარებია ჩართული იმ კვირა დღეთათვისაც, რომლებზეც აღდგომის მასალა არ სრულდება: 14 სექტემბერს ჭვრის ამაღლებაზე: „უწყებაჲ ჭერ არს, რამეთუ უკუეთუ კვრიაკესა დახუდეს ჭუართა აპურობაჲ, ადგომისაჲ არარაჲ ითქუმის ყოლადვე, არამედ ყოველი ჭუარისაჲ“ (13r), ბზობაზე: „დღესასწაულსა თვისი განგებაჲ აქუს და ადგომისაჲ არაჲ ითქუმის“ (393v), ფერისცვალებაზე: „უწყებაჲ ჭერ არს, უკუეთუ ფერისცვალებაჲ კვრიაკესა დახუდეს, არცა მწუხრსა, არცა ცისკრად ადგომისაჲ არაჲ ითქუმის, არამედ ყოველი ფერისცვალებისაჲ“ (330r).

აღდგომის პოეტური და ფსალმუნური საგალობლები ლექციონარსა და ადრეულ სინურ კონდაკებში საკვირაო მასალადაა ფიქსირებული, ხოლო იოვანე-ზოსიმეს ზემოთ მოხმობილი კომენტარი მარტვილიასთან დაკავშირებით შესრულების იმავე რიგს გვიჩვენებს, რომელიც გიორგი მთაწმიდლის ტიპიკონისათვისაც მისაღებია: ჭერ აღდგომის მასალა „ითქუმის“, ხოლო შემდგომ — სათანადო დღესასწაულისა.



ამრიგად: 1. ძველი რედაქციის აღდგომის საგალობლები დაცულია პალესტინურ იადგარებში, რომელთა ლიტერებია ABCDEFG. ძველი რედაქციის აღდგომის საგალობლები ოქტოიხოსის ადრეული რედაქციაა, დალაგებული ხმების მიხედვით პოეტურ და ფსალმუნურ საგალობელთა ძირითადად ერთნაირი თანმიმდევრობით.

2. აღდგომის საგალობელთა მასალა ლექციონარისათვის გვიანდელი მოვლენაა, წარმოდგენილია არასრულად, მხოლოდ ეამისწირვის ფსალმუნური საგალობლებით, და ლექციონარზე შემდგომი დანართის შთაბეჭდილებას ტოვებს, ბოლოსაა მოქცეული. ლექციონარის ამ ტრადიციითაა განპირობებული აღდგომის დასდებელთა ადგილი იადგარშიც. უძველესი იადგარისთვის ეს საგალობლები გვიან შედგენილი ჩანს მასში შესულ საწელიწოდ დღესასწაულთა რეპერტუარის ფონზე.

3. აღდგომის საგალობლების ტროპართა დაახლოებით მეათედი უძველესი იადგარში ასახულ სხვა დღესასწაულთა მასალაა.

4. აღდგომის საგალობელთა შემცველი ABC ნუსხები შედარებით ადრეული პერიოდის ვითარების ამსახველია, ხოლო DEFG—მოგვიანო პერიოდისა, რაც ერთი მხრივ, ტროპართა რიცხობრივ ზრდაში გამოიხატება, ხოლო, მეორე მხრივ, ლტინისმშობლისადმი მიძღვნილი მასალის ჰარბად ასახვაში, რომლის ერთ-ერთი

გამოხატულებაა „შესხმანი“ სათაურით გაერთიანებულ ღვთისმშობლი-სადმი მიძღვნილ ტროპართა ჩართვა აქებდითსას მომდევნოდ. აღდგომის საგალობელთა ტექსტი, განსაკუთრებით კი „შესხმანი“, გამოირჩევა შესხმის ობიექტის ირგვლივ თავმოყრილი მხატვრული სახეების სიუხვით.

5. ახალი რედაქციის იადგარის შემკველ EFG ნუსხებში ახალი რედაქციის აღდგომის საგალობელთა გვერდით ასახულია ძველი რედაქციის მასალაც, რომლის ხმარებიდან თანდათანობით გამოსვლის პროცესს კარგად წარმოაჩენს ამ ნუსხათა მონაცემების გათვალისწინება. E-ში ძველი რედაქციის აღდგომის საგალობლები ჯერ კიდევ სრულადაა წარმოდგენილი, ხოლო F-სა და G-ში—არასრულად, მხოლოდ მცირე ფორმის პოეტური და ფსალმუნური საგალობლებით (ეს ის მასალაა, რომელსაც ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს პრაქტიკული დანიშნულება), ცისკრის კანონისათვის კი უკვე ახალი რედაქციის საგალობლებია გათვალისწინებული.

6. ძველი რედაქციის აღდგომის საგალობელთა ტექსტში დაიძებნა ბერძნულ ძლისპირთა შესატყვისი მასალა, რომელთა ავტორები არიან VII ს-ის მიწურულისა და VIII ს-ის I ნახევრის საეკლესიო მოღვაწენი, რამდენიმე ტროპარი გამოჩნდა ბერძნული პარაკლიტონის კვირა დღისათვის განკუთვნილ სტიქარონებში.

7. ძველი რედაქციის აღდგომის საგალობლები ჯერ კიდევ არ არის გაწყობილი ძლისპირთა და ღმრთისმშობლისანის რიტმსა და კილოზე. ამაზე მიუთითებს ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი და ბერძნულ ძლისპირთა შესატყვისი ტროპარების არათანაბარი განაწილება ხმებისა და ვალობების მიხედვით. შემთხვევათა უმეტესობაში ტროპარების მარცვალთა თანფარდობის უგულებელყოფა ერთი ვალობის ფარგლებში, აგრეთვე ძლისპირთა შესატყვისი ტროპართა ადგილი, რომელიც ყოველთვის არ შეესაბამება ძლისპირისათვის განკუთვნილ პირველ ადგილს და, დასასრულ, ამ მასალის გაუთვალისწინებლობა მეხურ „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანის“ ადრეულ ქართულ თარგმანებში (გარდა მცირე გამონაკლისისა). ძველი რედაქციის აღდგომის საგალობლებს ძლისპირთა დანიშნულება კონკრეტული ვალობის შესაბამის ბიბლიურ ვალობასთან დაკავშირებაა.

8. ძველი რედაქციის აღდგომის დასდებელთა ფსალმუნურ და მცირე ფორმის პოეტურ საგალობელთა მიმართ ლექციონარსა და სინურ კონდაკებში იხმარება ტერმინი „საკვრა“, რაც თვით ამ საგალობელთა ლიტურგიკული დანიშნულებითაა განპირობებული. აღდგომის დასდებლები შვიდულის წრის საგალობლებია. რომლებიც სრულდება აღდგომიდან ამაღლებამდე, ხოლო მარტილიის მომდევნოდ წლის კვირა დღეებზე ხმების თანმიმდევრობის დაკვირვებით.

სინანულის დასდებლები

უძველესი იადგარის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს, როგორც ითქვა, შეადგენს ე. წ. სინანულის დასდებლები. იადგარის გამოცემაში გამოყენებულ ნუსხათაგან ისინი მხოლოდ C-ს შემორჩნენ. ჩვენ ზემოთ ვუჩვენეთ, რომ A-ში დასდებლების ამგვარი ჩგუფი მოთავსებული უნდა ყოფილიყო დღე-

ისათვის დაკარგულ ბოლო ნაწილში, აღდგომის დასდებლების შემდეგ (იხ. გვ. 718), BD-ში მათი არსებობის კვალი დარჩენილი არ არის. სინანულის დასდებლები შესულია E-ს „ძველ“ იადგარულ ნაწილში (132r—133r) და კიდევ სანურა კოლექციის ჩვენთვის უკვე ნაცნობ ლიტურგიკულ კრებულში, Sin. 53-ში (80v—86v).

C-ში აღნიშნულ დასდებლებს, რომლებიც ცალკეა გამოყოფილი აღდგომის დასდებლების მომდევნოდ (47v—63v), ეწოდება „დასადებელნი სინანულიანი“. E-ს სათაურში კი ვკითხულობთ: „დასადებელნი წინა-უკანათა დღეთანი, სამარადისონი, სინანულისანი, მარხვათანი და ოდესცა გინდეს“⁵⁴⁴, Sin 53-ის სათაურში წერია: „დასადებელნი ყოველთა დღეთანი, დილეულისა და მწუხრისანი“.

ერთი შეხედვით განსხვავებული სათაურები ფაქტიურად ერთი და იმავე მოვლენის სხვადასხვა მხარეს აზუსტებენ და გვეხმარებიან უკეთ განვსაზღვროთ საგალობლების ამ ჯგუფის ხასიათი და დანიშნულება. C-ს სათაურში, როგორც ვხედავთ, დასდებლების მხოლოდ ხასიათი ჩანს, მაშინ როცა E-სა და Sin. 53-ის სათაურებში გამოკვეთილია მათი ფუნქცია და ლიტურგიკული კონტექსტი. Sin. 53-ის მიხედვით სინანულის დასდებლები კვირის ყოველ დღეს ცისკრად და მწუხრზე დაწესებული საგალობლებია. E-ს სათაურში დადასტურებული ტერმინი „სამარადისონი“, ვფიქრობთ, იმასვე უნდა ნიშნავდეს, რასაც Sin. 53-ის „ყოველთა დღეთანი“.

ტერმინი „სამარადისონი“ გარკვეული დანიშნულების საგალობლების აღსანიშნავად პირველად იოანე-ზოსიმეს იადგარებში—Sin. 26-სა და Sin. 34-ში შემოდის. ამ კრებულებში შეტანილია ახალი რედაქციის საგალობლების ერთი ჯგუფი, რომლის სათაურში ვკითხულობთ: „დასადებელნი სამარადისოთა დღეთანი, ახალნი, კვპრულნი“ (E 34r—48v, F 186r—222r). აღნიშნულ დასდებლებთან პირველად იადგარულ საგალობელთაგან ჩნდება მითითებები კვირის ცალკეულ დღეებზე, როცა ესა თუ ის საგალობელი ან საგალობელთა ჯგუფი უნდა შესრულდეს: „დღესა ორშაბათსა ცისკრად კანონი, დასადებელნი სინანულიანი...“ (F 186r, E 34r), „ოთხშაბათსა დასადებელნი წმიდისა ჯუარისანი და წმიდათანი...“ (F 202v, E 38v), პარასკევსა ჯუარისა და წმიდათანი...“ (F 208v, E 41v), „დასადებელნი წმიდათანი, ვისთვისცა გინდეს, და საშაბათონი...“ (F 218v, E 44v). ამგვარი მითითებები უკვე იმის მაჩვენებელია, რომ ე. წ. „სამარადისოთა დღეთა“ დასდებლები შვიდეულის ცალკეული დღეებისათვის არის განკუთვნილი და პარაკლიტონისეული საგალობლების ფუნქცია აქვს დაკისრებული, თუმცა EF იადგარებში ჯერ კიდევ არ არის გატარებული მათი რვახმიანი სისტემა. აღსანიშნავია, რომ E-ს მრავალრიცხოვან შენიშვნებსა და მითითებებში „კვიპრული“ დასდებლების ჯგუფს იოანე-ზოსიმე „მსგებსსაც“ უწოდებს⁵⁴⁵; „მსგებსი“ კი სწორი დღეების, ანუ შვიდეულის წრის ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილ მასალას გულისხმობს. ამ ხასიათის ერთი მინაწერი მოთავსებულია E-ს ძველი რედაქციის სინანულის დასდებლე-

⁵⁴⁴ აღსანიშნავია, რომ სინანულის დასდებლების შესატყვისი იბაკო-წარდგომანი მსგავსი სათაურით არის გამოყოფილი 134r-ზე: „იბაკო-წარდგომანი სინანულისანი, მარხვათანი, სამარადისონი და ლიტანიისანი და წმიდათანი და ოდესცა გინდეს“.

⁵⁴⁵ ლ. ხ ე ს უ რ ი ა ნ ი, Sin. 34-ის შედგენილობის საკითხისათვის, მრავალთავი V.I., 1978, გვ. 108—109.

ბის ბოლოს (E 133v) და გამიზნულია სხვადასხვა რედაქციის სამარადისო დასდებელთა ურთიერთდასაკავშირებლად, რამდენადაც E-ში სამარადისოთა სამი განსხვავებული რედაქცია დასტურდება: უძველესი იადგარის კუთვნილი, „კვიპრულად“ წოდებული ახალი და საბაწმიდური⁵⁴⁶.

ყოველივე თქმულიდან აშკარაა, რომ უძველესი იადგარის სინანულის დასდებლებიც შვიდეულის დღეებზე შესასრულებლად არის დაწესებული და ისინი სამარადისო დასდებლების ადრეულ თავისებურ რედაქციას წარმოგვიდგენენ. ამ დასდებლებში ჭერ კიდევ არ ჩანს დღეების მკვეთრი შინაარსობრივი დიფერენცირება, როგორც ეს EF-ის ზემოთ მითითებულ საჯალობლებში გვაქვს, სადაც ყოველ დღეს თავისი კონკრეტული შინაარსი აქვს, რაც შეესაბამება იოანე-ზოსიმეს შემდეგ განსაზღვრებას: „დღე კერძოა და დღესასწაულ არს წმიდისა ადგომისაჲ, და ზ-შაბათი და სამშაბათი — სინანულისაჲ, და ოთხშაბათი და პარასკევი — ჭუარისაჲ, და ხუთშაბათი — ღმრთისმშობელისაჲ, და შაბათი—წმიდათაჲ და სულისაჲ“⁵⁴⁷. უძველეს იადგარში შვიდეულის დღეებიდან მხოლოდ კვირა დღეს აქვს მინიჭებული თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა და მისთვის შემოღებულია კიდევ ადგომის დასდებლებად წოდებული საჯალობლების ცალკე ჯგუფი. დანარჩენი დღეებისათვის, როგორც ჩანს, სინანულის დასდებლები ივარაუდება. არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს, რომ დასდებელთა ეს ჯგუფი ყოველი ხმისათვის თავს უყრის სინანულის, ჭერის, მოწამეთა (კერძოდ, სტეფანე პირველმოწამის), შესვენებულთა, ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის თემაზე შექმნილ ტროპარებს. სწორედ ეს თემები შეადგენენ, როგორც ცნობილია, შვიდეულის ცალკეული დღეების შინაარსს.

E-ს სინანულის დასდებლების სათაურში კიდევ არის ერთი მომენტი, რომელიც განმარტებას ითხოვს. აქ ნათქვამია: „სამარადისონი, წინა-უკანათა დღეთანი“. ბუნდოვანი გამოქვა „წინა-უკანა დღენი“ სხვაგანაც გვხვდება E-ში და, ვფიქრობთ, კონტექსტი მისი შინაარსის დაზუსტების საშუალებას იძლევა. E-ს დასაწყისში მოთავსებულ „უამნში“ იოანე-ზოსიმეს მოაქვს ეამისწირვისათვის განკუთვნილი ზოგიერთი მასალა, რასაც შემდეგ განმარტებას ურთავს: „ოდეს ეამსა ეზიარებოდი წმიდასა საიდუმლოსა, ჯორცსა და სისხლსა ქრისტისსა, უკუეთუ შაბათი და კერძო იყოს, ყოველი ეამი სამხრისაჲ აღასრულო წესისაჲბრ და მისა შემდგომად ესე ლოცვანი ზიარებისანი წარსთქუნე, რომელ აქა დამიწერია. უკუეთუ წინა-უკანათა დღეთა ეზიარებოდი, ყოველი ეამი თვსა აღასრულნე და სთქუა კერძო იყოს, დიდებაჲ, მამაო ჩუენოჲ...“ (2v). მოტანილ კონტექსტში „წინა-უკანა დღენი“ შაბათთან და კვირასთან არის დაპირისპირებული და აშკარად კვირის დანარჩენ დღეებს გულისხმობს. მინაწერში განმარტებულია, თუ როგორ უნდა შესრულდეს ზიარება შაბათსა და კვირას, და კვირის დანარჩენ ანუ „წინა-უკანა დღეებში“.

ვფიქრობთ, იგივე დაპირისპირება იგულისხმება იოანე-ზოსიმეს ხელითვე დაწერილ სინანულის დასდებლების სათაურშიც. Sin. 53-ისაგან განსხვავებით იოანე-ზოსიმე აზუსტებს, აკონკრეტებს კვირის იმ დღეებს, რომლებშიც სინანუ-

⁵⁴⁶ ლ. ხეცსურიანი, Sin 34-ის შედგენლობის საკითხსათვის, გვ. 107—118.

⁵⁴⁷ G aritte, Calendrier, p. 119.

ლის დასდებლები სრულდება. როგორც ჩანს, აქაც ორშაბათი — პარასკევი იგულისხმება. ამგვარი ვარაუდის დაშვებისას მხედველობაში ვიღებთ შემდეგ გარემოებებს:

1. უძველეს იადგარში საკვირაო ხმარებისათვის გამოყენებულია საგალობელთა სპეციალური ჯგუფი — აღდგომის დასდებლები, რაც გამორიცხავს ამ დღეს სინანულის დასდებლების გამოყენებას.

2. E-ს სინანულის დასდებლების სათაურში ნათქვამია, რომ ეს დასდებლები პირველ რიგში განკუთვნილია დიდმარხვის პერიოდისათვის — „მარხვანთანი და ოდესცა გინდეს“ (132r). საგალობლების ხასიათიდან და შინაარსიდან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ სინანულის დასდებლები გამიზნული იყო საკუთრივ სამარხვო დღეებში შესასრულებლად. ასეთ დღეებად კი უძველეს იადგარში მიჩნეულია ორშაბათი — პარასკევი. შაბათები და კვირა დღეები, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, თავისუფალია მარხვისაგან.

ამრიგად, თუ შევჯამებთ ჩვენს მიერ განხილული სათაურების ყველა მონაცემს, უნდა ვთქვათ, რომ უძველესმა იადგარმა შემოინახა შვიდეულის დღეების ანუ სამარადისოთა ადრეული რედაქცია. თავისი განწყობილებით ვედრებისა და სინანულის გამომხატველი ეს საგალობლები, როგორც ირკვევა, განკუთვნილი იყო კვირის სადა დღეებში (ორშაბათი — პარასკევი) ცისკრად და მწუხრზე შესასრულებლად პირველ რიგში მახრვის პერიოდში და სურვილისამებრ სხვა დროსაც.

სინანულის დასდებლები რვა ხმაზე წარმოდგენილი მასალაა. ოქტობრისის ეს პრინციპი უკლებლივ დატულია ჩვენს ხელთ არსებულ ყველა ნუსხაში. ნუსხების შედარება ამასთანავე გვიჩვენებს, რომ ისინი საკმაოდ სხვაობენ ერთმანეთისაგან: 1. ერთი ხმის ფარგლებში საგალობელთა სახეობების თვალსაზრისით. 2. საგალობელთა ტექსტობრივი შედგენილობით.

უნდა შევნიშნოთ, რომ საგალობელთა სახეობრივი შედგენილობა, რომელიც ამა თუ იმ ნუსხას ახასიათებს, თითქმის უცვლელად შეორდება მის ყველა ხმაში. C ნუსხაში შედგენილობა ასეა წარმოდგენილი:

მწუხრი: უფალო ღაღადყავსა, ოხითაჲ, ფსალმუნ-დასდებელი; ცისკრად: აქებდითსა.

საგალობელთა უფრო ვრცელ რიგს გვიჩვენებს ყოველ ხმაში Sin. 53:

მწუხრი: უფალო ღაღადყავსა, ოხითაჲ, ფსალმუნ-დასდებელი; ცისკრად: აქებდითსა, სტიქარონი, [აღვიესენითსა], დიდებაჲ.

E-ს შედგენილობა ამგვარად გამოიყურება:

მწუხრი: უფალო ღაღადყავსა, ოხითაჲ, ფსალმუნ-დასდებელი, სტიქარონი, ლიტანიისაჲ; ცისკრად: აქებდითსა, აღვიესენითსა⁵⁴⁸.

როგორც ვხედავთ, E და Sin. 53 შეიცავენ ისეთ საგალობელ ელემენტებს, რომლებიც C-ში არა გვაქვს, ამასთანავე ეს ორი ხელნაწერი განსხვავებას გვიჩვენებს ერთმანეთის მიმართაც.

ძნელია გარკვევით თქმა, თუ რა არის ამ განსხვავებათა საფუძველი — შესაძლებელია ის ლიტურგიკული გარემო, რომელშიც სინანულის დასდებლების შესრულება ივარაუდება. ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობებია შემოგვიინახა E-მ. E-ს თავისებურებას შეადგენს ის, რომ იოანე-ზოსიმემ იად-

⁵⁴⁸ თუ გავითვალისწინებთ ხელნაწერთა ტრადიციებს, Sin. 34-ის ჩვენება უფრო სწორი ჩანს, სტიქარონი მწუხრის საგალობელს წარმოადგენს.

გარის არქაულ ნაწილში გადაწერა სინანულის დასდებლების მხოლოდ მე-2—მე-8 ხმები, ხოლო პირველი ხმის საგალობლების შესახებ აქვე მოათავსა შემდეგი შენიშვნა: „უფალო ღალატყავსა ჳა ა და აქებდითი ზემოათ ჟამთა შინა ჰპოო ყოველი და ლოცვა ყავთ“. იოანე-ზოსიმეს მიერ მითითებული „ჟამთა შინა“ აღმოჩნდა „ჟამნის“ ის რედაქცია, რომელიც E ნუსხაშივეა შეტანილი, მის დასაწყის ნაწილში (1r—24r). მიუხედავად იმისა, რომ E-ს „ჟამნი“ ძლიერ დაზიანებული სახითაა ჩვენამდე მოღწეული, მასში შემორჩენილია ის ნაწილები, სადაც სინანულის დასდებლების პირველი ხმის საგალობლებია შეტანილი. ეს ნაწილებია: დღის მე-11 ჟამი, რომელიც შეიცავს მწუხრის განგებას სამრევლო ღვთისმსახურების წესის შესაბამისად, და ღამის მე-12 ჟამი, რომელიც წარმოგვიდგენს ცისკრის უაღრესად საინტერესო და ვრცელ განგებას, ასევე განკუთვნილს სამრევლო მსახურებისათვის. აღნიშნულ ჟამთა თანამიმდევრობაში ჩართულია უძველესი იადგარის სინანულის დასდებლების პირველი ხმის საგალობლები: მწუხრში—უფალო ღალადყავსა, ოხითაჲ, ფსალმუნ-დასდებელი, სტიქარონი, ლიტანიის დასდებელი (1v—2r), ცისკრად—აქებდითსა და აღვივსენითსა (23v—24r), ამ საგალობელთა ნაწილი ტექსტობრივად ემთხვევა C-ს და განსაკუთრებით Sin. 53-ის პირველი ხმის საგალობლებს.

E-ს მწუხრის განგებას, მასში წარმოდგენილი ელემენტების თანამიმდევრობას, ამგვარი სახე აქვს (მოგვაქვს ტექსტებზე მითითების გარეშე): „ჟამი ია მწუხრისაჲ, საეროჲ: ფსალმუნი რგ, კანონი იმ ქირისაჲ, ლოცვაჲ, დასდებელი უფალო ღალადყავსა ჳა ა, ნათელი მხიარული, ოხითაჲ, კრსნი, ფსალმუნ-დასდებელი, კურეჟქსი, კსნი კე, კათოლიკე ლოცვაჲ, დიდებაჲ, აწ და, კრსნი ვ, სტიქარონი, კვრიელისონ, მამაო ჩუენოჲ, ლიტანიისაჲ, ლოცვაჲ (E 1v—2v). სრულიად აშკარაა, რომ E-ს პირველი ხმის სინანულის დასდებლები შეტანილია „ჟამნის“ მწუხრის განგებაში, სადაც ისინი მონაცვლეობენ სხვადასხვა უცვლელ თუ ცვალებად ელემენტებთან—ფსალმუნებთან, ლოცვებთან, კურეჟქსებთან და ა. შ. სწორედ ამ ლიტურგიულ კონტექსტს გულისხმობს იოანე-ზოსიმე, როცა იგი იადგარულ ნაწილში სინანულის დასდებლების ყოველი ხმის ბოლოს ურთავს შენიშვნას: „სხუაჲ ყოველი იგივე ზემოათ მწუხრისაჲ“ (E 132—133v). ეს ნიშნავს, რომ სინანულის დასდებლების ყოველი ხმა უნდა შესრულდეს მწუხრის აქ წარმოდგენილი განგების მიხედვით, მისი ყველა ელემენტის გათვალისწინებით და გამეორებით. არ არის გამორიცხული, რომ მწუხრის ის განგებები, რომლებიც მხედველობაში აქვთ C და Sin. 53 ხელნაწერებს, E-საგან განსხვავებული იყო და სწორედ ამით არის განპირობებული მათი განსხვავებული სტრუქტურაც⁵⁴⁹. რაც შეეხება ცისკრის საგალობლებს, მათ შესახებ იოანე-ზოსიმე არავითარ განმარტებას არ იძლევა, ამიტომ ძნელია რაიმეს თქმა. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ღამის მე-12 ჟამზე დაწესებულ ცისკრის მსვლელობაში ორგანულად არის ჩართული სინანულის აქებდითსას და აღვივსენითსას პირველი ხმის ტექსტები (E 23r—24r).

⁵⁴⁹ E-ს „ჟამნის“ ანდერძში იოანე-ზოსიმე წერს, რომ მის მიერ გადაწერილ ტექსტში განწესებულთან შედარებით ბევრი რამ არის დაკლებული და შემატებულიც (იხ. სინურ ხელნაწ აღწერილობა, I, გვ. 132—133). ეს, უთუოდ, შეეხება მწუხრის განგებასაც, რომელშიც სხვადასხვა წარმოშობის ტექსტების გასამოყვანად იგივე ტექნიკური ნიშნები გამოყენებული, რაც „ჟამნის“ სხვა ნაწილებში. ამიტომ უნდა ეიფიქროთ, რომ E-ს განგება არ არის ტიპური და C-სა და Sin. 53-ის განგების სხვა რედაქციები აქვთ მხედველობაში.

ჩვენს ხელთ არსებულ ხელნაწერებში სინანულის დასდებლები სხვადასხვა მოცულობითაა წარმოდგენილი და საგრძობლად სხვაობენ ერთმანეთისაგან ტექსტის თვალსაზრისითაც. მათი ყველაზე ვრცელი სახე E-შია დატული. საგალობელი ტექსტების ერთ ნაწილს C-დან არ ეძებნება პარალელი E-სა და Sin. 53-ში. თავის მხრივ E და Sin. 53-იც შეიცავენ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ტროპარებს. შეიმჩნევა სხვა რიგის განსხვავებებიც: ერთი და იგივე ტექსტი სხვადასხვა ხელნაწერებში ხშირად სხვადასხვა დანიშნულებითაა გამოყენებული.

უძველესი იადგარის საგალობელთა სტროფული შედგენილობის შესწავლამ გამოავლინა უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ სინანულის დასდებლები იადგარის სხვადასხვა ნაწილებიდან აღებული საგალობლების კომპილაციის საფუძველზეა შედგენილი. ამ დასდებლების ძირითად მასას მარხვის პერიოდის სტიქარონები შეადგენენ, ზოგიერთი მასალა აღებულია სადღესასწაულო ნაწილიდან და აღდგომის დასდებლებიდანაც. სინანულის დასდებლებად იადგარის უკვე არსებული საგალობლების გამოყენება, როგორც ჩანს, მიზეზია ხელნაწერებში მათი განსხვავებული შედგენილობისა. ნუსხათა გადაწერები არსებული მასალიდან სურვილისამებრ ირჩევდნენ საგალობლების ტექსტებს და ადგენდნენ თავისებურ კომპოზიციებს. იგრძნობა უაღრესად თავისუფალი მიდგომა მასალისადმი.

ამრიგად, ირკვევა, რომ სინანულის დასდებლების ძირითადი მასა მეორადი გამოყენებისაა და შერჩეულია იადგარის სხვადასხვა ნაწილებიდან. ეს, რასაკვირველია, არ გამორიცხავს დასდებელთა შორის ისეთების არსებობას, რომლებიც სპეციალურად ამ დანიშნულებითაა შემოღებული, თუმცა ძნელია ზუსტად ამ ფენის გამოყოფა, რადგან ჩვენს ხელთ არსებული ნუსხები, ვფიქრობთ. არ ასახავენ უძველეს იადგარს ისეთი სისრულით, როგორც იგი სინანულის დასდებელთა შემდგენლებს აქვთ მხედველობაში. ყოველი კონკრეტული საგალობელი ტექსტის წარმომავლობის განსაზღვრა ნუსხათა დღევანდელი ვითარების პირობებში, ვფიქრობთ, შეუძლებელია.

როდესაც იადგარის შედგენილობის ზოგად სურათს ვიხილავდით, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ იადგარის ძირითადი ნაწილები ერთი ასაკისა და წარმოშობისა არ ჩანს. ჩვენ მხედველობაში გვქონდა სინანულის დასდებლების სტრუქტურული და ტექსტუალური ანალიზით მიღებული შედეგები. ამ დასდებლების აშკარა კომპილაციური ხასიათი, მათი მომდინარეობა იადგარის სხვადასხვა ნაწილებიდან, კერძოდ, მარხვის ციკლის საგალობლებიდან, იმის მაჩვენებელია, რომ სინანულის დასდებლები უძველესი იადგარის შედარებით გვიანი ნაწილია და თავისი ასაკით ჩამორჩება საწელიწოდ ნაწილს და თვით აღდგომის დასდებლებსაც. ეს კი ნიშნავს, რომ უძველეს იადგარს, როგორც კრებულს, განვითარებისა და შევსების ეტაპები გაუვლია და დასაწყისში, როცა იგი ლექციონარიდან ცალკე კრებულად გამოიყო, მის შემადგენლობაში შეიძულის წრის საგალობლები არ უნდა ყოფილიყო.

თუ შევაჯამებთ ჩვენს მიერ მოტანილ მასალას და კვლევას, უნდა ვთქვათ, რომ უძველესმა იადგარმა შემოინახა შეიძულის წრის საგალობელთა თავისებური რედაქცია, რომელიც საკვირაო დასდებლების საინტერესო კომპოზიციის გვერდით შეიცავს კვირის რიგითი დღეების (ორშაბათ-პარასკევის) ანუ როგორც მათ სინური ხელნაწერები უწოდებენ „სამარადისო“ დასდებლებს. ოქტობისის პრინციპზე აგებული ეს დასდებლები განკუთვნილია ძირითად-

დად მარხვის პერიოდის სადა დღეებში ცისკრად და მწუხრზე შესასრულებლად, აგრეთვე სურვილისამებრ სხვა შემთხვევებშიც, თუმც დასდებელთა გამოყენების ხასიათი და მასშტაბები კრებულიდან ნათლად არ ჩანს. სამარადისო დასდებლებში ჭერ კიდევ არ ჩანს შვიდეულის ცალკეულ დღეთა შინაარსობრივი დიფერენციაცია. დასდებელთა კომპილაციური ხასიათი ხელნაწერთა შემდგენლებს საშუალებას აძლევდა საკმაო თავისუფლება გამოეჩინათ ასარჩევი მასალის მიმართ, რამაც განაპირობა ჩვენს ხელთ არსებულ ხელნაწერებში სამარადისოთა საკმაოდ განსხვავებული ვარიანტები, თუმცა, აშკარაა, რომ ყველა ისინი ერთ ლიტურგიკულ საფუძველზე არიან აღმოცენებულინი. სამარადისო დასდებლები, აღდგომის დასდებლებისაგან განსხვავებით, არ იცნობს გალობას.

ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ისტორია ოქტოიხოსის წარმოშობას საბაწმიდელ მოღვაწეებს — იოანე დამასკელსა და კოზმა იერუსალიმელს მიაწერს. ბოლო დროის გამოკვლევებში მიიჩნევენ, რომ სრული ოქტოიხოსი, როგორც წიგნი, დამასკელის შემდეგ არის შედგენილი. ხ. პანიკი თვლის, რომ იოანე დამასკელი უნდა იყოს ოქტოიხოსის ზოგიერთი ნაწილის ავტორი, შესაძლებელია მასვე ეკუთვნოდეს მისი პირველი კომპოზიციები. მისი აზრით, ოქტოიხოსის ზოგიერთი ნაწილი არსებობდა დამასკელამდე, ისევე როგორც გალობა ოქტოიხოსის წესზე ანუ მ მუსიკალური ხმის მიხედვით ძველი მოვლენაა და არსებობდა „ოქტოიხოსის“, როგორც კრებულის, წარმოშობამდე ბევრად ადრე⁵⁵⁰.

შეღარება გვიჩვენებს, რომ უძველესი იადგარის სამარადისო დასდებლებს არაფერი აქვს საერთო ახალი იადგარების შესაბამისი დანიშნულების საგალობლებთან, რომელთა შორის უნდა ვივარაუდოთ დამასკელიწეული ოქტოიხოსის საგალობლები, რაც მათ სიძველეზე უნდა მეტყველებდეს. მომავალი კვლევა გაარკვევს. თუ რამდენადაა უძველესი იადგარის სამარადისო დასდებლებში შემორჩენილი ოქტოიხოსის ის სახე, რომელიც იოანე დამასკელამდე არსებობდა.

⁵⁵⁰ Ch. Hannick, *Le texte de l'Octoechos*, p. 37—69 (ცალკე აზონაბეკი); М. А р-р а н и ц, *История Типикона*, опыт. 1-ый курс, Л., 1978, с. 67—71.

შ ე გ ო კ ლ ე ზ ა ნ ე

1. ინგოროყვა, თბზ., ტ. 3.—3. ინგოროყვა, თბზულებათა კრებული, ტ. 3. თბ., 1965.
2. სინურ ხელნაწ. აღწერილობა, I—ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. სინური კოლექცია. ნაკვ. I, შეადგინეს და დასაბუქდად მოამზადეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევა, ლ. ხეცსურთანმა, ლ. ჭლამაიამ. თბ., 1978.
3. სინურ ხელნაწ. აღწერილობა, II—ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. სინური კოლექცია. ნაკვ. II. შეადგინეს და დასაბუქდად მოამზადეს ც. ჭანკიევა და ლ. ჭლამაიამ, თბ., 1979.
4. ძლისპირნი—ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანღ ორი ძველი რედაქცია X—XI სს. ხელნაწერების მიხედვით. გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელ. მეტრეველმა. თბ., 1971.
5. კილ-ეტრატის იადგარი—კილ-ეტრატის იადგარი. გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს ა. შანიძემ, ა. მარტიროსოვმა და ა. ჯიშიაშვილმა, ა. შანიძის რედ. თბ., 1977.
6. ჭავჭავიძევილი, აღწერილობა—ი. ჭავჭავიძევილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. თბ., 1947.
7. Иерус. Канонарь—К. С. Кекелидзе, Иерусалимский Канонарь VII века (грузинская версия). Тифлис, 1912.
8. Литург. памятники—К. С. Кекелидзе, Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение. Тифлис, 1908.
9. Марр, Описание—Н. Я. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря. М.—Л., 1940.
10. Esbroeck, Homélaire—M. van Esbroeck, Les plus anciens homélaïres géorgiens. Étude descriptive et historique. Louvain, 1975.
11. Garitte, Calendrier—Le Calendrier palestino-géorgien du Sinaiticus 34 (X^e siècle). Édité, traduit et commenté par G. Garitte. Bruxelles, 1958 (Subsidia hagiographica, №30).
12. Garitte, Catalogue—G. Garitte, Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinaï. Louvain, 1956 (CSCO, vol. 165, Subsidia, t. 9).
13. Le grand Lectionnaire (T)—Le grand Lectionnaire de l'Église de Jérusalem (V^e—VIII^e siècle), édité par M. Tarchnischvili, I—II, Louvain, 1959—1960 (CSCO, vol. 188, 189, 204, 205).
14. Leeb, Die Gesänge—H. Leeb, Die Gesänge im Gemeindegottesdienst von Jerusalem (vom 5. bis 8. Jahrhundert). Wien, 1970 (Wiener Beiträge zur Theologie, Bd. XXXIII).
15. Renoux, Codex 121, Introduction—A. Renoux, Le codex arménien Jérusalem 121. I. Introduction aux origines de la liturgie hiérosolymitaine lumières nouvelles. Turnhout, 1971.
16. Renoux, Codex 121, Édition—A. Renoux, Le codex arménien Jérusalem 121. II. Édition comparée du texte et de deux autres manuscrits. Turnhout, 1971.

გამოყენებული ლიტერაჰია

T—ლექციონარი (დიდი კანონი) შ. თარხნიშვილის გამოცემა

L—ლათალის ლექციონარი

Ka—კალის ლექციონარი

P—პარიზის ლექციონარი

Hl—ჰაემეტი ლექციონარი (ა. შანიძის გამოცემა)

GrI—ხანმეტი ლექციონარი (ა. შანიძის გამოცემა)

Al—სომხური ლექციონარი (ა. რენუს გამოცემა)

IZ—იოანე-ზოსიმეს კალენდარი (ე. გარიტის გამოცემა).

გამოყენებულ ხელნაწერთა ლიტერები იხ. ვვ. 557, ბერძნულ გამოცემათა შემოკლებები ვვ. 643.

ДРЕВНЕЙШИЙ ГРУЗИНСКИЙ ТРОПОЛОГИИ

Резюме

В научной литературе давно отмечено исключительное значение грузинских переводных памятников литургической и гимнографической литературы для изучения византийской духовной поэзии и музыки. Эта важная область древнегрузинской литературы, представленная в рукописных коллекциях многочисленными переводами и оригинальными образцами разных эпох, отражает историю грузинской и, соответственно, византийской литургической поэзии и музыки начиная с VI века. Особый интерес исследователей вызывают древнейшие памятники ранне-византийской или иерусалимской эпохи, дошедшие до нас, главным образом, в грузинских переводах и сохранившиеся в рукописях IX—XI вв. Большинство исследований и публикаций в области грузинской гимнографии отражают именно иерусалимскую эпоху.

Литургическая поэзия иерусалимского периода, хронологические рамки которой охватывают V—X вв., нашла отражение в различных литургических памятниках. Среди них особое место занимает древнейшая редакция гимнографического сборника под названием Иадгари, греческая модель которого, по всей вероятности, называлась Тропологием. До последнего времени единственным списком древнейшей редакции грузинского Тропология считалась папирусно-пергаменная рукопись Института рукописей АН Грузинской ССР Н 2123. Описание и первая оценка этой рукописи были даны А. А. Цагарели и К. С. Кекелидзе. В 1977 году памятник был издан под редакцией А. Г. Шанидзе.

В Синайской коллекции грузинских рукописей было выявлено несколько списков древнейшего Тропология: Sin. 18, 40, 41. В разных литургических сборниках этой же коллекции были обнаружены отдельные части или песнопения Тропология. Весь этот материал лег в основу нового издания памятника и его литургическо-гимнографического исследования.

Среди списков древнейшего Тропология папирусно-пергаменная рукопись является самой пространной по количеству минейных и триодных праздников и по составу песнопений этих праздников, однако в ней из-за дефектности отсутствуют некоторые существенные части Тропология. Нововыявленные списки дали возможность восстановить памятник в полном его составе.

В результате реконструкции древнейший Тропологий предстал как универсальный гимнографический сборник своего времени. Он сочетает

в себе материал разного литургического назначения. Его основным ядром являются песнопения годичного (минейного и триодного) круга. Позднее в состав Тропология вошли песнопения седмичного круга — воскресные и покаянные песнопения, представляющие собой раннюю редакцию Октоиха. Отдельную часть Тропология составляют кафизмы и ипакои, предназначенные для всех праздников годичного и седмичного кругов.

Древнейший Тропологий возник на основе «Иерусалимского лекционария». Пространная редакция Лекционария, сохранившаяся лишь в грузинском переводе, является тем памятником, в состав которого вошли первые древнейшие образцы ранневизантийской поэзии, нашедшие применение в официальной литургической практике. Песенный репертуар Лекционария состоит из псалмов и поэтических монострофов (т. е. тропарей) разного назначения. Этот репертуар отражает развитие литургической поэзии на протяжении VI—VII веков, так как окончательное формирование названной редакции Лекционария следует отнести ко второй половине VII века (К. Кекелидзе, А. Баумштарк и др.). Именно эта редакция Лекционария легла в основу Тропология, возникновение которого, надо полагать, связано с появлением и канонизацией в богослужбной практике к концу VII века многострофных и многокомпонентных песнопений — стихир и канонов, которые не нашли своего отражения в Лекционарии. Отделившийся от Лекционария Тропологий, следовательно, состоит из двух основных, органически слитых слоев — древнего, содержащего псалмы и поэтические монострофы Лекционария, сохранившие в Тропологии первоначальную свою функцию, и нового, состоящего из стихир и канонов. Лекционарий лег также в основу всей архитектоники Тропология. По образцу Лекционария построены календарь, структуры праздников, отдельные чинопоследования. Таким образом, Тропологий следует рассматривать как гимнографическое приложение к Лекционарию.

Литургический год Тропология состоит в основном из господских и больших церковных праздников, а также подвижных циклов четырехдесятницы и пятидесятницы, которые наподобие Лекционария включены между месяцами марта и апреля. Краткость календаря Тропология объясняется тем, что из полного состава Лекционария он отражает лишь те праздники, в чинопоследовании которых включены поэтические песнопения. Специфику литургического года Тропология составляет и тот факт, что он, наподобие грузинских Многоглавов, открывается праздником благовещения.

Исследование календаря и песенного состава отдельных праздников и чинопоследований показывает, что после отделения от Лекционария, Тропологий развивался по двум направлениям — с одной стороны он расширял круг праздников, с другой — пополнял основные праздники новыми слоями канонов и стихир. Именно этим и объясня-

ются некоторые расхождения, с одной стороны, между Лекционарием и Тропологи́ем в общей их части, а с другой — между отдельными списками Тропологи́я.

Греческая модель грузинского Лекционария не сохранилась. Не обнаружена также и греческая модель Тропологи́я. Следовательно, выявление в поздних греческих литургических книгах моделей отдельных тропарей Тропологи́я имеет большое значение для датировки и оценки как иерусалимского Лекционария, так и Тропологи́я.

В работах, посвященных грузинскому иерусалимскому Лекционарию, К. Кекелидзе, А. Баумштарк, М. Тархнишвили указали на греческие модели некоторых поэтических тропарей. Г. Лееб посвятил монографию поэтическим формам грузинского Лекционария. Большую работу проделал Б. Утье для выявления греческих моделей отдельных песнопений грузинского Тропологи́я.

Выявленные греческие модели составляют приблизительно 5% всех поэтических тропарей. Они обнаружены в разных греческих литургических книгах среди самогласных стихир, монострофов и ирмосов. Параллельное изучение греко-грузинских поэтических текстов показало, что грузинские тексты являются точными переводами греческих; однако не совпадает количество слогов ни тропарей в целом, ни каждого стиха в отдельности. Совпадает только фразеологическое деление грузинского перевода с ритмическим делением греческого тропаря.

Поэтические тропари Тропологи́я написаны прозой без знаков препинания и ритмической пунктуации. Должно быть, такой же вид имели их греческие модели первоначально, в то время, когда их переводили на грузинский язык.

Греческие литургические книги, где оказались модели тропарей, не синхронны грузинскому Тропологи́ю. Они формировались в X—XIV веках. В основе этих книг лежит Константинопольский типик (в отличие от Тропологи́я, который основан на Иерусалимском уставе). Поэтические же формы отвечают принципам византийской ритмической поэзии.

Совпадение фразеологической структуры грузинских переводов поэтических тропарей с ритмическим делением на стихи их греческих моделей свидетельствует о том, что между этими разновидностями поэтической формы (поэтической прозой и ритмической поэзией) существует прямая и непосредственная связь: внутренняя ритмика поэтической прозы, выраженная в фразеологической структуре тропаря, легла в основу новой поэтической формы — ритмической поэзии.

Древние тропари Тропологи́я разно используются в более поздних поэтических видах ритмической поэзии. В тех случаях, когда моностроф Тропологи́я является строфой самогласной стихирь; то обычно он занимает место первой строфы и является ритмической моделью для всей стихирь или для группы строф данной стихирь.

В исследовании рассмотрены и такие случаи, когда греческие модели монострофов оказываются строфой (обычно первой) самогласных стихир прославленных греческих гимнодов VII—IX веков.

Исследуя этот материал, мы пришли к выводу, что авторы подбирали из поэтического фонда ранневизантийской гимнографии высокохудожественные монострофы для своих стихир, используя их в качестве ритмических моделей. Следовательно, наличие лекционных монострофов Тропология в стихирах того или иного греческого гимнада VII—IX веков не может быть основанием для датировки лекционного слоя поэтических тропарей Тропология. Древний, лекционный слой поэтических тропарей в основном содержит поэтический материал не позднее VII века и принадлежит анонимным поэтам V—VII веков.

Ко второму, более позднему поэтическому слою Тропология относятся стихир и каноны. Этим материалом дополнялся Тропологий в VII—IX веках.

Количество строф в стихирах разное. В некоторых стихирах их число доходит до пятнадцати. Многострофные стихир оставляют впечатленне сборного текста.

Греческие модели для полных стихир обнаружить не удалось (за исключением одного случая). Для отдельных же тропарей стихир найдены греческие модели в монострофах и стихирах разных литургических книг. Наибольшее число моделей оказалось в греческой Триоди.

Текстуальное соотношение между моделью и грузинским переводом стихир такое же, как в монострофах Тропология.

Заслуживают внимания случаи, когда у нескольких тропарей одной стихир оказываются греческие модели в разных греческих стихирах, так напр., для четырех тропарей стихир на «Господи воззвах» на праздник св. Феодора обнаружены модели в трех разных греческих стихирах. Надо думать, что в данном случае составитель стихир Тропология и составители трех греческих стихир в разное время пользовались монострофами из богатого поэтического наследия ранневизантийской поэзии.

